

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №40/ნ
2016 წლის 18 მაისი

ქ. თბილისი

ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და მე-7 პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ეროვნული სასწავლო გეგმა ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36 ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის:

ა) შესავალი;

ბ) I კარი;

გ) II კარის 49-ე მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-6 და მე-7 პუნქტები;

დ) II კარის 50-ე მუხლი;

ე) II კარის X თავის I კლასი, II კლასი, III კლასი, IV კლასი, V კლასი, VI კლასი;

ვ) III კარის XI, XII, XV, XVI, XVII, XIX², XX, XXI, XXIV, XXV, XXVII, XXIX, XXXI, XXXIII, XXXIV¹, XXXIV³, XXXIV⁵, XXXIV⁷, XXXV, XXXVI, XXXIX, XL, XLIII, XLIV, XLV, XLVI, XLVIII, XLIX, LI, LII, LIII, LIV თავები.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 15 სექტემბრიდან და მოქმედებს 6 წლის განმავლობაში.

[საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 15 თებერვლის ბრძანება №27/ნ - ვებგვერდი, 15.02.2017წ.](#)

მუხლი 4

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების მიზნებისთვის ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრი

თამარ სანიკიძე



ეროვნული სასწავლო გეგმა

კარი I - სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციული და კონცეპტუალური საკითხები

თავი I. ეროვნული სასწავლო გეგმის სტრუქტურა, ტერმინოლოგიური ლექსიკონი და ზოგადი განათლების საფეხურები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 11.05.2018წ.

„სწავლაში ძირითადი მნიშვნელობა იმ პროდუქტს კი არა აქვს, რომელსაც იგი კონკრეტული ჩვევის ან კონკრეტული შინაარსის მქონე ცოდნის სახით გვაძლევს, არამედ განსაზღვრული მიმართულებით მოსწავლის ძალების განვითარებას.“

დიმიტრი უზნაძე

მუხლი 1. შესავალი

1. ეროვნული სასწავლო გეგმა ეფუძნება „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის №84 დადგენილებით დამტკიცებულ ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს (შემდგომში - ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები), რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორი თაობების აღზრდას უნდა შეუწყოს ხელი საქართველოს ზოგადი განათლების სისტემამ.
2. ეროვნული სასწავლო გეგმა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა.
3. ეროვნულ სასწავლო გეგმას შეიმუშავენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი.
4. ეროვნული სასწავლო გეგმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის (შემდგომში - სკოლა) სავალდებულო დოკუმენტია, რომელიც მოიცავს ზოგადი განათლების ყველა საფეხურისათვის საათების განაწილებას, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობებსა და რეკომენდაციებს, მოსწავლეთა აუცილებელ დატვირთვას, იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალს, რომელთაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველი საფეხურის დამთავრებისას, და ამ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შექმნის საშუალებათა აღწერას.

მუხლი 2. ეროვნული სასწავლო გეგმის სტრუქტურა

1. ეროვნული სასწავლო გეგმა შედგება სამი კარისგან.
2. I კარში წარმოდგენილია სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციული და კონცეპტუალური საკითხები: ზოგადი განათლების საფეხურები, მათი მისია და მიზნები; განათლების ენები და ენობრივი განათლება; ეროვნული სასწავლო გეგმის საგანმანათლებლო პრინციპები; მეთოდოლოგიური ორიენტირები; სასწავლო წლის კალენდარი სკოლაში; მოსწავლეთა რაოდენობა საჯარო სკოლის კლასში; სკოლის საერთო კულტურა; დამრიგებლის მოვალეობები; საგნობრივი კათედრები საჯარო სკოლაში;

სასკოლო სასწავლო გეგმა; საგანმანათლებლო რესურსები; მოსწავლის შეფასება; გამოცდის ტიპები; მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის აღიარება; გაცდენები; შინ სწავლება; ინკლუზიური განათლება; სავალდებულო და არჩევითი საგნები; საათობრივი ბადე.

3. II კარში წარმოდგენილია საგნობრივი სასწავლო გეგმების ზოგადი დახასიათება, საგნის სწავლების მიზნები და ამოცანები, საგნის სწავლების ორგანიზება, საგნობრივი სტანდარტები საფეხურების მიხედვით. საგნობრივი სტანდარტი:

ა) აერთიანებს სწავლა-სწავლების ოთხ კომპონენტს: 1) მიზნებს, 2) შედეგებსა და შინაარსს, 3) მეთოდოლოგიურ ორიენტირებს, 4) შეფასებას;

ბ) განსაზღვრავს სავალდებულო მოთხოვნებს (საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგებს) და წარმოადგენს ორიენტირს, რომლისკენაც უნდა წარიმართოს საგანმანათლებლო პროცესი;

გ) ორგანიზებულია შემდეგნაირად:

გ.ა) დაწყებითი საფეხური - I-IV კლასების სტანდარტი და V-VI კლასების სტანდარტი;

გ.ბ) საბაზო საფეხური - VII-IX კლასების სტანდარტი;

გ.გ) საშუალო საფეხური - X-XII - კლასების სტანდარტი.

4. III კარში წარმოდგენილია საგნობრივი სასწავლო გეგმების საგნობრივი პროგრამები (შემდგომში - საგნობრივი პროგრამები) კლასების მიხედვით. საგნობრივი პროგრამა განსაზღვრავს, თუ რა უნდა იცოდეს და შეძლოს მოსწავლემ და როგორ უნდა იქნეს მიღწეული საგნობრივი სტანდარტის შედეგები; საგნობრივი პროგრამები მოიცავს ერთ ან ორ სასწავლო წელს;

5. ზოგიერთი საგნის საგნობრივი სასწავლო გეგმა წარმოდგენილია მხოლოდ საგნობრივი სტანდარტის სახით;

6. შესაძლებელია სკოლამ საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნების განხორციელება მის მიერ შედგენილი საგნობრივი პროგრამის მიხედვით განხორციელოს. ასეთ შემთხვევაში, მის მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამა შესაბამისობაში უნდა იყოს შესაბამის საგნობრივ სტანდარტთან. დასაშვებია ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებული საგნობრივი პროგრამების შემუშავება როგორც ყველა, ასევე რომელიმე საგანში/საგნებში. საჯარო სკოლა (კერძო სკოლისგან განსხვავებით) ვალდებულია საგნობრივი პროგრამა შესათანხმებლად წარმოადგინოს სამინისტროში და თავად უზრუნველყოს მოსწავლეები შესაბამისი დამატებითი საგანმანათლებლო რესურსებით, ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 11.05.2018წ.

მუხლი 2¹. ტერმინოლოგიური ლექსიკონი

ა) **ცოდნა** – ცოდნის სამი კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეულის) ერთიანობა, რომელიც სამი ტიპის შეკითხვას პასუხობს: *რა ვიცი? როგორ შევასრულო? როდის, რატომ, რა შემთხვევაში გამოვიყენო?*

- დეკლარატიული ცოდნა – გულისხმობს თეორიების, ფაქტების, წესების, კანონებისა და პრინციპების თეორიულ ცოდნას. იგი სტატიკური ხასიათისაა და უპასუხებს შეკითხვას: *რა ვიცი?*
- პროცედურული ცოდნა – გულისხმობს ქმედების/ქმედებათა თანამიმდევრობის ცოდნას და იძლევა ცოდნის რეალიზების საშუალებას ოპერაციების/პროცედურების დონეზე. იგი დინამიკური ხასიათისაა, აღიწერება, როგორც უნარი და უპასუხებს შეკითხვას: *როგორ გავაკეთო?/როგორ შევასრულო?*

- პირობისეული ცოდნა – გულისხმობს დეკლარატიული და პროცედურული ცოდნის გამოყენების პირობების გააზრებას. საგანთა, მოვლენათა, სიტუაციათა არსებითი ასპექტების გააზრების, კატეგორიზაციის უნარს, რომელიც ცოდნის სხვადასხვა კონტექსტში გადატანის (ტრანსფერის) შესაძლებლობას იძლევა. იგი დინამიკური ხასიათისაა და უპასუხებს შეკითხვებს: *როდის, რა შემთხვევაში? რატომ?*

ბ) ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები – გამომდინარეობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან. ისინი განსაზღვრავს იმ ზოგად უნარებსა და ღირებულებებს, რომელთა განვითარება-ჩამოყალიბებასაც ყველა საგანში შეძენილი ცოდნა უნდა ემსახურებოდეს;

გ) საგნობრივი ჯგუფის მიზნები – აზუსტებს და აკონკრეტებს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს საგნობრივი ჯგუფის სფეროს ფარგლებში. საგნობრივი ჯგუფის მიზნების განხორციელებას ემსახურება საგნობრივი სტანდარტები და წლიური პროგრამები;

დ) საგნობრივი სტანდარტი – განსაზღვრავს ცოდნის სავალდებულო მინიმუმს, რომელსაც უნდა ფლობდეს მოსწავლე საფეხურის ბოლოს. იგი პასუხობს შეკითხვებს: რა უნდა იცოდეს მოსწავლემ, რა უნდა შეეძლოს მას, რა ღირებულებებით უნდა აღიზარდოს იგი კონკრეტული საგნის ფარგლებში. სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

- საგნის სწავლების მიზნები;
- სტანდარტის შედეგები და შინაარსი;
- მეთოდოლოგიური ორიენტირები;
- შეფასება.

ე) წლიური პროგრამა – გვიჩვენებს სასწავლო პროცესში საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნების რეალიზების გზებს. სტანდარტისგან განსხვავებით, წლიური პროგრამა სარეკომენდაციო ხასიათისაა;

ვ) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები – აკონკრეტებს ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნობრივი ჯგუფის მიზნებს კერძო საგნის კონტექსტში;

ზ) სტანდარტის შედეგები – საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და უპასუხებს შეკითხვას: *რა უნდა შეეძლოს საბაზო საფეხურის მოსწავლეს?* შედეგები აღიწერება პროცედურული და პირობისეული ცოდნის სახით. სწავლა-სწავლება, ისევე როგორც შეფასება, უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს შედეგებზე დაყრდნობით;

თ) სტანდარტის შინაარსი – განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულო ცნებების, სასწავლო თემების/ თემატური ბლოკების/ ჩარჩოების, საგნობრივი საკითხების სახით;

ი) ცნებები – საგნის სისტემური და გააზრებული ცოდნის საფუძველი ამ საგნის ძირითად ცნებათა სისტემაა. აქედან გამომდინარე, ცნებები შედეგის განუყოფელი ნაწილი და სასწავლო პროცესის მიზნობრივი ორიენტირია. ცნების სწავლა-სწავლება მოიცავს მის სამ სტრუქტურულ ელემენტს: ტერმინს (ცნების აღმნიშვნელი სიტყვა), ცნების შინაარსს (ცნების განმსაზღვრელი, არსებითი ნიშან-თვისებები) და ცნების მოცულობას (მაგალითების/შემთხვევების სიმრავლე, რომლებსაც ეს ნიშან-თვისებები მიესადაგება);

კ) სასწავლო თემები – წარმოადგენს სასწავლო ერთეულს, რომლის ფარგლებშიც მუშავდება შედეგები და ცნებები. თითოეული თემის ფარგლებში შეძლებისდაგვარად სტანდარტის ყველა შედეგი უნდა დამუშავდეს. საგნობრივი პროგრამები თემების სახით მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მისი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა;

ლ) თემატური ბლოკი/ჩარჩო – იმ საგნებში, რომლებშიც სასწავლო თემები მჭიდროდ არ უკავშირდება სტანდარტის შედეგებს (ქართული ენა და ლიტერატურა, ქართული, როგორც მეორე ენა, უცხოური ენები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, მათემატიკა,

ფიზიკური აღზრდა და სპორტი), სავალდებულო თემების ნაცვლად თემატური ბლოკები/ჩარჩოებია წარმოდგენილი. ისინი ქმნის საერთო საფუძველს წლიურ პროგრამაში კონკრეტული სასწავლო თემების განსაზღვრისათვის;

მ) საგნობრივი საკითხები – განისაზღვრება სტანდარტის შინაარსის ფარგლებში. ისინი შერჩეული უნდა იქნეს იმგვარად, რომ ცნებების გააზრებას, საკვანძო კითხვებსა და კომპლექსურ დავალებებზე მუშაობას, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას ემსახურებოდეს;

ნ) თემატური საკვანძო შეკითხვები – აკავშირებს სასწავლო თემას/თემატურ ბლოკს, საკითხებს სტანდარტის შედეგებთან. მათი ფუნქციაა:

- მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;
- სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა;
- თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მათგან უზრუნველ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.
- თემატურ საკვანძო შეკითხვებს სარეკომენდაციო ხასიათი აქვს.

ო) საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვები – ისინი თემატური საკვანძო შეკითხვებისგან განსხვავებით სავალდებულო ხასიათისაა. საფეხურებრივი შეკითხვები განზოგადებულად განსაზღვრავენ ვექტორებს, რომლებიც სწავლა-სწავლების პროცესს შედეგებისკენ მიმართავს;

პ) შეფასების ინდიკატორები – გამომდინარეობს შედეგებიდან და აჩვენებს, თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორი არის თემაში რეალიზებული შედეგი, რომელიც სავალდებულო ხასიათს ატარებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის;

ჟ) შემაჯამებელი კომპლექსური დავალება – განისაზღვრება თემების მიხედვით და წარმოადგენს შინაარსიან, ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირებულ დავალებას, რომლის შესრულება მოითხოვს ფუნქციურ კონტექსტებში სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას;

რ) მკვიდრი წარმოდგენები – განისაზღვრება თემების მიხედვით. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მენსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მან თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა შეძლოს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 11.05.2018წ.

მუხლი 3. ზოგადი განათლების საფეხურები

1. სრული ზოგადი განათლება არის სამ საფეხურიანი და თორმეტწლიანი.

2. სრული ზოგადი განათლების საფეხურებია:

ა) დაწყებითი - I-VI კლასები;

ბ) საბაზო - VII-IX კლასები;

გ) საშუალო - X-XII კლასები.

შენიშვნა: საქართველოს ზოგადი განათლების საფეხურების შესაბამისობა განათლების კლასიფიცირების საერთაშორისო სტანდარტის (ISCED) დოკუმენტებთან შემდეგნაირია:

დაწყებითი საფეხური - Primary education (ISCED level 1),
 საბაზო საფეხური - Lower secondary education (ISCED level 2),
 საშუალო საფეხური - Upper secondary education (ISCED level 3).

3. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა.

4. სრული ზოგადი განათლების მიღება გულისხმობს ზოგადი განათლების სამივე საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევების დონის დაძლევას, სკოლის გამოსაშვები გამოცდების წარმატებით ჩაბარებას და შესაბამისი დოკუმენტით სახელმწიფოს მიერ ამის დადასტურებას.

თავი II. სწავლა-სწავლების მიზნები და საგანმანათლებლო პრინციპები

მუხლი 4. დაწყებითი საფეხურის მისია

დაწყებითი საფეხურის მისიაა:

- ა) საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა;
- ბ) საბაზისო უნარების - წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა;
- გ) სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა და მოსწავლის მომზადება საბაზო საფეხურისთვის.

მუხლი 5. საბაზო საფეხურის მისია

საბაზო საფეხურის მისიაა საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირება, მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენა, მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარება, აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობა და საფუძველების შექმნა განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის ან შრომითი საქმიანობისთვის.

მუხლი 6. საშუალო საფეხურის მისია

საშუალო საფეხურის მისიაა:

- ა) საგანთა გაღრმავებული სწავლების გზით სისტემური ცოდნის კონსტრუირება;
- ბ) მოაზროვნე, მამიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.

მუხლი 7. ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნები

1. ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

პრობლემების გადაჭრა	<ul style="list-style-type: none"> • პრობლემის ამოცნობა, აღწერა და გაანალიზება; • პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, მათგან ყველაზე ეფექტურის შერჩევა.
კრიტიკული	<ul style="list-style-type: none"> • ფაქტების, წარმოდგენების, მოსაზრებების კრიტიკულად განხილვა და

აზროვნება	<p>განალიზება;</p> <ul style="list-style-type: none"> • შეკითხვების ჩამოყალიბება და მათზე პასუხის მიცემა; • არგუმენტირებულად მსჯელობა, ანუ საკუთარი მოსაზრებების დასაბუთება შესაფერისი არგუმენტების, მაგალითების მოყვანით; • გონივრული არჩევანის გაკეთება და მისი დასაბუთება.
შემოქმედებითი აზროვნება	<ul style="list-style-type: none"> • ჩანაფიქრის შემოქმედებითად განხორციელება; • ორიგინალური იდეების გამოვლენა და ხორცშესხმა; ახლის შექმნა; • დასმული პრობლემების გადასაჭრელად არასტანდარტული გზების მოძიება; • სწრაფვა გარემოს გარდაქმნა-გაუმჯობესებისკენ; • გამოწვევების მიღება, სასკოლო საქმიანობაში გაბედული ნაბიჯების გადადგმა.
თანამშრომლობა	<ul style="list-style-type: none"> • სამუშაოს თანასწორად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს; • მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად(მაგ., ლიდერის); • განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა; • რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით.
კომუნიკაცია	<ul style="list-style-type: none"> • განცდილის, ნააზრევის მიტანა მსმენელამდე/მკითხველამდე, მათზე შთაბეჭდილების მოხდენა; • ინფორმაციის გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ვერბალური და არავერბალური საშუალებების გამოყენებით; • სხვისი მოსმენისა და გაგების უნარი; • პიროვნული ღირსების გააზრებისა და დაფასების უნარი.
ეთიკა	<ul style="list-style-type: none"> • ეთიკური ნორმების დაცვა; • სოლიდარობის განცდა; • ემპათია; • განსხვავებულობის მიმღებლობა; • საკუთარ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრება.
მეწარმეობა, ინიციატივების გამოვლენა და საქმედ ქცევა	<ul style="list-style-type: none"> • სწავლა-სწავლების პროცესში ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გამოვლენა; • ახალი იდეების, მიდგომების, შესაძლებლობების მიცემა და მათი განხორციელება სწავლის გაუმჯობესების მიზნით;

	<ul style="list-style-type: none"> • მზაობა გამოწვევების მისაღებად, გაბედული ნაბიჯების გადასადგმელად.
დროსა და სივრცეში ორიენტირება	<ul style="list-style-type: none"> • თანამედროვე რეალობის სივრცულ-დროით ჭრილში გააზრება და ინტერპრეტირება; • მულტიპერსპექტიული ხედვა დროითი და სივრცული ფაქტორების გათვალისწინებით.
კვლევა	<ul style="list-style-type: none"> • კვლევითი ამოცანის, კვლევის პროცედურების, მონაცემების მოპოვების გზებისა და აღრიცხვის ფორმების განსაზღვრა; სათანადო რესურსების შერჩევა; • კვლევის ჩატარება, მონაცემების აღრიცხვა და სხვადასხვა ფორმით წარმოდგენა/ ორგანიზება; • მონაცემების ანალიზი, არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე დასკვნების გამოტანა; კვლევის შედეგების შეფასება; • კვლევითი სამუშაოების ჩატარების დროს ეთიკისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა.
სწავლის სწავლა დამოუკიდებლად საქმიანობა	<ul style="list-style-type: none"> • აქტივობის/დავალების ღირებულების განსაზღვრა - მოსწავლემ უნდა დაინახოს, რას შესძენს აქტივობის შესრულება, რა პიროვნულ თუ სოციალურ სარგებელს მოუტანს მას; • აქტივობის/დავალების დაგეგმვა - მოთხოვნათა გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის განსაზღვრა; დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის განსაზღვრა; სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების დადგენა; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა; იმის განჭვრეტა, თუ რა გაუადვილდება, რა გაუძნელდება, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიების მიზანშეწონილად შერჩევა სამუშაოს თითოეული ეტაპისათვის; • სწავლის პროცესის მონიტორინგი - დაფიქრება სწავლის პროცესზე, იმ პირობების და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, სათანადო ზომების მიღება წინსვლის ხელშესაწყობად; თვითშეფასება ძლიერი და სუსტი მხარების დასადგენად, სუსტი მხარეების გასაძლიერებლად გზების დასახვა; • სოციომოციური მართვა - ნერვიულობის მინიმუმამდე დაყვანა, საჭიროებისამებრ, დახმარების თხოვნა, საკუთარ თავში სიძნელეთა გადალახვის რესურსების პოვნა; შეცდომების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება და წინსვლის წყაროდ გამოყენება; • ცალკეული საქმიანობისთვის გამოყოფილი დროის ეფექტურად გამოყენება.
პასუხისმგებლობა	<ul style="list-style-type: none"> • სასკოლო საქმიანობებში (სასკოლო ცხოვრებაში) ნაკისრი ვალდებულების შესრულება; • სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება; • საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე, სოციალურ

	აქტივობებზე პასუხისმგებლობის აღება.
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება	<ul style="list-style-type: none"> ქსელური ძიება; ინფორმაციის გავრცელება; ელექტრონული რესურსის მოძიება და გამოყენება სასწავლო პროცესში.
წიგნიერება	<ul style="list-style-type: none"> ზეპირი და წერიტი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანის, გაანალიზება-ინტერპრეტირებისა და წარდგენა-გაზიარების უნარი.

2. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნული სასწავლო გეგმა ასევე გამოყოფს პრიორიტეტულ თემებს:

- ა) კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;
- ბ) გარემოს დაცვა;
- გ) ჯანსაღი ცხოვრება;
- დ) სამოქალაქო უსაფრთხოება;
- ე) კონფლიქტების მართვა;
- დ) ფინანსური წიგნიერება;
- ე) კულტურული მრავალფეროვნება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 11.05.2018წ.

მუხლი 8. განათლების ენები და ენობრივი განათლება

1. ენა უნიკალურ როლს ასრულებს სასკოლო განათლებაში - იგი მთავარი იარაღია საგანთა შინაარსის შესამეცნებლად და ასათვისებლად. ამდენად, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლების უზრუნველყოფა გულისხმობს ენობრივი განათლების ხელშეწყობას.

2. განათლების ენები მოიცავს:

ა) **სწავლა-სწავლების ენას**, რომელზედაც მიმდინარეობს სასკოლო საგანთა სწავლა და სწავლება;

ბ) **საგნის ენას**, რომელზედაც მიმდინარეობს კონკრეტული საგნობრივი შინაარსის სწავლება. საგნის ენა არის სწავლა-სწავლების ენის სახესხვაობა, რომელიც ხასიათდება სპეციფიკური ენობრივი ნორმებით;

გ) **ენას, როგორც საგანს**, რომლის მიზანი ენის სწავლებაა. ეროვნულ სასწავლო გეგმაში ასეთ საგნებს წარმოადგენს ქართული ენა და ლიტერატურა, ქართული, როგორც მეორე ენა, აფხაზური ენა და ლიტერატურა, უცხოური ენები, მათ შორის, ეთნიკურ უმცირესობათა ენები.

3. სწავლა-სწავლების ენა და ცალკეულ საგანთა ენები ქმნიან აკადემიურ, წიგნიერ ენას, რომელიც ხასიათდება რთული გრამატიკული სტრუქტურებით, ტერმინებით თუ სპეციფიკური ლექსიკით, მეცნიერული ცნებებითა და ტექსტების ორგანიზების თავისებური ფორმებით.

4. ცალკეული საგნის სწავლება გულისხმობს საგნის ენის გაგებისა და გამოყენების უნარების განვითარებასაც, ანუ სიტყვიერად მოწოდებული საგნობრივი საკითხების არსის გააზრებისა და გააზრებულ საკითხთა სიტყვიერად გადმოცემის უნარების ჩამოყალიბებას.

5. საგნის ენის, როგორც შემეცნებითი ინსტრუმენტის, გამოყენების უნარი განაპირობებს საგნობრივ წიგნიერებას, სწავლა-სწავლების ენის გამოყენების უნარი კი - ზოგად წიგნიერებას.
6. ზოგადი წიგნიერება არის კითხვის, წერის, ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანისა და გაზიარების უნარი.
7. საგანთა სწავლებისას რეკომენდებულია როგორც ბეჭდური, ისე მულტიმედიური და მრავალგვარი ფორმის ელექტრონული ტექსტების გამოყენება. მათი დამუშავება, გააზრება-გამოყენება და შექმნა მოსწავლეებს განუვითარებს ციფრული წიგნიერებისა და მედიაწიგნიერების უნარებს.
8. ციფრული წიგნიერება გულისხმობს ქსელური მიეების, მრავალგვარი ფორმის ელექტრონული ტექსტების შექმნისა და მათი ელექტრონული დამუშავების პროგრამების გამოყენების უნარს.
9. მედიაწიგნიერება გულისხმობს მულტიმედიური ტექსტების (რომლებიც ერთდროულად იყენებს ენობრივ, ხმოვან და ვიზუალურ საშუალებებს) აღქმა-გააზრების, ინტერპრეტირების, გამოყენებისა და შექმნის უნარს, ასევე მედიასამყაროში ორიენტირების, სწორი არჩევანის გაკეთების (ინფორმაციის „გაფილტვრის“) და მიღებული ინფორმაციის კრიტიკულად შეფასების უნარს.
10. საკომუნიკაციო და ციფრული ტექნოლოგიების ხანაში ციფრული და მედიაწიგნიერება ზოგადი წიგნიერების აუცილებელ კომპონენტებს წარმოადგენს.
11. ენობრივი განათლებისა და წიგნიერების დონის ასამაღლებლად აუცილებელია, რომ მოსწავლეთა ენობრივი უნარების გამომუშავებასა და განვითარებაში ყველა საგანმა შეიტანოს თავისი წვლილი. ამისთვის აუცილებელია განათლების ენათა ინტეგრირებული სწავლება, რაც გულისხმობს შემდეგს: ენა, როგორც შემეცნებისა და აზრის გამოხატვის ინსტრუმენტი, ყველა საგნის კონტექსტში უნდა იქცეს დაკვირვების ობიექტად, რათა მოსწავლემ მიზანმიმართულად და გაცნობიერებულად გამოიყენოს იგი; სასკოლო საგნებს შორის უნდა გაიდოს „ენობრივი ხიდები“, რათა მოსწავლემ შეძლოს სხვადასხვა საგნის კონტექსტში შეძენილი ენობრივი ცოდნისა და გამოცდილების ერთმანეთთან დაკავშირება. ეს გააფართოებს მოსწავლეთა ენობრივ ცნობიერებას და განავითარებს მათ შემეცნებით თუ ენობრივ უნარებს, რაც წარმატებული სწავლის საფუძველია.
12. განათლების ენათა ინტეგრირებული სწავლა-სწავლების მთავარი ინსტრუმენტია სწავლის სტრატეგიები.
13. საგანმანათლებლო რესურსები ხელს უნდა უწყობდეს საგნის ენის გაგებისა და გამოყენების უნარების განვითარებას.
14. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის ხელშესაწყობად აუცილებელია არაქართულენოვან სკოლებში და სექტორებში შემეცნებითი და ენობრივი უნარების სახელმწიფო ენაზე განვითარება, რასაც უზრუნველყოფს ორენოვანი განათლება. ორენოვანი განათლება გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესში სწავლა-სწავლების ორი ენის გამოყენებას, რომელთაგან ერთი აუცილებლად სახელმწიფო ენაა.
15. ორენოვანი განათლება საფუძველს უნდა უქმნიდეს ორენოვან წიგნიერებას.

მუხლი 9. ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები

16. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნული სასწავლო გეგმა ეფუძნება პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო კონცეფციას და განსაზღვრავს ხუთ ძირითად საგანმანათლებლო პრინციპს, რომლებსაც უნდა დაეყრდნოს სწავლა-სწავლების პროცესი. ეს პრინციპებია:

ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას. მიღებული ინფორმაცია ცოდნად გარდაიქმნება მოსწავლის მიერ მისი აქტიური დამუშავების შედეგად. მოსწავლე მიწოდებული ინფორმაციიდან გამოარჩევს ცოდნის შენებისთვის (კონსტრუირებისთვის) მნიშვნელოვან ელემენტებს და ცოდნად გარდაქმნის შერჩეულ ინფორმაციას სხვადასხვა სააზროვნო ოპერაციის განხორციელების საფუძველზე.

ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ინფორმაციის დამუშავება და ცოდნად გარდაქმნა წინარე ცოდნის საშუალებით ხორციელდება. წინარე ცოდნა განაპირობებს იმას, თუ მიწოდებული ინფორმაციიდან რა კომპონენტებს მიაქცევს ყურადღებას მოსწავლე და რის სწავლას შეძლებს იგი.

გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას. მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება ზრდის გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობებს.

დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლა). სწავლის პროცესში მართებული ხერხებისა და მიდგომების გამოყენება წარმატებული სწავლის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს. კონკრეტული მიზნის მისაღწევად განსახორციელებელ ქმედებათა გააზრებულად, გაცნობიერებულად დაგეგმვა და კოორდინირება ზრდის მოსწავლის ქმედობაუნარიანობას, ეხმარება მას მიზნის ეფექტიანად მიღწევასა და სიძნელეთა გადალახვაში. აქედან გამომდინარე, მასწავლებელი ვალდებულია დააფიქროს მოსწავლე იმ ხერხებსა თუ მიდგომებზე, რომლებსაც იგი გამოიყენებს მიზნის მისაღწევად და დაეხმაროს მათ შორის, საუკეთესოს აღმოჩენაში.

ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

ე.ა) დეკლარატიული ცოდნა სტატიკური ხასიათისაა. იგი გულისხმობს თეორიების, ფაქტების, წესების ცოდნას და პასუხობს კითხვას: რა ვიცი?

ე.ბ) პროცედურული ცოდნა დინამიკურია და იძლევა ცოდნის რეალიზების საშუალებას. პროცედურული ცოდნა პასუხობს კითხვას: როგორ გავაკეთო/როგორ შევასრულო?

ე.გ) პირობისეული ცოდნა დინამიკურია და გულისხმობს პირობების, ანუ არსებითი ნიშან-თვისებების ამოცნობას. იგი უზრუნველყოფს სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურად გამოყენებას და პასუხობს კითხვას: როდის და/ან რატომ გამოვიყენო ეს ცოდნა?

თავი III. ძირითადი მეთოდური ორიენტირები

მუხლი 10. მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა

ა) ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, შესაძლებლობებით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სწავლა-სწავლების დროს;

ბ) სწავლა უნდა მიმდინარეობდეს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე.

მუხლი 11. სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის დაცვა

სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის დაცვის მიზნით:

ა) დაუშვებელია მოსწავლეების განაწილება კლასებში აკადემიური მოსწრების მიხედვით;

ბ) დაუშვებელია, რომ საჯარო სკოლამ დააწესოს ბარიერები მოსწავლეთა მიღებასთან დაკავშირებით და მიიღოს მხოლოდ სასკოლო მზაობით გამორჩეული ან მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები. ამ პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება საგნის/საგნების გაძლიერებული სწავლების სტატუსის მქონე საჯარო სკოლისთვის;

გ) განვითარების თანაბარი შესაძლებლობის მისაცემად, სკოლა ვალდებულია მოსწავლეები უზრუნველყოს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესით - ინდივიდუალური მიდგომისას სხვადასხვა მეთოდის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებით.

მუხლი 12. სიღრმისეული სწავლება

სკოლა ვალდებულია, უზრუნველყოს სიღრმისეული სწავლება: სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდება, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვა, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენა და საერთო ასპექტების დამუშავება.

მუხლი 13. მოსწავლის მოტივაციის გაზრდა

სკოლა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის მოტივაციის გაზრდაზე. მოსწავლე უნდა ხედავდეს დავალების მიზანს, მის საჭიროებას, კავშირს სკოლაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლის გარეთ მიმდინარე ცხოვრებას შორის.

მუხლი 14. დისციპლინა

სკოლამ უნდა განუვითაროს მოსწავლეებს საკუთარი მოვალეობების გააზრების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უნარ-ჩვევები. ამავე დროს, სკოლამ უნდა უზრუნველყოს მშვიდი და საქმიანი გარემოს შექმნა.

მუხლი 15. მოსწავლეთა ჩართულობა

მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა სასწავლო პროცესში. მოსწავლეები არა მხოლოდ აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ განათლების მიღების პროცესში, ასევე საშუალება უნდა ჰქონდეთ ერთმანეთს დაეხმარონ და მონაწილეობა მიიღონ თანატოლების სწავლა-სწავლების პროცესშიც.

თავი IV. საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება

მუხლი 16. სასწავლო წლის კალენდარი

1. საჯარო სკოლაში სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად. მას სემესტრებად ყოფს ზამთრის არდადეგები.
2. საჯარო სკოლებისთვის სასწავლო წლის დაწყებისა და დამთავრების თარიღები და არდადეგების დრო და ხანგრძლივობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.
3. კერძო სკოლებში ერთი აკადემიური წლის მანძილზე II-XI კლასებისთვის სასწავლო კვირების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 35 კვირაზე ნაკლები, ხოლო I და XII კლასებისთვის – 30 კვირაზე ნაკლები.
4. საჯარო სკოლებისთვის სასწავლო კვირა ხუთდღიანია. საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია კვირაში ექვსდღიანი სწავლებაც. კერძოდ, ექვსდღიანი სწავლება დასაშვებია, თუ:
 - ა) სკოლის სასწავლო გეგმიდან გამომდინარე სკოლა გადაწყვეტს ყოველდღიური საათობრივი ბადის განტვირთვას;
 - ბ) გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო სკოლაში გაცდება სასწავლო დღე/დღეები. ამ შემთხვევაში სკოლა ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს სამინისტროს;

გ) ობიექტური მიზეზების გამო სკოლა მიზანშეწონილად მიიჩნევს კვირის რომელიმე დღე განსაზღვროს დასვენების დღედ სამინისტროსთან შეთანხმებით.

5. მოზარდის ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით, სარეკომენდაციო დატვირთვის (გაკვეთილებზე გატარებული ასტრონომიული საათების) მაქსიმალური რაოდენობა არის შემდეგი:

კლასი	I	II-III	IV-V	VI-VIII	IX	X-XII
მაქსიმალური დასაშვები საათები (ასტრონომიული) დღეში	3	4	4	5	5-6	5-6

სკოლის მიერ საათების დამატების შემთხვევაში, რეკომენდებულია სკოლამ მოსწავლეებს შესთავაზოს სრულფასოვანი კვება და დასვენება.

6. საჯარო სკოლაში III-XII კლასებში გაკვეთილის ხანგრძლივობა განისაზღვრება 45 წუთით. პირველ კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობა განისაზღვრება 35 წუთით, ხოლო II კლასში - 40 წუთით. გაკვეთილების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით შესაძლებელია დაშვებულ იქნეს გამონაკლისი, როდესაც სკოლამ, შესაძლოა, ხანმოკლე ვადით შეცვალოს გაკვეთილების ხანგრძლივობა შემდეგ შემთხვევებში:

ა) ექსტრემალური პირობების დროს (ყინვა, განსაკუთრებული სიცხეები და ა.შ.) შეამციროს მაქსიმუმ 10 წუთით;

ბ) სხვადასხვა სასკოლო ღონისძიების ჩატარების დროს გაზარდოს მაქსიმუმ 10 წუთით.

7. საჯარო სკოლაში გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს 5 წუთზე ნაკლები. შესვენებებს შორის უნდა იყოს ერთი დიდი დასვენება, რომელიც სკოლამ უნდა დაგეგმოს სასწავლო განრიგის გათვალისწინებით. დიდი დასვენება არ უნდა იყოს 10 წუთზე ნაკლები და 30 წუთზე მეტი.

8. ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული გაკვეთილების ხანგრძლივობა და გაკვეთილებს შორის შესვენებების ხანგრძლივობა არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებებში განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 6 ივნისის ბრძანება №91/5 - ვებგვერდი, 07.06.2017წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №63/5 - ვებგვერდი, 11.05.2018წ.

მუხლი 17. მოსწავლეთა რაოდენობა საჯარო სკოლის კლასში

1. საჯარო სკოლაში კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია 25 მოსწავლით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოსწავლეთა მაქსიმალურ რაოდენობასთან დაკავშირებით გამონაკლისი დაიშვება სამინისტროსთან წერილობითი შეთანხმებით. თანხმობა გაიცემა ობიექტური გარემოების გათვალისწინებით კონკრეტულ მოსწავლეზე და ვრცელდება ამავე მოსწავლის მიერ ამავე სკოლის მომდევნო კლასში სწავლის გაგრძელებისას. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 29-ს.

3. პარალელური კლასების არსებობა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ თითოეულ პარალელურ კლასში მოსწავლეთა მინიმალური რაოდენობა არის 15. გამონაკლისი მოსწავლეთა რაოდენობასთან დაკავშირებით დაიშვება სამინისტროსთან შეთანხმებით.

4. 2014-2015 სასწავლო წლამდე საჯარო სკოლაში ჩარიცხულ მოსწავლეთათვის კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება 30 მოსწავლით. მოსწავლეთა მაქსიმალურ რაოდენობასთან დაკავშირებით გამონაკლისი დაიშვება სამინისტროსთან წერილობითი შეთანხმებით. თანხმობა გაიცემა ობიექტური გარემოების გათვალისწინებით კონკრეტულ მოსწავლეზე და ვრცელდება ამავე მოსწავლის მიერ ამავე სკოლის მომდევნო კლასში სწავლის გაგრძელებისას. ასეთ შემთხვევაში, მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 35-ს. პარალელური კლასების არსებობა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ თითოეულ პარალელურ კლასში მოსწავლეთა მინიმალური რაოდენობა არის 18; გამონაკლისი მოსწავლეთა რაოდენობასთან დაკავშირებით დაიშვება სამინისტროსთან შეთანხმებით.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესი მოსწავლეთა მაქსიმალურ რაოდენობასთან დაკავშირებით შესაძლებელია შემოღებულ იქნეს 2014-2015 სასწავლო წლამდე სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეებით დაკომპლექტებული კლასის შემთხვევაში, თუ ეს მოქმედება არ გამოიწვევს მოსწავლეების სკოლიდან ამორიცხვას.

6. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების №4 და №6 დანართებით დამტკიცებულ სკოლებში კლასში მოსწავლეთა საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 10-ს.

7. კლასის გაყოფა დასაშვებია შემდეგ საგნებში: ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ქართულ როგორც მეორე ენაში (არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე) და უცხოურ ენებში, თუ სკოლას აქვს შესაბამისი ფინანსური შესაძლებლობა. გამლიერებული სწავლების სტატუსის მქონე სკოლებს კი შეუძლიათ კლასი გაყონ იმ საგანშიც/საგნებშიც, რომელსაც აძლიერებენ. გაყოფა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა აღემატება 25-ს, უცხო ენაში კი - 20-ს. უცხოურ ენებში დასაშვებია განაყოფები დაკომპლექტდეს მოსწავლეთა ენის ფლობის დონის გათვალისწინებით.

8. მცირეკონტინგენტიან სკოლებში დასაშვებია კლას-კომპლექტების შექმნა. თუ კლასში ერთი ან ორი მოსწავლეა, რეკომენდებულია სხვა კლასთან კლასკომპლექტის შექმნა. კლას-კომპლექტში მოსწავლეთა საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 10-ს.

9. კლას-კომპლექტები რეკომენდებულია შეიქმნას საფეხურის ფარგლებში და ერთ კლას-კომპლექტში არ გაერთიანდეს ორ კლასზე მეტი. I-IV კლასები შეიძლება დაკომპლექტდეს სხვადასხვა პრინციპით (მაგ.: I-II და III-IV კლასებად, ან I და III, II და IV კლასებად). სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ ჯგუფებს მიკუთვნებული საგნების გაკვეთილებზე შესაძლებელია გაერთიანდეს რამდენიმე კლასი (მაგ.: I, II და III; IV, V და VI; VII, VIII და IX და ა.შ.).

10. კლას-კომპლექტის შექმნის შემთხვევაში, თითოეული კლასის მოსწავლეს უნდა ჩაუტარდეს შესაბამისი კლასისთვის/საგნისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო საათების რაოდენობა.

11. კლას-კომპლექტებში სწავლა-სწავლების პროცესი მთლიანად უნდა დაეფუძნოს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს.

მუხლი 18. სკოლის საერთო კულტურა

1. სკოლამ საგნების სწავლა-სწავლების, სასკოლო პროექტების, სპორტული, სახელოვნებო და საკლუბო აქტივობების (მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების ჩართულობით) საშუალებით ხელი უნდა შეუწყოს:

ა) ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობისა და თანასწორობის დამკვიდრებას მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შორის განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა.

ბ) სკოლის საზოგადოების წევრებისთვის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას;

გ) მოსწავლეთა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარებასა და სამოქალაქო ჩართულობას;

დ) **ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას** - ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა და მათ დაცვაზე ზრუნვა ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს. იგი ხელს უწყობს პატრიოტი, პასუხისმგებლობიანი მოქალაქის აღზრდას. ამის გათვალისწინებით სკოლის საერთო კულტურამ მოსწავლეს უნდა გამოუმუშავოს პატივისცემის გრძნობა და მზრუნველი დამოკიდებულება ადამიანის მიერ წარსულსა და აწმყოში შექმნილი მატერიალური თუ არამატერიალური კულტურის (ტრადიციების, ფასეულობების, სხვ.) ნიმუშების მიმართ; გააზრებინოს, რომ მომავალი სწორედ ამ მემკვიდრეობას უნდა დაეფუძნოს;

ე) **კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებისა და ტოლერანტობის დამკვიდრებას** - შემწყნარებლობა (ტოლერანტობა) გულისხმობს ქვეყანასა თუ მსოფლიოში არსებული მრავალფეროვნების მიმღებლობასა და პატივისცემას, რაც ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. სკოლის საერთო კულტურამ ხელი უნდა შეუწყოს მოზარდს იმის გააზრებაში, რომ ყოველი ადამიანი წარმოადგენს გარკვეული ენის, კულტურის, ტრადიციის მატარებელ ინდივიდს, რომელსაც თავისი უნიკალური წვლილის შეტანა შეუძლია ქვეყნისა თუ საზოგადოების წინსვლაში. ეს სტიმულს მისცემს მოზარდის სრულფასოვან განვითარებას და დაეხმარება მას კულტურათშორისი დიალოგის წარმართვაში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ;

ვ) **ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და უსაფრთხოების დაცვას** - ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ფიზიკური და ფსიქიკური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, რათა საფრთხე არ შეუქმნას საკუთარ და სხვათა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. ამის გათვალისწინებით სკოლის საერთო კულტურა მოსწავლეს უნდა დაეხმაროს თავიდან აირიდოს ნეგატიური ფაქტორების ზემოქმედება, გააცნობიეროს ჯანსაღი ცხოვრების არსი (ზომიერება ყველაფერში, გაკაჟება, სწორი კვება, ცხოვრების რაციონალური რეჟიმი, რისკების თავიდან აცილება, მავნე ჩვევებზე უარის თქმა და სხვ.) და გაიაზროს მისი მნიშვნელობა;

ზ) **გარემოსდაცვით განათლებას მდგრადი განვითარებისთვის** - ეს არის მიდგომა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვას გარემოსდაცვით კონტექსტზე დაფუძნებით. ის გულისხმობს გარემოსდაცვითი ცნობიერების ჩამოყალიბების ხელშეწყობას დედამიწის, როგორც საერთო სასიცოცხლო სივრცის, მდგრადი მომავლის უზრუნველსაყოფად. ამის გათვალისწინებით სკოლის საერთო კულტურა (ფარული კურიკულუმი) მოსწავლეს უნდა უზიდავდეს გააცნობიეროს პირადი და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გარემოში მიმდინარე პროცესების მიმართ, გაიაზროს მდგრადი განვითარების მნიშვნელობა, ჩამოუყალიბდეს სწორი დამოკიდებულება გარემოს მიმართ, გაუჩნდეს გარემოს დაცვასა და მის აღდგენასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების სურვილი;

თ) **კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების გზების სწავლებას** - კონფლიქტი ცხოვრების განუყოფელ ნაწილია. სკოლაში ხშირად კონფლიქტის თანმდევი პროცესია ძალადობაც (ბულინგი). ამის გათვალისწინებით, სკოლის საერთო კულტურა ხელს უნდა უწყობდეს ფიზიკური თუ ფსიქიკური ძალადობის ფენომენის გააზრებას, ძალადობასა და კონფლიქტს

შორის არსებული განსხვავებების გაცნობიერებასა და კონფლიქტების არაძალადობრივი მეთოდებით გადაჭრის გზების სწავლებას;

ი) **სამეწარმეო უნარების განვითარებას და ინიციატივების წახალისებას** - მეწარმეობა არის ინდივიდის უნარი იდეები აქციოს საქმედ. ის მოიცავს როგორც შემოქმედებითი მიდგომის, ინოვაციისა და რისკის, ასევე დასახული მიზნის მისაღწევად დაგეგმვისა და პროექტების მართვის უნარს. მეწარმეობას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს სასკოლო თემის ცხოვრებაში მოსწავლეთა აქტიური ჩართვისთვის. მეწარმეობის საფუძვლების გათავისება მოსწავლისთვის ფართო ასპარეზია ინოვაციური იდეების დაგეგმვის, განვითარებისა და განხორციელებისთვის. იგი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უნარია, რომლის მექანე თითოეული ინდივიდი ავტომატურად ხდება საკუთარი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი, რაც მისი მოქალაქეობრივი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების ზრდასაც განაპირობებს. ამის გათვალისწინებით, სკოლის საერთო კულტურა სასკოლო საზოგადოების წევრებს უნდა აძლევდეს საკუთარი ინიციატივების რეალიზებისა და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას.

მუხლი 19. დამრიგებელი

1. სკოლაში ყველა კლასს უნდა ჰყავდეს დამრიგებელი. საჯარო სკოლაში დამრიგებელი უნდა იყოს იმავე სკოლის მასწავლებელი.

2. მცირეკონტინგენტთან სკოლაში რეკომენდებულია, რომ ერთ დამრიგებელს ჰყავდეს არანაკლებ 10 მოსწავლისა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სკოლაში მოსწავლეთა ჯამური რაოდენობა 10 მოსწავლეზე ნაკლებია. დაუშვებელია ერთი კლასის/კლას-კომპლექტის მოსწავლეებს ჰყავდეთ სხვადასხვა დამრიგებელი.

3. დამრიგებლის მუშაობა წარმართება შემდეგი პრინციპებით:

ა) სრულფასოვანი აღზრდა - სააღმზრდელო მუშაობა მიმართული უნდა იყოს პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური (შემეცნებითი) და ემოციურ-სოციალური განვითარებისაკენ;

ბ) მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა - დამრიგებლის ფუნქციაა მოსწავლის პოტენციური ძალების ამოქმედება და მისი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა;

გ) მოსწავლეებში პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება - დამრიგებელმა მოსწავლეებს საშუალება უნდა მისცეს, მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (ზეიმები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვ.) დაგეგმვასა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში;

დ) თანამშრომლობის პრინციპი - დამრიგებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობას, პატივისცემასა და ნდობას.

4. დამრიგებლის მოვალეობებია:

ა) გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს (შემდგომში მშობელი) მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.);

ბ) დაწყებით საფეხურზე ჩაატაროს სადამრიგებლო საათი არანაკლებ ორ კვირაში ერთხელ, საბაზო-საშუალო საფეხურებზე - არანაკლებ თვეში ერთხელ. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელმა მოსწავლის ასაკის შესაბამისად უნდა იმუშაოს სხვადასხვა უნარის განვითარებაზე (მაგ.: კითხვის უნარის განვითარება (დაწყებით საფეხურზე), გარემოსდავითი კულტურის განვითარება და სხვ.) სხვადასხვა აქტივობის მეშვეობით.

გ) დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიური თუ სასკოლო გარემოში წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში;

დ) იყოს შუამავალი მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში;

ე) რეგულარულად (მინიმუმ თვეში ერთხელ) მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის

აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვა მოსწავლის/მშობლის თანდასწრებით საუბარი;

ვ) საჭიროების შემთხვევაში, შეხვედეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია;

ზ) სასწავლო წლის ბოლოს გაანალიზოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის მიღწევები, გაკვეთილებზე დასწრება და ქცევა მასწავლებლებისგან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მოამზადოს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და მიაწოდოს მშობელს და შეინახოს თავადაც, მოსწავლის განვითარებაზე შემდგომი დაკვირვების მიზნით;

თ) მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, დამრიგებელმა უნდა მოამზადოს ინფორმაცია მისი აკადემიური მიღწევისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ და მოათავსოს მოსწავლის პირად საქმეში.

5. რეკომენდებულია, საჯარო სკოლის დამრიგებელი გაეცნოს სამინისტროს და სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ შემუშავებულ და/ან რეკომენდებულ შესაბამის მეთოდურ სახელმძღვანელოებსა და გზამკვლევებს.

მუხლი 20. საგნობრივი კათედრები საჯარო სკოლაში

1. საჯარო სკოლა ვალდებულია საგნობრივი ჯგუფების მიხედვით შექმნას კათედრები, რომელთა შემადგენლობა და ფუნქციები აისახება სასკოლო სასწავლო გეგმაში. კათედრაზე გაერთიანებული იქნება საგნობრივ ჯგუფში შემავალი ყველა საგნის მასწავლებელი. იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში საგნობრივ ჯგუფში შემავალი თითო საგნის მასწავლებელია, შესაძლებელია სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების მასწავლებლები ერთ კათედრაზე გაერთიანდნენ (მაგ., მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების); აგრეთვე რეკომენდებულია სკოლამ შექმნას დაწყებითი საფეხურის კათედრა.

2. კათედრების ფუნქციებია:

ა) საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირება;

ბ) კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;

გ) საგაკვეთილო პროცესისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა და პედაგოგიური საბჭოსთვის წარდგენა;

დ) სხვა კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა (მაგ., ისტორიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებისთვის საერთო დავალებების მოფიქრება და სხვ.);

ე) ზრუნვა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის;

ვ) რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით;

ზ) შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი;

თ) სკოლის დირექტორისთვის მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წევრის წარდგენა.

3. კათედრების მოწყობა:

ა) კათედრის თავმჯდომარეს ირჩევს კათედრა ერთი სასწავლო წლის ვადით ხმათა უმრავლესობით;

ბ) ერთი და იმავე პირის არჩევა კათედრის თავმჯდომარედ შესაძლებელია ზედიზედ სამჯერ.

4. კათედრის თავმჯდომარის ფუნქციებია:

ა) კათედრის შეხვედრების ორგანიზება (დღის წესრიგის მომზადება, ოქმებისა და სხვა დოკუმენტაციის წარმოება-შენახვა);

ბ) სკოლის მართვის ორგანოებისათვის კათედრის შეხვედრებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა მიწოდება (მაგ., გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის არჩევის თაობაზე);

გ) მასწავლებლების პროფესიული განვითარებისთვის სასარგებლო აქტივობების (კოლეგებთან შეხვედრების, ტრენინგების, კონფერენციების და სხვ.) ორგანიზება.

5. კათედრა იკრიბება სემესტრში მინიმუმ ორჯერ (მათ შორის, სემესტრის დასრულებისას საგნის სწავლების შეჯამების და ანალიზის მიზნით). კათედრა აუცილებლად უნდა შეიკრიბოს სასწავლო წლის დაწყებამდე.

თავი V. სასკოლო სასწავლო გეგმა

მუხლი 21. სასკოლო სასწავლო გეგმის დანიშნულება და შემადგენელი ნაწილები

1. სკოლა ვალდებულია შეიმუშაოს საკუთარი სასკოლო სასწავლო გეგმა ყოველი ახალი სასწავლო წლისათვის.

2. სასკოლო სასწავლო გეგმა უნდა ეფუძნებოდეს ეროვნულ სასწავლო გეგმა და სკოლის მისიას.

3. სასკოლო სასწავლო გეგმის დანიშნულებაა:

ა) სკოლის მისიის განსაზღვრა;

ბ) სკოლის პრიორიტეტების გათვალისწინებით კონკრეტული სკოლისათვის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული საათობრივი დატვირთვის დაზუსტება;

გ) საგნის/საგნების მიხედვით საგნობრივი პროგრამების შემუშავება იმ შემთხვევაში, თუ სკოლა გადაწყვეტს ეროვნული სასწავლო გეგმის წლიური პროგრამებისგან განსხვავებული პროგრამით მუშაობას;

დ) დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების განსაზღვრა;

ე) სასკოლო-საგანმანათლებლო აქტივობების მიმართულებების განსაზღვრა.

4. სასკოლო სასწავლო გეგმა შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

ა) სკოლის მისია;

ბ) სასკოლო საათობრივი ბადე;

გ) გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით;

დ) მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა);

ე) ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა;

ვ) ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი, საჭიროების დასაბუთება და აღწერილობა;

ზ) IX და XI კლასებში სკოლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების ჩატარების განრიგი: 8 გაკვეთილი - IX კლასში, 4 გაკვეთილი - XI კლასში. ასევე პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების განრიგი: მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დასაქმების ობიექტებში ექსკურსიების და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრების განრიგი;

თ) ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (საჭიროების შემთხვევაში) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის;

5. საჯარო სკოლაში სასკოლო სასწავლო გეგმას მასწავლებლების/კათედრების და დირექტორის მონაწილეობით შეიმუშავებს და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო.

6. სკოლა მომდევნო წლის სასკოლო სასწავლო გეგმისათვის მუშაობას იწყებს სასწავლო წლის დასრულებისთანავე განვლილი სასწავლო წლის შედეგების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. სასკოლო სასწავლო გეგმა უნდა დამტკიცდეს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე.

7. სკოლის დირექცია ვალდებულია უზრუნველყოს დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმის საჯაროობა (გარდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა), მისთვის მოსახერხებელი ნებისმიერი ფორმით (ვებგვერდზე ან სოციალურ გვერდზე განთავსებით, საინფორმაციო დაფაზე განთავსებით, ბუკლეტის გავრცელებით და ა.შ.).

მუხლი 22. დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება

1. დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება ხელს უნდა უწყობდეს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და, შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

2. სკოლას უფლება აქვს, შესთავაზოს მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და/ან ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება.

3. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება შეიძლება იყოს მოსწავლისთვის შეთავაზებული სავალდებულო ან ფაკულტატური სახით.

4. დამატებით სავალდებულო საგანზე დასწრება აუცილებელია კონკრეტული სკოლის/კლასის ყველა მოსწავლისათვის;

5. დამატებით ფაკულტატურ მომსახურებას (წრეს) მოსწავლეები სურვილის მიხედვით ირჩევენ/ესწრებიან.

6. საჯარო სკოლას უფლება აქვს მშობლებთან შეთანხმებით შესთავაზოს მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებში დამატებითი ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურება იმ შემთხვევაში, თუ:

ა) აღნიშნულ მომსახურებას არ ეწევა ამავე სკოლაში დასაქმებული მასწავლებელი;

ბ) ამ მომსახურებას არა აქვს საგაკვეთილო სახე;

გ) აღნიშნული მომსახურება არ ხდება შესაბამისი მოსწავლისათვის საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობის დროს.

7. სკოლის გადაწყვეტილებით, ფაკულტატური მომსახურებით შეიძლება ისარგებლოს სხვა სკოლის მოსწავლემაც.

8. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება ან ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების შესთავაზებლად სკოლამ უნდა განსაზღვროს:

ა) დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი;

ბ) დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახე (ფაკულტატური/ სავალდებულო);

გ) თითოეული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებისთვის ამ

მომსახურების განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული სასწავლო გეგმა (თუ ასეთი გეგმა არ არის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ პროგრამებში).

9. დამატებითი სავალდებულო საგნის სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს:

- ა) საგნის სწავლების მიზნებს (სადაც ჩამოყალიბებული იქნება, თუ რა ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების შექმნას ითვალისწინებს ეს კურსი);
- ბ) შეფასების ფორმასა (ქულა, ჩათვლა) და პრინციპებს;
- გ) საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალს.

10. ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებისთვის საათების კონკრეტული ოდენობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული არ არის. სკოლამ, ასეთი სახის მომსახურების შეთავაზების შემთხვევაში, თავად უნდა განსაზღვროს იგი. სასკოლო სასწავლო გეგმაში დამატებითი საგნების გათვალისწინებისას სკოლამ ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ მოსწავლეებს სათანადო დასვენებისა და კვების საშუალება ჰქონდეთ.

მუხლი 23. სასკოლო საათობრივი ბადე

1. სასკოლო საათობრივი ბადე:

- ა) განსაზღვრავს საგნის/საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობას;
- ბ) მოიცავს თითოეული კლასის ყოველდღიური გაკვეთილების განრიგს, რომელიც აზუსტებს კვირის რომელ დღეს, რა თანამიმდევრობით და დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება.

2. სასკოლო საათობრივ ბადეში უნდა აღინიშნოს როგორც სავალდებულო და არჩევითი საგნები, ასევე ეროვნული სასწავლო გეგმის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება (არსებობის შემთხვევაში).

3. საჯარო სკოლას უფლება აქვს, ეროვნული სასწავლო გეგმით ერთი კლასისთვის განსაზღვრული საათობრივი დატვირთვის ფარგლებში, კონკრეტული საგნის წლიური ჯამური საათობრივი დატვირთვის 25% გადაანაწილოს სხვა საგნებს შორის. აღნიშნული გადაანაწილება უნდა იყოს დასაბუთებული. ამ პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება დაწყებით საფეხურზე სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ ჯგუფში შემავალ საგნებზე. გამონაკლისი დაიშვება ობიექტური გარემოებების არსებობისას სამინისტროსთან შეთანხმებით.

4. სკოლას უფლება არა აქვს, საათობრივი ბადიდან საერთოდ ამოიღოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული რომელიმე სავალდებულო საგანი.

5. საგნის/საგნების გაძლიერებული სწავლების სტატუსის მქონე საჯარო სკოლაში გაძლიერებული სწავლების საგნები, ხოლო კერძო სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ნებისმიერი საგანი შესაძლებელია ისწავლებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილისაგან განსხვავებული სქემით. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სკოლას უფლება არა აქვს კლასის ფარგლებში საერთოდ ამოიღოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული რომელიმე სავალდებულო საგანი. გამონაკლისი კერძო სკოლებისთვის დაიშვება სამინისტროსთან წერილობითი შეთანხმებით იმ შემთხვევაში, თუ ამ საგნის სტანდარტით განსაზღვრული შედეგები ინტეგრირებულია სხვა საგნის/საგნების სასწავლო გეგმაში.

6. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შემთხვევაში (მაგ., ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარება, გაკვეთილების დაწყებები მიზნებიდან გამომდინარე), სკოლა უფლებამოსილია, სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანის გარეშე შეცვალოს სასკოლო საათობრივი ბადით გათვალისწინებული გაკვეთილების განრიგი კონკრეტული დღის/დღეების განმავლობაში. ამ ცვლილებამ არ უნდა გამოიწვიოს თითოეული

საგნისათვის სასკოლო სასწავლო გეგმით დათმობილი საათების წლიური ჯამური რაოდენობის ცვლილება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 2 აგვისტოს ბრძანება №121/ნ - ვებგვერდი, 03.08.2017წ.

მუხლი 24. საგნის/საგნების გაძლიერებული სწავლების სტატუსის მქონე სკოლები

1. სკოლა უფლებამოსილია, გააძლიეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის/საგნების სწავლება.
2. საჯარო სკოლის შემთხვევაში საგნის/საგნების გაძლიერებული სწავლების სტატუსი შეიძლება მიენიჭოს სკოლას, რომელსაც აქვს მხოლოდ საბაზო და/ან საშუალო საფეხური/საფეხურები.
3. საგნის/საგნების გაძლიერებული სწავლების სტატუსის მისაღებად საჯარო სკოლამ სამინისტროში უნდა წარადგინოს:
 - ა) სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი გაძლიერებული სწავლების საგნის/საგნების სასწავლო პროგრამები;
 - ბ) სწავლის პროცესში გამოსაყენებელი საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი;
 - გ) ინფორმაცია შესაბამისი ადამიანური რესურსის შესახებ; გაძლიერებული სწავლების საგნის/საგნების მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ მინიმუმ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და უფროსი მასწავლებლის სტატუსი;
 - დ) სამეურვეო საბჭოს თანხმობა;
 - ე) გაძლიერებული სწავლების დანერგვის სამწლიანი გეგმა.
4. სტატუსის მინიჭებიდან 3 სასწავლო წლის შემდეგ საჯარო სკოლამ სამინისტროს უნდა წარუდგინოს გაძლიერებული სწავლების დანერგვის გეგმის შესრულების ანგარიში, რომლის საფუძველზეც სამინისტრო იღებს გადაწყვეტილებას საჯარო სკოლისთვის სტატუსის გაგრძელების ან შეწყვეტის თაობაზე.

თავი VI. საგანმანათლებლო რესურსები

მუხლი 25. საგანმანათლებლო რესურსების ტიპები

საგანმანათლებლო რესურსების ტიპებია:

- ა) გრიფინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელო/სერია;
- ბ) საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე სამინისტროსთან შეთანხმებული სახელმძღვანელო/სერია;
- გ) დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული) რესურსები;
- დ) სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.).

მუხლი 26. სკოლის მიერ საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა

1. სკოლა საგანმანათლებლო რესურსების შერჩევას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს მის მიერ სწავლებისას გამოყენებული, ეროვნული სასწავლო გეგმის 25-ე მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსების შესახებ ინფორმაციის საჯაროობა.
3. მასწავლებელს უფლება აქვს, ეროვნული სასწავლო გეგმის 25-ე მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სახელმძღვანელოების გარდა, სწავლებისას დამატებითი რესურსის სახით გამოიყენოს სხვა საგანმანათლებლო რესურსი და თვალსაჩინოება. ამასთან, საჯარო სკოლის მასწავლებელს/სკოლას უფლება არ აქვს მოსთხოვოს მოსწავლეს/მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს დამატებითი საგანმანათლებლო რესურსის ან თვალსაჩინოების შეძენა.

4. დამატებითი საგანმანათლებლო რესურსის ან თვალსაჩინოების სასწავლო პროცესში გამოყენება უნდა ემსახურებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. მისი შინაარსი, დიზაინი ან სხვა რაიმე ნიშანი არ უნდა შეიცავდეს დისკრიმინაციულ ან/და დისკრედიტაციულ (მათ შორის, ენის, ეროვნების, სქესის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების და სხვა ხასიათის) ელემენტებს.

5. სკოლა უფლებამოსილია სსსმ მოსწავლის სწავლება განახორციელოს ნებისმიერი კლასის/დონის გრიფირებული ან ადაპტირებული გრიფირებული სახელმძღვანელოთი, მიუხედავად იმისა, თუ რომელ კლასშია ეს მოსწავლე. სსსმ მოსწავლეების სწავლებისას შესაძლებელია გრიფინიჭებულ სახელმძღვანელოსთან ერთად, როგორც ძირითადი საგანმანათლებლო რესურსი, გამოყენებულ იქნეს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებზე მორგებული სხვა საგანმანათლებლო რესურსები/სერვისები.

თავი VII. მოსწავლის შეფასების სისტემა

მუხლი 27. მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები

1. მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ.

2. მოსწავლის შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად, მოსწავლის შეფასება უნდა დაეფუძნოს სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.

3. მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

ა) აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;

ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;

გ) გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;

დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;

ე) აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.

4. ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

მუხლი 28. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება კლასში

1. შეფასება შეიძლება იყოს: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

2. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.

3. განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

მუხლი 29. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობა

	განმავითარებელი	განმსაზღვრელი
მიზნები	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა.	მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.
ამოცანები	ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება; წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა; მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარის შეფასება; მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.	ცოდნათა ურთიერთდაკავშირების უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.
წარმატების კრიტერიუმი	განხორციელებული წინსვლა წინარე შედეგებთან/ წინარე დონესთან შედარებით.	მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარებით
შემფასებელი და შეფასების ფორმები	მასწავლებელი: ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები და ა.შ.. მოსწავლეები: თვითშეფასებით; ურთიერთშეფასებით.	მასწავლებელი: ქულა (შეიძლება ახლდეს კომენტარი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერით, ხარვეზების გამოსასწორებელი მითითებებით).

მუხლი 30. აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა

მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით:

ქულები	შეფასების დონეები
10	მაღალი
9	
8	საშუალოზე მაღალი

7	
6	საშუალო
5	
4	საშუალოზე დაბალი
3	
2	დაბალი
1	

მუხლი 31. შეფასება დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე

1. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. ამ კლასებში წლის ბოლოს საგნის მასწავლებლებმა უნდა დაწერონ მოსწავლის მოკლე წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად. კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IV კლასის ბოლოს უნდა დაწეროს შემაჯამებელი წერილობითი შეფასება.

2. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით, ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა - 10.

3. V-XII კლასებში სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვისის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.

4. დამატებითი სავალდებულო საგნის/საგნების შეფასება არ იანგარიშება საფეხურის ქულის გამოთვლისას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №63/ნ - კვებვერდი, 11.05.2018წ.

მუხლი 32. მოსწავლის შეფასების კომპონენტები

1. სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:

- ა) მიმდინარე საშინაო დავალება;
- ბ) მიმდინარე საკლასო დავალება;
- გ) შემაჯამებელი დავალება.

2. მასწავლებელს შეუძლია სემესტრის განმავლობაში განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ნებისმიერ კომპონენტში.

3. სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში:

- ა) მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები),
- ბ) მიმდინარე საშინაო დავალება (VII-XII კლასები),
- გ) შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები).

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს ერთნაირი წონა აქვს.

5. I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

6. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

7. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.

	I-IV კლასები და V კლასის პირველი სემესტრი	V კლასის მეორე სემესტრი და VI კლასი	საბაზო-საშუალო საფეხურები
მიმდინარე საშინაო დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
მიმდინარე საკლასო დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
შემაჯამებელი დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება

8. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის პედაგოგმა უნდა შეიმუშავოს მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები.

9. ეროვნული სასწავლო გეგმა V კლასის მეორე სემესტრის, VI კლასის და საბაზო-საშუალო საფეხურების თითოეული საგნისათვის განსაზღვრავს სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალურ რაოდენობას.

10. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება (ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი სავალდებულო მინიმუმი და სკოლის მიერ დამატებით დადგენილი, ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში);

11. თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ დავალებას გაცდენის გამო, სკოლა ვალდებულია, მისცეს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალება. შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადები და მისი ჩატარების ფორმა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით;

12. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია, კათედრას წარუდგინოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს: შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები; ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული შემაჯამებელი დავალების ამსახველი ვიზუალური მასალა.

მუხლი 33. განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასების შემდეგი სახეობები:

- ა) საგნის მიმდინარე საკლასო, მიმდინარე საშინაო და შემაჯამებელი დავალებების ქულები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;
- ბ) საგნის სემესტრული ქულა – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში;
- გ) საგნის წლიური ქულა – სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. გამონაკლისს წარმოადგენს მეხუთე კლასის წლიური ქულა, რომელიც მეორე სემესტრის საგნის სემესტრული ქულის იდენტურია. წლიურ ქულაში შეიძლება წლიური გამოცდის ქულაც აისახოს, თუ ასეთი გამოცდა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით და სკოლის მიერ განსაზღვრულია, რომ მას გავლენა ექნება საგნის წლიურ ქულაზე.

მუხლი 34. ქულების გამოანგარიშების წესი

1. საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი:

- ა) მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სხვადასხვა კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობაზე;
- ბ) მიღებული ქულა უნდა დამრგვალდეს მთელის სიზუსტით (მაგ., 6.15 მრგვალდება 6-მდე, 7.49 მრგვალდება 7-მდე, 8.5 მრგვალდება 9-მდე);
- გ) იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა ჩატარებული შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სხვადასხვა კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე;
- დ) თუ სემესტრის განმავლობაში სკოლიდან სკოლაში გადასვლისას აღმოჩნდება, რომ მიმღებ სკოლაში რომელიმე საგანში/საგნებში ჩატარებულია შემაჯამებელი დავალების/დავალებების უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე გამშვებ სკოლაში, მიმღები სკოლა მოსწავლის შემაჯამებელი დავალების რაოდენობას დაითვლის გამშვებ სკოლაში დადგენილი და მოსწავლის მიერ შესრულებული, ასევე მიმღებ სკოლაში მოსწავლის გადმოსვლის მომენტიდან ჩატარებული და მის მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებების მიხედვით;
- ე) 36-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, სემესტრული ქულა გამოითვლება მისი გათვალისწინებით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.

2. საგნის წლიური ქულის გამოანგარიშების წესი:

- ა) საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი უნდა გაიყოს ორზე;
- ბ) საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით (მაგ., 7.25 მრგვალდება 7-მდე, 4.49 მრგვალდება 4-მდე, 9.5 მრგვალდება 10-მდე);
- გ) თუ სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს წლიური გამოცდის ჩატარებას და განსაზღვრულია, რომ ამ გამოცდის ქულაც აისახება საგნის წლიურ ქულაზე, მაშინ საგნის წლიური ქულა სამი (ორი - საგნის სემესტრული და ერთი - გამოცდის) ქულის საშუალო არითმეტიკულია (დამრგვალებული მთელის სიზუსტით);
- დ) თუ მოსწავლეს, სკოლიდან სკოლაში სემესტრის მიმდინარეობისას გადასვლის გამო, მოუხდება განსხვავებული საგნების სწავლა და მანამდე ნასწავლ საგანში მიღებული აქვს 32-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეფასება, რომლის საშუალო არითმეტიკული არის 5.0 ან მეტი ქულა, ეს ქულა დაუფიქსირდება ნასწავლი საგნის წლიურ

ქულად. ამასთან, მიმღებმა სკოლამ უნდა შეაფასოს მოსწავლე ახალ განსხვავებულ საგანში, თუ ეს ესწრება სემესტრის დასრულებამდე;

ე) მოსწავლის მიერ სემესტრის დასრულების შემდეგ სკოლიდან სკოლაში გადასვლის გამო, მიმღებ სკოლაში განსხვავებული საგნის სწავლის შემთხვევაში, განსხვავებული საგნების სემესტრული ქულები აღირიცხება, როგორც ორი დამოუკიდებელი საგნის წლიური ქულა. (მაგ., თუ მოსწავლე პირველ სემესტრში უცხოურ ენად სწავლობდა ფრანგულს, მეორე სემესტრში კი ფრანგულის ნაცვლად - გერმანულს, მაშინ ფრანგული ენის სემესტრული ქულა გადადის ფრანგული ენის წლიურ ქულად, ხოლო გერმანული ენის სემესტრული ქულა - გერმანული ენის წლიურ ქულად).

3. საფეხურის ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) საფეხურის ქულის გამოთვლისას ჯამდება საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულა და ჯამი იყოფა წლიური ქულების საერთო რაოდენობაზე;

ბ) საფეხურის ქულა მრგვალდება მეთოდის სიზუსტით (მაგ., 6.43 მრგვალდება 6.4-მდე, 7.58 მრგვალდება 7.6-მდე, 9.75 მრგვალდება 9.8-მდე).

მუხლი 35. კლასისა და საფეხურის დაძლევა

1. კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის მიერ კონკრეტული კლასის თითოეული საგნის წლიური ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და მოსწავლეს მიღებული აქვს ჩათვლა 31-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ საგნებში, რაც აძლევს მას მომდევნო კლასში გადასვლის უფლებას.

2. დაწყებითი საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაძლეული აქვს V-VI კლასები, რაც აძლევს მას საბაზო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.

3. საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაძლეული აქვს საბაზო საფეხურში შემავალი ყველა კლასი, რაც აძლევს მას საბაზო განათლების ატესტატის აღების ან/და საშუალო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.

4. საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაძლეული აქვს საშუალო საფეხურში შემავალი ყველა კლასი.

5. კერძო სკოლებს და საგნის/საგნების გაძლიერებული სწავლების სტატუსის მქონე საჯარო სკოლებს უფლება აქვთ, დაადგინონ გაძლიერებული საგნის/საგნების დაძლევის ბარიერი, მაგრამ არანაკლებ ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ბარიერისა.

6. თუ მოსწავლემ კონკრეტულ კლასში ვერ გადალახა კერძო სკოლების და საგნის/საგნების გაძლიერებული სწავლების სტატუსის მქონე საჯარო სკოლების მიერ დადგენილი ბარიერი, მაგრამ დაძლია ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ბარიერი, უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს სხვა სკოლის მომდევნო კლასში.

მუხლი 36. გამოცდის ტიპები

1. ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები:

ა) სემესტრული გამოცდა;

ბ) წლიური (სასწავლო წლის დამამთავრებელი) გამოცდა;

გ) საშემოდგომო გამოცდა;

- დ) ექსტერნატის გამოცდა;
- ე) სკოლის გამოსაშვები გამოცდა.
2. სემესტრული გამოცდა ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის.
 3. სემესტრული გამოცდის დანიშვნისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში წერილობით მიმართავს სკოლის დირექტორს. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. დაშვებაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.
 4. მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, სკოლამ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით.
 5. გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა გამოითვლება შემდეგი წესით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.
 6. სემესტრული გამოცდა ინიშნება სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში.
 7. წლიური გამოცდის დანიშვნა/არდანიშვნის საკითხს წყვეტს სკოლა.
 8. წლიური გამოცდის დანიშვნის შესახებ ასახული უნდა იყოს სასკოლო სასწავლო გეგმაში.
 9. სკოლას უფლება აქვს ერთი აკადემიური წლის განმავლობაში კლასს დაუნიშნოს გამოცდა არაუმეტეს ორ საგანში. ამავე დროს, ერთსა და იმავე საგანში გამოცდებს შორის უნდა იყოს ორწლიანი შუალედი მაინც (მაგ., თუ სკოლამ კონკრეტულ კლასისთვის მე-7 კლასში დანიშნა წლიური გამოცდა ინგლისურ ენაში, მომდევნო ორი წლის განმავლობაში ამ კლასისთვის ამ საგანში ვეღარ დანიშნავს წლიურ გამოცდას). აღნიშნული არ ეხება იმ საგანს/საგნებს, რომლებშიც სკოლებს გაძლიერებული სწავლების სტატუსი აქვთ მიღებული;
 10. წლიური გამოცდა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ საბაზო და/ან საშუალო საფეხურზე. თუ სკოლას სურს საგნის წლიური გამოცდის დანიშვნა, მან სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა განსაზღვროს, რომელ კლასში/კლასებში და რომელ საგანში/საგნებში ჩაატარებს ამ გამოცდას და ექნება თუ არა ამ გამოცდაზე მიღებულ ქულას გავლენა საგნის წლიურ ქულაზე.
 11. თუ სკოლა ჩაატარებს წლიურ გამოცდას, იგი ვალდებულია გამოცდაზე შემაჯამებელი დავალების მსგავსი კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები შესთავაზოს მოსწავლეებს. დაუშვებელია წლიურ გამოცდაზე არჩევითპასუხიანი ტესტების შეთავაზება.
 12. თუ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია, რომ წლიური გამოცდის ქულას გავლენა აქვს საგნის წლიურ ქულაზე, საგნის წლიური ქულის გამოთვლისას წლიური გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა სამზე.
 13. საშემოდგომო გამოცდა ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს რომელიმე საგანში წლიური ქულა აქვს 5-ზე ნაკლები.
 14. საშემოდგომო გამოცდის ჩატარების წესი და პროცედურა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით.
 15. საშემოდგომო გამოცდა უნდა ჩატარდეს სასწავლო წლის დასრულებიდან არაუადრეს ორი კვირისა და მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.
 16. საშემოდგომო გამოცდამდე მოსწავლეს უნდა მიეცეს არანაკლებ 2 კვირის ვადა მომზადებისთვის. სკოლა ვალდებულია, გაუწიოს კონსულტაციები მოსწავლეს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მას დაენიშნა აღნიშნული ტიპის გამოცდა.
 17. მოსწავლე საგნის/საგნების წლიურ შეფასებას იღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე. საშემოდგომო გამოცდის ქულა ხდება საგნის წლიური ქულა.
 18. ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით;

19. ექსტერნატის გამოცდას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების პროგრამებს ძირითადად დამოუკიდებლად ძლევენ და ექსტერნატის გამოცდას აბარებენ შესაბამისი განათლების დასადასტურებლად, რაც მათ შემდეგ კლასში/საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას მისცემს, აბარებენ აგრეთვე ის მოსწავლეები, რომლებზედაც ვრცელდება ეროვნული სასწავლო გეგმის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

20. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – ატესტატის მისაღებად მოსწავლეს დაძლეული უნდა ჰქონდეს საშუალო საფეხური და სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე მიღებული უნდა ჰქონდეს დადებითი შეფასება.

21. სკოლის გამოსაშვები გამოცდის ჩატარების ვადები, წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით.

მუხლი 37. მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება

1. შეფასების მაღალი დონე (ქულები 9-დან 10-ის ჩათვლით) გულისხმობს სასწავლო წლის ან საფეხურის წარჩინებით დამთავრებას. წარჩინებული მოსწავლეების წახალისების წესს, სურვილისამებრ, განსაზღვრავს სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმით.

2. მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 10 დამრგვალების გარეშე და სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე მიიღებს დადებით შეფასებას, იღებს ოქროს მედალსა და შესაბამის სერტიფიკატს.

3. მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 9.8 ან მეტი და სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე მიიღებს დადებით შეფასებას, იღებს ვერცხლის მედალსა და შესაბამის სერტიფიკატს.

4. პირზე, რომელმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის კლასის/კლასების, ან საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა/პროგრამები წარჩინებით დაძლია ექსტერნატის ფორმით, ოქროსა და ვერცხლის მედალი და შესაბამისი სერტიფიკატები არ გაიცემა.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 98/ნ ბრძანების საფუძველზე, უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების შემდეგ, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნები, რომლებთან შესაბამისობაც არ იქნა დადგენილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაძლიეს ექსტერნატის ფორმით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 2 აგვისტოს ბრძანება №123/ნ - ვებგვერდი, 03.08.2017წ.

მუხლი 38. გაცდენები

1. მოსწავლის გაცდენები აღირიცხება მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალში, მათ შორის აბიტურის საათის და ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გაცდენები.

2. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია გაკვეთილის დასაწყისში აღრიცხოს მოსწავლეთა დასწრება.

3. თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების

30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტი არ ვრცელდება აბიტურის საათის გაცდენის შემთხვევაში; ასევე კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30%-ში არ იანგარიშება ის გაცდენილი დღე/დღეები, როცა ჩატარდა შემაჯამებელი დავალება, თუკი ის მოგვიანებით მოსწავლემ აღადგინა.

5. იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ ეროვნულ და საერთაშორისო სასპორტო, სახელოვნებო ღონისძიებებში, აგრეთვე ეროვნულ და საერთაშორისო საგნობრივ ოლიმპიადებში, სკოლის გაცდენის შემთხვევაში, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სკოლის დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების კონკრეტული მოსწავლის მიმართ გაუვრცელებლობის თაობაზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 11.05.2018წ.

მუხლი 39. შინ სწავლება

1. სკოლა ვალდებულია შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანოს ის მოსწავლეები, რომლებიც არ არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მაგრამ საჭიროებენ მკურნალობას ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე.

2. მოსწავლეზე, შინ სწავლებაზე გადასვლის მომენტიდან, არ გავრცელდება ეროვნული სასწავლო გეგმის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა.

3. სკოლა ვალდებულია, დაადგინოს განრიგი, რომლის მიხედვითაც სკოლის მიერ განსაზღვრული მასწავლებელი/მასწავლებლები განახორციელებს მოსწავლესთან ვიზიტს.

4. შინ სწავლების პროცესში რეკომენდებულია დისტანციური სწავლების (ინტერნეტისა და ვიდეოკონფერენციების) ფორმის გამოყენება.

5. მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლისთვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნისთვის (გარდა სპორტის საგნობრივი ჯგუფით გათვალისწინებული საგნებისა) კვირაში მინიმუმ 1 გაკვეთილის ჩატარებას.

6. მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს შემაჯამებელი დავალებების ჩატარებაზე/აღდგენაზე მოსწავლისთვის ხელშეწყობას.

7. მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სპორტის საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების შეფასებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის ფიზიკური მდგომარეობა.

თავი VIII. ინკლუზიური განათლება

მუხლი 40. ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლება არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში თანატოლებთან ერთად.

მუხლი 41. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა მოსწავლე (შემდგომში - სსსმ მოსწავლე), რომელსაც თანატოლებთან შედარებით აქვს სიძნელე სწავლაში და რომლისთვისაც საჭიროა ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება ან/და სასწავლო

გარემოსთან ადაპტაცია ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება. სსსმ მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს:

- ა) ფიზიკური შეზღუდვა;
 - ბ) ინტელექტუალური განვითარების დარღვევა;
 - გ) სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის);
 - დ) მეტყველების განვითარების დარღვევა;
 - ე) ქცევითი და ემოციური დარღვევა;
 - ვ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;
 - ზ) სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.
2. ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება ნიშნავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების რაოდენობრივ და/ან თვისებრივ ცვლილებებს, რომლებიც შესაძლებელია გულისხმობდეს სასწავლო მიზნების შემცირებას, გამარტივებას მოსწავლის მზაობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.
3. სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია ნიშნავს სასწავლო გარემოს ისეთი ცვლილებას, რომელიც არ იწვევს ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსის შეცვლას, არამედ ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს და პირობების შექმნას ქვემოთ ჩამოთვლილ კომპონენტებში:
- ა) სკოლისა და კლასის ფიზიკური გარემო;
 - ბ) საათობრივი ბადე;
 - გ) დღის გრაფიკი, აქტივობების ხანგრძლივობა;
 - დ) სასწავლო მასალა;
 - ე) სწავლების სტრატეგია;
 - ვ) ალტერნატიული შეფასების გამოყენება (ტესტირება, წერილი დავალება, ზეპირი დავალება და სხვა.) და სხვა.

მუხლი 42. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის სსსმ მოსწავლისათვის შექმნილი, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული სასწავლო გეგმა, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი დაკმაყოფილების გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომლებიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში.
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება მოიცავდეს ყველა საგანს ან რომელიმე კონკრეტულ საგანს/საგნებს სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად.
5. ყოველი სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად უნდა განისაზღვროს:
 - ა) სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო (როგორც საკლასო, ისე საშინაო) აქტივობები შერჩეულ საგანში/საგნებში;
 - ბ) დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას თითოეულ საგანში;
 - გ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ჯგუფური/ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების გრაფიკი, ადგილი და ხანგრძლივობა;

- დ) დამატებით ჯგუფურ/ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი: მასწავლებელი და/ან სპეციალური მასწავლებელი (საჭიროების შემთხვევაში, ფსიქოლოგის და სსსმ მოსწავლისათვის დამატებითი დამხმარე პერსონალის (სანიტარი ან ძიძა) ჩართულობით);
- ე) სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალა (სახელმძღვანელოები და მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მასალა) და მასალით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი (მათ შორის, შეიძლება იყოს მშობელიც);
- ვ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსები.
6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ინფორმაციას ბავშვის ინტერესების, ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ აკადემიური, შემეცნებითი, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების მიხედვით.
7. სწავლის პროცესში სირთულეების გამოვლენის შემდეგ სკოლამ უნდა უზრუნველყოს მოსწავლის შესაძლებლობების შეფასება. საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის დეტალური შეფასებისთვის და მის განათლებასთან დაკავშირებული რეკომენდაციებისთვის სკოლა მიმართავს სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდს (შემდგომში - მულტიდისციპლინური გუნდი).
8. თითოეული სსსმ მოსწავლისათვის სკოლამ ბრძანებით უნდა განსაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფი (შემდგომში - ისე ჯგუფი), რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. ისე-ს ჯგუფი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ისე-ს შიდა მონიტორინგში და მასალა წარუდგინოს სკოლის დირექტორს.
9. ისე ჯგუფში უნდა გაერთიანდნენ ის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს, აგრეთვე მშობელი/მშობლები, სკოლის ადმინისტრაციის წევრი/წევრები, ფსიქოლოგი, მეტყველების თერაპევტი ან სპეციალური მასწავლებელი.
10. ისე ჯგუფს უნდა ჰყავდეს კოორდინატორი, რომელიც წარმართავს ჯგუფის წევრების მუშაობას და პასუხისმგებელია ჯგუფის საქმიანობაზე; სასურველია, ჯგუფს ხელმძღვანელობა გაუწიოს დამრიგებელმა ან სპეციალურმა მასწავლებელმა.
11. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შემდეგ უნდა ჩატარდეს ისე ჯგუფის წევრების მინიმუმ ერთი მიმდინარე და ყოველი სემესტრის ბოლოს ერთი შემაჯამებელი შეხვედრა. შეხვედრებზე განიხილება გეგმის შესრულების მიმდინარეობა და გეგმაში შესატანი ცვლილებები (თუკი ამის საჭიროება არსებობს). გეგმის განხორციელების მონიტორინგის შედეგად გეგმა ექვემდებარება პერიოდულ ცვლილებებს.
12. ისე ჯგუფის შეხვედრებზე სპეციალური მასწავლებელი აწარმოებს სხდომის ოქმებს. ყველა სხდომის ოქმი ინახება მოსწავლის პირად საქმეში.
13. ისე ჯგუფმა სასწავლო წლის ბოლოს სკოლის დირექციას უნდა მიაწოდოს სსსმ მოსწავლის პირად საქმეში შესატანად მოსწავლის შესახებ წარმოებული სრული დოკუმენტაცია (ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობები და სხვ.).
14. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სსსმ მოსწავლის თითოეული საგნის მასწავლებელმა/სპეციალურმა მასწავლებელმა ისე ჯგუფის კოორდინატორისათვის გადასაცემად უნდა მოამზადოს სსსმ მოსწავლის მიღწევის ანგარიში, რომელიც წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს და მშობელს.

მუხლი 43. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები

1. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, როგორც ფასდება ნებისმიერი სხვა მოსწავლის აკადემიური მიღწევა. თუ სსსმ მოსწავლე განათლებას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, ფასდება მის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. სსსმ მოსწავლე, რომელიც წარმატებით ძლევს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ფასდება მაღალი ქულით.
2. სსსმ მოსწავლისთვის სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულები გამოითვლება იმავე პრინციპით, როგორც სხვა მოსწავლეებისთვის, ამ გეგმის 34-ე მუხლის შესაბამისად.
3. გამონაკლის შემთხვევაში, დასაშვებია სსსმ მოსწავლეს არ ჰქონდეს სემესტრული შეფასება ერთ ან რამდენიმე საგანში. გამონაკლისი დაიშვება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. გამონაკლის შემთხვევაში მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა წარმოადგენს საგნის წლიურ ქულას. თუ სსსმ მოსწავლე რომელიმე საგანში მოცემულ სემესტრში არ ფასდება, ეს ხელს არ უშლის მას გადავიდეს მომდევნო კლასში.
4. თუ სსსმ მოსწავლეს აქვს მოწყვლადი ჯანმრთელობის მდგომარეობა და არსებობს ამის დამადასტურებელი საბუთი მის პირად საქმეში, სსსმ მოსწავლის მიმართ არ ვრცელდება ეროვნული სასწავლო გეგმის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები.
5. თუ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია წლიური გამოცდის ჩატარება და დადგენილია, რომ მას აბარებენ ის სსსმ მოსწავლეებიც, რომლებიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლობენ, სკოლამ უნდა უზურუნველყოს საგამოცდო მასალის ადაპტირება - უნდა შეიქმნას ინდივიდუალური საგამოცდო პროგრამა, რომელიც დაეყრდნობა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

მუხლი 44. სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება

1. იმ შემთხვევაში, თუ სსსმ მოსწავლეს ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს სკოლაში სიარულის საშუალებას, სკოლა მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს, რომლის დასკვნის საფუძველზეც სსსმ მოსწავლე სწავლას განაგრძობს შინ სწავლების ფორმით. ამ შემთხვევაში მოსწავლე ირიცხება სკოლაში, მაგრამ არ ესწრება გაკვეთილებს. სკოლა უდგენს მას ინდივიდუალური სწავლების გეგმას, რომლის მიხედვითაც მოხდება სსსმ მოსწავლის შინ სწავლება.
2. მულტიდისციპლინური გუნდი განსაზღვრავს და სკოლასთან და მშობელთან ათანხმებს სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.
3. შინ სწავლების მეთოდით გათვალისწინებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სკოლა ვალდებულია დაადგინოს განრიგი, რომლის მიხედვითაც სკოლის მიერ განსაზღვრული საგნის მასწავლებელი და, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური მასწავლებელი განახორციელებენ სსსმ მოსწავლესთან ვიზიტებს. სკოლამ/ისგ ჯგუფმა უნდა განახორციელოს შინ სწავლების პროცესის მონიტორინგი სკოლის მიერ შერჩეული ფორმატით.
4. შინ სწავლების პროცესში ჩართული უნდა იყოს სსსმ მოსწავლის მშობელი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს ყოველდღიური დავალებების შესრულებაში.
5. შინ სწავლების პროცესში რეკომენდებულია დისტანციური (ინტერნეტისა და ვიდეოკონფერენციების) სწავლების ფორმის გამოყენება.
6. სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში სკოლა უზურუნველყოფს შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლისათვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული

თითოეული საგნის (გარდა ფიზიკური აღზრდისა) კვირაში მინიმუმ ერთი აკადემიური საათის ოდენობით ჩატარებას.

თავი IX. სავალდებულო და არჩევითი საგნები

მუხლი 45. საგნების დაჯგუფების მთავარი პრინციპები

1. საგნობრივი ჯგუფები მოიცავს როგორც სავალდებულო, ისე არჩევით საგნებს.
2. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები ერთიანდება რვა საგნობრივ ჯგუფში:
 - ა) სახელმწიფო ენა;
 - ბ) მათემატიკა;
 - გ) უცხოური ენები;
 - დ) საზოგადოებრივი მეცნიერებები;
 - ე) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
 - ვ) ტექნოლოგიები;
 - ზ) ესთეტიკური აღზრდა;
 - თ) სპორტი.
3. საგნობრივი ჯგუფები აერთიანებს მომიჯნავე დისციპლინებს.
4. საგნობრივ ჯგუფებში შემავალი საგნები ისწავლება სავალდებულო და/ან არჩევითი სახით ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე.
5. დაწყებით საფეხურზე საგნებს შორის ინტეგრაციის ხარისხი გაცილებით მაღალი უნდა იყოს, ვიდრე საბაზო და საშუალო საფეხურებზე, სადაც საგნები უფრო სპეციალიზებულიად ისწავლება. რეკომენდებულია, დაწყებით საფეხურზე სხვადასხვა საგანს ერთი და იგივე მასწავლებელი ასწავლიდეს.

მუხლი 46. სახელმწიფო ენა

1. სახელმწიფო ენის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:
 - ა) ქართული ენა და ლიტერატურა (ისწავლება I-XII კლასებში);
 - ბ) აფხაზური ენა და ლიტერატურა, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში (ისწავლება I-XII კლასებში);
 - გ) ქართული, როგორც მეორე ენა, არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის (ისწავლება I-XII კლასებში).
2. სახელმწიფო ენის შესწავლამ მოზარდს უნდა განუვითაროს ძირითადი საკომუნიკაციო უნარები (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) საქართველოს სახელმწიფო ენაზე/ენებზე. ამ ჯგუფში შემავალი საგნის/საგნების შესწავლის მიზანია მოსწავლეებში მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური აღქმისა და შეფასების, საკუთარი აზრის ლოგიკური თანამიმდევრობით გამოხატვის, კითხვისა და სხვადასხვა შინაარსის ტექსტების შექმნის უნარის განვითარება; ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი პატივისცემის გრძნობის აღძვრა; მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის განვითარება.
3. ამ მუხლით განსაზღვრულ საგნობრივ ჯგუფში ასევე შედის შემდეგი არჩევითი საგნები: ფოლკლორი და მითოლოგია, XIX–XX სუკუნის დასავლური ლიტერატურა, მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების ენა.

მუხლი 47. მათემატიკა

1. მათემატიკის საგნობრივ ჯგუფს განეკუთვნება სავალდებულო საგანი მათემატიკა (ისწავლება I-XII კლასებში).

2. მათემატიკის სწავლების ძირითადი მიზანია მოზარდში ანალიტიკური, ლოგიკური, სისტემური და სიმბოლური აზროვნებისა და კვლევის უნარ-ჩვევის გამომუშავება. მათემატიკის სწავლამ მოსწავლეს უნდა შესძინოს ის უნარ-ჩვევები, რომლებიც მას დაეხმარება ცხოვრებისეული პრაქტიკული პრობლემების გადაჭრაში.

3. ამ მუხლით განსაზღვრულ საგნობრივ ჯგუფში ასევე შედის შემდეგი არჩევითი საგნები: ხაზვა, ჭადრაკი (სპეციალური ელექტრონული პროგრამა II-III კლასებისთვის), რობოტექნიკა, კოდირება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 11.05.2018წ.

მუხლი 48. უცხოური ენები

1. უცხოური ენების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:

ა) პირველი უცხოური ენა (ისწავლება I-XII კლასებში);

ბ) მეორე უცხოური ენა (ისწავლება V-XII კლასებში).

გ) მესამე უცხოურ ენა (არჩევითი საგანი, ისწავლება X-XII კლასებში).

2. პირველი კლასიდან სავალდებულოა ინგლისური ენის სწავლება.

3. პირველი უცხოური ენის სწავლება იწყება პირველი კლასიდან, ხოლო მეორე უცხოური ენის - V კლასიდან (გარდა არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის ამ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი გამონაკლისისა). სკოლამ მინიმუმ ორი უცხოური ენა უნდა შესთავაზოს მოსწავლეებს ასარჩევად.

4. უცხოური ენის გაძლიერებული სწავლების სტატუსის მქონე და კერძო სკოლები უფლებამოსილები არიან მეორე უცხოური ენის სწავლება დაიწყონ ნებისმიერი კლასიდან.

5. საჯარო სკოლა უფლებამოსილია, სამინისტროსთან წერილობითი შეთანხმებით, მეორე უცხოური ენის სწავლება დაიწყოს მესამე კლასიდან.

6. უცხოური ენების სწავლებამ მოსწავლეს უნდა განუვითაროს სახელმწიფო ენასთან ერთად სულ მცირე ორ ენაზე კომუნიკაციის უნარი.

7. არაქართულენოვან სკოლებს/სექტორებს უფლება აქვთ თავიანთ მოსწავლეებს, სახელმწიფო და მშობლიური ენების გარდა, ერთი უცხოური ენა ასწავლონ.

8. უცხოური ენების საგნობრივი ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, მოსწავლეებმა შეძლონ წერილობითი და ზეპირი ფორმით კომუნიკაცია უცხოურ ენაზე/ენებზე. ყველა სხვა საგნობრივი ჯგუფის მსგავსად, ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს შეძენილი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარის განვითარებას.

9. სკოლას უფლება აქვს, მოსწავლეებს მეორე უცხოურ ენად ნებისმიერი სხვა ენა/ენები შესთავაზოს, რაც უნდა განისაზღვროს სასკოლო სასწავლო გეგმით.

10. ამ მუხლით განსაზღვრულ საგნობრივ ჯგუფში ასევე შედის შემდეგი არჩევითი საგნები: მესამე უცხოური ენა, ამერიკისმცოდნეობა, XIX-XX სუკუნის დასავლური ლიტერატურა, მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების ენა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 11.05.2018წ.

მუხლი 49. საზოგადოებრივი მეცნიერებები

1. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:

ა) მე და საზოგადოება (ისწავლება III-IV კლასებში);

ბ) ჩვენი საქართველო (ისწავლება V-VI კლასებში);

გ) საქართველოს და მსოფლიო ისტორია (ისწავლება VII-XII კლასებში);

- გ) გეოგრაფია (ისწავლება VII-VIII კლასებში);
- დ) საქართველოს გეოგრაფია (ისწავლება IX კლასში);
- ე) მსოფლიოს გეოგრაფია (ისწავლება X კლასში);
- ვ) გლობალური პრობლემების გეოგრაფია (ისწავლება XI კლასში);
- ზ) სამოქალაქო განათლება (ისწავლება VII-X კლასებში);

2. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს ინფორმირებული, აქტიური და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის აღზრდას; მიაწოდოს მოსწავლეს ინფორმაცია მშობლიური გარემოს შესახებ; დაეხმაროს მას, განსაზღვროს მშობლიური ქვეყნის ადგილი მსოფლიო ისტორიულ და გეოგრაფიულ პროცესებში; ჩამოაყალიბოს იგი პატრიოტ და ჰუმანურ ადამიანად. ამასთან, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების სწავლებას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეებში სამოქალაქო ღირებულებების გამომუშავებისთვის.

3. ამ მუხლით განსაზღვრულ საგნობრივ ჯგუფში ასევე შედის შემდეგი არჩევითი საგნები: ამერიკისმცოდნეობა, გეოგრაფიული კვლევა, ეკონომიკა და სახელმწიფო, მეწარმეობის საფუძვლები, მსოფლიო კულტურა, სახელმწიფო და სამართალი, ბუნების ძეგლებზე დაკვირვება, საქართველოს ეთნოგრაფია, სამხედრო ისტორია და ეროვნული თავდაცვა, გარემო და მდგრადი განვითარება.

მუხლი 50. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:

- ა) ბუნებისმეტყველება (ისწავლება I-VI კლასებში);
- ბ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძვლები (ისწავლება VII კლასში 2019-2020 სასწავლო წლამდე);
- გ) ბიოლოგია (ისწავლება VIII-XI კლასებში 2019-2020 სასწავლო წლამდე და 2019-2020 სასწავლო წლიდან - VII-XI კლასებში);
- დ) ფიზიკა (ისწავლება VIII-XI კლასებში 2019-2020 სასწავლო წლამდე და 2019-2020 სასწავლო წლიდან - VII-XI კლასებში);
- ე) ქიმია (ისწავლება VIII-XI კლასებში).

2. საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების მთავარი მიზანია, აზიაროს მოსწავლე მეცნიერების საფუძვლებს და განუვითაროს მას კვლევის უნარ-ჩვევები, რაც მოსწავლეს საშუალებას მისცემს შეიძინოს სამყარო, ჩაერთოს საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, იგრძნოს პასუხისმგებლობა საკუთარი თავის, საზოგადოებისა და გარემოს მიმართ.

3. ამ მუხლით განსაზღვრულ საგნობრივ ჯგუფში ასევე შედის შემდეგი არჩევითი საგნები: კონსერვაციული ბიოლოგიის საფუძვლები, სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა, ქიმიური ტექნოლოგიები, შესავალი თანამედროვე ფიზიკაში, ასტრონომია, გარემო და მდგრადი განვითარება, ბუნებისმეტყველების ინტეგრირებული ლაბორატორიული კვლევები, რობოტექნიკა, კოდირება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 11.05.2018წ.

მუხლი 51. ტექნოლოგიები

1. ტექნოლოგიების საგნობრივ ჯგუფს განეკუთვნება სავალდებულო საგანი „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“ (ისტ). იგი ისწავლება დაწყებით და საბაზო საფეხურებზე.

2. ტექნოლოგიების საგნობრივი ჯგუფის მიზანია: ხელი შეუწყოს მოსწავლეებში მედია და ციფრული წიგნიერების დონის ამაღლებას; დაეხმაროს მათ სხვადასხვა დარგისათვის სპეციფიკური ტექნოლოგიების დაუფლებაში და ამ ტექნოლოგიების გამოყენებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებაში, როგორც სხვადასხვა საგანთან ინტეგრირებული სწავლებისას, ასევე ცალკე სწავლების გზით.

3. ამ მუხლით განსაზღვრულ საგნობრივ ჯგუფში ასევე შედის შემდეგი არჩევითი საგნები: კომპიუტერული მეცნიერება, კოდირება, რობოტექნიკა, თანამედროვე ტექნოლოგიები მუსიკაში, მულტიმედია და დიზაინი, მულტიმედია და მუსიკა, მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამების პრაქტიკული კურსი, ჭადრაკი (სპეციალური ელექტრონული პროგრამა II-III კლასებისთვის).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 11.05.2018წ.

მუხლი 52. ესთეტიკური აღზრდა

1. ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:

ა) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (ისწავლება I-IX კლასებში);

ბ) მუსიკა (ისწავლება I-IX კლასებში);

2. ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფის მიზანია, განუვითაროს მოსწავლეებს წარმოსახვა, შემოქმედებით-ასოციაციური აზროვნება და ემოციური სფერო; გამოუმუშაოს ხელოვნების ნიმუშებისა და მუსიკის აღქმის, შეფასების, გარემოს შეცნობისა და მისი მხატვრული ასახვის უნარები და ამით ხელი შეუწყოს თვითგამოხატვის განსხვავებული საშუალებებისა და ფორმების დაუფლებას. დაეხმაროს მოსწავლეებს ხელოვნების უნივერსალური ენის შესწავლასა და მისი საშუალებით ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ ფასეულობებთან ზიარებაში.

3. ამ მუხლით განსაზღვრულ საგნობრივ ჯგუფში ასევე შედის შემდეგი არჩევითი საგნები: გამოყენებითი ხელოვნების რომელიმე დარგი (თექვა, ხეზე კვეთა, მეთუნეობა, გობელენი და სხვ) - შრომა, სახვითი ხელოვნების რომელიმე დარგი (ხატვა, ფერწერა, ძერწვა), თანამედროვე ტექნოლოგიები მუსიკაში, მულტიმედია და მუსიკა, გუნდი, დრამა, თეატრალური ხელოვნება, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების თეორიულ-პრაქტიკული კურსი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პრაქტიკული კურსი, ხელოვნების ისტორია, ფოლკლორული ანსამბლი, მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამების პრაქტიკული კურსი, მულტიმედია და დიზაინი, კინოხელოვნება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 11.05.2018წ.

მუხლი 53. სპორტი

1. სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:

ა) ფიზიკური აღზრდა (ისწავლება I-VI კლასებში)

ბ) ფიზიკური აღზრდა და სპორტი (VII-XII კლასებში);

2. სპორტის საგნობრივი ჯგუფის მიზანია, ჩააბას მოსწავლე ფიზიკურ აქტივობებში და ამ გზით შეუწყოს ხელი მის ფიზიკურ განვითარებას, ასევე, მოსწავლემ გააცნობიეროს ჯანსაღი ცხოვრების მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში.

3. სსსმ მოსწავლეები (კერძოდ, ფიზიკური პრობლემების მქონე; ეტლით მოსარგებლე, გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე, მხედველობისა და სმენის დარღვევის მქონე და სხვ.) სპორტის გაკვეთილებსა და სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობენ მათთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად.

4. ამ მუხლით განსაზღვრულ საგნობრივ ჯგუფში ასევე შედის არჩევითი საგანი – ჭადრაკი (სპეციალური ელექტრონული პროგრამა II-III კლასებისთვის).

მუხლი 54. არჩევითი საგნები

1. სკოლას შეუძლია საკუთარი რესურსებისა და მოსწავლეების ინტერესის გათვალისწინებით შესთავაზოს მათ სხვადასხვა საგანი.
2. არჩევითი საგნების სწავლების მთავარი მიზანია მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოება და მათი გამოცდილების გამდიდრება. საკუთარი სურვილის მიხედვით არჩეული რამდენიმე საგნის სწავლება მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, მოსინჯონ საკუთარი ძალები სხვადასხვა საგანმანათლებლო სფეროში და უფრო ზუსტი წარმოდგენა შეიქმნან საკუთარი მიდრეკილებებისა და მომავალში ასარჩევი გეზის შესახებ.
3. არჩევითი საგნები ისწავლება კვირაში ორსაათიანი დატვირთვით;
4. XII კლასის მეორე სემესტრში არჩევითი საგნები არ ისწავლება;
5. არჩევითი საგნების სწავლებისას შესაძლებელია კლასი დაკომპლექტდეს პარალელური და/ან ერთი საფეხურის სხვადასხვა კლასის მოსწავლეებისგან;
6. შესაძლებლობების შემთხვევაში, სასურველია სკოლამ მოსწავლეებს შესთავაზოს არჩევითი საგნების მაქსიმალურად ფართო არჩევანი.
7. არჩევითი საგნების ნუსხა.

ერთმოდულიანი საგნები, რომელთა მოდულის ხანგრძლივობა არის ერთი სემესტრი				
საგნის დასახელება	საგნობრივი ჯგუფი	ერთი მოდულის ხანგრძლივობა სემესტრების მიხედვით	მოდულის რაოდენობა	კლასი
1. გამოყენებითი ხელოვნების რომელიმე დარგი (თექა, ხეზე კვეთა, მეთუნეობა, გობელენი და სხვ) - შრომა	ესთეტიკური აღზრდა	1	1	IX
2. სახვითი ხელოვნების რომელიმე დარგი (ხატვა, ფერწერა, ძერწვა)	ესთეტიკური აღზრდა	1	1	IX
3. თანამედროვე ტექნოლოგიები მუსიკაში	ესთეტიკური აღზრდა, ტექნოლოგიები	1	1	IX
4. მულტიმედია და მუსიკა	ესთეტიკური აღზრდა, ტექნოლოგიები	1	1	IX
5. გუნდი	ესთეტიკური აღზრდა	1	1	IX
6. დრამა	ესთეტიკური აღზრდა	1	1	IX
7. ბუნებისმეტყველების ინტეგრირებული ლაბორატორიული კვლევები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	1	1	IX

8. კონსერვაციული ბიოლოგიის საფუძვლები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	1	1	X/XI/XII
ერთმოდულიანი საგნები, რომელთა მოდულის ხანგრძლივობა არის ორი სემესტრი				
9. რობოტეკნიკა	ტექნოლოგიები, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	2	1	IX
10. კოდირება	ტექნოლოგიები, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	2	1	IX
11. ამერიკისმცოდნეობა	საზოგადოებრივი მეცნიერებები, უცხოური ენები	2	1	X/XI/XII
12. გეოგრაფიული კვლევა	საზოგადოებრივი მეცნიერებები	2	1	X/XI/XII
13. ეკონომიკა და სახელმწიფო	საზოგადოებრივი მეცნიერებები	2	1	XI/XII
14. თეატრალური ხელოვნება	ესთეტიკური აღზრდა	2	1	X/XI/XII
15. მეწარმეობის საფუძვლები	საზოგადოებრივი მეცნიერებები	2	1	X/XI/XII
16. კომპიუტერული მეცნიერება	ტექნოლოგიები	2	1	X/XI/XII
17. მსოფლიო კულტურა	საზოგადოებრივი მეცნიერებები, ესთეტიკური აღზრდა	2	1	X/XI/XII
18. მულტიმედია დიზაინი და	ტექნოლოგიები, ესთეტიკური აღზრდა	2	1	X/XI/XII
19. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება: თეორიული-პრაქტიკული კურსი	ესთეტიკური აღზრდა	2	1	X/XI/XII
20. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება: პრაქტიკული კურსი	ესთეტიკური აღზრდა	2	1	X/XI/XII
21. ფოლკლორი და მითოლოგია	სახელმწიფო ენა	2	1	X/XI/XII
22. XIX-XX საუკუნის დასავლური ლიტერატურა	სახელმწიფო ენა, უცხოური ენები	2	1	X/XI/XII
23. ხელოვნების ისტორია	ესთეტიკური აღზრდა	2	1	X/XI/XII

24. სახელმწიფო სამართალი და	საზოგადოებრივი მეცნიერებები	2	1	XI/XII
25. ბუნების მეცნიერებები და კვრება	საზოგადოებრივი მეცნიერებები	2	1	X/XI/XII
26. საქართველოს ეთნოგრაფია	საზოგადოებრივი მეცნიერებები	2	1	X/XI/XII
27. ფოლკლორული ანსამბლი	ესთეტიკური აღზრდა	2	1	X/XI/XII
28. სამხედრო ისტორია და ეროვნული თავდაცვა	საზოგადოებრივი მეცნიერებები	2	1	X/XI/XII
ორმოდულიანი საგნები, რომლის თითო მოდულის ხანგრძლივობა არის ერთი სემესტრი (სკოლამ შესაძლებელია სურვილის მიხედვით ასწავლოს ან მხოლოდ ერთი მოდული, ან ორივე მოდული)				
29. კინოხელოვნება	ესთეტიკური აღზრდა	1	2	X/XI/XII
30. მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამების პრაქტიკული კურსი	ტექნოლოგიები, ესთეტიკური აღზრდა	1	2	X/XI/XII
31. სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	1	2	I მოდ. - X/XI/XII II მოდ. - XI/XII
32. ქიმიური ტექნოლოგიები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	1	2	XI/XII
33. შესავალი თანამედროვე ფიზიკაში	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	1	2	I მოდ. - XI/XII II მოდ. - XII
34. ხაზვა	მათემატიკა	1	2	X/XI/XII
35. ასტრონომია	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	1	2	XI/XII
36. გარემო და მდგრადი განვითარება	საზოგადოებრივი მეცნიერებები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	1	2	X/XI/XII
საგნები, რომლებიც შეიძლება ისწავლებოდეს ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში				
37. მესამე უცხოური ენა	უცხოური ენები			X/XI/XII
38. მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების (შესაძლებელია ისწავლებოდეს	ენა სახელმწიფო ენა, უცხოური ენა.			

მინისტრის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ სკოლებში და კლასებში კვირაში 2-საათიანი დატვირთვით).				
39. ჭადრაკი (სპეციალური ელექტრონული პროგრამა)	ტექნოლოგიები, მათემატიკა, სპორტი			II-III

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №63/ნ - კებგვერდი, 11.05.2018წ.

მუხლი 55. აბიტურის საათი

სავალდებულო და არჩევითი საგნების გარდა, მე-12 კლასის საათობრივ ბადეში გათვალისწინებულია ე.წ. „აბიტურის საათები“ იმ საგნებისთვის, რომელშიც ბარდება სკოლის გამოსაშვები გამოცდა. აღნიშნული საათის მიზანია, ხელი შეუწყოს მოსწავლეს თითოეულ კონკრეტულ საგანში ნასწავლი მასალის გამეორებას სკოლის გამოსაშვები გამოცდისთვის განსაზღვრული პროგრამის მიხედვით.

თავი X. საათობრივი ბადე

მუხლი 56. საათობრივი ბადე ქართულენოვანი და არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის

1. საათობრივი ბადე განსაზღვრავს მოსწავლეთა აუცილებელი კვირეული და წლიური დატვირთვის ოდენობას კლასების, სემესტრების და საგნების მიხედვით.
2. საათობრივი ბადე ქართულენოვანი საჯარო სკოლების/სექტორების დაწყებითი საფეხურისთვის:

	კლასები და სემესტრები	I კლასი		II კლასი		III კლასი		IV კლასი		V კლასი		VI კლასი	
		I ს	II ს	I ს	II ს	I ს	II ს	I ს	II ს	I ს	II ს	I ს	II ს
	საგანი												
	სახელმწიფო ენა												
1	ქართული ენა და ლიტერატურა	7	7	7	7	6	6	6	6	5	5	5	5
	მათემატიკა												
2	მათემატიკა	4/5	4/5	5	5	5	5	5	5	5	5	4	4
	უცხოური ენები												
3	პირველი უცხოური ენა	0	1	2	2	3	3	3	3	3	3	3	3
4	მეორე უცხოური ენა									2	2	2	2

	საზოგადოებრივი მეცნიერებები												
5	მე და საზოგადოება					2	2	2	2				
6	ჩვენი საქართველო									2	2	3	3
	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები												
7	ბუნებისმეტყველება	2	2	2	2	2	2	2	2	3	3	3	3
	ტექნოლოგიები												
8	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	0/1	0/1							2	2	2	2
	ესთეტიკური აღზრდა												
9	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
10	მუსიკა	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
	ფიზიკური აღზრდა და სპორტი												
11	ფიზიკური აღზრდა	3	3	3	3	3	3	3	3	2	2	2	2
	სულ კვირეული საათობრივი დატვირთვა	21	22	23	23	25	25	25	25	28	28	28	28

[2]. საათობრივი ბადე ქართულენოვანი საჯარო სკოლების/სექტორების საბაზო საფეხურისთვის

კლასები	VII კლასი		VIII კლასი		IX კლასი	
საგნები	I ს	II ს	I ს	II ს	I ს	II ს
სახელმწიფო ენა						
1 ქართული ენა და ლიტერატურა	5	5	5	5	5	5
მათემატიკა						
2 მათემატიკა	5	5	5	5	5	5
უცხოური ენები						
3 პირველი უცხოური ენა	3	3	3	2	2	2
4 მეორე უცხოური ენა	2	2	2	2	2	2
საზოგადოებრივი მეცნიერებები						
5 ისტორია	2	2	2	3	3	3
6 გეოგრაფია	2	2	2	2	2	2
7 სამოქალაქო განათლება	2	2	1	1	1	1
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები						

8	ბიოლოგია	2	2	2	2	2	2
9	ფიზიკა	2	2	2	2	2	2
10	ქიმია			2	2	2	2
	ტექნოლოგიები						
11	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	1	1	1	1		
	ესთეტიკური აღზრდა						
12	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2	2	2	1	1	2
13	მუსიკა	2	2	1	2	2	1
	სპორტი						
14	ფიზიკური აღზრდა და სპორტი	2	2	2	2	2	2
	არჩევითი საგნები						
15						1	1+1
	სულ საათების რაოდენობა	32	32	32	32	32	32-33

(ამოქმედდეს 2019 წლის 15 სექტემბრიდან)

3. საათობრივი ბაღე არაქართულენოვანი საჯარო სკოლების/სექტორების დაწყებითი საფეხურისთვის:

N	საგანი	I კლასი		II კლასი		III კლასი		IV კლასი		V კლასი		VI კლასი	
		I ს	II ს	I ს	II ს	I ს	II ს	I ს	II ს	I ს	II ს	I ს	II ს
	სახელმწიფო ენა												
1	ქართული, როგორც მეორე ენა	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5
	მათემატიკა												
2	მათემატიკა	4/5	4/5	5	5	5	5	5	5	5	5	4	4
	ეთნიკური უმცირესობების ენები												
3	ეთნიკური უმცირესობების ენა	3-5	3-5	3-5	3-5	3-5	3-5	3-5	3-5	3-5	3-5	3-5	3-5
	უცხოური ენები												
4	პირველი უცხოური ენა	0	1	2	2	3	3	3	3	3	3	3	3
5	მეორე უცხოური ენა									0-2	0-2	0-2	0-
	საზოგადოებრივი მეცნიერებები												
6	მე და საზოგადოება					2	2	2	2				

7	ჩვენი საქართველო									2	2	3	3
	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები												
8	ბუნებისმეტყველება	2	2	2	2	2	2	2	2	3	3	3	3
	ტექნოლოგიები												
9	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	0/1	0/1							2	2	2	2
	ესთეტიკური აღზრდა												
10	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
11	მუსიკა	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
	ფიზიკური აღზრდა და სპორტი												
12	ფიზიკური აღზრდა	3	3	3	3	3	3	3	3	2	2	2	2
	სულ კვირეული საათობრივი დატვირთვა	22-24	22-25	24-26	24-26	27-29	27-29	27-29	27-29	29-31	29-31	29-31	29-

[3]. საათობრივი ბადა არაქართულენოვანი საჯარო სკოლების/სექტორების საბაზო საფეხურისთვის

	კლასები	VII კლასი		VIII კლასი		IX კლასი	
		I ს	II ს	I ს	II ს	I ს	II ს
	სახელმწიფო ენა						
1	ქართული, როგორც მეორე ენა	5	5	5	5	5	5
	მათემატიკა						
2	მათემატიკა	5	5	5	5	5	5
	ეთნიკური უმცირესობების ენა						
3	ეთნიკური უმცირესობების ენა	3-5	3-5	3-5	3-5	3-5	3-5
	უცხოური ენები						
4	პირველი უცხოური ენა	3	3	3	2	2	2
5	მეორე უცხოური ენა	0-2	0-2	0-2	0-2	0-2	0-2
	საზოგადოებრივი მეცნიერებები						
6	ისტორია	2	2	2	3	3	3
7	გეოგრაფია	2	2	2	2	2	2
8	სამოქალაქო განათლება	2	2	1	1	1	1
	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები						
9	ბიოლოგია	2	2	2	2	2	2
10	ქიმია			2	2	2	2

11	ფიზიკა	2	2	2	2	2	2
	ტექნოლოგიები						
12	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	1	1	1	1		
	ესთეტიკური აღზრდა						
13	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2	2	2	1	1	2
14	მუსიკა	2	2	1	2	2	1
	სპორტი						
15	ფიზიკური აღზრდა და სპორტი	2	2	2	2	2	2
	არჩევითი საგნები						
16						1	1
	სულ საათების მინიმალური რაოდენობა	33	33	33	33	33	33

შენიშვნა: არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე ჯამური საათობრივი დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 35 საათს.

(ამოქმედდეს 2019 წლის 15 სექტემბრიდან)

4. წლიური საათობრივი დატვირთვა ქართულენოვანი და არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/ სექტორებისთვის

ა) დაწყებითი საფეხური

ქართ	არაქართ	საგანი	I კლასი	II კლასი	III კლასი	IV კლასი	V კლასი	VI კლასი
		სახელმწიფო ენა						
1		ქართული ენა და ლიტერატურა	224	245	210	210	175	175
	1	ქართული, როგორც მეორე ენა	160	175	175	175	175	175
		ეთნიკური უმცირესობების ენები						
	2	ეთნიკური უმცირესობების ენა	96-160	105-175	105-175	105-175	105-175	105-175
		მათემატიკა						
2	3	მათემატიკა	128-175	175	175	175	175	140
		უცხოური ენები						
3		პირველი უცხოური ენა	17	70	105	105	105	105
	4	პირველი უცხოური ენა არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის	0-17	70	105	105	105	105
4		მეორე უცხოური ენა					70	70

	5	მეორე უცხოური ენა არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის					0-70	0-70
		საზოგადოებრივი მეცნიერებები						
5	6	მე და საზოგადოება		70	70			
6	7	ჩვენი საქართველო					70	105
		საბუნებისმეტყველო მეცნიერებები						
7	8	ბუნებისმეტყველება	64	70	70	70	105	105
		ტექნოლოგიები						
8	9	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	0-32				70	70
		ესთეტიკური აღზრდა						
9	10	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	64	70	70	70	70	70
10	11	მუსიკა	64	70	70	70	70	70
		სპორტი						
11	12	ფიზიკური აღზრდა	96	105	105	105	70	70

[ბ] საბაზო საფეხური

ქართ	არაქართ	საგანი	VII კლასი	VIII კლასი	IX კლასი
		სახელმწიფო ენა			
1		ქართული ენა და ლიტერატურა	175	175	175
	1	ქართული, როგორც მეორე ენა	175	175	175
		ეთნიკური უმცირესობების ენები			
	2	ეთნიკური უმცირესობების ენა	105-175	105-175	105-175
		მათემატიკა			
2	3	მათემატიკა	175	175	175
		უცხოური ენები			
3		პირველი უცხოური ენა	105	85	70
	4	პირველი უცხოური ენა არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის	105	85	70
4		მეორე უცხოური ენა	70	70	70

	5	მეორე უცხოური ენა არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის	0-70	0-70	0-70
		საზოგადოებრივი მეცნიერებები			
5	6	ისტორია	70	90	105
6	7	გეოგრაფია	70	70	70
7	8	მოქალაქეობა	70	70	35
		საბუნებისმეტყველო მეცნიერებები			
8	9	ბიოლოგია	70	70	70
9	10	ფიზიკა	70	70	70
10	11	ქიმია		70	70
		ტექნოლოგიები			
11	12	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	35	35	
		ესთეტიკური აღზრდა			
12	13	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	70	50	55
13	14	მუსიკა	70	55	50
		სპორტი			
14	15	ფიზიკური აღზრდა და სპორტი	70	70	70

(ამოქმედდეს 2019 წლის 15 სექტემბრიდან)

5. საათობრივი ბადე კლასების მიხედვით ქართულენოვანი და არაქართულენოვანი საჯაროსკოლებისათვის/სექტორებისათვის

ა) დაწყებითი საფეხური

ა.ა) I კლასი

ქართ.	არაქართ.	საგანი	საათების კვირაში		შენიშვნა
			I სემესტრი	II სემესტრი	
1		ქართული ენა და ლიტერატურა	7	7	
	1	ქართული, როგორც მეორე ენა	5	5	
	2	ეთნიკური უმცირესობების ენა	3-5	3-5	ეთნიკური უმცირესობების ენას ეთმობა მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 5 საათი.
2	3	მათემატიკა	4/5	4/5	თუ სკოლა ასწავლის ისტ-ს, მათემატიკას ეთმობა კვირაში 4 საათი.
3		პირველი უცხოური ენა	0	1	

	4	პირველი უცხოური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის)	0	0/1	
4	5	ბუნებისმეტყველება	2	2	
5	6	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	0/1	0/1	ისტ-ის სწავლებას სკოლა თავად წყვეტს.
6	7	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2	2	
7	8	მუსიკა	2	2	
8	9	ფიზიკური აღზრდა	3	3	
აუცილებელი საათების რაოდენობა კვირაში					
ქართულენოვანი სკოლებისათვის/ სექტორებისათვის			21	22	
არაქართულენოვანი სკოლებისათვის/სექტორებისათვის			22-24	22-25	

ა.ბ) II კლასი

ქართ	არაქართ	საგანი	საათების რაოდენობა კვირაში		შენიშვნა
			I სემესტრი	II სემესტრი	
1		ქართული ენა და ლიტერატურა	7	7	
	1	ქართული, როგორც მეორე ენა	5	5	
	2	ეთნიკური უმცირესობების ენა	3-5	3-5	ეთნიკური უმცირესობების ენას ეთმობა მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 5 საათი.
2	3	მათემატიკა	5	5	
3	4	პირველი უცხოური ენა	2	2	
4	5	ბუნებისმეტყველება	2	2	
5	6	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2	2	
6	7	მუსიკა	2	2	
7	8	ფიზიკური აღზრდა	3	3	
აუცილებელი საათების რაოდენობა კვირაში					

ქართულენოვანი სკოლებისათვის/ სექტორებისათვის	23	23	
არაქართულენოვანი სკოლებისათვის/სექტორებისათვის	24-26	24-26	

ა.გ) III კლასი

ქართ	არაქართ	საგანი	საათების რაოდენობა კვირაში		შენიშვნა
			I სემესტრი	II სემესტრი	
1		ქართული ენა და ლიტერატურა	6	6	
	1	ქართული, როგორც მეორე ენა	5	5	
	2	ეთნიკური უმცირესობების ენა	3-5	3-5	ეთნიკური უმცირესობების ენას ეთმობა მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 5 საათი.
2	3	მათემატიკა	5	5	
3	4	პირველი უცხოური ენა	3	3	
4	5	მე და საზოგადოება	2	2	
5	6	ბუნებისმეტყველება	2	2	
6	7	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2	2	
7	8	მუსიკა	2	2	
8	9	ფიზიკური აღზრდა	3	3	
აუცილებელი საათების რაოდენობა კვირაში					
ქართულენოვანი სკოლებისათვის/სექტორებისათვის			25	25	
არაქართულენოვანი სკოლებისათვის/სექტორებისათვის			27-29	27-29	

ა.დ) IV კლასი

ქართ.	არაქართ	საგანი	საათების რაოდენობა კვირაში		შენიშვნა
			I სემესტრი	II სემესტრი	
1		ქართული ენა და ლიტერატურა	6	6	
	1	ქართული, როგორც მეორე ენა	5	5	

	2	ეთნიკური უმცირესობების ენა	3-5	3-5	ეთნიკური უმცირესობების ენას ეთმობა მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 5 საათი.
2	3	მათემატიკა	5	5	
3	4	პირველი უცხოური ენა	3	3	
4	5	მე და საზოგადოება	2	2	
5	6	ბუნებისმეტყველება	2	2	
6	7	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2	2	
7	8	მუსიკა	2	2	
8	9	ფიზიკური აღზრდა	3	3	
აუცილებელი საათების რაოდენობა კვირაში					
ქართულენოვანი სკოლებისათვის/ სექტორებისათვის			25	25	
არაქართულენოვანი სკოლებისათვის/სექტორებისათვის			27-29	27-29	

ა.ე) V კლასი

ქართ.	არაქართ.	საგანი	საათების რაოდენობა კვირაში		შენიშვნა	შემაჯამებელი დავალების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა
			სემესტრი			სემესტრი
			I	II		II
1		ქართული ენა და ლიტერატურა	5	5	ენის სწავლებას უნდა დაეთმოს ცალკე საგაკვეთილო საათი, რომლის რაოდენობას 5 პედაგოგი განსაზღვრავს კლასის საჭიროების მიხედვით.	5
	1	ქართული, როგორც მეორე ენა	5	5		5
	2	ეთნიკური უმცირესობების ენა	3-5	3-5	ეთნიკური უმცირესობების ენას ეთმობა მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 5 საათი. ამავე დროს, თუ სკოლა გადაწყვეტს მეორე უცხოური ენის სწავლებას	5

					დაუთმოს 1 ან 2 საათი, მაშინ მშობლიური ენის სწავლებას უნდა დაეთმოს 3 საათი.	
2	3	მათემატიკა	5	5		6
3	4	პირველი უცხოური ენა	3	3		4
4		მეორე უცხოური ენა	2	2		3
	5	მეორე უცხოური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის)	0-2	0-2	თუ სკოლა გადაწყვეტს მეორე უცხოური ენის სწავლებას, მას შესაძლოა დაეთმოს 1 ან 2 საათი.	3
5	6	ჩვენს საქართველო	2	2		3
6	7	ბუნებისმეტყველება	3	3		4
7	8	ისტ	2	2		2
8	9	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2	2		2
9	10	მუსიკა	2	2		2
10	11	ფიზიკური აღზრდა	2	2		
აუცილებელი საათების რაოდენობა კვირაში						
ქართულენოვანი სკოლებისათვის/ სექტორებისათვის			28	28		
არაქართულენოვანი სკოლებისათვის/სექტორებისათვის			29-31	29-31		

ა.ვ) VI კლასი

ქართ	არაქართ	საგანი	საათებისრაოდენობა კვირაში		შენიშვნა	შემაჯამებელი დაფალებისსავალდებულო მინიმალურირაოდენობა	
			სემესტრი			სემესტრი	
			I	II		I	II
1		ქართული ენა და ლიტერატურა	5	5	ენის სწავლებას უნდა დაეთმოს ცალკე საგაკვეთილო საათი, რომლის რაოდენობას პედაგოგი განსაზღვრავს კლასის საჭიროების მიხედვით.	3	5
	1	ქართული, როგორც მეორე ენა	5	5		3	5
	2	ეთნიკური უმცირესობების ენა	3-5	3-5	ეთნიკური უმცირესობების ენას	3	5

					ეთმობა მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 5 საათი. ამავე დროს, თუ სკოლა გადაწყვეტს მეორე უცხოური ენის სწავლებას დაუთმოს 1 ან 2 საათი, მაშინ მშობლიური ენის სწავლებას უნდა დაეთმოს მაქსიმუმ 3 საათი.		
2	3	მათემატიკა	4	4		4	6
3	4	პირველი უცხოური ენა	3	3		4	4
4		მეორე უცხოური ენა	2	2		2	3
	5	მეორე უცხოური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისათვის /სექტორებისათვის)	0-2	0-2	თუ სკოლა გადაწყვეტს მეორე უცხოური ენის სწავლებას, მას შესაძლოა დაეთმოს 1 ან 2 საათი.	2	3
5	6	ჩვენი საქართველო	3	3		2	3
6	7	ბუნებისმეტყველება	3	3		3	4
7	8	ისტ	2	2		2	2
8	9	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2	2		2	2
9	10	მუსიკა	2	2		2	2
10	11	ფიზიკური აღზრდა	2	2			
აუცილებელი საათების რაოდენობა კვირაში							
ქართულენოვანი სკოლებისათვის/სექტორებისათვის			28	28			
არაქართულენოვანი სკოლებისათვის/სექტორებისათვის			29-31	29-31			

[ბ] საბაზო საფეხური:

ბ.ა) VII კლასი

ქართ	არაქართ	საგანი	საათების რაოდენობა კვირაში		შენიშვნა
			სემესტრი		
			I	II	
1		ქართული ენა და ლიტერატურა	5	5	ენის სწავლებას უნდა დაეთმოს ცალკე საგაკვეთილო საათი, რომლის რაოდენობას

					პედაგოგი განსაზღვრავს კლასის საქიროების მიხედვით.
	1	ქართული, როგორც მეორე ენა	5	5	
	2	ეთნიკური უმცირესობების ენა	3-5	3-5	ეთნიკური უმცირესობების ენას ეთმობა მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 5 საათი. ამავე დროს, თუ სკოლა გადაწყვეტს მეორე უცხოური ენის სწავლებას დაუთმოს 1 ან 2 საათი, მაშინ მშობლიური ენის სწავლებას უნდა დაეთმოს მაქსიმუმ 3 საათი.
2	3	მათემატიკა	5	5	
3	4	პირველი უცხოური ენა	3	3	
4		მეორე უცხოური ენა	2	2	
	5	მეორე უცხოური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისათვის /სექტორებისათვის)	0-2	0-2	თუ სკოლა გადაწყვეტს მეორე უცხოური ენის სწავლებას, მას შესაძლოა დაეთმოს 1 ან 2 საათი.
5	6	ისტორია	2	2	
6	7	გეოგრაფია	2	2	
7	8	მოქალაქეობა	2	2	
8	9	ბიოლოგია	2	2	
9	10	ფიზიკა	2	2	
10	11	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	1	1	
11	12	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2	2	
12	13	მუსიკა	2	2	
13	14	ფიზიკური აღზრდა და სპორტი	2	2	
საათების ჯამური რაოდენობა კვირაში					
ქართულენოვანი სკოლებისათვის/სექტორებისათვის			32	32	
არაქართულენოვანი სკოლებისათვის/სექტორებისათვის			33-35	33-35	

შენიშვნა: კონკრეტულ საგანში შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა ემთხვევა წლის მანძილზე სასწავლო თემების რაოდენობას.

ბ.ბ) VIII კლასი

ქართ	არაქართ	საგანი	საათების რაოდენობა კვირაში	შენიშვნა
			სემესტრი	

			I	II	
1		ქართული ენა და ლიტერატურა	5	5	ენის სწავლებას უნდა დაეთმოს ცალკე საგაკვეთილო საათი, რომლის რაოდენობას პედაგოგი განსაზღვრავს კლასის საჭიროების მიხედვით.
	1	ქართული, როგორც მეორე ენა	5	5	
	2	ეთნიკური უმცირესობების ენა	3-5	3-5	ეთნიკური უმცირესობების ენას ეთმობა მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 5 საათი. ამავე დროს, თუ სკოლა გადაწყვეტს მეორე უცხოური ენის სწავლებას დაუთმოს 1 ან 2 საათი, მაშინ მშობლიური ენის სწავლებას უნდა დაეთმოს მაქსიმუმ 3 საათი.
2	3	მათემატიკა	5	5	
3	4	პირველი უცხოური ენა	3	2	
4		მეორე უცხოური ენა	2	2	
	5	მეორე უცხოური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისათვის/სექტორებისათვის)	0-2	0-2	თუ სკოლა გადაწყვეტს მეორე უცხოური ენის სწავლებას, მას შესაძლოა დაეთმოს 1 ან 2 საათი.
5	6	ისტორია	2	3	
6	7	გეოგრაფია	2	2	
7	8	მოქალაქეობა	1	1	
8	9	ბიოლოგია	2	2	
9	10	ფიზიკა	2	2	
10	11	ქიმია	2	2	
11	2	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	1	1	
12	13	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2	1	
13	14	მუსიკა	1	2	
14	15	ფიზიკური აღზრდა და სპორტი	2	2	
საათების ჯამური რაოდენობა კვირაში					
ქართულენოვანი სკოლებისათვის/სექტორებისათვის			32	32	
არაქართულენოვანი სკოლებისათვის/სექტორებისათვის			33-35	33-35	

შენიშვნა:

1. კონკრეტულ საგანში შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა ემთხვევა წლის მანძილზე სასწავლო თემების რაოდენობას.

2. 2019-2020 სასწავლო წელს საგნის „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების“ სწავლება VIII კლასში უნდა წარიმართოს VII კლასის სტანდარტის შესაბამისად.

ბ.გ) IX კლასი

ქართ	არაქართ	საგანი	საათებისრაოდენობაკვირაში		შენიშვნა
			სემესტრი		
			I	II	
1		ქართული ენა და ლიტერატურა	5	5	ენის სწავლებას უნდა დაეთმოს ცალკე საგაკვეთილო საათი, რომლის რაოდენობას პედაგოგი განსაზღვრავს კლასის საჭიროების მიხედვით.
	1	ქართული, როგორც მეორე ენა	5	5	
	2	ეთნიკური უმცირესობების ენა	3-5	3-5	ეთნიკური უმცირესობების ენას ეთმობა მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 5 საათი. ამავე დროს, თუ სკოლა გადაწყვეტს მეორე უცხოური ენის სწავლებას დაუთმოს 1 ან 2 საათი, მაშინ მშობლიური ენის სწავლებას უნდა დაეთმოს მაქსიმუმ 3 საათი.
2	3	მათემატიკა	5	5	
3	4	პირველი უცხოური ენა	2	2	
4		მეორე უცხოური ენა	2	2	
	5	მეორე უცხოური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისათვის /სექტორებისათვის)	0-2	0-2	თუ სკოლა გადაწყვეტს მეორე უცხოური ენის სწავლებას, მას შესაძლოა დაეთმოს 1 ან 2 საათი.
5	6	ისტორია	3	3	
6	7	გეოგრაფია	2	2	
7	8	მოქალაქეობა	1	1	
8	9	ბიოლოგია	2	2	
9	10	ფიზიკა	2	2	
10	11	ქიმია	2	2	
11	12	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	1	2	
12	13	მუსიკა	2	1	
13	14	ფიზიკური აღზრდა და სპორტი	2	2	
14		არჩევითი საგნები	1	1+1	სკოლას შეუძლია II სემესტრში მოსწავლეებს შესთავაზოს ერთი არჩევითი საგანი და მას დაუთმოს კვირაში 1 ან 2 საათი, ან შესთავაზოს ორი არჩევითი საგანი და თითოეულს დაუთმოს 1 საათი
	15	არჩევითი საგნები არაქართულენოვანი	1	1	

	სკოლებისთვის/სექტორებისთვის)		
საათების ჯამური რაოდენობა კვირაში			
ქართულენოვანი სკოლებისათვის/სექტორებისათვის	32	32-33	
არაქართულენოვანი სკოლებისათვის/სექტორებისათვის	33-35	33-35	

შენიშვნა: კონკრეტულ საგანში შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა ემთხვევა წლის მანძილზე სასწავლო თემების რაოდენობას.

(ამოქმედდეს 2019 წლის 15 სექტემბრიდან)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 11.05.2018წ.

კარი II - საგნობრივი სასწავლო გეგმები - ზოგადი ნაწილი და სტანდარტები
თავი XI. სახელმწიფო ენები - ზოგადი ნაწილი და სტანდარტები

მუხლი 57. სახელმწიფო ენები - ზოგადი ნაწილი

შესავალი

სახელმწიფო ენების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა; ქართული, როგორც მეორე ენა; აფხაზური ენა და ლიტერატურა.

სახელმწიფო ენის შესწავლა მოზარდს უვითარებს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარს, გამოუმუშავებს საკუთარი აზრის ლოგიკური თანამიმდევრობით გამოხატვის, სხვადასხვა ტიპის ტექსტების გააზრებული კითხვისა და შექმნის უნარს სახელმწიფო ენაზე; ეხმარება მას, რომ გააცნობიეროს ლოკალური და ზოგადსაკაცობრიო კულტურა, როგორც ცვლილებისა და განვითარების მუდმივმოქმედი პროცესი, ხელს უწყობს დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და რეფლექსური აზროვნების განვითარებას; უზრუნველყოფს მოზარდის სრულფასოვან ინტეგრირებას სამოქალაქო საზოგადოებაში.

სახელმწიფო ენების სწავლების მიზნები და ამოცანები

სახელმწიფო ენების (ქართულის/აფხაზურის) სწავლების მიზანია ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან ნაზიარები, თავისუფალი და შემოქმედებითი პიროვნების აღზრდა, რომელიც შეძლებს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმას, საკუთარი წვლილის შეტანას ქვეყნის წინსვლასა და სამოქალაქო საზოგადოების შემდგომ განვითარებაში.

საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, სასწავლო გეგმა ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას. ამგვარ ამოცანებს წარმოადგენს:

- ენობრივი ცოდნის შექმნა-გაღრმავება, ენობრივი უნარების განვითარება;
- აზრის ცხადად, ლაკონიურად, მკაფიოდ და მწყობრად გამოხატვის უნარის ჩამოყალიბება;
- მსჯელობის უნარის განვითარება;

- სააზროვნო მოქმედებათა (ანალიზი, შედარება, განზოგადება) განვითარება ენობრივ (ტექსტობრივ) საფუძველზე;
- ფუნქციურად და შინაარსობრივად მრავალფეროვანი ტექსტების შესწავლისა და გააზრების უნარის ჩამოყალიბება;
- ტექსტებთან შემოქმედებითი (თავისუფალი) დამოკიდებულების გამომუშავება;
- დისკუსიებში მონაწილეობა, მონოლოგური და დიალოგური მეტყველების უნარ-ჩვევათა ჩამოყალიბება;
- სამეტყველო ეტიკეტის ნორმების დაცვის უნარის განვითარება;
- მიზნობრივი ამოცანის შესატყვისი სტილით გამართულად წერისა და მეტყველების უნარის განვითარება;
- სხვადასხვა სახის, სტილისა და ჟანრის ტექსტების ანალიზისა და შექმნის უნარის გამომუშავება-განვითარება;
- მწერლის შემოქმედების გააზრების უნარის განვითარება სუბიექტური (მწერლის ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტები და მომენტები) და ობიექტური (ეპოქის ზოგადი კონტექსტი) ფაქტორების გათვალისწინებით;
- მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებში ასახული პრობლემატიკის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის, პიროვნული პოზიციის ჩამოყალიბებისა და მისი არგუმენტირების უნარის გამომუშავება;
- ლიტერატურული ნაწარმოების ესთეტიკური აღქმისა და შეფასების უნარის გამომუშავება;
- ლიტერატურულ ნაწარმოებებში ასახული ფასეულობების აღქმა-გააზრებისა და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის უნარის განვითარება;
- ეროვნული და მსოფლიო ლიტერატურული პროცესების, უნივერსალური ლიტერატურული თემების ურთიერთკავშირის გააზრების უნარის გამომუშავება;
- კულტურული მემკვიდრეობისადმი პატივისცემის გრძნობის გამომუშავება;
- სხვადასხვა ტიპის დამოკიდებულების (პიროვნულ განსხვავებათა დაფასება და პატივისცემა, ენობრივ-კულტურული კუთვნილების განცდა, ენების სწავლის სურვილი და სხვ.) ჩამოყალიბება და განვითარება;
- სახელმწიფოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის სოციოკულტურულ თავისებურებათა დაფასება და პატივისცემა; სოციოკულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა;
- უცხო კულტურის გაგების უნარის განვითარება;
- სახელმწიფო ენის/ენების ცოდნის დამოუკიდებულად გაღრმავების უნარის განვითარება;
- ენის სწავლის უნარ-ჩვევების (სწავლის სწავლა) განვითარება;
- საგანმანათლებლო მიზნებით ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების უნარის განვითარება;
- სასიცოცხლო უნარ-ჩვევების (თანამშრომლობა, თავისუფალი არჩევანის გაკეთება, პრობლემის გადაჭრა, შემოქმედებითობა და სხვ.) განვითარება;
- ქვეყნის მოქალაქეობის განცდის უნარის გამომუშავება და განვითარება.

სახელმწიფო ენების სწავლების ორგანიზება

სახელმწიფო ენების სასწავლო გეგმაში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:

- ა) ქართული ენა და ლიტერატურა (ისწავლება I-XII კლასებში);
- ბ) აფხაზური ენა და ლიტერატურა, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში (ისწავლება I-XII კლასებში);

გ) ქართული, როგორც მეორე ენა არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის (ისწავლება I-XII კლასებში).

შეფასება სახელმწიფო ენებში

შეფასება ქართულ ენასა და ლიტერატურაში

შეფასების კომპონენტები

მიმდინარე (საშინაო და საკლასო) დავალებათა კომპონენტები

შეიძლება შეფასდეს შემდეგი ცოდნა და უნარ-ჩვევები:

- სხვადასხვა სახის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების მრავალმხრივი გააზრება-გაანალიზება და შეფასება;
- ტექსტების ინტერპრეტირება;
- ტექსტების შედარებითი ანალიზი;
- თხრობა;
- მსჯელობა;
- სხვადასხვა სახის ტექსტების შედგენა-შეთხზვა;
- ზეპირი გამოსვლა/პრეზენტაცია;
- გამომეტყველებითი კითხვა;
- გრამატიკული და ლექსიკური ცოდნა;
- მართლწერა;
- შემოქმედებითობა;
- სასწავლო სტრატეგიების (კითხვის, წერის, მოსმენის, ზეპირმეტყველების) გააზრებულად გამოყენება;
- მხატვრული ხერხების ცოდნა;
- ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ამოცნობა და გაანალიზება;
- ძირითადი ლიტერატურული მიმდინარეობების მახასიათებლები და სხვა.

სასიცოცხლო უნარ-ჩვევები:

- შემოქმედებითობა;
- თანამშრომლობა (მეწყვილესთან, ჯგუფის წევრებთან);
- სტრატეგიების გააზრებულად გამოყენება უნარ-ჩვევების განვითარებისა და სასწავლო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით;
- სასწავლო აქტივობებში ჩართულობა.

უნარ-ჩვევები ფასდება შემდეგი დავალებებით:

- დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა;
- სხვადასხვა ტიპის გრამატიკული და ლექსიკური სავარჯიშოები;
- დისკუსიის მოწყობა პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით;
- ინდივიდუალური ან ჯგუფური პრეზენტაციის მომზადება;
- სხვადასხვა ტიპის საკითხავი და მოსასმენი ამოცანების გადაჭრა;
- სხვადასხვა ტიპის ზეპირი აქტივობის შესრულება დამოუკიდებლად, მეწყვილესთან ერთად ან ჯგუფურად;

- სხვადასხვა სახის ტექსტების შექმნა დამოუკიდებლად, მეწყვილესთან ერთად ან ჯგუფურად;
- პროექტის განხორციელება.

შენიშვნა: დაწყებით კლასებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ უნარ-ჩვევებს:

- გაწაფულად კითხვა;
- გამოწერა;
- გადაწერა;
- კარნახით წერა;
- შინაარსის გადმოცემა საკვანძო სიტყვებზე/ილუსტრაციებზე დაყრდნობით;
- ეპიზოდების თხრობა;
- შინაარსის ვრცლად და მოკლედ გადმოცემა.

შემაჯამებელი დავალებების კომპონენტი

შემაჯამებელი დავალების კომპონენტი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. ამ კომპონენტში უნდა შეფასდეს ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების გზით მიღწეული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა შეძლოს ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარ-ჩვევების წარმოჩენა.

შემაჯამებელ დავალებათა ტიპები

სტანდარტის მოთხოვნათა შესასრულებლად რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალი ფორმის გამოყენება. ქართულ ენასა და ლიტერატურაში შესაძლებელია შემდეგი ტიპის შემაჯამებელი დავალებების გამოყენება:

- მხატვრული/არამხატვრული ტექსტის გაგება-გააზრება;
- სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა სახის ტექსტების შედგენა;
- არგუმენტირებული მსჯელობა კონკრეტული საკითხის/თემის შესახებ;
- ზეპირი მოხსენების წარმოდგენა;
- ესეს შედგენა;
- პრობლემური საკითხის წარმოდგენა იმიტირებული სიტუაციის (მინისპექტაკლის, როლური თამაშის და სხვ.) საშუალებით;
- გამომეტყველებითი კითხვა (ინდივიდუალური ან გუნდური);
- ლიტერატურული სალონი;
- პროექტი;
- ზეპირი გამოსვლის აუდიო ან აუდიოვიზუალური ჩანაწერის მოსმენა და შეფასება
- და სხვა.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი დავალებები:

- ყველა ტიპის დავალებას უნდა ახლდეს შეფასების რუბრიკა (ტესტური დავალებების შემთხვევაში თითოეულ ტესტურ კითხვას უნდა ახლდეს შეფასების სქემა);

- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- მითითებული უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.

შეფასება ქართულ, როგორც მეორე ენაში

შეფასების კომპონენტები ქართულ, როგორც მეორე ენაში

მიმდინარე (საშინაო და საკლასო) დავალებათა კომპონენტები

შეიძლება შეფასდეს შემდეგი ცოდნა და უნარ-ჩვევები:

ენობრივი ცოდნა და უნარები

- ლექსიკური ცოდნა;
- გრამატიკული ცოდნა;
- ლექსიკური და გრამატიკული უნარ-ჩვევები;
- გამოთქმა;
- მართლწერა.

კომუნიკაციური უნარები

- კითხვა-გაგება;
- გაწაფულად კითხვა;
- მოსმენა-გაგება;
- ზეპირი კომუნიკაცია;
- წერილი კომუნიკაცია.

სასიცოცხლო უნარ-ჩვევები

- შემოქმედებითობა;
- თანამშრომლობა (მეწყვილესთან, ჯგუფის წევრებთან);
- სტრატეგიების გააზრებულად გამოყენება უნარ-ჩვევების განვითარებისა და სასწავლო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით;
- სასწავლო აქტივობებში ჩართულობა.

უნარ-ჩვევები ფასდება შემდეგი დავალებებით:

- სხვადასხვა ტიპის გრამატიკული და ლექსიკური სავარჯიშოები;
- სხვადასხვა ტიპის საკითხავი და მოსასმენი ამოცანების გადაჭრა;
- სხვადასხვა ტიპის ზეპირი აქტივობის შესრულება დამოუკიდებლად, მეწყვილესთან ერთად თუ ჯგუფურად;
- სხვადასხვა ტიპის ტექსტის შექმნა დამოუკიდებლად, მეწყვილესთან ერთად თუ ჯგუფურად;
- პროექტის განხორციელება.

შენიშვნა: დაწყებით კლასებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა შემდეგ უნარ-ჩვევებს:

- ხმამაღალი კითხვა;

- ჩუმი კითხვა (მარტივი საკითხავი ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრა);
- გამოწერა;
- გადაწერა;
- კარნახით წერა.

შემაჯამებელი დავალებების კომპონენტი

შემაჯამებელი დავალების კომპონენტი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. ამ კომპონენტში უნდა შეფასდეს ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების გზით მიღწეული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა შეძლოს ქართულის, როგორც მეორე ენის სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების წარმოჩენა.

შემაჯამებელ დავალებათა ტიპები

სტანდარტის მოთხოვნათა დასაფარად, რეკომენდებულია მრავალფეროვანი შემაჯამებელი დავალების გამოყენება. ქართულის, როგორც მეორე ენის შემაჯამებელ დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს:

- ტექსტის გაგება - გააზრება;
- სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა სახის ტექსტების შედგენა;
- როლურ თამაშებში, სიმულაციურ სიტუაციებში მონაწილეობა;
- ინტერაქცია კონკრეტული საკითხის/თემის შესახებ;
- საუბარი კონკრეტული თემის/საკითხის შესახებ;
- ზეპირი მოხსენება;
- განხორციელებული პროექტი
- და სხვ.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი დავალებები

- ყველა ტიპის დავალებას უნდა ახლდეს შეფასების რუბრიკა (ტესტური დავალების შემთხვევაში, შეფასების სქემა უნდა ახლდეს თითოეულ ტესტურ კითხვას);
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- მითითებული უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.

მუხლი 58. ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტი

1. შესავალი

ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის ბირთვს წარმოადგენს ენა, როგორც პიროვნების თვითგამოხატვის, აზრის ჩამოყალიბებისა და გადაცემის საშუალება. ენობრივი უნარ-ჩვევები წარმოადგენს არა შემთხვევით ნაკრებს, არამედ ერთ მთლიან სისტემას. მან ხელი უნდა შეუწყოს პიროვნების პირადი, ცხოვრებისეული, სოციალური თუ პროფესიული სირთულეების დამოუკიდებლად დაძლევის პროცესს, ვინაიდან ქართული ენა მხოლოდ ერთ-ერთი სასწავლო საგანი კი არ არის, არამედ, სხვა საგანთაგან განსხვავებით, სწავლების ენაა, ყველა დანარჩენი საგნის შესწავლის საშუალებაა. სწავლების ძირითადი პრინციპია საგნის (ენისა და ლიტერატურის) შინაარსობრივი ერთიანობა.

პიროვნების საერთო კულტურა, საკომუნიკაციო და პროფესიული უნარ-ჩვევები სწორედ მშობლიური ენის საფუძველზე ყალიბდება. ის ქმნის იმ ძირითად ბაზისს, რომელსაც ეფუძნება ადამიანის თავისუფალი განვითარების მთელი შემდგომი პროცესი. სწორედ ამის გათვალისწინებით განისაზღვრება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ძირითადი მიზნები:

- განუვითაროს მოზარდს ძირითადი საკომუნიკაციო უნარები (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა);
- გამოუმუშაოს წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა;
- განუვითაროს საკუთარი აზრის ლოგიკური თანამიმდევრობით გამოთქმისა და სხვადასხვა დანიშნულების წერილობითი ტექსტის შექმნის უნარი;
- ჩამოუყალიბოს დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და რეფლექსური აზროვნების უნარი;
- შეაყვაროს კითხვა; გამოუმუშაოს ლიტერატურის, როგორც სიტყვის ხელოვნებისა და კულტურის ფაქტის, აღქმისა და გაცნობიერების უნარი;
- გააცნობიერებინოს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურა, როგორც ცვლილებისა და განვითარების მუდმივმოქმედი პროცესი.

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის უნარ-ჩვევების განვითარება.

ზეპირმეტყველება. ეს მიმართულება ორ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ სამეტყველო ქცევას აერთიანებს. ესენია: **მოსმენა** და **ლაპარაკი**. ამ სამეტყველო ქცევებთან დაკავშირებული უნარ-ჩვევების თანამიმდევრული განვითარება მიზნად ისახავს თავისუფალი, თანამედროვე კომუნიკაციისათვის მზადყოფი პიროვნების ჩამოყალიბებას. ეს გულისხმობს ზეპირი მეტყველების, აზრის გამოხატვის უნარ-ჩვევების, მოსმენის კულტურის, სოციალური კომუნიკაციისა და ინტერაქტიური უნარების განვითარებას. მათი განვითარება საფუძველს უყრის ჰუმანური, ტოლერანტული, სხვათა აზრის დამფასებელი პიროვნების აღზრდას.

კითხვა. კითხვის უნარის განვითარება **წიგნიერების** საფუძველია, რაც სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ეს მიმართულება ემსახურება მშობლიურ და მსოფლიო ლიტერატურასთან ზიარებას; ამასთანავე, ნაირგვარი წერილობითი ტექსტის წაკითხვის, მათში მოცემული ინფორმაციის გაგების, გააზრებისა და გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას. სწავლის პროცესში მოსწავლემ უნდა გამოიყენოს კითხვის ძირითადი სტრატეგიები, რათა შეძლოს ტექსტის შერჩევა, მასში სასურველი ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება, კრიტიკული კითხვა, გრამატიკული, სტატიკური და კონტექსტური მონაცემების გამოყენება ტექსტის ღრმად წვდომის მიზნით; სპეციალური საძიებლებისა და ლექსიკონების გამოყენება, ტექსტების სწრაფი და დიფერენცირებული კითხვა, მიღებული ინფორმაციის დამუშავება, მონაცემთა ანალიზი და დასკვნების გამოტანა.

წერა. ინფორმაციისა და საკუთარი აზრის წერილობითი გადმოცემა, წერის კულტურის ჩამოყალიბება პიროვნების ინტელექტუალური შესაძლებლობების რეალიზაციის აუცილებელი პირობაა. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური შემოქმედებითი უნარის გამოვლენა და განვითარება, აზრებისა და დამოკიდებულებების გამოხატვის ენობრივ-სტილისტური საშუალებების დაუფლება, მიზნის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება (წინასწარი გეგმის შედგენა, საკვანძო სიტყვების შერჩევა, „შავი“ ხელნაწერის გასწორება-რედაქტირება და ა.შ.). მოსწავლე უნდა დაეუფლოს აზრის წერილობით ჩამოყალიბების უნარ-ჩვევებს, აგრეთვე მკაფიო ხელწერას, მართლწერისა და პუნქტუაციის სავალდებულო ნორმებს.

ენა აზროვნებისა და კომუნიკაციის საშუალებაა. შესაბამისად, მისი სწავლება ენის უმთავრესი ფუნქციის წინ წამოწევასა და პრიორიტეტულ მიზნად დასახვას უნდა ემსახურებოდეს.

- ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება, როგორც აზროვნების საშუალება, უპირველესად გულისხმობს ადამიანის თვითგამოხატვის ენობრივი საშუალებების ფლობას, ენის სემანტიკური და სტრუქტურული კანონზომიერებების ცოდნას; მოსწავლეები ეუფლებიან მშობლიური ენის მართლწერისა და მართლმეტყველების ძირითად ნორმებს. მშობლიური ენის სწავლების ძირითად პრინციპს წარმოადგენს ენის აქტიური გამოყენების უნარ-ჩვევების დაუფლება, რაც გულისხმობს მოსწავლეებში ენობრივი კომპეტენციის განვითარებას და არა მხოლოდ გრამატიკული ცოდნის თვითმიზნურ დაგროვებას. ძირითადი აქცენტი გადატანილია პრაქტიკული გრამატიკის სწავლებაზე. ამიტომ სწავლის პროცესში ენის საკითხები უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს ტექსტს და კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციას.
- ენის სწავლების ამ კომპონენტთან მჭიდროდაა დაკავშირებული ენის კომუნიკაციური ასპექტები. მისი მიზანია, გამოუმუშაოს მოსწავლეს ის უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია ამა თუ იმ სამეტყველო სიტუაციის მართებულად შეფასებისა და სამეტყველო ქცევის ადეკვატურად წარმართვისათვის, ნებისმიერ სოციალურ გარემოში წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად, კომუნიკაციის ძირითადი ხერხებისა და სტრატეგიების დასაუფლებლად. ენის სწავლების ეს კომპონენტი სოციალური ინტერაქციისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას ისახავს მიზნად.
- მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა. ლიტერატურის სწავლების პროცესმა ხელი უნდა შეუწყოს და ერთგვარი ბიძგი მისცეს თითოეულ მოსწავლეში არსებული უნიკალური - ინდივიდუალური და შემოქმედებითი - პოტენციალის გამოვლენას. მხატვრული ლიტერატურის შესწავლისას, მისი თავისებურებებიდან გამომდინარე, მოსწავლეთა წინაშე ბუნებრივად ჩნდება საკუთარი თავისა და სამყაროს შეცნობის ინდივიდუალური პერსპექტივა.
- პიროვნებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროცესში ლიტერატურის სწავლების მიზანია არა იდეოლოგიზებული ცნობიერების მქონე ადამიანის აღზრდა, არამედ ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელშიც მოსწავლეს საშუალება ექნება, პიროვნული გამოცდილების საფუძველზე გაიაზროს და შეაფასოს მხატვრულ ტექსტებში ასახული სიღრმისეული და ცხოვრებისეული პრობლემები. ლიტერატურასთან ურთიერთობამ უნდა განუვითაროს მოსწავლეს მხატვრული და ესთეტიკური გემოვნება, გაუღვიძოს შინაგანი აქტიურობისა და თვითშემეცნების სურვილი.

2. ქართული ენა და ლიტერატურა დაწყებით საფეხურზე

შესავალი

მშობლიური ენის სწავლება დაწყებით საფეხურზე ემსახურება აუცილებელი ენობრივი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის მიმართულებით. ამავე დროს, ეს პროცესი გულისხმობს იმ მინიმალური ლინგვისტური კომპეტენციის ფორმირებას, რომელიც ენის პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით არის აქტუალური და შეესაბამება მოსწავლის ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და ინტერესებს.

მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება დაწყებით საფეხურზე ეფუძნება მდიდარ ტექსტურ კორპუსს – სხვადასხვა სახის მხატვრულ და არამხატვრულ, ასევე მულტიმედიურ ტექსტებს.

ტექსტების ნაირსახეობა ქმნის იმ აუცილებელ თემატურ გარემოს, რომლის გაცნობაც მოსწავლეს შესძენს ცხოვრებისეული ურთიერთობებისათვის საჭირო გამოცდილებას. მოსწავლეები უნდა დაეუფლონ მხატვრული, საინფორმაციო-შემეცნებითი და პრაგმატული ტექსტების აღქმის, გაგების, გამოყენებისა და შექმნის, ასევე ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების საბაზისო უნარ-ჩვევებს. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ასევე მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას. მოსწავლეებმა უნდა შეძლონ მიღებული ცოდნისა თუ ენობრივი გამოცდილების საფუძველზე ახალი ტექსტების შექმნა და თვითგამოხატვა.

მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, I-IV კლასების სტანდარტის მოთხოვნების შესრულებისას ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს მოსწავლეთა ბუნებრივი ენობრივი უნარების კორექციასა და შემდგომ განვითარებაზე, ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე; ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის კულტურის გამომუშავებაზე (საწყის დონეზე). მუშაობა უნდა წარიმართოს იმ მიმართულებითაც, რომ მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ პოზიტიური დამოკიდებულება კითხვისა და, ზოგადად, სწავლის მიმართ, განუვითარდეთ მეტაკოგნიტური უნარები საწყის დონეზე (საკუთარ სწავლის პროცესზე დაკვირვება, დამოუკიდებლად მუშაობა, სასწავლო საქმიანობის ორგანიზება და სხვ.).

მიმართულებების აღწერა

მიმართულება: ზეპირმეტყველება

ზეპირმეტყველება (მოსმენა და ლაპარაკი) უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ცოდნის შეძენისა და ენობრივი უნარ-ჩვევების განვითარების პროცესში. გასათვალისწინებელია, რომ კითხვისა და წერისგან განსხვავებით, ზეპირმეტყველების უნარები მოსწავლეებს უკვე მეტ-ნაკლებად განვითარებული აქვთ სკოლაში მისვლისას: მათ ადრეული ცოდნა, ძირითადად, შეძენილი აქვთ მოსმენით; კომუნიკაციისა თუ თვითგამოხატვის მიზნით კი ამ ასაკის მოსწავლეები უმეტესწილად ლაპარაკს იყენებენ.

სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა ზეპირმეტყველების უნარების განვითარებას სისტემური და თანამიმდევრული ხასიათი უნდა მიეცეს. მოსმენილის ზეპირად გადმოცემა/თხრობა, მასზე აზრის გამოთქმა, პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და სხვა ხელს უწყობს გაგება-გააზრების პროცესებს. სწავლების პროცესში მოსმენილი ტექსტობრივი მასალის ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და შესწავლილი სიტყვების აქტიურად გამოყენებით კი თანდათანობით მდიდრდება მოსწავლეთა ლექსიკური მარაგი, იხვეწება მათი მეტყველება.

I-IV კლასებში საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლეთა ფონოლოგიური უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც კითხვისა და მართლმეტყველების საფუძველს წარმოადგენს. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მართლწერისა და, ზოგადად, წერითი მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარებას. მუშაობა უნდა წარიმართოს ასევე მოსწავლეთა ორთოეპიული (მართლწარმოთქმის) უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და განვითარების მიმართულებით.

V-VI კლასებში სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს კრიტიკული მოსმენის, მოსმენილის ინტერპრეტაციისა და შეფასების უნარ-ჩვევების გამომუშავებას; ინდივიდუალური და ჯგუფური საკომუნიკაციო უნარების, ასევე თვითგამოხატვის უნარ-ჩვევების განვითარებას.

მიმართულება: კითხვა

საწყის ეტაპზე კითხვის სწავლების უპირველესი მიზანია მოსწავლეებში წერილობითი ტექსტის გაშიფვრის უნარის გამომუშავება (გაშიფვრა, იგივე დეკოდირება – სიტყვის გრაფიკული ხატის აკუსტიკურ ხატად კონვერტირება, ანუ ასოების ამოცნობა და მათი დაკავშირება შესაბამის ბგერებთან; ბგერების სიტყვად გამთლიანება, აკუსტიკური ხატის სიტყვის მნიშვნელობასთან დაკავშირება). ეს საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, განვითარონ გაწაფული კითხვის უნარ-ჩვევები, თუმცა მუშაობა იმავდროულად უნდა წარიმართოს წაკითხულის გაგება-გააზრების უნარის განვითარების მიმართულებითაც – მოსწავლეებს უნდა ესმოდეთ ის, რასაც კითხულობენ. სწორედ ეს უნარი აძლევს მათ საშუალებას, შეიძინონ ცოდნა და მიიღონ ინფორმაცია სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების ტექსტებიდან.

კითხვის სწავლების საბოლოო მიზანია წაკითხულის გააზრება, რაც გულისხმობს მკითხველის აქტიურ მონაწილეობას კითხვის პროცესის სამივე ეტაპზე: კითხვის დაწყებამდე, კითხვის დროსა და კითხვის შემდეგ. კითხვის ტექნიკის თანდათანობით სრულყოფა საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, გახდნენ გაწაფული მკითხველები, გაიგონ და გააზრონ წაკითხული.

წაკითხულის გაგება-გააზრება მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ლექსიკურ მარაგზე - რაც უფრო მდიდარია მოსწავლის ლექსიკური მარაგი, მით უფრო წარმატებულია იგი, როგორც მკითხველი. ამდენად, ლექსიკური მარაგის შევსება-გამდიდრებაზე ზრუნვას სწავლების საწყის ეტაპზევე საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს. ზეპირი და ბეჭდური ვერბალური ტექსტების გარდა, მუშაობა უნდა წარიმართოს ასევე მულტიმედიური ტექსტების კითხვა-გაგების მიმართულებითაც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ზოგადი წიგნიერების უნარ-ჩვევების განვითარებას.

V-VI კლასებში ღრმავდება მოსწავლეთა ენობრივი კომპეტენციები როგორც რეცეფციულ, ისე ფუნქციურ დონეზე, მოსწავლეებს თანდათან უყალიბდებათ ესთეტიკური და ემოციური დამოკიდებულება მხატვრული ტექსტების მიმართ. ამ შინაგანი პროცესების სტიმულირებას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს. მუშაობა უნდა წარიმართოს იმ მიმართულებითაც, რომ მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ და განუვითარდეთ ქვეტექსტის (იმპლიციტური ინფორმაციის) წვდომის, ასევე მასალის კონტექსტში გააზრებისა და ინტეგრეტაციის, კრიტიკული აზროვნებისა თუ წაკითხულის შეფასების უნარები.

მიმართულება: წერა

მოსწავლეთა უმრავლესობა წერას სწავლების პირველ წელს სწავლობს. წერაში კარგი შედეგების მისაღწევად აუცილებელია, მოსწავლეებმა წერონ ხშირად და მიზანმიმართულად.

სხვადასხვა სახისა და ტიპის ტექსტების შედგენაზე მუშაობა თავდაპირველად უნდა წარიმართოს მასწავლებლის ხელმძღვანელობით, საყრდენების/მინიშნებების გამოყენებით თუ მოდელის მიხედვით. მკაფიო და გასაგები ინსტრუქციების თანხლებით, მრავალფეროვანი კონტექსტის მქონე წერითი დავალებების შესრულების გზით მოსწავლეები თანდათან დახვეწენ კალიგრაფიას, გაიწაფებიან წერაში და შეიქმნიან გარკვეულ წარმოდგენას წერის პროცესზე, რაც გულისხმობს მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას წერის სამივე ეტაპზე: წერის დაწყებამდე, წერის პროცესში, წერის შემდეგ.

V-VI კლასებში მუშაობა უნდა წარიმართოს იმ მიმართულებით, რომ მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ გამართული წერითი მეტყველების, აზრის თანამიმდევრულად და ლოგიკურად გადმოცემის უნარ-ჩვევები. ასევე სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლეთა თვითგამოხატვისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

ა) I-IV კლასების სტანდარტი

IV კლასის ბოლოს მისაღწევი შედეგები

ინდექსების განმარტება

დაწყებითი საფეხურის სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., ქართ.დაწყ.(I).1

„ქართ.“ – მიუთითებს საგანს „ქართული ენა და ლიტერატურა“;

„დაწყ.(I).“ – მიუთითებს I-IV კლასების სტანდარტს;

„1“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის შედეგები (I-IV კლასები)	
	მიმართულება: ზეპირმეტყველება
შედეგების ინდექსი	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
ქართ.დაწყ.(I).1	სათანადო სამეტყველო ქცევის გამოვლენა ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციაში.
ქართ.დაწყ.(I).2	სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.
ქართ.დაწყ.(I).3	პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა.
ქართ.დაწყ.(I).4	ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციების სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა.
ქართ.დაწყ.(I).5	ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.
	მიმართულება: კითხვა
შედეგების ინდექსი	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
ქართ.დაწყ.(I).6	გაწაფულად კითხვა.
ქართ.დაწყ.(I).7	სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება.
ქართ.დაწყ.(I).8	მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით; ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით.
ქართ.დაწყ.(I).9.	წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება.
ქართ.დაწყ.(I).10	სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მაორგანიზებელი ელემენტების, სტრუქტურული და კომპოზიციური მახასიათებლების ამოცნობა.
ქართ.დაწყ.(I).11	სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება.
ქართ.დაწყ.(I).12	კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.
	მიმართულება: წერა

შედგების ინდექსი	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
ქართ.დაწყ.(I).13	სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივი ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე.
ქართ.დაწყ.(I).14	ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების ადეკვატურად გამოყენება; კალიგრაფიისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა.
ქართ.დაწყ.(I).15	წერის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

შინაარსი

I-IV კლასების მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ქვემოთ ჩამოთვლილი ენობრივი საკითხების, ასევე ტერმინებისა და ცნებების სწავლება უნდა მიმდინარეობდეს პრაქტიკული აქტივობებით. სწავლების ამ ეტაპზე მიზანშეწონილი არ არის გრამატიკული წესებისა და ენობრივი კანონზომიერებების თეორიული სწავლება.

ენობრივი ცოდნა და უნარ-ჩვევები

ენის ლექსიკოლოგიური ასპექტი

აქტიური ლექსიკური ფონდის შევსება; სიტყვიერი მარაგის გამდიდრება დარგობრივი ლექსიკური ერთეულებით; სიტყვათა სემანტიკური და ლექსიკური კავშირების (სინონიმის, ანტონიმის, ერთი სემანტიკური ჯგუფის სიტყვების) ამოცნობა და გამოყენება; სიტყვაწარმოება ელემენტარულ დონეზე; მარტივ ფრაზეოლოგიზმებზე, სიტყვათა მრავალმნიშვნელობაზე დაკვირვება.

ენის გრამატიკული ასპექტი

თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი და ძახილის წინადადებების ამოცნობა და გამოყენება; სასვენი ნიშნების ამოცნობა და გამოყენება ნასწავლ კონტექსტებში (მაგ., ჩამონათვალში, დიალოგში); სიტყვათა ფორმაცვალების კანონზომიერებათა აღმოჩენა (მაგ., ზმნის უღლება, სახელის ბრუნება, მხოლობითისა და მრავლობითის ფორმების წარმოება); სივრცული, დროითი და მიზეზშედეგობრივი მიმართებების გამომხატველი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების ამოცნობა და გამოყენება; მართლმეტყველებისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა.

ცნებები და ტერმინები

- **სიტყვის აგებულება:** ბგერა, ხმოვანი და თანხმოვანი ბგერები; ასო, მარცვალი;
- **ტექსტის აგებულება:** სიტყვა, წინადადება, სტრიქონი, აზნაცი, ტექსტი, სათაური, თავი, მიმართვა, ხელმოწერა; სასვენი ნიშნები (წერტილი, მძიმე, კითხვითი ნიშანი, ძახილის ნიშანი, ტირე, ორწერტილი, მრავალწერტილი);
- **ლიტერატურათმცოდნეობის საბაზისო ცნებები:** მოთხრობა, ზღაპარი, იგავ-არაკი, ლექსი, თქმულება/ლეგენდა, ავტორი, პერსონაჟი/გმირი; სიუჟეტი (მოქმედების დრო, ადგილი; ამბის დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული); ნაწარმოების თემა, დედააზრი (მთავარი იდეა), ეპითეტი, შედარება.

მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ცნებების დამუშავება უნდა ხდებოდეს თვალსაჩინო მასალის საფუძველზე, რათა მოსწავლემ კონკრეტული მაგალითების მეშვეობით გაიაზროს მათი მნიშვნელობა. ამ ეტაპზე მიზანშეწონილი არ არის ცნებების/ტერმინებისა და მათი განმარტებების თეორიული სწავლება.

საკითხავი ტექსტების ტიპები

- **მხატვრული:** პროზაული და პოეტური ნაწარმოებები, ფოლკლორის ნიმუშები: ლექსები, ზღაპრები, თქმულებები, ლეგენდები, მითები, ენის გასატეხები, გამოცანები, ანდაზები და სხვ.; კომიქსები.
- **არამხატვრული:**
- ა) პრაგმატული ტექსტები: რეკლამა, რეცეპტი, განრიგი, ტელეპროგრამა, მოსაწვევი ბარათი, სია, სამახსოვრო წესები, ცხრილი, გეგმა, ინსტრუქცია, გამაფრთხილებელი წარწერა/აზრა, ღია ბარათი, ინტერვიუ, განცხადება (მაგ., საყმაწვილო ჟურნალში), წერილი (მაგ., მეგობრული);
- ბ) ასაკის შესაბამისი სირთულის საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები: სტატიები საბავშვო ენციკლოპედიიდან, ჟურნალიდან, გაზეთიდან და სხვ;
- გ) დიდაქტიზებული ტექსტები (საანბანო და სასაუბრო ტექსტები და სხვ.).
- **მულტიმედია:** მულტფილმი, საბავშვო სიმღერა, კინოფილმი, სასწავლო-შემეცნებითი ფილმი, სხვადასხვა სახის ვიდეო-, აუდიო-, აუდიოვიდეომასალა (რეკლამა, ანონსი, რეპორტაჟი, სლაიდშოუ), საბავშვო სპექტაკლი; სტატიები საბავშვო ვებგვერდიდან, ვებპორტალიდან, მიმიკური მიზანსცენა, სხვ.

ბ) V-VI კლასების სტანდარტი

VI კლასის ბოლოს მისაღწევი შედეგები

ინდექსების განმარტება

დაწყებითი საფეხურის სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **ქართ.დაწყ.(II).1**

„**ქართ.**“ – მიუთითებს საგანს „ქართული ენა და ლიტერატურა“;

„**დაწყ.(II).**“ – მიუთითებს V-VI კლასების სტანდარტს;

„**1**“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის შედეგები (V-VI კლასები)	
	1. მიმართულება: ზეპირმეტყველება
შედეგების ინდექსი	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
ქართ.დაწყ.(II).1	სამეტყველო ქცევის წარმართვა საკომუნიკაციო მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად.
ქართ.დაწყ.(II).2	სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა და გაგება-გააზრება; ტექსტებზე მსჯელობა და დასკვნის გამოტანა.
ქართ.დაწყ.(II).3	სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ნაცნობი ტექსტების ინტერპრეტირება და შეფასება; მათ მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასება (საწყის დონეზე).
ქართ.დაწყ.(II).4	სათანადო ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ამოცნობა და ადეკვატურად გამოყენება.
ქართ.დაწყ.(II).5	ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.
	მიმართულება: კითხვა
შედეგების ინდექსი	მოსწავლემ უნდა შეძლოს:

ქართ.დაწყ.(II).6.	სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა, გაგება და გაანალიზება არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების/დეტალების გათვალისწინებით.
ქართ.დაწყ.(II).7.	წაკითხული ტექსტების ინტერპრეტირება, დასაბუთებული დასკვნის გამოტანა და შეფასება; ტექსტების მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; კითხვით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემა.
ქართ.დაწყ.(II).8.	სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკური და სემანტიკური მახასიათებლების, სტრუქტურულ-კომპოზიციური ელემენტებისა და ენობრივ-გამომსახველობითი ფორმების ამოცნობა.
ქართ.დაწყ.(II).9.	კითხვის ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.
	მიმართულება: წერა
შედეგების ინდექსი	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
ქართ.დაწყ.(II).10.	ნაცნობ თემატიკაზე სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტების შექმნა.
ქართ.დაწყ.(II).11.	ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების მიზნობრივად შერჩევა და სათანადოდ გამოყენება; ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი ნორმების დაცვა.
ქართ.დაწყ.(II).12.	წერის ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.

შინაარსი

დაწყებითი საფეხურის დამამთავრებელ ეტაპზე (ისევე, როგორც I-IV კლასებში) ენობრივი საკითხების სწავლება უნდა მიმდინარეობდეს პრაქტიკული აქტივობებით. მიზანშეწონილი არ არის ძირითადი აქცენტის გადატანა გრამატიკული წესებისა და ენობრივი კანონზომიერებების თეორიულ დასწავლაზე. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ V-VI კლასებიდან უკვე იწყება მოსწავლეთა მეტაენობრივი უნარების განვითარებაზე ზრუნვა, აუცილებელია, რომ ენობრივ-გრამატიკული საკითხების დამუშავებას უფრო სისტემური და თანამიმდევრული ხასიათი მიეცეს.

ენობრივი ცოდნა და უნარ-ჩვევები

ენის ლექსიკოლოგიური ასპექტი: აქტიური ლექსიკური ფონდის შევსება სხვადასხვა დარგობრივი ცნებებითა და ტერმინებით, მხატვრული ნაწარმოებების შესწავლისას ათვისებული ლექსიკური ერთეულებითა თუ ფრაზეოლოგიზმებით; ახალი სიტყვებისა და ფრაზების გააზრებულად წარმოება ნაცნობი მოდელების მიხედვით.

ენის გრამატიკული ასპექტი: სიტყვათა მორფოლოგიური აგებულება (სახელთა ბრუნვის ფორმები და მათი ფუნქციები); ზოგიერთი გრამატიკულ-სემანტიკური კატეგორია (არსებითი სახელის ჯგუფები; ზმნის დრო, კილო, ასპექტი); წინადადებათა მოდალობები; წინადადების ძირითადი წევრები; ძირითადი სინტაქსური მიმართებები სიტყვებს შორის (შეთანხმება ზმნასა და სახელს შორის პირსა და რიცხვში); სახელისა და ზმნის ძირითადი გრამატიკული კატეგორიები და მათი სინტაქსური ფუნქციები წინადადებაში.

ცნებები და ტერმინები

- ტექსტის აგებულება: ქვეთავი.
- ტექსტის ფუნქციური ტიპები: თხრობა, აღწერა, მსჯელობა.
- ლიტერატურათმცოდნეობის საბაზისო ცნებები და ტერმინები: მხატვრული ლიტერატურა, არამხატვრული ლიტერატურა; ნაწარმოების ქვეთემა; ჰიპერბოლა, გაპიროვნება.

მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, პროგრამით განსაზღვრული ცნებების დამუშავება უნდა ხდებოდეს თვალსაჩინო მასალის საფუძველზე, რათა მოსწავლემ კონკრეტული მაგალითების მეშვეობით გაიაზროს მათი მნიშვნელობა. სწავლების ამ ეტაპზე მიზანშეწონილი არ არის ძირითადი აქცენტის გადატანა ცნებების/ტერმინებისა და მათი განმარტებების თეორიულ სწავლებაზე.

საკითხავი ტექსტების ტიპები

- **მხატვრული:**
პროზაული და პოეტური ნაწარმოებები, ფოლკლორის ნიმუშები: ლექსები, ზღაპრები, თქმულებები, ლეგენდები, მითები, ენის გასატეხები, გამოცანები, ანდაზები და სხვ.; კომიქსები.
- **არამხატვრული:**
 - ა) ბიოგრაფიული ტექსტები, პრაგმატული ტექსტები: რეკლამა, რეცეპტი, განრიგი, ტელეპროგრამა, მოსაწვევი ბარათი, სია, სამახსოვრო წესები, ცხრილი, გეგმა, ინსტრუქცია, გამაფრთხილებელი წარწერა/აბრა, ღია ბარათი, ინტერვიუ, განცხადება, წერილი (მეგობრული, ოფიციალური).
 - ბ) საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები: სტატიები საბავშვო ენციკლოპედიიდან, ჟურნალიდან, გაზეთიდან და სხვ.
- **მულტიმედია:**
მულტიფილმი, საბავშვო სიმღერა, მხატვრული და/ან დოკუმენტური ფილმები, სასწავლო-შემეცნებითი ფილმი, სხვადასხვა სახის ვიდეო-, აუდიო-, აუდიოვიდეომასალა (რეკლამა, ანონსი, რეპორტაჟი, სლაიდშოუ), საბავშვო სპექტაკლი; სტატიები საბავშვო ვებგვერდიდან, ვებპორტალიდან, მიმიკური მიზანსცენა, სხვ.

[3. ქართული ენა და ლიტერატურა საბაზო საფეხურზე

შესავალი

საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

- ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;
- ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი;
- გ) მეთოდოლოგიური ორიენტირები;
- დ) შეფასება;
- ე) დანართი.

საბაზო საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეები შეისწავლიან სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტებს (ქართველ კლასიკოსთა თხზულებებს, თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურას, არამხატვრულ ლიტერატურას და სხვ.). სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს პრობლემას (პრობლემებს), განსხვავებულ თვალსაზრისებს და მოითხოვს ამ პრობლემების გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, თვალსაზრისების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას.

საგნის სწავლა-სწავლებისას მოსწავლე ჩართული იქნება აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მისცემს.

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

საბაზო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს:

- მოსწავლეს განუვითაროს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ზეპირ და წერილობით ტექსტებზე დამოუკიდებლად მუშაობის, მათი გაგება-გაანალიზების, ინტერპრეტირებისა და არგუმენტირების უნარები;
- მოსწავლეს განუვითაროს ენობრივი უნარები, გაუმდიდროს ლექსიკური მარაგი;
- მოსწავლეს განუვითაროს მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნება;
- მოსწავლეს განუვითაროს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების (მათ შორის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნილი ტექსტების) შექმნისა და წარდგენა-გაზიარების უნარები;
- მოსწავლეს გამოუმუშავოს პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობა მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ზოგადად, ქართული კულტურის მიმართ;
- ხელი შეუწყოს მოსწავლის, როგორც სხვა კულტურების პატივისცემელი პიროვნების ფორმირებას;
- ხელი შეუწყოს მოსწავლის, როგორც ჰუმანურ ღირებულებებზე ორიენტირებული, შემოქმედებითი და მაძიებელი პიროვნების ფორმირებას.

ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას, რა უნდა შეეძლოს საბაზო საფეხურის მოსწავლეს საგან „ქართული ენისა და ლიტერატურის“ ფარგლებში?

სტანდარტის შედეგები ჯგუფდება ოთხი მიმართულების მიხედვით:

ტექსტის გაგება-გაანალიზება - გულისხმობს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტებში მოცემული ექსპლიციტური და იმპლიციტური ინფორმაციის გაგებას და მრავალმხრივად გააზრებას (სასწავლო გეგმაში ტერმინი „ტექსტი“ გამოიყენება ფართო მნიშვნელობით და გულისხმობს როგორც ბეჭდურ, ისე აუდიოვიზუალურ/მულტიმედიურ, აუდიო- და ვიდეოფორმატის ტექსტებს).

ცოდნისა და იდეების გაზიარება - ფოკუსირებულია მოსწავლის პროდუცირების უნარებზე. ეს გულისხმობს, რომ მოსწავლემ, წერილობითი ან ზეპირი ტექსტების სახით, უნდა წარმოადგინოს და გააზიაროს თავისი დამოუკიდებულება ტექსტის მიმართ, არგუმენტირებულად იმსჯელოს ნაცნობ თემებზე, საკითხებზე/პრობლემებზე; წარმოაჩინოს ცოდნა, იდეები ან/და ტექსტის გაცნობის შედეგად მიღებული საკუთარი უნიკალური გამოცდილება, ტექსტის მისეული ინტერპრეტაცია, დამოუკიდებლად ჩატარებული სამუშაოს შედეგები.

ენობრივი და სტრუქტურული მახასიათებლების გამოყენება - გულისხმობს სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში (ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის დროს) ენობრივი საშუალებებისა და ტექსტის სტრუქტურულ-კომპოზიციური ელემენტების ფუნქციურად გამოყენების უნარების განვითარებას.

სტრატეგიების გამოყენება - სწავლა-სწავლებისას გრძელდება მუშაობა იმ მიმართულებით, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში (ლაპარაკის, მოსმენის, კითხვისა თუ წერის დროს) კოგნიტური და მეტაკოგნიტური სტრატეგიების შერჩევისა და

გააზრებულად გამოყენების უნარი კონკრეტული სასწავლო ამოცანების შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს დამოუკიდებლად სწავლის უნარების განვითარებას.

სტანდარტის შინაარსი განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულო ცნებების, თემატური ბლოკებისა და საგნობრივი საკითხების სახით.

საკითხავი ლიტერატურა შეთავაზებულია 3 ძირითადი თემატური ბლოკის სახით. თემატური ბლოკები შემოსაზღვრავს ზოგად შინაარსობრივ კონტექსტებს და საფუძველს ქმნის სტანდარტის შედეგების მიღწევისთვის. თითოეული თემატური ბლოკი მოიცავს შესაბამის სასწავლო თემებს, განსაზღვრულს ლიტერატურის უნივერსალური მოტივების (/თემების) გათვალისწინებით. აქვეა წარმოდგენილი ჩამონათვალი სავალდებულო ნაწარმოებებისა, რომლებიც დამუშავდება შეთავაზებული თემატური ბლოკების ფარგლებში. საბაზო საფეხურის თითოეულ კლასში მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ სამივე თემატური ბლოკის შესაბამისი მასალა.

სწავლა-სწავლების პროცესში სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ცნებები და საკითხები ინტეგრირებულად დამუშავდება ყველა კონკრეტულ სასწავლო თემაში.

ინდექსების განმარტება

საბაზო საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების საფეხურსა და სტანდარტის შედეგის ნომერს, მაგ., **ქართ. საბ. 1.**

„ქართ.“ - აღნიშნავს საგანს „ქართული ენა და ლიტერატურა“;

„საბ“ - მიუთითებს საბაზო საფეხურს;

„1“ - მიუთითებს საგნობრივი სტანდარტის შედეგის ნომერს.

ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის შედეგები (VII-IX კლასები)		
შედეგების ინდექსი	მიმართულება: ტექსტის გაგება-გაანალიზება	ცნებები
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
ქართ.საბ.1.	ტექსტში მოცემული ფაქტობრივი და კონცეპტუალური ინფორმაციის ამოცნობა-გააზრება;	ტექსტი, ტექსტის ტიპები და ჟანრები
ქართ.საბ.2.	ტექსტის ცალკეულ ნაწილებს შორის არსებული მიმართებების გაანალიზება და სათანადო დასკვნების გამოტანა;	კომპოზიციური ელემენტები
ქართ.საბ.3.	ტექსტის კომპოზიციური ელემენტების გააზრება მთლიანი ტექსტის ფარგლებში;	სტრუქტურული და
ქართ.საბ.4.	ტექსტის კრიტიკული გააზრება კონტექსტური ფაქტორების გათვალისწინებით.	ორგანიზაციული ელემენტები
	მიმართულება: ცოდნისა და იდეების გაზიარება	ენობრივ-
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	გამომსახველობითი
ქართ.საბ.5.	ტექსტის ინტერპრეტაცია პირად ან/და ლიტერატურულ გამოცდილებაზე დაყრდნობით (მაგ. ხედვის პერსპექტივის შეცვლით, დროსა თუ სივრცეში გადანაცვლებით);	საშუალებები

ქართ.საბ.6.	ერთსა და იმავე თემაზე შექმნილი ტექსტების შედარება და მსჯელობა მათ მსგავსება-განსხვავებებზე;	ტექსტის კონტექსტი
ქართ.საბ.7.	საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ტექსტის შეფასება, ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა-დასაბუთება;	მიმართებები ტექსტებს შორის (ინტერტექსტუალობა)
ქართ.საბ.8.	სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების შედგენა-გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით (ზეპირი ან/და წერიტი მეტყველების დროს).	ტექსტის სიტუაციური მახასიათებლები (საკომუნიკაციო სიტუაცია)
მიმართულება: ენობრივი და სტრუქტურული მახასიათებლების გამოყენება		
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
ქართ.საბ.9.	ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და გრამატიკის საკითხების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერიტი მეტყველების დროს);	სტრატეგიები: ზეპირმეტყველების სტრატეგიები
ქართ.საბ.10.	სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერიტი მეტყველების დროს).	კითხვის სტრატეგიები წერის სტრატეგიები მეტაკოგნიტური სტრატეგიები
მიმართულება: სტრატეგიების გამოყენება		
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	გრამატიკა
ქართ.საბ.11.	ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და ადეკვატურად გამოყენება;	
ქართ.საბ.12.	სწავლის პროცესში გამოყენებული სტრატეგიების გაცნობიერება, გაანალიზება და შეფასება მიზანშეწონილობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით.	

ცნებები და საკითხები

ტექსტი

➤ ტიპები - მხატვრული, არამხატვრული

➤ ჟანრები

- მხატვრული: მოთხრობა, ნოველა, იგავი, მითი, ზღაპარი, ლეგენდა, ლექსი, პოემა.
- არამხატვრული: საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტი; ისტორიული წყარო; ესე; პუბლიცისტური წერილი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნებული მასალა (მაგ., საინფორმაციო ქრონიკა, ინტერვიუ, რეპორტაჟი, სტატია, რეკლამა); მემუარული პროზა; ბიოგრაფიული/ ავტობიოგრაფიული ტექსტი; პირადი/არაფორმალური წერილი; საჯარო გამოსვლა, ინსტრუქცია; ოფიციალურ-საქმიანი სტილის ტექსტები (მაგ., განცხადება, რეზიუმე/CV, ავტობიოგრაფია, ფორმალური წერილი).

➤ კომპოზიციური ელემენტები - თემა, ქვეთემა, იდეა; მოქმედების დრო და ადგილი; თხრობა, აღწერა; პერსონაჟები; დიალოგი; ავტორისეული დახასიათება; პეიზაჟი; პორტრეტი; ხედვის კუთხე/პერსპექტივა (ავტორის, მოთხრობელის, პერსონაჟის); ლირიკული გადახვევა; მორალი/შეგონება (იგავის); სიუჟეტი და მისი განვითარების საფეხურები; კონფლიქტი; რითმა, მეტრი, სტროფი, ტაეპი.

► **სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტები** - სათაური; თავი; რუბრიკა; აზნა; მიმართვა; ხელმოწერა; არავერბალური ელემენტები (ილუსტრაცია, ლოგო, სქემა, შრიფტის სახესხვაობა და ზომა).

კონტექსტი - ტექსტის შექმნის ეპოქა, ადგილი; ეპოქის ზოგადი კონტექსტი (მაგ., რეალიზმი, ფასეულობები, ცოდნის დონე); ავტორის ცხოვრებისეული და სულიერი გამოცდილება (მაგ., შეხედულებები, დამოკიდებულებები).

მიმართებები ტექსტებს შორის (ინტერტექსტუალობა) - ალუზია; ციტირება.

ტექსტის სიტუაციური მახასიათებლები (საკომუნიკაციო სიტუაცია) - კომუნიკაციის ადგილი; კომუნიკაციის მიზანი; ავტორი; აუდიტორია, მკითხველი; მონაწილეები (დისკუსიის, დებატების); არავერბალური მეტყველება (მაგ., სხეულის ენა, ხმის ძალა, ინტონაცია).

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები (ლექსიკა, სტილი, მხატვრული ხერხები, რიტორიკული ხერხები)

- **ლექსიკა, სტილი** - ომონიმი, დიალექტიზმი, ბარბარიზმი, ჟარგონი, არქაიზმი, ნეოლოგიზმი; ფრაზეოლოგიზმი; აფორიზმი; სიტყვაწარმოება; სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა; სტილისტური ხარვეზი (ტავტოლოგია, კალკი, პარონიმები); სხვადასხვა ფუნქციური სტილი (სასაუბრო, მხატვრული, პუბლიცისტური, ოფიციალურ-საქმიანი, სამეცნიერო);
- **მხატვრული სტილის ენობრივი ფიგურები** - ტროპები (ეპითეტი, შედარება, ჰიპერბოლა, მეტაფორა, ალიტერაცია, ალეგორია, ირონია).
- **რიტორიკის ელემენტები** - თეზისი, არგუმენტი; რიტორიკული შეკითხვა, რიტორიკული მიმართვა, განმეორება; რიტორიკული სტილის ძირითადი მახასიათებლები (სარწმუნოობა, ლოგიკა, ემოცია).

სტრატეგიები

- **ზეპირმეტყველების (ლაპარაკის, მოსმენის) სტრატეგიები** (მაგ., კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებლების განსაზღვრა, წინარე ცოდნის მობილიზება, რეპეტიციის გავლა, პარაფრაზირება; წინასწარი ვარაუდების გამოთქმა, დამაზუსტებელი კითხვების დასმა, ჩანაწერების კეთება).
- **კითხვის სტრატეგიები** (მაგ., წინარე ცოდნის გააქტიურება, დაკავშირება, ვარაუდების გამოთქმა, წაკითხულის ვიზუალიზაცია, შეჯამება, შეკითხვების დასმა, ხელახლა წაკითხვა, დაჯგუფება-დახარისხება, კონტექსტზე დაყრდნობით/ლექსიკონის გამოყენებით სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობა-დადგენა).

- **წერის სტრატეგიები** (მაგ., კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებლების განსაზღვრა; იდეების გენერირება; იდეების დაჯგუფება; ცოდნის მობილიზება; გეგმის შედგენა; პირველადი ვარიანტის შედგენა; პირველადი ვარიანტის გაუმჯობესება; ნაწერის გაფორმება და წარდგენა-გაზიარება).
- **მეტაკოგნიტური სტრატეგიები** (მაგ., აქტივობის/დავალების ღირებულების გააზრება; დაფიქრება სწავლის პროცესზე, წინსვლა-განვითარების შემაფერხებელი და ხელშემწყობი ფაქტორების გაცნობიერება, სწავლის პროცესის დაგეგმვა).

მეტყველების ფუნქციური ტიპები: თხრობა, აღწერა, მსჯელობა.

ქართული ენის ისტორია: მსოფლიოს ენათა ოჯახები; ქართული ენა, ქართველური ენები, ქართული ენის დიალექტები; ქართული სალიტერატურო ენა, ქართული დამწერლობა (ანბანი).

გრამატიკის საკითხები

მორფოლოგია

ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილები:

- **სახელები** (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი): სახელთა ჯგუფები შინაარსის მიხედვით; სახელთა ბრუნება; სახელთა წარმოქმნა; კომპოზიცია.
- **ზმნა:** ძირითადი ზმნური კატეგორიები; გარდამავლობა; ზმნისწინი; ზმნის უღლება; თავისებური ზმნები.
- **სახელზმნები** (საწყისი და მიმღეობა).

ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები:

- **ზმნიზედა** (ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზისა და მიზნის);
- **თანდებული** (ცალკე მდგომი და შერწყმული);
- **კავშირი და მისი ჯგუფები;**
- **ნაწილაკი და მისი ჯგუფები;**
- **შორისდებული და მისი ჯგუფები.**

სინტაქსი

- **სიტყვათა შორის სინტაქსური ურთიერთობის სახეები** - შეთანხმება, მართვა, მირთვა;
- **წინადადების წევრები:** მთავარი და არამთავარი წევრები;

- **წინადადება:** წინადადება მოდალობის მიხედვით; წინადადება აგებულების მიხედვით; მარტივი წინადადება და მისი სახეები; შერწყმული წინადადება; რთული წინადადების სახეები; წინადადებათა შეერთების საშუალებები; დამოკიდებული წინადადების სახეები რთულ ქვეწყობილ წინადადებაში.
- განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები;
- პირდაპირი და ირიბი ნათქვამი.

აღნიშნულ ენობრივ-გრამატიკულ საკითხებთან დაკავშირებული სალიტერატურო ენის ნორმები, მართლწერა, პუნქტუაცია.

საკითხავი ლიტერატურა

საბაზო საფეხურის მოსწავლეთა საკითხავი ლიტერატურის ძირითად ბირთვს წარმოადგენს ქართული მწერლობა. მათგან ცალკე ჯგუფს ქმნის სავალდებულო ნაწარმოებები - ქართული მწერლობის კლასიკოსთა დროში გამოცდილი თხზულებები, რომლებმაც მყარად დაიმკვიდრეს ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში და წარმოადგენენ საყრდენ ტექსტებს ცალკეული თემების შესწავლის დროს (სავალდებულო ნაწარმოებების ჩამონათვალი იხ. თემატური ბლოკების ქვემოთ).

სწავლა-სწავლების პროცესში, ამა თუ იმ თემატური ბლოკის ან/და სასწავლო თემის ფარგლებში, სავალდებულო ნაწარმოებებთან ერთად მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ არასავალდებულო ლიტერატურაც - მხატვრული და არამხატვრული ტექსტები, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს და დაეხმარება მათ სტანდარტით განსაზღვრული საგნობრივი ცნებებისა და საკითხების ათვისებაში, უნივერსალური ლიტერატურული მოტივების (/თემების) წვდომა-გააზრებაში.

ძირითადი თემატური ბლოკები და სასწავლო თემები

I თემატური ბლოკი. ადამიანი და მისი ცხოვრება

ადამიანის ცხოვრების გზა (მაგ., ადამიანის ყოფა-ცხოვრება, საქმიანობა, ურთიერთობა სხვა ადამიანთან), ადამიანის შინაგანი სამყარო (მაგ., ემოციები, გრძნობები, განცდები, ოცნებები; წარმოსახვა-ფანტაზია);

საზოგადოებაში თანაცხოვრება (მაგ., ადამიანის ადგილი საზოგადოებაში, საზოგადოების ზეგავლენა ადამიანზე, ადამიანის ზეგავლენა საზოგადოებაზე).

II თემატური ბლოკი. სამყაროს შეცნობა, ახლის ძიება

მშობლიური სამყარო (მაგ., მშობლიური ქვეყნის წარსული, აწმყო, მომავალი; ენა, კულტურა, ტრადიციები; მშობლიური ქვეყნის მრავალფეროვნება);

ბუნებასთან ურთიერთობა (მაგ., ბუნების მშვენიერება, ჰარმონიულობა; წონასწორობა/ბალანსი ადამიანსა და ბუნებას შორის, კონფლიქტი ბუნებასთან და მისი შედეგები; ზრუნვა ბუნებაზე/გარემოზე თანამედროვე ეპოქაში);

ახალი სამყაროს აღმოჩენა-შემეცნება (მაგ., ახლის/სიახლის აღმოჩენის გზები, ახლის ნახვით/აღმოჩენით მიღებული ცოდნა და გამოცდილება, ურთიერთმიმართება ახალსა და ნაცნობს/ჩვეულს შორის).

III თემატური ბლოკი. მარადიული ძიებები

სიკეთე და ბოროტება (მაგ., სიკეთისა და ბოროტების ურთიერთმიმართება, ადამიანის ნების როლი სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირებაში);

ცხოვრების საზრისი (მაგ., ადამიანის არსებობის მიზანი, ადამიანური პოტენციალის რეალიზების გზების ძიება-გააზრება).

სავალდებულო ნაწარმოებები

1. ლეონტი მროველი - „ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოსი“: მირიანის ნადირობა და მზის დაბნელება (ადაპტირებული სახით);
2. შოთა რუსთველი - „ვეფხისტყაოსანი“: „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“, „ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა“, „ანდერძი ავთანდილისა“ (მითითებული სახით), „თათბირი ნურადინ ფრიდონისა“, „თათბირი ავთანდილისა“, „თათბირი ტარიელისა“;
3. სულხან-საბა ორბელიანი - „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“: ცალკეული იგავები, შერჩეული სამი ძირითადი თემატური ბლოკის გათვალისწინებით (ადაპტირებული სახით);
4. დავით გურამიშვილი - „დავითიანი“: 3 თავი (ლექთაგან დატყვევება; სიზმარი ტყვეობასა შინა; ტყვეობიდან გაპარვა) (მითითებული სახით);
5. ნიკოლოზ ბარათაშვილი - „ბედი ქართლისა“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „სული ობოლი“;
6. ილია ჭავჭავაძე - „ბაზალეთის ტბა“, „სარჩობელაზედ“, „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“ (მითითებული სახით), „სიტყვა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე“ (მითითებული სახით);
7. აკაკი წერეთელი - „განთიადი“, „თორნიკე ერისთავი“, „ბაში-აჩუკი“;
8. ვაჟა-ფშაველა - „ჩემი ვედრება“, „კაი ყმა“, „ხმელი წიფელი“;
9. მიხეილ ჯავახიშვილი - „ემშაკის ქვა“;
10. გალაკტიონ ტაბიძე - „ქარი ქრის“, „გაგონდება თუ არა“, „წამყე ბეთანიისაკენ“, „მამული“;
11. კონსტანტინე გამსახურდია - „მთვარის მოტაცება“: ფრაგმენტი (მითითებული სახით);
12. გიორგი ლეონიძე - „ნატვრის ხე“: მარიტა;
13. კოლაუ ნადირაძე - „25 თებერვალი“;

14. ანა კალანდაძე - „ვაჟო, დილის მზის სხივო...“;

15. ჭაბუა ამირეჯიბი - „დათა თუთაშხია“: მოსე ზამთარაძის ნაამბობი.

საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვები:

საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვები სტანდარტის ცნებებსა და საკითხებს აკავშირებს შედეგებთან:

- რა მიზნით ვკითხულობ? რა შეიძლება გავაკეთო იმისთვის, რომ უკეთ გავიგო/გავიაზრო ტექსტი? (/როგორ მოქმედებენ კარგი მკითხველები, როდესაც არ ესმით ტექსტი?)
- რატომ/რა მიზნით იყენებს ავტორი ამა თუ იმ ენობრივ-გრამატიკულ ფორმებსა და ლექსიკურ საშუალებებს, მხატვრულ და სტილურ ხერხებს? რატომ არის ეს ტექსტი მოთხრობა (/ პოემა, იგავი, პირადი წერილი და ა.შ.)?
- რამდენად და როგორ მეხმარება ნაწარმოების სტრუქტურა ტექსტის გაგება-გააზრებაში?
- როგორ/რა საშუალებებით ცდილობს ავტორი მკითხველზე ზემოქმედებას, აზრის გამოხატვას, პოზიციის დასაბუთებას? რამდენად ეფექტურია მისი მცდელობები?
- რას მეუბნება/რა ინფორმაციას მაწვდის ტექსტი მისი შექმნის ეპოქაზე, ავტორზე?
- რითია ეს ტექსტი გამორჩეული, უნიკალური (/რით გამოირჩევა ეს ტექსტი ამავე თემაზე, საკითხზე, პრობლემაზე შექმნილი სხვა ტექსტებისგან?)
- რამდენად/როგორ დამეხმარება ეს ტექსტი რეალური სამყაროს გაცნობაში, საკუთარი თავის შემეცნებაში, სხვა ტექსტის (წიგნის, ფილმის) გაგებაში? / რამდენად და რითია ეს ტექსტი საინტერესო პირადად ჩემთვის, თანამედროვე ადამიანებისთვის?
- როგორ გამოვხატო საკუთარი აზრები, იდეები, ფიქრები და დამოკიდებულებები ამ კონკრეტულ ნამუშევარში/საკომუნიკაციო სიტუაციაში? რა ენობრივი საშუალებები გამოვიყენო ამ კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაციაში (/ამ კონკრეტული ნამუშევრის შესადგენად)? როგორ დავეხმარო მკითხველს/მსმენელს ჩემი ნაწერის/ნათქვამის უკეთ გაგებაში?

გ) მეთოდოლოგიური ორიენტაციები

საგნის სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

- ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას;
- ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
- გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას;
- დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას);
- ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

პასუხისმგებლობა	<ul style="list-style-type: none"> • სასკოლო საქმიანობებში (სასკოლო ცხოვრებაში) ნაკისრი ვალდებულების შესრულება; • სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება; • საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე, სოციალურ აქტივობებზე პასუხისმგებლობის აღება.
თანამშრომლობა	<ul style="list-style-type: none"> • სამუშაოს თანასწორად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს; • მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად (მაგ., ლიდერის); • განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა; • რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით.
ეთიკა	<ul style="list-style-type: none"> • ეთიკური ნორმების დაცვა; • სოლიდარობის განცდა; • ემპათია; • განსხვავებულობის მიმღებლობა; • საკუთარ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრება.
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება	<ul style="list-style-type: none"> • ქსელური ძიება; • სხვადასხვა ტიპისა და ფორმატის ელექტრონული ტექსტების შექმნა (მაგ., სლაიდშოუს, PowerPoint-პრეზენტაციის); • ელექტრონული ტექსტების დამუშავება, e-წიგნებისა და აუდიოწიგნების გამოყენება; • პერსონაჟის ფეისბუქი/ფეისბუქ-პროფილი; • მკითხველის ფორუმი, წიგნის/ნაწარმოების ბლოგი.

წლიური პროგრამისა და სასწავლო თემის აგების პრინციპები

წლიური პროგრამა სტანდარტზე დაყრდნობით იგეგმება და გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს. წლიური პროგრამა სარეკომენდაციო ხასიათისაა. სკოლას შეუძლია გამოიყენოს რეკომენდაციის სახით შეთავაზებული წლიური პროგრამა ან თავად დასახოს სტანდარტის მიღწევის გზები. წლიური პროგრამები უნდა დაიგეგმოს სასწავლო თემების საშუალებით (შედეგი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს - თემას).

სასწავლო თემის დასაგეგმად გამოიყენება შემდეგი კომპონენტები:

<p>სასწავლო თემა</p> <p>სასწავლო თემა წარმოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.</p>
<p>ცნებები, ტექსტები, საკითხები</p> <p>ტექსტებისა და საკითხების მეშვეობით მოსწავლე გაიაზრებს ცნების შინაარსს, ამუშავებს საკვანძო შეკითხვებს, ასრულებს კომპლექსურ დავალებებს.</p>

საკვანძო შეკითხვები

თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვებიდან და დაისმის თემის კონკრეტულ კონტექსტში. მათი ფუნქციაა:

- მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;
- სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა;
- თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მათემატიკურ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.

აქტივობები

მიმდინარე დავალებების ტიპების/ნიმუშების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული გაგება-გააზრების პროცესების ხელშესაწყობად, ასევე ცოდნის ათვისების, განმტკიცებისა თუ შეჯამების მიზნით.

კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი

კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.

შეფასების ინდიკატორები

შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის.

მკვიდრი წარმოდგენები

მკვიდრი წარმოდგენები განისაზღვრება სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდეს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად.

როგორ აიგება სასწავლო თემა?

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული. სტანდარტის ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრება საკვანძო შეკითხვები და შეფასების ინდიკატორები, შეირჩევა ტექსტები, შემუშავდება იდეები შემაჯამებელი კომპლექსური დავალებებისთვის. ამის შემდეგ განისაზღვრება საგნობრივი საკითხები, რესურსები, დავალებათა ტიპები/ნიმუშები. თითოეულ თემაზე მუშაობის პროცესი მოემსახურება ზოგადი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას.

ქვემოთ თემის ასაგებად გადასადგმელი ნაბიჯები წარმოდგენილია სქემატურად, ცხრილის სახით.

ცხრილი. სასწავლო თემის აგების პროცესი

ნაბიჯი 1. მკვიდრი წარმოდგენების განსაზღვრა
ნაბიჯი 2. თემატური საკვანძო შეკითხვების დასმა
ნაბიჯი 3. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა
ნაბიჯი 4. თემის ტექსტების/რესურსების შერჩევა
ნაბიჯი 5. შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების იდეების შემუშავება
ნაბიჯი 6. საკითხების განსაზღვრა
ნაბიჯი 7. მიმდინარე აქტივობებისა და დავალებების განსაზღვრა-დაგეგმვა

თემატური ერთეულების დაგეგმვისას გასათვალისწინებელია შემდეგი:

- შერჩეული მასალა უნდა შეესატყვისებოდეს მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებსა და შესაძლებლობებს;
- ქართული მწერლობის კლასიკოსთა თხზულებების გარდა, მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ მაღალი ხარისხის თანამედროვე ლიტერატურა, რომელიც ასახავს მათთვის ნაცნობ რეალიებს, პრობლემატიკას; თანამედროვე ადამიანის შინაგან სამყაროს, ფიქრებს, დამოკიდებულებებს, ოცნებებსა და მისწრაფებებს. ეს დაეხმარება მოსწავლეებს იმაში, რომ უკეთ გაიაზრონ თანამედროვე სამყარო, იპოვონ პასუხები მათთვის აქტუალურ და არსებით შეკითხვებზე, დასახონ პრობლემების გადაჭრის გზები, შეიმეცნონ საკუთარი თავი და დაიმკვიდრონ ადგილი თანამედროვე საზოგადოებაში. სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების აღმოჩენა კი ნოყიერ ნიადაგს შექმნის მსჯელობისთვის და დაეხმარება მოსწავლეებს იმაში, რომ სიღრმისეულად გაიაზრონ საგნობრივი ცნებები და საკითხები შეთავაზებული კონტექსტების (თემების) ფარგლებში.

• ქართული ლიტერატურის გარდა, მოსწავლეებს შესაძლებელია შევთავაზოთ უცხოური ლიტერატურის ნიმუშებიც, რაც დაეხმარება მათ, გაიაზრონ მშობლიური ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში (სხვადასხვა კულტურის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების აღმოჩენის გზით). ეს გააფართოებს მოსწავლეთა კულტურულ ჰორიზონტს და ხელს შეუწყობს მათ განვითარებას ინტერკულტურული კუთხით.

• ენობრივ-გრამატიკული ცნებებისა და საკითხების სწავლება არ გულისხმობს გრამატიკული ცოდნის თვითმიზნურ დაგროვებას. სწავლა-სწავლების პროცესი უნდა წარიმართოს ისე, რომ მოსწავლემ შეძლოს ნასწავლის სინთეზირება და ფუნქციურად გამოყენება სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში (ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის დროს). ამდენად, მოსწავლეებს უნდა მივცეთ შესაძლებლობა, გამოიყენონ ენობრივი ცოდნა განსხვავებულ კონტექსტებში სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტების შედგენის გზით.

• საკითხავი მასალის რაოდენობა უნდა შეირჩეს იმგვარად, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ საკმარისი დრო მისი (მასალის) საფუძვლიანად დამუშავებისა და გააზრებისათვის.

სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ზრუნვა მეტაკოგნიციის უნარების განვითარებაზე, რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ეს აქტივობებია:

სტრატეგიების მოდელირება: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და მისი შესრულებისას „ხმამალა ფიქრობს“ იმაზე, თუ როგორ შეასრულოს ეს აქტივობა (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანხმლები მასალა, მაგ., სურათები? სანამ ტექსტს წავიკითხავთ, ხომ არ სჯობს, ჯერ სურათებს გავეცნოთ და ვნახოთ, რა ინფორმაციის შემცველია ეს სურათები? და მისთ).

წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფურად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.) და სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებენ თითოეულ ეტაპზე. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე.

შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა და ხერხი, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებსა და ქმედობაუნარიანობას.

დ) შეფასება

საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესობა უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც აფასებს მოსწავლეს თავის წინარე შედეგებთან მიმართებით, ზომავს ინდივიდუალურ წინსვლას და, ამდენად, აძლევს მოსწავლეს ცოდნის ეტაპობრივად აგების (კონსტრუირების) საშუალებას.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითადი მიზანია მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას შეასწავლის ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას.

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებებისათვის გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები:

მოსწავლე:

- ამოიცნობს ლოგიკურ მიმართებებს ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოცემულ ინფორმაციას შორის (მაგ., ქრონოლოგიური თანამიმდევრობა, მიზეზშედეგობრიობა, პირობისეულობა);
- ახარისხებს ინფორმაციას კონკრეტული მიზნით;
- გამოყოფს საკვანძო სიტყვებს, ადგილებს/ეპიზოდებს და ხსნის, რითია ისინი მნიშვნელოვანი;
- ტექსტში მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ამოიცნობს ნაგულისხმევ ინფორმაციას;
- ამოიცნობს თემას/ქვეთემას, მთავარ იდეას, ძირითად პრობლემას/საკითხს;
- აანალიზებს პერსონაჟ(ებ)ის ქცევას, მსჯელობს პერსონაჟ(ებ)ის მოტივაციაზე, მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე;
- ახასიათებს პერსონაჟს/ამბის გმირს ტექსტის მონაცემებზე დაყრდნობით (მაგ., გარეგნობის, მეტყველების, ქცევის, აზრების, ავტორისეული დახასიათების, საცხოვრებელი გარემოს მიხედვით);
- ერთმანეთს უდარებს პერსონაჟ(ებ)ს და პოულობს მსგავსება-განსხვავებას მათ შორის;
- აკვირდება, როგორ იცვლებიან მოვლენები/პერსონაჟები სიუჟეტის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე;
- ამოიცნობს კონცეპტუალურ ინფორმაციას (მაგ., მხატვრულ ტექსტებში აკვირდება მოვლენათა და პერსონაჟთა ავტორისეულ შეფასებებს, არამხატვრულ ტექსტებში ამოიცნობს ძირითად თეზისებს/დებულებებს), გამოაქვს შესაბამისი დასკვნები;

- გაიაზრებს ტექსტის სხვაგვარად ინტერპრეტირების შესაძლებლობას;
- განასხვავებს ფაქტსა და მოსაზრებას/შეფასებას, თეზისსა და არგუმენტს, გაიაზრებს მიმართებას მათ შორის;
- განასხვავებს მთავარ და არამთავარ ინფორმაციას, გაიაზრებს მიმართებას მათ შორის;
- საუბრობს მნიშვნელოვანი დეტალების/ნიუანსების დანიშნულებაზე (მაგ., პერსონაჟის სახასიათო თვისების წარმოჩენა, მოქმედების დროისა და ადგილის სპეციფიკის ჩვენება);
- განსაზღვრავს კონფლიქტს/ძირითად პრობლემას ტექსტში, საუბრობს მის გამომწვევ მიზეზებზე;
- მსჯელობს, როგორ იყენებს ავტორი თემისა და მთავარი იდეის წარმოსაჩენად კომპოზიციის ელემენტებს (მაგ., მოქმედების დროსა და ადგილს, პერსონაჟებს, სიუჟეტს);
- ამოიცნობს სპეციფიკურ დრო-სივრცულ მახასიათებლებს, გაიაზრებს მათ მთლიანი ტექსტის კონტექსტში;
- გაიაზრებს მხატვრულ ნაწარმოებში წარმოდგენილ კონფლიქტს/პრობლემას, ასევე ავტორის, მთხრობელის, პერსონაჟის პოზიციას ტექსტის თანადროული ეპოქის კონტექსტში;
- საუბრობს, რა დასკვნა გამოიტანა ტექსტის საფუძველზე (/რა ასწავლა ტექსტმა);
- პოულობს მსგავსება-განსხვავებას ტექსტში ასახულ რეალიებს, პერსონაჟებს/ამბის გმირებსა და რეალურ ცხოვრებას/რეალურ ადამიანებს შორის, გამოაქვს სათანადო დასკვნები;
- გაიაზრებს, თუ როგორ შეიძლება შეცვალოს ნაწარმოების შინაარსი დრო-სივრცული ფაქტორების ცვლილებამ;
- ამოიცნობს და ხსნის სხვაობას ავტორის/მთხრობელის, პერსონაჟების ხედვის პერსპექტივებს შორის;
- ამოიცნობს ავტორის შეხედულებებს/დამოკიდებულებებს, საუბრობს, რა მიმართებაა ტექსტსა და ავტორის გამოცდილებას შორის;
- წარმოადგენს საკუთარ ინტერპრეტაციას სხვადასხვა ფორმით (მაგ., ინსცენირებით, გამომსახველობითი კითხვით);
- ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას ტექსტიდან შესაბამისი ადგილების მოხმობით;
- ასახელებს მისთვის ყველაზე შთამბეჭდავ/მიმზიდველ ადგილებს და ხსნის, რითია ისინი გამორჩეული;
- ამოიცნობს, რით ჰგავს/რით განსხვავდება ერთსა და იმავე თემაზე/პრობლემაზე შექმნილი ტექსტები ერთმანეთისგან (მაგ., მოვლენების, ფაქტების, პერსონაჟთა თვისებების, ქცევის, თვალსაზრისების კუთხით), გამოაქვს სათანადო დასკვნა;
- ამოიცნობს, რა განსხვავებული მიდგომებია გამოყენებული სხვადასხვა ტიპის/ჟანრის ტექსტებში ერთი და იმავე თემის/საკითხის, პრობლემის წარმოსაჩენად;
- აფასებს, რამდენად დამაჯერებლად ასაბუთებს ავტორი თვალსაზრისს/პოზიციას;
- საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეაფასებს ტექსტში ასახულ განსხვავებულ თვალსაზრისებს;
- წამოაყენებს ტექსტში წამოჭრილი პრობლემის გადაჭრის ალტერნატიულ ვარიანტს;
- იყენებს არგუმენტაციის სხვადასხვა ფორმას (მაგ., ფაქტობრივ, მიზეზშედეგობით, ანალოგიაზე დამყარებულ არგუმენტებს);

- ადგენს სტანდარტით განსაზღვრული ტიპის ტექსტებს ნაცნობ თემაზე/საკითხზე სხვადასხვა მიზნით (მაგ., ანალიზის შედეგების წარმოჩენის, თვითგამოხატვის, ინფორმაციის მოწოდების, საკუთარი პოზიციის გამოხატვის, გამოცდილების გაზიარების);
- ადეკვატურად იყენებს გრამატიკული ფორმებისა და სინტაქსური კონსტრუქციების ცოდნას სხვადასხვა მიზნით (მაგ., წაკითხულის გაანალიზების, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის);
- ადეკვატურად იყენებს ცალკეული ჟანრების ენობრივი და სტილისტური მახასიათებლების ცოდნას;
- ამოიცნობს ენობრივ-გამომსახველობით ხერხებს, რომლებსაც ავტორი იყენებს განწყობის, ემოციური ფონის შესაქმნელად;
- ამოიცნობს მხატვრულ ხერხებს, რომლებიც ტექსტს ანიჭებს ესთეტიკურ მიმზიდველობას (მაგ., ჰიპერბოლას, მეტაფორას, სხვ.) და ხსნის მათ დანიშნულებას;
- ამოიცნობს და ახასიათებს პოეტურ ნაწარმოებში ბგერწერითი ეფექტის შემქმნელ ელემენტებს (რიტმას, რიტმს, ალიტერაციას);
- ამოიცნობს მიმართებებს ტექსტის სტრუქტურულ და ორგანიზაციულ ელემენტებს შორის, გაიზარებს მათ მთლიანი ტექსტის ფარგლებში (მაგ., სათაური-ტექსტი, წამყვანი აბზაცი-დამხმარე აბზაციები).

შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება

შემაჯამებელი შეფასებისთვის გამოიყენება კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოითხოვს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ინტეგრირებულად და ფუნქციურად გამოყენებას. ამ დავალებათა შესაფასებლად გამოიყენება შეფასების რუბრიკები, ანუ კრიტერიუმების ბადე.

მოსწავლეს თითოეული სასწავლო თემის დამუშავების შემდეგ ევალება შემაჯამებელი დავალების წარმოდგენა. შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა წლის განმავლობაში სასწავლო თემების რაოდენობას ემთხვევა.

განმსაზღვრელი შემაჯამებელი დავალება ინტეგრირებულად ამოწმებს/აფასებს ენისა და ლიტერატურის სწავლა-სწავლებისას შეძენილ ცოდნასა თუ უნარებს.

ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისათვის

სტანდარტში შემოთავაზებულია ტიპობრივ დავალებათა ფართო არჩევანი. შემაჯამებელი შეფასებისათვის მასწავლებელი და/ან მოსწავლე შეარჩევს დავალების სასურველ ტიპს/ტიპებს.

შემაჯამებელი დავალებების სახით, მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ კომპლექსური სახის აქტივობები. ყოველი სასწავლო თემის ფარგლებში მოსწავლეებმა უნდა შეასრულონ, სულ მცირე, ერთი შემაჯამებელი კომპლექსური დავალება.

კომპლექსურ დავალებებს მიეკუთვნება:

- დისკუსია;
- დებატები;
- ლიტერატურული სამსჯავრო, ლიტერატურული სალონი;

- პრეზენტაცია, ზეპირი მოხსენება/ზეპირი გამოსვლა;
- პრობლემური საკითხის წარმოდგენა იმიტირებული სიტუაციის (მინისპექტაკლის, როლური თამაშის და სხვ.) საშუალებით;
- ნაწარმოების ინსცენირება;
- ანალიტიკური წერითი ნამუშევრები (მაგ., ტექსტის ანალიზი; ორი ტექსტის შედარებითი ანალიზი, პერსონაჟის დახასიათება, პერსონაჟების შედარებითი დახასიათება);
- თხრობითი ტექსტის შედგენა (რეალურ ან/და წარმოსახვით გამოცდილებაზე);
- დამარწმუნებელი ტექსტების შედგენა (არგუმენტირებული ესე, სარეკლამო, სარეკლამო-საინფორმაციო ტექსტი, წერილი რედაქციას, რედაქტორს);
- ახსნა-განმარტებითი/საინფორმაციო ტექსტის შედგენა;
- პროექტი / კვლევა (თემაზე, ტექსტის იდეაზე, კონკრეტულ პრობლემაზე/ საკითხზე);
- წერილობითი რეზიუმეს შედგენა (ნაცნობი ტექსტის);
- ტექსტის შეცვლა: გავრცობა-შევსება, ახალი პერსონაჟ(ებ)ის შემოყვანა, დასასრულის შეცვლა, თხრობის გაგრძელება, წინარე ისტორიის აღდგენა, ტექსტის გადაწერა სხვა ჟანრში;
- წერილი ავტორს, პერსონაჟს; ერთი პერსონაჟის წერილი მეორის მიმართ;
- წარმოსახვითი ინტერვიუ ავტორთან, პერსონაჟთან;
- ანოტაციის, რეკომენდაციის შედგენა (მაგ., წიგნის, ფილმის);
- წერილობითი ტექსტების შედგენა თვითგამოხატვის მიზნით (მაგ., ჩანახატი, ნოველა, პირადი გამოხმაურება/შთაბეჭდილება);
- ალტერნატიული ფორმის ტექსტების შედგენა თვითგამოხატვისთვის, პირადი დამოკიდებულებების წარმოჩენისთვის (მაგ., ნახატი, პოსტერი, კოლაჟი, გრაფიკა, ვიდეორგოლი, მუსიკალური კლიპი შესწავლილი ტექსტების საფუძველზე) და მისთ.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასებისათვის განკუთვნილი დავალება

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- დავალების შეფასების რუბრიკის შედგენისას გამოიყენება: თემის შეფასების ინდიკატორები, კრიტერიუმები, ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლი პრიორიტეტები (იხ. ცხრილი);
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე.

ნიმუში. შემაჯამებელი დავალება ზეპირმეტყველებაში

დავალების პირობა:

გაეცანით მოცემულ თვალსაზრისს და მოამზადეთ ზეპირი გამოსვლა, რომელშიც:

- ა) წარმოადგენთ თქვენს მოსაზრებას ამ თვალსაზრისთან დაკავშირებით;
- ბ) მოიყვანთ არგუმენტებსა და მაგალითებს თქვენი მოსაზრების დასამტკიცებლად;
- გ) გამოიტანთ დასკვნას/დასკვნებს.

ზეპირი გამოსვლის მაქსიმალური დროა 5 წუთი.

	ქულა	კომენტარი
პირობასთან შესაბამისობა		
იცავს დროის ლიმიტს	0 - 1	
იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს (მოსაზრება, არგუმენტები, დასკვნა)	0 - 0,5 - 1	
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები		
გასაგებად აყალიბებს მოსაზრებას და თანამიმდევრულად ავითარებს მას	0 - 1 - 2	
მოჰყავს ადეკვატური არგუმენტები და მაგალითები	0 - 1 - 2	
გამოაქვს ადეკვატური დასკვნა	0 - 1	
ენობრივი უნარ-ჩვევები		
ადეკვატურად იყენებს ზეპირი მსჯელობისათვის დამახასიათებელ არავერბალურ საშუალებებს (მაგ., შესტიკულაციას, ინტერვალს საუბარში, ხმის სხვადასხვა დონეს და ა.შ.)	0-1	
იყენებს მსჯელობითი ტექსტისათვის დამახასიათებელ ენობრივ-გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს (მაგ., განკერძოებულ სიტყვებს, გამოთქმებს, ჩართულს, პირობით-შედეგობით კონსტრუქციას და ა.შ.)	0 - 1	
შემოქმედებითი უნარ-ჩვევები		
აქვს საინტერესო მოსაზრებები, მოჰყავს ორიგინალური არგუმენტები, მაგალითები	0 - 1	
ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა 10		
(ქულები მრგვალდება მთელის სიზუსტით)		

ე) დანართი

ამონარიდებისა და ფრაგმენტების მითითებები საბაზო საფეხურის სავალდებულო

ლიტერატურისთვის

შოთა რუსთველი, „ვეფხისტყაოსანი“: ანდერძი ავთანდილისა - 6 სტროფი (1. „დაჯდა წერად ანდერძისა..“; 2. „ვიცი, ბოლოდ არ დამიგმობ...“; 3-5. „არდავიწყება მოყვრისა... სიკვდილი სახელოვანი“; 6. „მაქვს საქონელი ურიცხვი...“).

დავით გურამიშვილი, „დავითიანი“: 3 თავი (ლევთაგან დატყვევება; სიზმარი ტყვეობასა შინა; ტყვეობიდან გაპარვა) (სიტყვებიდან: „მე ვიყავ ერთი თავადი...“).

ილია ჭავჭავაძე, სიტყვა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე:

ა) დასაწყისიდან/მიმართვიდან ვიდრე სიტყვებამდე: „... უფრო მდიდარია, უფრო სავსეა“;

ბ) სიტყვებიდან: „მაშ რაღადა ვართ ღარიბნიო?...“ სიტყვებამდე: „...ცოდნა ჰქვინა“;

გ) სიტყვებიდან: „ცოდნა ხერხია...“ სიტყვებამდე: „...უფრო ძლიერია“;

დ) სიტყვებიდან: „კაცი უნდა ხერხი იყოს...“ სიტყვებამდე: „...ჰკუა ცოდნით გაუღესია“;

ე) სიტყვებიდან: „ცოდნა სიმდიდრეა..“ სიტყვებამდე: „...დაიწყებს ლაპლაპს“;

ვ) სიტყვებიდან: „...სანთელს მართო იმაში არა ჰგავს...“ სიტყვებამდე: „უფრო გაძლიერებული“;

ზ) სიტყვებიდან: „როგორ შევიძინოთ ის სანატრელი განძი...“ სიტყვებამდე: „... გზას მე გიჩვენებთო!“;

თ) სიტყვებიდან: „ის კაცი ილია წინამძღვრიშვილია..“ სიტყვებამდე: „ასე ლამაზად უხდება ამ პატარა სოფელს“;

ი) სიტყვებიდან: „აქედან ჩვენი შვილები...“ სიტყვებამდე: „გასაზრდელად, გასაღვიძებლად“;

კ) სიტყვებიდან: „ღმერთმა შეგასწოთ იმ დროს...“ სიტყვებამდე: „...მეც დავასრულე (!), რაც სათქმელი მქონდა და თქვენებურად, ჩვენებურად გეუბნებით: თქვენი გამარჯვებისა იყოს“.

ილია ჭავჭავაძე, რა გითხრათ, რით გაგახაროთ?

სიტყვებიდან: „აჰა, ერთი კიდეც ახალი წელიწადი...“, აზნაცის ბოლომდე, შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“

სიტყვებიდან: „რა არ გადაგხდენია თავს...“, აზნაცის ბოლომდე, შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“

სიტყვებიდან: „ყველა ეს შევძელით...“ აზნაცის ბოლომდე, შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“

სიტყვებიდან: „ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა...“, აზნაცის ბოლომდე, შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“

სიტყვებიდან: „ეხლაც ომია...“, ტექსტის დასასრულამდე, შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“.

კონსტანტინე გამსახურდია, „მთვარის მოტაცება“: ფრაგმენტი (მე-2 კარი, I თავი. სიტყვებიდან: „შევცქერი ქართულ ასოებს და ასე მგონია...“ სიტყვებამდე: „...ხმიანდება ჩემს გულში სახე, ფერი და მოძრაობა“). (ამოქმედდეს 2019 წლის 15 სექტემბრიდან)]

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 11.05.2018წ.

მუხლი 59. ქართულის, როგორც მეორე ენის სტანდარტი

1. შესავალი

საგანმანათლებლო მიზნიდან გამომდინარე, ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება სკოლაში ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას, კერძოდ, მოსწავლემ უნდა:

- აითვისოს როგორც ენობრივი, ისე კულტურული ინფორმაცია;
- შეიძინოს სხვადასხვა კატეგორიის უნარ-ჩვევა:
 - სამეტყველო უნარ-ჩვევები (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი);
 - უცხო კულტურის გაგების უნარი;
 - ენის სწავლის უნარ-ჩვევები (სწავლის სწავლა);
 - სასიცოცხლო უნარ-ჩვევები (თანამშრომლობა, თავისუფალი არჩევანის გაკეთება, პრობლემის გადაჭრა, შემოქმედებითობა და სხვა).
- 1. ჩამოუყალიბდეს სხვადასხვა ტიპის დამოკიდებულება:
 - პიროვნულ განსხვავებათა დაფასება და პატივისცემა;
 - ენობრივ-კულტურული კუთვნილების განცდა;
 - ენების სწავლის სურვილი და სხვა;
- 2. ჩამოუყალიბდეს ქვეყნის მოქალაქეობის განცდა.

2. ქართული, როგორც მეორე ენა დაწყებით საფეხურზე

შესავალი

დაწყებით საფეხურზე ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლა-სწავლების პრიორიტეტული მიზნებია:

- მოსწავლის ენობრივი ცნობიერების განვითარება;
- ენობრივ-კულტურული გამოცდილების გამდიდრება;
- ენის სწავლის უნარ-ჩვევების განვითარება.

დაწყებით საფეხურზე სწავლა-სწავლების მნიშვნელოვანი ამოცანაა თითოეული მოსწავლის მოტივაციის გაძლიერება. მოზარდებმა უნდა შეიყვარონ ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლის პროცესი და თვით ქართული ენა და კულტურა.

დაწყებით საფეხურზე ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება რამდენიმე მიმართულებით იშლება: **კომუნიკაცია** (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი), **გრამატიკა** (პირველ-მეოთხე კლასებში) და **სწავლის სწავლა** (მესამე კლასიდან).

მიმართულება: კომუნიკაცია

მოსმენა – ამ ეტაპზე მოსმენას, როგორც ენის ათვისების მთავარ არხს, პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სიტყვიერ ჯაჭვში ბგერების, სიტყვების, მარტივი წინადადებების მოსმენით გარჩევას, რადგან ქართული ენისათვის დამახასიათებელ ჟღერადობებზე სმენის გამახვილება აუცილებელია გაგების უნარისა და სწორი გამოთქმის ჩამოსაყალიბებლად, რაც წარმატებული ინტერაქციის საფუძველს წარმოადგენს. ფონემატური სმენის განვითარება შინაარსიან კონტექსტში უნდა მოხდეს. ტექსტებს უხვად უნდა ახლდეს თვალსაჩინო მასალა (სურათები, საგნები, ნახატები, ფოტოები და სხვა) და ბგერითი ინდიკატორები (რაიმე ხმაური, მკაფიოდ გამოხატული ინტონაციები და სხვა), რომლებზე დაყრდნობითაც მოსწავლეს გაუადვილდება ტექსტის გაგება.

ლაპარაკი – პირველ ეტაპზე მოსწავლის ალაპარაკება გაჭირდება. სწავლების სტრატეგია რეპროდუცირებისკენ უნდა იყოს მიმართული. რეპროდუცირების მიზანია, სწორი გამოთქმის ჩამოყალიბება და ლექსიკური მარაგის გამდიდრება/განმტკიცება. რეპროდუცირებისთვის გამოიყენება ლექსები, გათვლები (პატარებისათვის), სიმღერები, დიალოგები, სკეტჩები. პროდუცირება ძალიან შეზღუდული სახით მიმდინარეობს – მოსწავლეები შესწავლილი ლექსიკური მასალის გამოყენებით სვამენ/უპასუხებენ შეკითხვებს და ნიმუშების მიხედვით გაითამაშებენ მარტივ სცენებს.

კითხვა – დაწყებით საფეხურზე კითხვის სწავლება თავისებური მეთოდოლოგიით უნდა წარიმართოს. პირველ რიგში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფონოლოგიური უნარების განვითარებას, რათა მოსწავლეს განუვითარდეს ფონემური ცნობიერება (ზეპირი მარცვლების, ბგერების აღქმისა და გამოყენების უნარი). ფონემური ცნობიერების განვითარება მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მოსწავლემ ანბანური პრინციპი გაიგოს (ასოს, ანუ გრაფიკული ერთეულის მიმართება ბგერასთან, ანუ ხმოვან ერთეულთან). პირველი და მეორე კლასი დაეთმობა მოსწავლის კითხვისათვის მომზადებას, კითხვის სისტემური კურსის შეთავაზება კი მესამე კლასიდან დაიწყება.

წერა - სწავლება აქაც ძირითადად რეპროდუცირებას უნდა დაეფუძნოს. კითხვის მსგავსად, წერის უნარის განვითარებაც აუჩქარებელი ტემპით უნდა წარიმართოს კითხვის უნარის განვითარების პარალელურად. დაწყებით საფეხურზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა წერის ტექნიკურ-მოტორული უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებას. მოსწავლე გამოწერს ასოებს, ნასწავლ სიტყვებს; ეუფლება ასოების სწორად მოხაზვის ტექნიკას. საწყის ეტაპზე რეპროდუცირება რომ მოსაწყენი არ გახდეს, მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი, სახალისო და, რაც მთავარია, მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტების შეთავაზება.

მიმართულება: გრამატიკა

გრამატიკის სწავლება საკომუნიკაციო მიზნებს ემსახურება, ამიტომ მნიშვნელოვანია კონტექსტში (და არა კონტექსტიდან მოწყვეტილად) მისი სწავლება. ენობრივ მასალაზე მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს არა თეორიული ახსნა-განმარტებებით, არამედ ამ მასალის განსხვავებულ საკომუნიკაციო სიტუაციებში გამოყენებითა და პრაქტიკული სავარჯიშოებით. მოსწავლეებს არ მოეთხოვებათ არც აღწერით-თეორიული გრამატიკისა და არც წესებისა და ტერმინების ზეპირად დასწავლა. სწავლების საწყის ეტაპზე მოსწავლეები გრამატიკულ კონსტრუქციებს ენობრივი ნიმუშების დამახსოვრებასთან ერთად სპონტანურად, გაანალიზების გარეშე ათვისებენ.

მოსწავლეებს საშუალება უნდა მიეცეთ, თვალსაჩინო მაგალითებზე დაკვირვებით ამოიცნონ და კონტექსტში გამოიყენონ მარტივი ენობრივი მექანიზმები, გრამატიკული თავისებურებები და შესაბამისი ენობრივი კონსტრუქციები.

მიმართულება: სწავლის სწავლა

მოსწავლეებმა უნდა შეიძინონ სასწავლო საქმიანობის დამოუკიდებლად მართვის საწყისი უნარები. ამისათვის მათ იმთავითვე უნდა მივაქცევინოთ ყურადღება იმ ფაქტორებსა და პირობებზე, რომლებიც ზეგავლენას ახდენს სწავლის პროცესზე; უნდა გავაცნობიერებინოთ, რომ მათ თავად შეუძლიათ იმ ხელშემწყობი პირობების შექმნა, რომლებიც დაეხმარება მათ მიღწევების გაუმჯობესებაში.

ა) I-IV კლასების სტანდარტი

IV კლასის ბოლოს მისაღწევი შედეგები

ინდექსების განმარტება

დაწყებით საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **ქ.მ.დაწყ.(I).1.**

„ქ.მ.“ – მიუთითებს საგანს „ქართული, როგორც მეორე ენა“;

„დაწყ.(I).“ – მიუთითებს I-IV კლასების სტანდარტს;

„1“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

ქართულის, როგორც მეორე ენის სტანდარტის შედეგები (I-IV კლასები)	
მიმართულება: კომუნიკაცია	
მოსმენა და მოსმენის სტრატეგიები	
შედეგების ინდექსი	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
ქ.მ.დაწყ.(I).1.	სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით მცირე ზომის მარტივი ტექსტების ძირითადი შინაარსის მოსმენა და გაგება.
კითხვა და კითხვის სტრატეგიები	
ქ.მ.დაწყ.(I).2.	კითხვის სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით მცირე ზომის სხვადასხვა ტიპის ტექსტის წაკითხვა და ზოგადი შინაარსის გაგება.
ქ.მ.დაწყ.(I).3.	სათანადო სტრატეგიების გამოყენებით ხმამაღალი (გამართული და გაწაფული) კითხვის ელემენტარული უნარ-ჩვევის გამოვლენა.
წერა	
ქ.მ.დაწყ.(I).4.	მოდელის მიხედვით ან გარკვეული საყრდენების დახმარებით სხვადასხვა ტიპის მარტივი ტექსტის წერა ნასწავლი თემატიკის გარშემო.
ლაპარაკი და ლაპარაკის სტრატეგიები	
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
ქ.მ.დაწყ.(I).5.	ენის გასატეხების, ლექსებისა და გათვლების ზეპირად წაკითხვა; სიმღერების შესრულება, მარტივი დიალოგებისა და სცენების გათამაშება.
ქ.მ.დაწყ.(I).6.	სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით ილუსტრაციების აღწერა, მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა, ნაცნობი თემატიკის გარშემო საუბარი.
მიმართულება: გრამატიკა	

	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
ქ.მ.დაწყ.(I).7.	სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვისი გამოთქმების, შესაბამისი ენობრივი მარკერების (მაგ., დროისა და სივრცის, მოქმედებისა და ინტენსივობის გამომხატველი სიტყვების), კონკრეტული სიტყვათშეხამებების, ცალკეული ნასწავლი მარტივი დარგობრივი ლექსიკის ამოცნობა და გამოყენება.
ქ.მ.დაწყ.(I).8.	ნასწავლი სახელისა და ზმნის კონკრეტული ფორმების, შესაბამისი გრამატიკული საშუალებების, სიტყვებს შორის ნასწავლი სინტაქსური მიმართებების, მარტივი ენობრივი კონსტრუქციების, შესაბამისი სასვენი ნიშნების გარჩევა და სათანადო ფუნქციით მათი გამოყენება.
მიმართულება: სწავლის სწავლა	
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
ქ.მ.დაწყ.(I).9.	სასწავლო საქმიანობის მართვის საწყისი უნარ-ჩვევების გამოვლენა;
ქ.მ.დაწყ.(I).10.	კონსტრუქციული დამოკიდებულების გამოვლენა და სხვებთან თანამშრომლობა;
ქ.მ.დაწყ.(I).11.	სათანადო სტრატეგიებისა და საგანმანათლებლო რესურსების მოძიება და გააზრებულად გამოყენება.

შინაარსი

სამეტყველო აქტები

- **ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში** – მისალმება-დამშვიდობება, მოკითხვა, გაცნობა, მადლობის გადახდა, მილოცვა, თანხმობა/უარი, ტელეფონით საუბარი;
- **ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად** – პირადი მონაცემების გაცვლა (ვინაობა, ასაკი, ეროვნება, სადაურობა, საცხოვრებელი ადგილი, ტელეფონის ნომერი); ადამიანის / ცხოველის / საგნის აღწერა/დახასიათება (გარეგნობა, ფერი, ფორმა, ზომა...); თარიღის, ჯანმრთელობის, ამინდის გაგება; საკუთარი ან სხვისი ყოველდღიური საქმიანობა;
- **ინტერაქცია შეხედულებებისა და დამოკიდებულებების შესახებ** – მოწონება/არ მოწონება; სურვილისა და ინტერესის გამოხატვა; დადებითი და უარყოფითი შეფასება (კარგია, ცუდია...);
- **ინტერაქცია ემოციებისა და შეგრძნებების შესახებ** – მარტივი ემოციებისა და შეგრძნებების გამოხატვა (სიხარული, ტკივილი, სიცივე, სიცხე...);
- **ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ:** დროის მითითება (საათის / დღის / კვირის / თვის / წლის), მოქმედების ქრონოლოგიური თანამიმდევრობის განსაზღვრა (ჯერ/შემდეგ), ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება.

თემატიკა

მოცემული ჩამონათვალი საორიენტაციო ხასიათს ატარებს. შესაბამისად, შესაძლებელია მისი შეცვლა, შევსება ან შემცირება.

I. ყოფითი თემები:

- **საკუთარი თავის შესახებ** (პირადი მონაცემები, დაბადების დღე, საქმიანობა, ინტერესები);
- **სახლი და უახლოესი გარემო** (ოჯახი/ნათესავები; ქალაქი/სოფელი; საცხოვრებელი ადგილი, სახლის ინტერიერი, ავეჯი / საყოფაცხოვრებო ნივთები);
- **ყოველდღიური ცხოვრება** (სკოლა, სასწავლო საგნები, სასკოლო ნივთები და აქტივობები; დღის განრიგი);
- **თავისუფალი დრო, გართობა** (თამაში / სათამაშოები, სპორტი, სეირნობა, ცხოველთა სამყარო);

- **ჯანმრთელობა** (სხეულის ნაწილები; ავადმყოფობა, წამალი, ექიმი, საავადმყოფო);
- **საჭმელ-სასმელი** (ხილი, ბოსტნეული, სურსათი; ჭურჭელი);
- **საყიდლები** (ტანსაცმელი/ფეხსაცმელი; მაღაზიები);
- **ამინდი** (წელიწადის დროები, თვეები, კვირის დღეები; ბუნების მოვლენები).

II. სოციოკულტურა და კულტურა

- წეს-ჩვეულებები (ყოფით სიტუაციებში ქცევები და ურთიერთობები);
- ტრადიციული საბავშვო თამაშები, პერსონაჟები;
- დღესასწაულები და ტრადიციები (ახალი წელი; კერძები; სამოსი);
- ყოფითი რეაქციები.

ძირითადი ენობრივი საკითხები:

- **ფონეტიკა და ორთოეპია:** ბგერა/ასო; მარცვალი; ხმოვანი და თანხმოვანი; ქართულისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური თანხმოვნები;
- **მორფოლოგია:** სახელის რიცხვი; კონკრეტულ ბრუნვათა ფუნქციები; პირის, კითხვითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელები; რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელები; ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები; სახელთა წარმოქმნის ცალკეული შემთხვევები; პირისა და რიცხვის გამოხატვა სხვადასხვა ტიპის ზმნებში; ნასწავლი ზმნების ახლანდელი, წარსული და მომავალი დროის ფორმები (აწმყო, წყვეტილი, მყოფადი); თანდებულები და ზმნიზედები კონკრეტული ფუნქციით (დრო, ადგილი, მოქმედების ინტენსივობა და ქრონოლოგიური თანამიმდევრობა);
- **სინტაქსი:** წინადადება მოდალობის მიხედვით - თხრობითი და კითხვითი წინადადებები; მარტივი სინტაქსური კონსტრუქციები;
- **პუნქტუაცია:** წერტილი, მძიმე, კითხვის ნიშანი.

ტექსტის ტიპები

- **მხატვრული ლიტერატურა:** პროზაული და პოეტური ნაწარმოებები – ენის გასატეხები, გამოცანები და ანდაზები, საბავშვო ლექსები, ადაპტირებული მოთხრობები, ლეგენდები და ზღაპრები;
- **არამხატვრული ლიტერატურა:** ა) პრაგმატული ტექსტები – გაკვეთილების ცხრილი, განრიგი, ტელეპროგრამა, რეცეპტი, განცხადება, ანკეტა; ბ) მარტივი კორესპონდენცია – ღია ბარათი, პირადი წერილი, ინტერვიუ; გ) მარტივი საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები – სტატიები საბავშვო წიგნებიდან, ჟურნალებიდან და გაზეთებიდან;
- **მედია/მულტიმედია ტექსტები:** ქართული ანიმაციური ფილმები და საბავშვო სპექტაკლები, საბავშვო სიმღერები, აუდიო-ვიდეო სასწავლო რესურსები საპროგრამო თემატიკაზე;
- **სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები** – თემატური დიალოგები, მარტივი თხრობითი ან აღწერითი ტექსტები, ადაპტირებული კომიქსები.

ცნებები და ტერმინები

ოთხწლედის მოზარდის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ტერმინებისა და ცნებების გაგება-გააზრება უნდა დაეფუძნოს პრაქტიკულ სავარჯიშოებს და არა თეორიულ ახსნა-განმარტებებს.

- **ტექსტის აგებულება:** ტექსტი, სათაური, აზნაო, სტროფი, სტრიქონი, წინადადება, სიტყვა; დიალოგი, მონოლოგი;
- **გაშიფვრა:** ანბანი, ხმოვანი, თანხმოვანი; ბგერა, ასო, მარცვალი; ასოთშეთანხმება; ინტონაცია, მახვილი, წარმოთქმა;
- **სასვენი ნიშნები:** წერტილი, მძიმე, კითხვის ნიშანი.

ბ) V-VI კლასების სტანდარტი

VI კლასის ბოლოს მისაღწევი შედეგები

ინდექსების განმარტება

დაწყებით საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **ქ.მ.დაწყ.(II).1**

„ქ.მ.“ – მიუთითებს საგანს „ქართული, როგორც მეორე ენა“;

„დაწყ.(II).“ – მიუთითებს V-VI კლასების სტანდარტს;

„1“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

ქართულის, როგორც მეორე ენის სტანდარტის შედეგები (V-VI კლასები)	
1. მიმართულება: კომუნიკაცია	
მოსმენა და მოსმენის სტრატეგიები	
შედეგების ინდექსი	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
ქ.მ.დაწყ.(II).1.	სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ილუსტრირებული ტექსტის ძირითადი შინაარსის მოსმენა და გაგება;
ქ.მ.დაწყ.(II).2.	მოსმენილი ტექსტის მიმართ საკუთარი შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა და კონკრეტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა;
ქ.მ.დაწყ.(II).3.	შესაბამისი ენობრივი სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით მოსმენილი ტექსტის ძირითადი ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა.
კითხვა და კითხვის სტრატეგიები	
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
ქ.მ.დაწყ.(II).4.	კითხვის სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ტექსტის წაკითხვა და ძირითადი შინაარსის გაგება;
ქ.მ.დაწყ.(II).5.	წაკითხული ტექსტის მიმართ საკუთარი შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა და კონკრეტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა;
ქ.მ.დაწყ.(II).6.	ხმამაღალი კითხვის სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ტექსტის წაკითხვა;
ქ.მ.დაწყ.(II).7.	შესაბამისი სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით ტექსტის სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა.
წერა და წერის სტრატეგიები	
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:

ქ.მ.დაწყ.(II).8.	წერის სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ტექსტის / ამბის წერა ილუსტრაციებზე დაყრდნობით ან ნიმუშისა თუ მოცემული პირობის მიხედვით;
ქ.მ.დაწყ.(II).9.	საკუთარი შეფასება-დამოკიდებულების წერილობით გამოხატვა და კონკრეტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა;
ქ.მ.დაწყ.(II).10.	შესაბამისი სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით წერილობითი ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლებისა და ელემენტარული ენობრივი უნარ-ჩვევების ფუნქციური გამოყენება.
ლაპარაკი და ლაპარაკის სტრატეგიები	
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
ქ.მ.დაწყ.(II).11.	სხვადასხვა სიტუაციაში მეტყველებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამოვლენა;
ქ.მ.დაწყ.(II).12.	სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა, ნაცნობი თემატიკის გარშემო საუბარი;
ქ.მ.დაწყ.(II).13.	მისთვის ნაცნობ და საინტერესო თემებსა თუ საკითხებზე საკუთარი აზრის, პოზიციის გამოთქმა; ინფორმაციის პირად ან სხვის გამოცდილებაზე გადატანა;
ქ.მ.დაწყ.(II).14.	სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი სათანადო ენობრივი ფორმულებისა და კლიშეების, ენობრივი კონსტრუქციებისა და კონკრეტული გრამატიკული ფორმების ფუნქციური გამოყენება.
2. მიმართულება: სწავლის სწავლა	
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
ქ.მ.დაწყ.(II).15.	სასწავლო საქმიანობის მართვის უნარ-ჩვევების გამოვლენა;
ქ.მ.დაწყ.(II).16.	სხვებთან თანამშრომლობა და ამ პროცესში კონსტრუქციული ურთიერთობების გამოვლენა;
ქ.მ.დაწყ.(II).17.	სათანადო სტრატეგიებისა და საგანმანათლებლო რესურსების (ბეჭდვითი და მულტიმედიური რესურსების, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების) გააზრებულად გამოყენება.

შინაარსი

სამეტყველო აქტები

- **ინტერაქცია სოციალურ სიტუაციებში** – წარდგენა (საკუთარი თავის/სხვისი), მოზოდშიშება, შეთავაზება, დახმარების თხოვნა, ნებართვის აღება/მიცემა, თავაზიანობის გამოხატვა;
- **ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად** – პირადი და სხვისი მონაცემების გაცვლა (წარმომავლობა, სადაურობა, მისამართი); ადამიანის/ცხოველის აღწერა/დახასიათება (გარეგნობა, ხასიათი, ბუნება...); გარემოს, საქმიანობის აღწერა/დახასიათება; მომავალი გეგმების / საქმიანობის გაგება;
- **ინტერაქცია შეხედულებებისა და დამოკიდებულებების შესახებ** – ინტერესები და მოთხოვნები; დადებითი და უარყოფითი შეფასება; დათანხმება/უარყოფა; ვარაუდის გამოთქმა, პოზიციის გამოხატვა;
- **ინტერაქცია ემოციებისა და შეგრძნებების შესახებ** – გრძნობების, ემოციებისა (სიხარული, ბრაზი, უკმაყოფილება, შიში) და შეგრძნებების (ტკივილი, წყურვილი, შიმშილი, სიცივე, სიცხე) გამოხატვა;
- **ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ:** დროის მითითება, მოქმედების ქრონოლოგიური თანამიმდევრობისა და ინტენსივობის (სიხშირე, ხანგრძლივობა) განსაზღვრა, ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება.

თემატიკა

მოცემული ჩამონათვალი საორიენტაციო ხასიათს ატარებს. შესაბამისად, შესაძლებელია მისი შეცვლა, შევსება ან შემცირება.

I. ყოფითი თემები:

- საკუთარი თავის შესახებ (პირადი მონაცემები, საქმიანობა);
- სახლი და უახლოესი გარემო (ოჯახი და ნათესავები; მეგობრები და ახლობლები; პროფესიული საქმიანობა/ხელობა);
- ყოველდღიური ცხოვრება (სკოლა და სასკოლო აქტივობები; დღის რეჟიმი – დილით/შუადღისას/საღამოს; ყოველდღიური ყოფითი საქმიანობა);
- თავისუფალი დრო, გართობა (დასვენება, სეირნობა; დღესასწაულები; გარემო/ზუნება; სტუმრად წასვლა);
- ინტერესები (ჰობი; ლაშქრობა/მოგზაურობა; მუსიკა და სპორტი).

II. სოციოკულტურა და კულტურა

- დღესასწაულები და ტრადიციები (ფესტივალები, კარნავალები; შესაბამისი აქსესუარები; რიტუალები);
- წეს-ჩვეულებები (ყოფით სიტუაციებში ქცევები და ურთიერთობები);
- ტრადიციული საბავშვო თამაშები, პერსონაჟები;
- სახელმწიფო სიმბოლიკა და ყოფითი რეალიები;
- ღირსშესანიშნაობები.

ძირითადი ენობრივი საკითხები:

- **მორფოლოგია:** არსებითი სახელის ბრუნვა და ცალკეულ ბრუნვათა კონკრეტული ფუნქციები; ნაცვალსახელი; ზედსართავი სახელი და მისი ფუნქცია წინადადებაში; პირისა და რიცხვის გამოხატვა სხვადასხვა ტიპის ზმნებში; წარსულში შესრულებული მოქმედების ორგვარი გამოხატვა (წყვეტილი / უწყვეტელი); მომავალში შესასრულებელი მოქმედების ფორმა და შინაარსი (II კავშირებითი და მისი ფუნქციები); წართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითი; ზმნისწინის ფუნქციები (მოქმედების მიმართულება, მრავალგზისობის გამოხატვა); საწყისი და მიმდებარე და მათი ფუნქციები წინადადებაში; სახელთა წარმოქმნის კონკრეტული შემთხვევები; თანდებულის ფუნქციები (წარმომავლობა, ადგილის გამოხატვა, დროში სიხშირის განსაზღვრა).
- **სინტაქსი:** წინადადება მოდალობის მიხედვით - თხრობითი, კითხვითი და ძახილის წინადადებები; მარტივი სინტაქსური კონსტრუქციები; შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრული; მოქმედების მიზეზისა და მიზნის გამოხატვა და შესაბამისი სინტაქსური კონსტრუქციები (რატომ? რა მიზეზით? / რისთვის? რა მიზნით?).
- **პუნქტუაცია:** წერტილი, მძიმე, კითხვისა და ძახილის ნიშნები; ორი წერტილი, ტირე.

ტექსტის ტიპები

- **მხატვრული ლიტერატურა:** პროზაული და პოეტური ნაწარმოებები - ლექსები, ადაპტირებული მოთხრობები, ლეგენდები და ზღაპრები; ლიტერატურული ზღაპრები;
- **არამხატვრული ლიტერატურა:** ა) პრაგმატული ტექსტები - ტელეპროგრამა, რეცეპტი, განცხადება, კატალოგი, მარშრუტი, შეტყობინება, ინსტრუქცია, გზამკვლევი; ბ) მარტივი კორესპონდენცია - ღია ბარათი, პირადი წერილი, ინტერვიუ; გ) მარტივი საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები - სტატიები საბავშვო წიგნებიდან, ჟურნალებიდან და გაზეთებიდან; დ) ბიოგრაფიული ტექსტები - დღიური, მოგონება;

- **მედია/მულტიმედიური ტექსტები:** საბავშვო სიმღერები, ქართული ანიმაციური ფილმები და საბავშვო სპექტაკლები; საბავშვო მხატვრული და დოკუმენტური ფილმები; საბავშვო გასართობ-შემეცნებითი გადაცემები; აუდიო-ვიდეო სასწავლო რესურსები საპროგრამო თემატიკაზე;
- **სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები** - თემატური დიალოგები, მარტივი თხრობითი ან აღწერითი ტექსტები, ადაპტირებული კომიქსები.

ცნებები და ტერმინები

ისევე, როგორც I-IV კლასებში, დაწყებითი საფეხურის დამამთავრებელ ეტაპზეც, სასურველია, ტერმინებისა და ცნებების გაგება-გააზრება დაეფუძნოს პრაქტიკულ სავარჯიშოებს და არა - თეორიულ ახსნა-განმარტებებს.

- **ტექსტის აგებულება:** ტექსტი, სათაური, აბზაცი, სტროფი, სტრიქონი, წინადადება, სიტყვა; დიალოგი, მონოლოგი;
- **სასვენი ნიშნები:** წერტილი, მძიმე, კითხვის ნიშანი, ძახილის ნიშანი, ორი წერტილი, ტირე.

3. ქართული, როგორც მეორე ენა საბაზო საფეხურზე

შესავალი

საბაზო საფეხურის ქართულის, როგორც მეორე ენის სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

- საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;
- სტანდარტის შედეგები და შინაარსი;
- მეთოდოლოგიური ორიენტირები;
- შეფასება.

საბაზო საფეხურზე ქართულის, როგორც მეორე ენის შესწავლისას მოსწავლეები სახელმწიფო ენას ფუნქციურად გამოიყენებენ კომუნიკაციური მიზნებისა თუ სასწავლო საქმიანობათა განსახორციელებლად; დაეუფლებიან ენის სწავლის უნარებსაც. საბაზო საფეხურზე ღრმავდება ის საგნობრივი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც მოსწავლემ შეიძინა დაწყებით საფეხურზე.

ქართულის, როგორც მეორე ენის, მთავარ გამოწვევას წარმოადგენს მოსწავლის მომზადება ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად, როგორიცაა კონკრეტული გეზის არჩევა (აქტიურ ცხოვრებაში ჩაბმა, პროფესიული განათლების მიღება, სკოლაში სწავლის გაგრძელება). ამის გათვალისწინებით, ქართულის, როგორც მეორე ენის, საბაზო საფეხურის სტანდარტი განსაზღვრავს მოსწავლის აღჭურვას იმგვარი ცოდნით, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მას – გზა გაიკვალოს თანამედროვე ცხოვრებაში.

საგნის სწავლა-სწავლებისას მოსწავლე ჩართული იქნება აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მისცემს.

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს:

- მოსწავლეს განუვითაროს ქართულ ენაზე წარმატებული კომუნიკაციის უნარი;
- მოსწავლეს განუვითაროს ქართული ენის მიზნობრივად და ფუნქციურად გამოყენების უნარი სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში;
- მოსწავლეს განუვითაროს სხვა კულტურათა დაფასებისა და პატივისცემის უნარი;
- ხელი შეუწყოს სამოქალაქო საზოგადოებაში მოსწავლის სრულფასოვან ინტეგრირებას;
- მოსწავლეს განუვითაროს ენის დამოუკიდებლად სწავლის უნარი.

ამ მიზნებზე მიმართული მუშაობით საგანი „ქართული, როგორც მეორე ენა“ თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიითა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა თუ ღირებულებების განვითარება-ჩამოყალიბებაში.

ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას: რა უნდა შეეძლოს საბაზო საფეხურის მოსწავლეს ქართულის, როგორც მეორე ენის ლიტერატურის ფარგლებში.

სტანდარტის შედეგები ჯგუფდება სამ მიმართულებად:

კომუნიკაცია – გულისხმობს საკომუნიკაციო უნარების განვითარების ხელშესაწყობად საჭირო და აუცილებელი სტრატეგიების დაუფლებას და კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად მათ მიზნობრივ გამოყენებას; ზეპირი თუ წერილობითი ტექსტის გაგებასა და გაანალიზებას როგორც შინაარსის, ისე მისი სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით; მონაწილეობას მრავალფეროვან საკომუნიკაციო სიტუაციებში და ენობრივი მარაგის უფრო თავისუფლად გამოყენებას როგორც სიმულაციური, ისე რეალური კომუნიკაციის დროს; პიროვნული და შემოქმედებითი დამოკიდებულებების გამოვლენას.

სოციოკულტურა და კულტურა – გულისხმობს განსხვავებული ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობის დაფასებასა და პატივისცემას; ზეპირი და წერილობითი ტექსტის გაანალიზებას, არა მხოლოდ ინტერკულტურული თვალსაზრისით, არამედ განსხვავებულ კულტურულ თუ სოციოკულტურულ კონტექსტებში ზეპირ და წერილობით ინტერაქციას; ცხოვრების განსხვავებული წესების, ტრადიციების, ღირებულებების აღმოჩენასა და გაგებას; საკუთარ კულტურულ გამოცდილებასა თუ გარემოსთან პარალელების გავლენას.

სწავლის სწავლა – გულისხმობს სასწავლო საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვასა და სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურ მონაწილეობას (სწავლის პროცესის დაგეგმვას, შეფასებასა და მონიტორინგს; სასწავლო მიზნებისა და ამოცანების გააზრებას; შედეგების დამოუკიდებლად შეფასებას; გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას; სხვებთან თანამშრომლობის პროცესში კონსტრუქციული დამოკიდებულებების გამოვლენას; რესურსების ეფექტურად მართვას; იმ ფაქტორებისა და მიზეზების გაცნობიერებას, რომლებიც აფერხებს ან, პირიქით, ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მსვლელობას და სხვა).

•

სტანდარტის შინაარსი განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულო ცნებების, თემატური ბლოკებისა და საგნობრივი საკითხების სახით.

სტანდარტის შედეგების ინდექსების განმარტება

საბაზო საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **ქ.მ.საბ. 1.**

„ქ.მ.“ – მიუთითებს საგანს „ქართული, როგორც მეორე ენა“;

„საბ.“ – მიუთითებს საბაზო საფეხურის სტანდარტს;

„1“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

ქართულის, როგორც მეორე ენის სტანდარტის შედეგები (VII-IX კლასები)		
მიმართულება: კომუნიკაცია		ცნებები
შედეგების ინდექსი	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
ქ.მ.საბ.1.	სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით, ნაცნობ თემასა თუ საკითხზე სხვადასხვა ტიპის მოსასმენი და/ან წასაკითხი ტექსტის გაგება/გააზრება და ტექსტის ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა;	ტექსტი, ტექსტის ტიპები; ტექსტის ჟანრები
ქ.მ.საბ.2.	სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ტექსტის ზეპირად ან წერილობით შექმნა კონკრეტული საყრდენების მიხედვით;	მეტყველების ფუნქციური ტიპები
ქ.მ.საბ.3.	სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით, ნაცნობ თემებზე, აქტუალურ საკითხებსა თუ პრობლემებზე საუბარი, დიალოგის წარმართვა ან სხვების საუბარში ჩართვა;	სტრატეგიები სამეტყველო აქტები
ქ.მ.საბ.4.	საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ტექსტის შეფასება, საკუთარი დამოკიდებულების ზეპირად და/ან წერილობით გამოხატვა და ახსნა-დასაბუთება;	ენობრივი საკითხები; მორფოლოგია,
ქ.მ.საბ.5.	ნასწავლი ენობრივი საშუალებებისა და სტრუქტურული ელემენტების ამოცნობა და მათი ფუნქციური გამოყენება;	სინტაქსი, მართლწერისა და პუნქტუაციის
ქ.მ.საბ.6.	ტექსტების შედგენა-გადმოცემის დროს შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოვლენა.	საკითხები, ლექსიკა
მიმართულება: სოციოკულტურა და კულტურა		
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
ქ.მ.საბ.7.	სოციოკულტურული თვალსაზრისით კონკრეტული ინფორმაციის ან მთლიანი ტექსტის გაანალიზება;	
ქ.მ.საბ.8.	განსხვავებული კულტურული ნორმებისა და ღირებულებების გაგება-გააზრება და კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა;	

ქ.მ.საბ.9.	განსხვავებულ კულტურულ კონტექსტებში ინტერპერსონალური უნარების გამოვლენა, თავისუფლად ორიენტირება.
მიმართულება: სწავლის სწავლა	
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
ქ.მ.საბ.10.	სასწავლო საქმიანობის მართვის უნარ-ჩვევების გამოვლენა (დაგეგმვა, განხორციელება და მონიტორინგი);
ქ.მ.საბ.11.	სხვებთან თანამშრომლობა და ამ პროცესში კონსტრუქციული დამოკიდებულებების გამოვლენა;
ქ.მ.საბ.12.	სათანადო სტრატეგიებისა და საგანმანათლებლო რესურსების (ბეჭდვითი და მულტიმედია რესურსების, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების) გააზრებულად გამოყენება.

შინაარსი

ცნებები და საკითხები

ტექსტი

- ტიპები - მხატვრული, არამხატვრული
- ჟანრები
 - მხატვრული ლიტერატურა: პროზაული და პოეტური ნაწარმოებები – ლექსები; ადაპტირებული მოთხრობები, იგავ-არაკები, მითები და ლეგენდები;
 - არამხატვრული ლიტერატურა: ა) პრაგმატული ტექსტები – ტელეპროგრამა, რეკლამა, აფიშა, ანონსი, ანოტაცია, გამომხმარებელ ბ) საქმიანი ქაღალდები – განცხადება, სამოტივაციო წერილი, რეზიუმე (CV); გ) კორესპონდენცია – პირადი და მარტივი ოფიციალური წერილები, ინტერვიუ; დ) საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები – სტატიები წიგნებიდან, ჟურნალებიდან და გაზეთებიდან; ე) ბიოგრაფიული ტექსტები – ავტობიოგრაფია, ბიოგრაფია, ბიოგრაფიული ცნობარი/პორტრეტები, დღიური, მოგონება;
 - მედია/მულტიმედია ტექსტები: მხატვრული და დოკუმენტური ფილმები, სპექტაკლები; გასართობ-შემეცნებითი გადაცემები; სტატიები ვებგვერდიდან, ვებპორტალიდან; საპროგრამო თემატიკაზე მორგებული აუდიო-ვიდეო სასწავლო რესურსები;
 - სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები: თემატური დიალოგები, თხრობითი ან აღწერითი ტექსტები; კითხვარები, მინიკვლევები, ანგარიშები.

მეტყველების ფუნქციური ტიპები:

- თხრობა
- აღწერა
- მსჯელობა

სტრატეგიები

- მოსმენის/კითხვის წინარე სტრატეგიები – ვარაუდების გამოთქმა; ცოდნის მობილიზება (წინარე ცოდნის გააქტიურება);
- მოსმენის სტრატეგიები – გაუგებარ მონაკვეთებთან მიბრუნება; დამაზუსტებელი კითხვების დასმა; ინფორმაციის დაჯგუფება;

- **კითხვის სტრატეგიები** – გაცნობითი კითხვა: დაკვირვება ტექსტის აგებულებაზე, სათაურზე, აბზაცებზე, ილუსტრაციებზე, წარწერებზე, გამოყოფილ სიტყვებზე და ა.შ.; შესწავლითი კითხვა: გაუგებარ მონაკვეთებთან მიბრუნება; შეკითხვების დასმა; ინფორმაციის დაჯგუფება; ძიებითი კითხვა კონკრეტული ამოცანების გადაჭრის მიზნით;
- **ლაპარაკის სტრატეგიები** – ცოდნის მობილიზება, საჭირო რესურსების წინასწარ მომზადება; რეპეტიცია; გაუგებრობის შემთხვევაში განმარტების თხოვნა, შეკითხვების დასმა; საკომპენსაციო საშუალებების (არავერბალური ენა, პერიფრაზირება, სიტყვიერი განმარტება...) გამოყენება; მხედველობითი კონტაქტის დამყარება;
- **წერის წინარე სტრატეგიები** – მიზნისა და ადრესატის განსაზღვრა; იდეებისა და ცოდნის მობილიზება; აუცილებელი რესურსების (ფოტოილუსტრაცია, სქემები და დიაგრამები და ა.შ.) თავმოყრა;
- **წერის სტრატეგიები** – გეგმის შედგენა; პირველადი ვარიანტის შედგენა; პირველი ვერსიის გაუმჯობესება; ნაწერის გაფორმება და წარდგენა;
- **სტრატეგიები ლექსიკისა და გრამატიკის შესასწავლად** – ენათშორისი პარალელების გავლება; დედუქცია, ინდუქცია, დამახსოვრების ხერხების გამოყენება; კონტექსტის, გამოცდილების ან ლექსიკონის დახმარებით უცხო სიტყვათა მნიშვნელობების დაზუსტება;
- **მეტაკოგნიტური სტრატეგიები** – აქტივობის/დავალების ღირებულების განჭვრეტა, მეტაკოგნიტური პაუზა: სასწავლო აქტივობაში გამოყენებული სტრატეგიების გახსენება, გაანალიზება და შეფასება მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით. სწავლის პროცესზე დაფიქრება–რეფლექსია, ხელშემწყობი და შემაფერხებელი პირობების გაცნობიერება და წინსვლის ხელშეწყობა.

სამეტყველო აქტები:

- **ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში** (კომუნიკაციის დაწყება/დასრულება, თავაზიანობის გამოხატვა, დახმარების თხოვნა, დაპატიჟება, შეხვედრის დანიშვნა, წახალისება/შექება);
- **ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად** (პირადი და სხვისი მონაცემების გაცვლა; ადამიანის/ცხოველის/გარემოს, საქმიანობის აღწერა/დახასიათება; საჭიროებების/მოთხოვნილებების/სურვილების გაზიარება (თავისუფალი დრო, საქმიანობა, გეგმები/განზრახვა, მგზავრობა/მოგზაურობა და ა.შ.);
- **ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/დამოკიდებულებების შესახებ** (დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების, შთაბეჭდილების, შეფასების, პოზიციის გამოხატვა: კმაყოფილება/უკმაყოფილება, სინანული, გაკვირვება, ეჭვი, ვარაუდი, ინტერესი/ინდიფერენტულობა...);
- **ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ** (დროში ლოკალიზება, მოქმედების ქრონოლოგია, სიხშირე და ხანგრძლივობა, თანადროულობა; ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება/განსაზღვრა: დანიშნულების ადგილი, მარშრუტი...).

ენობრივი საკითხები:

- **მორფოლოგია:** არსებითი სახელი; ბრუნვები და ბრუნვათა ფუნქციები; ნაცვალსახელის ჯგუფები და მათი ფუნქციები; ზედსართავი და რიცხვითი სახელები; პირთა კომბინაციები სხვადასხვა ტიპის ზმნებში (სუბიექტური და ობიექტური პირების გამოხატვა); ზმნის აქტიური და პასიური ფორმები; სასურველი და სავარაუდო მოქმედების გამოხატვა (II კავშირებითი/ხოლმეობითი); აუცილებლად შესასრულებელი და აკრძალული მოქმედების გამოხატვა (წართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითი); შესრულებელი მოქმედების გამოხატვა წარსულში

(ფორმა და შინაარსი – ერთგზისი და მრავალგზისი მოქმედება, შესრულებული მოქმედების პროცესი და შედეგი, უნახავი მოქმედების გამოხატვა – I თურმეობითი); ასპექტის წარმოება; თავისებური ზმნები; საწყისი და მიმდებარე და მათი ფუნქციები; სახელთა წარმოქმნა; ფორმაუცვლელი სიტყვები და მათი ფუნქციები (ზმნიზედა, თანდებული, კავშირი და ნაწილაკი);

- **სინტაქსი:** წინადადება მოდალობის მიხედვით – თხრობითი, კითხვითი, ძახილისა და ბრძანებითი წინადადებები; რთული სინტაქსური კონსტრუქციები (კავშირიანი და უკავშირო შეერთება რთულ ქვეწყობილ წინადადებაში); აქტიური და პასიური კონსტრუქციები; ქვემდებარის ადგილი და ბრუნვა აქტიური და პასიური ზმნის კონსტრუქციაში; მსაზღვრელ-საზღვრული; პირობისა და შედეგის გამოხატვა და შესაბამისი სინტაქსური კონსტრუქციები (რა შემთხვევაში? რა პირობებში?);
- **მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხები:** რიცხვითი სახელების მართლწერა (რთული რიცხვითი სახელები, რიგობითი რიცხვითი სახელების გამოხატვა არაბული და რომაული ციფრებით); ნაცვალსახელები და მათთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები (მისი/თავისი; ჩემს მეგობარს, შენს ქალაქში; თავისი/თავიანთი; რიცხვსა და ბრუნვაში შეთანხმების საკითხები; რთული სიტყვების (კომპოზიტების) მართლწერის საკითხები; სხვათა სიტყვის ნაწილაკების მართლწერის საკითხები; სასვენი ნიშნების ხმარება პირდაპირ და ირიბ ნათქვამში, განკერძოებულ სიტყვებთან და გამოთქმებთან);
- **ლექსიკა:** სინონიმი, ანტონიმი; კომპოზიტი; დანართი, ჩართული.

ძირითადი თემატური ბლოკები და სასწავლო თემები

საბაზო საფეხურის სტანდარტით განსაზღვრული შედეგები და ცნებები უნდა დამუშავდეს მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებში. ეს კონტექსტები სავალდებულო თემების სახითაა განსაზღვრული და თავმოყრილია თემატურ ბლოკებში იმ ძირითად შინაარსობრივ საკითხებთან ერთად, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ ინტერესებსა და მოთხოვნებს და შეესაბამება ენობრივი ცოდნის მოცემულ დონეს.

თემატური ბლოკები

I. მე და სამყარო:

1. ყველაფერი ჩემ შესახებ (მონაცემები, უახლოესი გარემო, ყოველდღიური ყოფითი საქმიანობა, ჯანმრთელობა, თავისუფალი დრო, ჰობი, ინტერესები, უახლოესი გეგმები, მომავლის დაგეგმვა/არჩევანის გაკეთება);
2. ფიზიკური გარემო (დედამიწა, მსოფლიოს გარშემო – ქვეყნები და ქალაქები; ეკოლოგია, ბუნებრივი კატასტროფები, გეოგრაფიული გარემო, მხარეები, აღმოჩენები).

II. სოციალურულტურა და კულტურა:

1. ყოველდღიური ცხოვრება (ეტიკეტი, სოციალური ქცევის წესები, ქცევები ყოფით სიტუაციებში, კვებითი ჩვევები, თავისუფალი დროის გატარება);
2. პიროვნებათშორისი ურთიერთობები (ოჯახური ურთიერთობები, თანატოლებს / თაობებს შორის ურთიერთობები);

3. ღირებულებები და ფასეულობები (კულტურა, ტრადიციები, დღესასწაულები და ფესტივალები, ღირსშესანიშნაობები; ისტორიული პიროვნებები და მოვლენები; უმცირესობები - ეთნიკური / რელიგიური, სხვა ქვეყნები და ხალხები).

საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვები

საკვანძო შეკითხვები სტანდარტის ცნებებსა და საკითხებს უკავშირებს სტანდარტის შედეგებს და აჩვენებს თუ რისთვის, რა მიზნით უნდა გამოიყენოს მოსწავლემ შინაარსით განსაზღვრული ცოდნა.

- რა მსგავსება და განსხვავება აქვს ტექსტში ასახულ კულტურულ-სოციალურ გარემოს ჩემს მშობლიურ კულტურულ-სოციალურ გარემოსთან? შეიცვალა თუ არა ჩემი წარმოდგენები ამ გარემოსთან მიმართებით და რატომ?
- როგორ გავიგო ტექსტი? რა ენობრივ ცოდნასა და სტრატეგიებს ვიყენებ ტექსტის (ინფორმაციის) გასაგებად? საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად?
- რამ შემიშალა ხელი ტექსტის (ინფორმაციის) გაგებაში და რატომ?
- როგორ შემიძლია გადმოვცე ჩემი ცოდნა, გამოვხატო აზრები, ფიქრები და დამოკიდებულებები ტექსტის, თემის, პრობლემის/საკითხის მიმართ? რა ენობრივ ცოდნასა და სტრატეგიებს ვიყენებ ამისთვის?
- რას ვეყრდნობი საკუთარი აზრის გამოხატვისას / ჩემი შეფასებისას? რის საფუძველზე (რატომ) გამომაქვს ესა თუ ის დასკვნა?
- როგორ შემიძლია თვითგამოხატვა? არის თუ არა ჩემი აზრი/იდეა ორიგინალური და სხვებისგან განსხვავებული და რით?
- როგორ დავგეგმო საკუთარი სასწავლო საქმიანობა? მიჭირს თუ არა საკუთარი სწავლის (სასწავლო საქმიანობის) დაგეგმვა?
- რა გავაკეთე ან არ/ვერ გავაკეთე იმისათვის, რომ მიზნისთვის მიმეღწია? რა სტრატეგიები და საგანმანათლებლო რესურსები გამოვიყენე ამისათვის?
- მოვახერხე თუ არა თანამშრომლობა სხვებთან? რამ შემიწყო ან შემიშალა ხელი? რა გავაკეთე იმისათვის, რომ შეთანხმებისათვის მიმეღწია?

გ) მეთოდოლოგიური ორიენტირები

საგნის სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

- ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა მოტივირებას და შინაგანი ძალების გააქტიურებას.
- ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
- გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.
- დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას).
- ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

დროსა და სივრცეში ორიენტირება	<ul style="list-style-type: none"> • თანამედროვე რეალობის სივრცულ-დროით ჭრილში გააზრება და ინტერპრეტირება; • ხედვის პერსპექტივა დროითი და სივრცული ფაქტორების გათვალისწინებით.
წიგნიერება	<ul style="list-style-type: none"> • ზეპირი და წერიტი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანის, გაანალიზება-ინტერპრეტირებისა და წარდგენა-გაზიარების უნარი.
კვლევა	<ul style="list-style-type: none"> • კვლევითი ამოცანის, კვლევის პროცედურების, მონაცემების მოპოვების გზებისა და აღრიცხვის ფორმების განსაზღვრა; სათანადო რესურსების შერჩევა; • კვლევის ჩატარება, მონაცემების აღრიცხვა და სხვადასხვა ფორმით წარმოდგენა/ორგანიზება; • მონაცემების ანალიზი, არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე დასკვნების გამოტანა; კვლევის შედეგების შეფასება; • კვლევითი სამუშაოების ჩატარების დროს ეთიკისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა.

ენის სწავლების მეთოდები

სწავლების მეთოდები დიდად არის დამოკიდებული მოსწავლეთა სწავლების სტილსა და მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე (ბუნებრივია, იმისთვის, რომ მოსწავლემ ეფექტიანად გამოიყენოს შეთავაზებული სწავლების მეთოდები, ის სწავლის ეფექტურ სტრატეგიებსაც უნდა ფლობდეს). მათი სწორად შერჩევა და გამოყენება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვას და, შესაბამისად, იმ შედეგების მიღწევას, რომლებიც სტანდარტით არის განსაზღვრული.

სწავლების მეთოდის შერჩევასა მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა გაითვალისწინოს, მოსწავლეებში რა კომპეტენციის განვითარებას უწყობს ხელს ეს მეთოდი და რა არის მისი ძლიერი ან სუსტი მხარე. მეთოდის შერჩევასა ასევე უნდა დავფიქრდეთ:

- დაგვეხმარება თუ არა ჩვენ მიერ შერჩეული მეთოდი დასახული შედეგის მიღწევაში;
- შეესაბამება თუ არა ჩვენ მიერ შერჩეული მეთოდი აქტივობას;
- შეესაბამება თუ არა ჩვენ მიერ შერჩეული მეთოდი მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და გამოცდილებას;
- ტექნიკურად შესაძლებელია თუ არა მისი განხორციელება (ხელმისაწვდომია თუ არა რესურსები; გვეყოფა თუ არა დრო, შესაძლებელია თუ არა ამ რაოდენობის მოსწავლით მეთოდის ეფექტიანად განხორციელება და ა.შ.).

ენის სწავლების ძირითადი პრინციპები

იმისათვის, რომ სწავლა-სწავლების პროცესი ეფექტურად წარიმართოს, მასწავლებელმა:

- კარგად უნდა შეისწავლოს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები (მნიშვნელოვანია, სასწავლო პროცესში გარკვეული პერიოდულობით/სიხშირით ხდებოდეს მოსწავლეებზე ინდივიდუალური დაკვირვება და მათი სწავლის სტილის დადგენა / დიაგნოსტიკა იმისათვის, რომ დაიგეგმოს ოპტიმალური სასწავლო სიტუაციები. მეორე მხრივ, მასწავლებელი აუცილებლად უნდა ეცადოს მოსწავლეთა შესაძლებლობების განვითარებასა და სწავლის სტილთა გამრავალფეროვნებას);

- უნდა შეარჩიოს სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიები, მეთოდები და მიდგომები, ვინაიდან არ არსებობს სწავლების თუ სწავლის ერთი უნივერსალური მეთოდი, რომელიც ყველა მოსწავლეს შეესაბამება;
- მოსწავლეებს უნდა შესთავაზოს აქტივობათა და დავალებათა ასევე მრავალფეროვანი არჩევანი.

იმისათვის, რომ ავამაღლოთ მოსწავლეთა მოტივაცია, ყურადღება უნდა გავამახვილოთ მის განმაპირობებელ ფაქტორებზე, კერძოდ:

- მოსწავლეებს უნდა გავუღვიძოთ ცნობისმოყვარეობა შესასწავლი საკითხის/თემის, მიმართ; გავამდიდროთ სასწავლო პროცესი მრავალფეროვანი და საინტერესო სასწავლო მასალითა და აქტივობებით, სწავლების ახალი მეთოდებითა და სტრატეგიებით.
- უნდა დავარწმუნოთ ისინი საკუთარ შესაძლებლობებში. სწორედ ამისთვის არის საჭირო, რომ მასწავლებელი ფლობდეს ინფორმაციას მოსწავლეების ცოდნის დონისა და უნარების შესახებ. გამოვიყენოთ სხვადასხვა სირთულისა და ტიპის დავალებები.
- უნდა შევქმნათ თანამშრომლობითი ატმოსფერო. ერთი მხრივ, ეს გულისხმობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში და, მეორე მხრივ, მათში კონსტრუქციული დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. ამისთვის, სასურველია:
 - ✓ მასწავლებელმა მოსწავლესთან ერთად დაგეგმოს კონკრეტული აქტივობები; განსაზღვროს შესასრულებელი სამუშაოს ეტაპები; განახორციელოს ჯგუფური სამუშაოები; ჩართოს მოსწავლეები ცოდნის შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში. მათთან ერთად შეიმუშაოს შეფასების კრიტერიუმები და ინდიკატორები. დაეხმაროს მოსწავლეებს სწავლის სტრატეგიების გამომუშავებაში და სხვა.
 - ✓ მოსწავლეებს უნდა ჩამოუყალიბოს შეცდომებისადმი კონსტრუქციული დამოკიდებულება. მათ უნდა იცოდნენ, რომ შეცდომები სწავლის საუკეთესო საშუალებაა. გახადოს ისინი მიმტევებელნი / შემწყნარებელნი როგორც საკუთარი, ისე სხვისი შეცდომების მიმართ.

მეტაკოგნიტური უნარების განვითარება

სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ზრუნვა მეტაკოგნიციის უნარების განვითარებაზე, რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ეს აქტივობებია:

სტრატეგიების მოდელირება: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და მისი შესრულებისას „ხმამაღლა ფიქრობს“ იმაზე, თუ როგორ შეასრულოს ეს აქტივობა (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანხმლები მასალა, მაგ., სურათები? ამიტომ, სანამ ტექსტს წავიკითხავთ, ხომ არ სჯობს, ჯერ სურათებს გავეცნოთ და ვნახოთ, რა ინფორმაციის შემცველია ეს სურათები? და მისთ).

წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფურად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.), ასევე სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებენ თითოეულ ეტაპზე. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე.

შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა და ხერხი, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებს და აუმაღლებს სწავლის ქმედობაუნარიანობას.

წლიური პროგრამისა და სასწავლო თემის აგების პრინციპები

სტანდარტზე დაყრდნობით იგეგმება წლიური პროგრამები, რომლებიც გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს. წლიური პროგრამა სარეკომენდაციო ხასიათისაა. სკოლას შეუძლია გამოიყენოს რეკომენდებული წლიური პროგრამა ან თავად დასახოს სტანდარტის მიღწევის გზები. წლიური პროგრამები უნდა დაიგეგმოს სასწავლო თემების საშუალებით (შედეგი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს - თემას).

სასწავლო თემა იგეგმება შემდეგი კომპონენტების გამოყენებით:

<p>სასწავლო თემა</p> <p>სასწავლო თემა წარმოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.</p>
<p>ცნებები, ტექსტები, საკითხები</p> <p>ტექსტებისა და საკითხების მეშვეობით მოსწავლე გაიაზრებს ცნების შინაარსს, ამუშავებს საკვანძო შეკითხვებს, ასრულებს კომპლექსურ დავალებებს.</p>
<p>საკვანძო შეკითხვები</p> <p>თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვებიდან და დაისმის თემის კონკრეტულ კონტექსტში. მათი ფუნქციაა:</p> <ul style="list-style-type: none"> • მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად; • სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა; • თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მათორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.
<p>აქტივობები</p> <p>მიმდინარე დავალებების ტიპების/ნიმუშების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული</p>

გაგება-გააზრების პროცესების ხელშესაწყობად, ასევე ცოდნის ათვისების, განმტკიცებისა თუ შეჯამების მიზნით.

კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი

კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.

შეფასების ინდიკატორები

შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის.

მკვიდრი წარმოდგენები

მკვიდრი წარმოდგენები განისაზღვრება სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდეს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად.

როგორ აიგება სასწავლო თემა?

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული. სტანდარტის ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრება საკვანძო კითხვები და შეფასების ინდიკატორები, შეირჩევა ტექსტები, შემუშავდება იდეები შემაჯამებელი კომპლექსური დავალებებისთვის. ამის შემდეგ განისაზღვრება საგნობრივი საკითხები, რესურსები, დავალებების ტიპები/ნიმუშები. თითოეულ თემაზე მუშაობის პროცესი მოემსახურება ზოგადი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას.

ქვემოთ თემის ასაგებად გადასადგმელი ნაბიჯები წარმოდგენილია სქემატურად, ცხრილის სახით.

ცხრილი. სასწავლო თემის აგების პროცესი

ნაბიჯი 1. თემატური საკვანძო შეკითხვების დასმა

ნაბიჯი 2. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა

ნაბიჯი 3. თემის ტექსტების შერჩევა
ნაბიჯი 4. შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების იდეების შემუშავება
ნაბიჯი 5. ენობრივი და სოციოკულტურული საკითხების განსაზღვრა
ნაბიჯი 6. რესურსების შერჩევა, აქტივობებისა და მიმდინარე დავალებების განსაზღვრა და დაგეგმვა
ნაბიჯი 7. მკვიდრი წარმოდგენების განსაზღვრა

დ) შეფასება

საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესობა უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც აფასებს მოსწავლეს თავის წინარე შედეგებთან მიმართებით, ზომავს ინდივიდუალურ წინსვლას და, ამდენად, აძლევს მოსწავლეს ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირების საშუალებას.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითადი მიზანია მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას შეასწავლის.

შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება

შემაჯამებელი შეფასებისთვის გამოიყენება კომპლექსური, მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოითხოვს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ინტეგრირებულად და ფუნქციურად გამოყენებას. შემაჯამებელი დავალებები ხელს უნდა უწყობდეს ეროვნული სასწავლო გეგმების საბაზო საფეხურის მისიის განხორციელებას, სახელდობრ, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირებასა და მოსწავლის ცხოვრებისათვის მომზადებას.

ამ დავალებათა შესაფასებლად გამოიყენება შეფასების რუბრიკები, ანუ კრიტერიუმების ბადე.

მოსწავლეს თითოეული სასწავლო თემის დამუშავების შემდეგ ევალება შემაჯამებელი დავალების წარმოდგენა. შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა წლის განმავლობაში სავალდებულო სასწავლო თემების რაოდენობას ემთხვევა.

ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისათვის

ქვემოთ შემოთავაზებულია ტიპობრივ დავალებათა ფართო არჩევანი. შემაჯამებელი შეფასებისათვის მასწავლებელი და/ან მოსწავლე შეარჩევს დავალების სასურველ ტიპს/ტიპებს:

- კვლევითი პროექტების განხორციელება;
- ზეპირი ან წერილობითი ანგარიშის წარდგენა (მაგ., კვლევის მონაცემთა ანალიზი)
- აქტუალურ საკითხებზე დისკუსიების მოწყობა;
- ფილმის, ნახატის, ლიტერატურული ნაწარმოების განხილვა;
- შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა (მაგ., რეკლამა, ვიდეორგოლი, ვებგვერდი, გაზეთი...);
- წერილობითი ტექსტების შედგენა (დღიური, გამოხმაურება, რეპორტაჟი, გზამკვლევი...);
- როლურ თამაშებში მონაწილეობა (ინსცენირება; ინტერვიუს აღება, ვიქტორინის მოწყობა...).

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განმსაზღვრელი შეფასებისათვის განკუთვნილი შემაჯამებელი დავალება

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- დავალების შეფასების რუბრიკა, შეფასების ინდიკატორების გარდა, უნდა ეფუძნებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლ უნარებსა და ღირებულებებს;
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადააწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე;

ნიმუში. შემაჯამებელი დავალება წერით მეტყველებაში

თემა - სტუმრად უცხო ქალაქში
დავალების პირობა: დააკვირდი სქემაზე მონიშნულ მარშრუტს და წერილობით აუხსენი შენს სტუმარს, როგორ მოვიდეს შენამდე.
ყურადღება მიაქციე! 1. რომელი გზით არის უკეთესი წამოსვლა, შენამდე ადვილად რომ მოვიდეს? 2. ურჩიე, რით ჯობია, რომ წამოვიდეს. 3. მიუთითე, როგორ მოვიდეს შენამდე. 4. შესთავაზე სხვა ვარიანტიც.

გამოიყენე!		
1. გირჩევ, უნდა, შეგიძლია		
2. თუ ... , მაშინ ...		
სიტყვების მინიმალური რაოდენობა – 20		
შეფასების კრიტერიუმები	ქულები	განმავითარებელი შეფასების კომენტარი
პირობასთან შესაბამისობა		
იცავს სიტყვების რაოდენობის ქვედა ზღვარს	0 - 1	
იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს (შეთავაზებულია გზის ორი ვარიანტი)	0 - 1	
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები		
სწორად არის ახსნილი პირველი გზა	0 - 1 - 2	
სწორად არის ახსნილი მეორე გზა	0 - 1 - 2	
ენობრივი უნარ-ჩვევები		
სწორად იყენებს ზმნის ფორმებს	0 - 1 - 2	
სწორად იყენებს ნასწავლ ლექსიკას	0 - 1 - 2	
ქულათა მაქსიმალური რაოდენობა	10	

(ამოქმედდეს 2019 წლის 15 სექტემბრიდან)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 11.05.2018წ.

მუხლი 60. აფხაზური ენის სტანდარტი

(იხილეთ დანართის სახით)

თავი XII. მათემატიკა - ზოგადი ნაწილი და სტანდარტები

მუხლი 61. მათემატიკა - ზოგადი ნაწილი

შესავალი

თანამედროვე ეპოქაში მათემატიკა ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. იგი გამოიყენება ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში: მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში, მედიცინაში, ეკონომიკაში, გარემოს დაცვასა და აღდგენა-კეთილმოწყობაში, სოციალურ გადაწყვეტილებათა მიღებაში. აგრეთვე აღსანიშნავია მათემატიკის განსაკუთრებული როლი

კაცობრიობის განვითარებასა და თანამედროვე ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში. ციფრული ტექნოლოგიების განვითარება, სივრცე-დროის სტრუქტურის უკეთ გააზრება, ბუნებაში არსებული მრავალი კანონზომიერების აღმოჩენა და აღწერა ნათლად წარმოაჩენს მათემატიკის სამეცნიერო და კულტურულ ღირებულებას. რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მათემატიკა ხელს უწყობს ადამიანის გონებრივი შესაძლებლობების განვითარებას. იგი იძლევა ეფექტიანი, ლაკონური და არაორაზროვანი კომუნიკაციის საშუალებას. მათემატიკას იყენებენ რთული სიტუაციების თვალსაჩინო წარმოჩენის, მოვლენების ახსნისა და მათი შედეგების განჭვრეტისას. მათემატიკაში შექმნილი აბსტრაქტული სისტემები და თეორიული მოდელები გამოიყენება კანონზომიერებების შესასწავლად, სიტუაციის გასაანალიზებლად და პრობლემების გადასაჭრელად.

პრობლემის გადაჭრისას აუცილებელია მის არსში წვდომა, ადეკვატური მათემატიკური აპარატის შერჩევა, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში - მისი შემუშავება, შესასწავლი პროცესისა თუ ობიექტის გააზრებული მოდელის შექმნა, მიღებული მოდელის საშუალებით საჭირო დასკვნების გაკეთება და შემდეგ მათი ინტერპრეტაცია. პრაქტიკული თუ სამეცნიერო პრობლემები, თავის მხრივ, მათემატიკას ამარაგებს მნიშვნელოვანი და საინტერესო ამოცანებით. აქედან გამომდინარე, სწავლებისას მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს მათემატიკური მეთოდების გამოყენებას გარემომცველი სამყაროს შემეცნებისას, სოციალურ-ეკონომიკური თუ ტექნიკური პროცესების მართვისას, საყოფაცხოვრებო თუ მეცნიერული პრობლემების გადაჭრისას და მათემატიკური ცოდნის, როგორც ლოგიკურად გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და გადაცემას. გარდა ამისა, მათემატიკის სწავლებისას, ძირითადი ფოკუსის გადატანა როგორც პრაქტიკული, ასევე მეცნიერული ხასიათის პრობლემების გადაჭრაზე, აძლიერებს მოსწავლეთა მოტივაციას და აღძრავს მათემატიკისადმი ინტერესს.

მათემატიკის სწავლების მიზნები და ამოცანები

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მათემატიკის სწავლების ძირითადი მიზნებია:

- მოსწავლის ჩამოყალიბება აქტიურ მოქალაქედ, რომელიც შეძლებს რეალური ვითარებიდან გამომდინარე საკითხების გამოკვლევას და გაანალიზებას, იქნება შემოქმედებითი და ორგანიზებული;
- ხელსაყრელი წინაპირობების შექმნა ქვეყანაში მათემატიკური მეცნიერების განვითარებისათვის.

მათემატიკის ცოდნა ნიშნავს მათემატიკური ცნებებისა და პროცედურების ფლობას, მათი გამოყენების უნარს რეალური პრობლემების გადაჭრისას; აგრეთვე კომუნიკაციის იმ საშუალებების ფლობას, რომლებიც საჭიროა ინფორმაციის მისაღებად და გადასაცემად მათემატიკური ენისა და საშუალებების გამოყენებით.

საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, სასწავლო გეგმა ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას. ამგვარ ამოცანებს წარმოადგენს:

მოსწავლეთათვის აზროვნების, მსჯელობის, შეხედულებათა დასაბუთების, მოვლენებისა და ფაქტების ანალიზის უნარის განვითარება:

- ვარაუდის გამოთქმა და კერძო შემთხვევებში მისი კვლევა;
- საწყისი მონაცემების შერჩევა და ორგანიზება;
- დამტკიცების, დასაბუთების ხერხის შერჩევა;

- არჩეული სტრატეგიის ვარგისიანობისა და მისი გამოყენების საზღვრების განხილვა;
- მსჯელობის ხაზის განვითარება, ალტერნატიული გზების ძიება, მიღებული გადაწყვეტილების სისწორისა და ეფექტიანობის დასაბუთება;

მათემატიკის, როგორც სამყაროს აღწერისა და მეცნიერების უნივერსალური ენის ათვისება:

- მათემატიკის ადგილისა და მნიშვნელობის შეფასება სხვადასხვა დისციპლინაში, ბიზნესში, ხელოვნებასა, და ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში;
- ჩვეულ გარემოში (ყოველდღიურ ცხოვრებაში) მათემატიკური ობიექტებისა და პროცესების შემჩნევა და მათი თვისებების გამოყენება მოდელის აგებისას, პრაქტიკული (ყოფითი) ამოცანების გადაჭრისას;
- ინფორმაციის წარმოდგენის ხერხებისა და მეთოდების ფლობა, გამოყენება; სხვადასხვა გზით წარმოდგენილი ინფორმაციის ინტერპრეტაცია, მათზე მსჯელობა, ერთმანეთთან დაკავშირება;
- სხვისი ნააზრევის გაგება და გაანალიზება; ინფორმაციის გადაცემისას საკითხის არსის წარმოჩენა.

სწავლის შემდგომი ეტაპისათვის ან პროფესიული საქმიანობისათვის მომზადება; ცხოვრებისეული ამოცანების გადასაწყვეტად საჭირო ცოდნის გადაცემა და ამ ცოდნის გამოყენების უნარის განვითარება:

- სამუშაოს ორგანიზებისა და დაგეგმვის ხერხებისა და მეთოდების ფლობა;
- ამოცანის შინაარსის აღქმა, ამოცანის მონაცემებისა და საძიებელი სიდიდეების გააზრება-გამიჯვნა;
- პრობლემის განსაზღვრა და მისი ჩამოყალიბება;
- კომპლექსური პრობლემის საფეხურებად, მარტივ ამოცანებად დაყოფა და ეტაპობრივად გადაჭრა;
- პრობლემის გადასაჭრელად საჭირო სტრატეგიებისა და რესურსების შერჩევა და მათი გამოყენება;
- მიღებული შედეგის კრიტიკული შეფასება კონტექსტის გათვალისწინებით;
- პრობლემის გადაჭრისას ადეკვატური დამხმარე ტექნიკური საშუალებებისა და ტექნოლოგიების შერჩევა და მათი გამოყენება.

მათემატიკის სწავლების ორგანიზება

ზოგადი განათლების ყოველი საფეხურის ყოველ კლასში მათემატიკა ისწავლება, როგორც სავალდებულო საგანი.

შეფასება მათემატიკაში

სტანდარტის მოთხოვნათა დასაფარად, მოსწავლეთა შეფასებისას რეკომენდებულია მათემატიკურ დავალებათა მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება. დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს ამგვარი:

1. მათემატიკური შინაარსის ტექსტის (მათ შორის, ისეთი ტექსტის, რომელიც შეიცავს დიაგრამებსა და ცხრილებს) წაკითხვა და მონაცემთა ანალიზით (გამოთვლების ან ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე) მიღებული დასკვნის გადმოცემა და დასაბუთება;

2. ამოცანა, რომელშიც წინასწარ განსაზღვრული მონაცემების საფუძველზე მოსწავლეს მოეთხოვება მოცემული ფაქტის დასაბუთება ან უარყოფა (მაგალითად, თეორემის დამტკიცება);
3. რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობის გამოთვლა, განტოლების ამოხსნა, ასოითი გამოსახულების გამარტივება; ამოცანის რამდენიმე შესაძლო პასუხს შორის სწორი პასუხის შერჩევა, შესაბამისობის დამყარება, მონაცემების მითითებული თანმიმდევრობით დალაგება;
4. გეომეტრიული ამოცანა, რომელშიც მოსწავლეს მოეთხოვება ფიგურის თვისებების დადგენა, ზომების განსაზღვრა, ფიგურის აგება;
5. გრაფიკის ან დიაგრამის აგება, სივრცული ფიგურის შლილის ან მაკეტის დამზადება და სხვ.

მათემატიკური დავალებების შეფასების კომპონენტებია:

1. მათემატიკური ცნებებისა და დებულებების ცოდნა და გამოყენება;
2. მათემატიკურ ობიექტებს შორის კავშირებისა და მიმართებების დადგენა;
3. მათემატიკური ობიექტების წარმოდგენა და მათემატიკური ენის ფლობა;
4. მსჯელობა - დასაბუთება;
5. ინფორმაციის გადაცემისას საკითხის არსის წარმოაჩენა;
6. ამოცანის ჩამოყალიბება;
7. კომპლექსური ამოცანის მარტივ ამოცანებად დაყოფა და ეტაპობრივად ამოხსნა;
8. მათემატიკური მოდელირება;
9. ამოცანის ამოხსნის გზის მოძებნა და მისი რეალიზება;
10. გამოთვლების ოპტიმალური ხერხის შერჩევა; გამოთვლების შესრულების აკურატულობა;
11. დამხმარე ტექნიკური საშუალებებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

შეფასების ფოკუსში ექცევა მოსწავლის სასიცოცხლო უნარ-ჩვევებიც:

1. შემოქმედებითობა;
2. თანამშრომლობა (მეწყვილესთან, ჯგუფის წევრებთან);
3. სტრატეგიების გააზრებულად გამოყენება სასწავლო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით;
4. სასწავლო აქტივობებში მონაწილეობის ხარისხი.

შენიშვნა: დაწყებით კლასებში მოსწავლეთა შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა შემდეგ უნარ-ჩვევებს:

1. რიცხვების ჩაწერა და დასახელება;
2. არითმეტიკული მოქმედებების შესრულება და სიტყვიერი აღწერა;
3. გეომეტრიული ფიგურების ამოცნობა და მათი აღწერა;
4. ფიგურების კონსტრუირება;
5. მანძილის გაზომვისა და განსაზღვრის ხერხების / საშუალებების ცოდნა და გამოყენება;
6. მიმართულების, გადაადგილების და მარშრუტის სიტყვიერი აღწერა და სქემატური გამოსახვა;
7. ტერმინების: "ყველა", "ყოველი", "თითოეული", "ზოგიერთი", "ერთ-ერთი", "არცერთი", "ერთადერთი" გამოყენება რიცხვების თვისებების ან რიცხვთა ერთობლიობებს შორის მიმართებების დადგენისას;
8. მონაცემთა დალაგება, დაჯგუფება და კლასიფიკაცია მითითებული კრიტერიუმების მიხედვით;

9.საზომი ერთეულების (მანძილის, დროის, ფულის ერთეულების) და მათ შორის, მიმართებების ცოდნა და გამოყენება.

შემაჯამებელი დავალებების კომპონენტი

შემაჯამებელი დავალების კომპონენტი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. ამ კომპონენტში უნდა შეფასდეს ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა შეძლოს მათემატიკის საგნობრივი პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების წარმოჩენა. შესაბამისად, შემაჯამებელი დავალებები უნდა აფასებდეს მათემატიკის საგნობრივი პროგრამით განსაზღვრულ შედეგებს.

შემაჯამებელ დავალებათა ტიპები:

სტანდარტის მოთხოვნათა დასაფარად, რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება. მათემატიკის შემაჯამებელ დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს:

1. ტექსტურ ამოცანასთან დაკავშირებული ღია ან დახურული (რამდენიმე შესაძლო პასუხს შორის სწორი პასუხის შერჩევა, შესაბამისობის დამყარება, სწორი თანმიმდევრობით დალაგება) ტიპის დავალება;
2. ტექსტის წაკითხვა და მონაცემთა ანალიზით (გამოთვლების ან ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე) მიღებული დასკვნის გადმოცემა და დასაბუთება (მათ შორის, ისეთი ტექსტის, რომელიც შეიცავს დიაგრამებს და ცხრილებს);
3. განტოლების ამოხსნა, ასოითი გამოსახულების გამარტივება, რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობის გამოთვლა;
4. გეომეტრიული ამოცანა, რომელშიც მოსწავლეს მოეთხოვება ფიგურის თვისებების დადგენა, ზომების განსაზღვრა, ფიგურის აგება;
5. ამოცანა, რომელშიც წინასწარ განსაზღვრული მონაცემების საფუძველზე მოსწავლეს მოეთხოვება მოცემული ფაქტის დასაბუთება ან უარყოფა (მაგალითად, თეორემის დამტკიცება).

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი დავალებები:

1. დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა;
2. ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
3. მითითებული უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შეფასებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.

მუხლი 62. მათემატიკის სტანდარტი

1. მათემატიკა დაწყებით საფეხურზე

შესავალი

მათემატიკის საგნობრივ სასწავლო გეგმაში გამოყოფილია ოთხი მიმართულება: **რიცხვები და მოქმედებები; გეომეტრია და სივრცის აღქმა; მონაცემთა ანალიზი, სტატისტიკა და ალბათობა; კანონზომიერებები და ალგებრა.**

ეს მიმართულებები მჭიდრო ურთიერთკავშირშია და მოიცავს იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომლებსაც მოსწავლე უნდა დაეუფლოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში. მიმართულებებად დაყოფა არ გულისხმობს კურსის ანალოგიურ დაყოფას, იგი მხოლოდ წარმოაჩენს შესასწავლი მასალის სპექტრს და საშუალებას იძლევა მიეთითოს, თუ რაზე უნდა გამახვილდეს მეტი ყურადღება სწავლების ამა თუ იმ საფეხურზე.

მიმართულება: რიცხვები და მოქმედებები

- რიცხვები, მათი გამოყენება და რიცხვის წარმოდგენის საშუალებები;
- მოქმედებები რიცხვებზე და რიცხვითი თანაფარდობები;
- რაოდენობათა შეფასება და მიახლოება;
- სიდიდეები, ზომის ერთეულები და რიცხვების სხვა გამოყენება.

ამ მიმართულების ძირითადი მიზნებია „რიცხვის შეგრძნების“ განვითარება, თვლის პრინციპების ათვისება, არითმეტიკული მოქმედებებისა და მათი თვისებების შესწავლა, გამოთვლის ხერხების ათვისება და შედეგების შეფასება; რიცხვის ჩაწერის პოზიციური სისტემების შესწავლა, მათი ურთიერთშედარება და გამოყენება არითმეტიკული მოქმედებების შესრულებისას და პრაქტიკული ამოცანების გადაჭრისას; რიცხვითი სისტემების შესწავლა.

დაწყებით საფეხურზე უნდა მოხდეს არითმეტიკული მოქმედებების და მათი ადეკვატურად გამოყენების უნარის ჩამოყალიბება; არითმეტიკული მოქმედებების თვისებებისა და მათ შორის, კავშირების გააზრება; არითმეტიკული მოქმედებების შედეგისა და რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობის შეფასების უნარის განვითარება.

გარდა ამისა, მოსწავლეს უნდა ჩამოუყალიბდეს ათობითი პოზიციური სისტემის სრულყოფილი გაგება და მრავალნიშნა რიცხვებზე მოქმედებების შესრულებისას მისი გამოყენების უნარი; მთელის ნაწილების (ნახევრის, მესამედის, მეოთხედის) აღქმის, მოდელზე დემონსტრირების, კონსტრუირებისა და მათი შედარების უნარი.

მიმართულება: გეომეტრია და სივრცის აღქმა

- გეომეტრიული ობიექტები: მათი თვისებები, ურთიერთმიმართება და კონსტრუირება;
- ზომა და გაზომვის საშუალებები;
- გარდაქმნები და ფიგურათა სიმეტრიულობა;
- კოორდინატები და მათი გამოყენება გეომეტრიაში.

ამ მიმართულების ძირითადი მიზანია გეომეტრიული ობიექტებისა და მათი თვისებების, გაზომვების, გეომეტრიული გარდაქმნებისა და გეომეტრიული ობიექტების ალგებრული მეთოდებით შესწავლა, გეომეტრიის გამოყენებითი ასპექტების წარმოჩენა.

დაწყებით საფეხურზე მიმართულების ძირითადი მიზანია გეომეტრიული ობიექტების ურთიერთგანლაგების აღწერისა და დემონსტრირების უნარის განვითარება; გეომეტრიულ ობიექტთა კომპონენტების ამოცნობისა და მათი ურთიერთმიმართების აღწერის უნარის განვითარება; ატრიბუტების მიხედვით ფიგურათა დაჯგუფების, სიტყვიერი აღწერილობის მიხედვით ფიგურის

ამოცნობისა და მისი მოდელის შექმნის უნარის განვითარება, ორ წერტილს შორის მანძილის შეფასებისა და სიგრძის სტანდარტულ ერთეულებში გაზომვის, მარშრუტის აღწერისა და სქემატური გამოსახვის უნარის განვითარება.

მიმართულება: მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა

- მონაცემთა წყაროები და მონაცემთა მოპოვების საშუალებები;
- მონაცემთა მოწესრიგების ხერხები და მონაცემთა წარმოდგენის საშუალებები;
- მონაცემთა შემაჯამებელი რიცხვითი მახასიათებლები;
- ალბათური მოდელები;
- შერჩევითი მეთოდი და შერჩევის რიცხვითი მახასიათებლები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სტატისტიკური ცნებებისა და აპარატის შემოტანის მიზანია მონაცემთა შესახებ მოსწავლეთა ინტუიციური წარმოდგენების მოწესრიგება, სტრუქტურებად ჩამოყალიბება და მოსწავლეების ალბათურ-სტატისტიკური ხერხების გამოყენების უნარისა და ინტუიციის განვითარება.

დაწყებით საფეხურზე მიმართულების სწავლების მიზანია მოსწავლეები გაეცნონ ალწერთი სტატისტიკის ელემენტებს – თვისებრივი და დისკრეტული რაოდენობრივი მონაცემების შეგროვების, მოწესრიგების, წარმოდგენისა და ინტერპრეტაციის საშუალებებს.

მიმართულება: კანონზომიერებები და ალგებრა

- სიმრავლეები, ასახვები, ფუნქციები და მათი გამოყენება;
- დისკრეტული მათემატიკის ელემენტები და მათი გამოყენება;
- ალგორითმები და მათი გამოყენება;
- ალგებრული ოპერაციები და მათი თვისებები.

ამ მიმართულების ძირითადი მიზანია, მოსწავლეს ჩამოუყალიბდეს კანონზომიერებების, ალგებრული მიმართებებისა და ფუნქციური დამოკიდებულებების ამოცნობისა და აღწერის, აგრეთვე მათი საშუალებით მოვლენების მოდელირებისა და პრობლემების გადაჭრის უნარები.

დაწყებით საფეხურზე მიმართულების მიზანია მარტივი კანონზომიერებებისა და სიდიდეებს შორის დამოკიდებულების ამოცნობის უნარის განვითარება, არითმეტიკული ოპერაციების თვისებებისა და ასოთი აღნიშვნების გამოყენების შესწავლა.

ა) I-IV კლასების სტანდარტი

IV კლასის ბოლოს მისაღწევი შედეგები

ინდექსების განმარტება

დაწყებით საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **მათ.დაწყ.(I).1.:**

- „მათ.“ - მიუთითებს საგანს „მათემატიკა“;
- „დაწყ.“ - მიუთითებს დაწყებით საფეხურს;
- „(I)“ – მიუთითებს, რომ სტანდარტი მოიცავს I-IV კლასებს;
- „1“ - მიუთითებს შედეგის ნომერს.

მათემატიკის სტანდარტის შედეგები (I-IV კლასები)		
მიმართულება - რიცხვები და მოქმედებები		
ქვემიმართულებები	შედეგების ინდექსი	
რიცხვები, მათი გამოყენება და რიცხვის წარმოდგენის საშუალებები	მათ.დაწყ.(I).1	მოსწავლე უნდა ფლობდეს და იყენებდეს რიცხვის ცნებას და რიცხვის წარმოდგენის საშუალებებს; მოსწავლემ უნდა შეძლოს რიცხვების შედარება და კლასიფიცირება.
მოქმედებები რიცხვებზე და რიცხვითი თანაფარდობები	მათ.დაწყ.(I).2	მოსწავლემ უნდა შეძლოს ძირითადი არითმეტიკული ოპერაციების შესრულება რიცხვებზე.
რაოდენობათა შეფასება და მიახლოება	მათ.დაწყ.(I).3	მოსწავლემ უნდა შეძლოს ნატურალურ რიცხვებზე მოქმედების შედეგის მიახლოებით შეფასება და რიცხვების დამრგვალება.
სიდიდეები, ერთეულები და რიცხვების გამოყენება	მათ.დაწყ.(I).4	მოსწავლემ უნდა შეძლოს ზომის სხვადასხვა ერთეულის გამოყენება და ერთმანეთთან დაკავშირება.
მიმართულება - გეომეტრია და სივრცის აღქმა		
ქვემიმართულებები	შედეგების ინდექსი	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
გეომეტრიული ობიექტები: მათი თვისებები, ურთიერთმიმართება და კონსტრუირება	მათ.დაწყ.(I).5	ფიგურების იდენტიფიკაცია, კლასიფიცირება, გამოსახვა.
ზომა და გაზომვის საშუალებები	მათ.დაწყ.(I).6	საგანთა და ფიგურათა ზომებისა და ობიექტთა შორის მანძილების პოვნა.
კოორდინატები და მათი გამოყენება გეომეტრიაში	მათ.დაწყ.(I).7	ორიენტირება სიბრტყეზე.
მიმართულება - კანონზომიერებები და ალგებრა		
ქვემიმართულებები	შედეგების ინდექსი	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
სიმრავლეები, ასახვები, ფუნქციები და მათი გამოყენება	მათ.დაწყ.(I).8	საგნებს შორის ან საგნებსა და მათ ატრიბუტებს შორის მოცემული შესაბამისობის გავრცობა, გამოსახვა და გამოკვლევა.
ალგებრული ოპერაციები და მათი თვისებები	მათ.დაწყ.(I).9	რიცხვითი გამოსახულების შემცველი ტოლობის შედგენა და მისი გამოყენება პრობლემის გადასაჭრელად.
მიმართულება - მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა		
ქვემიმართულებები	შედეგების ინდექსი	

მონაცემთა წყაროები და მონაცემთა მოპოვების საშუალებები	მათ.დაწყ.(I).10	მოსწავლეს უნდა ჰქონდეს ელემენტარული წარმოდგენები ინფორმაციის მოპოვების საშუალებების შესახებ.
მონაცემთა მოწესრიგების ხერხები და მონაცემთა წარმოდგენის საშუალებები	მათ.დაწყ.(I).11	მოსწავლე უნდა ფლობდეს ინფორმაციის მოწესრიგებისა და წარმოდგენის ხერხებს (საშუალებებს).
მონაცემთა შემაჯამებელი რიცხვითი მახასიათებლები	მათ.დაწყ.(I).12	მოსწავლემ უნდა შეძლოს თვისებრივ და რაოდენობრივ მონაცემთა ინტერპრეტაცია და ელემენტარული ანალიზი.
მიმართულება - მსჯელობა-დასაბუთება, პრობლემის გადაჭრა		
ქვემიმართულებები		
მსჯელობა-დასაბუთება	მათ.დაწყ.(I).13	მოსწავლემ უნდა შეძლოს ყოველდღიური ცხოვრებიდან ან ბუნებისმეტყველების დარგებიდან მომდინარე მარტივი ამოცანების ამოხსნა.
პრობლემის გადაჭრა		

შინაარსი

1. რიცხვის ცნება. რიცხვების გამოყენება (მაგ., ჭდე, რიგი);
2. ნატურალური რიცხვები მილიონის ფარგლებში. ათობითი პოზიციური სისტემა. უმარტივესი წარმოდგენები სხვა რიცხვითი სისტემების შესახებ (ანბანი და ასოების რიცხვითი შესატყვისები; რომაული სისტემა);
3. არითმეტიკული მოქმედებები ნატურალურ რიცხვებზე. გაყოფა ნაშთით. რიცხვების შედარება და არითმეტიკული მოქმედებების შედეგის შეფასება. არითმეტიკული მოქმედებების თვისებები: შეკრებისა და გამრავლების კომუტაციურობა (გადანაცვლებადობა), ასოციაციურობა (ჯუფთებადობა) და შეკრების მიმართ გამრავლების დისტრიბუციულობა (განრიგებადობა);
4. ტექსტური ამოცანები, რომლებიც შეკრების, გამოკლებისა და გამრავლების შემცველი რიცხვითი გამოსახულებით იხსნება;
5. ზომის ერთეულები, ზომის ერთეულებს შორის კავშირები და ზომის ერთეულების გამოყენება;
6. გეომეტრიული ფიგურები (ბრტყელი, სივრცული). ფიგურის ელემენტები და გამოსახვა;
7. ფიგურათა კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნით (მაგ. ბრტყელი და სივრცული);
8. ფიგურის ზომები: საზომი ხელსაწყოები და სიგრძის საზომი ერთეულები. მრავალკუთხედის პერიმეტრი;
9. სივრცული ფიგურების მოდელები, შლილები.
10. ზოგადი წარმოდგენები თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების საჭიროებაზე (დანიშნულებაზე) შეგროვების საშუალებანი: გაზომვა, დაკვირვება, გამოკითხვა; მონაცემთა ამოკრება მონაცემთა უმარტივესი წყაროებიდან (მაგ. ცნობარიდან);
11. თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების ორგანიზება: მონაცემთა დაჯგუფება; რაოდენობრივ მონაცემთა დალაგება ზრდადობა-კლებადობით; თვისებრივ მონაცემთა დალაგება (მაგ., ლექსიკოგრაფიული მეთოდით);
12. მონაცემთა წარმოდგენის საშუალებანი: ცხრილი, პიქტოგრამა, დიაგრამა;
13. მონაცემთა შემაჯამებელი რიცხვითი მახასიათებლები თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემებისთვის: მონაცემთა საერთო რაოდენობა, უდიდესი და უმცირესი მნიშვნელობები.

ბ) V-VI კლასების სტანდარტი

მისაღწევი შედეგები VI კლასის ბოლოს ინდექსების განმარტება

დაწყებით საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **მათ.დაწყ.(II).1.:**

- „მათ.“ - მიუთითებს საგანს „მათემატიკა“;
- „დაწყ.“ - მიუთითებს დაწყებით საფეხურს;
- „(II)“ – მიუთითებს, რომ სტანდარტი მოიცავს V-VI კლასებს;
- „1“ - მიუთითებს შედეგის ნომერს.

მათემატიკის სტანდარტის შედეგები (V-VI კლასები)		
მიმართულება: რიცხვები და მოქმედებები		
ქვემიმართულებები	შედეგების ინდექსი	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
რიცხვები, მათი გამოყენება და რიცხვის წარმოდგენის საშუალებები	მათ.დაწყ.(II).1.	ნატურალური და არაუარყოფითი რაციონალური რიცხვების გამოსახვა, კლასიფიცირება და გამოყენება.
მოქმედებები რიცხვებზე და რიცხვითი თანაფარდობები	მათ.დაწყ.(II).2.	ნატურალურ და არაუარყოფით რაციონალურ რიცხვებზე არითმეტიკული მოქმედებების შესრულება.
რაოდენობათა შეფასება და მიახლოება	მათ.დაწყ.(II).3.	ნატურალურ რიცხვებზე მოქმედების შედეგის მიახლოებით შეფასება და რიცხვების დამრგვალება.
სიდიდეები, ზომის ერთეულები და რიცხვების სხვა გამოყენება.	მათ.დაწყ.(II).4.	ზომის სხვადასხვა ერთეულის ერთმანეთთან დაკავშირება და გამოყენება.
მიმართულება: გეომეტრია და სივრცის აღქმა		
ქვემიმართულებები	შედეგების ინდექსი	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
გეომეტრიული ობიექტები: მათი თვისებები, ურთიერთმიმართება და კონსტრუირება	მათ.დაწყ.(II).5.	ბრტყელი და სივრცული გეომეტრიული ფიგურების ამოცნობა, აღწერა და გამოსახვა, ფიგურებს შორის და ფიგურის ელემენტებს შორის მიმართებების დადგენა.
ზომა და გაზომვის საშუალებები	მათ.დაწყ.(II).6.	ბრტყელი ფიგურის ფართობის გამოთვლა და გამოყენება რეალური ვითარების შესაბამის ამოცანებში.
გარდაქმნები და ფიგურათა სიმეტრიულობა	მათ.დაწყ.(II).7.	გეომეტრიული გარდაქმნების დემონსტრირება.
კოორდინატები და მათი გამოყენება გეომეტრიაში	მათ.დაწყ.(II).8.	ორიენტირება ბადით დაფარულ არეზე.
მიმართულება: კანონზომიერებები და ალგებრა		

ქვემომართულებები	შედეგების ინდექსი	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
სიმრავლეები, ასახვები, ფუნქციები და მათი გამოყენება	მათ.დაწყ.(II).9.	სიდიდებს შორის დამოკიდებულების გამოსახვა და აღწერა.
ალგებრული ოპერაციები და მათი თვისებები	მათ.დაწყ.(II).10.	ალგებრული გამოსახულების შედგენა და გამარტივება.
მიმართულება: მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა		
ქვემომართულებები	შედეგების ინდექსი	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
მონაცემთა წყაროები და მონაცემთა მოპოვების საშუალებები	მათ.დაწყ.(II).11.	დასმული ამოცანის ამოსახსნელად საჭირო თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების მოპოვება.
მონაცემთა მოწესრიგების ხერხები და მონაცემთა წარმოდგენის საშუალებები	მათ.დაწყ.(II).12.	თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების დასმული ამოცანის ამოსახსნელად ხელსაყრელი ფორმით წარმოდგენა.
მონაცემთა შემაჯამებელი რიცხვითი მახასიათებლები	მათ.დაწყ.(II).13.	თვისებრივ და რაოდენობრივ მონაცემთა ინტერპრეტაცია და ელემენტარული ანალიზი.
მიმართულება: მსჯელობა-დასაბუთება, პრობლემის გადაჭრა		
ქვემომართულება	შედეგების ინდექსი	
მსჯელობა-დასაბუთება პრობლემის გადაჭრა	მათ.დაწყ.(II).14.	მოსწავლემ უნდა შეძლოს პრობლემების გადაჭრა გამოთვლების, ვარიანტების დათვლის და ობიექტებსა და მათ თვისებებს შორის მიმართებების გამოყენებით.

შინაარსი

1. ნატურალური რიცხვები და მათზე მოქმედებები;
2. მილიონზე მეტი ნატურალური რიცხვები (მილიარდი, ტრილიონი და ა.შ.);
3. სხვა რიცხვითი სისტემების გაცნობა;
4. მოქმედებები სხვადასხვა მნიშვნელის მქონე არაუარყოფით წილადებზე;
5. არაუარყოფითი ათწილადები; კავშირები ათწილადი წილადი და წილადი ათწილადი (სასრული ათწილადის შემთხვევა);
6. მოქმედებები არაუარყოფით ათწილადებზე;
7. კავშირი სიგრძის, ფართობისა და მოცულობის ერთეულებს შორის;
8. დროის ერთეულები (საათი, წუთი, წამი; წელი, ნაკიანი წელი);
9. სიგრძისა და მოცულობის ერთეულები და მათ შორის, კავშირები;
10. ორ სიდიდეს შორის დამოკიდებულებები, რომლებიც შეკრების, გამოკლების ან გამრავლების შემცველი გამოსახულებით მოიცემა;
11. შეკრების, გამოკლების ან გამრავლების შემცველი რიცხვითი და ასოითი გამოსახულებები, მათი გამარტივება და მათი გამოყენება ტექსტური ამოცანების ამოხსნისას;
12. შეკრების, გამოკლების ან გამრავლების შემცველი რიცხვითი უტოლობები და მათი თვისებები;
13. გეომეტრიული გარდაქმნები სიბრტყეზე: ღერძული სიმეტრია, პარალელური გადატანა;
14. ბრტყელი ფიგურის ფართობი;

15. სივრცული ფიგურების ელემენტებს შორის რაოდენობრივი დამოკიდებულება (მაგალითად, ეილერის ფორმულა);
16. სივრცული ფიგურების მოდელები, კუბის და მართკუთხა პარალელეპიპედის შლილები;
17. თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების შეგროვების საშუალებანი: გაზომვა, დაკვირვება, გამოკითხვა; მონაცემთა ამოკრება წყაროებიდან (მაგალითად, ცნობარი, კატალოგი, ინტერნეტი), სტატისტიკური ექსპერიმენტი;
18. თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების ორგანიზება: ინტერვალებად დაჯგუფებული რაოდენობრივი მონაცემები;
19. მონაცემთა მოწესრიგებული ერთობლიობების თვისებრივი ნიშნები: განმეორების ტიპის კანონზომიერებანი;
20. მონაცემთა წარმოდგენის საშუალებანი რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემებისთვის: სვეტოვანი და წრიული დიაგრამები;
21. მონაცემთა შემაჯამებელი რიცხვითი მახასიათებლები თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემებისათვის: ცენტრალური ტენდენციის საზომი – მონაცემთა საშუალო; უდიდესი და უმცირესი მნიშვნელობები.

[2. მათემატიკა საბაზო საფეხურზე

შესავალი

საბაზო საფეხურის მათემატიკის სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

- ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;
- ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი;
- გ) მეთოდოლოგიური ორიენტირები;
- დ) შეფასება.

საბაზო საფეხურზე საგანი „მათემატიკა“ რიცხვებზე მოქმედებების, ალგებრის, გეომეტრიის, მონაცემთა ანალიზისა და სტატისტიკის, ალბათობის შესწავლას გულისხმობს.

საგნის სწავლა-სწავლებისას მოსწავლე ჩართული იქნება აქტივობებში, რომლებიც მას შექმნილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მისცემს.

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

საბაზო საფეხურზე მათემატიკის სწავლების ძირითადი მიზნებია:

- მოსწავლე მათემატიკის მეშვეობით დაეუფლოს აბსტრაქტული, ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების ხერხებს;
- მოსწავლე დაეუფლოს მათემატიკის ენას - უნივერსალურ საშუალებას არა მარტო მათემატიკის, არამედ სხვა მეცნიერებებისა და სამყაროს შესაცნობად, ლოგიკური კავშირების/ბმების დასანახად;
- მოსწავლემ შეძლოს რეალური პრობლემების გადაჭრა მათემატიკური ინსტრუმენტების გამოყენებით.

ამ მიზნებზე მუშაობით მათემატიკა თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი

სტანდარტის შედეგები საგნის სწავლა-სწავლების მიზნებიდან გამომდინარეობს. ისინი პასუხობს შეკითხვას: რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს მათემატიკაში საბაზო საფეხურის ბოლოს.

შედეგები ჯგუფდება სამ მიმართულებად:

მსჯელობა-დასაბუთება - გულისხმობს ვარაუდების გამოთქმას, სრულად ან კერძო შემთხვევებში მათი მართებულობის კვლევას, საწყისი მონაცემების შერჩევასა და ორგანიზებას; არსებითი და არაარსებითი თვისებებისა და მონაცემების ერთმანეთისგან გამოიჯვანას, დამტკიცების და დასაბუთების ხერხის შერჩევას, არჩეული სტრატეგიის ვარგისიანობისა და მისი გამოყენების საზღვრების განხილვას, მსჯელობის ხაზის განვითარებას, ალტერნატიული გზის მოძებნას საჭიროების შემთხვევაში, მიღებული გადაწყვეტილების სისწორისა და ეფექტიანობის დასაბუთებას, გამონაკლისი შემთხვევების აღნიშვნას და მათი განზოგადების არამართებულობის დასაბუთებას (მაგ., კონტრმაგალითის მოყვანით).

მათემატიკური ენა, კომუნიკაციის მათემატიკური ხერხები - გულისხმობს მათემატიკური ობიექტების განსაზღვრებებისა და თვისებების ჩამოყალიბებას, ტერმინების, აღნიშვნებისა და სიმბოლოების კორექტულად გამოყენებას, მათემატიკური შინაარსის ინფორმაციის წარმოდგენის ხერხებისა და მეთოდების ფლობას და გამოყენებას, სხვადასხვა გზით წარმოდგენილი ინფორმაციის ინტერპრეტაციას და ერთმანეთთან დაკავშირებას; სხვისი ნააზრევის გაგებასა და გაანალიზებას, ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის შესაფერისი საშუალებების შერჩევას აუდიტორიისა და საკითხის გათვალისწინებით, ინფორმაციის გადაცემისას საკითხის არსის წარმოჩენას;

მათემატიკური მოდელირება, პრობლემების გადაჭრა - გულისხმობს ჩვეულ გარემოში ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებულ ობიექტებსა და პროცესებში მათემატიკური ობიექტების მოდელისა და მიმართებების აღმოჩენას, მათი თვისებების გამოყენებას პრაქტიკული ამოცანების გადაჭრისას, ამოცანის შინაარსის აღქმას, ამოცანის მონაცემებისა და საძიებელი სიდიდეების გააზრება-გამოიჯვანას, პრობლემის განსაზღვრასა და მის ჩამოყალიბებას მათემატიკურ ენაზე; კომპლექსური პრობლემის საფეხურებად, მარტივ ამოცანებად დაყოფას და ეტაპობრივად გადაჭრას, მიღებული შედეგების კრიტიკულ შეფასებას კონტექსტის გათვალისწინებით, პრობლემის გადაჭრას ადეკვატური დამხმარე ტექნიკური საშუალებებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

სტანდარტის შინაარსი განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულო ცნებების, თემატური ჩარჩოს, საგნობრივი საკითხების სახით.

სტანდარტის შედეგების ინდექსების განმარტება

საბაზო საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **მათ.საბ.1.**:

„**მათ.**“ - მიუთითებს საგანს „მათემატიკა“;

„**საბ.**“ - მიუთითებს საბაზო საფეხურს;

„**1**“ - მიუთითებს შედეგის ნომერს.

მათემატიკის სტანდარტის შედეგები	
შედეგების ინდექსი	მიმართულება: მსჯელობა-დასაბუთება
მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
მათ.საბ.1.	მათემატიკური ან სხვა საგნებიდან მომდინარე ამოცანების განხილვისას ჰიპოთეზების ჩამოყალიბება, მათი მართებულობის დადგენა ან უარყოფა;
მათ.საბ.2.	მსჯელობის ხაზის განვითარება; განზოგადებით ან დედუქციით მიღებული დასკვნების დასაბუთება.
მიმართულება: მათემატიკური ენა, კომუნიკაციის მათემატიკური ხერხები	
მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
მათ.საბ.3.	მათემატიკური ობიექტების განსაზღვრებებისა და თვისებების სწორად ჩამოყალიბება; მათემატიკური ტერმინების, აღნიშვნებისა და სიმბოლოების კორექტულად გამოყენება.
მათ.საბ.4.	მათემატიკურ დებულებათა ფორმულირების ხერხების კორექტულად გამოყენება;
მათ.საბ.5.	გრაფიკულად გადმოცემული მათემატიკური შინაარსის ინფორმაციის წაკითხვა; მათემატიკური ობიექტების გრაფიკული ხერხით (გრაფიკების, დიაგრამების და ნახაზების სახით) წარმოდგენა.
მიმართულება: მათემატიკური მოდელირება, პრობლემების გადაჭრა	
მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
მათ.საბ.6.	ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებულ ობიექტებსა და პროცესებში მათემატიკური ობიექტების მოდელებისა და მიმართებების შემჩნევა და მათი თვისებების გამოყენება მოდელის აგებისას, პრაქტიკული ამოცანების გადაჭრისას;
მათ.საბ.7.	ამოცანის შინაარსის აღქმა, ამოცანის მონაცემებისა და სამიხილავი სიდიდეების გააზრება-გამიჯვნა, პრობლემის გამოკვეთა და მისი ჩამოყალიბება;
მათ.საბ.8.	კომპლექსური (რთული) პრობლემის საფეხურებად, მარტივ ამოცანებად დაყოფა და ეტაპობრივად გადაჭრა/ამოხსნა;
მათ.საბ.9.	ამოცანის ამოხსნის შემდეგ მიღებული შედეგის კრიტიკული შეფასება ამოცანის კონტექსტის გათვალისწინებით.

მოსწავლეებში აღნიშნული უნარების ჩამოყალიბება და განვითარება შესაძლებელია მათემატიკის პროგრამის შინაარსის მეშვეობით, რომლის ძირითადი სფეროებია: **რიცხვები და მათზე მოქმედებები; ალგებრა; გეომეტრია; მონაცემთა ანალიზი და სტატისტიკა, ალბათობა.**

თემატური ჩარჩო საბაზო საფეხურის სასწავლო თემებისათვის

- რიცხვები და მათი გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში და მეცნიერების სხვა დარგებში;
- რეალური პროცესების მათემატიკური მოდელები;
- გარემომცველი სამყარო და გეომეტრიული ობიექტები.

- მონაცემთა ინტერპრეტაცია და ანალიზი.

რიცხვები და მათზე მოქმედებები

ცნებები და საკითხები:

რიცხვის ჩაწერის სისტემები: რიცხვის ჩაწერის პოზიციური და არაპოზიციური სისტემები. ათობითი და ორობითი პოზიციური სისტემები. რომაული და ძველი ქართული ნუმერაცია.

ნატურალური რიცხვები, მთელი რიცხვები
არითმეტიკული მოქმედებები მთელ რიცხვებზე.

რაციონალური რიცხვები

რაციონალური რიცხვების წარმოდგენა წილადებისა და ათწილადების სახით (მათ შორის, უსასრულო პერიოდული ათწილადის სახით). არითმეტიკული მოქმედებები რაციონალურ რიცხვებზე. რიცხვების შედარება და არითმეტიკული მოქმედებების შედეგის შეფასება. რიცხვითი გამოსახულებები, მოქმედებათა თანმიმდევრობა რიცხვით გამოსახულებებში, არითმეტიკულ მოქმედებათა თვისებები.

ირაციონალური რიცხვები

ირაციონალური რიცხვის არსებობა ($\sqrt{2}$ -ის ირაციონალობა, π რიცხვი).

რიცხვითი წრფე. რიცხვითი შუალედები

რიცხვის გამოსახვა რიცხვით წრფეზე. რიცხვითი შუალედები.

რიცხვის მოდული

მოდულის ძირითადი თვისებები და მისი გეომეტრიული აზრი.

პროპორცია.

პროპორციის თვისებები, პროპორციის უცნობი წევრის პოვნა, რიცხვის დაყოფა მოცემული შეფარდებით, სიდიდეებს შორის პირდაპირპროპორციული და უკუპროპორციული დამოკიდებულება.

რიცხვის პროცენტი, ნაწილი

რიცხვის პროცენტისა და ნაწილის პოვნა. რიცხვის პოვნა მისი პროცენტით ან ნაწილით, რიცხვის ჩაწერა პროცენტის სახით.

ნაშთი. ნაშთთა არითმეტიკა

ნაშთი. ნაშთთა არითმეტიკის ელემენტები (იგულისხმება ნაშთის მარტივი თვისებები: რისი ტოლია q -ამის ნაშთი, ნამრავლის ნაშთი და ა.შ.)

ხარისხი

ხარისხი ნატურალური და მთელი მაჩვენებლით, ნამრავლის, შეფარდების და ხარისხის ახარისხება. ტოლფუძიანი ხარისხების ნამრავლი და შეფარდება. რიცხვის ჩაწერის სტანდარული ფორმა.

არითმეტიკული ფესვი (კვადრატული და კუბური)

კვადრატული და კუბური ფესვების ძირითადი თვისებები. ფესვის შემცველ გამოსახულებათა

გამარტივება.

ზომის ერთეულები: სიგრძის, ფართობის, მოცულობის, მასის, დროის, კუთხის, სიჩქარის ერთეულები.

პროცედურები:

- რიცხვების წარმოდგენის მეთოდები, რიცხვების კლასიფიკაცია და მათი ადეკვატურად გამოყენება სხვადასხვა ასპექტში.
- ნამდვილ რიცხვებზე მოქმედებების შესრულება; რიცხვებზე მოქმედებებს შორის კავშირების ახსნა და მოქმედებათა თვისებების დასაბუთება.
- რაოდენობების შეფასებისა და შედარების სხვადასხვა ხერხების გამოყენება, რიცხვებზე მოქმედების შედეგის მიახლოებით შეფასება, რიცხვების დამრგვალება.
- ზომის სხვადასხვა ერთეულის ერთმანეთთან დაკავშირება და გამოყენება (მათ შორის რეალურ ვითარებაში).
- პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირებული და/ან სხვა სასწავლო დისციპლინებიდან მომდინარე ამოცანების ამოხსნა გამოთვლებზე (მათ შორის ტექნოლოგიების გამოყენებით).

საკვანძო შეკითხვები:

- რით განსახვავდება და როგორ ურთიერთკავშირშია ნამდვილ რიცხვთა ქვესიმრავლეები: ნატურალური რიცხვები, მთელი რიცხვები, რაციონალური რიცხვები, ირაციონალური რიცხვები, კენტი რიცხვები, ლუწი რიცხვები, დადებითი და უარყოფითი რიცხვები, მარტივი და შედგენილი რიცხვები?
- რაში მდგომარეობს რიცხვის ჩაწერის პოზიციური სისტემის არსი? რა განაპირობებს იმ ფაქტს, რომ მეცნიერების და ტექნიკის გარკვეულ მიმართულებებში იყენებენ სხვადასხვა ფუძიან პოზიციურ სისტემებს?
- როგორ გვეხმარება რიცხვებზე მოქმედებათა თვისებები რიცხვითი გამოსახულებების მნიშვნელობის გამოთვლისას?
- არის თუ არა რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობის შეფასება ზუსტი პასუხის პოვნაზე უფრო შესაფერისი გარკვეულ ვითარებებში?
- რითია სასარგებლო ხარისხის თვისებების ცოდნა მათემატიკური და რეალური ვითარებიდან მომდინარე ამოცანების ამოხსნისას?
- როგორ გამოვიყენებთ რიცხვების თვისებებს პირადი ხარჯთაღრიცხვის წარმოებასთან დაკავშირებული ან მეცნიერების სხვა დარგებიდან მომდინარე ამოცანების ამოხსნისას?

ალგებრა

ცნებები და საკითხები:

სიმრავლე. სიმრავლეებს შორის მიმართებები. მოქმედებები სიმრავლეებზე.

ქვესიმრავლე, ორი სიმრავლის ტოლობა (იგულისხმება, რომ, მაგ., დასაბუთდეს ორი სხვადასხვა აღწერით მოცემული სიმრავლეების ტოლობა), ცარიელი სიმრავლე. სასრული და უსასრულო სიმრავლეები (მთელი რიცხვების მაგალითზე). სიმრავლეთა გაერთიანება, თანაკვეთა.

ალგებრული გამოსახულებები: ასოითი აღნიშვნების გამოყენება, ცვლადი, უცნობი სიდიდე, ფორმულა; ალგებრული გამოსახულება, მისი რიცხვითი მნიშვნელობები, იგივეურად ტოლი გამოსახულებები.

მრავალწევრები

მრავალწევრების შეკრება, გამოკლება, გამრავლება. მრავალწევრის მამრავლებად დაშლა. შემოკლებული გამრავლების ფორმულები.

ალგებრული წილადები

წილადის ძირითადი თვისება, ალგებრული წილადების შეკვეცა, შეკრება, გამოკლება (იგულისხმება მარტივი შემთხვევები, როცა, მაგ. საერთო მნიშვნელის მოძებნა არ არის რთული), გამრავლება და გაყოფა.

განტოლებები

იგივეობის, განტოლების ცნებები, განტოლების ამონახსნი, ეკვივალენტური განტოლებები. გარდაქმნები, რომელთაც მივყავართ ეკვივალენტურ განტოლებამდე.

წრფივი ერთუცნობიანი განტოლება.

განტოლების ფესვი. წრფივი ერთუცნობიანი განტოლების ამოხსნა. წრფივი ერთუცნობიანი განტოლების შედგენა ამოცანის პირობის მიხედვით.

წრფივ განტოლებათა სისტემა.

ორუცნობიანი ერთი განტოლების ამონახსნები. განტოლებათა სისტემის ამონახსნის ცნება. ორუცნობიანი ორი წრფივი განტოლების სისტემის ამოხსნა. ორუცნობიანი ორი წრფივი განტოლების სისტემის შედგენა ამოცანის პირობის მიხედვით.

კვადრატული განტოლება და კვადრატული სამწევრი.

კვადრატული სამწევრი და მისი კოეფიციენტები. არასრული კვადრატული განტოლებები და მათი ამოხსნის ხერხები. სრული კვადრატული განტოლების ფესვების ფორმულა. ვიეტის თეორემა კვადრატული განტოლების ფესვების შესახებ. წილად-რაციონალური განტოლებების ამოხსნა, რომლებიც კვადრატულზე დაიყვანება (იგულისხმება უმარტივესი შემთხვევები). კვადრატული განტოლების გამოკვლევა მისი დისკრიმინანტის საშუალებით. კვადრატული განტოლების შედგენა ამოცანის პირობის მიხედვით.

უტოლობები.

რიცხვითი უტოლობები და მათი თვისებები. წრფივი უტოლობებისა და ერთუცნობიანი ორი წრფივი უტოლობის სიტემის ამოხსნა. წრფივი და ერთუცნობიანი ორი წრფივი უტოლობის სიტემის შედგენა ამოცანის პირობის მიხედვით.

კოორდინატთა სისტემა

წერტილის კოორდინატები ღერძზე, დეკარტის კოორდინატთა სისტემა, წერტილის კოორდინატები სიბრტყეზე.

სიდიდეებს შორის დამოკიდებულება. ფუნქციები (წრფივი, კვადრატული, უკუპროპორციულობის) სიდიდეებს შორის დამოკიდებულება და ამ დამოკიდებულების გამოსახვა ცხრილის, დიაგრამის, გრაფიკის, ფორმულის (განტოლების) საშუალებით.

პირდაპირპროპორციულობის დამოკიდებულება და მისი გამოსახვა დიაგრამის, ცხრილის, გრაფიკის და განტოლების საშუალებით. წრფივ დამოკიდებულებათა რეალური მაგალითები.

რიცხვითი ფუნქციის ცნება, განსაზღვრის არე და მნიშვნელობათა სიმრავლე, ფუნქციის მოცემის ხერხები, ფუნქციის გრაფიკის ცნება, ღერძებთან კვთები.

ფუნქციის გრაფიკის საშუალებით შემდეგ ცნებათა ინტერპრეტაცია: ფუნქციის ზრდადობა, კლებადობა, მუდმივობა, ნიშანმუდმივობის შუალედები, ნულები, ფუნქციის უდიდესი და უმცირესი მნიშვნელობები მოცემულ შუალედზე.

რიცხვითი მიმდევრობები: მიმდევრობის ზრდადობა, კლებადობა, შემოსაზღვრულობა. არითმეტიკული და გეომეტრიული პროგრესიები.

პროცედურები:

- განტოლებებისა და უტოლობების ამოხსნათა ხერხები, მოქმედებების შესრულება ალგებრულ გამოსახულებებზე, მოვლენების და პროცესების ალგებრული მოდელების შედგენა და პრობლემების გადაჭრა ალგებრული ტექნიკის გამოყენებით.
- სიმრავლური ცნებების და ოპერაციების გამოყენება;
- სიდიდეებს შორის დამოკიდებულებების აღწერა და წარმოდგენა ასახვების (ფუნქციების) მეშვეობით;
- მოვლენების და პროცესების ფუნქციური მოდელების შედგენა და პრობლემების გადაჭრა ფუნქციათა თვისებების კვლევის გამოყენებით.

საკვანძო შეკითხვები:

- როდის გამოიყენება ალგებრული და რიცხვითი გამოსახულებები?
- როგორ უნდა ჩაიწეროს მათემატიკურ ენაზე ჩვეულებრივ ენაზე (ვერბალურად) აღწერილი ამოცანა?
- როგორ ვქმნით რეალური ვითარების მათემატიკურ მოდელს? როგორ ვამოწმებთ და ვადასტურებთ მის მართებულობას?
- ყოველთვის ემთხვევა თუ არა რეალური ვითარების და ამ ვითარების მათემატიკური მოდელის ამონახსნები ერთმანეთს? ახსენით თქვენი მოსაზრება და მოიყვანეთ მაგალითები.
- როგორ გამოიყენებთ ფუნქციების თვისებებს ორ სიდიდეს შორის დამოკიდებულების შესასწავლად?
- რა გრაფიკული და ალგებრული მეთოდები გამოიყენება ფუნქციების თვისებების შესასწავლად?
- მნიშვნელოვანია თუ არა კანონზომიერებების შემჩნევა და აღწერა ჩვენს გარემომცველ სამყაროში?
- როგორ გამოიყენებთ მიმდევრობებს რეალურ ვითარებებში კანონზომიერებების შესასწავლად და აღსაწერად?

გეომეტრია

ცნებები და საკითხები:

ლოგიკის ელემენტები

ცნება, ნიშანი, განსაზღვრება, მსჯელობა, დასკვნა.

ძირითადი გეომეტრიული ობიექტი

წერტილი, წრფე, სიბრტყე, ბრტყელი და სივრცული ფიგურა, მონაკვეთი, სხივი, ტეხილი, მრუდი.

კუთხეები

სრული, გაშლილი, მოსაზღვრე, ვერტიკალური, მართი კუთხეები. კუთხის ბისექტრისისა და მონაკვეთის შუამართობის თვისებები. წრფეთა პარალელობის და მართობულობის ცნებები, თვისებები და ნიშნები.

სამკუთხედები

სამკუთხედი, მისი ელემენტები, სამკუთხედთა კლასიფიკაციები გვერდებისა და კუთხეების მიხედვით. დამოკიდებულება სამკუთხედის გვერდებსა და კუთხეებს შორის, სამკუთხედის უტოლობა, სამკუთხედის კუთხეების ჯამი. სამკუთხედის გარე კუთხე. სამკუთხედთა ტოლობის ნიშნები. ტოლფერდა სამკუთხედის თვისებები და ნიშნები. პითაგორას თეორემა. მახვილი კუთხის ტრიგონომეტრიული ფუნქციები. მართკუთხა სამკუთხედების ამოხსნა.

სამკუთხედის პერიმეტრი და ფართობი.

თალესის თეორემა. სამკუთხედთა მსგავსების ცნება, მსგავსების კოეფიციენტი. მსგავსების ნიშნები. მსგავს სამკუთხედთა პერიმეტრების და ფართობების შეფარდება. სამკუთხედების მსგავსების ნიშნების გამოყენებები.

ოთხკუთხედები

მართკუთხედის, პარალელოგრამის, რომბის, ტრაპეციის თვისებები და ნიშნები. მართკუთხედის, პარალელოგრამის, ტრაპეციის ფართობი.

წრეწირი და წრე

წრეწირის მხები, მკვეთი, ქორდა, მხებისა და ქორდის თვისებები. წრეწირთან დაკავშირებულ კუთხეთა ზომები. წრეწირის სიგრძე, წრის ფართობი, რკალის სიგრძე, სექტორის ფართობები.

თეორემები სამკუთხედში ჩახაზულ და მასზე შემოხაზულ წრეწირთა ცენტრების და რადიუსების შესახებ.

აგების უმარტივესი ამოცანები.

ანალიზური გეომეტრიის ელემენტები სიბრტყეზე.

მართკუთხა კოორდინატების შემოღება სიბრტყეზე. მონაკვეთის შუა წერტილის კოორდინატები. ორ წერტილს შორის მანძილის გამოსახვა დეკარტის კოორდინატებში.

გეომეტრიული გარდაქმნები.

ღერძული და ცენტრული სიმეტრიები, მობრუნება, პარალელური გადატანა.

ვექტორები

მოქმედებები ვექტორებზე - სკალარზე გამრავლება, შეკრება, სხვაობა ვექტორის დაშლა ჯამად მიმართულებების მიხედვით.

სივრცითი ფიგურები

მართი პრიზმა, პარალელეპიპედი, პირამიდა, ცილინდრი, კონუსი, ბირთვი.

სივრცული ფიგურის შლილი (პრიზმა, პირამიდა, ცილინდრი, კონუსი).

სივრცული ფიგურის ზედაპირის ფართობი (მართკუთხა პარალელეპიპედი, პირამიდა, ცილინდრი).

სივრცული ფიგურის მოცულობა (მართკუთხა პარალელეპიპედი).

პროცედურები:

- გეომეტრიულ ფიგურათა განმარტება, წარმოდგენა (მაგ, დახაზვა, მათ შორის ტექნოლოგიების გამოყენებით) და ამოცნობა, მათი სახეობების შედარება და კლასიფიცირება; ფიგურათა თვისებების შესწავლა (ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, მისი დამტკიცება ან უარყოფა) და მათი გამოყენება თეორიულ და პრაქტიკულ ამოცანებში.
- კოორდინატთა მეთოდი; გეომეტრიული გარდაქმნების თვისებების ჩამოყალიბება, დასაბუთება და გამოყენება თეორიულ და პრაქტიკულ ამოცანებში.
- ვექტორებზე მოქმედებების შესრულება და ვექტორების გამოყენება გეომეტრიული და საბუნებისმეტყველო პრობლემების გადაჭრისას.

საკვანძო შეკითხვები:

- როგორ გამოიყენებთ გეომეტრიულ ფიგურებს ჩვენი გარემომცველი ობიექტების აღწერისას?
- რა განსხვავებაა ფიგურის აღწერას, დახასიათებას და განსაზღვრებას შორის?
- როგორ ფიქრობთ, რა შემეცნებითი ღირებულება აქვს მსჯელობას?
- რა ხერხებს გამოიყენებთ ფიგურათა სახეობებს შორის მიმართებების გამოსახვის მიზნით?
- როგორ შეიძლება კოორდინატთა მეთოდის გამოყენება სიბრტყეზე ორიენტირებისათვის?
- სად და როგორ შეიძლება გეომეტრიული გარდაქმნების გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში?

მონაცემთა ანალიზი და სტატისტიკა, ალბათობა

ცნებები და საკითხები:

მონაცემთა წარმოდგენა. მონაცემთა მოწესრიგებული ერთობლიობების რაოდენობრივი და თვისებრივი ნიშნები: მონაცემთა რაოდენობა, პოზიცია და თანმიმდევრობა ერთობლიობაში, მონაცემთა სიხშირე და ფარდობითი სიხშირე; განმეორების ტიპის კანონზომიერებანი; გამორჩეული (მაგალითად: ექსტრემალური, იშვიათი) მონაცემები.

მონაცემთა წარმოდგენის საშუალებანი რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემებისთვის: სია, ცხრილი, პიქტოგრამა, წერტილოვანი, ხაზოვანი, სვეტოვანი, წრიული დიაგრამები.

მონაცემთა მახასიათებლები

ცენტრალური ტენდენციის საზომები (საშუალო, მედიანა, მოდა). მონაცემთა გაფანტულობის საზომი - გაბნევის დიაპაზონი.

ალბათობა

ვარიანტების დათვლის ხერხები, ხდომილობა; ელემენტარული და თანაბრადმოსალოდნელი, აუცილებელი და შეუძლებელი ხდომილობები, ალბათობა.

პროცედურები:

- დასმული ამოცანის ამოსახსნელად საჭირო თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების მოპოვება;
- მონაცემების მოწესრიგება და წარმოდგენა (მათ შორის ტექნოლოგიების გამოყენებით) დასმული ამოცანის ამოსახსნელად ხელსაყრელი ფორმით;
- თვისებრივ და რაოდენობრივ მონაცემთა ინტერპრეტაცია და ანალიზი ამოცანის კონტექსტის გათვალისწინებით და დასკვნების ჩამოყალიბება.
- ალბათური მოდელებისა და ალბათობის თვისებების აღწერა; მათი გამოყენება შემთხვევითი მოვლენების აღწერისას.

საკვანძო შეკითხვები:

- როგორ და რატომ ვაგროვებთ მონაცემებს?
- როგორ შეგვიძლია მონაცემების დახარისხება და წარმოდგენა?
- როგორ გეხმარება დიაგრამები, ცხრილები და გრაფიკები მონაცემების ინტერპრეტაციაში?
- როგორ დგინდება და გადმოიცემა ხდომილობის სავარაუდობა?

გ) მეთოდური ორიენტირები

საგნის სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

- ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა მოტივირებას და შინაგანი ძალისხმევის გააქტიურებას.
- ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
- გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.
- დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას).
- ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

პასუხისმგებლობა	<ul style="list-style-type: none"> • სასკოლო საქმიანობებში (სასკოლო ცხოვრებაში) ნაკისრი ვალდებულების შესრულება; • სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება; • საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე პასუხისმგებლობის აღება.
თანამშრომლობა	<ul style="list-style-type: none"> • სამუშაოს თანასწორად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს; • მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად; • განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა; • რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით.
დროსა და სივრცეში ორიენტირება	<ul style="list-style-type: none"> • თანამედროვე რეალობის სივრცულ-დროით ჭრილში გააზრება და ინტერპრეტირება; • მულტიპერსპექტიული ხედვა დროითი და სივრცული ფაქტორების გათვალისწინებით.
ეთიკა	<ul style="list-style-type: none"> • ეთიკური ნორმების დაცვა; • სოლიდარობის განცდა; • ემპათია; • განსხვავებულობის მიმღებლობა; • საკუთარ სოციალურ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრება.
სწავლის სწავლა დამოუკიდებლად საქმიანობა	<ul style="list-style-type: none"> • აქტივობის/დავალების ღირებულების გააზრება - მოსწავლემ უნდა დაინახოს, რას შესძენს აქტივობის შესრულება, რა პიროვნულ თუ სოციალურ სარგებელს მოუტანს მას; • აქტივობის/დავალების დაგეგმვა - (მოთხოვნათა გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის განსაზღვრა; დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის განსაზღვრა; სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების დადგენა; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა; იმის განჭვრეტა, თუ რა გაუადვილდება, რა გაუმძნელდება, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიების მიზანშეწონილად შერჩევა სამუშაოს თითოეული ეტაპისათვის); • სწავლის პროცესის მონიტორინგი - დაფიქრება სწავლის პროცესზე, იმ პირობების და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, სათანადო ზომების მიღება წინსვლის ხელშესაწყობად; თვითშეფასება ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად, სუსტი მხარეების გასაძლიერებლად გზების დასახვა; • სოციოემოციური მართვა - ნერვიულობის მინიმუმამდე დაყვანა, საჭიროებისამებრ, დახმარების თხოვნა, საკუთარ თავში სიძნელეთა გადალახვის რესურსების პოვნა; შეცდომების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება და წინსვლის წყაროდ გამოყენება; • ცალკეული საქმიანობისთვის გამოყოფილი დროის ეფექტურად გამოყენება.
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება	<ul style="list-style-type: none"> • მათემატიკური შინაარსის ციფრული ფორმატის ტექსტის შექმნა - ალგებრული გამოსახულებების და გეომეტრიაში გამოყენებული სხვადასხვა აღნიშვნების ჩაწერა ტექსტურ რედაქტორის გამოყენებით; • ციფრული ფორმატის გრაფიკული გამოსახულებების - დიაგრამების, გრაფიკების, ცხრილების, გეომეტრიული ნახაზების აგება სპეციალური გრაფიკული რედაქტორების გამოყენებით; • ელექტრონული ცხრილების გამოყენება მონაცემთა ორგანიზება-წარმოდგენის, მათი დამუშავებისა და ანალიზის მიზნით; • კალკულატორების გამოყენება გამოთვლების შესრულებისას ზომის ერთეულების ონლაინ-კონვერტორების გამოყენება; • დინამიური, ვირტუალური სიმულაციების გამოყენება მათემატიკური შინაარსის ამოცანების ამოხსნისას.
წიგნიერება	<ul style="list-style-type: none"> • ეპირი და წერითი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების,

	სისტემაში მოყვანის, გაანალიზება-ინტერპრეტირებისა და წარდგენა-გაზიარების უნარი.
მეწარმეობა, ინიციატივების გამოვლენა და საქმედ ქცევა	<ul style="list-style-type: none"> • სწავლა-სწავლების პროცესში ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გამოვლენა; • ახალი იდეების, მიდგომების, შესაძლებლობების ძიება და მათი განხორციელება სწავლის გაუმჯობესების მიზნით; • მზაობა გამოწვევების მისაღებად, გაბედული ნაბიჯების გადასადგმელად.
შემოქმედებითი აზროვნება	<ul style="list-style-type: none"> • ჩანაფიქრის შემოქმედებითად განხორციელება; • ორიგინალური იდეების გამოვლენა და ხორცშესხმა; ახლის შექმნა; • დასმული პრობლემების გადასაჭრელად არასტანდარტული გზების მოძიება; • სწრაფვა გარემოს გარდაქმნა-გაუმჯობესებისკენ; • გამოწვევების მიღება, სასკოლო საქმიანობებში გაბედული ნაბიჯების გადადგმა.

წლიური პროგრამისა და სასწავლო თემის აგების პრინციპები

სტანდარტზე დაყრდნობით იგეგმება წლიური პროგრამები, რომლებიც გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს. წლიური პროგრამა სარეკომენდაციო ხასიათისაა. სკოლას შეუძლია გამოიყენოს რეკომენდებული წლიური პროგრამა ან თავად დასახოს სტანდარტის მიღწევის გზები. წლიური პროგრამები უნდა დაიგეგმოს სასწავლო თემების საშუალებით.

სასწავლო თემა იგეგმება შემდეგი კომპონენტების გამოყენებით:

<p>სასწავლო თემა</p> <p>სასწავლო თემა წარმოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.</p>
<p>საგნობრივი საკითხები</p> <p>წლიური თემების ფარგლებში გამოიყოფა საგნობრივი საკითხები. საგნობრივი საკითხების სწავლება თვითმიზანს არ წარმოადგენს.</p> <p>საგნობრივი საკითხების მეშვეობით მოსწავლე გაიაზრებს ცნების შინაარსს, ამუშავებს საკვანძო შეკითხვებს, ასრულებს კომპლექსურ დავალებებს.</p>
<p>თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები</p> <p>ცნებები განსაზღვრავს იმ არსებით ცოდნას, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს.</p>

თემატური საკვანძო შეკითხვები

თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვებიდან და დაისმის თემის კონკრეტულ კონტექსტში. მათი ფუნქციაა:

- მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;
- სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა;
- თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელმაც სასწავლო თემის ფარგლებში შესაძლოა გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლი შეასრულოს.

აქტივობები

დავალებების ტიპები/ნიმუშების ჩამონათვალი, რომლებიც გამოიყენება გაგება-გააზრებისა და შეჯამების პროცესების, ასევე ცოდნის ათვისების, განმტკიცებისა თუ შეჯამების მიზნით.

კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი

კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.

შეფასების ინდიკატორები

შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის.

როგორ აიგება სასწავლო თემა?

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული. ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრება მკვიდრი წარმოდგენები, საკვანძო კითხვები და შეფასების ინდიკატორები.

სასწავლო თემის სწავლა-სწავლების მიზნით შემდეგ ეტაპზე უნდა განისაზღვროს საგნობრივი საკითხები, რესურსები, დავალებების ტიპები/ნიმუშები გაგების, გააზრების, განმტკიცებისა და შეჯამების მიზნით. ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს იდეები შემაჯამებელი კომპლექსური დავალებებისთვის, რადგან მხოლოდ კომპლექსური დავალებების საშუალებით შეიძლება გამოვლინდეს, რამდენად დაეუფლა მოსწავლე თემის ფარგლებში ასათვისებელ ცოდნა-უნართა ერთობლიობას და რამდენად ახერხებს მათ ფუნქციურად გამოყენებას.

სასწავლო თემის აგების ბიჯები

ნაბიჯი 1. საგნობრივი საკითხების განსაზღვრა
ნაბიჯი 2. თემატური საკვანძო კითხვების დასმა
ნაბიჯი 3. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა
ნაბიჯი 4. აქტივობებისა და მიმდინარე დავალებების დაგეგმვა და რესურსების შერჩევა
ნაბიჯი 5. შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების შემუშავება

სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ზრუნვა მეტაკოგნიციის უნარების განვითარებაზე, რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ეს აქტივობებია:

სტრატეგიების მოდელირება: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და მისი შესრულებისას „ხმამალა ფიქრობს“ იმაზე, თუ როგორ შეასრულოს ეს აქტივობა (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანხმლები მასალა და მისთ.);

წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფურად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.), ასევე სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებენ თითოეულ ეტაპზე. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე.

შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა და ხერხი, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებს და აუმაღლებს სწავლის ქმედუნარიანობას.

დ) შეფასება

საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესობა უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც აფასებს მოსწავლეს თავის წინარე შედეგებთან მიმართებით, ზომავს ინდივიდუალურ წინსვლას და, ამდენად, ამლევს მოსწავლეს ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირების საშუალებას.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითადი მიზანია მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას შეასწავლის.

შემაჯამებელი (განმავითარებელი და განსაზღვრელი) შეფასება

შემაჯამებელი შეფასებისთვის გამოიყენება კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოითხოვს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ინტეგრირებულად და ფუნქციურად გამოყენებას. ამ დავალებათა შესაფასებლად გამოიყენება შეფასების რუბრიკები, ანუ კრიტერიუმების ბადე.

მოსწავლეს თითოეული სასწავლო თემის დამუშავების შემდეგ ევალება შემაჯამებელი დავალების წარმოდგენა. შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა წლის განმავლობაში სავალდებულო სასწავლო თემების რაოდენობას ემთხვევა.

ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისათვის

სტანდარტის მოთხოვნათა დასაფარად, რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება. მათემატიკის შემაჯამებელ დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს:

- ტექსტურ ამოცანასთან დაკავშირებული ღია ან დახურული (რამდენიმე შესაძლო პასუხს შორის სწორი პასუხის შერჩევა, შესაბამისობის დამყარება, სწორი თანმიმდევრობით დალაგება) ტიპის დავალება;
- ტექსტის წაკითხვა და მონაცემთა ანალიზით (გამოთვლების ან ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე) მიღებული დასკვნის გადმოცემა და დასაბუთება (მათ შორის ისეთი ტექსტის, რომელიც შეიცავს დიაგრამებს და ცხრილებს);
- განტოლების ამოხსნა, ასოიტი გამოსახულების გამარტივება, რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობის გამოთვლა;
- გეომეტრიული ამოცანა, რომელშიც მოსწავლეს მოეთხოვება ფიგურის თვისებების დადგენა, ზომების განსაზღვრა, ფიგურის აგება;
- ამოცანა, რომელშიც წინასწარ განსაზღვრული მონაცემების საფუძველზე მოსწავლეს მოეთხოვება მოცემული ფაქტის დასაბუთება ან უარყოფა (მაგალითად, თეორემის დამტკიცება).

უნარ-ჩვევები ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- მოსწავლე აღიქვამს ამოცანის შინაარსს, გაიაზრებს და გამოიჯნავს ამოცანის მონაცემებსა და საძიებელ სიდიდეებს. ახდენს მონაცემების (მათ შორის პრობლემის გადასაჭრელად საჭირო მონაცემების) ორგანიზებას და მათ წარმოდგენას;

- გადმოცემისას სწორად და ეფექტიანად იყენებს მათემატიკურ ტერმინებსა და აღნიშვნებს. ადეკვატურად ირჩევს სიმკაცრის დონეს და როდესაც საჭიროა, დასაბუთებისას იყენებს მკაცრ მათემატიკურ მსჯელობას (მათ შორის ინდუქციურ და დედუქციურ მსჯელობას);
- პოულობს, არჩევს და იყენებს გზებსა და მეთოდებს (მათ შორის ტექნოლოგიებს) ფიგურების და ობიექტების ზომების, აგრეთვე მათ შორის მანძილების, მასის, ტემპერატურის და დროის გასაზომად. არჩევს და მოიპოვებს პროცესის ან რეალური ვითარების მოდელირებისათვის საჭირო მონაცემებს;
- ახდენს მოცემული მოდელის ელემენტების ინტერპრეტირებას იმ რეალობის კონტექსტში, რომელსაც მოდელი აღწერს და პირიქით – რეალური ვითარების დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემების ინტერპრეტირებას შესაბამისი მოდელის ენაზე. განსაზღვრავს მოდელის ვარგისიანობას და აფასებს მისი გამოყენების საზღვრებს;
- კომპლექსურ (რთულ) პრობლემას ყოფს საფეხურებად, მარტივ ამოცანებად და ჭრის ეტაპობრივად (ამოხსნა), მათ შორის სტანდარტული მიდგომებისა და პროცედურების გამოყენებით;
- ამოცანების ამოხსნისას, იყენებს მათემატიკურ ობიექტებს, პროცესებს და მათ თვისებებს;
- ირჩევს ეფექტიან სტრატეგიას და მოკლედ აღწერს პრობლემის გადაჭრის საფეხურებს. მიჰყვება არჩეულ სტრატეგიას. აანალიზებს არჩეულ სტრატეგიას და ასაბუთებს არჩეული სტრატეგიის ეფექტიანობას, მიმოიხილავს შესაძლო ალტერნატიულ სტრატეგიებს და მსჯელობს მათ უპირატესობებსა და ნაკლებზე;
- ირჩევს გამოთვლების ადეკვატურ / ოპტიმალურ ხერხს და ახდენს მის რეალიზებას;
- ამყარებს კავშირებს (მაგალითად, სხვა მათემატიკურ სტრუქტურებთან, ობიექტებთან ან სხვა დისციპლინებთან) და იყენებს ამ კავშირებს როგორც პრობლემის გადაჭრისას, ასევე მიღებული შედეგების გაანალიზებისას;
- ახდენს მიღებული შედეგების განზოგადებას, ამყარებს კავშირებს (მაგალითად სხვა მათემატიკურ სტრუქტურებთან, ობიექტებთან ან სხვა დისციპლინებთან) და იყენებს ამ კავშირებს როგორც პრობლემის გადაჭრისას, ასევე მიღებული შედეგების გაანალიზებისას;
- ირჩევს დასაბუთების ხერხს (მაგალითად: საწინააღმდეგოს დაშვების გამოყენება დამტკიცებისას, ევრისტული მეთოდის გამოყენება დასაბუთებისას);
- ინფორმაციის გადაცემისას წარმოაჩენს საკითხის არსს (მაგალითად, მათემატიკური ობიექტის არსებით თვისებებს);
- კორექტულია მასწავლებელთან და მეგობრებთან მიმართებაში. იგებს და აანალიზებს სხვის ნააზრევს;
- თანამშრომლობს თანაკლასელებთან ჯგუფური სამუშაოების შესრულებისას;
- აუდიტორიისა და საპრეზენტაციო მასალის მიხედვით ირჩევს პრეზენტაციის ფორმას და დამხმარე საშუალებებს (მათ შორის საინფორმაციო ტექნოლოგიებს). ეფექტიანად იყენებს პრეზენტაციისათვის განკუთვნილ დროს;
- ახდენს პრობლემის ფორმულირებას აუდიტორიისათვის გასაგები ფორმით. ასაბუთებს პრობლემის აქტუალურობას და მნიშვნელობას (იგულისხმება პრობლემის პრაქტიკული ან/და წმინდა მეცნიერული აქტუალურობა);
- სადემონსტრაციოდ იყენებს მაგალითებს, როგორც რეალური ვითარებიდან ასევე მათემატიკიდან;
- კეთილსინდისიერად ასრულებს დავალებებს (ვადებისა და რაოდენობის თვალსაზრისით).

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განმსაზღვრელი შეფასებისათვის განკუთვნილი შემაჯამებელი დავალება

4. დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა;

5. ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
6. 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე;
7. მითითებული უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შეფასებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.

კონკრეტული რუბრიკის ნიმუში

ტექსტური ამოცანა, რომლის ამოხსნა მოითხოვს განტოლების შედგენას და ამოხსნას

საფეხურები	ქულა
ამოცანის მონაცემების ორგანიზება	
ამოხსნისათვის საჭირო მონაცემების ამოკრეფა ამოცანის ტექსტიდან	0 - 1
მონაცემების ორგანიზება და ისეთი ხერხით ჩაწერა, რომელიც აადვილებს ამოხსნის გზის მოძებნას	0 - 1
ადეკვატური აღნიშვნების შემოტანა	
სამიებელი სიდიდეების გამოყოფა	0 - 1
სამიებელი სიდიდეებისათვის ასოთი აღნიშვნების შემოღება	0 - 1
მათემატიკური ობიექტებისა და პროცედურებისათვის სწორი აღნიშვნების გამოყენება (მაგალითად: ფუნქციის, ალგებრული მოქმედების)	0 - 1
ამოხსნის გზის მოძებნა	
განტოლების შედგენის წინმსწრები მსჯელობა	0 - 1
განტოლების შედგენა	0 - 1
ამოხსნის გზის რეალიზება და პასუხის მიღება	
განტოლების ამოხსნის ხერხის მოძებნა	0 - 1
განტოლების ამოხსნა და პასუხის მიღება	0 - 1 - 2

(ამოქმედდეს 2019 წლის 15 სექტემბრიდან)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 11.05.2018წ.

თავი XIII. ეთნიკური უმცირესობების ენები - ზოგადი ნაწილი და სტანდარტები

მუხლი 63. ეთნიკური უმცირესობების ენები - ზოგადი ნაწილი

შესავალი

ეთნიკურ უმცირესობათა ენების სასწავლო გეგმა ითვალისწინებს საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა მშობლიური ენების სწავლებას ქართულ და არაქართულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო დაწესებულებებში.

არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისა და სექტორების სასწავლო გეგმა მოიცავს სტანდარტებსა და საგნობრივ პროგრამებს ენასა და ლიტერატურაში.

ქართულენოვანი საჯარო სკოლების სასწავლო გეგმა მოიცავს სტანდარტებსა და საგნობრივ პროგრამებს იმ ენებისათვის, რომელთა გადაცემა საქართველოში მცხოვრები მოზარდი თაობისთვის გაძნელებულია და, ამდენად, შექმნილია მათი გაქრობის საფრთხე. ამ ენათა რიცხვს მიეკუთვნება: ასურული, ოსური, უდიური, კურმანჯი, ჩეჩნური, ხუნძური.

ეთნიკური უმცირესობების ენების სწავლების მიზნები და ამოცანები

ეთნიკურ უმცირესობათა ენის/ენების სწავლება მიზნად ისახავს, მოსწავლეს გააცნობიერებინოს მშობლიური ენა, როგორც ეროვნული კულტურისა და პიროვნული იდენტობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი/არსებითი კომპონენტი; განუვითაროს მას მშობლიური ენისა და ლიტერატურის გააზრების უნარი ჩვენი ქვეყნის ეთნიკურ-კულტურული მრავალფეროვნების კონტექსტში.

ეთნიკურ უმცირესობათა ენების შესწავლამ მოზარდს უნდა განუვითაროს ძირითადი საკომუნიკაციო უნარები (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) საქართველოს ეთნიკური/ეროვნული უმცირესობების ამა თუ იმ მშობლიურ ენაზე.

ამ ჯგუფში შემაჯავლი საგნის/საგნების შესწავლამ მოსწავლეებს უნდა განუვითაროს საკუთარი აზრის ლოგიკური თანამიმდევრობით გამოხატვის უნარი მშობლიურ ენაზე; აღუძრას მშობლიური ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი ინტერესისა და პატივისცემის გრძნობა; გამოუმუშაოს მშობლიური კულტურის წარმომადგენლებთან წარმატებული კომუნიკაციის უნარი; აღმოაჩინოს ენობრივ-კულტურული იდენტობის განუმეორებლობა; ჩამოუყალიბოს დადებითი განწყობილება ენობრივ-კულტურული მრავალფეროვნების მიმართ, რომელიც ქვეყნის სიმდიდრეს წარმოადგენს და გააცნობიერებინოს იგი, როგორც სამყაროს მრავალფეროვნების კერძო გამოვლინება.

საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, სასწავლო გეგმა ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას. ამგვარ ამოცანებს წარმოადგენს:

- მშობლიური ენის აგებულების, ძირითადი ენობრივი ნორმების, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების, სტილისტიკის საკითხებისა და სამეტყველო ეტიკეტის შესახებ ცოდნის შექმნა და გაღრმავება;
- ლექსიკური მარაგის შევსება;
- აზრის ცხადად, ლაკონიურად, მკაფიოდ და მწყობრად გამოხატვის უნარის ჩამოყალიბება; მსჯელობის უნარის განვითარება;
- სააზროვნო მოქმედებათა (ანალიზი, შედარება, განზოგადება) განვითარება ენობრივ (ტექსტობრივ) საფუძველზე;
- სამეტყველო ეტიკეტის ნორმების დაცვის უნარის განვითარება;
- ფუნქციურად და შინაარსობრივად მრავალფეროვანი ტექსტების შესწავლისა და გააზრების უნარის ჩამოყალიბება;

- მწერლის შემოქმედების გააზრების უნარის განვითარება სუბიექტური (მაგ., მწერლის ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტები და მომენტები) და ობიექტური (მაგ., ეპოქის ზოგადი კონტექსტი) ფაქტორების გათვალისწინებით;
- მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებში ასახული პრობლემატიკის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის, პიროვნული პოზიციის ჩამოყალიბებისა და მისი არგუმენტირების უნარის გამომუშავება;
- ლიტერატურულ ნაწარმოებებში ასახული ფასეულობების აღქმა-გააზრებისა და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის უნარის განვითარება;
- კულტურული მემკვიდრეობისადმი პატივისცემის გრძნობის გამომუშავება;
- სხვადასხვა ტიპის დამოკიდებულების (პიროვნულ განსხვავებათა დაფასება და პატივისცემა, ენობრივ-კულტურული კუთვნილების განცდა, ენების სწავლის სურვილი და სხვ.) ჩამოყალიბება და განვითარება;
- სოციოკულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების განვითარება;
- ენის/ენების ცოდნის დამოუკიდებლად გაღრმავების უნარის განვითარება;
- ენის სწავლის უნარ-ჩვევების (სწავლის სწავლა) განვითარება;
- საგანმანათლებლო მიზნებით ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების უნარის განვითარება;
- ქვეყნის ეთნიკურ-კულტურული მრავალფეროვნების გააზრებისა და პატივისცემის უნარების განვითარება.

ეთნიკური უმცირესობების ენების სწავლების ორგანიზება

ეროვნულ უმცირესობათა ენების სასწავლო გეგმაში გაერთიანებულია შემდეგი საგნები:

ა) ეროვნული უმცირესობების ენა და ლიტერატურა არაქართულენოვანი სკოლებისათვის/სექტორებისთვის.

ეს საგანი სავალდებულოა არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის და ისწავლება I-XII კლასებში.

ბ) ეროვნული უმცირესობების ენა და ლიტერატურა ქართულენოვანი სკოლების მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობებისათვის.

ეს საგანი არჩევითია და ისწავლება მინისტრის ბრძანებით დადგენილ სკოლებში. ამ საგნის სწავლება შესაძლებელია დაიწყოს I ან V კლასიდან (სკოლის არჩევანის მიხედვით).

მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების მშობლიური ენებისთვის არსებობს ორი სტანდარტი: **A** და **B**.

A სტანდარტი განკუთვნილია იმ მოსწავლეებისათვის, რომლებმაც სკოლაში მისვლისას იციან მშობლიური ენა.

B სტანდარტი განკუთვნილია იმ მოსწავლეთათვის, რომლებმაც სკოლაში მისვლისას არ იციან მშობლიური ენა.

მუხლი 64. ეთნიკური უმცირესობების ენების სტანდარტები (მშობლიური ენა და ლიტერატურა არაქართულენოვანი სკოლებისათვის/სექტორებისთვის).

1. მშობლიური ენა და ლიტერატურა არაქართულენოვანი სკოლებისათვის/სექტორებისთვის დაწყებით საფეხურზე (აზერბაიჯანული, რუსული, სომხური)

შესავალი

ენისა და ლიტერატურის სწავლების ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის უნარ-ჩვევების განვითარება.

მიმართულებების აღწერა

მიმართულება: ზეპირმეტყველება

ზეპირმეტყველება (მოსმენა და ლაპარაკი) უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ცოდნის შეძენისა და ენობრივი უნარ-ჩვევების განვითარების პროცესში. გასათვალისწინებელია, რომ კითხვისა და წერისგან განსხვავებით, ზეპირმეტყველების უნარები მოსწავლეებს უკვე მეტ-ნაკლებად განვითარებული აქვთ სკოლაში მისვლისას: მათ ადრეული ცოდნა, ძირითადად, შეთვისებული აქვთ მოსმენით; კომუნიკაციისა თუ თვითგამოხატვის მიზნით კი ამ ასაკის მოსწავლეები, უმეტესწილად, ლაპარაკს იყენებენ.

სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა ზეპირმეტყველების უნარების განვითარებას სისტემური და თანამიმდევრული ხასიათი უნდა მიეცეს. მოსმენილის ზეპირად გადმოცემა/თხრობა, მასზე აზრის გამოთქმა, პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და მისთ. ხელს უწყობს გაგება-გააზრების პროცესებს; სწავლების პროცესში მოსმენილი ტექსტობრივი მასალის ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და შესწავლილი სიტყვების აქტიურად გამოყენებით კი თანდათანობით მდიდრდება მოსწავლეთა ლექსიკური მარაგი, იხვეწება მათი მეტყველება.

I-IV კლასებში საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლეთა ფონოლოგიური უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც კითხვისა და მართლმეტყველების საფუძველს წარმოადგენს. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მართლწერისა და, ზოგადად, წერითი მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარებას.

V-VI კლასებში სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს კრიტიკული მოსმენის, მოსმენილის ინტერპრეტაციისა და შეფასების უნარ-ჩვევების გამომუშავებას; ინდივიდუალური და ჯგუფური საკომუნიკაციო უნარების, ასევე თვითგამოხატვის უნარ-ჩვევების განვითარებას.

მიმართულება: კითხვა

საწყის ეტაპზე კითხვის სწავლების უპირველესი მიზანია მოსწავლეებში წერილობითი ტექსტის გაშიფვრის (გაშიფვრა, იგივე დეკოდირება - სიტყვის გრაფიკული ხატის აკუსტიკურ ხატად კონვერტირება, ანუ ასოების ამოცნობა და მათი დაკავშირება შესაბამის ბგერებთან; ბგერების სიტყვად გამთლიანება; აკუსტიკური ხატის სიტყვის მნიშვნელობასთან დაკავშირება). უნარის გამომუშავება. ეს საშუალებას მისცემს მოსწავლეებს გამოიმუშაონ გაწაფული კითხვის უნარ-ჩვევები, თუმცა მუშაობა იმავდროულად უნდა წარმართოს წაკითხულის გაგება-გააზრების უნარის განვითარების მიმართულებითაც - მოსწავლეებს უნდა ესმოდეთ ის, რასაც კითხულობენ. სწორედ ეს

უნარი აძლევს მათ საშუალებას, შეიძინონ ცოდნა და მიიღონ ინფორმაცია სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების ტექსტებიდან.

კითხვის სწავლების საბოლოო მიზანია წაკითხულის გააზრება, რაც გულისხმობს მკითხველის აქტიურ მონაწილეობას კითხვის პროცესის სამივე ეტაპზე: კითხვის დაწყებამდე, კითხვის დროსა და კითხვის შემდეგ. კითხვის ტექნიკის თანდათანობით სრულყოფა საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, გახდნენ გაწაფული მკითხველები, გაიგონ და გაიაზრონ წაკითხული.

წაკითხულის გაგება-გააზრება მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ლექსიკურ მარაგზე - რაც უფრო მდიდარია მოსწავლის ლექსიკური მარაგი, მით უფრო წარმატებულია იგი, როგორც მკითხველი. ამდენად, ლექსიკური მარაგის შევსება-გამდიდრებაზე ზრუნვას სწავლების საწყის ეტაპზევე საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს. ზეპირი და ბეჭდური ვერბალური ტექსტების გარდა, მუშაობა უნდა წარიმართოს ასევე მულტიმედიური ტექსტების კითხვა-გაგების მიმართულებითაც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ზოგადი წიგნიერების უნარ-ჩვევების განვითარებას.

V-VI კლასებში ღრმავდება მოსწავლეთა ენობრივი კომპეტენციები როგორც რეცეფციულ, ისე ფუნქციურ დონეზე, მოსწავლეებს თანდათან უყალიბდებათ ესთეტიკური და ემოციური დამოკიდებულება მხატვრული ტექსტების მიმართ. ამ შინაგანი პროცესების სტიმულირებას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს. მუშაობა უნდა წარიმართოს იმ მიმართულებითაც, რომ მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ და განუვითარდეთ ქვეტექსტის (იმპლიციტური ინფორმაციის) წვდომის უნარი, რაც ტექსტის შედარებით ღრმა ანალიზს მოითხოვს, ასევე მასალის კონტექსტში გააზრებისა და ინტერპრეტაციის უნარი. სწავლების ამ ეტაპზე ყურადღება უნდა მიექცეს ასევე მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნებისა და წაკითხულის შეფასების უნარების განვითარებას.

მიმართულება: წერა

მოსწავლეთა უმრავლესობა წერას სწავლების პირველ წელს სწავლობს. წერაში კარგი შედეგების მისაღწევად აუცილებელია, მოსწავლეებმა წერონ ხშირად და მიზანმიმართულად.

სხვადასხვა სახისა და ტიპის ტექსტების შედგენაზე მუშაობა თავდაპირველად უნდა წარიმართოს მასწავლებლის ხელმძღვანელობით, საყრდენების/მინიშნებების გამოყენებითა თუ მოდელის მიხედვით. მკაფიო და გასაგები ინსტრუქციების თანხლებით, მრავალფეროვანი კონტექსტის მქონე წერითი დავალებების შესრულების გზით მოსწავლეები თანდათან გაიწაფებიან წერაში, შეიქმნიან გარკვეულ წარმოდგენას წერის პროცესზე, რაც გულისხმობს მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას წერის სამივე ეტაპზე: წერის დაწყებამდე, წერის დროს, წერის შემდეგ.

V-VI კლასებში მუშაობა უნდა წარიმართოს იმ მიმართულებით, რომ მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ გამართული წერითი მეტყველების, აზრის თანამიმდევრულად და ლოგიკურად გადმოცემის უნარ-ჩვევები. სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ასევე მოსწავლეთა თვითგამოხატვისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

ა) I-IV კლასების სტანდარტი

IV კლასის ბოლოს მისაღწევი შედეგები ინდექსების განმარტება

დაწყებით საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., „**მშ. დაწყ.(I).1.**”

„**მშ.**“ - მიუთითებს საგანს „მშობლიური ენა და ლიტერატურა“,

„**დაწყ.(I).**“ - მიუთითებს I-IV კლასების სტანდარტს,

„**1**“ - მიუთითებს სტანდარტის შედეგის რიგს (1 = სტანდარტის პირველი შედეგი).

მშობლიური ენისა და ლიტერატურის სტანდარტის შედეგები არაქართულენოვანი სკოლებისთვის (I-IV კლასები)	
	მიმართულება: ზეპირმეტყველება
შედეგების ინდექსი	სტანდარტის შედეგები მოსწავლემ უნდა შეძლოს:
მშ. დაწყ.(I).1.	მკაფიოდ და გასაგებად მეტყველება; სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა; მეტყველების არავერბალური საშუალებების (მაგ., ჟესტების, მიმიკის) ამოცნობა და სათანადოდ გამოყენება.
მშ. დაწყ.(I).2.	სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების შინაარსის გაგება და გადმოცემა ლოგიკური ხაზის დაცვით; მოსმენილი ტექსტის თემის, დანიშნულების, ადრესატის ამოცნობა; ტექსტში კონკრეტული ინფორმაციის ამოცნობა; ტექსტის ცალკეული მონაკვეთების ერთმანეთთან დაკავშირება.
მშ. დაწყ.(I).3.	პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების შესახებ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა.
მშ. დაწყ.(I).4.	აქტიური ლექსიკისა და ნასწავლი ენობრივი ფორმების მეტყველებაში გამოყენება; მართლმეტყველების საბაზისო ნორმების დაცვა.
	მიმართულება: კითხვა
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
მშ. დაწყ.(I).5.	გაწაფულად კითხვა; სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ინფორმაციის მოძიება; მარტივი პრაგმატული ტექსტის ავტორის, ადრესატისა და დანიშნულების ამოცნობა; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება.
მშ. დაწყ.(I).6.	მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით (მაგ., პანტომიმით, ჟესტებით, როლური თამაშით); ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით (მაგ., ტექსტზე დაყრდნობით ილუსტრაციის შექმნა, ნახატზე დაყრდნობით ამბის გადმოცემა).
მშ. დაწყ.(I).7.	წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; წაკითხულის დაკავშირება პირად გამოცდილებასთან; დაკვირვება პერსონაჟის თვისებებსა და ქცევაზე; დასკვნის გამოტანა.
მშ. დაწყ.(I).8.	პრაგმატული ტექსტების სტრუქტურული მახასიათებლების ამოცნობა, სიუჟეტის განვითარების ძირითადი საფეხურების (ამბის დასაწყისის, ძირითადი ნაწილისა და დასასრულის) გამოყოფა.
მშ. დაწყ.(I).9.	დაკვირვება ტექსტის ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე (მაგ., სინონიმების, ანტონიმების ამოცნობა; ფრაზეოლოგიზმებზე დაკვირვება).
მშ. დაწყ.(I).10.	კითხვის ნაცნობი სტრატეგიების ადეკვატურად გამოყენება.

	მიმართულება: წერა
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
მშ. დაწყ.(I).11.	სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე მოდელის და/ან საყრდენების გამოყენებით.
მშ. დაწყ.(I).12.	ნაცნობი მხატვრული ტექსტის/ტექსტის მონაკვეთის შინაარსის გადმოცემა, გეგმის შედგენა.
მშ. დაწყ.(I).13.	შესწავლილ ტექსტებში ასახული თემების, საკითხების, პერსონაჟების მიმართ საკუთარი დამოკიდებულებისა და წაკითხულით გამოწვეული შთაბეჭდილების წერილობით გადმოცემა.
მშ. დაწყ.(I).14.	კალიგრაფიისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა; აზრის თანამიმდევრულად გადმოცემა; ნასწავლი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციების ადეკვატურად გამოყენება.
მშ. დაწყ.(I).15.	მოსწავლემ უნდა შეძლოს: წერის ნაცნობი სტრატეგიების ადეკვატურად გამოყენება.

შინაარსი

I-IV კლასების მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ქვემოთ ჩამოთვლილი ენობრივი საკითხების, ასევე ტერმინებისა და ცნებების სწავლება უნდა მიმდინარეობდეს პრაქტიკული აქტივობებით. სწავლების ამ ეტაპზე მიზანშეწონილი არ არის გრამატიკული წესებისა და ენობრივი კანონზომიერებების თეორიული სწავლება.

ენობრივი ცოდნა და უნარ-ჩვევები

ენის ლექსიკოლოგიური ასპექტი

აქტიური ლექსიკური ფონდის შევსება; სიტყვიერი მარაგის გამდიდრება დარგობრივი ლექსიკური ერთეულებით; სიტყვათა სემანტიკური და ლექსიკური კავშირების (სინონიმის, ანტონიმის, ერთი სემანტიკური ჯგუფის სიტყვების) ამოცნობა და გამოყენება; სიტყვაწარმოება ელემენტარულ დონეზე; მარტივ ფრაზეოლოგიზმებზე, სიტყვათა მრავალმნიშვნელობაზე დაკვირვება.

ენის გრამატიკული ასპექტი

თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი და ძახილის წინადადებების ამოცნობა და გამოყენება; სასვენი ნიშნების (წერტილის, კითხვისა და ძახილის ნიშნების, მძიმის, ორწერტილის, ტირეს) ამოცნობა და გამოყენება ნასწავლ კონტექსტებში (მაგ., ჩამონათვალში, დიალოგში); სიტყვათა ფორმაცვალების კანონზომიერებათა აღმოჩენა (მაგ., ზმნის უღლება, სახელის ბრუნება, მხოლობითისა და მრავლობითის ფორმების წარმოება); სივრცული, დროითი და მიზეზ-შედეგობრივი მიმართებების გამომხატველი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების ამოცნობა და გამოყენება; მართლმეტყველებისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა.

ცნებები და ტერმინები

- **სიტყვის აგებულება:** ბგერა, ხმოვანი და თანხმოვანი ბგერები; ასო, მარცვალი;
- **ტექსტის აგებულება:** სიტყვა, წინადადება, სტრიქონი, აზნაცი, ტექსტი, სათაური, თავი, მიმართვა, ხელმოწერა; სასვენი ნიშნები (წერტილი, მძიმე, კითხვის ნიშანი, ძახილის ნიშანი, ტირე, ორწერტილი);
- **ლიტერატურათმცოდნეობის საბაზისო ცნებები:** მოთხრობა, ზღაპარი, იგავ-არაკი, ლექსი, პოემა, თქმულება/ლეგენდა, ავტორი, პერსონაჟი/გმირი; მოქმედების დრო, ადგილი; ამბის

დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული; დიალოგი, მონოლოგი.

- მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ცნებების დამუშავება უნდა მიმდინარეობდეს თვალსაჩინო მაგალითების საფუძველზე. მოსწავლე კონკრეტული მაგალითების მეშვეობით გაიაზრებს მათ მნიშვნელობას და გამოიყენებს შესაბამისად. ამ ეტაპზე დაუშვებელია ცნებებისა და მათი განმარტებების თეორიული სწავლება.

საკითხავი ტექსტების ტიპები

- **მხატვრული:**
პროზაული და პოეტური ნაწარმოებები, ფოლკლორის ნიმუშები: ლექსები, ზღაპრები, თქმულებები, ლეგენდები, მითები; მცირე ფოლკლორული ჟანრები: ენის გასატეხები, გამოცანები, ანდაზები, სხვ.
- **არამხატვრული:**
ა) პრაგმატული ტექსტები: რეკლამა, რეცეპტი, განრიგი, ტელეპროგრამა, მოსაწვევი ბარათი, სია, სამახსოვრო წესები, ცხრილი, გეგმა, ინსტრუქცია, გამაფრთხილებელი წარწერა/აზრა, ღია ბარათი, ინტერვიუ, განცხადება (მაგ., საყმაწვილო ჟურნალში), წერილი (მეგობრული ან სხვა სახის).
ბ) ასაკის შესაბამისი სირთულის საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები: სტატიები საბავშვო ენციკლოპედიიდან, ჟურნალიდან, გაზეთიდან, სხვ.
გ) დიდაქტიზებული ტექსტები (საანბანო და სასაუბრო ტექსტები, სხვ.).
- **მულტიმედია:**
კომიქსი, მულტფილმი, საბავშვო სიმღერა, კინოფილმი, სასწავლო-შემეცნებითი ფილმი, სხვადასხვა სახის ვიდეო-, აუდიო-, აუდიო-ვიდეო მასალა (რეკლამა, ანონსი, რეპორტაჟი, სლაიდშოუ), საბავშვო სპექტაკლი; სტატიები საბავშვო ვებგვერდიდან, ვებპორტალიდან, პლაკატი, მიმიკური მიზანსცენა, სხვ.

ბ) V-VI კლასების სტანდარტი

VI კლასის ბოლოს მისაღწევი შედეგები

ინდექსების განმარტება

დაწყებით საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., „**მშ. დაწყ.(II).1.**“

„**მშ.**“ - მიუთითებს საგანს „**მშობლიური ენა და ლიტერატურა**“,

„**დაწყ.(II).**“ - მიუთითებს V-VI კლასების სტანდარტს,

„**1**“ - მიუთითებს სტანდარტის შედეგის რიგს (1 = სტანდარტის პირველი შედეგი).

მშობლიური ენისა და ლიტერატურის სტანდარტის შედეგები არაქართულენოვანი სკოლებისთვის (V-VI კლასები)	
	1. მიმართულება: ზეპირმეტყველება
შედეგების ინდექსი	სტანდარტის შედეგები მოსწავლემ უნდა შეძლოს:
მშ. დაწყ.(II).1.	ჯგუფური და ინდივიდუალური საკომუნიკაციო ამოცანების განხორციელება; სამეტყველო ქცევის წარმართვა მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად.

მშ. დაწყ.(II).2.	ასაკის შესაფერისი სირთულის ტექსტების მოსმენა, გაგება და ინტერპრეტაცია, ასევე მხატვრული ტექსტის გააზრებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე დეტალების, ზოგადად, ლიტერატურული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასება საწყის დონეზე.
მშ. დაწყ.(II).3.	სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ენობრივ-გრამატიკული ნიშნების ამოცნობა და გამოყენება შესაბამის სამეტყველო სიტუაციებში.
მშ. დაწყ.(II).4.	დისკუსიაში მონაწილეობის ნაცნობი სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და გამოყენება.
	2. მიმართულება: კითხვა
	სტანდარტის შედეგები მოსწავლემ უნდა შეძლოს:
მშ. დაწყ.(II).5.	ტექსტის ხმამაღლა წაკითხვა მსმენელისათვის.
მშ. დაწყ.(II).6.	სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების დამოუკიდებლად წაკითხვა და გაგება-გააზრება.
მშ. დაწყ.(II).7.	სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ტექსტების დამოუკიდებლად წაკითხვა, გაგება-გაანალიზება და ინტერპრეტირება (საწყის დონეზე); მსჯელობა ნაწარმოებში ასახული მისთვის გასაგები და მნიშვნელოვანი პრობლემების შესახებ; დაკვირვება ნაწარმოების ესთეტიკურ მხარეზე; კითხვით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემა.
მშ. დაწყ.(II).8.	სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ენობრივ და სტრუქტურულ თავისებურებებზე დაკვირვება და მსჯელობა.
მშ. დაწყ.(II).9.	ტექსტის ვერბალური და არავერბალური ნაწილების ერთმანეთთან დაკავშირება და შედარება; მულტიმედიური ტექსტების გაანალიზება, შეფასება და შექმნა; მედიაწიგნიერების საწყისი უნარ-ჩვევების გამოყენება.
მშ. დაწყ.(II).10.	კითხვის ნაცნობი სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და გამოყენება.
	3. მიმართულება: წერა
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
მშ. დაწყ.(II).11.	მცირე ზომის მარტივი მხატვრული ტექსტების შექმნა; პიროვნული და შემოქმედებითი გამოცდილების, ასევე წარმოსახვის უნარის გამოყენება წერის პროცესში.
მშ. დაწყ.(II).12.	სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის პრაგმატული ტექსტის დამოუკიდებლად შექმნა შესაბამისი ფუნქციური სტილის გამოყენებით.
მშ. დაწყ.(II).13.	წერისას გრამატიკის, ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის ძირითადი წესების დაცვა.
მშ. დაწყ.(II).14.	წერის ნაცნობი სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და გამოყენება.

შინაარსი

ენობრივი ცოდნა და უნარ-ჩვევები

ისევე, როგორც I-IV კლასებში, დაწყებითი საფეხურის დამამთავრებელ ეტაპზეც, ენობრივი საკითხების სწავლება უნდა მიმდინარეობდეს პრაქტიკული აქტივობებით. არც ამ ეტაპზე არ არის მიზანშეწონილი ძირითადი აქცენტის გადატანა გრამატიკული წესებისა და ენობრივი კანონზომიერებების თეორიულ დასწავლაზე. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ V-VI

კლასებიდან უკვე იწყება მოსწავლეთა მეტაენობრივი უნარების განვითარებაზე ზრუნვა, აუცილებელია, რომ ენობრივ-გრამატიკული საკითხების დამუშავებას უფრო სისტემური და თანამიმდევრული ხასიათი მიეცეს.

ენის ლექსიკოლოგიური ასპექტი

აქტიური ლექსიკური ფონდის შევსება სხვადასხვა დარგობრივი ცნებებითა და ტერმინებით, მხატვრული ნაწარმოებების შესწავლისას ათვისებული ლექსიკური ერთეულებითა თუ ფრაზეოლოგიზმებით; ახალი სიტყვებისა და ფრაზების გააზრებულად წარმოება ნაცნობი მოდელების მიხედვით.

ენის გრამატიკული ასპექტი

სიტყვათა მორფოლოგიური აგებულება (სახელთა ბრუნვის ფორმები და მათი ფუნქციები); ზოგიერთი გრამატიკულ-სემანტიკური კატეგორია (არსებითი სახელის ჯგუფები; ზმნის დრო, კილო, ასპექტი); წინადადებათა მოდალობები; წინადადების ძირითადი წევრები; ძირითადი სინტაქსური მიმართებები სიტყვებს შორის (შეთანხმება ზმნასა და სახელს შორის პირსა და რიცხვში); სახელისა და ზმნის ძირითადი გრამატიკული კატეგორიები და მათი სინტაქსური ფუნქციები წინადადებაში.

ცნებები და ტერმინები

პროგრამით გათვალისწინებული გრამატიკული და გრამატიკულ-სემანტიკური კატეგორიების აღმნიშვნელი ცნებები.

- **ტექსტის აგებულება:** ქვეთავი.
- **ტექსტის ფუნქციური ტიპები:** თხრობა, აღწერა, მსჯელობა.
- **ლიტერატურათმცოდნეობის საბაზისო ცნებები და ტერმინები:** ლიტერატურა, მხატვრული ლიტერატურა, არამხატვრული ლიტერატურა, ნოველა; ნაწარმოების თემა, მთავარი აზრი (დედააზრი), ეპითეტი, შედარება, მეტაფორა.

მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ცნებების დამუშავება უნდა მიმდინარეობდეს თვალსაჩინო მაგალითების საფუძველზე. მოსწავლე კონკრეტული მაგალითების მეშვეობით გაიაზრებს მათ მნიშვნელობას და გამოიყენებს შესაბამისად. ამ ეტაპზე დაუშვებელია ცნებებისა და მათი განმარტებების თეორიული სწავლება.

საკითხავი ტექსტების ტიპები

მხატვრული:

პროზაული და პოეტური ნაწარმოებები, ფოლკლორის ნიმუშები: ლექსები, ზღაპრები, თქმულებები, ლეგენდები, მითები; მცირე ფოლკლორული ჟანრები: ენის გასატეხები, გამოცანები, ანდაზები...

არამხატვრული:

ა) ბიოგრაფიული ტექსტები, პრაგმატული ტექსტები: რეკლამა, რეცეპტი, განრიგი, ტელეპროგრამა, მოსაწვევი ბარათი, სია, სამახსოვრო წესები, ცხრილი, გეგმა, ინსტრუქცია, გამაფრთხილებელი წარწერა/აბრა, ღია ბარათი, ინტერვიუ, განცხადება (მაგ., საყმაწვილო ჟურნალში), წერილი (მეგობრული, ოფიციალური).

ბ) საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები: სტატიები საბავშვო ენციკლოპედიიდან, ჟურნალიდან, გაზეთიდან, სხვ.

მულტიმედიური:

კომიქსი, მულტფილმი, საბავშვო სიმღერა, მხატვრული და/ან დოკუმენტური ფილმები, სასწავლო-შემეცნებითი ფილმი, სხვადასხვა სახის ვიდეო-, აუდიო-, აუდიო-ვიდეო მასალა (რეკლამა, ანონსი, რეპორტაჟი, სლაიდშოუ), საბავშვო სპექტაკლი; სტატიები საბავშვო ვებგვერდიდან, ვებპორტალიდან, პლაკატი, მიმიკური მიზანსცენა, სხვ.

[2. მშობლიური ენა და ლიტერატურა არაქართულენოვანი სკოლებისათვის/სექტორებისთვის საბაზო საფეხურზე

ეროვნული უმცირესობების მშობლიური ენა და ლიტერატურა

შესავალი

საბაზო საფეხურის მშობლიური ენისა და ლიტერატურის სტანდარტი შემდეგი ხუთი ნაწილისგან შედგება. ესენია:

- ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები
- ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი
- გ) მეთოდოლოგიური ორიენტირები
- დ) შეფასება

მოსწავლეები შეისწავლიან სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტებს (კლასიკურ და თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურას, არამხატვრულ ლიტერატურას, სხვ.). სწავლა-სწავლების პროცესი აგებულია ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს პრობლემას ან პრობლემებს, განსხვავებულ თვალსაზრისებს და მოითხოვს ამ პრობლემების გადასაჭრელად ალტერნატიული გზების ძიებას, თვალსაზრისების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას.

საგნის სწავლა-სწავლებისას მოსწავლე ჩართული იქნება კომპლექსურ და პროექტულ აქტივობებში, რომლებიც მას შექმნილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მისცემს.

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლა-სწავლების მიზნებია:

- სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ზეპირი და წერილობითი ტექსტების გაგება-გაანალიზების, ინტერპრეტირებისა და არგუმენტირების უნარების განვითარება;
- ენობრივი ცოდნის აქტიური გამოყენების უნარების განვითარება, ლექსიკური მარაგის შევსება-გამდიდრება;
- მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნების განვითარება;
- სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების (მათ შორის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნილი ტექსტების) შექმნისა და წარდგენა-გაზიარების უნარების განვითარება;
- ტექსტებთან დამოუკიდებლად მუშაობის უნარის განვითარება;
- ჰუმანურ ღირებულებებზე ორიენტირებული, შემოქმედებითი და მაძიებელი პიროვნების ფორმირების ხელშეწყობა;

- მშობლიური ენისა და ლიტერატურის, კულტურის მიმართ პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის გამომუშავება;
- სხვა კულტურების პატივისცემელი პიროვნების ფორმირების ხელშეწყობა;
- მოქალაქეობრივი ცნობიერების განვითარება.

ამ მიზნებზე მიმართული მუშაობით „მშობლიური ენა და ლიტერატურა“ თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს კითხვას, რა უნდა შეეძლოს საბაზო საფეხურის მოსწავლეს მშობლიური ენისა და ლიტერატურის ფარგლებში.

მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში სტანდარტის შედეგები ჯგუფდება ოთხი მიმართულების მიხედვით:

ტექსტის გაგება-გაანალიზება - გულისხმობს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტებში მოცემული ექსპლიციტური და იმპლიციტური ინფორმაციის იდენტიფიცირებას და მრავალმხრივად გააზრებას (სასწავლო გეგმაში ტერმინი „ტექსტი“ გამოიყენება ფართო მნიშვნელობით და გულისხმობს როგორც ბეჭდური, ისე აუდიო-, ვიდეო-, აუდიოვიზუალური/მულტიმედიური ფორმატის ტექსტებს).

ცოდნისა და იდეების გაზიარება - ფოკუსირებულია მოსწავლის პროდუცირების უნარებზე. მოსწავლემ, როგორც მკითხველმა, უნდა ჩამოაყალიბოს თავისი დამოკიდებულება ტექსტის მიმართ, არგუმენტირებულად იმსჯელოს ნაცნობ თემებზე, საკითხებზე/პრობლემებზე, ზეპირად ან წერილობით გააზიაროს ცოდნა ან/და ტექსტის გაცნობის შედეგად მიღებული საკუთარი უნიკალური გამოცდილება, წარმოადგინოს დამოუკიდებლად ჩატარებული სამუშაოს შედეგები ზეპირი ტექსტებისა თუ წერილობითი ნამუშევრების სახით.

ენობრივი და სტრუქტურული მახასიათებლების გამოყენება - ამ მიმართულებაში დაჯგუფებული შედეგები გულისხმობს ენობრივი ცოდნისა და სტრუქტურული ელემენტების ფუნქციურად გამოყენებას სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში (ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის დროს)

სტრატეგიების გამოყენება - სწავლა-სწავლებისას გრძელდება მუშაობა იმ მიმართულებით, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში (ლაპარაკის, მოსმენის, კითხვისა თუ წერის დროს) კოგნიტური და მეტაკოგნიტური სტრატეგიების კონკრეტული სასწავლო ამოცანების შესაბამისად შერჩევისა და გააზრებულად გამოყენების უნარი.

სტანდარტის შინაარსი განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულო ცნებების, თემატური ბლოკების, საგნობრივი საკითხების სახით.

საკითხავი ლიტერატურის ფარგლებში შეთავაზებულია 3 ძირითადი თემატური ბლოკი. თემატური ბლოკები შემოსაზღვრავს ზოგად შინაარსობრივ კონტექსტებს და საფუძველს ქმნის სტანდარტის შედეგების მიღწევისთვის. თითოეული თემატური ბლოკი მოიცავს შესაბამის სასწავლო თემებს, განსაზღვრულს ლიტერატურის უნივერსალური მოტივების (/თემების) გათვალისწინებით.

სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ცნებები და საკითხები ინტეგრირებულად დამუშავდება ყველა კონკრეტული სასწავლო თემის ფარგლებში.

სწავლა-სწავლების პროცესში სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ცნებები და საკითხები ინტეგრირებულად დამუშავდება ყველა კონკრეტულ სასწავლო თემაში.

საბაზო საფეხურის თითოეულ კლასში მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ სამივე თემატური ბლოკის შესაბამისი მასალა.

ინდექსების განმარტება

სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ ინდექსი აქვს დართული:

მაგალითად, მშ. საბ. 1:

„მშ.“ - მიუთითებს საგანს „მშობლიური ენა და ლიტერატურა“;

„საბ.“ - მიუთითებს საბაზო საფეხურს;

„1“ - მიუთითებს შედეგის რიგს (აქ: პირველ შედეგს).

მშობლიური ენისა და ლიტერატურის სტანდარტის შედეგები (VII-IX კლასები)		
მიმართულება: ტექსტის გაგება-გაანალიზება		ცნებები
შედეგების ინდექსი	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	ტექსტი, ტექსტის ტიპები და ჟანრები
მშ.საბ.1.	ტექსტში მოცემული ფაქტობრივი და კონცეპტუალური ინფორმაციის ამოცნობა-გააზრება;	კომპოზიციური ელემენტები
მშ.საბ.2.	ტექსტის ცალკეულ ნაწილებს შორის არსებული მიმართებების გაანალიზება და სათანადო დასკვნების გამოტანა;	სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტები
მშ.საბ.3.	ტექსტის კომპოზიციური ელემენტების გააზრება მთლიანი ტექსტის ფარგლებში;	ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები
მშ.საბ.4.	ტექსტის კრიტიკული გააზრება კონტექსტური ფაქტორების გათვალისწინებით.	ტექსტის კონტექსტი
მიმართულება: ცოდნისა და იდეების გაზიარება		მიმართებები
მშ.საბ.5.	ტექსტის ინტერპრეტაცია პირად ან/და ლიტერატურულ გამოცდილებაზე დაყრდნობით (მაგ. ხედვის პერსპექტივის შეცვლით, დროსა თუ სივრცეში გადანაცვლებით);	ტექსტებს შორის (ინტერტექსტუალური)
მშ.საბ.6.	ერთსა და იმავე თემაზე შექმნილი ტექსტების შედარება და მსჯელობა მათ მსგავსება-განსხვავებებზე;	ტექსტის სიტუაციური მახასიათებლები (საკომუნიკაციო სიტუაცია)
მშ.საბ.7.	საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ტექსტის შეფასება, ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა-დასაბუთება;	სტრატეგიები: ზეპირმეტყველების,
მშ.საბ.8.	სტანდარტით განსაზღვრული ტიპის ტექსტების შედგენა-გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით (ზეპირი ან/და წერიტი მეტყველების დროს).	
მიმართულება: ენობრივი და სტრუქტურული მახასიათებლების გამოყენება		
მშ.საბ.9.	ენობრივ-გრამატიკული ფორმებისა და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერიტი მეტყველების დროს);	

მშ.საბ.10.	სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერიტი მეტყველების დროს).	კითხვის, წერის.
მიმართულება: სტრატეგიების გამოყენება		მეტაკოგნიტური სტრატეგიები
მშ.საბ.11.	ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და ადეკვატურად გამოყენება;	გრამატიკა
მშ.საბ.12.	სწავლის პროცესში გამოყენებული სტრატეგიების გაცნობიერება, გაანალიზება და შეფასება მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით.	

ცნებები და საკითხები

ტექსტი

➤ ტიპები - მხატვრული, არამხატვრული

➤ ჟანრები

- მხატვრული: პროზა (მოთხრობა, მინიატურა, იგავ-არაკი, მითი, ლეგენდა), პოეზია (ლექსი, პოემა).
- არამხატვრული: საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტი; ისტორიული მატთანე; ესე; პუბლიცისტური წერილი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნებული მასალა (მაგ., ინტერვიუ, რეპორტაჟი, სტატია); მემუარული პროზა; ბიოგრაფიული/ავტობიოგრაფიული ტექსტი; პირადი/არაფორმალური წერილი; საჯარო გამოსვლა.

➤ კომპოზიციური ელემენტები (მაგ., თემა, ქვეთემა, იდეა; მოქმედების დრო და ადგილი; თხრობა, აღწერა; პერსონაჟები; დიალოგი; ავტორისეული დახასიათება; პეიზაჟი; პორტრეტი; ხედვის კუთხე/პერსპექტივა (ავტორის, მოხრობელის, პერსონაჟის); ლირიკული გადახვევა; მორალი/შეგონება (იგავის); სიუჟეტი და მისი განვითარების საფეხურები; კონფლიქტი; რითმა, მეტრი, სტროფი, ტაეპი.

➤ სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტები (მაგ., სათაური; თავი; რუბრიკა; აბზაცი; მიმართვა; ხელმოწერა; არავერბალური ელემენტები (ილუსტრაცია, ლოგო, სქემა, შრიფტის სახესხვაობა და ზომა).

კონტექსტი - ტექსტის შექმნის ეპოქა, ადგილი; ეპოქის ზოგადი კონტექსტი (მაგ., რეალიზმი, ფასეულობები, ცოდნის დონე); ავტორის ცხოვრებისეული და სულიერი გამოცდილება (მაგ., შეხედულებები, დამოკიდებულებები).

მიმართებები ტექსტებს შორის - ალუზია; ციტირება.

ტექსტის სიტუაციური მახასიათებლები (საკომუნიკაციო სიტუაცია) - კომუნიკაციის ადგილი; კომუნიკაციის მიზანი; ავტორი; აუდიტორია, მკითხველი; მონაწილეები (დისკუსიის, დებატების).

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები (ლექსიკა, სტილი, მხატვრული ხერხები, რიტორიკული ხერხები)

- ლექსიკა, სტილი - ომონიმი, დიალექტიზმი, ბარბარიზმი, ჟარგონი, არქაიზმი, ნეოლოგიზმი; ფრაზეოლოგიზმი; აფორიზმი; სიტყვაწარმოება; სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა; სტილისტური ხარვეზი (ტავტოლოგია, კალკი, პარონიმები); სხვადასხვა ფუნქციური სტილი (სასაუბრო, მხატვრული, პუბლიცისტური, ოფიციალურ-საქმიანი, სამეცნიერო);
- მხატვრული სტილის ენობრივი ფიგურები - ტროპები (ეპითეტი, შედარება, ჰიპერბოლა, მეტაფორა, ალიტერაცია, ალეგორია, ირონია).
- რიტორიკის ელემენტები - თეზისი, არგუმენტი; რიტორიკული შეკითხვა, რიტორიკული მიმართვა, გამეორება; რიტორიკული სტილის ძირითადი მახასიათებლები (სარწმუნოობა, ლოგიკა, ემოცია).

მეტყველების ფუნქციური ტიპები: თხრობა, აღწერა, მსჯელობა.

სტრატეგიები

- **ზეპირმეტყველების (ლაპარაკის, მოსმენის) სტრატეგიები** (მაგ., კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებლების განსაზღვრა, წინარე ცოდნის მობილიზება, რეპეტიციის გავლა, პარაფრაზირება; წინასწარი ვარაუდების გამოთქმა, დამაზუსტებელი კითხვების დასმა, ჩანაწერების კეთება).
- **კითხვის სტრატეგიები** (მაგ., წინარე ცოდნის გააქტიურება, დაკავშირება, ვარაუდების გამოთქმა, წაკითხულის ვიზუალიზაცია, შეჯამება, შეკითხვების დასმა, ხელახლა წაკითხვა, დაჯგუფება-დახარისხება, კონტექსტზე დაყრდნობით/ლექსიკონის გამოყენებით სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობა-დადგენა).
- **წერის სტრატეგიები** (მაგ., კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებლების განსაზღვრა; იდეების გენერირება; იდეების დაჯგუფება; ცოდნის მობილიზება; გეგმის შედგენა; პირველადი ვარიანტის შედგენა; პირველადი ვარიანტის გაუმჯობესება; ნაწერის გაფორმება და წარდგენა-გაზიარება).
- **მეტაკოგნიტური სტრატეგიები** (მაგ., აქტივობის/დავალების ღირებულების გააზრება; დაფიქრება სწავლის პროცესზე, წინსვლა-განვითარების შემაფერხებელი და ხელშემწყობი ფაქტორების გაცნობიერება, სწავლის პროცესის დაგეგმვა).

მეტყველების ფუნქციური ტიპები: თხრობა, აღწერა, მსჯელობა.

მშობლიური ენის ისტორია: მსოფლიოს ენათა ოჯახები; მშობლიური ენა, მისი მონათესავე ენები, მშობლიური ენის დიალექტები; სალიტერატურო ენა და დამწერლობა (ანბანი).

გრამატიკა - მორფოლოგია, სინტაქსი

(ცალკეული ენის გრამატიკის საკითხები დაზუსტდება დანართში)

საკითხავი ლიტერატურა

საბაზო საფეხურის მოსწავლეთა საკითხავი ლიტერატურის ძირითად ბირთვს წარმოადგენს მშობლიური მწერლობის ნიმუშები, მშობლიური მწერლობის კლასიკოსთა დროში გამოცდილი თხზულებები, რომელთაც მყარად დაიმკვიდრეს ადგილი მშობლიური ლიტერატურის ისტორიაში და წარმოადგენენ საყრდენ ტექსტებს ცალკეული თემების შესწავლის დროს.

სწავლა-სწავლების პროცესში, ამა თუ იმ თემატური ბლოკის ან/და სასწავლო თემის ფარგლებში, მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ მხატვრული და არამხატვრული ტექსტები, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს და დაეხმარება მათ სტანდარტით განსაზღვრული საგნობრივი ცნებებისა და საკითხების ათვისებაში, უნივერსალური ლიტერატურული მოტივების (/თემების) წვდომა-გააზრებაში, ასევე ქართული ლიტერატურის ნიმუშებიც, რაც გააფართოებს მოსწავლეთა კულტურულ ჰორიზონტს და ხელს შეუწყობს მათ განვითარებას ინტერკულტურული კუთხით.

ძირითადი თემატური ბლოკები და სასწავლო თემები

I თემატური ბლოკი. ადამიანი და მისი ცხოვრება

ადამიანის ცხოვრების გზა (მაგ., ადამიანის ყოფა-ცხოვრება, საქმიანობა, ურთიერთობა სხვა ადამიანთან), ადამიანის შინაგანი სამყარო (მაგ., ემოციები, გრძნობები, განცდები, ოცნებები; წარმოსახვა-ფანტაზია);

საზოგადოებაში თანაცხოვრება (მაგ., ადამიანის ადგილი საზოგადოებაში, საზოგადოების ზეგავლენა ადამიანზე, ადამიანის ზეგავლენა საზოგადოებაზე).

II თემატური ბლოკი. სამყაროს შეცნობა, ახლის ძიება

მშობლიური სამყარო (მაგ., ისტორიული სამშობლოს წარსული, აწმყო, მომავალი; ენა, კულტურა, ტრადიციები);

ბუნებასთან ურთიერთობა (მაგ., ბუნების მშვენიერება, ჰარმონიულობა; წონასწორობა/ბალანსი ადამიანსა და ბუნებას შორის, კონფლიქტი ბუნებასთან და მისი შედეგები; ზრუნვა ბუნებაზე/გარემოზე თანამედროვე ეპოქაში);

ახალი სამყაროს აღმოჩენა-შემეცნება (მაგ., ახლის/სიახლის აღმოჩენის გზები, ახლის ნახვით/აღმოჩენით მიღებული ცოდნა და გამოცდილება, ურთიერთმიმართება ახალსა და ნაცნობს/ჩვეულს შორის).

III თემატური ბლოკი. მარადიული ძიებები

სიკეთე და ბოროტება (მაგ., სიკეთისა და ბოროტების ურთიერთმიმართება, ადამიანის ნების როლი სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირებაში);

ცხოვრების საზრისი (მაგ., ადამიანის არსებობის მიზანი, ადამიანური პოტენციალის რეალიზების გზების ძიება-გააზრება).

საფეხურებრივი საკვანძო კითხვები:

საფეხურებრივი საკვანძო კითხვები სტანდარტის ცნებებს აკავშირებს შედეგებთან.

- რა მიზნით ვკითხულობ? რა შეიძლება გავაკეთო იმისთვის, რომ უკეთ გავიგო/გავიაზრო ტექსტი? (/როგორ მოქმედებენ კარგი მკითხველები, როდესაც არ ესმით ტექსტი?)
- რატომ/რა მიზნით იყენებს ავტორი ამა თუ იმ ენობრივ-გრამატიკულ ფორმებსა და ლექსიკურ საშუალებებს, მხატვრულ და სტილურ ხერხებს? რატომ არის ეს ტექსტი მოთხრობა (/ პოემა, იგავი, პირადი წერილი და ა.შ.)?
- რამდენად და როგორ მეხმარება ნაწარმოების სტრუქტურა ტექსტის გაგება-გააზრებაში?
- როგორ/რა საშუალებებით ცდილობს ავტორი მკითხველზე ზემოქმედებას, აზრის გამოხატვას, პოზიციის დასაბუთებას? რამდენად ეფექტურია მისი მცდელობები?
- რას მეუბნება/რა ინფორმაციას მაწვდის ტექსტი მისი შექმნის ეპოქაზე, ავტორზე?
- რითია ეს ტექსტი გამორჩეული, უნიკალური? (/რით გამოირჩევა ეს ტექსტი ამავე თემაზე, საკითხზე, პრობლემაზე შექმნილი სხვა ტექსტებისგან?)
- რამდენად/როგორ დამეხმარება ეს ტექსტი რეალური სამყაროს გაცნობაში, საკუთარი თავის შემეცნებაში, სხვა ტექსტის (წიგნის, ფილმის) გაგებაში? / რამდენად და რითია ეს ტექსტი საინტერესო პირადად ჩემთვის, თანამედროვე ადამიანებისთვის?
- როგორ გამოვხატო საკუთარი აზრები, იდეები, ფიქრები და დამოკიდებულებები ამ კონკრეტულ ნამუშევარში/საკომუნიკაციო სიტუაციაში? რა ენობრივი საშუალებები გამოვიყენო ამ კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაციაში (/ამ კონკრეტული ნამუშევრის შესადგენად)? როგორ დავეხმარო მკითხველს/მსმენელს ჩემი ნაწერის/ნათქვამის უკეთ გაგებაში?

გ) მეთოდოლოგიური ორიენტაციები

სტანდარტის ამ ნაწილში განსაზღვრულია, თუ რა პრინციპების საფუძველზე უნდა წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი. აქვეა მოცემული მოკლე ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს კონკრეტული სასწავლო ერთეულის – თემის სწავლა-სწავლება.

საგნის სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

- ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას.
- ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
- გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.
- დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას).
- ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

პასუხისმგებლობა	<ul style="list-style-type: none"> • სასკოლო და სხვა საქმიანობებში ნაკისრი ვალდებულების შესრულება; • სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება; • საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე პასუხისმგებლობის აღება.
-----------------	---

თანამშრომლობა	<ul style="list-style-type: none"> • მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად; • განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა; • რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით. • ჯგუფის წევრებს შორის განაწილებული სამუშაოს შესრულება.
ეთიკა	<ul style="list-style-type: none"> • ეთიკური და ქცევითი ნორმების დაცვა; • სოლიდარობის განცდა; • სხვებისადმი ემპათია; • პიროვნული ღირსების გააზრებისა და დაფასების უნარი; • განსხვავებულობის მიმდებლობა; • საკუთარ სოციალურ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრება.
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება	<ul style="list-style-type: none"> • ინფორმაციის/სასწავლო მასალის (დიდაქტიზებული, პრაგმატული, საინფორმაციო-შემეცნებითი, გასართობ-შემოქმედებითი ხასიათის ტექსტები) მოძიება ინტერნეტში სხვადასხვა საძიებო სისტემის მეშვეობით; • ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო მასალისა და სხვადასხვა ტიპის ტექსტების შესაქმნელად და პროექტების განსახორციელებლად (სხვადასხვა ხასიათის ღია ბარათის/მეგობრული წერილის/შეტყობინების ელექტრონული ვერსიის მიწერა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ჩეთში მონაწილეობა skype-ის, messenger-ის მეშვეობით; ვებგვერდის/ბლოგის შექმნა და უცხოურ ენაზე განხორციელებული სხვადასხვა პროექტის, მაგ., კულინარიული რეცეპტების კრებულის, სკოლის მოსწავლეთა ნახატების/ნაკეთობების კატალოგის სკოლის ვებგვერდზე/ ბლოგზე განთავსება); ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება (მაგ., Word, PowerPoint) სასწავლო მასალისა და სხვადასხვა ტიპის ელექტრონული ტექსტების დასამუშავებლად.

წლიური პროგრამისა და სასწავლო თემის აგების პრინციპები

წლიური პროგრამა სტანდარტზე დაყრდნობით იგეგმება და გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს. წლიური პროგრამა სარეკომენდაციო ხასიათისაა. სკოლას შეუძლია გამოიყენოს რეკომენდაციის სახით შეთავაზებული წლიური პროგრამა ან თავად დასახოს სტანდარტის მიღწევის გზები ქვემოთ წარმოდგენილი პრინციპების გათვალისწინებით. წლიური პროგრამები უნდა დაიგეგმოს სასწავლო თემების საშუალებით (შედეგი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს - თემას).

სასწავლო თემის დასაგეგმად გამოიყენება შემდეგი კომპონენტები:

<p>სასწავლო თემა</p> <p>სასწავლო თემა წარმოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.</p>

ცნებები, ტექსტები, საკითხები

ტექსტებისა და საკითხების მეშვეობით მოსწავლე გაიაზრებს ცნების შინაარსს, ამუშავებს საკვანძო შეკითხვებს, ასრულებს კომპლექსურ დავალებებს.

საკვანძო შეკითხვები

თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვებიდან და დაისმის თემის კონკრეტულ კონტექსტში. მათი ფუნქციაა:

- მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;
- სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა;
- თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მათემატიკურ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.

აქტივობები

მიმდინარე დავალებების ტიპების/ნიმუშების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული გაგება-გააზრების პროცესების ხელშესაწყობად, ასევე ცოდნის განმტკიცებისა თუ შეჯამების მიზნით.

კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი

კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.

შეფასების ინდიკატორები

შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს.

შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით შემუშავდება კრიტერიუმები კონკრეტული დავალებების შეფასების რუბრიკებისთვის.

მკვიდრი წარმოდგენები

მკვიდრი წარმოდგენები განისაზღვრება სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდეს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად.

როგორ აიგება სასწავლო თემა?

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული. სტანდარტის ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრება თემის მკვიდრი წარმოდგენები, საკვანძო შეკითხვები და შეფასების ინდიკატორები, შეირჩევა ტექსტები, შემუშავდება იდეები შემაჯამებელი კომპლექსური დავალებებისთვის. ამის შემდეგ განისაზღვრება საგნობრივი საკითხები, რესურსები, დავალებების ტიპები/ნიმუშები. თითოეულ თემაზე მუშაობის პროცესი მოემსახურება ზოგადი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას.

ქვემოთ თემის ასაგებად გადასადგმელი ნაბიჯები წარმოდგენილია სქემატურად, ცხრილის სახით.

ცხრილი. სასწავლო თემის აგების პროცესი

ნაბიჯი 1. თემატური საკვანძო შევითხვების დასმა
ნაბიჯი 2. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა
ნაბიჯი 3. თემის ტექსტების/რესურსების შერჩევა
ნაბიჯი 4. შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების იდეების შემუშავება
ნაბიჯი 5. საკითხების განსაზღვრა
ნაბიჯი 6. მიმდინარე აქტივობებისა და დავალებების განსაზღვრა-დაგეგმვა
ნაბიჯი 7. მკვიდრი წარმოდგენების განსაზღვრა

თემატური ერთეულების დაგეგმვისას გასათვალისწინებელია შემდეგი:

- შერჩეული მასალა უნდა შეესატყვისებოდეს მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებსა და შესაძლებლობებს.
- მშობლიური მწერლობის კლასიკოსთა თხზულებების გარდა, მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ მაღალი ხარისხის თანამედროვე ლიტერატურა, რომელიც ასახავს მათთვის ნაცნობ რეალიებს, კულტურას, პრობლემატიკას; თანამედროვე ადამიანის შინაგან სამყაროს, მიზნებს, მისწრაფებებს. ეს დაეხმარება მოსწავლეებს იმაში, რომ უკეთ გაიაზრონ თანამედროვე სამყარო, იპოვონ პასუხები მათთვის აქტუალურ და არსებით კითხვებზე, დასახონ პრობლემების გადაჭრის გზები, შეიმეცნონ საკუთარი თავი და დაიმკვიდრონ ადგილი თანამედროვე საზოგადოებაში. სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების აღმოჩენა კი ნოყიერ ნიადაგს შექმნის მსჯელობისთვის და დაეხმარება მოსწავლეებს იმაში, რომ სიღრმისეულად გაიაზრონ საგნობრივი ცნებები და საკითხები შეთავაზებული კონტექსტების (თემების) ფარგლებში.
- სამუშაო მასალის/ტექსტების რაოდენობა უნდა შეირჩეს იმგვარად, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ საკმარისი დრო მისი (მასალის) მრავალმხრივად და სიღრმისეულად დამუშავებისთვის.

• მოსწავლე უნდა იყოს სწავლა-სწავლების პროცესის აქტიური მონაწილე. ამის უზრუნველსაყოფად მოსწავლე ჩართული უნდა იყოს განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ხელს შეუწყობს ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვაში;

• სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ზრუნვა მეტაკოგნიციის უნარების განვითარებაზე, რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ეს აქტივობებია:

სტრატეგიების მოდელირება: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და მისი შესრულებისას „ხმამაღლა ფიქრობს“ იმაზე, თუ როგორ შეასრულოს ეს აქტივობა (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანხმლები მასალა, მაგ., სურათები? ამიტომ, სანამ ტექსტს წავიკითხავთ, ხომ არ სჯობს, ჯერ სურათებს გავეცნოთ და ვნახოთ, რა ინფორმაციის შემცველია ეს სურათები? და მისთ.

წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფურად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.), ასევე სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებენ თითოეულ ეტაპზე. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე.

შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა და ხერხი, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებს და აუმაღლებს სწავლის ქმედუნარიანობას.

დ) შეფასება

საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესობა უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ავასებს მოსწავლეს თავის წინარე შედეგებთან მიმართებით, ზომავს ინდივიდუალურ წინსვლას და, ამდენად, აძლევს მოსწავლეს ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირების საშუალებას.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს

ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითადი მიზანია მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას შეასწავლის.

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებებისათვის გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები:

მოსწავლე:

- ამოიცნობს ლოგიკურ მიმართებებს ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოცემულ ინფორმაციას შორის (მაგ., ქრონოლოგიური თანამიმდევრობა, მიზეზშედეგობრიობა, პირობისეულობა);
- ახარისხებს ინფორმაციას კონკრეტული მიზნით;
- გამოყოფს საკვანძო სიტყვებს, ადგილებს/ეპიზოდებს და ხსნის, რითია ისინი მნიშვნელოვანი;
- ტექსტში მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ამოიცნობს ნაგულისხმევ ინფორმაციას;
- ამოიცნობს თემას/ქვეთემას, მთავარ იდეას, ძირითად პრობლემას/საკითხს;
- აანალიზებს პერსონაჟ(ებ)ის ქცევას, მსჯელობს პერსონაჟ(ებ)ის მოტივაციაზე, მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე;
- ახასიათებს პერსონაჟს/ამბის გმირს ტექსტის მონაცემებზე დაყრდნობით (მაგ., გარეგნობის, მეტყველების, ქცევის, აზრების, ავტორისეული დახასიათების, საცხოვრებელი გარემოს მიხედვით);
- ერთმანეთს უდარებს პერსონაჟ(ებ)ს და პოულობს მსგავსება-განსხვავებას მათ შორის;
- აკვირდება, როგორ იცვლებიან მოვლენები/პერსონაჟები სიუჟეტის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე;
- ამოიცნობს კონცეპტუალურ ინფორმაციას (მაგ., მხატვრულ ტექსტებში აკვირდება მოვლენათა და პერსონაჟთა ავტორისეულ შეფასებებს, არამხატვრულ ტექსტებში ამოიცნობს ძირითად თეზისებს/დებულებებს), გამოაქვს შესაბამისი დასკვნები;
- გაიაზრებს ტექსტის განსხვავებული ინტერპრეტაციით გააზრების შესაძლებლობას;
- განასხვავებს ფაქტსა და მოსაზრებას/შეფასებას, თეზისსა და არგუმენტს, გაიაზრებს მიმართებას მათ შორის;
- განასხვავებს მთავარ და არამთავარ ინფორმაციას, გაიაზრებს მიმართებას მათ შორის;
- საუბრობს მნიშვნელოვანი დეტალების/ნიუანსების დანიშნულებაზე (მაგ., პერსონაჟის სახასიათო თვისების წარმოჩენა, მოქმედების დროისა და ადგილის სპეციფიკის ჩვენება);
- განსაზღვრავს კონფლიქტს/ძირითად პრობლემას ტექსტში, საუბრობს მის გამომწვევ მიზეზებზე;
- მსჯელობს, როგორ იყენებს ავტორი თემისა და მთავარი იდეის წარმოსაჩენად კომპოზიციის ელემენტებს (მაგ., მოქმედების დროსა და ადგილს, პერსონაჟებს, სიუჟეტს);

- ამოიცნობს სპეციფიკურ დრო-სივრცულ მახასიათებლებს, გაიაზრებს მათ მთლიანი ტექსტის კონტექსტში;
- გაიაზრებს მხატვრულ ნაწარმოებში წარმოდგენილ კონფლიქტს/პრობლემას, ასევე ავტორის, მთხრობელის, პერსონაჟის პოზიციას ტექსტის თანადროული ეპოქის კონტექსტში;
- საუბრობს, რა დასკვნა გამოიტანა ტექსტის საფუძველზე (/რა ასწავლა ტექსტმა);
- პოულობს მსგავსება-განსხვავებას ტექსტში ასახულ რეალებს, პერსონაჟებს/ამბის გმირებსა და რეალურ ცხოვრებას/რეალურ ადამიანებს შორის, გამოაქვს სათანადო დასკვნები;
- გაიაზრებს, თუ როგორ შეიძლება შეცვალოს ნაწარმოების შინაარსი დრო-სივრცული ფაქტორების ცვლილებამ;
- ამოიცნობს და ხსნის სხვაობას ავტორის/მთხრობელის, პერსონაჟების ხედვის პერსპექტივებს შორის;
- ამოიცნობს ავტორის შეხედულებებს/დამოკიდებულებებს, საუბრობს, რა მიმართებაა ტექსტსა და ავტორის გამოცდილებას შორის;
- წარმოადგენს საკუთარ ინტერპრეტაციას სხვადასხვა ფორმით (მაგ., ინსცენირებით, გამომსახველობითი კითხვით);
- ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას ტექსტიდან შესაბამისი ადგილების მოხმობით;
- ასახელებს მისთვის ყველაზე შთამბეჭდავ/მიმზიდველ ადგილებს და ხსნის, რითია ისინი გამორჩეული;
- ამოიცნობს, რით ჰგავს/რით განსხვავდება ერთსა და იმავე თემაზე/პრობლემაზე შექმნილი ტექსტები ერთმანეთისგან (მაგ. მოვლენების, ფაქტების, პერსონაჟთა თვისებების, ქცევის, თვალსაზრისების კუთხით), გამოაქვს სათანადო დასკვნა;
- ამოიცნობს, რა განსხვავებული მიდგომებია გამოყენებული სხვადასხვა ტიპის/ჟანრის ტექსტებში ერთი და იმავე თემის/საკითხის, პრობლემის წარმოსაჩენად;
- აფასებს, რამდენად დამაჯერებლად ასაბუთებს ავტორი თვალსაზრისს/პოზიციას;
- საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეაფასებს ტექსტში ასახულ განსხვავებულ თვალსაზრისებს;
- წამოაყენებს ტექსტში წამოჭრილი პრობლემის გადაჭრის ალტერნატიულ ვარიანტს;
- ადგენს სტანდარტით განსაზღვრული ტიპის ტექსტებს ნაცნობ თემაზე/საკითხზე სხვადასხვა მიზნით (მაგ., ანალიზის შედეგების წარმოჩენის, თვითგამოხატვის, ინფორმაციის მოწოდების, საკუთარი პოზიციის გამოხატვის, გამოცდილების გაზიარების);
- ადეკვატურად იყენებს გრამატიკული ფორმებისა და სინტაქსური კონსტრუქციების ცოდნას (მაგ., წაკითხულის გაანალიზების, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის, მისთ.);
- ადეკვატურად იყენებს ცალკეული ჟანრების ენობრივი და სტილისტური მახასიათებლების ცოდნას;
- ამოიცნობს ენობრივ-გამომსახველობით ხერხებს, რომლებსაც ავტორი იყენებს განწყობის, ემოციური ფონის შესაქმნელად;
- ამოიცნობს მხატვრულ ხერხებს, რომლებიც ტექსტს ანიჭებს ესთეტიკურ მიმზიდველობას (მაგ. ჰიპერბოლას, მეტაფორას, სხვ.) და ხსნის მათს დანიშნულებას;
- ამოიცნობს და ახასიათებს პოეტურ ნაწარმოებში ბგერწერითი ეფექტის შემქმნელ ელემენტებს (რიტმას, რიტმს, ალიტერაციას);

- ამოიცნობს მიმართებებს ტექსტის სტრუქტურულ და ორგანიზაციულ ელემენტებს შორის, გაიაზრებს მათ მთლიანი ტექსტის ფარგლებში (მაგ., სათაური-ტექსტი, წამყვანი აბზაცი-დამხმარე აბზაცი).

შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება

შემაჯამებელი შეფასებისთვის გამოიყენება კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოითხოვს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ინტეგრირებულად და ფუნქციურად გამოყენებას. ამ დავალებათა შესაფასებლად გამოიყენება შეფასების რუბრიკები, ანუ კრიტერიუმების ბადე.

მოსწავლეს თითოეული სასწავლო თემის დამუშავების შემდეგ ევალება შემაჯამებელი დავალების წარმოდგენა. შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა წლის განმავლობაში სავალდებულო სასწავლო თემების რაოდენობას ემთხვევა.

განმსაზღვრელი შემაჯამებელი დავალება ინტეგრირებულად ამოწმებს/აფასებს ენისა და ლიტერატურის სწავლა-სწავლებისას შეძენილ ცოდნასა თუ უნარებს.

ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისათვის

სტანდარტში შემოთავაზებულია ტიპობრივ დავალებათა ფართო არჩევანი. შემაჯამებელი შეფასებისათვის მასწავლებელი და/ან მოსწავლე შეარჩევს დავალების სასურველ ტიპს/ტიპებს.

შემაჯამებელი დავალებების სახით, მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ კომპლექსური სახის აქტივობები. ყოველი სასწავლო თემის ფარგლებში მოსწავლეებმა უნდა შეასრულონ, სულ მცირე, ერთი შემაჯამებელი კომპლექსური დავალება.

ამ სახის დავალებებს მიეკუთვნება:

- დისკუსია;
- დებატები;
- ლიტერატურული სამსჯავრო;
- ზეპირი გამოსვლა;
- როლური სცენარი;
- როლური კითხვა;
- ინსცენირება;
- ანალიტიკური წერითი ნამუშევრები (მაგ., ტექსტის ანალიზი; ორი ტექსტის შედარებითი ანალიზი, პერსონაჟის დახასიათება, პერსონაჟების შედარებითი დახასიათება);
- საინფორმაციო ტექსტი;
- აღწერითი ტექსტი;
- თხრობითი ტექსტი (საკუთარი ან/და სხვისი ბიოგრაფია, რეალური ან/და გამოგონილი ისტორია, ლიტერატურული ნაწარმოების ან მის მიერ გამოგონილი პერსონაჟის თავგადასავალი);

- დამარწმუნებელი ტექსტები (არგუმენტირებული ესე, სარეკლამო, სარეკლამო-საინფორმაციო ტექსტი, წერილი რედაქციას, რედაქტორს);
- ახსნა-განმარტებითი ტექსტი;
- პროექტი / კვლევა (თემაზე, ტექსტის იდეაზე, კონკრეტულ პრობლემაზე/ საკითხზე);
- რეზიუმე (ნაცნობი ტექსტის);
- წერილი ავტორს, პერსონაჟს; ერთი პერსონაჟის წერილი მეორის მიმართ;
- წარმოსახვითი ინტერვიუ ავტორთან, პერსონაჟთან;
- პერსონაჟის CV;
- ანოტაცია, რეკომენდაცია (მაგ., წიგნის, ფილმის);
- ინტერვიუ;
- თვითგამოხატვის მიზნით შექმნილი წერილი ტექსტები (მაგ., ჩანახატი, ნოველა, პირადი გამომხატვრება/შთაბეჭდილება);
- ალტერნატიული ფორმის ტექსტები თვითგამოხატვისთვის, პირადი დამოკიდებულების წარმოჩენისთვის (მაგ., ნახატი, პოსტერი, კოლაჟი, გრაფიკა, ვიდეორგოლი, მუსიკალური კლიპი შესწავლილი ტექსტების საფუძველზე);
- ოფიციალური-საქმიანი წერა (მაგ., განცხადება, CV, ავტობიოგრაფია, სამოტივაციო წერილი).

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასებისათვის განკუთვნილი დავალება

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- დავალების შეფასების რუბრიკის შედგენისას გამოიყენება: თემის შეფასების ინდიკატორები, კრიტერიუმები, ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლი პრიორიტეტები (იხ. ცხრილი);
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე.

(ამოქმედდეს 2019 წლის 15 სექტემბრიდან)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 11.05.2018წ.

მუხლი 65. ეთნიკური უმცირესობების ენების სტანდარტები ქართულენოვანი სკოლების/სექტორების მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობებისათვის (არჩევითი საგანი) – A სტანდარტი

1. ეთნიკური უმცირესობების ენა დაწყებით საფეხურზე, A სტანდარტი (I-VI კლასები)

A სტანდარტი განკუთვნილია იმ მოსწავლეებისათვის, რომლებმაც სკოლაში მისვლისას იციან მშობლიური ენა.

მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის უნარ-ჩვევების განვითარება. მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება დაწყებით საფეხურზე ეფუძნება მდიდარ ტექსტურ კოროპუსს - სხვადასხვა სახის მხატვრულ და არამხატვრულ, ასევე მულტიმედიურ ტექსტებს.

ზეპირმეტყველება. ეს მიმართულება ორ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ სამეტყველო ქცევას აერთიანებს, ესენია: **მოსმენა** და **ლაპარაკი**. ამ სამეტყველო ქცევებთან დაკავშირებული უნარ-ჩვევების თანამიმდევრული განვითარება მიზნად ისახავს თავისუფალი, თანამედროვე კომუნიკაციისათვის მზადყოფი პიროვნების ჩამოყალიბებას. ეს გულისხმობს ზეპირი მეტყველების, აზრის გამოხატვის უნარ-ჩვევების, მოსმენის კულტურის, სოციალური კომუნიკაციისა და ინტერაქტიური უნარების განვითარებას. მათი განვითარება საფუძველს უყრის ჰუმანური, ტოლერანტული, სხვათა აზრის დამფასებელი პიროვნების აღზრდას.

კითხვა. ეს მიმართულება ემსახურება მშობლიურ ლიტერატურასთან ზიარებას, ლიტერატურულ ნაწარმოებებში ასახული ფასეულობების აღქმა-გააზრებას, მშობლიური კულტურის თავისებურებებზე ყურადღების გამახვილებას, პარალელების გავლებას საკუთარ კულტურულ გამოცდილებასა თუ გარემოსთან, კულტურული კუთვნილების განცდის გაღრმავებას, ენობრივ-კულტურული იდენტობის გაცნობიერებას. ამასთანავე, ნაირგვარი წერილობითი ტექსტის წაკითხვის, მათში მოცემული ინფორმაციის გაგების, გააზრებისა და გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას. სწავლის პროცესში მოსწავლემ უნდა გამოიყენოს კითხვის ძირითადი სტრატეგიები, რათა შეეძლოს ტექსტის შერჩევა, მასში სასურველი ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება, გრამატიკული, სტატიკური და კონტექსტური მონაცემების გამოყენება ტექსტის ღრმად წვდომის მიზნით; ტექსტების სწრაფი და დიფერენცირებული კითხვა, მიღებული ინფორმაციის დამუშავება, მონაცემთა ანალიზი და დასკვნების გამოტანა.

წერა. ინფორმაციისა და საკუთარი აზრის წერილობითი გადმოცემა და წერის კულტურის ჩამოყალიბება პიროვნების ინტელექტუალური შესაძლებლობების რეალიზაციის აუცილებელი პირობაა. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური შემოქმედებითი უნარის გამოვლენა და განვითარება, აზრებისა და დამოკიდებულებების გამოხატვის ენობრივ-სტილისტური საშუალებების დაუფლება, მიზნის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება (წინასწარი გეგმის შედგენა, საკვანძო სიტყვების შერჩევა, „შავი“ ხელნაწერის გასწორება-რედაქტირება და ა.შ.). მოსწავლე უნდა დაეუფლოს აზრის წერილობით ჩამოყალიბების უნარ-ჩვევებს, აგრეთვე მკაფიო ხელწერას, მართლწერისა და პუნქტუაციის სავალდებულო ნორმებს.

ა) I-VI კლასების A სტანდარტი

VI კლასის ბოლოს მისაღწევი შედეგები

ინდექსების განმარტება

სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების საფეხურსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., „**მშA.დაწყ.1.**“

„**მშA**“ - მიუთითებს საგანს „მშობლიური ენა და ლიტერატურა მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობებისათვის, A სტანდარტი“;

„**დაწყ.**“ - მიუთითებს I-VI კლასების სტანდარტს;

„1“- მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

ეთნიკური უმცირესობების ენის A სტანდარტის შედეგები (I-VI კლასები)	
მიმართულება: ზეპირმეტყველება	
შედეგების ინდექსი	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
მშA.დაწყ.1.	ჯგუფური და ინდივიდუალური საკომუნიკაციო ამოცანების განხორციელება; სამეტყველო ქცევის წარმართვა მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად.
მშA.დაწყ.2.	ასაკის შესაფერისი სირთულის ტექსტების მოსმენა, გაგება და გადმოცემა ლოგიკური ხაზის დაცვით; ტექსტში კონკრეტული ინფორმაციის ამოცნობა; ტექსტის ცალკეული მონაკვეთების ერთმანეთთან დაკავშირება.
მშA.დაწყ.3.	პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა.
მშA.დაწყ.4.	აქტიური ლექსიკისა და ნასწავლი ენობრივი ფორმების მეტყველებაში გამოყენება; მართლმეტყველების საბაზისო ნორმების დაცვა.
მიმართულება: კითხვა	
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
მშA.დაწყ.5.	ტექსტის ხმამაღლა წაკითხვა მსმენელისათვის.
მშA.დაწყ.6.	სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების დამოუკიდებლად წაკითხვა და გაგება-გააზრება.
მშA.დაწყ.7.	მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით (მაგ., პანტომიმით, ჟესტებით, როლური თამაშით); ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით (მაგ., ტექსტზე დაყრდნობით ილუსტრაციის შექმნა, ნახატზე დაყრდნობით ამბის გადმოცემა).
მშA.დაწყ.8.	სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ენობრივი და სტრუქტურული მახასიათებლების ამოცნობა, სიუჟეტის განვითარების ძირითადი საფეხურების (ამბის დასაწყისის, ძირითადი ნაწილისა და დასასრულის) გამოყოფა.
მშA.დაწყ.9.	დაკვირვება ტექსტის ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე (მაგ., სინონიმების, ანტონიმების ამოცნობა, ფრაზეოლოგიზმებზე დაკვირვება).
მშA.დაწყ.10.	კითხვის ნაცნობი სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და გამოყენება.
მიმართულება: წერა	
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
მშA.დაწყ.11.	მცირე ზომის მარტივი მხატვრული ტექსტების შექმნა; პიროვნული და შემოქმედებითი გამოცდილების, ასევე წარმოსახვის უნარის გამოყენება წერის პროცესში.
მშA.დაწყ.12.	ნაცნობი მხატვრული ტექსტის/ტექსტის მონაკვეთის შინაარსის გადმოცემა, გეგმის შედგენა.
მშA.დაწყ.13.	კალიგრაფიისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა; აზრის თანამიმდევრულად გადმოცემა; ნასწავლი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციების ადეკვატურად გამოყენება.
მშA.დაწყ.14.	წერის ნაცნობი სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და გამოყენება.

შინაარსი

ენობრივი ცოდნა და უნარ-ჩვევები

I-IV კლასებში ენობრივი საკითხების სწავლება უნდა მიმდინარეობდეს პრაქტიკული აქტივობებით. არც V-VI კლასებიდან არ არის მიზანშეწონილი ძირითადი აქცენტის გადატანა გრამატიკული წესებისა და ენობრივი კანონზომიერებების თეორიულ დასწავლაზე. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ უკვე იწყება მოსწავლეთა მეტაენობრივი უნარების განვითარებაზე ზრუნვა, აუცილებელია, რომ ენობრივ-გრამატიკული საკითხების დამუშავებას უფრო სისტემური და თანამიმდევრული ხასიათი მიეცეს.

ენის ლექსიკოლოგიური ასპექტი

აქტიური ლექსიკური ფონდის შევსება სხვადასხვა დარგობრივი ცნებებითა და ტერმინებით, მხატვრული ნაწარმოებების შესწავლისას ათვისებული ლექსიკური ერთეულებითა თუ ფრაზეოლოგიზმებით; ახალი სიტყვებისა და ფრაზების გააზრებულად წარმოება ნაცნობი მოდელების მიხედვით.

ენის გრამატიკული ასპექტი

სიტყვათა მორფოლოგიური აგებულება (სახელთა ბრუნვის ფორმები და მათი ფუნქციები); ზოგიერთი გრამატიკულ-სემანტიკური კატეგორია (არსებითი სახელის ჯგუფები; ზმნის დრო, კილო, ასპექტი); წინადადებათა მოდალობები; წინადადების ძირითადი წევრები; ძირითადი სინტაქსური მიმართებები სიტყვებს შორის (შეთანხმება ზმნასა და სახელს შორის პირსა და რიცხვში); სახელისა და ზმნის ძირითადი გრამატიკული კატეგორიები და მათი სინტაქსური ფუნქციები წინადადებაში.

ცნებები და ტერმინები

სიტყვის აგებულება: ბგერა, ხმოვანი და თანხმოვანი ბგერები; ასო, მარცვალი;

ტექსტის აგებულება: სიტყვა, წინადადება, სტრიქონი, აზვაცი, ტექსტი, სათაური, თავი, მიმართვა, ხელმოწერა; სასვენი ნიშნები (წერტილი, მძიმე, კითხვის ნიშანი, ძახილის ნიშანი, ტირე, ორწერტილი);

ლიტერატურათმცოდნეობის საბაზისო ცნებები: მოთხრობა, ზღაპარი, იგავ-არაკი, ლექსი, პოემა, თქმულება/ლეგენდა, ავტორი, პერსონაჟი/გმირი; მოქმედების დრო, ადგილი; ამბის დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული; დიალოგი, მონოლოგი, ნაწარმოების თემა, მთავარი აზრი (დედააზრი), ეპითეტი, შედარება, მეტაფორა.

მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ცნებების დამუშავება უნდა მიმდინარეობდეს თვალსაჩინო მაგალითების საფუძველზე. მოსწავლე კონკრეტული მაგალითების მეშვეობით გაიზრებს მათ მნიშვნელობას და გამოიყენებს შესაბამისად. ამ ეტაპზე დაუშვებელია ცნებებისა და მათი განმარტებების თეორიული სწავლება.

საკითხავი ტექსტების ტიპები

მხატვრული:

პროზაული და პოეტური ნაწარმოებები, ფოლკლორის ნიმუშები: ლექსები, ზღაპრები, თქმულებები, ლეგენდები, მითები; მცირე ფოლკლორული ჟანრები: ენის გასატეხები, გამოცანები, ანდაზები, სხვ.

არამხატვრული:

ა) ბიოგრაფიული ტექსტები, პრაგმატული ტექსტები: რეკლამა, განრიგი, ტელეპროგრამა, მოსაწვევი ბარათი, სია, სამახსოვრო წესები, ცხრილი, გეგმა, ინსტრუქცია, ღია ბარათი, ინტერვიუ, წერილი (მეგობრული, ოფიციალური).

ბ) საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები: სტატიები საბავშვო ენციკლოპედიიდან, ჟურნალიდან, გაზეთიდან, სხვ.

მულტიმედიაური:

მულტფილმი, საბავშვო სიმღერა, მხატვრული და/ან დოკუმენტური ფილმები, სასწავლო-შემეცნებითი ფილმი, სხვადასხვა სახის ვიდეო-, აუდიო-, აუდიო-ვიდეო მასალა, საბავშვო სპექტაკლი; სტატიები საბავშვო ვებგვერდიდან, ვებპორტალიდან, პლაკატი, მიმიკური მიზანსცენა, სხვ.

[2. ეთნიკური უმცირესობების ენა საბავშვო საფეხურზე, A სტანდარტი (VII-IX კლასები)]

A სტანდარტი განკუთვნილია იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც სახლში, ოჯახში მშობლიურ ენაზე საუბრობენ.

შესავალი

საბავშვო საფეხურზე მშობლიური ენის სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

- ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;
- ბ) A სტანდარტის შედეგები და შინაარსი;
- გ) მეთოდოლოგიური ორიენტირები;
- დ) შეფასება;
- ე) ტერმინოლოგიური ლექსიკონი.

საბავშვო საფეხურზე მოსწავლეები შეისწავლიან სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტებს, მშობლიურ ენას ფუნქციურად გამოიყენებენ კომუნიკაციური მიზნებისა თუ სასწავლო საქმიანობათა განსახორციელებლად, დაეუფლებიან ენის სწავლის უნარებსაც.

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

მშობლიური ენის სწავლა-სწავლების მიზნებია, მოსწავლეს ჩამოუყალიბოს/განუვითაროს:

- მშობლიურ ენაზე წარმატებული კომუნიკაციის უნარი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;
- სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში მშობლიური ენის მიზნობრივად და ფუნქციურად გამოყენების უნარი;
- ენის დამოუკიდებლად სწავლის უნარი;
- საკუთარი კულტურის უკეთ გაგებისა და მის მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობა;
- ასევე, სხვა კულტურათა მიმართ პატივისცემის უნარი და პასუხისმგებლობის გრძნობა;
- სამოქალაქო ცნობიერება.

ამ მიზნებზე მუშაობით მშობლიური ენა თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

ბ) A სტანდარტის შედეგები და შინაარსი

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას, რა უნდა შეემდოს საბავშვო საფეხურის მოსწავლეს მშობლიურ ენაში. ეს შედეგები ჯგუფდება სამ მიმართულებად:

ტექსტის მოსმენა/წაკითხვა და გაგება - მოიცავს უნარებსა და სტრატეგიებს, რომლებსაც უნდა დაეუფლოს მოსწავლე ტექსტების გასაგებად და გასაანალიზებლად.

წერა და ლაპარაკი - გულისხმობს უნარებსა და სტრატეგიებს, რომელთა საშუალებითაც უნდა შეძლოს მოსწავლემ მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერიტი კომუნიკაცია.

საქმიანობა მშობლიური ენის გამოყენებით - ამ მიმართულების მთავარ ამოცანას წარმოადგენს სოციალურ კონტექსტებში სხვადასხვა ტიპის საქმიანობათა მშობლიურ ენაზე განხორციელების უნარების განვითარება.

სტანდარტის შინაარსი განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულო ცნებების, თემატური ჩარჩოსა და საგნობრივი საკითხების სახით.

თემატური ჩარჩო საბაზო საფეხურის სასწავლო თემებისათვის აჩვენებს იმ კონტექსტებს, რომლებშიც უნდა შეძლოს მოსწავლემ მშობლიური ენის გაგება-გამოყენება. მასწავლებლის თუ ავტორის მიერ შერჩეული სასწავლო თემები საბაზო საფეხურის სამივე კლასისთვის უნდა გამომდინარეობდეს სტანდარტის თემატური ბლოკიდან.

A სტანდარტის შედეგების ინდექსების განმარტება

საბაზო საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების საფეხურსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **A. მშ. საბ.1.**
„A.“- მიუთითებს სტანდარტის ტიპს, რომელიც განკუთვნილია მშობლიური ენის მცოდნე მოსწავლეთათვის;
„მშ.“ - მიუთითებს საგანს „ეროვნული უმცირესობების მშობლიური ენა“;
„საბ.“- მიუთითებს საბაზო საფეხურის სტანდარტს;
„1“- მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

მშობლიური ენის A სტანდარტის შედეგები		
შედეგის ინდექსი	მიმართულება: ტექსტის გაგება-გაანალიზება	ცნებები
მოსწავლემ უნდა შეძლოს:		
A.მშ.საბ.1.	ტექსტის ცალკეულ ნაწილებს შორის არსებული მიმართებების გაანალიზება და სათანადო დასკვნების გამოტანა.	ტექსტი, ტექსტის ტიპი, ტექსტის ჟანრი
A.მშ.საბ.2.	ტექსტის ინტერპრეტირება და მის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.	ტექსტის სტრუქტურული ელემენტები
A.მშ.საბ.3.	ტექსტის კრიტიკული გააზრება კონტექსტური ფაქტორების გათვალისწინებით.	საკომუნიკაციო სიტუაცია
A.მშ.საბ.4.	ტექსტის გაანალიზება ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების, ჟანრული და სტრუქტურულ-კომპოზიციური მახასიათებლების მიხედვით.	კულტურათშორის

A.შ.საბ.5.	ტექსტის გაგებამდე, გაგების პროცესში და გაგების შემდგომ შესაბამისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება.	ი დიალოგი
მიმართულება: წერა და ლაპარაკი (პროდუცირება)		სტრატეგიები
მოსწავლემ უნდა შეძლოს:		ლექსიკა
A.შ.საბ.6.	დასაბუთებული მსჯელობა დისკუსიის დროს;	გრამატიკა
A.შ.საბ.7.	ზეპირი გამოსვლის/პრეზენტაციის წარდგენა;	ფუნქციური
A.შ.საბ. 8.	სტანდარტით განსაზღვრული ტიპის წერილობითი ტექსტების შედგენა საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით (ზეპირი ან/და წერილი მეტყველების დროს).	სამეტყველო მოქმედებები
A.შ.საბ.9.	წერამდე, წერის დროს და წერის შემდგომ ფაზებში შესაბამისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება.	
A.შ.საბ.10.	ზეპირი და წერილი კომუნიკაციისას წარმოქმნილი პრობლემების გაანალიზება, მათ გადასაღებად სამოქმედო გეგმის შედგენა.	
მიმართულება: საქმიანობა მშობლიური ენის გამოყენებით		
მოსწავლემ უნდა შეძლოს:		
A.შ.საბ.11.	კულტურათმორისი დიალოგის ხელშემწყობი ინიციატივების გამოვლენა და რეალიზება, სოციოკულტურული თავისებურებების გაზიარება.	
A.შ.საბ.12.	ზეპირი და წერილი კომუნიკაციის უნარების გამოყენებით საქმიანი იდეების განხორციელება.	

შინაარსი

ცნებები და საკითხები

ტექსტი

➤ ტიპები - მხატვრული, არამხატვრული

➤ ჟანრები

- მხატვრული ლიტერატურა: პროზაული და პოეტური ნაწარმოებები - ლექსები; ადაპტირებული მოთხრობები, იგავ-არაკები, მითები და ლეგენდები;
- არამხატვრული ლიტერატურა: ა) პრაგმატული ტექსტები - ტელეპროგრამა, რეკლამა, აფიშა, ანონსი, ანოტაცია, გამოხმაურება ბ) საქმიანი ქაღალდები - განცხადება, სამოტივაციო წერილი, რეზიუმე (CV); გ) კორესპონდენცია - პირადი და მარტივი ოფიციალური წერილები, ინტერვიუ; დ) საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები - სტატიები წიგნებიდან, ჟურნალებიდან და გაზეთებიდან; ე) ბიოგრაფიული ტექსტები - ავტობიოგრაფია, ბიოგრაფია, ბიოგრაფიული ცნობარი/პორტრეტები, დღიური, მოგონება;
- სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები: თემატური დიალოგები, თხრობითი ან აღწერითი ტექსტები; კითხვარები, მინიკვლევები, ანგარიშები.

სტრატეგიები

- მოსმენის სტრატეგიები მოსმენის პროცესის თითოეული ფაზისათვის (მოსმენამდე, მოსმენის დროს, მოსმენის შემდეგ)

- კითხვის სტრატეგიები კითხვის პროცესის თითოეული ფაზისთვის (კითხვამდე, კითხვის დროს, კითხვის შემდეგ)
- ლაპარაკის სტრატეგიები ზეპირ კომუნიკაციამდე და კომუნიკაციის დროს;
- წერის სტრატეგიები წერის პროცესის თითოეული ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ)
- ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიები;
- სწავლის პროცესის მართვა (მეტაკოგნიტური სტრატეგიები)

ლექსიკა - ანტონიმი, სინონიმი, ომონიმი, ფრაზეოლოგიზმი/მყარი შესიტყვება;

გრამატიკა - ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი

ლექსიკურ-გრამატიკული ცოდნა კომუნიკაციურ მიზნების განხორციელებას უნდა ემსახურებოდეს. შესაბამისად, ლექსიკა და გრამატიკული საკითხები ცალკეულ სასწავლო თემის საკომუნიკაციო მიზნებიდან გამომდინარე განისაზღვრება.

ფუნქციური სამეტყველო მოქმედებები

ქვემოთ წარმოდგენილია იმ ფუნქციური სამეტყველო მოქმედებების ჩამონათვალი, რომელთა შესრულებაც უნდა შეძლოს მოსწავლემ სხვადასხვა კონტექსტსა თუ სიტუაციებში კომუნიკაციისას. სტანდარტი გამოყოფს მიკრო-ფუნქციებს და მაკრო-ფუნქციებს.

მაკრო-ფუნქციები:

- თხრობა
- აღწერა
- მსჯელობა

სამეტყველო აქტები:

- ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში (კომუნიკაციის დაწყება/დასრულება, თავაზიანობის გამოხატვა, დახმარების თხოვნა, დაპატიჟება, შეხვედრის დანიშვნა, წახალისება/შექება).
- ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად (პირადი და სხვისი მონაცემების გაცვლა; ადამიანის/ცხოველის/გარემოს, საქმიანობის აღწერა/დახასიათება; საჭიროებების/მოთხოვნილებების / სურვილების გაზიარება (თავისუფალი დრო, საქმიანობა, გეგმები/განზრახვა, მგზავრობა/მოგზაურობა და ა.შ.);
- ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/დამოკიდებულებების შესახებ (დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების, შთაბეჭდილების, შეფასების, პოზიციის გამოხატვა (კმაყოფილება/უკმაყოფილება, სინანული, გაკვირვება, ეჭვი, ვარაუდი, ინტერესი/ინდიფერენტულობა...));
- ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ (დროში ლოკალიზება, მოქმედების ქრონოლოგია, სიხშირე და ხანგრძლივობა, თანადროულობა; ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება/განსაზღვრა (დანიშნულების ადგილი, მარშრუტი...)).

ენობრივი საკითხები:

- მორფოლოგია

- სინტაქსი
- მართლწერა და პუნქტუაცია

ძირითადი თემატური ბლოკები და სასწავლო თემები

თემატური ბლოკები შემოსაზღვრავს ზოგად შინაარსობრივ კონტექსტებს, რომლებშიც უნდა დამუშავდეს სტანდარტის შედეგები და ცნებები. საფეხურის სამივე კლასისთვის მასწავლებლის თუ ავტორის მიერ შერჩეული სასწავლო თემები უნდა გამომდინარეობდეს თემატური ბლოკიდან.

თემატური ბლოკები

I. მე და სამყარო:

3. ყველაფერი ჩემ შესახებ (მონაცემები, უახლოესი გარემო, ყოველდღიური ყოფითი საქმიანობა, ჯანმრთელობა, თავისუფალი დრო, ჰობი, ინტერესები, უახლოესი გეგმები, მომავლის დაგეგმვა/არჩევანის გაკეთება);
4. ფიზიკური გარემო (დედამიწა, მსოფლიოს გარშემო - ქვეყნები და ქალაქები; ეკოლოგია, ბუნებრივი კატასტროფები, გეოგრაფიული გარემო, მხარეები, აღმოჩენები)

II. სოციოკულტურა და კულტურა:

4. ყოველდღიური ცხოვრება (ეტიკეტი, სოციალური ქცევის წესები, ქცევები ყოფით სიტუაციებში, კვებითი ჩვევები, თავისუფალი დროის გატარება);
5. პიროვნებათშორისი ურთიერთობები (ოჯახური ურთიერთობები, თანატოლებს/თაობებს შორის ურთიერთობები);
6. ღირებულებები და ფასეულობები კულტურა, ტრადიციები, დღესასწაულები და ფესტივალები, ღირსშესანიშნაობები; სამშობლო/ისტორიული სამშობლო, ისტორიული პიროვნებები და მოვლენები; უმცირესობები - ეთნიკური/ რელიგიური, სხვა ქვეყნები და ხალხები).

საფეხურებრივი საკვანძო კითხვები

- რა შეიძლება გავაკეთო იმისთვის, რომ უკეთ გავიგო/გავიაზრო ტექსტი?
- რას მეუბნება ტექსტი მისი შექმნის ეპოქაზე, ავტორზე?
- რამდენად/როგორ დამეხმარება ტექსტი საკუთარი თავის შეცნობაში?
- როგორ შემიძლია თვითგამოხატვა მოცემულ თემაზე, პრობლემაზე/საკითხზე?
- როგორ მოვიქცე, რომ წარმატებით გავართვათ თავი წერით საკომუნიკაციო ამოცანას?
- როგორ შევუწყო ხელი კულტურათშორის დიალოგს, სოციოკულტურულ თავისებურებათა წარმოჩენასა და გაცვლა-გაზიარებას?

გ) მეთოდოლოგიური ორიენტირები

საგნის სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

- ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა მოტივირებას და შინაგანი ძალისხმევის გააქტიურებას.
- ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
- გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.
- დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას).
- ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

პასუხისმგებლობა	<ul style="list-style-type: none"> • სასკოლო და სხვა საქმიანობებში ნაკისრი ვალდებულების შესრულება; • სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება; • საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე პასუხისმგებლობის აღება.
თანამშრომლობა	<ul style="list-style-type: none"> • მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად; • განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა; • რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით. • ჯგუფის წევრებს შორის განაწილებული სამუშაოს შესრულება.
დროსა და სივრცეში ორიენტირება	<ul style="list-style-type: none"> • თანამედროვე რეალობის სივრცულ-დროით ჭრილში გააზრება და ინტერპრეტირება; • მულტიპერსპექტიული ხედვა დროითი და სივრცული ფაქტორების გათვალისწინებით.
ეთიკა	<ul style="list-style-type: none"> • ეთიკური და ქცევითი ნორმების დაცვა; • სოლიდარობის განცდა; • სხვებისადმი ემპათია; • პიროვნული ღირსების გააზრებისა და დაფასების უნარი; • განსხვავებულობის მიმღებლობა; • საკუთარ სოციალურ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრება.
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება	<ul style="list-style-type: none"> • ინფორმაციის/სასწავლო მასალის (დიდაქტიზებული, პრაგმატული, საინფორმაციო-შემეცნებითი, გასართობ-შემოქმედებითი ხასიათის ტექსტები) მოძიება ინტერნეტში სხვადასხვა საძიებო სისტემის მეშვეობით; • ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო მასალისა და სხვადასხვა ტიპის ტექსტების შესაქმნელად და პროექტების განსახორციელებლად (სხვადასხვა ხასიათის ღია ბარათის/მეგობრული წერილის/შეტყობინების ელექტრონული ვერსიის მიწერა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, თანატოლებთან ჩეთში მონაწილეობა skype-ის, messenger-ის მეშვეობით; ვებგვერდის/ბლოგის შექმნა და უცხოურ ენაზე განხორციელებული სხვადასხვა პროექტის, მაგ., კულინარიული რეცეპტების კრებულის, სკოლის მოსწავლეთა ნახატების/ნაკეთობების კატალოგის სკოლის ვებგვერდზე/ ბლოგზე განთავსება);

	ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება (მაგ., Word, PowerPoint) სასწავლო მასალისა და სხვადასხვა ტიპის ელექტრონული ტექსტების დასამუშავებლად.
კვლევა	<ul style="list-style-type: none"> • კვლევითი ამოცანის, კვლევის პროცედურების, მონაცემების მოპოვების გზებისა და აღრიცხვის ფორმების განსაზღვრა; სათანადო რესურსების შერჩევა; • კვლევის ჩატარება, მონაცემების აღრიცხვა და სხვადასხვა ფორმით წარმოდგენა/ორგანიზება; • მონაცემების ანალიზი, არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე დასკვნების გამოტანა; კვლევის შედეგების შეფასება; • კვლევითი სამუშაოების ჩატარების დროს ეთიკისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა.
შემოქმედებითი აზროვნება	<ul style="list-style-type: none"> • ჩანაფიქრის შემოქმედებითად განხორციელება; • ორიგინალური იდეების გამოვლენა და ხორცშესხმა; ახლის შექმნა; • დასმული პრობლემების გადასაჭრელად არასტანდარტული გზების მოძიება; • სწრაფვა გარემოს გარდაქმნა-გაუმჯობესებისკენ.

მეთოდოლოგიური მიდგომები

მშობლიური ენის სწავლა-სწავლება შემდეგ მეთოდოლოგიურ მიდგომებს უნდა ითვალისწინებდეს:

- მშობლიური ენის სტანდარტის მოთხოვნათა შესრულება მოითხოვს მშობლიურ ენაზე კომუნიკაციური უნარების ფუნქციურად გამოყენების უნარების განვითარებას. ამ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ეგრეთწოდებული “უკუხვლით დაგეგმვის“ (backward design) მეთოდის გამოყენება: პირველ რიგში, უნდა ვხედავდეთ, კონკრეტული თემატური ერთეულის ბოლოს, რა კომპლექსურ-ფუნქციური დავალებების/საქმიანობის შესრულება უნდა შეძლოს მოსწავლემ. შემდეგ, ეს დავალება უნდა დავშალოთ ცოდნისა და უნარების ცალკეულ კომპონენტებად, რომელთა ათვისებაც დასჭირდება მოსწავლეს იმისთვის, რომ ბოლოს შეძლოს კომპლექსური დავალების შესრულება, რომლის დროსაც მოუწევს ფუნქციური გამონათქვამების, ლექსიკური, გრამატიკული, კომუნიკაციური ცოდნისა და უნარების ერთდროულად და ინტერაქტიულად გამოყენება.
- ლექსიკური მასალა თუ გრამატიკული საკითხები თვითმიზნურად არ უნდა ისწავლებოდეს, მათი სწავლება გადაჯაჭვული უნდა იყოს კომუნიკაციურ მიზნებთან. მოსწავლეს ის ლექსიკურ-გრამატიკული უნარები უნდა გამოვუმუშაოთ, რომლებსაც კონკრეტულ კომუნიკაციურ სიტუაციებში გამოიყენებს.
- მოსწავლე უნდა იყოს სწავლა-სწავლების პროცესის აქტიური მონაწილე. ამის უზრუნველსაყოფად მოსწავლე ჩართული უნდა იყოს განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ხელს შეუწყობს ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვაში;
- სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ზრუნვა მეტაკოგნიციის უნარების განვითარებაზე, რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ეს აქტივობებია:

სტრატეგიების მოდელირება: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და მისი შესრულებისას „ხმამაღლა ფიქრობს“ იმაზე, თუ როგორ შეასრულოს ეს აქტივობა (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანხმობები მასალა, მაგ., სურათები? ამიტომ, სანამ ტექსტს წავიკითხავთ, ხომ არ სჯობს, ჯერ სურათებს გავეცნოთ და ვნახოთ, რა ინფორმაციის შემცველია ეს სურათები? და მისთ.

წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფურად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.), ასევე სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებენ თითოეულ ეტაპზე. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე.

შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა და ხერხი, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებს და აუმაღლებს სწავლის ქმედუნარიანობას.

წლიური პროგრამისა და სასწავლო თემის აგების პრინციპები

წლიური პროგრამა სტანდარტზე დაყრდნობით იგეგმება და გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს. წლიური პროგრამა სარეკომენდაციო ხასიათისაა. სკოლას შეუძლია გამოიყენოს რეკომენდაციის სახით შეთავაზებული წლიური პროგრამა ან თავად დასახოს სტანდარტის მიღწევის გზები. წლიური პროგრამები უნდა დაიგეგმოს სასწავლო თემების საშუალებით (შედეგი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს - თემას).

სასწავლო თემის დასაგეგმად გამოიყენება შემდეგი კომპონენტები:

სასწავლო თემა

სასწავლო თემა წარმოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.

ცნებები, ტექსტები, საკითხები

ცნებები განსაზღვრავს იმ არსებით ცოდნას, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. ტექსტებისა და საკითხების მეშვეობით მოსწავლე გაიაზრებს ცნების შინაარსს, ამუშავებს საკვანძო შეკითხვებს, ასრულებს კომპლექსურ დავალებებს.

საკვანძო შეკითხვები

თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვებიდან და დაისმის თემის კონკრეტულ კონტექსტში. მათი ფუნქციაა:

- მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;
- სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა;
- თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მათემატიკურ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.

აქტივობები

მიმდინარე დავალებების ტიპების/ნიმუშების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული გაგება-გააზრების პროცესების ხელშესაწყობად, ასევე ცოდნის ათვისების, განმტკიცებისა თუ შეჯამების მიზნით.

კომპლექსური/პროექტული დავალებათა იდეების ჩამონათვალი

კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.

შეფასების ინდიკატორები

შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის.

მკვიდრი წარმოდგენები

მკვიდრი წარმოდგენები განისაზღვრება სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მენსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდეს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად.

როგორ აიგება სასწავლო თემა?

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული. სტანდარტის ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრება საკვანძო შეკითხვები და შეფასების ინდიკატორები, შეირჩევა ტექსტები, შემუშავდება იდეები შემაჯამებელი კომპლექსური დავალებებისთვის. ამის შემდეგ განისაზღვრება საგნობრივი საკითხები, რესურსები, დავალებების ტიპები/ნიმუშები. თითოეულ თემაზე მუშაობის პროცესი მოემსახურება ზოგადი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას.

ქვემოთ თემის ასაგებად გადასადგმელი ნაბიჯები წარმოდგენილია სქემატურად, ცხრილის სახით. ცხრილი. სასწავლო თემის აგების პროცესი

ნაბიჯი 1. თემატური საკვანძო შეკითხვების დასმა
ნაბიჯი 2. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა
ნაბიჯი 3. თემის ტექსტების/რესურსების შერჩევა
ნაბიჯი 4. შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების იდეების შემუშავება
ნაბიჯი 5. საკითხების განსაზღვრა
ნაბიჯი 6. მიმდინარე აქტივობებისა და დავალებების განსაზღვრა-დაგეგმვა
ნაბიჯი 7. მკვიდრი წარმოდგენების განსაზღვრა

თემის სწავლა-სწავლების პროცესის ტაბულა A სტანდარტისათვის

ქვემოთ მოცემულია პროცესის ტაბულა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ მუშავდება კომუნიკაციურ-ენობრივი უნარები, როგორ წარიმართება, ერთი თემატური ერთეულის ფარგლებში, მოსწავლის აქტივობასა და სწავლის პროცესზე ორიენტირებული სწავლა-სწავლება. სწავლის პროცესზე ორიენტირება მოსწავლეს ეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, რაც ხელს უწყობს მას მიღწევების გაუმჯობესებაში.

თემა:
მოსმენა-გაგების პროცესი
საკვანძო შეკითხვები: როგორ მოვიქცე ტექსტის შინაარსის გასაგებად? რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ? რატომ არის მნიშვნელოვანი მეტაკოგნიტური უნარები?
ტექსტი/ტექსტები:
ბიჯები და სწავლა-სწავლების სტრატეგიები

ფაზა: მოსმენამდე

საკვანძო შეკითხვები: როგორ მოვემზადო ტექსტის მოსასმენად?

მოსმენის წინარე სტრატეგიები:

ბიჯი 1. დავალების ნათლად გააზრება და დაზუსტება პირობის გაანალიზების გზით; საჭიროებისამებრ, დამატებითი დაზუსტებების მოთხოვნა;

ბიჯი 2. სხვადასხვა ხერხით შინაარსის წინასწარ განჭვრეტა (მაგ., ვარაუდის გამოთქმა ილუსტრაციებზე, სათაურზე დაყრდნობით);

ბიჯი 3. ტექსტის გასააზრებლად საჭირო წინარე ცოდნის (ენობრივი, ტექსტობრივი, თემასთან დაკავშირებული) გახსენება-გააქტიურება; საჭიროებისამებრ (ტექსტის სირთულის მიხედვით) რამდენიმე აუცილებელი საკვანძო სიტყვის/მყარი შესიტყვების დამუშავება.

ფაზა: მოსმენის დროს

საკვანძო შეკითხვა: როგორ მოვიქცე, რომ უკეთ გავიგო ტექსტი? როგორ გავიადვილო ტექსტის გაგება?

მოსმენის სტრატეგიები:

ბიჯი 4. პირველი მოსმენა - ტექსტის ზოგადი შინაარსის გასაგებად გაცნობითი მოსმენა:

- ყურადღების გამახვილება მხოლოდ ნაცნობ სიტყვებსა და გამოთქმებზე, არავერბალურ ელემენტებზე (მაგ., მიმიკა-ჟესტიკულაცია, ხმის ტემბრი, ილუსტრაცია);

ბიჯი 5. სხვადასხვა ტიპის აქტივობის გამოყენებით ტექსტის მრავალჯერადი მოსმენა მთლიანი შინაარსის ეტაპობრივი კონსტრუირებისათვის:

მოსმენის სტრატეგიები:

- ჩანიშვნების გაკეთება;
- ინფორმაციის დაჯგუფება, ორგანიზება სხვადასხვა გრაფიკის, სქემის გამოყენებით;
- გაუგებარი მონაკვეთის თავიდან მოსმენა;
- უცნობი სიტყვების მნიშვნელობის გამოცნობა კონტექსტზე დაყრდნობით;
- სელექციური მოსმენა - ყურადღების მიზანმიმართულად გამახვილება კონკრეტულ ინფორმაციაზე.

ფაზა: მოსმენის შემდეგ

საკვანძო შეკითხვები: როგორ გავიგე ტექსტი? რით უკავშირდება ჩემს გამოცდილებას?

რამ შემაფერხა გაგების პროცესში? რატომ გამიჭირდა ტექსტის გაგება? როგორ უნდა გადამეჭრა ეს პრობლემა?
რამ შემიწყო ხელი მოსასმენი ამოცანის წარმატებით თავის გართმევაში?

ბიჯი 6. გაგებულის გადამოწმება, შეკითხვების, რეფორმულირებების და კომენტარების დახმარებით; დაზუსტება ინფორმაციის, მართებულ ვარიანტამდე მისვლა;

ბიჯი 7. მოსმენილის დაკავშირება საკუთარ გამოცდილებასთან; განცდილის, ნააზრევის გაზიარება (ენის ფლობის დაბალ საფეხურზე - მშობლიურ ენაზე);

ბიჯი 8. მეტაკოგნიტური პაუზა: დაფიქრება ტექსტის გაგებისათვის გამოყენებულ მიდგომებთან (მეტაკოგნიცია);

- დაფიქრება გამოყენებული სტრატეგიებზე, ეფექტიანობის შეფასება, შედარება სხვების მიერ გამოყენებულ სტრატეგიებთან;
- გაგების პროცესის გაუმჯობესებისათვის შესაძლო გზების შეთავაზება/მითითება.

როგორ მოვიქცე ენობრივ-გრამატიკული მასალის ასათვისებლად? როდის რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ?

გარდამავალი ფაზა პროდუცირებისაკენ

ბიჯი 9.

- ტექსტზე დაფუძნებით ენობრივი (ფონეტიკური, ლექსიკური, გრამატიკული) უნარების განვითარება, ახალი ენობრივი მასალის (ლექსიკა, გრამატიკული ფორმები, შესიტყვებები, სამეტყველო ფუნქციები) ათვისება სხვადასხვა ენობრივი აქტივობით;

სწავლის სტრატეგიები:

- **ინდუქციური მიდგომა** - კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანა.
- **დედუქციური მიდგომა** - ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობა, განზოგადება და გამოყენება კონკრეტულ მაგალითებში.
- **პარალელულების გავლენა მშობლიურ ან სხვა ენასთან** - ნიშანდობლივი ენათშორისი შედარებების გაკეთება შესასწავლი ენის სისტემისა და ფუნქციონირების გაგების ხელშესაწყობად.
- **დამახსოვრების ხერხების გამოყენება** - მაგ., რამდენჯერმე გადაწერა ან ხმამაღლა გამეორება, დაჯგუფება, კონტექსტში ჩასმა/გამოყენება, ასოცირება, ჩანიშვნების გაკეთება და სხვ.

ლაპარაკი

საკვანძო შეკითხვები: როგორ მოვიქცე, რომ წარმატებით გავართვა თავი ზეპირ საკომუნიკაციო ამოცანას?

როდის რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ? რატომ არის მნიშვნელოვანი მეტაკოგნიტური სტრატეგიები?

ბიჯები და სწავლის სტრატეგიები

ფაზა: მომზადება კომუნიკაციისთვის

საკვანძო შეკითხვა: როგორ მოვემზადო ზეპირი კომუნიკაციისთვის?

ბიჯი 1. დავალების მოთხოვნათა ნათლად გააზრება, საჭიროებისამებრ, დამატებითი დაზუსტებების მოთხოვნა;

ბიჯი 2. საკომუნიკაციო სიტუაციის ელემენტების დაზუსტება (თემა, მიზანი, ადრესატი/აუდიტორია, კონტექსტი, ტექსტის ტიპი);

ბიჯი 3. მომზადება აუდიტორიის წინაშე გამოსასვლელად;

სწავლის სტრატეგიები

- **ცოდნის მობილიზება** -საჭირო ენობრივი რესურსების (შესიტყვებების, კლიშეების, საკვანძო სიტყვების, სამეტყველო აქტების, გრამატიკული ფორმების) გახსენება და/ან მოძიება და ჩანიშვნა. საჭიროებისამებრ, დამატებითი ინფორმაციის მოძიება-ჩანიშვნა
- **გეგმის მომზადება** (პრეზენტაციის შემთხვევაში - საპრეზენტაციო მასალის);
- **რეპეტიციის გავლა** - წარმოთქმის, ინტონაციის, თავისუფლად მეტყველების უნარის გასავარჯიშებლად, დელვის შესამცირებლად; ვარჯიშისას ხმის, არავერბალური ელემენტების - სახის გამომეტყველების, შესტიკულაციის გაკონტროლება.

ზეპირი კომუნიკაციისას

საკვანძო შეკითხვა: როგორ სტრატეგიები გამოვიყენო ზეპირი კომუნიკაციის ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად?

ბიჯი 4. გამოსვლა აუდიტორიის წინაშე;

- **სტრატეგია - პარაფრაზირება** - საუბრის დროს სიტყვის დავიწყების/არცოდნის შემთხვევაში საკომპენსაციო საშუალებების (მაგ., შესტიკულაციით მითითება, ნაგულისხმევი საგნის აღწერა ან მისი დანიშნულების აღნიშვნა) გამოყენება.

ფაზა: ზეპირი კომუნიკაციის შემდეგ

საკვანძო კითხვები: რატომ ვერ გადავჭერი წარმატებით საკომუნიკაციო ამოცანა? როგორ სტრატეგიების გამოვიყენე? რამ შემაფერხა? როგორ გავაუმჯობესო ზეპირი მეტყველების უნარი? რამ შემიწყო წინსვლაში ხელი?

ბიჯი 5. საკუთარი გამოსვლის შეფასება - წარმატებული ასპექტებისა და ხარვეზების ამოცნობა;

ბიჯი 6. მეტაკოგნიტური პაუზა: დაფიქრება გამოყენებულ სტრატეგიებზე, გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის შედგენა.

კითხვა

საკვანძო შეკითხვები: როგორ მოვიქცე ტექსტის ტიპის ამოსაცნობად და ტექსტის შინაარსის გასაგებად? რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ? რატომ არის მნიშვნელოვანი მეტაკოგნიტური სტრატეგიები?

ბიჯები და სტრატეგიები

ფაზა: კითხვამდე

საკვანძო შეკითხვა: როგორ მოვემზადო ტექსტის წასაკითხად?

ბიჯი 1. დავალების მოთხოვნათა ნათლად გააზრება და დაზუსტება პირობის გაანალიზების გზით, საჭიროებისამებრ, დამატებითი დაზუსტებების მოთხოვნა;

ბიჯი 2. მომზადება ტექსტის გაგების პროცესის ხელშესაწყობად.

კითხვის წინარე სტრატეგიები:

- სხვადასხვა ხერხით შინაარსის წინასწარ განჭვრეტა (მაგ., ვარაუდის გამოთქმა ილუსტრაციებზე, სათაურზე. ტექსტის სტრუქტურაზე დაყრდნობით)
- ტექსტის გასააზრებლად საჭირო წინარე ცოდნის (ენობრივი, ტექსტობრივი, თემასთან დაკავშირებული) გახსენება-გააქტიურება;
- თუ ტექსტი მოსწავლეთა ენის ცოდნის დონესთან შედარებით რთულია, ტექსტის გაგებისათვის საჭირო საკვანძო სიტყვების/შესიტყვებების ენობრივ ფორმების დამუშავება.

ფაზა: კითხვის დროს შინაარსის კონსტრუირების პროცესი;

საკვანძო შეკითხვა: როგორ მოვიქცე, რომ უკეთ გავიგო ტექსტი? როგორ გავიაღვილო ტექსტის გაგება?

ბიჯი 5. პირველი წაკითხვა ტექსტის ზოგადი შინაარსის გასაგებად გაცნობითი კითხვის სტრატეგიის გამოყენებით;

- **სწავლის სტრატეგიები:**
- ყურადღების მიმართვა ტექსტის სტრუქტურაზე, მის მაორგანიზებელ სიტყვიერ და არასიტყვიერ ელემენტებზე; სათაურის/ქვესათაურების, წარწერების, გამოყოფილი სიტყვების, აბზაცების პირველი და/ან ბოლო წინადადების წაკითხვით და მათზე დაყრდნობით შინაარსზე წარმოდგენის შექმნა.

ბიჯი 6. სხვადასხვა აქტივობის გამოყენებით ტექსტის მრავალგვარად დამუშავება მისი შინაარსის ეტაპობრივი კონსტრუირებისათვის;

შესწავლითი კითხვის სტრატეგიები:

- ტექსტის მთლიანად ჩაკითხვა უცნობ სიტყვებზე შეჩერების გარეშე;
- გაუგებარ მონაკვეთებთან მიბრუნება;
- მონაკვეთების, ეპიზოდების წარმოდგენაში გაცოცხლება;
- **გამოცნობა** - უცნობი სიტყვების, გამოთქმების მნიშვნელობის ამოცნობა ნაცნობი ელემენტების (ილუსტრაციების, ნაცნობი ფუძის, კონტექსტის და სხვ.) დახმარებით.
- უცნობი სიტყვების ამოწერა და ლექსიკონში ნახვა;
- შეკითხვების დასმა;
- ტექსტის მომდევნო მონაკვეთის შინაარსის განჭვრეტა;
- ინფორმაციის დაჯგუფება სხვადასხვა ხერხის (სემანტიკური რუკის, სქემატური ჩანაწერების, მაორგანიზებელი გრაფიკის) გამოყენებით;
- ტექსტის მონაკვეთის, აბზაცის შეჯამება.

ფაზა: კითხვის შემდეგ

საკვანძო შეკითხვები: როგორ გავიგე ტექსტი? რით უკავშირდება ჩემს გამოცდილებას?

რამ შემაფარხა გაგების პროცესში? რატომ ვერ გადავჭერი საკითხავი ამოცანა? როგორ უნდა გადაემეჭრა ეს პრობლემა? რამ შემიწყო ხელი საკითხავი ამოცანის წარმატებით თავის გართმევაში?

ბიჯი 7. გაგებულის გადამოწმება, შეკითხვების, რეფორმულირებების და კომენტარების დახმარებით; ინფორმაციის დაზუსტება, მართებულ ვარიანტამდე მისვლა;

ბიჯი 8. წაკითხულის დაკავშირება საკუთარ ცხოვრებისეულ თუ წიგნიერ გამოცდილებასთან; განცდილის,

ნააზრევის გაზიარება (ენის ფლობის დაბალ საფეხურზე - მშობლიურ ენაზე);

ბიჯი 9. მეტაკოგნიტური პაუზა: დაფიქრება ტექსტის გაგებისათვის გამოყენებულ სტრატეგიებზე, მეტაკოგნიტური პაუზა:

- დაფიქრება გამოყენებულ სტრატეგიებზე, ეფექტიანობის შეფასება, შედარება სხვების მიერ გამოყენებულ სტრატეგიებთან;
- სწავლის პროცესზე დაფიქრება-რეფლექსია, შემაფერხებელი და ხელშემწყობი პირობების გაცნობიერება;
- გაგების პროცესის გაუმჯობესებისათვის შესაძლო გზების შეთავაზება/მითითება;

➤ როგორ მოვიქცე ენობრივ-გრამატიკული მასალის ასათვისებლად? როდის რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ?

➤ ფაზა: გადასვლა რეცეფციიდან პროდუცირებისაკენ

ბიჯი 10. გარდამავალი ბიჯი წერისაკენ - ტექსტის ახალი ენობრივი მასალის (ლექსიკა, გრამატიკული ფორმები, შესიტყვებები, სამეტყველო ფუნქციები და სხვ.) გაგება-გამოყენება სხვადასხვა ტიპის ენობრივი სავარჯიშოებით;

სწავლის სტრატეგიები:

- დამახსოვრების სხვადასხვა ხერხის გამოყენება - (რამდენჯერმე გადაწერა, პერიოდული გამეორება, დაჯგუფება, კონტექსტში ჩასმა, რაიმესთან ასოცირება და სხვ.);
- პარალელუბის გავლება მშობლიურ ან სხვა ენასთან - ნიშანდობლივი ენათშორისი შედარებების გაკეთება შესასწავლი ენის სისტემისა და ფუნქციონირების გაგების ხელშესაწყობად;
- დედუქცია - ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობა, განზოგადება და გამოყენება კონკრეტულ მაგალითებში;
- ინდუქცია - კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანა;
- დამხმარე რესურსების შექმნა-გამოყენება (მაგ., გრამატიკული ცნობარის; სტრუქტურული მოდელები).

წერა

➤ როგორ მოვიქცე იმისთვის, რომ შევძლო წერილობითი ტექსტის შექმნა? როდის რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ? რატომ არის მნიშვნელოვანი მეტაკოგნიტური სტრატეგიები?

ბიჯები და სტრატეგიები

ფაზა: წერის წინა სამზადისი

საკვანძო: როგორ მოვემზადო წერითი ამოცანის გადასაჭრელად?

ბიჯი 1. წერის ჩანაფიქრის გამოკვეთა;

წერის წინარე სტრატეგიები:

- საკომუნიკაციო სიტუაციის განსაზღვრა - წერის მიზნისა და ადრესატის განსაზღვრა, თემისა და ტექსტის სახეობის შერჩევა.
- იდეების გენერირება - იდეების მოფიქრება-ჩამოყრა.
- ცოდნის მობილიზება/თავმოყრა - საჭირო ცოდნის (ენობრივი, ტექსტობრივი, თემასთან დაკავშირებული და სხვ.) გონებაში მოძიება-გააქტიურება; საჭიროებისამებრ, დამატებითი ინფორმაციის მოძიება სათანადო რესურსებში.
- იდეების დაჯგუფება - იდეების დახარისხება, ურთიერთდაკავშირება მაორგანიზებელი სქემების გამოყენებით.
- დამხმარე რესურსების მობილიზება - სტრუქტურული მოდელი, საკვანძო სიტყვები, გრამატიკული ცნობარი, დახარისხებული ლექსიკური ერთეულები, ჩანიშვნები).

ბიჯი 2. გეგმის შედგენა დაჯგუფებულ იდეებზე დაყრდნობით;

ფაზა: წერის დროს

საკვანძო შეკითხვა: როგორ მოვიქცე წერითი ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად?

ბიჯი 3. პირველადი ვარიანტის შედგენა გეგმაზე დაყრდნობით;

ფაზა: წერის შემდეგ

რატომ ვერ გადავჭერი წარმატებით წერითი ამოცანა? როგორ სტრატეგიები გამოვიყენე? რამ შემაფერხა? რამ შემიწყო ხელი ამოცანის წარმატებით გადაჭრაში? როგორ გავიუმჯობესო წერითი მეტყველების უნარი?

ბიჯი 4. პირველადი ვარიანტის გაუმჯობესება;

სწავლის სტრატეგიები:

- ნაწერის პოტენციური მკითხველის თვალთახედვით შეფასება;
- შინაარსობრივი, სტრუქტურული შესწორებების შეტანა;
- გრამატიკული და ორთოგრაფიული შეცდომების გასწორება დამხმარე რესურსების და ისტ-ის გამოყენებით;

ბიჯი 5. საბოლოო ვარიანტის შემუშავება და გაფორმება.

თემის შემაჯამებელი (კომპლექსური) დავალებები შესაბამისი შეფასების რუბრიკებით

დ) შეფასება

რამდენადაც მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების მშობლიური ენა და ლიტერატურა არჩევით საგანს წარმოადგენს, სკოლა თავად იღებს გადაწყვეტილებას შეფასების ფორმებზე.

ე) ტერმინოლოგიური ლექსიკონი

მშობლიური ენების სტანდარტის სპეციფიკური ტერმინები

- **მაკრო-ფუნქციები** არის კატეგორიები, რომლებიც განსაზღვრავენ წერილობითი ან ზეპირი დისკურსის (გამონათქვამთა ბმული თანამიმდევრობის) ფუნქციურ გამოყენებას.
- **მიკრო-ფუნქციები** არის კატეგორიები, რომლებიც განსაზღვრავენ ცალკეული გამონათქვამების ფუნქციურ გამოყენებას.
- **ტექსტის სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტები:**
 - ✓ არავერბალური ელემენტები: ილუსტრაცია, ჟესტ-მიმიკა, ლოგო, სქემა, შრიფტის სახესხვაობა, ზომა და სხვ.

✓ ვერბალური ელემენტები: სათაური, თავი, რუბრიკა, აბზაცი;

• **სტრატეგიები:**

✓ **მოსმენის/კითხვის წინარე სტრატეგიები -**

- პირობის გააზრება;
- ვარაუდების გამოთქმა;
- ცოდნის მობილიზება - გულისხმობს ორი ტიპის ქმედებას: 1) იმ წინარე ენობრივი თუ თემასთან დაკავშირებული წინარე ცოდნის გონებაში მოძიება-გააქტიურებას, რომელიც უკავშირდება დასამუშავებელ ახალ საკითხებს; 2) საჭიროებისამებრ, ტექსტის გაგებისათვის აუცილებელი საკვანძო ლექსიკური ერთეულების ან გრამატიკული საკითხის დამუშავებას, დამატებითი ინფორმაციის მოძიებას სათანადო რესურსებში.

✓ **სტრატეგიები მოსმენის/კითხვის დროს და შემდეგ -**

- **გაცნობითი კითხვა** - გულისხმობს ტექსტის ზოგადი შინაარსის გასაგებად ყურადღების მიმართვას ტექსტის ორგანიზებაზე, მის სტრუქტურულ ერთეულებზე; ტექსტის შინაარსზე აზრის შესაქმნელად სათაურის/ქვესათაურების, ილუსტრაციების, წარწერების, გამოყოფილი სიტყვების, აბზაცების პირველი და/ან ბოლო წინადადების წაკითხვა (გაცნობითი მოსმენის შემთხვევაში მსმენელი ყურადღებას გაამახვილებს ნაცნობ სიტყვებსა და შესიტყვებებზე, არავერბალურ ელემენტებზე (ინტონაცია, მიმიკა-ჟესტიკულაცია, ხმის ტემპი და სხვ.).

- **სელექციური კითხვა/მოსმენა** - გულისხმობს ყურადღების მიზანმიმართულად წარმართვას არა მთლიან შინაარსზე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტულ ინფორმაციაზე.

- **შესწავლითი კითხვა:** გულისხმობს ტექსტის დეტალურ დამუშავებას სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით. ამგვარ სტრატეგიებს წარმოადგენს:

- **მთლიანად გადაკითხვა** - ტექსტის მთლიანად ჩაკითხვა უცნობ სიტყვებზე შეჩერების გარეშე თემატიკის/მთავარი საკითხების შესახებ აზრის შესაქმნელად;

- **გონებაში დამუშავება** - ტექსტის ცალკეული მონაკვეთის/აბზაცის შინაარსის წარმოდგენაში გაცოცხლება, წინარე ცოდნასთან დაკავშირება და დამუშავება;

- **გამოცნობა გულისხმობს** უცნობი სიტყვების, გამოთქმების მნიშვნელობის ამოცნობას ნაცნობი ელემენტების (*კონტექსტის, ილუსტრაციების, ნაცნობი ფუძის, მიმიკის და სხვ.*) დახმარებით;

- **უცნობი სიტყვების ამოწერა** - ლექსიკონის დახმარებით უცხო სიტყვების მნიშვნელობის ამოცნობა;

- **მიბრუნება** - გაუგებარ, რთულ, ბუნდოვან მონაკვეთებთან მიბრუნება;

- **შეკითხვების დასმა** - ტექსტის მონაკვეთების ერთმანეთთან დასაკავშირებლად;

- **ინფორმაციის დაჯგუფება** - ინფორმაციის ორგანიზების სხვადასხვა ხერხის (*სემანტიკური რუკის, სქემატური ჩანაწერების, ტაბულის, გრაფიკის*) გამოყენება;

- **ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთის/აბზაცის შეჯამება.**

➤ **ლაპარაკის სტრატეგიები:**

- ცოდნის მობილიზება;

- რეპეტიცია;
- პარაფრაზირება - სიტყვის დავიწყების/არცოდნის შემთხვევაში საკომპენსაციო საშუალებების (მაგ., ქესტიკულაციით მითითება, ნაგულისხმევი საგნის აღწერა ან მისი დანიშნულების აღნიშვნა) გამოყენება.
- **წერის წინარე სტრატეგიები:**
 - კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებლების (მიზნისა და ადრესატის, ადგილის) განსაზღვრა;
 - იდეების გენერირება (დაბადება) - გულისხმობს იდეების მოფიქრება-ჩანიშვნას.
 - იდეების დაჯგუფება - გულისხმობს იდეების ურთიერთდაკავშირებას, მათ შორის არსებული მიმართებების გამოკვეთას მარგანიზებული სქემების გამოყენებით.
 - ცოდნის მობილიზება;
 - გეგმის შედგენა;
- **სტრატეგიები წერის დროს და წერის შემდგომ -**
 - პირველადი ვარიანტის შედგენა;
 - პირველადი ვარიანტის გაუმჯობესება - ნაწერის პოტენციური მკითხველის თვალთახედვით შეფასება; შინაარსობრივი, სტრუქტურული, ენობრივი შესწორებების შეტანა; გრამატიკული და ორთოგრაფიული შეცდომების გასწორება დამხმარე რესურსების და ისტ-ის გამოყენებით; ნაწერის გაფორმება და გამოქვეყნება;
- **სტრატეგიები ლექსიკისა და გრამატიკის შესასწავლად:**
 - ენათშორისი პარალელების გავლება;
 - დამახსოვრების სხვადასხვა ხერხის გამოყენება;
 - **დედუქცია** - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობას, განზოგადებას და გამოყენებას კონკრეტულ მაგალითებში.
 - **ინდუქცია** - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანას.
- **სწავლის პროცესის მართვა (მეტაკოგნიტური სტრატეგიები):**
 - აქტივობის/დავალების ღირებულების განჭვრეტა ანუ მოსწავლის მიერ იმ პიროვნული თუ სოციალური სარგებლის დანახვა, რომელსაც მოუტანს მას ამა თუ იმ აქტივობის შესრულება. სასკოლო აქტივობების ღირებულების დანახვა მოტივაციის გაზრდის მნიშვნელოვანია ფაქტორია.
 - სწავლის პროცესზე დაფიქრება (მეტაკოგნიტური პაუზა - სასწავლო აქტივობაში გამოყენებული სტრატეგიების გაანალიზება და შეფასება მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით და სათანადო დასკვნების გამოტანა);
 - ენის სწავლის შემაფერხებელი და ხელშემწყობი ფაქტორების გაცნობიერება და მათი გათვალისწინებით წინსვლის ხელშეწყობა.

(ამოქმედდეს 2019 წლის 15 სექტემბრიდან)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 11.05.2018წ.

მუხლი 66. ეთნიკური უმცირესობების ენების სტანდარტები ქართულენოვანი სკოლების/სექტორების მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობებისათვის (არჩევითი საგანი) – B სტანდარტი

1. ეთნიკური უმცირესობების ენა დაწყებით საფეხურზე, B სტანდარტი (I-VI კლასები)

B სტანდარტი განკუთვნილია იმ მოსწავლეთათვის, რომლებმაც სკოლაში მისვლისას საერთოდ არ იციან მშობლიური ენა.

მშობლიური ენის სწავლება ოთხი მიმართულებით გაიშლება: მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი.

მოსმენა - ამ ეტაპზე მოსმენა ენის ათვისების ძირითად საშუალებას წარმოადგენს. სწავლების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სიტყვიერ ჯაჭვში ბგერების, სიტყვების, მარტივი წინადადებების მოსმენით გარჩევას.

ენისათვის დამახასიათებელ ჟღერადობებზე სმენის გამახვილება აუცილებელია გაგების უნარისა და სწორი გამოთქმის ჩამოსაყალიბებლად.

მოსასმენი ტექსტები გამოიყენება ნიმუშებად ზეპირმეტყველებისათვის, ამიტომ ტექსტები უნდა შეიცავდეს ნაცნობ ლექსიკასა და გრამატიკულ კონსტრუქციებს.

ლაპარაკი – პირველ ეტაპზე სწავლების სტრატეგია რეპროდუცირებისკენ უნდა იყოს მიმართული. რეპროდუცირების მიზანია სწორი გამოთქმის ჩამოყალიბება და ლექსიკური მარაგის გამდიდრება-განმტკიცება.

პროდუცირება გამოიყენება შეზღუდული სახით. მოსწავლეები შესწავლილი ლექსიკური მასალის გამოყენებით დასვამენ/უპასუხებენ კითხვებს და ნიმუშების მიხედვით გაითამაშებენ მარტივ სცენებს.

კითხვა - მოსწავლეები მუშაობენ როგორც კითხვის ტექნიკაზე (ანუ სიტყვების, წინადადებების გაშიფრვაზე), ისე მათს გაგებაზე. მოსწავლემ უნდა შეძლოს წინასწარ დასმული კონკრეტული ამოცანის საშუალებით საკითხავი დავალების მთავარი მიზნის მიღწევა.

წერა - აღნიშნულ ეტაპზე სწავლება, ძირითადად, რეპროდუცირებას დაეფუძნება. წერითი დავალებები მრავალფეროვან, სახალისო და შინაარსიან კონტექსტებზე უნდა აიგოს, რაც ხელს შეუწყობს როგორც კითხვის უნარის გაუმჯობესებას, ისე ენობრივი მასალის დამახსოვრებას.

ა) I-VI კლასების B სტანდარტი

VI კლასის ბოლოს მისაღწევი შედეგები

ინდექსების განმარტება

სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების საფეხურსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., „**მშB.დაწყ.1.**“

„**მშB**“ - მიუთითებს საგანს „მშობლიური ენა და ლიტერატურა მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობებისათვის, B სტანდარტი“;

„**დაწყ.**“ - მიუთითებს I-VI კლასების სტანდარტს;

„1“- მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

ეთნიკური უმცირესობების ენის B სტანდარტის შედეგები (I-VI კლასები)	
	1. მიმართულება: მოსმენა
შედეგების ინდექსი	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
მშბ.დაწყ.1.	სტანდარტით განსაზღვრული თემატიკის შემცველი მცირე ზომის დიდაქტიზებული ტექსტებისა და მარტივი საკლასო ინსტრუქციების გაგება.
	მიმართულება: კითხვა
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
მშბ.დაწყ.2.	ნაცნობი თემატიკის შემცველი ტექსტების ხმამაღლა წაკითხვა გარკვევით და გამართულად.
მშბ.დაწყ.3.	სტანდარტით განსაზღვრული ტექსტის ტიპების ზოგადი შინაარსის გაგება, კონკრეტული დეტალების ამოცნობა და მათში კონკრეტული ინფორმაციის მოძიება.
მშბ.დაწყ.4.	სტანდარტით განსაზღვრული ტექსტის ტიპების სტრუქტურული მახასიათებლების ამოცნობა; ტექსტებში ნასწავლი ენობრივი ფორმების ამოცნობა-გარჩევა.
	მიმართულება: წერა
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
მშბ.დაწყ.5.	წერილობითი ტექსტის სტრუქტურის დაცვა, ტექსტის შედგენისას ელემენტარული ენობრივი უნარ-ჩვევების ადეკვატურად გამოყენება.
მშბ.დაწყ.6.	მოდელის მიხედვით მარტივი პრაგმატული ტექსტების შედგენა.
	მიმართულება: ლაპარაკი
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
მშბ.დაწყ.7.	სიტყვების, წინადადებებისა და ტექსტების გარკვევით წარმოთქმა შესაბამისი ინტონაციისა თუ მახვილების დაცვით.
მშბ.დაწყ.8.	სტანდარტით განსაზღვრულ თემატიკაზე მარტივი ენით ინტერაქცია; რამდენიმე წინადადებიანი მონოლოგის წარმოთქმა.

შინაარსი

შედეგების მიღწევა დაეფუძნება შემდეგ შინაარსს:

თემატიკა

- ინდივიდი: პირადი მონაცემები, წარმომავლობა, სხეული, გარეგნობა, ტანსაცმელი;
- ინდივიდის გარემოცვა: ოჯახი, ნათესავები, მეგობრები; საცხოვრებელი ადგილი, საყოფაცხოვრებო ნივთები;
- ცხოველთა/ფრინველთა სამყარო;
- ბუნება/ბუნების მოვლენები; ამინდი,
- ქალაქი, სოფელი;
- სკოლა/სასკოლო ნივთები, სასკოლო საგნები;
- საჭმელ-სასმელი, ხილი, ბოსტნეული, სურსათი, კვება;

- დღესასწაულები / ზეიმები;
- აქტივობები: ყოველდღიური საქმიანობა, განრიგი, გართობა, ჰობი, სპორტი, თამაშები;
- წელიწადის დროები, თვეები, კვირის დღეები, დღე და ღამე;
- მახასიათებლები: ფერი, ზომა, ფორმა, რაოდენობა.

სოციოკულტურა და კულტურა

- დღესასწაულები და ტრადიციები: მათი თავისებურებები, ტრადიციული კერძი, პერსონაჟები და სხვა;
- წეს-ჩვეულებები (ყოფით სიტუაციებში ქცევები და ურთიერთობები);
- ტრადიციული საბავშვო თამაშები, პერსონაჟები;
- საკუთარი სახელები და კნინობითი ფორმები.

ტექსტის ტიპები

პრაგმატული ტექსტები:

მითითება, შეტყობინება, სავარჯიშოს პირობა, ინსტრუქცია, თამაშის წესები, კვირის განრიგი, სავარჯიშოს პირობა, ინსტრუქცია, თამაშის წესები, ამინდის პროგნოზი;

სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები:

ა) თემატური დიალოგი, მონოლოგი, მარტივი თხრობითი და/ან აღწერითი ტექსტები, სხვ.

ბ) ლექსები, გათვლები, ენის გასატეხები, ადაპტირებული ლეგენდები, თქმულებები და ზღაპრები.

მულტიმედიური ტექსტები:

ადაპტირებული კომიქსები, საბავშვო სიმღერები, სხვადასხვა სახის აუდიო-ვიდეო რესურსები, ანიმაციური ფილმები, საბავშვო გადაცემები, სხვ.

ენობრივი საშუალებები

დაწყებით საფეხურზე ენობრივი საკითხების სწავლება ხორციელდება/მიმდინარეობს პრაქტიკული აქტივობებით, აბსტრაქტული ტერმინების, წესებისა და თეორიული განმარტებების გარეშე.

მოსწავლეები კონტექსტში ამოიცნობენ და იყენებენ საკომუნიკაციო მიზნის განსახორციელებლად საჭირო გრამატიკულ საშუალებებს.

სამეტყველო აქტები

- ინტერაქცია სოციალური ურთიერთობებისას: მისალმება, მოკითხვა, დამშვიდობება, გაცნობა, მობოდიშება, მადლობის გადახდა, მილოცვა, შეთავაზება, დახმარების თხოვნა, ნებართვის აღება/მიცემა;
- ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად: პირადი მონაცემების (*ვინაობა, წარმომავლობა, ასაკი, მისამართი, ტელეფონის ნომერი*) გაცვლა; ადამიანის/ცხოველის/საგნის/საქმიანობის აღწერა/დახასიათება; თარიღის, საქმიანობის, ჯანმრთელობის, ამინდის გაგება;
- ინტერაქცია შეხედულებებისა და დამოკიდებულებების შესახებ: მოწონება/არ
- მოწონება; სურვილისა და ინტერესის გამოხატვა; დადებითი და უარყოფითი შეფასება; დათანხმება, უარყოფა, აკრძალვა;
- ინტერაქცია ემოციებისა და შეგრძნებების შესახებ: ემოციებისა (*სიხარული, ბრაზი, წუხილი, გაოცება, შიში*) და შეგრძნებების (*ტკივილი, წყურვილი, შიმშილი, სიცივე, სიცხე*) გამოხატვა;
- ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ: დროის მითითება, ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება.

ენის ლექსიკოლოგიური ასპექტი

აქტიური ლექსიკური ფონდის შევსება; სიტყვათა სემანტიკური და ლექსიკური კავშირების (სინონიმების, ანტონიმების, ერთი სემანტიკური ჯგუფის სიტყვების) ამოცნობა და გამოყენება; სიტყვაწარმოება ელემენტარულ დონეზე; სიტყვათა მრავალმნიშვნელობაზე დაკვირვება.

ენის გრამატიკული ასპექტი

თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი და ძახილის წინადადებების ამოცნობა და გამოყენება; სასვენი ნიშნების (წერტილის, კითხვისა და ძახილის ნიშნების, მძიმის, ორწერტილის, ტირეს) ამოცნობა და გამოყენება ნასწავლ კონტექსტებში; სიტყვათა ფორმაცვალების კანონზომიერებათა აღმოჩენა (მაგ., ზმნის უღლება, სახელის ბრუნება, მხოლობითი და მრავლობითი ფორმების წარმოება); სივრცული, დროითი და მიზეზ-შედეგობრივი მიმართებების გამომხატველი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების ამოცნობა და გამოყენება; მართლმეტყველებისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა.

2. ეთნიკური უმცირესობების ენა საბაზო საფეხურზე, B სტანდარტი (VII-IX კლასები)

B სტანდარტი განკუთვნილია იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც სახლში, ოჯახში არ საუბრობენ მშობლიურ ენაზე.

შესავალი

საბაზო საფეხურზე მშობლიური ენის სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

- ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;
- ბ) B სტანდარტის შედეგები და შინაარსი;
- გ) მეთოდოლოგიური ორიენტირები;
- დ) შეფასება;
- ე) ტერმინოლოგიური ლექსიკონი.

საბაზო საფეხურზე მოსწავლეები შეისწავლიან სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტებს, მშობლიურ ენას ფუნქციურად გამოიყენებენ კომუნიკაციური მიზნებისა თუ სასწავლო საქმიანობათა განსახორციელებლად; დაეუფლებიან ენის სწავლის უნარებსაც.

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

მშობლიური ენის სწავლა-სწავლების მიზნებია, მოსწავლეს ჩამოუყალიბოს/განუვითაროს:

- მშობლიურ ენაზე წარმატებული კომუნიკაციის უნარი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;
- სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში მშობლიური ენის მიზნობრივად და ფუნქციურად გამოყენების უნარი;
- ენის დამოუკიდებლად სწავლის უნარი;
- საკუთარი კულტურის უკეთ გაგებისა და მის მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობა;
- ასევე, სხვა კულტურათა მიმართ პატივისცემის უნარი და პასუხისმგებლობის გრძნობა;
- სამოქალაქო ცნობიერება.

ამ მიზნებზე მუშაობით მშობლიური ენა თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

ბ) B სტანდარტის შედეგები და შინაარსი

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს კითხვას, რა უნდა შეეძლოს საბაზო საფეხურის მოსწავლეს მშობლიურ ენაში. ეს შედეგები ჯგუფდება სამ მიმართულებად:

1. **ტექსტის მოსმენა/წაკითხვა და გაგება** - მოიცავს სტრატეგიებს, რომლებსაც უნდა დაეუფლოს მოსწავლე მშობლიურენოვანი ტექსტების გასაგებად სოციოკულტურული კონტექსტების თავისებურებათა გათვალისწინებით.
2. **წერა და ლაპარაკი** - გულისხმობს სტრატეგიებს, რომელთა საშუალებითაც უნდა შეძლოს მოსწავლემ მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერიტი კომუნიკაცია.
3. **საქმიანობა მშობლიური ენის გამოყენებით** - ამ მიმართულების მთავარ ამოცანას წარმოადგენს სოციალურ კონტექსტებში სხვადასხვა ტიპის საქმიანობათა მშობლიურ ენაზე განხორციელების უნარების განვითარება.

სტანდარტის შინაარსში განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულო ცნებების, თემატური ბლოკის, საგნობრივი საკითხების სახით. საბაზო საფეხურის სტანდარტით განსაზღვრული შედეგები და ცნებები უნდა დამუშავდეს შინაარსიან კონტექსტებში. ეს კონტექსტები სავალდებულო თემატური ბლოკების სახითაა წარმოდგენილი.

B სტანდარტის შედეგების ინდექსების განმარტება

საბაზო საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების საფეხურსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **B. მშ. საბ.1.**

„**B.**“- მიუთითებს სტანდარტის ტიპს, რომელიც განკუთვნილია მშობლიური ენის არმცოდნე მოსწავლეთათვის;

„**მშ.**“ - მიუთითებს საგანს „ეროვნული უმცირესობების მშობლიური ენა“;

„**საბ.**“- მიუთითებს საბაზო საფეხურის სტანდარტს;

„**1**“- მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

მშობლიური ენის B სტანდარტის შედეგები		
შედეგის ინდექსი	მართულება: ტექსტის მოსმენა/წაკითხვა და გაგება (რეცეფციული უნარები)	ცნებები
მოსწავლემ უნდა შეძლოს:		ტექსტის ტიპი
B.მშ.საბ.1.	მოსმენამდე/წაკითხვამდე ტექსტის ტიპის განსაზღვრა მისი სტრუქტურული და სიტუაციური მახასიათებლების ამოცნობის გზით;	ტექსტის

B.მშ.საბ.2.	ნასწავლი ენობრივი საშუალებების გამოყენებით ტექსტის შინაარსის გააზრება და საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირება;	სტრუქტურული ელემენტები
B.მშ.საბ.3.	ტექსტებში ასახული სოციოკულტურული თავისებურებების ამოცნობა და მათ მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა;	საკომუნიკაციო სიტუაცია
B.მშ.საბ.4.	ტექსტის გაგებამდე, გაგების პროცესში და გაგების შემდგომ შესაბამისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება;	კულტურათმორი სი დიალოგი
B.მშ.საბ.5	ტექსტის გააზრებისას წარმოქმნილი პრობლემების გაანალიზება, მათი გადალახვის გზების დადგენა. (სწავლის პროცესის მართვა - მეტაკოგნიტური სტრატეგია).	სტრატეგიები
მიმართულება: წერა და ლაპარაკი (პროდუცირება)		ლექსიკა
მოსწავლემ უნდა შეძლოს:		გრამატიკა
B.მშ.საბ.6	ზეპირი საკომუნიკაციო სიტუაციის/მიზნის შესაბამისი სამეტყველო მოქმედებების შესრულება სათანადო სტრატეგიების გამოყენებით;	ფუნქციური სამეტყველო მოქმედებები
B.მშ.საბ.7.	ნასწავლი ენობრივი საშუალებებით საკომუნიკაციო მიზნის შესაბამისი წერილობითი ტექსტის პირველადი ვარიანტის შემუშავება;	
B.მშ.საბ.8.	პირველადი ვარიანტის ცალკეული აზრების, მთლიანი ტექსტის ენობრივი, შინაარსობრივი თუ სტრუქტურული გაუმჯობესება, საბოლოო ვარიანტის სათანადოდ გაფორმება;	
B.მშ.საბ.9.	წერამდე, წერის დროს და წერის შემდგომ ფაზებში შესაბამისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება;	
B.მშ.საბ.10.	ზეპირი და წერითი კომუნიკაციისას წარმოქმნილი პრობლემების გაანალიზება, მათ გადასალახად სამოქმედო გეგმის შედგენა (სწავლის პროცესის მართვა - მეტაკოგნიტური სტრატეგია).	
მიმართულება 3. საქმიანობა მშობლიურ ენის გამოყენებით		
მოსწავლემ უნდა შეძლოს:		
B.მშ.საბ.11.	კულტურათმორისი დიალოგის ხელშეწყობი ინიციატივების გამოვლენა და რეალიზება, სოციოკულტურული თავისებურებების გაზიარება;	
B.მშ.საბ.12	ზეპირი და წერითი კომუნიკაციის უნარების გამოყენებით საქმიანი იდეების განხორციელება.	

ცნებები და საკითხები

ტექსტის ტიპი

- სასწავლო მიზნით შექმნილი (დიდაქტიზებული) ტექსტი (მაგ., თემატური დიალოგი/მონოლოგი, აღწერითი, თხრობითი ტექსტი);
- პრაგმატული ტექსტები (მაგ., განრიგი/პროგრამა, გზის მარშრუტი, რეკლამა, აფიშა);
- კორესპონდენცია (მაგ. ღია ბარათი, მეგობრული წერილი, შეტყობინება/SMS/CHAT);
- საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტები (მაგ., ცნობარი, ანოტაცია, ინტერვიუ, ბუკლეტი, პირადი გამოხმაურება, საყმაწვილო ენციკლოპედიის სტატია);
- გასართობ-შემოქმედებითი ტექსტები (მაგ., სიმღერა, ლექსი, სკეტჩი, რიტმული ტექსტი, რეპი, კარიკატურა, კლიპი).

ტექსტის სტრუქტურული ელემენტები (მაგ., სათაური, რუბრიკა, ილუსტრაცია, სქემა, აზრები)

აზნატი - სტრუქტურა: თემატური წინადადება, დამხმარე წინადადებები (დამატებითი ინფორმაციის შემცველი მაგალითი, დეტალი, მონაცემი თემატურ წინადადებაში ასახული მთავარი იდეის შესახებ), დასკვნითი წინადადება;

ტექსტის სიტუაციური მახასიათებლები/საკომუნიკაციო სიტუაცია (მაგ., კომუნიკაციის ადგილი, მიზანი, მონაწილეები, ადრესატი, ავტორი);

სოციოკულტურული თავისებურება (მაგ., რეალიები, ფასეულობები, ზნე-ჩვეულებები, კულტურული ნორმები)

კულტურათშორისი დიალოგი;

სტრატეგიები

- მოსმენის სტრატეგიები მოსმენის პროცესის თითოეული ფაზისათვის (მოსმენამდე, მოსმენის დროს, მოსმენის შემდეგ);
- კითხვის სტრატეგიები კითხვის პროცესის თითოეული ფაზისათვის (კითხვამდე, კითხვის დროს, კითხვის შემდეგ);
- ლაპარაკის სტრატეგიები ზეპირი კომუნიკაციამდე და კომუნიკაციის დროს;
- წერის სტრატეგიები წერის პროცესის თითოეული ფაზისათვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ);
- ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიები;
- სწავლის პროცესის მართვა (მეტაკოგნიტური სტრატეგიები).

ლექსიკა - ანტონიმი, სინონიმი, ომონიმი, ფრაზეოლოგიზმი/მყარი შესიტყვება;

გრამატიკა - ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი;

ლექსიკურ-გრამატიკული ცოდნა კომუნიკაციურ მიზნების განხორციელებას უნდა ემსახურებოდეს. შესაბამისად, ლექსიკა და გრამატიკული საკითხები ცალკეულ სასწავლო თემის საკომუნიკაციო მიზნებიდან გამომდინარე განისაზღვრება.

ფუნქციური სამეტყველო მოქმედებები

ქვემოთ წარმოდგენილია იმ ფუნქციური სამეტყველო მოქმედებების ჩამონათვალი, რომელთა შესრულებაც უნდა შეძლოს მოსწავლემ სხვადასხვა კონტექსტებსა თუ სიტუაციებში კომუნიკაციისას. სტანდარტი გამოყოფს მიკრო-ფუნქციებს და მაკრო-ფუნქციებს.

მიკრო-ფუნქციები:

- **ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში** - მისალმება; ვინმეს/საკუთარი თავის წარდგენა; ვინმეს მიღება; მილოცვა; კეთილი სურვილის გამოხატვა; გამომშვიდობება; ტელეფონზე ინტერაქცია (ზარზე პასუხი, თანამოსაუბრის ვინაობის დადგენა, მობოდიშება, დალოდების თხოვნა, საუბრის დასრულება); მადლობის გადახდა;
- **ინტერაქცია ინფორმაციის შესახებ:** სახელდება, მითითება, აღნიშვნა; ინფორმაციის მოთხოვნა/გაცემა: რაიმე საგნის/პიროვნების შესახებ (რა არის, ვინ არის); დროის შესახებ (დროის

მონაკვეთების აღნიშვნა; დროში - აწმყოს, წარსულსა თუ მომავალში - ლოკალიზება; თანადროულობის, წინსმწრებობის, მერმინდელობის გამოხატვა, დასაწყისის, დასასრულის აღნიშვნა; განმეორებადობის, ხანგძრლივობის, სიხშირის აღნიშვნა); სივრცის შესახებ (ადგილის/ადგილმდებარეობის აღნიშვნა; მანძილის დაზუსტება, მოძრაობის, მიმართულება/ორიენტაციის აღნიშვნა); ვითარების შესახებ; რაოდენობისა და ხარისხის შესახებ; მიზეზის შესახებ; ფაქტის დადასტურება/ უარყოფა; ინფორმაციის შესწორება.

- **ინტერაქცია შეხედულებების და დამოკიდებულების შესახებ:** საკუთარი თვალსაზრისის გამოხატვა; მიმხრობა-გაზიარება; შეწინააღმდეგება, უარყოფა; დაპირისპირება; გამოხატვა იმისა, რომ რაიმე იცი ან არ იცი, შეგიძლია/არ შეგიძლია; გამოხატვა იმისა, რომ რაიმე გახსოვს ან დაგავიწყდა; რაიმეს შესწინება; ეჭვის, დაურწმუნებლობისა თუ დარწმუნებულობის გამოხატვა; საკუთარი სურვილების, განზრახვის გამოხატვა; ვალდებულების, აუცილებლობის გამოხატვა; შედარება: მსგავსების/განსხვავების, მეტობის/ნაკლებობის აღნიშვნა, მიზეზშედეგობრივი კავშირები, მიზნის, პირობითობის გამოხატვა.
- **ინტერაქცია ემოციებსა და გრძნობებზე:** სიხარულის, სიამოვნების, ბედნიერების განცდის გამოხატვა; მოწყენილობის, სევდის გამოხატვა; ნუგეშისცემა, დამშვიდება; იმედის, გულდაწყვეტის გამოხატვა; შიშის, წუხილის, ფიზიკური ტკივილის გამოხატვა; მოწონების/არ მოწონების, აღფრთოვანების გამოხატვა; გამოხატვა იმისა, თუ რა გირჩევნია; კმაყოფილების/უკმაყოფილობის გამოხატვა; ბრაზის გამოხატვა; ინტერესის გამოხატვა რაიმეს მიმართ; გაკვირვების/ინდიფერენტული დამოკიდებულების, მადლიერების გამოხატვა;
- **ინტერაქცია ქმედებებსა და საქმიანობებზე:** ბრძანების ან ინსტრუქციის მიცემა; დახმარების თხოვნა; შეკვეთის მიცემა (მაგ. კაფეში, რესტორანში); თხოვნაზე პასუხი გაცემა დათანხმებით, ყოყმანით, უარის თქმით; რაიმეს გაკეთების თხოვნა; რაიმე გაკეთების შეთავაზება; შეთავაზებაზე დადებითი ან უარყოფითი პასუხის გაცემა; რჩევის მიცემა, გაფრთხილება; გამხნეება; ნებართვის თხოვნა/მიცემა; აკრძალვა; დამუქრება; დაპირება; საყვედურის მიცემა.
- **სიტყვის, სათქმელის სტრუქტურირება -** გეგმის წარდგენა; თემის წამოწყება, თემის/საკითხის გაშლა-განვითარება დაჯგუფების, შედარების, აღწერის, თხრობის საშუალებით; მაგალითის მოყვანა; სხვისი ნათქვამის მოყვანა; თემის შეჯამება;
- **ზეპირი ინტერაქციის სტრუქტურირება -** თანამოსაუბრესთან საუბრის დაწყება; საუბარში ჩართვა/სიტყვის თხოვნა; სიტყვის მნიშვნელობის დაზუსტება/პარაფრაზირება, გადამოწმება იმის, რომ თანამოსაუბრეს ჩვენი ესმის; კითხვის დასმით გადამოწმება, რომ მართებულად გვესმის თანამოსაუბრისა; გაუგებრობის შემთხვევაში თანამოსაუბრისთვის თხოვნა, რომ უფრო ნელა ისაუბროს, დამარცვლოს, ნათქვამი გაიმეოროს,/პარაფრაზირებით განმარტოს.

მაკრო-ფუნქციები: აღწერა, თხრობა, ახსნა-განმარტება

ძირითადი თემატური ბლოკები და სასწავლო თემები

თემატური ბლოკები შემოსაზღვრავს ზოგად შინაარსობრივ კონტექსტებს, რომლებშიც უნდა დამუშავდეს სტანდარტის შედეგები და ცნებები. საფეხურის სამივე კლასისთვის მასწავლებლის თუ ავტორის მიერ შერჩეული სასწავლო თემები უნდა გამომდინარეობდეს თემატური ბლოკიდან.

თემატური ბლოკები

I. მე და სამყარო:

5. ყველაფერი ჩემ შესახებ (მონაცემები, უახლოესი გარემო, ყოველდღიური ყოფითი საქმიანობა, ჯანმრთელობა, თავისუფალი დრო, ჰობი, ინტერესები, უახლოესი გეგმები, მომავლის დაგეგმვა/არჩევანის გაკეთება);
6. ფიზიკური გარემო (დედამიწა, მსოფლიოს გარშემო - ქვეყნები და ქალაქები; ეკოლოგია, ბუნებრივი კატასტროფები, გეოგრაფიული გარემო, მხარეები, აღმოჩენები)

II. სოციოკულტურა და კულტურა:

7. ყოველდღიური ცხოვრება (ეტიკეტი, სოციალური ქცევის წესები, ქცევები ყოფით სიტუაციებში, კვებითი ჩვევები, თავისუფალი დროის გატარება);
8. პიროვნებათშორისი ურთიერთობები (ოჯახური ურთიერთობები, თანატოლებს/თაობებს შორის ურთიერთობები);
9. ღირებულებები და ფასეულობები კულტურა, ტრადიციები, დღესასწაულები და ფესტივალები, ღირსშესანიშნაობები; სამშობლო/ისტორიული სამშობლო, ისტორიული პიროვნებები და მოვლენები; უმცირესობები - ეთნიკური/ რელიგიური, სხვა ქვეყნები და ხალხები).

საფეხურებრივი საკვანძო კითხვები

- რას მეუბნება ტექსტი მისი შექმნის ეპოქაზე, ავტორზე?
- რა შეიძლება გავაკეთო იმისთვის, რომ უკეთ გავიგო/გავიაზრო ტექსტი?
- რამდენად/როგორ დამეხმარება ტექსტი საკუთარი თავის შეცნობაში?
- როგორ შემიძლია თვითგამოხატვა მოცემულ თემაზე, პრობლემაზე/საკითხზე?
- როგორ მოვიქცე, რომ წარმატებით გავართვა თავი წერით საკომუნიკაციო ამოცანას
- როგორ შევუწყო ხელი კულტურათშორის დიალოგს, სოციოკულტურულ თავისებურებათა წარმოჩენასა და გაცვლა-გაზიარებას?

გ) მეთოდური ორიენტირები

საგნის სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

- ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა მოტივირებას და შინაგანი ძალისხმევის გააქტიურებას.
- ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
- გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.
- დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას).
- ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

გამჭოლი უნარები და ღირებულებები

საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

პასუხისმგებლობა	<ul style="list-style-type: none"> • სასკოლო და სხვა საქმიანობებში ნაკისრი ვალდებულების შესრულება; • სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება; • საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე პასუხისმგებლობის აღება.
თანამშრომლობა	<ul style="list-style-type: none"> • მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად; • განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა; • რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით. • ჯგუფის წევრებს შორის განაწილებული სამუშაოს შესრულება.
დროსა და სივრცეში ორიენტირება	<ul style="list-style-type: none"> • თანამედროვე რეალობის სივრცულ-დროით ჭრილში გააზრება და ინტერპრეტირება; • მულტიპერსპექტიული ხედვა დროითი და სივრცული ფაქტორების გათვალისწინებით.
ეთიკა	<ul style="list-style-type: none"> • ეთიკური და ქცევითი ნორმების დაცვა; • სოლიდარობის განცდა; • სხვებისადმი ემპათია; • პიროვნული ღირსების გააზრებისა და დაფასების უნარი; • განსხვავებულობის მიმღებლობა; • საკუთარ სოციალურ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრება.
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება	<ul style="list-style-type: none"> • ინფორმაციის/სასწავლო მასალის (დიდაქტიზებული, პრაგმატული, საინფორმაციო-შემეცნებითი, გასართობ-შემოქმედებითი ხასიათის ტექსტები) მოძიება ინტერნეტში სხვადასხვა საძიებო სისტემის მეშვეობით; • ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო მასალისა და სხვადასხვა ტიპის ტექსტების შესაქმნელად და პროექტების განსახორციელებლად (სხვადასხვა ხასიათის ღია ბარათის/მეგობრული წერილის/შეტყობინების ელექტრონული ვერსიის მიწერა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ჩეთში მონაწილეობა skype-ის, messenger-ის მეშვეობით; ვებგვერდის/ბლოგის შექმნა და უცხოურ ენაზე განხორციელებული სხვადასხვა პროექტის, მაგ., კულინარიული რეცეპტების კრებულის, სკოლის მოსწავლეთა ნახატების/ნაკეთობების კატალოგის სკოლის ვებგვერდზე/ ბლოგზე განთავსება); • ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება (მაგ., Word, PowerPoint) სასწავლო მასალისა და სხვადასხვა ტიპის ელექტრონული ტექსტების დასამუშავებლად.
კვლევა	<ul style="list-style-type: none"> • კვლევითი ამოცანის, კვლევის პროცედურების, მონაცემების მოპოვების გზებისა და აღრიცხვის ფორმების განსაზღვრა; სათანადო რესურსების შერჩევა; • კვლევის ჩატარება, მონაცემების აღრიცხვა და სხვადასხვა ფორმით წარმოდგენა/ ორგანიზება; • მონაცემების ანალიზი, არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე დასკვნების გამოტანა; კვლევის შედეგების შეფასება; • კვლევითი სამუშაოების ჩატარების დროს ეთიკისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა.
შემოქმედებითი აზროვნება	<ul style="list-style-type: none"> • ჩანაფიქრის შემოქმედებითად განხორციელება; • ორიგინალური იდეების გამოვლენა და ხორცმესხმა; ახლის შექმნა; • დასმული პრობლემების გადასაჭრელად არასტანდარტული გზების მოძიება; • სწრაფვა გარემოს გარდაქმნა-გაუმჯობესებისკენ.

მეთოდოლოგიური მიდგომები

მშობლიური ენის სწავლა-სწავლება შემდეგ მეთოდოლოგიურ მიდგომებს უნდა ითვალისწინებდეს:

- მშობლიური ენის სტანდარტის მოთხოვნათა შესრულება მოითხოვს მშობლიურ ენაზე კომუნიკაციური უნარების ფუნქციურად გამოყენების უნარების განვითარებას. ამ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ეგრეთწოდებული „უკუხვლით დიზაინის“ (backward design) მეთოდის გამოყენება: პირველ რიგში, უნდა ვხედავდეთ, კონკრეტული თემატური ერთეულის ბოლოს, რა კომპლექსურ-ფუნქციური დავალებების/საქმიანობის შესრულება უნდა შეძლოს მოსწავლემ. შემდეგ, ეს დავალება უნდა დავშალოთ ცოდნისა და უნარების ცალკეულ კომპონენტებად, რომელთა ათვისებაც დასჭირდება მოსწავლეს იმისთვის, რომ ბოლოს შეძლოს კომპლექსური დავალების შესრულება, რომლის დროსაც მოუწევს ფუნქციური გამონათქვამების, ლექსიკური, გრამატიკული, კომუნიკაციური ცოდნისა და უნარების ერთდროულად და ინტერაქტიულად გამოყენება.
- ლექსიკური მასალა თუ გრამატიკული საკითხები თვითმიზნურად არ უნდა ისწავლებოდეს, მათი სწავლება გადაჯაჭვული უნდა იყოს კომუნიკაციურ მიზნებთან. მოსწავლეს ის ლექსიკურ-გრამატიკული უნარები უნდა გამოვუმუშაოთ, რომლებსაც კონკრეტულ კომუნიკაციურ სიტუაციებში გამოიყენებს.
- მოსწავლე უნდა იყოს სწავლა-სწავლების პროცესის აქტიური მონაწილე. ამის უზრუნველსაყოფად მოსწავლე ჩართული უნდა იყოს განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ხელს შეუწყობს ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვაში;
- სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ზრუნვა მეტაკოგნიციის უნარების განვითარებაზე, რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ეს აქტივობებია:

სტრატეგიების მოდელირება: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და მისი შესრულებისას „ხმამაღლა ფიქრობს“ იმაზე, თუ როგორ შეასრულოს ეს აქტივობა (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანხმლები მასალა, მაგ., სურათები? ამიტომ, სანამ ტექსტს წავიკითხავთ, ხომ არ სჯობს, ჯერ სურათებს გავეცნოთ და ვნახოთ, რა ინფორმაციის შემცველია ეს სურათები? და მისთ.

წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფურად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.), ასევე სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებენ თითოეულ ეტაპზე. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე.

შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა და ხერხი, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ

(ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებს და აუმაღლებს სწავლის ქმედუნარიანობას.

წლიური პროგრამისა და სასწავლო თემის აგების პრინციპები

წლიური პროგრამა სტანდარტზე დაყრდნობით იგეგმება და გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს. წლიური პროგრამა სარეკომენდაციო ხასიათისაა. სკოლას შეუძლია გამოიყენოს რეკომენდაციის სახით შეთავაზებული წლიური პროგრამა ან თავად დასახოს სტანდარტის მიღწევის გზები. წლიური პროგრამები უნდა დაიგეგმოს სასწავლო თემების საშუალებით (შედეგი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს - თემას).

სასწავლო თემის დასაგეგმად გამოიყენება შემდეგი კომპონენტები:

სასწავლო თემა სასწავლო თემა წარმოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.
ცნებები, ტექსტები, საკითხები ტექსტებისა და საკითხების მეშვეობით მოსწავლე გაიაზრებს ცნების შინაარსს, ამუშავებს საკვანძო შეკითხვებს, ასრულებს კომპლექსურ დავალებებს.
საკვანძო შეკითხვები თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვებიდან და დაისმის თემის კონკრეტულ კონტექსტში. მათი ფუნქციაა: <ul style="list-style-type: none">• მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;• სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა;• თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მარგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.
აქტივობები მიმდინარე დავალებების ტიპების/ნიმუშების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული გაგება-გააზრების პროცესების ხელშესაწყობად, ასევე ცოდნის განმტკიცებისა თუ შეჯამების მიზნით. კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ დავალებებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.
შეფასების ინდიკატორები შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს

მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს.

შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით შემუშავდება კრიტერიუმები კონკრეტული დავალებების შეფასების რუბრიკებისთვის.

მკვიდრი წარმოდგენები

მკვიდრი წარმოდგენები განისაზღვრება სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მუხსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდეს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად.

როგორ აიგება სასწავლო თემა?

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული. სტანდარტის ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრება მკვიდრი წარმოდგენები, საკვანძო შეკითხვები და შეფასების ინდიკატორები, შეირჩევა ტექსტები, შემუშავდება იდეები შემაჯამებელი კომპლექსური დავალებებისთვის. ამის შემდეგ განისაზღვრება საგნობრივი საკითხები, რესურსები, დავალებების ტიპები/ნიმუშები. თითოეულ თემაზე მუშაობის პროცესი მოემსახურება ზოგადი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას.

ქვემოთ თემის ასაგებად გადასადგმელი ნაბიჯები წარმოდგენილია სქემატურად, ცხრილის სახით.

ცხრილი. სასწავლო თემის აგების პროცესი

ნაბიჯი 1. თემატური საკვანძო შეკითხვების დასმა
ნაბიჯი 2. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა
ნაბიჯი 3. თემის ტექსტების/რესურსების შერჩევა
ნაბიჯი 4. შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების იდეების შემუშავება
ნაბიჯი 5. საკითხების განსაზღვრა

ნაბიჯი 6. მიმდინარე აქტივობებისა და დავალებების განსაზღვრა-დაგეგმვა

ნაბიჯი 7. მკვიდრი წარმოდგენების განსაზღვრა

თემის სწავლა-სწავლების პროცესის ტაბულა B სტანდარტისათვის

ქვემოთ მოცემულია პროცესის ტაბულა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ მუშავდება კომუნიკაციურ-ენობრივი უნარები, როგორ წარიმართება, ერთი თემატური ერთეულის ფარგლებში, მოსწავლის აქტივობასა და სწავლის პროცესზე ორიენტირებული სწავლა-სწავლება. სწავლის პროცესზე ორიენტირება მოსწავლეს ეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, რაც ხელს უწყობს მას მიღწევების გაუმჯობესებაში.

თემა:

მოსმენა- გაგების პროცესი

საკვანძო შეკითხვები: როგორ მოვიქცე ტექსტის შინაარსის გასაგებად? რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ? რატომ არის მნიშვნელოვანი მეტაკოგნიტური უნარები?

ტექსტი/ტექსტები:

ბიჯები და სწავლა-სწავლების სტრატეგიები

ფაზა: მოსმენამდე

საკვანძო შეკითხვები: როგორ მოვემზადო ტექსტის მოსასმენად?

მოსმენის წინარე სტრატეგიები:

ბიჯი 1. დავალების ნათლად გააზრება და დაზუსტება პირობის გაანალიზების გზით; საჭიროებისამებრ, დამატებითი დაზუსტებების მოთხოვნა;

ბიჯი 2. სხვადასხვა ხერხით შინაარსის წინასწარ განჭვრეტა (მაგ., ვარაუდის გამოთქმა ილუსტრაციებზე, სათაურზე დაყრდნობით);

ბიჯი 3. ტექსტის გასააზრებლად საჭირო წინარე ცოდნის (ენობრივი, ტექსტობრივი, თემასთან დაკავშირებული) გახსენება-გააქტიურება; საჭიროებისამებრ (ტექსტის სირთულის მიხედვით) რამდენიმე აუცილებელი საკვანძო სიტყვის/მყარი შესიტყვების დამუშავება.

ფაზა: მოსმენის დროს

საკვანძო შეკითხვა: როგორ მოვიქცე, რომ უკეთ გავიგო ტექსტი? როგორ გავიაღვილო ტექსტის გაგება?

მოსმენის სტრატეგიები:

ბიჯი 4. პირველი მოსმენა - ტექსტის ზოგადი შინაარსის გასაგებად გაცნობითი მოსმენა:

- ყურადღების გამახვილება მხოლოდ ნაცნობ სიტყვებსა და გამოთქმებზე, არავერბალურ ელემენტებზე (მაგ., მიმიკა-ჟესტიკულაცია, ხმის ტემბრი, ილუსტრაცია);

ბიჯი 5. სხვადასხვა ტიპის აქტივობის გამოყენებით ტექსტის მრავალჯერადი მოსმენა მთლიანი შინაარსის ეტაპობრივი კონსტრუირებისათვის:

მოსმენის სტრატეგიები:

- ჩანიშვნების გაკეთება;
- ინფორმაციის დაჯგუფება, ორგანიზება სხვადასხვა გრაფიკის, სქემის გამოყენებით;
- გაუგებარი მონაკვეთის თავიდან მოსმენა;
- უცნობი სიტყვების მნიშვნელობის გამოცნობა კონტექსტზე დაყრდნობით;
- სელექციური მოსმენა - ყურადღების მიზანმიმართულად გამახვილება კონკრეტულ ინფორმაციაზე.

ფაზა: მოსმენის შემდეგ

საკვანძო შეკითხვები: როგორ გავიგე ტექსტი? რით უკავშირდება ჩემს გამოცდილებას?

რამ შემაფერხა გაგების პროცესში? რატომ გამიჭირდა ტექსტის გაგება? როგორ უნდა გადამეჭრა ეს პრობლემა? რამ შემიწყო ხელი მოსასმენი ამოცანის წარმატებით გადაჭრაში?

ბიჯი 6. გაგებულის გადამოწმება, შეკითხვების, რეფორმულირებების და კომენტარების დახმარებით; დაზუსტება ინფორმაციის, მართებულ ვარიანტამდე მისვლა;

ბიჯი 7. მოსმენილის დაკავშირება საკუთარ გამოცდილებასთან; განცდილის, ნააზრევის გაზიარება (ენის ფლობის დაბალ საფეხურზე - მშობლიურ ენაზე);

ბიჯი 8. მეტაკოგნიტური პაუზა: დაფიქრება ტექსტის გაგებისათვის გამოყენებულ მიდგომებთან (მეტაკოგნიცია);

- დაფიქრება გამოყენებული სტრატეგიებზე, ეფექტიანობის შეფასება, შედარება სხვების მიერ გამოყენებულ სტრატეგიებთან;
- გაგების პროცესის გაუმჯობესებისათვის შესაძლო გზების შეთავაზება/მითითება.

როგორ მოვიქცე ენობრივ-გრამატიკული მასალის ასათვისებლად? როდის რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ?

გარდამავალი ფაზა პროდუცირებისაკენ

ბიჯი 9. ტექსტზე დაფუძნებით ენობრივი (ფონეტიკური, ლექსიკური, გრამატიკული) უნარების განვითარება, ახალი ენობრივი მასალის (ლექსიკა, გრამატიკული ფორმები, შესიტყვებები, სამეტყველო ფუნქციები) ათვისება სხვადასხვა ენობრივი აქტივობით;

სწავლის სტრატეგიები:

- **ინდუქციური მიდგომა** - კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანა;
- **დედუქციური მიდგომა** - ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობა, განზოგადება და გამოყენება კონკრეტულ მაგალითებში;
- **პარალელულების გავლება მშობლიურ ან სხვა ენასთან** - ნიშანდობლივი ენათშორისი შედარებების გაკეთება შესასწავლი ენის სისტემისა და ფუნქციონირების გაგების ხელშესაწყობად;
- **დამახსოვრების ხერხების გამოყენება** - მაგ., რამდენჯერმე გადაწერა ან ხმამაღლა გამეორება, დაჯგუფება, კონტექსტში ჩასმა/გამოყენება, ასოცირება, ჩანიშვნების გაკეთება და სხვ.

ლაპარაკი

საკვანძო შეკითხვები: როგორ მოვიქცე, რომ წარმატებით გავართვა თავი ზეპირ საკომუნიკაციო ამოცანას?

როდის რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ? რატომ არის მნიშვნელოვანი მეტაკოგნიტური სტრატეგიები?

ბიჯები და სწავლის სტრატეგიები

ფაზა: მომზადება კომუნიკაციისთვის

საკვანძო შეკითხვა: როგორ მოვემზადო ზეპირი კომუნიკაციისთვის?

ბიჯი 1. დავალების მოთხოვნათა ნათლად გააზრება, საჭიროებისამებრ, დამატებითი დაზუსტებების მოთხოვნა;

ბიჯი 2. საკომუნიკაციო სიტუაციის ელემენტების დაზუსტება (თემა, მიზანი, ადრესატი/აუდიტორია, კონტექსტი, ტექსტის ტიპი);

ბიჯი 3. მომზადება აუდიტორიის წინაშე გამოსასვლელად;

სწავლის სტრატეგიები

- **ცოდნის მობილიზება** - საჭირო ენობრივი რესურსების (შესიტყვებების, კლიშეების, საკვანძო სიტყვების, სამეტყველო აქტების, გრამატიკული ფორმების) გახსენება და/ან მოძიება და ჩანიშვნა. საჭიროებისამებრ, დამატებითი ინფორმაციის მოძიება-ჩანიშვნა
- **გეგმის მომზადება** (პრეზენტაციის შემთხვევაში - საპრეზენტაციო მასალის);
- **რეპეტიციის გავლა** - წარმოთქმის, ინტონაციის, თავისუფლად მეტყველების უნარის გასავარჯიშებლად, დელვის შესამცირებლად; ვარჯიშისას ხმის, არავერბალური ელემენტების - სახის გამომეტყველების, შესტიკულაციის გაკონტროლება.

ზეპირი კომუნიკაციისას

საკვანძო შეკითხვა: როგორი სტრატეგიები გამოვიყენო ზეპირი კომუნიკაციის ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად?

ბიჯი 4. გამოსვლა აუდიტორიის წინაშე;

- **სტრატეგია - პარაფრაზირება** - საუბრის დროს სიტყვის დავიწყების/არცოდნის შემთხვევაში საკომპენსაციო საშუალებების (მაგ., *ქესტიკულაციით მითითება, ნაგულისხმევი საგნის აღწერა ან მისი დანიშნულების აღნიშვნა*) გამოყენება.

ფაზა: ზეპირი კომუნიკაციის შემდეგ

საკვანძო კითხვები: რატომ ვერ გადავჭერი წარმატებით საკომუნიკაციო ამოცანა? როგორ სტრატეგიების გამოვიყენე? რამ შემაფერხა? როგორ გავაუმჯობესო ზეპირი მეტყველების უნარი? რამ შემიწყო წინსვლაში ხელი?

ბიჯი 5. საკუთარი გამოსვლის შეფასება - წარმატებული ასპექტებისა და ხარვეზების ამოცნობა;

ბიჯი 6. მეტაკოგნიტური პაუზა: დაფიქრება გამოყენებულ სტრატეგიებზე, გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის შედგენა.

კითხვა

საკვანძო შეკითხვები: როგორ მოვიქცე ტექსტის ტიპის ამოსაცნობად და ტექსტის შინაარსის გასაგებად? რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ? რატომ არის მნიშვნელოვანი მეტაკოგნიტური სტრატეგიები?

ბიჯები და სტრატეგიები

ფაზა: კითხვამდე

საკვანძო შეკითხვა: როგორ მოვემზადო ტექსტის წასაკითხად?

ბიჯი 1. დავალების მოთხოვნათა ნათლად გააზრება და დაზუსტება პირობის გაანალიზების გზით, საჭიროებისამებრ, დამატებითი დაზუსტებების მოთხოვნა;

ბიჯი 2. მომზადება ტექსტის გაგების პროცესის ხელშესაწყობად.

კითხვის წინარე სტრატეგიები:

- სხვადასხვა ხერხით შინაარსის წინასწარ განჭვრეტა (მაგ., ვარაუდის გამოთქმა ილუსტრაციებზე, სათაურზე, ტექსტის სტრუქტურაზე დაყრდნობით)
- ტექსტის გასააზრებლად საჭირო წინარე ცოდნის (ენობრივი, ტექსტობრივი, თემასთან დაკავშირებული) გახსენება-გააქტიურება;
- თუ ტექსტი მოსწავლეთა ენის ცოდნის დონესთან შედარებით რთულია, ტექსტის გაგებისათვის საჭირო საკვანძო სიტყვების/შესიტყვებების ენობრივ ფორმების დამუშავება.

ფაზა: კითხვის დროს, შინაარსის კონსტრუირების პროცესი;

საკვანძო შეკითხვა: როგორ მოვიქცე, რომ უკეთ გავიგო ტექსტი? როგორ გავიაღვილო ტექსტის გაგება?

ბიჯი 5. პირველი წაკითხვა ტექსტის ზოგადი შინაარსის გასაგებად გაცნობითი კითხვის სტრატეგიის გამოყენებით;

- **სწავლის სტრატეგიები:**
- ყურადღების მიმართვა ტექსტის სტრუქტურაზე, მის მორგანიზებულ სიტყვიერ და არასიტყვიერ ელემენტებზე; სათაურის/ქვესათაურების, წარწერების, გამოყოფილი სიტყვების, აბზაცების

პირველი და/ან ბოლო წინადადების წაკითხვით და მათზე დაყრდნობით შინაარსზე წარმოდგენის შექმნა.

ბიჯი 6. სხვადასხვა აქტივობის გამოყენებით ტექსტის მრავალგვარად დამუშავება მისი შინაარსის ეტაპობრივი კონსტრუირებისათვის;

შესწავლითი კითხვის სტრატეგიები:

- ტექსტის მთლიანად ჩაკითხვა უცნობ სიტყვებზე შეჩერების გარეშე;
- გაუგებარ მონაკვეთებთან მიბრუნება;
- მონაკვეთების, ეპიზოდების წარმოდგენაში გაცოცხლება;
- **გამოცნობა** - უცნობი სიტყვების, გამოთქმების მნიშვნელობის ამოცნობა ნაცნობი ელემენტების (ილუსტრაციების, ნაცნობი ფუძის, კონტექსტის და სხვ.) დახმარებით.
- უცნობი სიტყვების ამოწერა და ლექსიკონში ნახვა;
- შეკითხვების დასმა;
- ტექსტის მომდევნო მონაკვეთის შინაარსის განჭვრეტა;
- ინფორმაციის დაჯგუფება სხვადასხვა ხერხის (სემანტიკური რუკის, სქემატური ჩანაწერების, მორგანიზებული გრაფიკის) გამოყენებით;
- ტექსტის მონაკვეთის, აზნაცის შეჯამება;

ფაზა: კითხვის შემდეგ

საკვანძო შეკითხვები: როგორ გავიგე ტექსტი? რით უკავშირდება ჩემს გამოცდილებას?

რამ შემაფერხა გაგების პროცესში? რატომ ვერ გადავჭერი საკითხავი ამოცანა? როგორ უნდა გადამეჭრა ეს პრობლემა? რამ შემიწყო ხელი წარმატებით საკითხავი ამოცანის წარმატებით გადაჭრაში?

ბიჯი 7. გაგებულის გადამოწმება, შეკითხვების, რეფორმულირებების და კომენტარების დახმარებით; ინფორმაციის დაზუსტება, მართებულ ვარიანტამდე მისვლა;

ბიჯი 8. წაკითხულის დაკავშირება საკუთარ ცხოვრებისეულ თუ წიგნიერ გამოცდილებასთან; განცდილის, ნააზრევის გაზიარება (ენის ფლობის დაბალ საფეხურზე - მშობლიურ ენაზე);

ბიჯი 9. მეტაკოგნიტური პაუზა: დაფიქრება ტექსტის გაგებისათვის გამოყენებულ სტრატეგიებზე, მეტაკოგნიტური პაუზა:

- დაფიქრება გამოყენებულ სტრატეგიებზე, ეფექტიანობის შეფასება, შედარება სხვების მიერ გამოყენებულ სტრატეგიებთან;
- სწავლის პროცესზე დაფიქრება-რეფლექსია, შემაფერხებელი და ხელშემწყობი პირობების გაცნობიერება;
- გაგების პროცესის გაუმჯობესებისათვის შესაძლო გზების შეთავაზება/მითითება

➤ როგორ მოვიქცე ენობრივ-გრამატიკული მასალის ასათვისებლად? როდის რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ?

ფაზა: გადასვლა რეცეფციიდან პროდუცირებისაკენ

ბიჯი 10. გარდამავალი ბიჯი წერისაკენ - ტექსტის ახალი ენობრივი მასალის (ლექსიკა, გრამატიკული ფორმები, შესიტყვებები, სამეტყველო ფუნქციები და სხვ.) გაგება-გამოყენება სხვადასხვა ტიპის ენობრივი სავარჯიშოებით;

სწავლის სტრატეგიები:

- დამახსოვრების სხვადასხვა ხერხის გამოყენება - (რამდენჯერმე გადაწერა, პერიოდული გამეორება, დაჯგუფება, კონტექსტში ჩასმა, რაიმესთან ასოცირება და სხვ.);
- პარალელების გავლება მშობლიურ ან სხვა ენასთან - ნიშანდობლივი ენათშორისი შედარებების გაკეთება შესასწავლი ენის სისტემისა და ფუნქციონირების გაგების ხელშესაწყობად;
- დედუქცია - ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობა, განზოგადება და გამოყენება კონკრეტულ მაგალითებში;
- ინდუქცია - კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანა;
- დამხმარე რესურსების შექმნა-გამოყენება (მაგ., გრამატიკული ცნობარის; სტრუქტურული მოდელები).

წერა

➤ როგორ მოვიქცე იმისთვის, რომ შევძლო წერილობითი ტექსტის შექმნა? როდის რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ? რატომ არის მნიშვნელოვანი მეტაკოგნიტური სტრატეგიები?

ბიჯები და სტრატეგიები

ფაზა: წერის წინა სამზადისი

საკვანძო: როგორ მოვემზადო წერითი ამოცანის გადასაჭრელად?

ბიჯი 1. წერის ჩანაფიქრის გამოკვეთა;

წერის წინარე სტრატეგიები:

- საკომუნიკაციო სიტუაციის განსაზღვრა - წერის მიზნისა და ადრესატის განსაზღვრა, თემისა და ტექსტის სახეობის შერჩევა.
- იდეების გენერირება - იდეების მოფიქრება-ჩამოყრა.
- ცოდნის მობილიზება/თავმოყრა - საჭირო ცოდნის (ენობრივი, ტექსტობრივი, თემასთან დაკავშირებული და სხვ.) გონებაში მოძიება-გააქტიურება; საჭიროებისამებრ, დამატებითი ინფორმაციის მოძიება სათანადო რესურსებში.
- იდეების დაჯგუფება - იდეების დახარისხება, ურთიერთდაკავშირება მარგანიზებული სქემების გამოყენებით.
- დამხმარე რესურსების მობილიზება - სტრუქტურული მოდელი, საკვანძო სიტყვები, გრამატიკული ცნობარი, დახარისხებული ლექსიკური ერთეულები, ჩანიშვნები).

ბიჯი 2. გეგმის შედგენა დაჯგუფებულ იდეებზე დაყრდნობით;

ფაზა: წერის დროს

საკვანძო შეკითხვა: როგორ მოვიქცე წერითი ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად?

ბიჯი 3. პირველადი ვარიანტის შედგენა გეგმაზე დაყრდნობით;

ფაზა: წერის შემდეგ

რატომ ვერ გადავჭერი წარმატებით წერითი ამოცანა? როგორ სტრატეგიები გამოვიყენე? რამ შემაფერხა? რამ შემიწყო ხელი ამოცანის წარმატებით გადაჭრაში? როგორ გავიმჯობესო წერითი მეტყველების უნარი?

ბიჯი 4. პირველადი ვარიანტის გაუმჯობესება;

სწავლის სტრატეგიები:

- ნაწერის პოტენციური მკითხველის თვალთახედვით შეფასება;
- შინაარსობრივი, სტრუქტურული შესწორებების შეტანა;
- გრამატიკული და ორთოგრაფიული შეცდომების გასწორება დამხმარე რესურსების და ისტ-ის გამოყენებით;

ბიჯი 5. საბოლოო ვარიანტის შემუშავება და გაფორმება.

თემის შემაჯამებელი (კომპლექსური) დავალებები შესაბამისი შეფასების რუბრიკებით

დ) შეფასება

რამდენადაც მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების მშობლიური ენა და ლიტერატურა არჩევით საგანს წარმოადგენს, სკოლა თავად იღებს გადაწყვეტილებას შეფასების ფორმებზე.

ე) ტერმინოლოგიური ლექსიკონი

მშობლიური ენების სტანდარტის სპეციფიკური ტერმინები

- **მაკრო-ფუნქციები** არის კატეგორიები, რომლებიც განსაზღვრავენ წერილობითი ან ზეპირი დისკურსის (გამონათქვამთა ბმული თანამიმდევრობის) ფუნქციურ გამოყენებას.
- **მიკრო-ფუნქციები** არის კატეგორიები, რომლებიც განსაზღვრავენ ცალკეული გამონათქვამების ფუნქციურ გამოყენებას.
- **ტექსტის სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტები:**
 - ✓ არავერბალური ელემენტები: ილუსტრაცია, ჟესტ-მიმიკა, ლოგო, სქემა, შრიფტის სახესხვაობა, ზომა და სხვ.

✓ ვერბალური ელემენტები: სათაური, თავი, რუბრიკა, აბზაცი;

- **სტრატეგიები:**
 - ✓ **მოსმენის/კითხვის წინარე სტრატეგიები** -
 - პირობის გააზრება;
 - ვარაუდების გამოთქმა;
 - ცოდნის მობილიზება - გულისხმობს ორი ტიპის ქმედებას: 1) იმ წინარე ენობრივი თუ თემასთან დაკავშირებული წინარე ცოდნის გონებაში მოძიება-გააქტიურებას, რომელიც უკავშირდება დასამუშავებელ ახალ საკითხებს; 2) საჭიროებისამებრ, ტექსტის გაგებისათვის აუცილებელი საკვანძო ლექსიკური ერთეულების ან გრამატიკული საკითხის დამუშავებას, დამატებითი ინფორმაციის მოძიებას სათანადო რესურსებში.
 - ✓ **სტრატეგიები მოსმენის/კითხვის დროს და შემდეგ** -
 - **გაცნობითი კითხვა** - გულისხმობს ტექსტის ზოგადი შინაარსის გასაგებად ყურადღების მიმართვას ტექსტის ორგანიზებაზე, მის სტრუქტურულ ერთეულებზე; ტექსტის შინაარსზე აზრის შესაქმნელად სათაურის/ქვესათაურების, ილუსტრაციების, წარწერების, გამოყოფილი

სიტყვების, აზრების პირველი და/ან ბოლო წინადადების წაკითხვა (გაცნობითი მოსმენის შემთხვევაში მსმენელი ყურადღებას გამახვილებს ნაცნობ სიტყვებსა და შესიტყვებებზე, არავერბალურ ელემენტებზე (ინტონაცია, მიმიკა-ჟესტიკულაცია, ხმის ტემბრი და სხვ.).

○ **სელექციური კითხვა/მოსმენა** - გულისხმობს ყურადღების მიზანმიმართულად წარმართვას არა მთლიან შინაარსზე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტულ ინფორმაციაზე.

○ **შესწავლითი კითხვა**: გულისხმობს ტექსტის დეტალურ დამუშავებას სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით. ამგვარ სტრატეგიებს წარმოადგენს:

▪ **მთლიანად გადაკითხვა** - ტექსტის მთლიანად ჩაკითხვა უცნობ სიტყვებზე შეჩერების გარეშე თემატიკის/მთავარი საკითხების შესახებ აზრის შესაქმნელად;

▪ **გონებაში დამუშავება** - ტექსტის ცალკეული მონაკვეთის/აზრის შინაარსის წარმოდგენაში გაცოცხლება, წინარე ცოდნასთან დაკავშირება და დამუშავება;

▪ **გამოცნობა გულისხმობს** უცნობი სიტყვების, გამოთქმების მნიშვნელობის ამოცნობას ნაცნობი ელემენტების (*კონტექსტის, ილუსტრაციების, ნაცნობი ფუძის, მიმიკის და სხვ.*) დახმარებით;

▪ **უცნობი სიტყვების ამოწერა** - ლექსიკონის დახმარებით უცხო სიტყვების მნიშვნელობის ამოცნობა;

▪ **მიბრუნება** - გაუგებარ, რთულ, ბუნდოვან მონაკვეთებთან მიბრუნება;

▪ **შეკითხვების დასმა** - ტექსტის მონაკვეთების ერთმანეთთან დასაკავშირებლად;

▪ **ინფორმაციის დაჯგუფება** - ინფორმაციის ორგანიზების სხვადასხვა ხერხის (*სემანტიკური რუკის, სქემატური ჩანაწერების, ტაბულის, გრაფიკის*) გამოყენება;

▪ **ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთის/აზრის შეჯამება.**

➤ **ლაპარაკის სტრატეგიები:**

○ ცოდნის მობილიზება;

○ რეპეტიცია;

○ პარაფრაზირება - სიტყვის დავიწყების/არცოდნის შემთხვევაში საკომპენსაციო საშუალებების (*მაგ., ჟესტიკულაციით მითითება, ნაგულისხმევი საგნის აღწერა ან მისი დანიშნულების აღნიშვნა*) გამოყენება.

➤ **წერის წინარე სტრატეგიები:**

○ კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებლების (მიზნისა და ადრესატის, ადგილის) განსაზღვრა;

○ იდეების გენერირება (დაბადება) - გულისხმობს იდეების მოფიქრება-ჩანაშენას.

○ იდეების დაჯგუფება - გულისხმობს იდეების ურთიერთდაკავშირებას, მათ შორის არსებული მიმართებების გამოკვეთას მარგანიზებული სქემების გამოყენებით.

○ ცოდნის მობილიზება;

○ გეგმის შედგენა;

➤ **სტრატეგიები წერის დროს და წერის შემდგომ -**

○ პირველადი ვარიანტის შედგენა;

○ პირველადი ვარიანტის გაუმჯობესება - ნაწერის პოტენციური მკითხველის თვალთახედვით შეფასება; შინაარსობრივი, სტრუქტურული, ენობრივი შესწორებების შეტანა; გრამატიკული და ორთოგრაფიული შეცდომების გასწორება დამხმარე რესურსების და ისტ-ის გამოყენებით; ნაწერის გაფორმება და გამოქვეყნება;

➤ **სტრატეგიები ლექსიკისა და გრამატიკის შესასწავლად:**

○ ენათშორისი პარალელების გავლება;

○ დამახსოვრების სხვადასხვა ხერხის გამოყენება;

- დედუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობას, განზოგადებას და გამოყენებას კონკრეტულ მაგალითებში.
- ინდუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანას.

➤ **სწავლის პროცესის მართვა (მეტაკოგნიტური სტრატეგიები):**

- აქტივობის/დავალების ღირებულების განჭვრეტა ანუ მოსწავლის მიერ იმ პიროვნული თუ სოციალური სარგებლის დანახვა, რომელსაც მოუტანს მას ამა თუ იმ აქტივობის შესრულება. სასკოლო აქტივობების ღირებულების დანახვა მოტივაციის გაზრდის მნიშვნელოვანია ფაქტორია.
- სწავლის პროცესზე დაფიქრება (მეტაკოგნიტური პაუზა - სასწავლო აქტივობაში გამოყენებული სტრატეგიების გაანალიზება და შეფასება მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით და სათანადო დასკვნების გამოტანა;
- ენის სწავლის შემაფერხებელი და ხელშემწყობი ფაქტორების გაცნობიერება და მათი გათვალისწინებით წინსვლის ხელშეწყობა.

(ამოქმედდეს 2019 წლის 15 სექტემბრიდან)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 11.05.2018წ.

თავი XIV. უცხოური ენები - ზოგადი ნაწილი და სტანდარტები

მუხლი 67. უცხოური ენები - ზოგადი ნაწილი

შესავალი

საქართველო, როგორც ევროსაბჭოში შემავალი ქვეყანა, ენობრივად და კულტურულად მრავალფეროვანი სივრცის წევრია. უცხოური ენების ცოდნის გარეშე შეუძლებელია ამ სივრცეში ინტეგრირება და საკუთარი პიროვნული შესაძლებლობების სრულფასოვანი რეალიზება, ამიტომ ზოგადი განათლების ეროვნული სასწავლო გეგმა ორი ან სამი უცხოური ენის სწავლებას ითვალისწინებს.

უცხოური ენების სწავლების მიზნები და ამოცანები

უცხოური ენის სწავლების პრიორიტეტული მიზნებია:

- ენობრივი ცნობიერების გამდიდრება და ამ გზით ენობრივი განათლების დონის ამაღლება;
- სამეტყველო უნარ-ჩვევების (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი) განვითარება მინიმუმ ორ უცხოურ ენაზე;
- სხვა კულტურის წარმომადგენლებთან წარმატებული საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- დადებითი განწყობილების ჩამოყალიბება ენობრივ-კულტურული მრავალფეროვნების მიმართ;
- განსხვავებული კულტურული კონტექსტებისა და ტექსტების გაგების უნარ-ჩვევების განვითარება;

- სხვადასხვა ენობრივ-კულტურული იდენტობის წარმომადგენლებთან თანამოღვაწეობის უნარის გამომუშავება;
- ენების ეფექტიანად სწავლის უნარ-ჩვევების განვითარება.

ამ საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, უცხოური ენების სწავლება სკოლაში ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას, რომლებიც სამ კატეგორიად იყოფა:

1. სხვადასხვა ტიპის ცოდნის შექმნა:

- გრამატიკული, ლექსიკური ცოდნა;
- მართლწერისა და მართლმეტყველების საბაზისო ნორმების ცოდნა;
- უცხოენოვანი ქვეყნების სოციოკულტურისა და კულტურის გაცნობა;
- ტექსტის ტიპებისა და მათი მახასიათებლების ცოდნა.

2. სხვადასხვა სახის უნარ-ჩვევების განვითარება:

- სამეტყველო უნარ-ჩვევები;
- ენობრივი უნარ-ჩვევები;
- სტრატეგიული უნარ-ჩვევები;
- სამოქალაქო უნარ-ჩვევები.

3. დამოკიდებულებების ჩამოყალიბება:

- ინდივიდუალური მრავალფეროვნების დაფასება და პატივისცემა;
- ენობრივ-კულტურული კუთვნილების განცდა;
- კულტურული გარემოს თვითმყოფადობის, მისი განუმეორებლობის დაფასება და პატივისცემა;
- პოზიტიური დამოკიდებულება როგორც კულტურული, ისე ინდივიდუალური მრავალფეროვნების მიმართ და მისი, როგორც სამყაროს მრავალფეროვნების კერძო გამოვლინების აღქმა;
- ინტერესი უცხო სამყაროს მიმართ.

უცხოური ენების სწავლების ორგანიზება

უცხოური ენების განაწილება საფეხურების მიხედვით. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სავალდებულოა ორი უცხოური ენის სწავლება. ამდენად, პირველი და მეორე უცხოური ენა სავალდებულო საგანთა რიცხვს მიეკუთვნება.

მესამე უცხოური ენა შესაძლებელია საშუალო საფეხურზე არჩევითი საგნის სახით ისწავლებოდეს (იხ. ეროვნული სასწავლო გეგმა, ადმინისტრაციული ნაწილი, არჩევითი საგნების ჩამონათვალი).

პირველი უცხოური ენა. პირველი უცხოური ენა არის ინგლისური ენა და ისწავლება I კლასის მეორე სემესტრიდან XII კლასის ჩათვლით.

მეორე უცხოური ენა. მეორე უცხოური ენა ისწავლება V კლასიდან XII კლასის ჩათვლით. მეორე უცხოური ენა შეიძლება იყოს ნებისმიერი ენა, რომელსაც სკოლა თავისი რესურსების, მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შესთავაზებს მოსწავლეებს.

თუ სკოლას აქვს სათანადო ადამიანური და ფინანსური რესურსი, მას შეუძლია კლასების სხვადასხვა განაყოფს სხვადასხვა ენა შესთავაზოს მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით.

მესამე უცხოური ენა. საშუალო საფეხურიდან სკოლას შეუძლია მოსწავლეს არჩევით საგნად შესთავაზოს მესამე უცხოური ენა. მესამე უცხოური ენა შეიძლება იყოს ნებისმიერი ენა, რომელსაც სკოლა თავისი რესურსების, მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შესთავაზებს მოსწავლეებს.



სტანდარტის დონეები და ევროსაბჭოს მიერ განსაზღვრული ენის ფლობის დონეები

ევროსაბჭოს საგანმანათლებლო ენობრივი პოლიტიკის დეპარტამენტმა უცხოური ენების სწავლა-სწავლებისა და შეფასებისათვის შეადგინა და გამოსცა ენების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო. ამ ჩარჩოს მიზანია, შექმნას წევრ-ქვეყნებისათვის საერთო ბაზა ენის ცოდნის კვალიფიკაციის განსასაზღვრად და ხელი შეუწყოს მასწავლებლების, პროგრამების შემდგენლების, სერტიფიკატის გამცემი ორგანიზაციებისა და უცხოური ენების სწავლების ადმინისტრატორების შეთანხმებულ მოქმედებას.

ენების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო განსაზღვრავს ენის ფლობის 3 ძირითად დონეს:

- A - ენის ელემენტარული ფლობა (ენის ელემენტარულ დონეზე გამოყენება)
- B - ენის დამოუკიდებლად ფლობა (ენის დამოუკიდებლად გამოყენება)
- C - ენის თავისუფალი ფლობა (ენის პროფესიული მიზნით გამოყენება)

ეს სამი დონე 6 განშტოებად იყოფა: A1, A2; B1, B2; C1, C2. სასკოლო კონტექსტთან ადაპტირების მიზნით ეროვნული სასწავლო გეგმა თითოეულ დონეს შემდეგ ქვესიმრავლეებად შლის:



ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია პირველი, მეორე და მესამე უცხოური ენების სტანდარტებისა და ევროსაბჭოს ენის ფლობის დონეების საორიენტაციო შესაბამისობა.

	პირველი უცხოური ენა		მეორე უცხოური ენა		მესამე უცხოური ენა	
	მოსმენა და კითხვა	წერა და ლაპარაკი	მოსმენა და კითხვა	წერა და ლაპარაკი	მოსმენა და კითხვა	წერა და ლაპარაკი
I-IV კლასების სტანდარტი	A1.1	A1.1				
V-VI კლასების სტანდარტი	A2.2.	A2.1	A1.2.	A1.2		
VII – IX კლასების სტანდარტი	B1.1	A2.3	A2.2	A2.1.		
X-XII კლასების სტანდარტი	B1.4	B1.1	A2.3 /B1.1.	A2.3	A2.3	A1.2.

როგორც ცხრილიდან ჩანს, თითოეული ენისათვის ერთმანეთისაგან გამიჯნულია რეცეფციული (კითხვა და მოსმენა) და პროდუციული (ლაპარაკი და წერა) უნარები, რამდენადაც პროდუციული უნარების განვითარება მეტ დროს საჭიროებს და, შესაბამისად, მოთხოვნები და მოსწავლეთა მიღწევები ამ უნარში თანაბარი ვერ იქნება.

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულებს მოეთხოვებათ პირველ უცხოურ ენაში (ინგლისური ენა) B1.4, მეორე უცხოურ ენაში კი - A2.3/B1.1 დონეების ფლობა.

შეფასება უცხოურ ენებში

შეფასება პირველ უცხოურ ენაში

შეფასების კომპონენტები უცხოურ ენებში

მიმდინარე (საშინაო და საკლასო) დავალებათა კომპონენტები

შეიძლება შეფასდეს შემდეგი ცოდნა და უნარ-ჩვევები:

ენობრივი ცოდნა და უნარები

- ლექსიკური ცოდნა;
- გრამატიკული ცოდნა;
- ლექსიკური და გრამატიკული უნარ-ჩვევები;
- წარმოთქმა;
- მართლწერა.

კომუნიკაციური უნარები

- კითხვა-გაგება;
- ხმამაღალი კითხვა;
- მოსმენა-გაგება;
- ზეპირი კომუნიკაცია;
- წერითი კომუნიკაცია.

კულტურა

- შესწავლილი საკითხების ცოდნა;
- კულტურული თავისებურებების ამოცნობა-გაანალიზება.

სასიცოცხლო უნარ-ჩვევები

- შემოქმედებითობა;
- თანამშრომლობა (მეწყვილესთან, ჯგუფის წევრებთან);
- სასწავლო სტრატეგიების გააზრებულად გამოყენება (კითხვის, წერის, მოსმენისა და ზეპირმეტყველების);
- სტრატეგიების გააზრებულად გამოყენება სასწავლო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით;
- სასწავლო აქტივობებში მონაწილეობის ხარისხი.

უნარ-ჩვევები ფასდება შემდეგი დავალებებით:

- სხვადასხვა ტიპის გრამატიკული და ლექსიკური სავარჯიშოები (სწორი ფორმის ამოცნობა, ფორმის/კონსტრუქციის ტრანსფორმირება ნიმუშის მიხედვით, კონტექსტის მიხედვით სწორი ფორმის წარმოება, შეცდომების ამოცნობა-გასწორება, სინონიმებისა და ანტონიმების დაკავშირება/მოფიქრება, ნაკლებ ტექსტში სიტყვების ჩასმა და სხვა);
- სხვადასხვა ტიპის საკითხავი და მოსასმენი ამოცანის გადაჭრა (შემოხაზე სწორი ვარიანტი; მონიშნე, სწორია თუ არა; იპოვე სწორი თანამიმდევრობა, ამოიცანი უცნობი სიტყვები კონტექსტის მიხედვით, შეაფასე შენი მეწყვილის/საკუთარი ნაწერი, შეაფასე გამომსვლელები და სხვა);
- სხვადასხვა ტიპის ზეპირი აქტივობის შესრულება დამოუკიდებლად, მეწყვილესთან ერთად თუ ჯგუფურად (გაინაწილეთ როლები და გაითამაშეთ მეწყვილესთან ერთად, ჩამოართვი ინტერვიუ თანაკლასელს, წარმოადგინე კლასის წინაშე შენი ჯგუფის ნამუშევარი, გადმოეცი შენი მოსაზრება და დაასაბუთე, იმსჯელე, დაახასიათე, მოყევი და სხვა);
- სხვადასხვა ტიპის ტექსტის შექმნა დამოუკიდებლად, მეწყვილესთან ერთად თუ ჯგუფურად (მისწერეთ წერილი მეგობარს ზაფხულის არდადეგების შესახებ, მოამზადეთ ჯგუფურად სტატია ცნობილი მსახიობის შესახებ, შეადგინეთ ბიოგრაფიული ცნობარი,

დაასრულეთ ამბავი, დაიყავით ჯგუფებად და შეადგინეთ კინორეკლამა/ტურისტული გზამკვლევი; დაწერეთ, თქვენი მოსაზრება ამ საკითხის შესახებ, დაასაბუთეთ და სხვა);

➤ პროექტის განხორციელება.

შენიშვნა: დაწყებით კლასებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა შემდეგ უნარ-ჩვევებს:

- ხმამაღალი კითხვა;
- ჩუმი კითხვა (მარტივი საკითხავი ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრა);
- გამოწერა;
- გადაწერა;
- კარნახით წერა.

შემაჯამებელი დავალებების კომპონენტი

შემაჯამებელი დავალების კომპონენტი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. ამ კომპონენტში უნდა შეფასდეს ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა შეძლოს უცხოური ენების სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების წარმოჩენა. შესაბამისად, შემაჯამებელი დავალებები უნდა ამოწმებდეს უცხოური ენების სტანდარტებით განსაზღვრულ შედეგებს.

შემაჯამებელ დავალებათა ტიპები

სტანდარტის მოთხოვნათა დასაფარად, რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება. უცხოური ენების შემაჯამებელ დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს:

- ტექსტის გაგება-გააზრება;
- სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა სახის ტექსტების შედგენა;
- როლურ თამაშებში, სიმულაციურ სიტუაციებში მონაწილეობა;
- ინტერაქცია კონკრეტული საკითხის/თემის ირგვლივ;
- საუბარი კონკრეტული თემის/საკითხის შესახებ;
- ზეპირი მოხსენება;
- განხორციელებული პროექტი;
- და სხვა.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი დავალებები

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა (თუ რეცეფციული (კითხვა, მოსმენა) დავალებაა, მაშინ შეფასების სქემა უნდა ახლდეს თითოეულ ტესტურ კითხვას);
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე;
- მითითებული უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.

შეფასება მეორე უცხოურ ენაში

შეფასების კომპონენტები უცხოურ ენებში

მიმდინარე (საშინაო და საკლასო) დავალებათა კომპონენტები

შეიძლება შეფასდეს შემდეგი ცოდნა და უნარ-ჩვევები:

ენობრივი ცოდნა და უნარები:

- ლექსიკური ცოდნა;
- გრამატიკული ცოდნა;
- ლექსიკური და გრამატიკული უნარ-ჩვევები;
- წარმოთქმა;
- მართლწერა.

კომუნიკაციური უნარები:

- კითხვა-გაგება;
- ხმამაღალი კითხვა;
- მოსმენა-გაგება;
- ზეპირი კომუნიკაცია;
- წერიტი კომუნიკაცია.

კულტურა:

- შესწავლილი საკითხების ცოდნა;
- კულტურული თავისებურებების ამოცნობა-გაანალიზება.

სასიცოცხლო უნარ-ჩვევები:

- შემოქმედებითობა;
- თანამშრომლობა (მეწყვილესთან, ჯგუფის წევრებთან);
- სასწავლო სტრატეგიების გააზრებულად გამოყენება (კითხვის, წერის, მოსმენისა და ზეპირმეტყველების);
- სტრატეგიების გააზრებულად გამოყენება სასწავლო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით;
- სასწავლო აქტივობებში მონაწილეობის ხარისხი.

უნარ-ჩვევები ფასდება შემდეგი დავალებებით:

- სხვადასხვა ტიპის გრამატიკული და ლექსიკური სავარჯიშოები (სწორი ფორმის ამოცნობა, ფორმის/კონსტრუქციის ტრანსფორმირება ნიმუშის მიხედვით, კონტექსტის მიხედვით სწორი ფორმის წარმოება, შეცდომების ამოცნობა-გასწორება, სინონიმებისა და ანტონიმების დაკავშირება/მოფიქრება, ნაკლებ ტექსტში სიტყვების ჩასმა და სხვა);
- სხვადასხვა ტიპის საკითხავი და მოსასმენი ამოცანის გადაჭრა (შემოხაზე სწორი ვარიანტი; მონიშნე, სწორია თუ არა; იპოვე სწორი თანამიმდევრობა, ამოიცანი უცნობი სიტყვები კონტექსტის მიხედვით, შეაფასე შენი მეწყვილის/საკუთარი ნაწერი, შეაფასე გამომსვლელები და სხვა);
- სხვადასხვა ტიპის ზეპირი აქტივობის შესრულება დამოუკიდებლად, მეწყვილესთან ერთად თუ ჯგუფურად (გაინაწილეთ როლები და გაითამაშეთ მეწყვილესთან ერთად, ჩამოართვი ინტერვიუ თანაკლასელს, წარმოადგინე კლასის წინაშე შენი ჯგუფის ნამუშევარი, გადმოეცი შენი მოსაზრება და დაასაბუთე, იმსჯელე, დაახასიათე, მოყევი და სხვა);
- სხვადასხვა ტიპის ტექსტის შექმნა დამოუკიდებლად, მეწყვილესთან ერთად თუ ჯგუფურად (მისწერეთ წერილი მეგობარს ზაფხულის არდადეგების შესახებ, ჯგუფურად მოამზადეთ სტატია ცნობილი მსახიობის შესახებ, შეადგინეთ ბიოგრაფიული ცნობარი, დაასრულეთ ამბავი, დაიყავით ჯგუფებად და შეადგინეთ კინორეკლამა/ტურისტული გზამკვლევი; დაწერეთ თქვენი მოსაზრება ამ საკითხის შესახებ, დაასაბუთეთ და სხვა);
- პროექტის განხორციელება.

შენიშვნა: დაწყებით კლასებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა შემდეგ უნარ-ჩვევებს:

- ხმამაღალი კითხვა;
- ჩუმი კითხვა (მარტივი საკითხავი ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრა);
- გამოწერა;
- გადაწერა;
- კარნახით წერა.

შემაჯამებელი დავალებების კომპონენტი

შემაჯამებელი დავალების კომპონენტი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. ამ კომპონენტში უნდა შეფასდეს ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა შეძლოს უცხოური ენების სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების წარმოჩენა. შესაბამისად, შემაჯამებელი დავალებები უნდა ამოწმებდეს უცხოური ენების სტანდარტებით განსაზღვრულ შედეგებს.

შემაჯამებელ დავალებათა ტიპები

სტანდარტის მოთხოვნათა დასაფარად, რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება. უცხოური ენების შემაჯამებელ დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს:

- ტექსტის გაგება - გააზრება;
- სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა სახის ტექსტების შედგენა;
- როლურ თამაშებში, სიმულაციურ სიტუაციებში მონაწილეობა;
- ინტერაქცია კონკრეტული საკითხის/თემის ირგვლივ;
- საუბარი კონკრეტული თემის/საკითხის შესახებ;
- ზეპირი მოხსენება;
- განხორციელებული პროექტი;
- და სხვა.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი დავალებები:

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა (თუ რეცეფციული (კითხვა, მოსმენა) დავალებაა, მაშინ შეფასების სქემა უნდა ახლდეს თითოეულ ტესტურ კითხვას);
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე;
- მითითებული უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.

მუხლი 68. პირველი უცხოური ენის (ინგლისური ენის) სტანდარტი

1. ინგლისური ენა დაწყებით საფეხურზე

შესავალი

დაწყებით საფეხურზე უცხოური ენის სწავლა-სწავლების პრიორიტეტული მიზნებია:

- მოსწავლის ენობრივი ცნობიერების განვითარება;
- ენობრივ-კულტურული გამოცდილების გამდიდრება;

- ენის სწავლის უნარ-ჩვევების განვითარება.

დაწყებით საფეხურზე სწავლა-სწავლების მნიშვნელოვანი ამოცანაა თითოეული მოსწავლის მოტივაციის ამაღლება. მოზარდებმა უნდა შეიყვარონ უცხოური ენის სწავლის პროცესი, თვითონ უცხოური ენა და კულტურა. მეთოდოლოგია სწავლის პედაგოგიკას უნდა დაეფუძნოს, იგი ორიენტირებული უნდა იყოს თითოეული მოსწავლის განვითარების პროცესზე.

მიმართულებების აღწერა

დაწყებით საფეხურზე უცხოური ენის სწავლება ოთხი მიმართულებით გაიმდგება: **1. ზეპირი მეტყველება (მოსმენა და ლაპარაკი), 2. წერითი მეტყველება (კითხვა და წერა), 3. ინტერკულტურა 4. სწავლის სწავლა.**

მიმართულება - ზეპირი მეტყველება (მოსმენა და ლაპარაკი)

ეს მიმართულება აერთიანებს ორ სამეტყველო აქტივობას (მოსმენას/მოსმენა-ყურებასა და ლაპარაკს) და ამ სამეტყველო აქტივობათა თანმხლებ სტრატეგიებს, რომლებიც მოსწავლეს უადვილებს საკომუნიკაციო მიზნების მიღწევას.

მოსმენა/მოსმენა-ყურება - ამ ეტაპზე მოსმენას, როგორც უცხოური ენის ათვისების მთავარ არხს, პრიორიტეტული მნიშვნელობა მიენიჭება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სიტყვიერ ჯაჭვში ბგერების, სიტყვების, მარტივი წინადადებების მოსმენით გარჩევას; უცხოური ენისათვის დამახასიათებელ ჟღერადობებზე სმენის გამახვილება აუცილებელია გაგების უნარისა და სწორი გამოთქმის ჩამოსაყალიბებლად, რაც წარმატებული ინტერაქციის საფუძველს წარმოადგენს. ფონემატური სმენის განვითარება მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტში მოხდება. ტექსტებს უხვად უნდა ახლდეს თვალსაჩინო მასალა (სურათები, საგნები, ნახატები, ფოტოები და სხვ.) და კონკრეტულ კონტექსტებზე მიმანიშნებელი ბგერითი ინდიკატორები (რაიმე ხმაური, მკაფიოდ გამოხატული ინტონაციები და სხვ.), რომლებზე დაყრდნობითაც მოსწავლეს გაუადვილდება ტექსტის გაგება.

ლაპარაკი - პირველ ეტაპზე სწავლების სტრატეგია რეპროდუცირებისკენ უნდა იყოს მიმართული. რეპროდუცირების მიზანია სწორი წარმოთქმის ჩამოყალიბება და ლექსიკური მარაგის გამდიდრება/განმტკიცება. რეპროდუცირებისთვის გამოიყენება ლექსები, გათვლები (პატარებისათვის), სიმღერები, დიალოგები, სკეტჩები.

პროდუცირება ძალიან შეზღუდული სახით მიმდინარეობს - მოსწავლეები შესწავლილი ლექსიკური მასალის გამოყენებით დასვამენ/უპასუხებენ შეკითხვებს და ნიმუშების მიხედვით გაითამაშებენ მარტივ სცენებს.

მიმართულება - წერითი მეტყველება (კითხვა და წერა)

კითხვა - დაწყებით საფეხურზე კითხვის სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფონოლოგიური უნარების განვითარებას, რათა მოსწავლეს განუვითარდეს ფონემური ცნობიერება (ზეპირი მარცვლების, ბგერების აღქმისა და გამოყენების უნარი). ფონემური ცნობიერების განვითარება მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მოსწავლემ ანბანური პრინციპი გაიგოს (ასოს, ანუ გრაფიკული ერთეულის მიმართება ბგერასთან, ანუ ხმოვან ერთეულთან). I და II კლასი დაეთმობა მოსწავლის კითხვისათვის მომზადებას, კითხვის სისტემური კურსის შეთავაზება კი მესამე კლასიდან დაიწყება.

წერა - დაწყებით საფეხურზე სწავლება ძირითადად რეპროდუცირებას დაეფუძნება. კითხვის მსგავსად, წერის უნარ-ჩვევის განვითარებაც აუჩქარებელი ტემპით წარიმართება კითხვის უნარის განვითარების პარალელურად. დაწყებით საფეხურზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა წერის ტექნიკურ-მოტორული უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებას: მოსწავლე გამოწერს ასოებს, ნასწავლ სიტყვებს.

საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი, სახალისო და, რაც მთავარია, მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტების შეთავაზება.

მიმართულება - ინტერკულტურა

უცხოური ენის შესწავლა ნიშნავს უცხო სამყაროში შესვლას, ცხოვრების განსხვავებული წესების, ტრადიციების აღმოჩენას, განსხვავებული ღირებულებების გაგებას. მოსწავლეთა ყურადღება გამახვილდება უცხო კულტურის თავისებურებებზე. მოსწავლეებს საშუალება მიეცემათ, პარალელური გაავლონ საკუთარ კულტურულ გამოცდილებასა და გარემოსთან. ასეთი სახის აქტივობები მოსწავლეებს გაულრმავებს კულტურული კუთვნილების განცდას, საშუალებას მისცემს გააცნობიეროს კულტურული მრავალფეროვნება, ასწავლის საკუთარი და უცხოური კულტურის დაფასებას.

მოცემულ საფეხურზე მოსწავლეები ინდივიდუალურად ან ჯგუფურად განახორციელებენ პროექტებს ასაკისათვის შესაფერის თემატიკაზე. პროექტის განხორციელება მოსწავლეს საშუალებას მისცემს, მისთვის ნაცნობ კონტექსტში ინტეგრირებულად გამოიყენოს და საკუთარ გამოცდილებას დაუკავშიროს შეძენილი ენობრივი ცოდნა და უნარები. გარდა ამისა, მოსწავლე შეიძენს კომპლექსური, მრავალეტაპიანი სამუშაოს დაგეგმვისა და განხორციელების, ასევე ჯგუფური მუშაობის საწყის უნარ-ჩვევებს. პროექტების განხორციელებისას მთავარი ღირებულება პროდუქტის შექმნის პროცესს აქვს და არა მიღებულ პროდუქტს. ასეთი სახის სამუშაო მოსწავლეებს შესძენს და განუმტკიცებს ცოდნასა და უნარებს, ჩამოუყალიბებს დამოკიდებულებებს.

მიმართულება - სწავლის სწავლა

ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია მოსწავლეების მიერ სასწავლო საქმიანობის დამოუკიდებლად მართვის საწყისი უნარების შეძენა. შესაბამისად, საჭიროა მათი ყურადღების გამახვილება იმ ფაქტორებსა და პირობებზე, რომლებიც ზეგავლენას ახდენს სწავლის პროცესზე. ეს მათ დაეხმარება გააცნობიერონ, რომ მათ თავად შეუძლიათ იმ ხელშემწყობი პირობების შექმნა, რომლებიც მიღწევების გაუმჯობესებაში დაეხმარება.

ა) I-IV კლასების სტანდარტი

IV კლასის ბოლოს მისაღწევი შედეგები

ინდექსების განმარტება

დაწყებით საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **Iუცხ.დაწყ.(I)1**::

„**Iუცხ.**“ - მიუთითებს საგანს „პირველ უცხოურ ენას (ინგლისური ენა)“;

„**დაწყ.**“ - მიუთითებს დაწყებით საფეხურს;

„**(I)**“ – მიუთითებს, რომ სტანდარტი მოიცავს I-IV კლასებს;

„**1**“ - მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

პირველი უცხოური ენის (ინგლისური ენის) სტანდარტის შედეგები (I-IV კლასები)
მიმართულება: ზეპირი მეტყველება (მოსმენა და ლაპარაკი)

შედეგების ინდექსი	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
Iუცხ.დაწყ.(I).1.	სტანდარტით განსაზღვრული მცირე ზომის ტექსტების მოსმენა/მოსმენა-ყურება და გაგება.
Iუცხ.დაწყ.(I).2.	სიტყვების, წინადადებებისა და ტექსტების გარკვევით და შესაბამისი ინტონაციისა თუ მახვილების დაცვით წარმოთქმა.
Iუცხ.დაწყ.(I).3.	ნაცნობ თემატიკაზე მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა, ნაცნობი თემატიკის გარშემო საუბარი.
Iუცხ.დაწყ.(I).4.	ზეპირი მეტყველების აქტივობების შესრულებისას სტრატეგიების გააზრებულად გამოყენება.
მიმართულება: წერითი მეტყველება (კითხვა და წერა)	
შედეგების ინდექსი	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
Iუცხ.დაწყ.(I).5	სიტყვების, წინადადებების გაშიფრვა; სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტების გაშიფვრა და გაგება.
Iუცხ.დაწყ.(I).6.	კალიგრაფიული ნორმების დაცვა. მოდელის მიხედვით სხვადასხვა ტიპის მარტივი ტექსტების შედგენა.
Iუცხ.დაწყ.(I).7.	წერითი მეტყველების აქტივობის შესრულებისას სტრატეგიების გააზრებულად გამოყენება.
მიმართულება: ინტერკულტურა	
შედეგების ინდექსი	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
Iუცხ.დაწყ.(I).8.	ილუსტრაციებსა და ტექსტებში საკუთარი და უცხო კულტურის რეალიების ამოცნობა, სოციოკულტურული კონტექსტების ერთმანეთთან შედარება.
Iუცხ.დაწყ.(I).9.	თანატოლებთან და მასწავლებელთან ერთად საგანმანათლებლო პროექტების დაგეგმვა და განხორციელება სამიზნე ქვეყნის/ქვეყნების სოციოკულტურულ და კულტურულ რეალიებზე.
მიმართულება: სწავლის სწავლა	
შედეგების ინდექსი	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
Iუცხ.დაწყ.(I).10.	მასწავლებლის დახმარებით სწავლის პროცესზე დაფიქრება, საკუთარი წინსვლის ხელშეწყობა და სწავლის პროცესის წარმართვასა და გაუმჯობესებაში აქტიურად მონაწილეობა.
Iუცხ.დაწყ.(I).11.	სწავლის ხელშეწყობი სტრატეგიებისა და სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო რესურსების (ბეჭდვითი და მულტიმედია რესურსების, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების) გააზრებულად გამოყენება.

შინაარსი

შედეგების მიღწევა დაეფუძნება შემდეგ შინაარსს:

თემატიკა

- **ინდივიდი:** პირადი მონაცემები, წარმომავლობა, სხეული, გარეგნობა, ტანსაცმელი;
- **ინდივიდის გარემოცვა:** ოჯახი, ნათესავები, მეგობრები; ცხოველთა/ფრინველთა სამყარო; სათამაშოები, ზღაპრის სამყარო; ბუნება/ბუნების მოვლენები; საცხოვრებელი ადგილი, ქალაქი, სოფელი; საყოფაცხოვრებო ნივთები; სკოლა/სასკოლო ნივთები; სურსათი; დღესასწაულები და ზეიმები.
- **აქტივობები:** ყოველდღიური საქმიანობა, განრიგი, გართობა, ჰობი, სპორტი, თამაშები;

- **ორიენტირები:** წელიწადის დროები, თვეები, კვირის დღეები; დღე და ღამე;
- **მახასიათებლები:** ფერი, ზომა, ფორმა, რაოდენობა.

სოციალურ კულტურა და კულტურა

- დღესასწაულები და ტრადიციები: მნიშვნელოვანი დღესასწაულები, მათი თავისებურებები, დეკორაციები, ტრადიციული კერძები, პერსონაჟები და სხვა;
- კვება: მოზარდის ჩვეული საუზმე;
- თავისუფალი დრო/გართობა/დასვენება: ტიპობრივი აქტივობები;
- სასკოლო საგნები, სასკოლო კვირის განრიგი;
- ხმამიბაძვა (ონომატოპია): ცხოველების, ჩვეული ხმაურების (მაგ., მამლის ყვილის, დაცემინების, კაკუნის მიბაძვითი ხმები);
- საკუთარი სახელები და კნინობითი ფორმები;
- სახელმწიფო სიმბოლოები: დროშა;
- დედაქალაქი/ქალაქი და მისი რამდენიმე ღირსშესანიშნაობა.

ტექსტის ტიპები

ა) პრაგმატული ტექსტები:

სია, აბრა, გაკვეთილების ცხრილი, დღის განრიგი, საბავშვო ტელეგადაცემების პროგრამა, საბავშვო კატალოგი, ღია ბარათი, გზავნილი, ანკეტა პირადი მონაცემებით, ინსტრუქცია;

ბ) სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები:

თემატური დიალოგები/მონოლოგები, მარტივი თხრობითი ან აღწერითი ტექსტები; საინფორმაციო ტექსტები;

გ) მულტიმედიური ტექსტები:

ადაპტირებული კომიქსები, ანიმაციური ფილმები, საბავშვო სიმღერები, აუდიო-ვიდეო სასწავლო რესურსები საპროგრამო თემატიკაზე, საბავშვო სპექტაკლი, რეკლამა.

დ) საბავშვო ლიტერატურა:

ლექსები, გათვლები, ენის გასატეხები, ზღაპრები.

ენობრივი საშუალებები

I-IV კლასების მოზარდის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ენობრივი საკითხების სწავლება უნდა მიმდინარეობდეს პრაქტიკული აქტივობებით აბსტრაქტული ტერმინების, წესებისა და თეორიული განმარტებების გარეშე.

სამეტყველო აქტები

- **ინტერაქცია სოციალური ურთიერთობებისას:** მისალმება, დამშვიდობება, გაცნობა, მადლობის გადახდა, მილოცვა;
- **ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად:** პირადი მონაცემების გაცვლა, ადამიანის/საგნის აღწერა, ამინდის გაგება, ნებართვის თხოვნა;
- **ინტერაქცია შეხედულებებისა და დამოკიდებულებების შესახებ:** მოწონება/არმოწონება, სურვილის გამოხატვა, დადებითი და უარყოფითი შეფასება;

- **ინტერაქცია ემოციებისა და შეგრძნებების შესახებ:** ემოციებისა (სიხარული, ბრაზი, წუხილი, გაოცება, შიში) და შეგრძნებების (სიცივე, სიცხე) გამოხატვა;
- **ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ:** დროის მითითება, ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება.

გრამატიკა - მოსწავლეები სახალისო აქტივობების საფუძველზე ავტომატურად იმახსოვრებენ და იყენებენ მარტივ და ხშირად ხმარებულ გრამატიკულ კონსტრუქციებსა და ფორმებს;

ლექსიკა - ხშირად გამოყენებული სიტყვათშეთანხმებები, ანტონიმები;

ფონეტიკა - ბგერა, ბგერათშენაერთები, ხმოვნები, თანხმოვნები, მარცვალი, მახვილი, რიტმი, ინტონაცია;

ორთოგრაფია - ასო, ასოთშენაერთები, მთავრული/არამთავრული ასოები, სიტყვათა შემოკლებული ფორმები, პუნქტუაციის, მართლწერის ელემენტარული წესები.

ცნებები და ტერმინები:

ენობრივი საკითხების მსგავსად, ტერმინებისა და ცნებების გაგება უნდა ხორციელდებოდეს პრაქტიკული აქტივობებით აბსტრაქტული ტერმინების, წესებისა და თეორიული განმარტებების გარეშე. ცნებები ძირითადად მშობლიურ ენაზე მიეწოდება. სასურველია საკლასო ოთახში ყველაზე ხშირად ხმარებულ ცნებათა ორენოვანი პლაკატების გამოკვრა.

ტექსტის აგებულება: ტექსტი, აბზაცი, სტრიქონი, სიტყვა, წინადადება, სათაური, დიალოგი, მონოლოგი, მიმართვა, ხელმოწერა;

გამოფრვა: ბგერა, ასო, ბგერათშენაერთი, ასოთშენაერთი, ხმოვანი სიტყვა, დაწერილი სიტყვა, ხმოვანი (ზეპირი) მარცვალი, დაწერილი მარცვალი, მთავრული და არამთავრული ასოები, ანბანი, ხმოვანი, თანხმოვანი, ტრანსკრიფცია;

სასვენი ნიშნები: წერტილი, მძიმე, კითხვის ნიშანი, ძახილის ნიშანი, დეფისი, ორწერტილი.

ბ) V-VI კლასები სტანდარტი

დაწყებითი საფეხურის VI კლასის ბოლოს მისაღწევი შედეგები

ინდექსების განმარტება

დაწყებით საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **Iუცხ.დაწყ.(II).1.:**

„**Iუცხ.**“ - მიუთითებს საგანს „პირველი უცხოური ენა (ინგლისური ენა)“;

„**დაწყ.**“ - მიუთითებს დაწყებით საფეხურს;

„**(II)**“ – მიუთითებს, რომ სტანდარტი მოიცავს V- VI კლასებს;

„**1**“ - მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

პირველი უცხოური ენის (ინგლისური ენის) სტანდარტის შედეგები (V-VI კლასები)

	მიმართულება: ზეპირი მეტყველება (მოსმენა და ლაპარაკი)
შედეგების ინდექსი	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
I უცხ.დაწყ.(II).1.	სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტის მოსმენა/მოსმენა-ყურება და გაგება.
I უცხ.დაწყ.(II).2.	მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა, რამდენიმე წინადადებიანი მონოლოგის წარმოთქმა.
I უცხ.დაწყ.(II).3.	საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით, ელემენტარული ენობრივი უნარ-ჩვევების გამოყენება.
I უცხ.დაწყ.(II).4.	ზეპირი მეტყველების ამოცანების შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება.
	მიმართულება: წერითი მეტყველება (კითხვა და წერა)
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
I უცხ.დაწყ.(II).5.	გაწაფულად კითხვა.
I უცხ.დაწყ.(II).6.	სტანდარტით განსაზღვრული ტექსტების წაკითხვა და გაგება.
I უცხ.დაწყ.(II).7.	სხვადასხვა ტიპის მარტივი ტექსტის სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა.
I უცხ.დაწყ.(II).8.	წიგნის მიხედვით მცირე ზომის ტექსტის დაწერა.
I უცხ.დაწყ.(II).9.	წერილობითი ტექსტის სტრუქტურის დაცვა, ელემენტარული ენობრივი უნარ-ჩვევების გამოყენება.
I უცხ.დაწყ.(II).10.	წერითი მეტყველების ამოცანების შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება.
	მიმართულება: ინტერკულტურა
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
I უცხ.დაწყ.(II).11.	ნასწავლი სოციოკულტურული კონტექსტების ერთმანეთთან შედარება, პარალელების გავლება უცხო და მშობლიური კულტურის ფენომენებს შორის.
I უცხ.დაწყ.(II).12.	თანატოლებთან და მასწავლებელთან ერთად სხვადასხვა ტიპის პროექტის დაგეგმვა და განხორციელება.
	მიმართულება: სწავლის სწავლა
შედეგების ინდექსი	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
I უცხ.დაწყ.(II).13.	სასწავლო საქმიანობის მართვა, სწავლის პროცესზე დაფიქრება, საკუთარი წინსვლის ხელშეწყობა და სწავლის პროცესის წარმართვასა და გაუმჯობესებაში აქტიურად მონაწილეობა.
I უცხ.დაწყ.(II).14.	სათანადო სტრატეგიებისა და სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო რესურსების (ბეჭდვითი და მულტიმედია რესურსების, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების) გააზრებულად გამოყენება.

შინაარსი

შედეგების მიღწევა დაეფუძნება შემდეგ შინაარსს:

თემატიკა

- **ინდივიდი:** პირადი მონაცემები, წარმომავლობა, საქმიანობა, ინტერესი, გარეგნობა, ჩაცმულობა, ჯანმრთელობა/ავადმყოფობა, მომავალი გეგმები, ემოციური რეაქციები;
- **ინდივიდის გარემოცვა:** ოჯახი, ნათესავები, მეგობრები; ცხოველთა/ ფრინველთა სამყარო; ბუნება/ბუნების მოვლენები; გეოგრაფიული დასახელებები, საცხოვრებელი ადგილი, ქალაქი, სოფელი; საყოფაცხოვრებო ნივთები; სკოლა, სასკოლო ნივთები; მომსახურების ობიექტები, სურსათი, საყიდლები;
- **აქტივობები:** ყოველდღიური საქმიანობა; განრიგი, არდადეგები, გართობა, ჰობი, სპორტი, თამაშები; ყოველდღიური საჭიროებები; საყიდლებზე წასვლა, მგზავრობა/გადაადგილება; დღესასწაულები/ზეიმები;
- **ორიენტირები:** წელიწადის დროები, თვეები, კვირის დღეები; ქვეყნის მხარეები, ადგილმდებარეობა.
- **მახასიათებლები:** ფერი, ზომა, ფორმა, რაოდენობა, წონა, ტემპერატურა.

სოციოკულტურა და კულტურა

- დღესასწაულები და ტრადიციები (დამახასიათებელი თავისებურებები, დეკორაციები, ტრადიციული ჩაცმულობა, კერძები, პერსონაჟები, თამაშები და სხვა);
- მოზარდის კვების რეჟიმი, ჩვეული საუზმე/კერძები და სხვა;
- მოზარდის სასკოლო კვირის და დღის განრიგი, სასწავლო საგნები, არდადეგები, თავისუფალი დრო, გართობა, დასვენება;
- ინგლისურენოვანი ქვეყნები, დედაქალაქები/ ქალაქები, ღირსშესანიშნაობები, ფულის ერთეულები.

ტექსტის ტიპები

პრაგმატული ტექსტები:

მითითება, სავარჯიშოს პირობა, ინსტრუქცია, თამაშის წესები, საჯარო წარწერა (გამაფრთხილებელი წარწერა გაჩერების/მაღაზიის/საჯარო შენობის დასახელება, მემორიალური დაფა, აბრა), ანკეტა, კვირის განრიგი, გაკვეთილების ცხრილი, სავიზიტო ბარათი, ბილეთი, კატალოგი, სამარშრუტო გეგმა, მენიუ, კულინარული რეცეპტი, ღია ბარათი, მეგობრული წერილი, მარტივი შეტყობინება, ამინდის პროგნოზი;

სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები:

თემატური დიალოგი, მონოლოგი, მარტივი თხრობითი ან აღწერითი ტექსტები, ადაპტირებული ილუსტრირებული მოთხრობები და სხვა;

საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები:

ადაპტირებული სტატიები საბავშვო ჟურნალიდან, გაზეთიდან, ენციკლოპედიიდან და სხვა;

მულტიმედიური ტექსტები:

ადაპტირებული კომიქსები, სხვადასხვა სახის აუდიო-ვიდეო რესურსები, ანიმაციური ფილმები, საბავშვო გადაცემები და სხვა.

ენობრივი საშუალებები

სამეტყველო აქტები

- **ინტერაქცია სოციალური ურთიერთობისას:** მისალმება, მოკითხვა, დამშვიდობება, წარდგენა/გაცნობა, მადლობის გადახდა, მოზოდინება, მილოცვა, კეთილი სურვილების გამოხატვა, წახალისება/შექება, შეთავაზება, დახმარების თხოვნა, ნებართვის თხოვნა/მიცემა, დაპატიჟება, ინტერაქცია სუფრასთან;
- **ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად:** პირადი მონაცემების (ვინაობა, წარმომავლობა, ასაკი, მისამართი, ტელეფონის ნომერი) გაცვლა; ადამიანის დახასიათება / საგნის აღწერა; თარიღის, საქმიანობის, ჯანმრთელობის, ამინდის გაგება; ინტერაქცია საყიდლებზე ყოფნისას;
- **ინტერაქცია შეხედულებებისა და დამოკიდებულებების შესახებ:** მოწონება/არ მოწონება; სურვილისა და ინტერესის გამოხატვა; დადებითი და უარყოფითი შეფასება; დათანხმება, უარყოფა, აკრძალვა; აზრის, დამოკიდებულების, პოზიციის გამოხატვა;
- **ინტერაქცია ემოციებისა და შეგრძნებების შესახებ:** ემოციებისა (სიხარული, ბრაზი, წუხილი, გაოცება, შიში) და შეგრძნებების (ტკივილი, წყურვილი, შიმშილი, სიცივე, სიცხე) გამოხატვა;
- **ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ:** დროის მითითება, ინტენსივობის (ქრონოლოგია, სიხშირე, ხანგრძლივობა) განსაზღვრა; ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება.

გრამატიკა

დაწყებითი საფეხურის მოცემულ ეტაპზე ენობრივი საკითხები და გრამატიკული ცნებები ისწავლება პრაქტიკული აქტივობებით, კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაციებსა და მაგალითებზე დაყრდნობით. სწავლების ამ ეტაპზე მიზანშეწონილი არ არის გრამატიკული წესებისა და ენობრივი კანონზომიერებების თეორიული სწავლება.

მოსწავლეები კონტექსტში ამოიცნობენ და იყენებენ კომუნიკაციური მიზნის განსახორციელებლად საჭირო ძირითად ენობრივ საშუალებებს:

- საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვისი გამოთქმები, კლიშეები, ენობრივი კონსტრუქციები, მეტყველების თავაზიანი და ფამილარული ფორმულები;
- ზმნური და სახელური ფორმები (verbs, nouns, adjectives, adverbs, pronouns);
- დროის/ადგილმდებარეობის გამომხატველი მარტივი ენობრივი საშუალებები (preposition, adverbs);
- ზმნის ახლანდელი, წარსული და მომავალი დროის გამომხატველი ფორმები, ზმნიზედები (მაგ. Verb forms, present/past/future tenses, time expressions);
- სხვადასხვა მოდალობის წინადადებები (affirmative, interrogative, negative);
- სიტყვათა წყობა შესაბამისი მოდალობის მქონე წინადადებაში (მაგ., SVO /subject, verb, object word order);
- წინადადებები აგებულების მიხედვით - მარტივი, რთული თანწყობილი/ქვეწყობილი (simple, compound, complex);
- სინტაქსური მიმართებები მარტივი წინადადებების წევრებს შორის (მაგ., Subject-verb agreement);
- ორთოგრაფიის წესები, სასვენი ნიშნები.

2. ინგლისური ენა საბაზო საფეხურზე

შესავალი

საბაზო საფეხურზე პირველი უცხოური ენის სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:


- ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;
- ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი;
- გ) მეთოდოლოგიური ორიენტირები;
- დ) შეფასება;
- ე) ტერმინოლოგიური ლექსიკონი;
- ვ) დანართი - გრამატიკა.

საბაზო საფეხურზე უცხოური ენის შესწავლისას მოსწავლეები უცხოურ ენას ფუნქციურად გამოიყენებენ კომუნიკაციური მიზნებისა თუ სასწავლო საქმიანობათა განსახორციელებლად; დაეუფლებიან ენის სწავლის უნარებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია პირველი და მეორე უცხოური ენების სტანდარტებისა და ევროსაბჭოს ენის ფლობის დონეების საორიენტაციო შესაბამისობა.

	პირველი უცხოური ენა		მეორე უცხოური ენა	
	მოსმენა და კითხვა	წერა და ლაპარაკი	მოსმენა და კითხვა	წერა და ლაპარაკი
I-IV კლასების სტანდარტი	A1.1	A1.1		
V-VI კლასების სტანდარტი	A2.2.	A2.1	A1.2.	A1.2
VII – IX კლასების სტანდარტი	B1.1	A2.3	A2.2	A2.1.

სასკოლო კონტექსტთან ადაპტირების მიზნით ეროვნული სასწავლო გეგმაში A1, A2; B1 დონეები შემდეგ ქვესიმრავლეებადაა დაშლილი:



ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

საბაზო საფეხურზე პირველი უცხოური ენის სწავლა-სწავლების მიზნებია, მოსწავლეს ჩამოუყალიბოს/განუვითაროს:

- უცხოურ ენაზე სხვადასხვა ტიპის ზეპირი და წერილობითი ტექსტების გაგებისა და შექმნა-გაზიარების უნარები;
- უცხოური ენის გამოყენების უნარი პრაგმატული თუ საგანმანათლებლო მიზნების განსახორციელებლად;
- ენობრივ-კულტურულ მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარი;
- ენების ეფექტიანად სწავლისთვის საჭირო უნარ-ჩვევები;
- კონსტრუქციული თანამშრომლობის უნარი.

ამ მიზნებზე მუშაობით პირველი უცხოური ენა თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს კითხვას, რა უნდა შეეძლოს საბაზო საფეხურის მოსწავლეს პირველი უცხოურ ენაში.

ეს შედეგები ჯგუფდება სამ მიმართულებად:

ტექსტის მოსმენა/წაკითხვა და გაგება - მოიცავს სტრატეგიებს, რომლებსაც უნდა დაეუფლოს მოსწავლე უცხოენოვანი ტექსტების გასაგებად სოციოკულტურული კონტექსტების თავისებურებათა გათვალისწინებით.

წერა და ლაპარაკი - გულისხმობს სტრატეგიებს, რომელთა საშუალებითაც უნდა შეეძლოს მოსწავლემ უცხო ენაზე ზეპირი და წერიტი კომუნიკაცია.

საქმიანობა უცხოური ენის გამოყენებით - გულისხმობს სოციალურ კონტექსტებში სხვადასხვა ტიპის საქმიანობათა უცხოურ ენაზე განხორციელებას. იგი შეესაბამება ენების დიდაქტიკის ახალ პარადიგმას - მოქმედებაზე ორიენტირებულ მიდგომას (action-oriented approach).

სტანდარტის შინაარსი განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულო ცნებების, თემატური ჩარჩოების, საგნობრივი საკითხების სახით.

საბაზო საფეხურის სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ცნებები და საკითხები უნდა დამუშავდეს მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებში. ეს კონტექსტები თემატური ჩარჩოს სახითაა განსაზღვრული. მასწავლებლის თუ ავტორის მიერ შერჩეული სასწავლო თემები საბაზო საფეხურის სამივე კლასისთვის უნდა გამომდინარეობდეს სტანდარტის თემატურ ბლოკიდან.

თემატური ჩარჩო საბაზო საფეხურის სასწავლო თემებისათვის აჩვენებს იმ კონტექსტებს, რომლებშიც უნდა შეეძლოს მოსწავლემ უცხოური ენის გაგება-გამოყენება.

სტანდარტის შედეგების ინდექსების განმარტება

სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების საფეხურსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **Iუცხ.საბ.1.**:

„**Iუცხ**“ - მიუთითებს პირველ უცხოურ ენას;

„**საბ**“ - მიუთითებს საბაზო საფეხურს;

„**1**“ - მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

პირველი უცხოური ენის (ინგლისურის) სტანდარტის შედეგები (VII-IX კლასები)		
შედეგის ინდექსი	მიმართულება: ტექსტის მოსმენა/წაკითხვა და გაგება (რეცეპციული უნარები)	ცნებები

მოსწავლემ უნდა შეძლოს:		
Iუცხ.საბ.1.	მოსმენამდე/წაკითხვამდე ტექსტის ტიპის განსაზღვრა მისი სტრუქტურული და სიტუაციური მახასიათებლების ამოცნობის გზით;	ტექსტის ტიპი
Iუცხ.საბ.2.	ნასწავლი ენობრივი საშუალებების გამოყენებით ტექსტის შინაარსის გააზრება და საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირება;	ტექსტის სტრუქტურული ელემენტები
Iუცხ.საბ.3.	ტექსტებში ასახული სოციოკულტურული თავისებურებების ამოცნობა და მათ მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა;	საკომუნიკაციო სიტუაცია
Iუცხ.საბ.4.	ტექსტის გაგებამდე, გაგების პროცესში და გაგების შემდგომ შესაბამისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება;	კულტურათმორის ი დიალოგი
Iუცხ.საბ.5.	ტექსტის გააზრებისას წარმოქმნილი პრობლემების გაანალიზება, მათი გადაჭრის გზების დადგენა (სწავლის პროცესის მართვა - მეტაკოგნიტური სტრატეგია).	სტრატეგიები
მიმართულება: წერა და ლაპარაკი (პროდუცირება)		ლექსიკა
მოსწავლემ უნდა შეძლოს:		
Iუცხ.საბ.6.	ზეპირი საკომუნიკაციო სიტუაციის/მიზნის შესაბამისი სამეტყველო მოქმედებების შესრულება სათანადო სტრატეგიების გამოყენებით;	გრამატიკა
Iუცხ.საბ.7.	ნასწავლი ენობრივი საშუალებებით საკომუნიკაციო მიზნის შესაბამისი წერილობითი ტექსტის პირველადი ვარიანტის შემუშავება;	ფუნქციური სამეტყველო მოქმედებები
Iუცხ.საბ.8.	პირველადი ვარიანტის ცალკეული აზრების, მთლიანი ტექსტის ენობრივი, შინაარსობრივი თუ სტრუქტურული გაუმჯობესება, საბოლოო ვარიანტის სათანადოდ გაფორმება;	
Iუცხ.საბ.9.	წერამდე, წერის დროს და წერის შემდგომ ფაზებში შესაბამისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება;	
Iუცხ.საბ.10.	ზეპირი და წერილი კომუნიკაციისას წარმოქმნილი პრობლემების გაანალიზება, მათ გადასალახად სამოქმედო გეგმის შედგენა (სწავლის პროცესის მართვა - მეტაკოგნიტური სტრატეგია).	
მიმართულება: საქმიანობა უცხოური ენის გამოყენებით		
მოსწავლემ უნდა შეძლოს:		
Iუცხ.საბ.11.	კულტურათმორისი დიალოგის ხელშემწყობი ინიციატივების გამოვლენა და რეალიზება, სოციოკულტურული თავისებურებების გაზიარება;	
Iუცხ.საბ.12.	ზეპირი და წერილი კომუნიკაციის უნარების გამოყენებით იდეების განხორციელება.	

შინაარსი

ცნებები და საკითხები

ტექსტის ტიპი

- სასწავლო მიზნით შექმნილი (დიდაქტიზებული) ტექსტი (მაგ., თემატური დიალოგი/მონოლოგი, აღწერითი, თხრობითი ტექსტი);
- პრაგმატული ტექსტები (მაგ., განრიგი/პროგრამა, გზის მარშრუტი, რეკლამა, აფიშა);
- კორესპონდენცია (მაგ. ღია ბარათი, მეგობრული წერილი, შეტყობინება/SMS/CHAT);

- საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტები (მაგ., ცნობარი, ანოტაცია, ინტერვიუ, ბუკლეტი, პირადი გამონამაურება, საყმაწვილო ენციკლოპედიის სტატია);
- გასართობ-შემოქმედებითი ტექსტები (მაგ., სიმღერა, ლექსი, სკეტჩი, რიტმული ტექსტი, რეპი, კარიკატურა, კლიპი).

ტექსტის სტრუქტურული ელემენტები (მაგ., სათაური, რუბრიკა, ილუსტრაცია, სქემა, აბზაცი)

აბზაცი - სტრუქტურა: თემატური წინადადება, დამხმარე წინადადებები (დამატებითი ინფორმაციის შემცველი მაგალითი, დეტალი, მონაცემი თემატურ წინადადებაში ასახული მთავარი იდეის შესახებ), დასკვნითი წინადადება;

ტექსტის სიტუაციური მახასიათებლები/საკომუნიკაციო სიტუაცია (მაგ., კომუნიკაციის ადგილი, მიზანი, მონაწილეები, ადრესატი, ავტორი);

სოციოკულტურული თავისებურება (მაგ., რეალიები, ფასეულობები, ზნე-ჩვეულებები, კულტურული ნორმები)

კულტურათშორისი დიალოგი;

სტრატეგიები

- მოსმენის სტრატეგიები მოსმენის პროცესის თითოეული ფაზისათვის (მოსმენამდე, მოსმენის დროს, მოსმენის შემდეგ)
- კითხვის სტრატეგიები კითხვის პროცესის თითოეული ფაზისთვის (კითხვამდე, კითხვის დროს, კითხვის შემდეგ)
- ლაპარაკის სტრატეგიები ზეპირი კომუნიკაციამდე და კომუნიკაციის დროს;
- წერის სტრატეგიები წერის პროცესის თითოეული ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ)
- ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიები;
- სწავლის პროცესის მართვა (მეტაკოგნიტური სტრატეგიები)

ლექსიკა - ანტონიმი, სინონიმი, ომონიმი, ფრაზეოლოგიზმი/მყარი შესიტყვება;

გრამატიკა - ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი;

ლექსიკურ-გრამატიკული ცოდნა კომუნიკაციურ მიზნების განხორციელებას უნდა ემსახუროდეს. შესაბამისად, ლექსიკა და გრამატიკული საკითხები ცალკეულ სასწავლო თემის საკომუნიკაციო მიზნებიდან გამომდინარე განისაზღვრება.

ფუნქციური სამეტყველო მოქმედებები

ქვემოთ წარმოდგენილია იმ ფუნქციური სამეტყველო მოქმედებების ჩამონათვალი, რომელთა შესრულებაც უნდა შეძლოს მოსწავლემ სხვადასხვა კონტექსტსა თუ სიტუაციებში კომუნიკაციისას. სტანდარტი გამოყოფს მიკროფუნქციებს და მაკრო-ფუნქციებს.

მიკროფუნქციები:

- **ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში** - მისაღება; ვინმეს/საკუთარი თავის წარდგენა; ვინმეს მიღება; მილოცვა; კეთილი სურვილის გამოხატვა; გამომშვიდობება; ტელეფონზე ინტერაქცია (წარზე პასუხი, თანამოსაუბრის ვინაობის დადგენა, მოზოდობა, დალოდების თხოვნა, საუბრის დასრულება); მადლობის გადახდა;
- **ინტერაქცია ინფორმაციის შესახებ:** სახელდება, მითითება, აღნიშვნა; ინფორმაციის მოთხოვნა/გაცემა: რაიმე საგნის/პიროვნების შესახებ (რა არის, ვინ არის); დროის შესახებ (დროის მონაკვეთების აღნიშვნა; დროში - აწმყოს, წარსულსა თუ მომავალში - ლოკალიზება; თანადროულობის, წინმსწრებობის, მერმინდელობის გამოხატვა, დასაწყისის, დასასრულის აღნიშვნა; განმეორებადობის, ხანგრძლივობის, სიხშირის აღნიშვნა); სივრცის შესახებ (ადგილის/ადგილმდებარეობის აღნიშვნა; მანძილის დაზუსტება, მოძრაობის, მიმართულება/ორიენტაციის აღნიშვნა); ვითარების შესახებ; რაოდენობისა და ხარისხის შესახებ; მიზეზის შესახებ; ფაქტის დადასტურება/ უარყოფა; ინფორმაციის შესწორება;
- **ინტერაქცია შეხედულებების და დამოკიდებულების შესახებ:** საკუთარი თვალსაზრისის გამოხატვა; მიმხრობა-გაზიარება; შეწინააღმდეგება, უარყოფა; დაპირისპირება; გამოხატვა იმისა, რომ რაიმე იცი ან არ იცი, შეგიძლია/არ შეგიძლია; გამოხატვა იმისა, რომ რაიმე გახსოვს ან დაგავიწყდა; რაიმეს შეხსენება; ეჭვის, დაურწმუნებლობისა თუ დარწმუნებულობის გამოხატვა; საკუთარი სურვილების, განზრახვის გამოხატვა; ვალდებულების, აუცილებლობის გამოხატვა; შედარება: მსგავსების/განსხვავების, მეტობის/ნაკლებობის აღნიშვნა, მიზეზშედეგობრივი კავშირები, მიზნის, პირობითობის გამოხატვა;
- **ინტერაქცია ემოციებსა და გრძნობებზე:** სიხარულის, სიამოვნების, ბედნიერების განცდის გამოხატვა; მოწყენილობის, სევდის გამოხატვა; ნუგეშისცემა, დამშვიდება; იმედის, გულდაწყვეტის გამოხატვა; შიშის, წუხილის, ფიზიკური ტკივილის გამოხატვა; მოწონების/არ მოწონების, აღფრთოვანების გამოხატვა; გამოხატვა იმისა, თუ რა გირჩევნია; კმაყოფილების/უკმაყოფილობის გამოხატვა; ბრაზის გამოხატვა; ინტერესის გამოხატვა რაიმეს მიმართ; გაკვირვების/ინდიფერენტული დამოკიდებულების, მადლიერების გამოხატვა;
- **ინტერაქცია ქმედებებსა და საქმიანობებზე:** ბრძანების ან ინსტრუქციის მიცემა; დახმარების თხოვნა; შეკვეთის მიცემა (მაგ. კაფეში, რესტორანში); თხოვნაზე პასუხი გაცემა დათანხმებით, ყოყმანით, უარის თქმით; რაიმეს გაკეთების თხოვნა; რაიმე გაკეთების შეთავაზება; შეთავაზება; შეთავაზებაზე დადებითი ან უარყოფითი პასუხის გაცემა; რჩევის მიცემა, გაფრთხილება; გამხნეება; ნებართვის თხოვნა/მიცემა; აკრძალვა; დამუქრება; დაპირება; საყვედურის მიცემა;
- **სიტყვის, სათქმელის სტრუქტურირება** - გეგმის წარდგენა; თემის წამოწყება, თემის/საკითხის გაშლა-განვითარება დაჯგუფების, შედარების, აღწერის, თხრობის საშუალებით; მაგალითის მოყვანა; სხვისი ნათქვამის მოყვანა; თემის შეჯამება;
- **ზეპირი ინტერაქციის სტრუქტურირება** - თანამოსაუბრესთან საუბრის დაწყება; საუბარში ჩართვა/სიტყვის თხოვნა; სიტყვის მნიშვნელობის დაზუსტება/პარაფრაზირება, გადამოწმება იმის, რომ თანამოსაუბრეს ჩვენი ესმის; კითხვის დასმით გადამოწმება, რომ მართებულად გვესმის თანამოსაუბრისა; გაუგებრობის შემთხვევაში თანამოსაუბრისთვის თხოვნა, რომ უფრო ნელა ისაუბროს, დამარცვლოს, ნათქვამი გაიმეოროს,/პარაფრაზირებით განმარტოს.

მაკრო-ფუნქციები: აღწერა, თხრობა, ახსნა-განმარტება

თემატური ჩარჩო საბაზო საფეხურის სასწავლო თემებისათვის

ქვემოთ მოცემული ჩარჩო აღწერს იმ კონტექსტებს, რომლებშიც უნდა შეძლოს მოსწავლემ უცხოური ენის გაგება-გამოყენება. შესაბამისად, საბაზო საფეხურის სამივე კლასის სასწავლო თემები მთლიანობაში უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტის თემატური ჩარჩოს.

ინდივიდის აქტივობის სფეროები			
პარამეტრები	პირადი	საზოგადოებრივი	საგანმანათლებლო
ადგილი	კერძო სივრცეები, მაგ., სახლი, ბინა, ეზო.	საჯარო სივრცეები სოფელსა თუ ქალაქში (მაგ., უბანი, ქუჩა, მოედანი, სხვადასხვა ტიპის ტრანსპორტი, პარკი, კაფე, აეროპორტი, მაღაზია, ბიბლიოთეკა, სადგური).	სკოლის შენობა და მისი მიმდებარე ტერიტორია, კოლეჯი, ლიცეუმი, პროფესიული სასწავლებელი.
ინსტიტუცია	ოჯახი, თემი.	მერია, პოლიცია, სამაშველო სამსახური, საქველმოქმედო საზოგადოება.	სკოლა და სასკოლო საზოგადოება, ზოგადი და პროფესიული განათლება.
ადამიანი	ოჯახის წევრები, ნათესავები, წინაპრები, თანატოლები, მეგობრები, ნაცნობები.	სხვადასხვა საქმიანობის და პროფესიის ადამიანები (მაგ., მეხანძრე, ექიმი, მზარეული, მწერალი, მოგზაური), მოქალაქე, მგზავრი, მაცურებელი, გულშემატკივარი და სხვ.	სკოლის პერსონალი (მაგ., მასწავლებელი, დამრიგებელი, დირექტორი, ბიბლიოთეკარი, დარაჯი), მოსწავლე, მშობელი.
საგანი	ავეჯი, სამოსი, საყოფაცხოვრებო ნივთები, სპორტული აღჭურვილობა და სხვ.	ფული, საფულე, სურსათი, საქონელი, წამლები, ოფიციალური დოკუმენტები (მაგ., პირადობის მოწმობა, მართვის მოწმობა).	სასკოლო აღჭურვილობა და ნივთები (მაგ., წიგნი, დაფა, ცარცი, კომპიუტერი, პროექტორი, სპორტული ინვენტარი).
მოვლენა	ოჯახური დღესასწაულები, ავადმყოფობა, დღეობები, სტუმრობა, წვეულება, კულტურული და სპორტული აქტივობები,	ბუნებრივი მოვლენები, უბედური შემთხვევა, ბაზრობა, კონკურსი, სპექტაკლი, სამოქალაქო და რელიგიური ზეიმი და სხვ.	სასწავლო წლის დასაწყისი/დასასრული, კლასგარეშე ღონისძიებები, კონკურსები, კონფლიქტები სკოლაში და სხვ.

	არდადეგები და სხვ.		
მოქმედება	ყოველდღიური ყოფითი, შემოქმედებით-ინტელექტუალური, სპორტული, გასართობი საქმიანობები (მაგ., ჭამა, ჩაცმა, კითხვა, მეცადინეობა, კოლექციონერობა, ტელევიზორის ყურება).	ყოფითი, შემოქმედებით-ინტელექტუალური, სპორტული, გასართობი აქტივობები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში (მაგ., საყიდლებზე სიარული, თეატრში წასვლა, სპორტულ შეჯიბრში მონაწილეობა), მგზავრობა, მოგზაურობა.	სწავლა და სწავლება; კლასგარეშე შემოქმედებით-ინტელექტუალურ, სპორტულ და გასართობ აქტივობებში მონაწილეობა, მშობელთა კრება.
ბუნება, ცხოველთა სამყარო, მცენარეთა სამყარო	შინაური და გარეული ცხოველები, ყვავილები, ხეები, ტყე, მდინარე, ტბა, უდაბნო, ზღვა, მთა, მინდორი, კოსმოსი.		

საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვები

- როგორ მოვიქცე, რომ შევძლო ინგლისურენოვანი სხვადასხვა ტიპის ტექსტის გაგება?
- როგორ მოვიქცე, რომ შევძლო საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო მოქმედებების შესრულება?
- როგორ მოვიქცე, რომ წარმატებით გავართვა თავი წერით საკომუნიკაციო ამოცანას?
- რატომ გამიჭირდა საკომუნიკაციო ამოცანის შესრულება? როგორ გადავლახო ეს სიძნელე? რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ?
- როგორ შევუწყო ხელი კულტურათმშორის დიალოგს, სოციოკულტურულ თავისებურებათა წარმოჩენასა და გაცვლა-გაზიარებას?
- რით ჰგავს, რით განსხვავდება უცხოური ენა და კულტურა მშობლიურისაგან?
- როგორ გამოვიყენო უცხოური ენის ცოდნა საქმიანი იდეების განსახორციელებლად?

გ) მეთოდოლოგიური ორიენტირები

საგნის სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

- სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა მოტივირებას და შინაგანი ძალისხმევის გააქტიურებას.
- სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
- სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.
- სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას).
- სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

გამჭოლი უნარები და ღირებულებები

საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

პასუხისმგებლობა	<ul style="list-style-type: none"> • სასკოლო და სხვა საქმიანობებში ნაკისრი ვალდებულების შესრულება; • სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება; • საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე პასუხისმგებლობის აღება.
თანამშრომლობა	<ul style="list-style-type: none"> • მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად; • განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა; • რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით. • ჯგუფის წევრებს შორის განაწილებული სამუშაოს შესრულება.
დროსა და სივრცეში ორიენტირება	<ul style="list-style-type: none"> • თანამედროვე რეალობის სივრცულ-დროით ჭრილში გააზრება და ინტერპრეტირება; • მულტიპერსპექტიული ხედვა დროითი და სივრცული ფაქტორების გათვალისწინებით.
ეთიკა	<ul style="list-style-type: none"> • ეთიკური და ქცევითი ნორმების დაცვა; • სოლიდარობის განცდა; • სხვებისადმი ემპათია; • პიროვნული ღირსების გააზრებისა და დაფასების უნარი; • განსხვავებულობის მიმღებლობა; • საკუთარ სოციალურ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრება.
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება	<ul style="list-style-type: none"> • ინფორმაციის/სასწავლო მასალის (დიდაქტიზებული, პრაგმატული, საინფორმაციო-შემეცნებითი, გასართობ-შემოქმედებითი ხასიათის ტექსტები) მოძიება ინტერნეტში სხვადასხვა საძიებო სისტემის მეშვეობით; • ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო მასალისა და სხვადასხვა ტიპის ტექსტების შესაქმნელად და პროექტების განსახორციელებლად (სხვადასხვა ხასიათის ღია ბარათის/მეგობრული წერილის/შეტყობინების ელექტრონული ვერსიის მიწერა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, უცხოელ თანატოლებთან ჩეთში მონაწილეობა skype-ის, messenger-ის მეშვეობით; ვებგვერდის/ბლოგის შექმნა და უცხოურ ენაზე განხორციელებული სხვადასხვა პროექტის, მაგ., კულინარიული რეცეპტების კრებულის, სკოლის მოსწავლეთა ნახატების/ნაკეთობების კატალოგის სკოლის ვებგვერდზე/ ბლოგზე განთავსება); • ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება (მაგ., Word, PowerPoint) სასწავლო მასალისა და სხვადასხვა ტიპის ელექტრონული ტექსტების დასამუშავებლად.
კვლევა	<ul style="list-style-type: none"> • კვლევითი ამოცანის, კვლევის პროცედურების, მონაცემების მოპოვების გზებისა და აღრიცხვის ფორმების განსაზღვრა; სათანადო რესურსების შერჩევა; • კვლევის ჩატარება, მონაცემების აღრიცხვა და სხვადასხვა ფორმით წარმოდგენა/ ორგანიზება; • მონაცემების ანალიზი, არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე დასკვნების გამოტანა; კვლევის შედეგების შეფასება; • კვლევითი სამუშაოების ჩატარების დროს ეთიკისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა.
შემოქმედებითი აზროვნება	<ul style="list-style-type: none"> • ჩანაფიქრის შემოქმედებითად განხორციელება; • ორიგინალური იდეების გამოვლენა და ხორცშესხმა; ახლის შექმნა; • დასამუშავებელი პრობლემების გადასაჭრელად არასტანდარტული გზების მოძიება;

მეთოდოლოგიური მიდგომები

უცხოური ენის სწავლა-სწავლება შემდეგ მეთოდოლოგიურ მიდგომებს უნდა ითვალისწინებდეს:

- უცხოური ენის სტანდარტის მოთხოვნათა შესრულება მოითხოვს უცხოურ ენაზე კომუნიკაციური უნარების ფუნქციურად გამოყენების უნარების განვითარებას. ამ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ეგრეთწოდებული „უკუსვლით დაგეგმვის“ (backward design) მეთოდის გამოყენება: პირველ რიგში, უნდა ვხედავდეთ, კონკრეტული თემატური ერთეულის ბოლოს, რა კომპლექსურ-ფუნქციური დავალებების/საქმიანობის შესრულება უნდა შეძლოს მოსწავლემ. შემდეგ, ეს დავალება უნდა დავშალოთ ცოდნისა და უნარების ცალკეულ კომპონენტებად, რომელთა ათვისებაც დასჭირდება მოსწავლეს იმისთვის, რომ ბოლოს შეძლოს კომპლექსური დავალების შესრულება, რომლის დროსაც მოუწევს ფუნქციური გამონათქვამების, ლექსიკური, გრამატიკული, კომუნიკაციური ცოდნისა და უნარების ერთდროულად და ინტერაქტიულად გამოყენება.
- ლექსიკური მასალა თუ გრამატიკული საკითხები თვითმიზნურად არ უნდა ისწავლებოდეს, მათი სწავლება გადაჯაჭვული უნდა იყოს კომუნიკაციურ მიზნებთან. მოსწავლეს ის ლექსიკურ-გრამატიკული უნარები უნდა გამოვუმუშაოთ, რომლებსაც კონკრეტულ კომუნიკაციურ სიტუაციებში გამოიყენებს.
- მოსწავლე უნდა იყოს სწავლა-სწავლების პროცესის აქტიური მონაწილე. ამის უზრუნველსაყოფად მოსწავლე ჩართული უნდა იყოს განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ხელს შეუწყობს ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვაში;
- სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია მეტაკოგნიციის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ეს აქტივობებია:

სტრატეგიების მოდელირება: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და მისი შესრულებისას „ხმამაღლა ფიქრობს“ იმაზე, თუ როგორ შეასრულოს ეს აქტივობა (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანხმლები მასალა, მაგ., სურათები? ამიტომ, სანამ ტექსტს წავიკითხავთ, ხომ არ სჯობს, ჯერ სურათებს გავეცნოთ და ვნახოთ, რა ინფორმაციის შემცველია ეს სურათები? და მისთ).

წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფურად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.), ასევე სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებენ თითოეულ ეტაპზე. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე.

შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები

გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა და ხერხი, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებს და აუმაღლებს სწავლის ქმედუნარიანობას.

- ყოველი ახალი თემატური ერთეულის სწავლება უნდა იწყებოდეს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტების შეთავაზებით, სახელდობრ, იმგვარი ტექსტების დამუშავებით, რომლებიც მარტივ საკომუნიკაციო სიტუაციას წარმოადგენს. სწორედ ამ ტექსტების კონტექსტში უნდა გაეცნოს მოსწავლე იმ ახალ ენობრივ მასალას (ლექსიკურ ერთეულებს, გრამატიკულ ფორმებს თუ მექანიზმებს), რომლებსაც მომდევნო ეტაპზე ცალკეული სავარჯიშოების საშუალებით აითვისებს იმ მიზნით, რომ შემდგომ ზეპირმეტყველებასა და წერით მეტყველებაში გამოიყენოს.

წლიური პროგრამისა და სასწავლო თემის აგების პრინციპები

წლიური პროგრამა სტანდარტზე დაყრდნობით იგეგმება და გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს. წლიური პროგრამა სარეკომენდაციო ხასიათისაა. სკოლას შეუძლია გამოიყენოს რეკომენდაციის სახით შეთავაზებული წლიური პროგრამა ან თავად დასახოს სტანდარტის მიღწევის გზები. წლიური პროგრამები უნდა დაიგეგმოს სასწავლო თემების საშუალებით (შედეგი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს - თემას).

სასწავლო თემის დასაგეგმად გამოიყენება შემდეგი კომპონენტები:

<p>სასწავლო თემა</p> <p>სასწავლო თემა წარმოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შემღებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.</p>
<p>ცნებები, ტექსტები, საკითხები</p> <p>ტექსტებისა და საკითხების მეშვეობით მოსწავლე გაიაზრებს ცნების შინაარსს, ამუშავებს საკვანძო შეკითხვებს, ასრულებს კომპლექსურ დავალებებს.</p>
<p>საკვანძო შეკითხვები</p> <p>თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვებიდან და დაისმის თემის კონკრეტულ კონტექსტში. მათი ფუნქციაა:</p> <ul style="list-style-type: none"> • მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად; • სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა; • თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.
<p>აქტივობები</p> <p>მიმდინარე დავალებების ტიპების/ნიმუშების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული</p>

გაგება-გააზრების პროცესების ხელშესაწყობად, ასევე ცოდნის ათვისების, განმტკიცებისა თუ შეჯამების მიზნით.

კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი

კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.

შეფასების ინდიკატორები

შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის.

მკვიდრი წარმოდგენები

მკვიდრი წარმოდგენები განისაზღვრება სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მხსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდეს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად.

როგორ აიგება სასწავლო თემა?

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული. სტანდარტის ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრება საკვანძო შეკითხვები და შეფასების ინდიკატორები, შეირჩევა ტექსტები, შემუშავდება იდეები შემაჯამებელი კომპლექსური დავალებებისთვის. ამის შემდეგ განისაზღვრება საგნობრივი საკითხები, რესურსები, დავალებების ტიპები/ნიმუშები. თითოეულ თემაზე მუშაობის პროცესი მოემსახურება ზოგადი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას. უცხოურ ენაში მკვიდრი წარმოდგენები განისაზღვრება სტანდარტის მოთხოვნებზე დაყრდნობით და საერთოა სასწავლო წლის თემებისათვის.

ქვემოთ თემის ასაგებად გადასადგმელი ნაბიჯები წარმოდგენილია სქემატურად, ცხრილის სახით.

ცხრილი. სასწავლო თემის აგების პროცესი

ნაბიჯი 1. თემატური საკვანძო შეკითხვების დასმა
ნაბიჯი 2. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა

ნაბიჯი 3. თემის ტექსტების/რესურსების შერჩევა
ნაბიჯი 4. შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების იდეების შემუშავება
ნაბიჯი 5. საკითხების განსაზღვრა
ნაბიჯი 6. მიმდინარე აქტივობებისა და დავალებების განსაზღვრა-დაგეგმვა
ნაბიჯი 7. მკვიდრი წარმოდგენების განსაზღვრა

თემის სწავლა-სწავლების პროცესის ტაბულა

ქვემოთ მოცემულია პროცესის ტაბულა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ მუშავდება კომუნიკაციურ-ენობრივი უნარები, როგორ წარიმართება, ერთი თემატური ერთეულის ფარგლებში, მოსწავლის აქტივობასა და სწავლის პროცესზე ორიენტირებული სწავლა-სწავლება. სწავლის პროცესზე ორიენტირება მოსწავლეს ეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, რაც ხელს უწყობს მას მიღწევების გაუმჯობესებაში.

თემა:
მოსმენა- გაგების პროცესი
საკვანძო შეკითხვები: როგორ მოვიქცე ტექსტის შინაარსის გასაგებად? რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ? რატომ არის მნიშვნელოვანი მეტაკოგნიტური უნარები?
ტექსტი/ტექსტები:
ბიჯები და სწავლა-სწავლების სტრატეგიები
ფაზა: მოსმენამდე
საკვანძო შეკითხვები: როგორ მოვემზადო ტექსტის მოსასმენად?
მოსმენის წინარე სტრატეგიები:
ბიჯი 1. დავალების ნათლად გააზრება და დაზუსტება პირობის გაანალიზების გზით; საჭიროებისამებრ, დამატებითი დაზუსტებების მოთხოვნა;

ბიჯი 2. სხვადასხვა ხერხით შინაარსის წინასწარ განჭვრეტა (მაგ., ვარაუდის გამოთქმა ილუსტრაციებზე, სათაურზე დაყრდნობით);

ბიჯი 3. ტექსტის გასააზრებლად საჭირო წინარე ცოდნის (ენობრივი, ტექსტობრივი, თემასთან დაკავშირებული) გახსენება-გააქტიურება; საჭიროებისამებრ (ტექსტის სირთულის მიხედვით) რამდენიმე აუცილებელი საკვანძო სიტყვის/მყარი შესიტყვების დამუშავება.

ფაზა: მოსმენის დროს

საკვანძო შეკითხვა: როგორ მოვიქცე, რომ უკეთ გავიგო ტექსტი? როგორ გავიადვილო ტექსტის გაგება?

მოსმენის სტრატეგიები:

ბიჯი 4. პირველი მოსმენა - ტექსტის ზოგადი შინაარსის გასაგებად გაცნობითი მოსმენა:

- ყურადღების გამახვილება მხოლოდ ნაცნობ სიტყვებსა და გამოთქმებზე, არავერბალურ ელემენტებზე (მაგ., მიმიკა-ჟესტიკულაცია, ხმის ტემბრი, ილუსტრაცია);

ბიჯი 5. სხვადასხვა ტიპის აქტივობის გამოყენებით ტექსტის მრავალჯერადი მოსმენა მთლიანი შინაარსის ეტაპობრივი კონსტრუირებისათვის:

მოსმენის სტრატეგიები:

- ჩანიშვნების გაკეთება;
- ინფორმაციის დაჯგუფება, ორგანიზება სხვადასხვა გრაფიკის, სქემის გამოყენებით;
- გაუგებარი მონაკვეთის თავიდან მოსმენა;
- უცნობი სიტყვების მნიშვნელობის გამოცნობა კონტექსტზე დაყრდნობით;
- სელექციური მოსმენა - ყურადღების მიზანმიმართულად გამახვილება კონკრეტულ ინფორმაციაზე.

ფაზა: მოსმენის შემდეგ

საკვანძო შეკითხვები: როგორ გავიგე ტექსტი? რით უკავშირდება ჩემს გამოცდილებას?

რამ შემაფარბა გაგების პროცესში? რატომ გამიჭირდა ტექსტის გაგება? როგორ უნდა გადაემეჭრა ეს პრობლემა? რამ შემიწყო ხელი მოსასმენი ამოცანის წარტმეცებით გადაჭრაში?

ბიჯი 6. გაგებულის გადამოწმება, შეკითხვების, რეფორმულირებების და კომენტარების დახმარებით; დაზუსტება ინფორმაციის, მართებულ ვარიანტამდე მისვლა;

ბიჯი 7. მოსმენილის დაკავშირება საკუთარ გამოცდილებასთან; განცდილის, ნაზრების გაზიარება (ენის ფლობის დაბალ საფეხურზე - მშობლიურ ენაზე);

ბიჯი 8. მეტაკოგნიტური პაუზა: დაფიქრება ტექსტის გაგებისათვის გამოყენებულ მიდგომებთან (მეტაკოგნიცია);

- დაფიქრება გამოყენებული სტრატეგიებზე, ეფექტიანობის შეფასება, შედარება სხვების მიერ გამოყენებულ სტრატეგიებთან;
- გაგების პროცესის გაუმჯობესებისათვის შესაძლო გზების შეთავაზება/მიტითება.

როგორ მოვიქცე ენობრივ-გრამატიკული მასალის ასათვისებლად? როდის რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ?

გარდამავალი ფაზა პროდუცირებისაკენ

ბიჯი 9.

- ტექსტზე დაფუძნებით ენობრივი (ფონეტიკური, ლექსიკური, გრამატიკული) უნარების განვითარება, ახალი ენობრივი მასალის (ლექსიკა, გრამატიკული ფორმები, შესიტყვებები, სამეტყველო ფუნქციები) ათვისება სხვადასხვა ენობრივი აქტივობით;

სწავლის სტრატეგიები:

- ინდუქციური მიდგომა - კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანა;
- დედუქციური მიდგომა - ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობა, განზოგადება და გამოყენება კონკრეტულ მაგალითებში;
- პარალელების გავლება მშობლიურ ან სხვა ენასთან - ნიშანდობლივი ენათშორისი შედარებების გაკეთება შესასწავლი ენის სისტემისა და ფუნქციონირების გაგების ხელშესაწყობად;
- დამახსოვრების ხერხების გამოყენება - მაგ., რამდენჯერმე გადაწერა ან ხმამაღლა გამეორება, დაჯგუფება, კონტექსტში ჩასმა/გამოყენება, ასოცირება, ჩანიშვნების გაკეთება და სხვ.

ლაპარაკი

საკვანძო შეკითხვები: როგორ მოვიქცე, რომ წარმატებით გავართვა თავი ზეპირ საკომუნიკაციო ამოცანას?

როდის რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ? რატომ არის მნიშვნელოვანი მეტაკოგნიტური სტრატეგიები?

ბიჯები და სწავლის სტრატეგიები

ფაზა: მომზადება კომუნიკაციისთვის

საკვანძო შეკითხვა: როგორ მოვემზადო ზეპირი კომუნიკაციისთვის?

ბიჯი 1. დავალების მოთხოვნათა ნათლად გააზრება, საჭიროებისამებრ, დამატებითი დაზუსტებების მოთხოვნა;

ბიჯი 2. საკომუნიკაციო სიტუაციის ელემენტების დაზუსტება (თემა, მიზანი, ადრესატი/აუდიტორია, კონტექსტი, ტექსტის ტიპი);

ბიჯი 3. მომზადება აუდიტორიის წინაშე გამოსასვლელად;

სწავლის სტრატეგიები

- ცოდნის მობილიზება - საჭირო ენობრივი რესურსების (შესიტყვებების, კლიშეების, საკვანძო სიტყვების, სამეტყველო აქტების, გრამატიკული ფორმების) გახსენება და/ან მოძიება და ჩანიშვნა. საჭიროებისამებრ, დამატებითი ინფორმაციის მოძიება-ჩანიშვნა
- გეგმის მომზადება (პრეზენტაციის შემთხვევაში - საპრეზენტაციო მასალის);
- რეპეტიციის გავლა - წარმოთქმის, ინტონაციის, თავისუფლად მეტყველების უნარის გასავარჯიშებლად, ღელვის შესამცირებლად; ვარჯიშისას ხმის, არავერბალური ელემენტების - სახის გამომეტყველების, ქესტიკულაციის გაკონტროლება.

ზეპირი კომუნიკაციისას

საკვანძო შეკითხვა: როგორი სტრატეგიები გამოვიყენო ზეპირი კომუნიკაციის ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად?

ბიჯი 4. გამოსვლა აუდიტორიის წინაშე;

- სტრატეგია - პარაფრაზირება - საუბრის დროს სიტყვის დავიწყების/არცოდნის შემთხვევაში საკომპენსაციო საშუალებების (მაგ., ქესტიკულაციით მითითება, ნაგულისხმევი საგნის აღწერა ან მისი დანიშნულების აღნიშვნა) გამოყენება.

ფაზა: ზეპირი კომუნიკაციის შემდეგ

საკვანძო კითხვები: რატომ ვერ გადაჭკერი წარმატებით საკომუნიკაციო ამოცანა? როგორ სტრატეგიების გამოვიყენე? რამ შემაფერხა? როგორ გავაუმჯობესო ზეპირი მეტყველების უნარი? რამ შემიწყო წინსვლაში ხელი?

ბიჯი 5. საკუთარი გამოსვლის შეფასება - წარმატებული ასპექტებისა და ხარვეზების ამოცნობა;

ბიჯი 6. მეტაკოგნიტური პაუზა: დაფიქრება გამოყენებულ სტრატეგიებზე, გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის შედგენა.

კითხვა

საკვანძო შეკითხვები: როგორ მოვიქცე ტექსტის ტიპის ამოსაცნობად და ტექსტის შინაარსის გასაგებად? რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ? რატომ არის მნიშვნელოვანი მეტაკოგნიტური სტრატეგიები?

ბიჯები და სტრატეგიები

ფაზა: კითხვამდე

საკვანძო შეკითხვა: როგორ მოვემზადო ტექსტის წასაკითხად?

ბიჯი 1. დავალების მოთხოვნათა ნათლად გააზრება და დაზუსტება პირობის გაანალიზების გზით, საჭიროებისამებრ, დამატებითი დაზუსტებების მოთხოვნა;

ბიჯი 2. მომზადება ტექსტის გაგების პროცესის ხელშესაწყობად.

კითხვის წინარე სტრატეგიები:

- სხვადასხვა ხერხით შინაარსის წინასწარ განჭვრეტა (მაგ., ვარაუდის გამოთქმა ილუსტრაციებზე, სათაურზე. ტექსტის სტრუქტურაზე დაყრდნობით)
- ტექსტის გასააზრებლად საჭირო წინარე ცოდნის (ენობრივი, ტექსტობრივი, თემასთან დაკავშირებული) გახსენება-გააქტიურება;
- თუ ტექსტი მოსწავლეთა ენის ცოდნის დონესთან შედარებით რთულია, ტექსტის გაგებისათვის საჭირო საკვანძო სიტყვების/შესიტყვებების ენობრივ ფორმების დამუშავება.

ფაზა: კითხვის დროს, შინაარსის კონტრუირების პროცესი;

საკვანძო შეკითხვა: როგორ მოვიქცე, რომ უკეთ გავიგო ტექსტი? როგორ გავიაღვილო ტექსტის გაგება?

ბიჯი 3. პირველი წაკითხვა ტექსტის ზოგადი შინაარსის გასაგებად გაცნობითი კითხვის სტრატეგიის გამოყენებით;

- **სწავლის სტრატეგიები:**
- ყურადღების მიმართვა ტექსტის სტრუქტურაზე, მის მარჯვნივზე სიტყვიერ და არასიტყვიერ ელემენტებზე; სათაურის/ქვესათაურების, წარწერების, გამოყოფილი სიტყვების, აზნაცების პირველი და/ან ბოლო წინადადების წაკითხვით და მათზე დაყრდნობით შინაარსზე წარმოდგენის შექმნა.

ბიჯი 4. სხვადასხვა აქტივობის გამოყენებით ტექსტის მრავალგვარად დამუშავება მისი შინაარსის ეტაპობრივი კონსტრუირებისათვის;

შესწავლითი კითხვის სტრატეგიები:

- ტექსტის მთლიანად ჩაკითხვა უცნობ სიტყვებზე შეჩერების გარეშე;
- გაუგებარ მონაკვეთებთან მიბრუნება;
- მონაკვეთების, ეპიზოდების წარმოდგენაში გაცოცხლება;
- **გამოცნობა** - უცნობი სიტყვების, გამოთქმების მნიშვნელობის ამოცნობა ნაცნობი ელემენტების (ილუსტრაციების, ნაცნობი ფუძის, კონტექსტის, მშობლიურ ენაში დამკვიდრებული უცხოური სიტყვების და სხვ.) დახმარებით.
- უცნობი სიტყვების ამოწერა და ლექსიკონში ნახვა;
- შეკითხვების დასმა;

- ტექსტის მომდევნო მონაკვეთის შინაარსის განჭვრეტა;
- ინფორმაციის დაჯგუფება სხვადასხვა ხერხის (სემანტიკური რუკის, სქემატური ჩანაწერების, მარგანიზებული გრაფიკის) გამოყენებით;
- ტექსტის მონაკვეთის, აბზაცის შეჯამება;

ფაზა: კითხვის შემდეგ

საკვანძო შეკითხვები: როგორ გავიგე ტექსტი? რით უკავშირდება ჩემს გამოცდილებას?

რამ შემაფარბა გაგების პროცესში? რატომ ვერ გადავჭერი საკითხავი ამოცანა? როგორ უნდა გადაემეჭრა ეს პრობლემა? რამ შემიწყო ხელი წარმატებით საკითხავი ამოცანის წარმატებით გადაჭრაში?

ბიჯი 5. გაგებულის გადამოწმება, შეკითხვების, რეფორმულირებების და კომენტარების დახმარებით; ინფორმაციის დაზუსტება, მართებულ ვარიანტამდე მისვლა;

ბიჯი 6. წაკითხულის დაკავშირება საკუთარ ცხოვრებისეულ თუ წიგნიერ გამოცდილებასთან; განცდილის, ნააზრევის გაზიარება (ენის ფლობის დაბალ საფეხურზე - მშობლიურ ენაზე);

ბიჯი 7. მეტაკოგნიტური პაუზა: დაფიქრება ტექსტის გაგებისათვის გამოყენებულ სტრატეგიებზე, მეტაკოგნიტური პაუზა:

- დაფიქრება გამოყენებულ სტრატეგიებზე, ეფექტიანობის შეფასება, შედარება სხვების მიერ გამოყენებულ სტრატეგიებთან;
- სწავლის პროცესზე დაფიქრება-რეფლექსია, შემაფერხებელი და ხელშემწყობი პირობების გაცნობიერება;
- გაგების პროცესის გაუმჯობესებისათვის შესაძლო გზების შეთავაზება/მითითება.

➤ როგორ მოვიქცე ენობრივ-გრამატიკული მასალის ასათვისებლად? როდის რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ?

ფაზა: გადასვლა რეცეფციიდან პროდუცირებისაკენ

ბიჯი 8. გარდამავალი ბიჯი წერისაკენ - ტექსტის ახალი ენობრივი მასალის (ლექსიკა, გრამატიკული ფორმები, შესიტყვებები, სამეტყველო ფუნქციები და სხვ.) გაგება-გამოყენება სხვადასხვა ტიპის ენობრივი სავარჯიშოებით;

სწავლის სტრატეგიები:

- დამახსოვრების სხვადასხვა ხერხის გამოყენება - (რამდენჯერმე გადაწერა, პერიოდული გამეორება, დაჯგუფება, კონტექსტში ჩასმა, რაიმესთან ასოცირება და სხვ.);
- პარალელების გავლება მშობლიურ ან სხვა ენასთან - ნიშანდობლივი ენათშორისი შედარებების გაკეთება შესასწავლი ენის სისტემისა და ფუნქციონირების გაგების ხელშესაწყობად;
- დედუქცია - ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობა, განზოგადება და გამოყენება კონკრეტულ მაგალითებში;
- ინდუქცია - კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანა;
- დამხმარე რესურსების შექმნა-გამოყენება (მაგ., გრამატიკული ცნობარის; სტრუქტურული მოდელები).

წერა

➤ როგორ მოვიქცე იმისთვის, რომ შევძლო წერილობითი ტექსტის შექმნა? როდის რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ? რატომ არის მნიშვნელოვანი მეტაკოგნიტური სტრატეგიები?

ბიჯები და სტრატეგიები

ფაზა: წერის წინა სამზადისი

საკვანძო: როგორ მოვემზადო წერითი ამოცანის გადასაჭრელად?

ბიჯი 1. წერის ჩანაფიქრის გამოკვეთა;

წერის წინარე სტრატეგიები:

- საკომუნიკაციო სიტუაციის განსაზღვრა - წერის მიზნისა და ადრესატის განსაზღვრა, თემისა და ტექსტის სახეობის შერჩევა.
- იდეების გენერირება - იდეების მოფიქრება-ჩამოყრა.
- ცოდნის მობილიზება/თავმოყრა - საჭირო ცოდნის (ენობრივი, ტექსტობრივი, თემასთან დაკავშირებული და სხვ.) გონებაში მოძიება-გააქტიურება; საჭიროებისამებრ, დამატებითი ინფორმაციის მოძიება სათანადო რესურსებში.
- იდეების დაჯგუფება - იდეების დახარისხება, ურთიერთდაკავშირება მარგანიზებელი სქემების გამოყენებით.
- დამხმარე რესურსების მობილიზება - სტრუქტურული მოდელი, საკვანძო სიტყვები, გრამატიკული ცნობარი, დახარისხებული ლექსიკური ერთეულები, ჩანიშვნები).

ბიჯი 2. გეგმის შედგენა დაჯგუფებულ იდეებზე დაყრდნობით.

ფაზა: წერის დროს

საკვანძო შეკითხვა: როგორ მოვიქცე წერითი ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად?

ბიჯი 3. პირველადი ვარიანტის შედგენა გეგმაზე დაყრდნობით.

• ფაზა: წერის შემდეგ

რატომ ვერ გადავჭერი წარმატებით წერითი ამოცანა? როგორ სტრატეგიების გამოვიყენე? რამ შემაფერხა? რამ შემიწყო ხელი ამოცანის წარმატებით გადაჭრაში? როგორ გაიუმჯობესო წერითი მეტყველების უნარი?

ბიჯი 4. პირველადი ვარიანტის გაუმჯობესება.

სწავლის სტრატეგიები:

- ნაწერის პოტენციური მკითხველის თვალთახედვით შეფასება;
- შინაარსობრივი, სტრუქტურული შესწორებების შეტანა;
- გრამატიკული და ორთოგრაფიული შეცდომების გასწორება დამხმარე რესურსების და ისტ-ის გამოყენებით;

ბიჯი 5. საბოლოო ვარიანტის შემუშავება და გაფორმება.

თემის შემაჯამებელი (კომპლექსური) დავალებები შესაბამისი შეფასების რუბრიკებით

დ) შეფასება

საბაზო საფეხურის ნებისმიერ კლასში საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესი ადგილი უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც მოსწავლეს თავისთავად წინარე შედეგებთან მიმართებით აფასებს, ზომავს მის ინდივიდუალურ წინსვლას, რითაც მას ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირების საშუალებას აძლევს.

შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება

შემაჯამებელი შეფასებისათვის გამოიყენება კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოითხოვს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ინტეგრირებულად და ფუნქციურად გამოყენებას. ამ დავალებათა შესაფასებლად გამოიყენება შეფასების რუბრიკები, ანუ კრიტერიუმების ბადე.

ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისათვის

სტანდარტში შემოთავაზებულია ტიპობრივ დავალებათა ფართო არჩევანი. შემაჯამებელი შეფასებისათვის მასწავლებელი და/ან მოსწავლე შეარჩევს დავალების სასურველ ტიპს/ტიპებს.

- შემეცნებითი ხასიათის კონკრეტული საკითხის გამოკვლევა (მაგ. „რა ვიცი თუ წყლის შესახებ“, „ჩვენი უცხოელი თანატოლების სასკოლო ცხოვრება“) და ძიების შედეგების წარმოდგენა სასურველი ფორმატით (მაგ., პრეზენტაცია, პოსტერი, ბროშურა);
- მინი სოციალური კვლევა ყმაწვილებისათვის საინტერესო საკითხზე (მაგ. „რა მუსიკას უსმენენ ჩვენი თანატოლები“, „რა გადაცემებს ვუყურებთ უმეტესწილად“) კითხვარის შედგენა, გამოკითხვის ჩატარება, მონაცემების გაანალიზება და ზეპირი ან წერილობითი ანგარიშის წარდგენა; კორესპონდენციაში მონაწილეობა (წერილების მიწერა რეალური ან წარმოსახვითი უცხოელი თანატოლისთვის, ანონონიმური საკლასო მიმოწერა განვლილ თემატიკასთან დაკავშირებულ საკითხზე, რომელშიც ადრესატები ცდილობენ ამოიცნონ ავტორი.);
- ინტერვიუება აქტუალურ საკითხზე (მაგ., „როგორია შენი ოცნების სკოლა“, „უნდა გყავდეს თუ არა შინაური ცხოველები?“) კითხვების მომზადება, ინტერვიუების აღება/მიცემა და შედეგების წარდგენა.
- კულტურათა დიალოგის ხელშემწყობი პროექტის/აქტივობის განხორციელება (მაგ., ორენოვანი ტურისტული ვებგვერდის/ბუკლეტის; უცხო ქვეყნის დღესასწაულთა კალენდარის შექმნა, თეატრალური წარმოდგენა და სხვ.);
- შემოქმედებითი პროდუქტების შექმნა და წარდგენა (მაგ., სკეტჩი, რეპი, კლიპი, ვიდეორგოლი, რეკლამა, თანატოლთა ნაკეთობების კატალოგი და სხვ.);
- ტექსტის სხვა ფორმატში „გადაწერა“ (მაგ., ბიოგრაფიის საფუძველზე ბიოგრაფიული ცნობარის შედგენა, დღის წესრიგის საფუძველზე - დღიურის და სხვ.)

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასებისათვის განკუთვნილი დავალება

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე;

კონკრეტული რუბრიკის ნიმუშები

ნიმუში 1. შემაჯამებელი დავალება ზეპირმეტყველებაში

დავალების პირობა: მოცემულ სურათზე დაყრდნობით შეადგინე და მოყევი ამბავი - რა ხდებოდა სურათის გადაღებამდე ორი-სამი საათით ადრე და რა მოხდა შემდეგ. დააზუსტე პერსონაჟთა ვინაობა, დაახასიათე ისინი, გადმოეცი ამბები, მიუთითე მოქმედებათა თანამიმდევრობა, დრო და ადგილი. საუბრის მინიმალური დრო - 2 წუთი

კრიტერიუმების ბადე ზემოთ მოცემული შემაჯამებელი ზეპირი დავალებისათვის	ქულები	კომენტარი
პირობასთან შესაბამისობა		
იცავს დროის ლიმიტს	0 - 1	
იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს	0 - 1	
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები		
თანამიმდევრულად აღწერს/გადმოსცემს მოქმედებებს	0 - 1	
განსაზღვრავს მოქმედების დროსა და სივრცეს	0 - 1	
ენობრივი უნარ-ჩვევები		
იყენებს ნასწავლი დროის გამომხატველ გრამატიკულ კონსტრუქციებსა და ენობრივ ფორმებს	0 - 1	
ადეკვატურად იყენებს ზმნის წარსული დროის გამომხატველ ფორმებს	0 - 1	
იყენებს ნასწავლ ლექსიკას	0 - 1	
შემოქმედებითი უნარ-ჩვევები		
ავლენს ფანტაზიის უნარს, ორიგინალურობას	0 - 1	
იჩენს გაბედულებას ენობრივი თვალსაზრისით	0 - 1	

ე) ტერმინოლოგიური ლექსიკონი

უცხოური ენების სტანდარტის სპეციფიკური ტერმინები

- **მაკრო-ფუნქციები** არის კატეგორიები, რომლებიც განსაზღვრავენ წერილობითი ან ზეპირი დისკურსის (გამონათქვამთა ბმული თანამიმდევრობის) ფუნქციურ გამოყენებას.
- **მიკროფუნქციები** არის კატეგორიები, რომლებიც განსაზღვრავენ ცალკეული გამონათქვამების ფუნქციურ გამოყენებას.
- **მოქმედებაზე ორიენტირებულ მიდგომა** (action-oriented approach) - ენების დიდაქტიკის ახალ პარადიგმას წარმოადგენს. განსხვავებით კომუნიკაციური მიდგომისაგან, რომელიც არსებითად ინფორმაციის გაცვლაზე იყო ორიენტირებული, ამ ახალ პარადიგმაში ენების სწავლა-სწავლების მთავარ ამოცანას შეადგენს სოციალურ კონტექსტებში სხვადასხვა ტიპის საქმიანობათა უცხოურ ენაზე განხორციელების უნარების განვითარება. თუკი კომუნიკაციური მიდგომის მთავარ საგაკვეთილო აქტივობას „სიმულაცია“ შეადგენდა, ამ ახალი მიმართულების მიხედვით, პროექტული სწავლა-სწავლებაა პრიორიტეტული.
- **ტექსტის სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტები:**
 - ✓ არავერბალური ელემენტები: ილუსტრაცია, ჟესტ-მიმიკა, ლოგო, სქემა, შრიფტის სახესხვაობა, ზომა და სხვ.
 - ✓ ვერბალური ელემენტები: სათაური, თავი, რუბრიკა, აბზაცი;
- **სტრატეგიები:**
 - ✓ **მოსმენის/კითხვის წინარე სტრატეგიები** -
 - პირობის გააზრება;
 - ვარაუდების გამოთქმა;
 - ცოდნის მობილიზება - გულისხმობს ორი ტიპის ქმედებას: 1) იმ წინარე ენობრივი თუ თემასთან დაკავშირებული წინარე ცოდნის გონებაში მოძიება-გააქტიურებას, რომელიც უკავშირდება დასამუშავებელ ახალ საკითხებს; 2) საჭიროებისამებრ, ტექსტის გაგებისათვის აუცილებელი საკვანძო ლექსიკური ერთეულების ან გრამატიკული საკითხის დამუშავებას, დამატებითი ინფორმაციის მოძიებას სათანადო რესურსებში.
 - ✓ **სტრატეგიები მოსმენის/კითხვის დროს და შემდეგ** -
 - **გაცნობითი კითხვა** - გულისხმობს ტექსტის ზოგადი შინაარსის გასაგებად ყურადღების მიმართვას ტექსტის ორგანიზებაზე, მის სტრუქტურულ ერთეულებზე; ტექსტის შინაარსზე აზრის შესაქმნელად სათაურის/ქვესათაურების, ილუსტრაციების, წარწერების, გამოყოფილი სიტყვების, აბზაცების პირველი და/ან ბოლო წინადადების წაკითხვა (გაცნობითი მოსმენის შემთხვევაში მსმენელი ყურადღებას გაამახვილებს ნაცნობ სიტყვებსა და შესიტყვებებზე, არავერბალურ ელემენტებზე (ინტონაცია, მიმიკა-ჟესტიკულაცია, ხმის ტემბრი და სხვ.);
 - **სელექციური კითხვა/მოსმენა** - გულისხმობს ყურადღების მიზანმიმართულად წარმართვას არა მთლიან შინაარსზე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტულ ინფორმაციაზე.
 - **შესწავლითი კითხვა:** გულისხმობს ტექსტის დეტალურ დამუშავებას სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით. ამგვარ სტრატეგიებს წარმოადგენს:
 - **მთლიანად გადაკითხვა** - ტექსტის მთლიანად ჩაკითხვა უცნობ სიტყვებზე შეჩერების გარეშე თემატიკის/მთავარი საკითხების შესახებ აზრის შესაქმნელად;

- გონებაში დამუშავება - ტექსტის ცალკეული მონაკვეთის/აზნაყის შინაარსის წარმოდგენაში გაცოცხლება, წინარე ცოდნასთან დაკავშირება და დამუშავება;
- გამოცნობა გულისხმობს უცნობი სიტყვების, გამოთქმების მნიშვნელობის ამოცნობას ნაცნობი ელემენტების (კონტექსტის, მშობლიურ ენაში დამკვიდრებული უცხოური სიტყვების ილუსტრაციების, ნაცნობი ფუძის, მიმიკის და სხვ.) დახმარებით;
- უცნობი სიტყვების ამოწერა - ლექსიკონის დახმარებით უცხო სიტყვების მნიშვნელობის ამოცნობა;
- მიბრუნება - გაუგებარ, რთულ, ბუნდოვან მონაკვეთებთან მიბრუნება;
- შეკითხვების დასმა - ტექსტის მონაკვეთების ერთმანეთთან დასაკავშირებლად;
- ინფორმაციის დაჯგუფება - ინფორმაციის ორგანიზების სხვადასხვა ხერხის (სემანტიკური რუკის, სქემატური ჩანაწერების, ტაბულის, გრაფიკის) გამოყენება;
- ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთის/აზნაყის შეჯამება.

➤ ლაპარაკის სტრატეგიები:

- ცოდნის მობილიზება;
- რეპეტიცია;
- პარაფრაზირება - სიტყვის დავიწყების/არცოდნის შემთხვევაში საკომპენსაციო საშუალებების (მაგ., უესტიკულაციით მითითება, ნაგულისხმევი საგნის აღწერა ან მისი დანიშნულების აღნიშვნა) გამოყენებას.

➤ წერის წინარე სტრატეგიები:

- კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებლების (მიზნისა და ადრესატის, ადგილის) განსაზღვრა;
- იდეების გენერირება (დაბადება) - გულისხმობს იდეების მოფიქრება-ჩანიშვნას.
- იდეების დაჯგუფება - გულისხმობს იდეების ურთიერთდაკავშირებას, მათ შორის არსებული მიმართებების გამოკვეთას მარგანიზებელი სქემების გამოყენებით.
- ცოდნის მობილიზება;
- გეგმის შედგენა;

➤ სტრატეგიები წერის დროს და წერის შემდგომ -

- პირველადი ვარიანტის შედგენა;
- პირველადი ვარიანტის გაუმჯობესება - ნაწერის პოტენციური მკითხველის თვალთახედვით შეფასება; შინაარსობრივი, სტრუქტურული, ენობრივი შესწორებების შეტანა; გრამატიკული და ორთოგრაფიული შეცდომების გასწორება დამხმარე რესურსების და ისტ-ის გამოყენებით; ნაწერის გაფორმება და გამოქვეყნება;

➤ სტრატეგიები ლექსიკისა და გრამატიკის შესასწავლად:

- ენათშორისი პარალელების გავლენა;
- დამახსოვრების სხვადასხვა ხერხის გამოყენება;
- დედუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობას, განზოგადებას და გამოყენებას კონკრეტულ მაგალითებში.
- ინდუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანას.

➤ სწავლის პროცესის მართვა (მეტაკოგნიტური სტრატეგიები) -

- აქტივობის/დავალბების ღირებულების განჭვრეტა ანუ მოსწავლის მიერ იმ პიროვნული თუ სოციალური სარგებლის დანახვა, რომელსაც მოუტანს მას ამა თუ იმ აქტივობის შესრულება.

სასკოლო აქტივობების ღირებულების დანახვა მოტივაციის გაზრდის მნიშვნელოვანია ფაქტორია.

- სწავლის პროცესზე დაფიქრება (მეტაკოგნიტური პაუზა - სასწავლო აქტივობაში გამოყენებული სტრატეგიების გაანალიზება და შეფასება მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით და სათანადო დასკვნების გამოტანა;
- ენის სწავლის შემაფერხებელი და ხელშემწყობი ფაქტორების გაცნობიერება და მათი გათვალისწინებით წინსვლის ხელშეწყობა.

ვ) დანართი

გრამატიკა

Grammar

Nouns: Countable/Uncountable; Possessives; Regular/Irregular plural;

Articles: Definite, indefinite, zero;

Adjectives: Comparative/Superlative;

Adverbs: of time/place/frequency/degree/manner; Comparative/Superlative;

Numbers: Cardinal/Ordinal;

Pronouns: Personal, possessive, indefinite, demonstrative, reflexive, interrogative, reciprocal;

Verbs: Basic forms, V+ing; Regular/Irregular; Main/Auxiliary; Intransitive/Transitive; Linking, Phrasal, Modal; Verb patterns: Would+infinitive, V+infinitive, V+ing, etc.

Verb forms: Active - Present simple/continuous/perfect;

Past simple/continuous/perfect;

Preset perfect continuous;

Future forms: will+infinitive, going to, present continuous, present simple;

Future continuous;

Passive – Present simple/continuous/perfect/future; Past simple/continuous;

Prepositions: of time, place, direction, movement;

Conjunctions: Coordinating/Subordinating;

Types of sentences: Declarative/Imperative/Interrogative;

Elements of a sentence: Word order - Subject/Verb/Object;

Question forms: Yes/No, Wh, tag;

Sentence structure: Simple/Compound/Complex;

Conditionals: Zero/first, Wish+past simple;

Reported speech: Range of tense, reported questions/imperatives;

Wordbuilding: Suffixes/Prefixes/Compound words;

There is/are, used to+Verb, let/make+Object+Verb.

(ამოქმედდეს 2019 წლის 15 სექტემბრიდან)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 11.05.2018წ.

მუხლი 69. მეორე უცხოური ენის სტანდარტი

1. მეორე უცხოური ენა დაწყებით საფეხურზე

შესავალი

დაწყებით საფეხურზე უცხოური ენის სწავლა-სწავლების პრიორიტეტული მიზნებია:

- მოსწავლის ენობრივი ცნობიერების განვითარება;
- მეორე უცხოურ ენაზე ენობრივ-საკომუნიკაციო უნარების განვითარება;
- ენობრივ-კულტურული გამოცდილების გამდიდრება;
- ენის სწავლის უნარ-ჩვევების განვითარება.

მიმართულებების აღწერა

დასახული მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად უცხოური ენის სწავლება სამი მიმართულებით უნდა გაიშალოს: **1. ზეპირი მეტყველება (მოსმენა/მოსმენა-ყურება და ლაპარაკი), 2. წერითი მეტყველება (კითხვა და წერა), 3. ინტერკულტურა.**

მიმართულება: ზეპირი მეტყველება

ეს მიმართულება აერთიანებს ორ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ სამეტყველო ქცევას - **მოსმენა/მოსმენა-ყურებასა და ლაპარაკს** და ამ სამეტყველო აქტივობათა თანმხლებ სტრატეგიებს, რომლებიც მოსწავლეს გაუადვილებს საკომუნიკაციო მიზნების მიღწევას.

ამ მიმართულების ფარგლებში გამოიყენება ზეპირი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ისეთი ტიპისა და შინაარსის ტექსტები, რომლებიც სირთულით შეესაბამება სტანდარტით მოთხოვნილ დონეს. ასეთი ტიპის ტექსტებს წარმოადგენს თემატური დიალოგი, მონოლოგი, ინტერვიუ, სკეტჩი, რიტმული ტექსტი, რეპი და მისთ.

მოსმენის, რეპროდუცირებისა და პროდუცირების უნარების განსავითარებლად და განსამტკიცებლად აუცილებელია, მოსწავლეებმა მოსმენასა და ლაპარაკში ერთი და იმავე შინაარსისა და სახეობების ტექსტებზე იმუშაონ.

მიმართულება: წერითი მეტყველება

ეს მიმართულებაც აერთიანებს ორ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ სამეტყველო ქცევას - **კითხვასა და წერას** და ამ სამეტყველო აქტივობათა თანმხლებ სტრატეგიებს, რომლებიც მოსწავლეს გაუადვილებს საკომუნიკაციო მიზნების მიღწევას.

ამ მიმართულების ფარგლებში გამოიყენება წერითი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ტექსტის ისეთი ტიპები და სახეობები, რომლებიც სირთულით შეესაბამება სტანდარტით მოთხოვნილ დონეს. ასეთი ტიპის ტექსტებს წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის განრიგი, მეგობრული წერილი, დღიური, ამბავი, მენიუ, კულინარული რეცეპტი, ფილმის ანოტაცია, ცნობარი და სხვ.

კითხვის უნარებზე მუშაობისას მოსწავლეები დაეუფლებიან ორი ტიპის უნარს - გაწაფულ კითხვას, ანუ კითხვის ტექნიკასა და წაკითხულის გაგება-გააზრებას.

კითხვაში დამუშავებული ტექსტები გამოიყენება როგორც ენობრივი უნარების, ისე წერითი კომუნიკაციის უნარების განსავითარებლად. მოსწავლე, ერთი მხრივ, დააკვირდება ამ ტექსტებში წარმოდგენილ ენობრივ მექანიზმებს და გაივარჯიშებს მათ წარმოებაზე. მეორე მხრივ, იგი ამ ტექსტებს გამოიყენებს მოდელურად, რომლითაც იხელმძღვანელებს მსგავსი პროდუქტის შესაქმნელად.

მიმართულება: ინტერკულტურა

უცხოური ენის სწავლა ნიშნავს უცხო სამყაროში შესვლას, ცხოვრების განსხვავებული წესების, ტრადიციების აღმოჩენას, განსხვავებული ღირებულებების, მენტალობების გაგებას. ამდენად, წარმატებული კომუნიკაცია დამოკიდებულია არა მხოლოდ სამეტყველო უნარ-ჩვევებზე, არამედ განსხვავებული კულტურული კონტექსტების გაგებისა და პატივისცემის უნარზეც. სწორედ ამ უნარებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას ემსახურება მიმართულება **ინტერკულტურა**.

მოსწავლეებს საშუალება მიეცემათ, ამოიცნონ უცხო კულტურის თავისებურებები, გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება, შეაფასონ და პარალელები გაავლონ საკუთარ კულტურულ გამოცდილებასა თუ გარემოსთან. ასეთი სახის აქტივობები მოსწავლეებს კულტურული კუთვნილების განცდას გაუძლიერებს, საშუალებას მისცემს, გააცნობიერონ კულტურული მრავალფეროვნება, ასწავლოს საკუთარი და უცხოური კულტურის დაფასება.

ა) V-VI კლასების სტანდარტი

დაწყებითი საფეხურის ბოლოს მისაღწევი შედეგები

ინდექსების განმარტება

დაწყებით საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **IIუცხ.დაწყ.(II)1.**:

- „**IIუცხ.**“ - მიუთითებს საგანს „მეორე უცხოური ენა“;
- „**დაწყ.**“ - მიუთითებს დაწყებით საფეხურს;
- „**(II)**“ - მიუთითებს, რომ სტანდარტი მოიცავს V-VI კლასებს;
- „**1**“ - მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

მეორე უცხოური ენის სტანდარტის შედეგები (V-VI კლასები)	
	მიმართულება: ზეპირი მეტყველება (მოსმენა/მოსმენა-ყურება და ლაპარაკი)
შედეგების ინდექსი	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
IIუცხ.დაწყ.(II)1.	სტანდარტით განსაზღვრული თემატიკის შემცველი მცირე ზომის ტექსტების გაგება.
IIუცხ.დაწყ.(II)2.	სიტყვების, წინადადებებისა და ტექსტების გარკვევით და შესაბამისი ინტონაციისა თუ მახვილების დაცვით წარმოთქმა.
IIუცხ.დაწყ.(II)3.	სტანდარტით განსაზღვრულ თემატიკაზე მარტივი ენით ინტერაქცია და რამდენიმე წინადადებიანი მონოლოგის წარმოთქმა.
IIუცხ.დაწყ.(II)4.	ზეპირი მეტყველების სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.
	მიმართულება: წერითი მეტყველება (კითხვა და წერა)
შედეგების ინდექსი	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
IIუცხ.დაწყ.(II)5.	გაწაფულად კითხვა.
IIუცხ.დაწყ.(II)6.	სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების გაგება.

II უცხ. დაწყ. (II)7.	მოდელის ან კონკრეტული საყრდენების მიხედვით ნასწავლ თემატიკაზე მცირე მოცულობის ტექსტების შედგენა.
II უცხ. დაწყ. (II)8.	წერიითი მეტყველების სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.
მიმართულება: ინტერკულტურა	
შედეგების ინდექსი	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
II უცხ. დაწყ. (II)9.	საკუთარი და უცხო კულტურის რეალიების ამოცნობა და სოციოკულტურული კონტექსტების შედარება.
II უცხ. დაწყ. (II)10.	თანატოლებთან და მასწავლებელთან ერთად სხვადასხვა ტიპის პროექტების დაგეგმვა და განხორციელება.

შინაარსი

შედეგების მიღწევა დაეფუძნება შემდეგ შინაარსს:

თემატიკა

ინდივიდი: პირადი მონაცემები, წარმომავლობა, სხეული, გარეგნობა, ტანსაცმელი;

ინდივიდის გარემოცვა: ოჯახი, ნათესავები, მეგობრები; ცხოველთა/ფრინველთა სამყარო; ბუნება/ბუნების მოვლენები; საცხოვრებელი ადგილი, ქალაქი, სოფელი; ამინდი; საყოფაცხოვრებო ნივთები; სკოლა/სასკოლო ნივთები, სასკოლო საგნები; დღესასწაულები/ზეიმები;

აქტივობები: ყოველდღიური საქმიანობა, დღის/კვირის განრიგი, თავისუფალი დროის გამოყენება, ჰობი, სპორტი, თამაშები, საყიდლები, კვება;

ორიენტირები: წელიწადის დროები, თვეები, კვირის დღეები, დღე და ღამე;

მახასიათებლები: ფერი, ზომა, ფორმა, რაოდენობა.

სოციოკულტურა და კულტურა

- დღესასწაულები და ტრადიციები: რამდენიმე მნიშვნელოვანი დღესასწაული, მათი თავისებურებები, დეკორაციები, ტრადიციული კერძები, პერსონაჟები და სხვა;
- კვება: მოზარდის ჩვეული საუზმე;
- თავისუფალი დრო/გართობა/დასვენება: ტიპობრივი აქტივობები;
- სასკოლო საგნები, სასკოლო კვირის განრიგი;
- საკუთარი სახელები და კნინობითი ფორმები;
- შესასწავლი ქვეყნის სახელმწიფო სიმბოლოები;
- შესასწავლი ქვეყნის დედაქალაქი/ქალაქი და მისი რამდენიმე ღირსშესანიშნაობა.

ტექსტის ტიპები

ა) **პრაგმატული ტექსტები:** მითითება, სავარჯიშოს პირობა, ინსტრუქცია, საჯარო წარწერა (გამაფრთხილებელი წარწერა, გაჩერების/მაღაზიის/საჯარო შენობის დასახელება, აბრა), ანკეტა, დღის/კვირის განრიგი, გაკვეთილების ცხრილი, ბილეთი, კატალოგი, სამარშრუტო გეგმა, მენიუ, კულინარული რეცეპტი, ღია ბარათი, მეგობრული წერილი, მარტივი შეტყობინება, ამინდის პროგნოზი.

ბ) **სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) და ადაპტირებული ტექსტები:**

- თემატური დიალოგი, მონოლოგი, მარტივი თხრობითი ან აღწერითი ტექსტები და სხვა;
- ადაპტირებული სტატიები საბავშვო ჟურნალ-გაზეთებიდან და სხვა.

გ) საბავშვო ლიტერატურა: ლექსები, გათვლები, ენის გასატეხები, ადაპტირებული ზღაპრები.

დ) მულტიმედიური ტექსტები: კომიქსები, საბავშვო სიმღერები, სხვადასხვა სახის აუდიო-ვიდეო რესურსები, ანიმაციური ფილმები, საბავშვო გადაცემები და სხვა.

ენობრივი საშუალებები

სამეტყველო აქტები

ინტერაქცია სოციალური ურთიერთობებისას: მისალმება, მოკითხვა, დამშვიდობება, გაცნობა, მოზოდინება, მადლობის გადახდა, მილოცვა, შეთავაზება, დახმარების თხოვნა, ნებართვის აღება/მიცემა;

ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად: პირადი მონაცემების (ვინაობა, წარმომავლობა, ასაკი, მისამართი, ტელეფონის ნომერი) გაცვლა; ადამიანის/ცხოველის/საგნის/საქმიანობის აღწერა/დახასიათება; თარიღის, საქმიანობის, ჯანმრთელობის, ამინდის გაგება;

ინტერაქცია შეხედულებებისა და დამოკიდებულებების შესახებ: მოწონება/არმოწონება; სურვილისა და ინტერესის გამოხატვა; დადებითი და უარყოფითი შეფასება; დათანხმება, უარყოფა, აკრძალვა;

ინტერაქცია ემოციებისა და შეგრძნებების შესახებ: ემოციებისა (სიხარული, ბრაზი, წუხილი, გაცემა, შიში) და შეგრძნებების (ტკივილი, წყურვილი, შიმშილი, სიცივე, სიცხე) გამოხატვა;

ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ: დროის მითითება, ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება.

გრამატიკა

დაწყებით საფეხურზე ენობრივი საკითხების სწავლება ხორციელდება პრაქტიკული აქტივობებით ტერმინების, წესებისა და თეორიული განმარტებების გარეშე. მოსწავლეებმა კონტექსტში უნდა ამოიცნონ და გამოიყენონ საკომუნიკაციო მიზნის განსახორციელებლად საჭირო შემდეგი გრამატიკული საშუალებები:

- დროისა და კილოს გამომხატველი ზმნის ფორმები;
- ადგილმდებარეობის, მიმართულებისა და დროის გამომხატველი მარტივი ენობრივი საშუალებები (მაგ.: ზმნიზედა, წინდებული, შესიტყვება);
- სინტაქსური მიმართებები მარტივი წინადადების წევრებს შორის (მაგ.: ზმნისა და არსებითი სახელის შეთანხმება პირსა და რიცხვში; არსებითი და ზედსართავი სახელების შეთანხმება რიცხვში/სქესში);
- სიტყვათა რიგის დაცვა მარტივ გაუვრცობელ და გავრცობილ წინადადებაში.

ენობრივი საშუალებების დეტალური აღწერა ენების მიხედვით იხილეთ დანართში: „სარეკომენდაციო შინაარსი უცხოური ენებისათვის, V-VI კლასები“.

[2. მეორე უცხოური ენა საბაზო საფეხურზე

შესავალი

საბაზო საფეხურზე მეორე უცხოური ენის სტანდარტი შედგება ექვსი ნაწილებისაგან:

- ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;
- ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი;
- გ) მეთოდოლოგიური ორიენტირები;
- დ) შეფასება;


- ე) ტერმინოლოგიური ლექსიკონი;
- ვ) დანართები - გრამატიკა (ფრანგული, გერმანული, რუსული).

საბაზო საფეხურზე უცხოური ენის შესწავლისას მოსწავლეები უცხოურ ენას ფუნქციურად გამოიყენებენ კომუნიკაციური მიზნებისა თუ სასწავლო საქმიანობათა განსახორციელებლად; დაეუფლებიან ენის სწავლის უნარებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია პირველი და მეორე უცხოური ენების სტანდარტებისა და ევროსაბჭოს ენის ფლობის დონეების საორიენტაციო შესაბამისობა.

	პირველი უცხოური ენა		მეორე უცხოური ენა	
	მოსმენა და კითხვა	წერა და ლაპარაკი	მოსმენა და კითხვა	წერა და ლაპარაკი
I-IV კლასების სტანდარტი	A1.1	A1.1		
V-VI კლასების სტანდარტი	A2.2	A2.1	A1.2	A1.2
VII - IX კლასების სტანდარტი	B1.1	A2.3	A2.2	A2.1

სასკოლო კონტექსტთან ადაპტირების მიზნით ეროვნულ სასწავლო გეგმაში A1, A2, B1 დონეები შემდეგ ქვესიმრავლეებადაა დაშლილი:



ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

მეორე უცხოური ენის სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს:

- უცხოურ ენაზე სხვადასხვა ტიპის ზეპირი და წერილობითი ტექსტების გაგებისა და შექმნა-გაზიარების უნარების განვითარებას;
- უცხოური ენის გამოყენების უნარის განვითარებას პრაგმატული თუ საგანმანათლებლო მიზნების განსახორციელებლად;
- ენობრივ-კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარის ჩამოყალიბებას;
- ენების ეფექტიანად სწავლისთვის საჭირო უნარ-ჩვევები;
- სასწავლო საქმიანობაში წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის უნარის განვითარებას კონსტრუქციული თანამშრომლობის გზით.

ამ მიზნებზე მუშაობით მეორე უცხოური ენა თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას, რა უნდა შეეძლოს საბაზო საფეხურის მოსწავლეს მეორე უცხოურ ენაში. ეს შედეგები ჯგუფდება სამ მიმართულებად:

ტექსტის მოსმენა/წაკითხვა და გაგება - მოიცავს სტრატეგიებს, რომლებსაც უნდა დაეუფლოს მოსწავლე უცხოენოვანი ტექსტების გასაგებად სოციოკულტურული კონტექსტების თავისებურებათა გათვალისწინებით.

წერა და ლაპარაკი - გულისხმობს სტრატეგიებს, რომელთა საშუალებითაც უნდა შეძლოს მოსწავლემ უცხო ენაზე ზეპირი და წერიტი კომუნიკაცია.

საქმიანობა უცხოური ენის გამოყენებით - გულისხმობს სოციალურ კონტექსტებში სხვადასხვა ტიპის საქმიანობათა უცხოურ ენაზე განხორციელებას. იგი შეესაბამება ენების დიდაქტიკის ახალ პარადიგმას - მოქმედებაზე ორიენტირებულ მიდგომას (action-oriented approach).

სტანდარტის შინაარსი განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულო ცნებების, თემატური ჩარჩოების, საგნობრივი საკითხების სახით.

საბაზო საფეხურის სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ცნებები და ფუნქციური სამეტყველო მოქმედებები უნდა დამუშავდეს შინაარსიან კონტექსტებში. ეს კონტექსტები თემატური ჩარჩოს სახითაა განსაზღვრული. მასწავლებლის თუ ავტორის მიერ შერჩეული სასწავლო თემები საბაზო საფეხურის სამივე კლასისთვის უნდა გამომდინარეობდეს სტანდარტის თემატურ ბლოკიდან.

თემატური ჩარჩო საბაზო საფეხურის სასწავლო თემებისათვის აჩვენებს იმ კონტექსტებს, რომლებშიც უნდა შეძლოს მოსწავლემ უცხოური ენის გაგება-გამოყენება.

სტანდარტის შედეგების ინდექსების განმარტება

სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების საფეხურსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., II უცხ.საბ.1.:

„II უცხ“ - მიუთითებს მეორე უცხოურ ენაზე;

„საბ“ - მიუთითებს საბაზო საფეხურზე;

„1“ - მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერზე.

მეორე უცხოური ენის სტანდარტი		
შედეგის ინდექსი	მიმართულება: ტექსტის მოსმენა/წაკითხვა და გაგება (რეცეფცია)	ცნებები
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
II უცხ.საბ.1.	მოსმენამდე/კითხვამდე ტექსტის ტიპის განსაზღვრა მისი სტრუქტურული და სიტუაციური მახასიათებლების ამოცნობის გზით;	ტექსტის ტიპი

IIუცხ.საბ.2.	ნასწავლი ენობრივ-გრამატიკული საშუალებებისა და მოსმენის/კითხვის სტრატეგიების გამოყენებით ტექსტის შინაარსის ეტაპობრივად კონსტრუირება;	ტექსტის სტრუქტურული ელემენტები
IIუცხ.საბ.3.	ტექსტის შინაარსის დაკავშირება საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებასთან, მის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების განსაზღვრა;	საკომუნიკაციო სიტუცია
IIუცხ.საბ.4	ტექსტებში ასახული სოციოკულტურული თავისებურებების ამოცნობა და მათ მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა;	კულტურათმორის დიალოგი
IIუცხ.საბ.5	ტექსტის გაგების პროცესში წარმოქმნილი დაბრკოლებების გაანალიზება, მათი გადალახვის გზების დასახვა (სწავლის პროცესის მართვა - მეტაკოგნიტური სტრატეგია).	სტრატეგიები
მიმართულება: წერა და ლაპარაკი (პროდუცირება)		ლექსიკა
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	გრამატიკა
IIუცხ.საბ.6	ზეპირი საკომუნიკაციო სიტუაციის/მიზნის შესაბამისი სამეტყველო მოქმედებების შესრულება სათანადო სტრატეგიების გამოყენებით;	ფუნქციური სამეტყველო მოქმედებები
IIუცხ.საბ.7.	ნასწავლი ენობრივი საშუალებებით საკომუნიკაციო მიზნის შესაბამისი წერილობითი ტექსტის პირველადი ვარიანტის შემუშავება;	
IIუცხ.საბ.8.	პირველადი ვარიანტის ცალკეული აზრების, მთლიანი ტექსტის ენობრივი, შინაარსობრივი თუ სტრუქტურული გაუმჯობესება, საბოლოო ვარიანტის სათანადოდ გაფორმება;	
IIუცხ.საბ.9.	წერამდე, წერის დროს და წერის შემდგომ ფაზებში შესაბამისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება;	
IIუცხ.საბ.10.	ზეპირი და წერილი კომუნიკაციისას წარმოქმნილი პრობლემების გაანალიზება, მათ გადასალახად სამოქმედო გეგმის შედგენა (სწავლის პროცესის მართვა - მეტაკოგნიტური სტრატეგია).	
მიმართულება: საქმიანობა უცხოური ენის გამოყენებით		
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
IIუცხ.საბ.11.	კულტურათმორის დიალოგის ხელშემწყობი აქტივობების რეალიზება, სოციოკულტურული თავისებურებების გაზიარება;	
IIუცხ.საბ.12	ზეპირი და წერილი კომუნიკაციის უნარ-ჩვევების გამოყენებით იდეების განხორციელება.	

ცნებები და საკითხები

ტექსტის ტიპები

- სასწავლო მიზნით შექმნილი (დიდაქტიზებული) ტექსტები (მაგ., თემატური დიალოგი/მონოლოგი, აღწერითი/თხრობითი ტექსტი);
- პრაგმატული ტექსტები (მაგ., განრიგი/პროგრამა, გზის მარშრუტი, რეკლამა, აფიშა);
- კორესპონდენცია (მაგ., ღია ბარათი, მეგობრული წერილი, შეტყობინება/SMS/CHAT);
- საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტები (მაგ., ცნობარი, ანოტაცია, ინტერვიუ, ბუკლეტი, პირადი გამოხმაურება, საყმაწვილო ენციკლოპედიის სტატია);

- გასართობ-შემოქმედებითი ტექსტები (მაგ., სიმღერა, ლექსი, სკეტჩი, რიტმული ტექსტი, რეპი, კარიკატურა, კლიპი).

ტექსტის სტრუქტურული ელემენტები (მაგ., სათაური, რუბრიკა, ილუსტრაცია, სქემა, აბზაცი)

აბზაცი - სტრუქტურა: თემატური წინადადება, დამხმარე წინადადებები (დამატებითი ინფორმაციის შემცველი მაგალითი, დეტალი, მონაცემი თემატურ წინადადებაში ასახული მთავარი იდეის შესახებ), დასკვნითი წინადადება;

ტექსტის სიტუაციური მახასიათებლები/საკომუნიკაციო სიტუაცია (მაგ., კომუნიკაციის ადგილი, მიზანი, მონაწილეები, ადრესატი, ავტორი);

სოციოკულტურული თავისებურება (მაგ., რეალიები, ფასეულობები, ზნე-ჩვეულებები, კულტურული ნორმები);

კულტურათშორისი დიალოგი;

სწავლის სტრატეგიები:

- მოსმენის სტრატეგიები მოსმენის პროცესის თითოეული ფაზისათვის (მოსმენამდე, მოსმენის დროს, მოსმენის შემდეგ);
- კითხვის სტრატეგიები კითხვის პროცესის თითოეული ფაზისთვის (კითხვამდე, კითხვის დროს, კითხვის შემდეგ);
- ლაპარაკის სტრატეგიები ზეპირ კომუნიკაციამდე და კომუნიკაციის დროს;
- წერის სტრატეგიები წერის პროცესის თითოეული ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ);
- ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიები;
- სწავლის პროცესის მართვა (მეტაკოგნიტური სტრატეგიები);

ლექსიკა - ანტონიმი, სინონიმი, ომონიმი, ფრაზეოლოგიზმი/მყარი შესიტყვება;

გრამატიკა - ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი.

ლექსიკურ-გრამატიკული ცოდნა კომუნიკაციური მიზნების განხორციელებას უნდა ემსახურებოდეს. შესაბამისად, ლექსიკა და გრამატიკული საკითხები ცალკეული სასწავლო თემის საკომუნიკაციო მიზნებიდან გამომდინარე განისაზღვრება.

ფუნქციური სამეტყველო მოქმედებები

ქვემოთ წარმოდგენილია იმ ფუნქციური სამეტყველო მოქმედებების ჩამონათვალი, რომელთა შესრულებაც უნდა შეძლოს მოსწავლემ სხვადასხვა კონტექსტსა თუ სიტუაციაში კომუნიკაციისას. სტანდარტი გამოყოფს მიკრო-ფუნქციებს და მაკრო-ფუნქციებს.

მიკრო-ფუნქციები:

- **ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში:** მისალმება; ვინმეს/საკუთარი თავის წარდგენა; ვინმეს მიღება; მილოცვა; კეთილი სურვილის გამოხატვა; გამომშვიდობება; ტელეფონზე ინტერაქცია (წარზე პასუხი, თანამოსაუბრის ვინაობის დადგენა, მოზოდინება, დალოდების თხოვნა, საუბრის დასრულება); მადლობის გადახდა;
 - **ინტერაქცია ინფორმაციის შესახებ:** სახელდება, მითითება, აღნიშვნა; ინფორმაციის მოთხოვნა/გაცემა: რაიმე საგნის/პიროვნების შესახებ (რა არის, ვინ არის); დროის შესახებ (დროის მონაკვეთების აღნიშვნა; დროში - აწმყოში, წარსულსა თუ მომავალში - ლოკალიზება; დასაწყისის, დასასრულის აღნიშვნა; განმეორებადობის, ხანგრძლივობის, სიხშირის აღნიშვნა); სივრცის შესახებ (ადგილის/ადგილმდებარეობის აღნიშვნა; მანძილის დაზუსტება; მოძრაობის, მიმართულების/ორიენტაციის აღნიშვნა); ვითარების შესახებ; რაოდენობისა და ხარისხის შესახებ; მიზეზის შესახებ; ფაქტის დადასტურება/უარყოფა; ინფორმაციის შესწორება;
 - **ინტერაქცია შეხედულებებისა და დამოკიდებულების შესახებ:** საკუთარი თვალსაზრისის გამოხატვა; მიმხრობა-გაზიარება; შეწინააღმდეგება, უარყოფა; გამოხატვა იმისა, რომ რაიმე იცი ან არ იცი, შეგიძლია/არ შეგიძლია; გამოხატვა იმისა, რომ რაიმე გახსოვს ან დაგავიწყდა; რაიმეს შეხსენება; საკუთარი სურვილების, განზრახვის გამოხატვა; ვალდებულების, აუცილებლობის გამოხატვა; შედარება: მსგავსების/განსხვავების, მეტობის/ნაკლებობის აღნიშვნა; მიზეზშედეგობრივი კავშირების, მიზნის გამოხატვა;
 - **ინტერაქცია ემოციებსა და გრძნობებზე:** სიხარულის, სიამოვნების, ბედნიერების განცდის გამოხატვა; მოწყენილობის, სევდის გამოხატვა; დამშვიდება; შიშის, ფიზიკური ტკივილის გამოხატვა; მოწონების/არ მოწონების, აღფრთოვანების გამოხატვა; გამოხატვა იმისა, თუ რა გირჩევნია; კმაყოფილების/უკმაყოფილების გამოხატვა; რაიმეს მიმართ ინტერესის გამოხატვა; გაკვირვების/ინდიფერენტული დამოკიდებულების გამოხატვა;
 - **ინტერაქცია ქმედებებსა და საქმიანობებზე:** ბრძანების ან ინსტრუქციის მიცემა; დახმარების თხოვნა; შეკვეთის მიცემა (მაგ., კაფეში, რესტორანში); თხოვნაზე დათანხმება; რჩევის მიცემა; გაფრთხილება; გამხსენება; ნებართვის თხოვნა/მიცემა; აკრძალვა;
 - **სიტყვის, სათქმელის სტრუქტურირება** - გეგმის წარდგენა; თემის წამოწყება; თემის გაშლა აღწერის, თხრობის საშუალებით, მაგალითის მოხმობით; თემის შეჯამება/დასრულება;
 - **ზეპირი ინტერაქციის სტრუქტურირება** - თანამოსაუბრესთან საუბრის დაწყება; საუბარში ჩართვა/სიტყვის თხოვნა; სიტყვის მნიშვნელობის დაზუსტება/პარაფრაზირება, გადამოწმება იმის, რომ თანამოსაუბრეს ჩვენი ესმის; კითხვის დასმით გადამოწმება, რომ მართებულად გვესმის თანამოსაუბრის; გაუგებრობის შემთხვევაში თანამოსაუბრისთვის თხოვნა, რომ უფრო ნელა ისაუბროს, დამარცვლოს, ნათქვამი გაიმეოროს/პარაფრაზირებით განმარტოს.
- მაკრო-ფუნქციები** - აღწერა, თხრობა.

საბაზო საფეხურის თემატური ჩარჩო

ქვემოთ მოცემული ჩარჩო აღწერს იმ კონტექსტებს, რომლებშიც უნდა შეძლოს მოსწავლემ უცხოური ენის გაგება-გამოყენება. შესაბამისად, საბაზო საფეხურის სამივე კლასის სასწავლო თემები მთლიანობაში უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტის თემატურ ჩარჩოს.

ინდივიდის აქტივობის სფეროები			
პარამეტრები	პირადი	საზოგადოებრივი	საგანმანათლებლო
ადგილი	კერძო სივრცეები (მაგ., სახლი, ბინა, ეზო)	საჯარო სივრცეები სოფელსა თუ ქალაქში (მაგ., უბანი, ქუჩა, მოედანი, სხვადასხვა ტიპის ტრანსპორტი, პარკი, კაფე, აეროპორტი, მაღაზია, ბიბლიოთეკა, სადგური)	სკოლის შენობა და მისი მიმდებარე ტერიტორია, კოლეჯი, ლიცეუმი, პროფესიული სასწავლებელი
ინსტიტუცია	ოჯახი	მერია, თემი, პოლიცია, სამაშველო სამსახური, საქველმოქმედო საზოგადოება	სკოლა და სასკოლო საზოგადოება, ზოგადი და პროფესიული განათლება
ადამიანი	ოჯახის წევრები, ნათესავები, წინაპრები, თანატოლები, მეგობრები, ნაცნობები	სხვადასხვა საქმიანობის და პროფესიის ადამიანები (მაგ., მეხანძრე, ექიმი, მზარეული, მწერალი, მოგზაური), მოქალაქე, მგზავრი, მაყურებელი, შემსრულებელი, გულშემმატკივარი და სხვ.	სკოლის პერსონალი (მაგ., მასწავლებელი, დამრიგებელი, დირექტორი, ბიბლიოთეკარი, დარაჯი), მოსწავლე, მშობელი, თანაკლასელი
საგანი	ავეჯი, სამოსი, საყოფაცხოვრებო ნივთები, სპორტული აღჭურვილობა და სხვ.	ფული, საფულე, სურსათი, საქონელი, წამლები, ოფიციალური დოკუმენტები (მაგ., პირადობის მოწმობა, მართვის მოწმობა)	სასკოლო აღჭურვილობა და ნივთები (მაგ., წიგნი, დაფა, ცარცი, კომპიუტერი, პროექტორი)
მოვლენა	ოჯახური დღესასწაულები, ავადმყოფობა, დღეობები, სტუმრობა, წვეულება, კულტურული და სპორტული აქტივობები, არდადეგები და სხვ.	ბუნებრივი მოვლენები, უბედური შემთხვევა, ბაზრობა, კონცერტი, სპექტაკლი, სამოქალაქო და რელიგიური ზეიმები და სხვ.	სასწავლო წლის დასაწყისი/დასასრული, კლასგარეშე ღონისძიებები, კონკურსები, კონფლიქტები სკოლაში და სხვ.
მოქმედება	ყოველდღიური ყოფითი, შემოქმედებით-ინტელექტუალური, სპორტული, გასართობი საქმიანობები (მაგ., ჭამა,	ყოფითი, შემოქმედებით-ინტელექტუალური, სპორტული, გასართობი აქტივობები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში (მაგ.,	სწავლა და სწავლება; კლასგარეშე შემოქმედებით-ინტელექტუალურ, სპორტულ და გასართობ

	ჩანაწერი, კითხვა, მეცადინეობა, კოლექციონერობა, ტელევიზორის ყურება)	საყიდვებზე სიარული, თეატრში წასვლა, სპორტულ შეჯიბრში მონაწილეობა, მგზავრობა, მოგზაურობა	აქტივობებში მონაწილეობა, მშობელთა კრება
ბუნება, ცხოველთა და მცენარეთა სამყარო	შინაური და გარეული ცხოველები, ყვავილები, ხეები, ტყე, მდინარე, ტბა, უდაბნო, ზღვა, მთა, მინდორი, კოსმოსი და სხვ.		

სტანდარტის საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვები:

საკვანძო შეკითხვები, რომლებიც სტანდარტის შინაარსს აკავშირებს სტანდარტის შედეგებთან და აჩვენებს, თუ რისთვის უნდა გამოიყენოს მოსწავლემ კონკრეტული ცოდნა, რელევანტურია ნებისმიერი სასწავლო თემისთვის.

- როგორ მოვიქცე, რომ შევძლო უცხოურენოვანი ტექსტების გაგება?
- როგორ მოვიქცე, რომ შევძლო საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო მოქმედებების შესრულება?
- როგორ მოვიქცე, რომ წარმატებით გავართვა თავი წერით საკომუნიკაციო ამოცანას?
- რატომ გამიჭირდა საკომუნიკაციო ამოცანის შესრულება? როგორ გადავლახო ეს სიძნელე? რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ?
- რით ჰგავს, რით განსხვავდება უცხოური ენა და კულტურა მშობლიურისაგან?
- როგორ შევუწყო ხელი კულტურათმშორის დიალოგს?
- როგორ გამოვიყენო უცხოური ენის ცოდნა საქმიანი იდეების განსახორციელებლად?

გ) მეთოდოლოგიური ორიენტირები

საგნის სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

- სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა მოტივირებას და შინაგანი ძალისხმევის გააქტიურებას.
- სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
- სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას.
- სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლა).
- სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

გამჭოლი უნარები და ღირებულებები

საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს შემდეგ გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

პასუხისმგებლობა	<ul style="list-style-type: none"> • სასკოლო და სხვა საქმიანობებში ნაკისრი ვალდებულების შესრულება; • სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება; • საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე პასუხისმგებლობის აღება.
თანამშრომლობა	<ul style="list-style-type: none"> • მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად; • განსხვავებული იდეების, შეხედულებების მოსმენა და კონსტრუქციულად განხილვა; • რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით; • ჯგუფის წევრებს შორის განაწილებული სამუშაოს შესრულება.
დროსა და სივრცეში ორიენტირება	<ul style="list-style-type: none"> • თანამედროვე რეალობის სივრცულ-დროით ჭრილში გააზრება და ინტერპრეტირება; • მულტიპერსპექტიული ხედვა დროითი და სივრცული ფაქტორების გათვალისწინებით.
ეთიკა	<ul style="list-style-type: none"> • ეთიკური და ქცევითი ნორმების დაცვა; • სოლიდარობის განცდა; • სხვებისადმი ემპათია; • პიროვნული ღირსების გააზრებისა და დაფასების უნარი; • განსხვავებულობის მიმღებლობა; • საკუთარ სოციალურ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრება.
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება	<ul style="list-style-type: none"> • ინფორმაციის/სასწავლო მასალის (დიდაქტიზებული, პრაგმატული, საინფორმაციო-შემეცნებითი, გასართობ-შემოქმედებითი ხასიათის ტექსტები) მოძიება ინტერნეტში სხვადასხვა საძიებო სისტემის მეშვეობით; • ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო მასალისა და სხვადასხვა ტიპის ტექსტების შესაქმნელად და პროექტების განსახორციელებლად (სხვადასხვა ხასიათის ღია ბარათის/მეგობრული წერილის/შეტყობინების ელექტრონული ვერსიის მიწერა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, უცხოელ თანატოლებთან ჩეთში მონაწილეობა skype-ის, messenger-ის მეშვეობით; ვებგვერდის/ბლოგის შექმნა და უცხოურ ენაზე განხორციელებული სხვადასხვა პროექტის, მაგ., კულინარიული რეცეპტების კრებულის, სკოლის მოსწავლეთა ნახატების/ნაკეთობების კატალოგის სკოლის ვებგვერდზე/ ბლოგზე განთავსება); • ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება (მაგ., Word, PowerPoint) სასწავლო მასალისა და სხვადასხვა ტიპის ელექტრონული ტექსტების დასამუშავებლად.
კვლევა	<ul style="list-style-type: none"> • კვლევითი ამოცანის, კვლევის პროცედურების, მონაცემების მოპოვების გზებისა და აღრიცხვის ფორმების განსაზღვრა; სათანადო რესურსების შერჩევა; • კვლევის ჩატარება, მონაცემების აღრიცხვა და სხვადასხვა ფორმით წარმოდგენა/ ორგანიზება; • მონაცემების ანალიზი; კვლევის შედეგების შეფასება; • კვლევითი სამუშაოების ჩატარების დროს ეთიკისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა.
შემოქმედებითი აზროვნება	<ul style="list-style-type: none"> • ჩანაფიქრის შემოქმედებითად განხორციელება; • ორიგინალური იდეების გამოვლენა და ხორცშესხმა; ახლის შექმნა; • დასმული პრობლემების გადასაჭრელად არასტანდარტული გზების მოძიება; • სწრაფვა გარემოს გარდაქმნა-გაუმჯობესებისკენ.

მეთოდური მიდგომები

უცხოური ენის სწავლა-სწავლება შემდეგ მეთოდოლოგიურ მიდგომებს უნდა ითვალისწინებდეს:

- უცხოური ენის სტანდარტის მოთხოვნათა შესრულება მოითხოვს უცხოურ ენაზე კომუნიკაციური უნარების ფუნქციურად გამოყენების უნარების განვითარებას. ამ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ეგრეთწოდებული „უკუვლით დაგეგმვის“ (backward design) მეთოდის გამოყენება: პირველ რიგში, უნდა ვხედავდეთ, კონკრეტული თემატური ერთეულის ბოლოს რა კომპლექსურ-ფუნქციური დავალებების/საქმიანობის შესრულება უნდა შეძლოს მოსწავლემ. შემდეგ, ეს დავალება უნდა დავალოთ ცოდნისა და უნარების ცალკეულ კომპონენტებად, რომელთა ათვისებაც დასჭირდება მოსწავლეს იმისთვის, რომ ბოლოს შეძლოს კომპლექსური დავალების შესრულება, რომლის დროსაც მოუწევს ფუნქციური გამონათქვამების, ლექსიკური, გრამატიკული, კომუნიკაციური ცოდნისა და უნარების ერთდროულად და ინტერაქტიულად გამოყენება.
- ლექსიკური მასალა თუ გრამატიკული საკითხები თვითმიზნურად არ უნდა ისწავლებოდეს. მათი სწავლება გადაჯაჭვული უნდა იყოს კომუნიკაციურ მიზნებთან. მოსწავლეს ის ლექსიკურ-გრამატიკული უნარები უნდა გამოვუმუშაოთ, რომლებსაც კონკრეტულ კომუნიკაციურ სიტუაციებში გამოიყენებს.
- მოსწავლე უნდა იყოს სწავლა-სწავლების პროცესის აქტიური მონაწილე. ამის უზრუნველსაყოფად მოსწავლე ჩართული უნდა იყოს განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ხელს შეუწყობს ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვაში.
- სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია მეტაკოგნიციის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ეს აქტივობებია:

სტრატეგიების მოდელირება: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და მისი შესრულებისას „ხმამაღლა ფიქრობს“ იმაზე, თუ როგორ შეასრულოს ეს აქტივობა (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანხმობები მასალა, მაგ., სურათები? ამიტომ, სანამ ტექსტს წავიკითხავთ, ხომ არ სჯობს, ჯერ სურათებს გავეცნოთ და ვნახოთ, რა ინფორმაციის შემცველია ეს სურათები? და მისთ.

წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფურად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.), ასევე სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებენ თითოეულ ეტაპზე. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე.

შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა და ხერხი, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებს და აუმაღლებს სწავლის ქმედუნარიანობას.

- სასურველია, ყოველი ახალი თემატური ერთეულის სწავლება იწყებოდეს შინაარსიანი კონტექსტების შეთავაზებით, სახელდობრ, იმგვარი ტექსტების მოსმენით, რომლებიც მარტივ საკომუნიკაციო სიტუაციას წარმოადგენს. სწორედ ამ ტექსტების კონტექსტში უნდა გაეცნოს მოსწავლე იმ ახალ ენობრივ მასალას (ლექსიკურ ერთეულებს, გრამატიკულ ფორმებსა თუ მექანიზმებს), რომლებსაც მომდევნო ეტაპზე ცალკეული სავარჯიშოების საშუალებით აითვისებს იმ მიზნით, რომ შემდგომ ზეპირმეტყველებასა და წერით მეტყველებაში გამოიყენოს.

წლიური პროგრამისა და სასწავლო თემის აგების პრინციპები

წლიური პროგრამა სტანდარტზე დაყრდნობით იგეგმება და გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს. წლიური პროგრამა სარეკომენდაციო ხასიათისაა. სკოლას შეუძლია გამოიყენოს რეკომენდაციის სახით შეთავაზებული წლიური პროგრამა ან თავად დასახოს სტანდარტის მიღწევის გზები. წლიური პროგრამები უნდა დაიგეგმოს სასწავლო თემების საშუალებით (შედეგი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს - თემას).

სასწავლო თემის დასაგეგმად გამოიყენება შემდეგი კომპონენტები:

<p>სასწავლო თემა</p> <p>სასწავლო თემა წარმოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.</p>
<p>ცნებები, ტექსტები, საკითხები</p> <p>ტექსტებისა და საკითხების მეშვეობით მოსწავლე გაიაზრებს ცნების შინაარსს, ამუშავებს საკვანძო შეკითხვებს, ასრულებს კომპლექსურ დავალებებს.</p>
<p>საკვანძო შეკითხვები</p> <p>თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვებიდან და დაისმის თემის კონკრეტულ კონტექსტში. მათი ფუნქციაა:</p> <ul style="list-style-type: none"> • მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად; • სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა; • თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.
<p>აქტივობები</p> <p>მიმდინარე დავალებების ტიპების/ნიმუშების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული გაგება-გააზრების პროცესების ხელშესაწყობად, ასევე ცოდნის ათვისების, განმტკიცებისა თუ შეჯამების მიზნით.</p>
<p>კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი</p> <p>კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება</p>

მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.

შეფასების ინდიკატორები

შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის.

მკვიდრი წარმოდგენები

მკვიდრი წარმოდგენები განისაზღვრება სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მემორიზებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდეს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად.

როგორ აიგება სასწავლო თემა?

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული. სტანდარტის ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრება საკვანძო შეკითხვები და შეფასების ინდიკატორები, შეირჩევა ტექსტები, შემუშავდება იდეები შემაჯამებელი კომპლექსური დავალებებისთვის. ამის შემდეგ განისაზღვრება საგნობრივი საკითხები, რესურსები, დავალებების ტიპები/ნიმუშები. თითოეულ თემაზე მუშაობის პროცესი მოემსახურება ზოგადი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას. უცხოურ ენაში მკვიდრი წარმოდგენები განისაზღვრება სტანდარტის მოთხოვნებზე დაყრდნობით და საერთოა სასწავლო წლის თემებისათვის.

ქვემოთ თემის ასაგებად გადასადგმელი ნაბიჯები წარმოდგენილია სქემატურად, ცხრილის სახით.

ცხრილი. სასწავლო თემის აგების პროცესი

ნაბიჯი 1. თემატური საკვანძო შეკითხვების დასმა

ნაბიჯი 2. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა

ნაბიჯი 3. თემის ტექსტების/რესურსების შერჩევა

ნაბიჯი 4. შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების იდეების შემუშავება
ნაბიჯი 5. საკითხების განსაზღვრა
ნაბიჯი 6. მიმდინარე აქტივობებისა და დავალებების განსაზღვრა-დაგეგმვა
ნაბიჯი 7. მკვიდრი წარმოდგენების განსაზღვრა

თემის სწავლა-სწავლების პროცესის ტაბულა

ქვემოთ მოცემულია პროცესის ტაბულა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა წარიმართოს, ერთი თემატური ერთეულის ფარგლებში, მოსწავლის აქტივობასა და სწავლის პროცესზე ორიენტირებული სწავლა-სწავლება. სწავლის პროცესზე ორიენტირება მოსწავლეს ეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, რაც ხელს უწყობს მას მიღწევების გაუმჯობესებაში.

თემა:
მოსმენა- აგების პროცესი
საკვანძო შეკითხვები: როგორ მოვიქცე ტექსტის შინაარსის გასაგებად? რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ? რატომ არის მნიშვნელოვანი მეტაკოგნიტური უნარები?
ტექსტი/ტექსტები:
ბიჯები და სწავლა-სწავლების სტრატეგიები
ფაზა: მოსმენამდე
საკვანძო შეკითხვა: როგორ მოვემზადო ტექსტის მოსასმენად?
მოსმენის წინარე სტრატეგიები:
ბიჯი 1. დავალების ნათლად გააზრება და დაზუსტება პირობის გაანალიზების გზით; საჭიროებისამებრ, დამატებითი დაზუსტებების მოთხოვნა;
ბიჯი 2. სხვადასხვა ხერხით შინაარსის წინასწარ განჭვრეტა (მაგ., ვარაუდის გამოთქმა ილუსტრაციებზე, სათაურზე დაყრდნობით);

ბიჯი 3. ტექსტის გასააზრებლად საჭირო წინარე ცოდნის (ენობრივი, ტექსტობრივი, თემასთან დაკავშირებული) გახსენება-გააქტიურება; საჭიროებისამებრ (ტექსტის სირთულის მიხედვით), რამდენიმე აუცილებელი საკვანძო სიტყვის/მყარი შესიტყვების დამუშავება.

ფაზა: მოსმენის დროს

საკვანძო შეკითხვები: როგორ მოვიქცე, რომ უკეთ გავიგო ტექსტი? როგორ გავიადვილო ტექსტის გაგება?

მოსმენის სტრატეგიები:

ბიჯი 4. პირველი მოსმენა - ტექსტის ზოგადი შინაარსის გასაგებად გაცნობითი მოსმენა:

- ყურადღების გამახვილება მხოლოდ ნაცნობ სიტყვებსა და გამოთქმებზე, არავერბალურ ელემენტებზე (მაგ., მიმიკა-ჟესტიკულაცია, ხმის ტემბრი, ილუსტრაცია);

ბიჯი 5. სხვადასხვა ტიპის აქტივობების გამოყენებით ტექსტის მრავალჯერადი მოსმენა მთლიანი შინაარსის ეტაპობრივი კონსტრუირებისათვის:

მოსმენის სტრატეგიები:

- ჩანიშვნების გაკეთება;
- ინფორმაციის დაჯგუფება, ორგანიზება სხვადასხვა გრაფიკის, სქემის გამოყენებით;
- გაუგებარი მონაკვეთის თავიდან მოსმენა;
- უცნობი სიტყვების მნიშვნელობის გამოცნობა კონტექსტზე დაყრდნობით;
- სელექციური მოსმენა - ყურადღების მიზანმიმართულად გამახვილება კონკრეტულ ინფორმაციაზე.

ფაზა: მოსმენის შემდეგ

საკვანძო შეკითხვები: როგორ გავიგე ტექსტი? რით უკავშირდება ჩემს გამოცდილებას?

რამ შემაფარბა გაგების პროცესში? რატომ გამიჭირდა ტექსტის გაგება? როგორ უნდა გადამეჭრა ეს პრობლემა?

რამ შემიწყო ხელი მოსასმენი ამოცანის წარმატებით გადაჭრაში?

ბიჯი 6. გაგებულის გადამოწმება, შეკითხვების, რეფორმულირებებისა და კომენტარების დახმარებით; ინფორმაციის დაზუსტება, მართებულ ვარიანტამდე მისვლა;

ბიჯი 7. მოსმენილის დაკავშირება საკუთარ გამოცდილებასთან; განცდილის, ნააზრევის გაზიარება (ენის ფლობის დაბალ საფეხურზე - მშობლიურ ენაზე);

ბიჯი 8. მეტაკოგნიტური პაუზა: დაფიქრება ტექსტის გაგებისათვის გამოყენებულ მიდგომებზე (მეტაკოგნიცია);

- დაფიქრება გამოყენებულ სტრატეგიებზე, მათი ეფექტიანობის შეფასება, შედარება სხვების მიერ გამოყენებულ სტრატეგიებთან;
- გაგების პროცესის გაუმჯობესებისათვის შესაძლო გზების შეთავაზება/მითითება.

როგორ მოვიქცე ენობრივი მასალის ასათვისებლად? როდის რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ?

ფაზა: გადასვლა რეცეფციიდან პროდუცირებისაკენ

ბიჯი 9. ტექსტზე დაფუძნებით ენობრივი (ფონეტიკური, ლექსიკური, გრამატიკული) უნარების განვითარება, ახალი ენობრივი მასალის (ლექსიკა, გრამატიკული ფორმები, შესიტყვებები, სამეტყველო ფუნქციები) ათვისება სხვადასხვა ენობრივი აქტივობით;

სწავლის სტრატეგიები:

- **ინდუქციური მიდგომა** - კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანა;
- **დედუქციური მიდგომა** - ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობა, განზოგადება და გამოყენება კონკრეტულ მაგალითებში;
- **პარალელუბის გავლენა მშობლიურ ან სხვა ენასთან** - ნიშანდობლივი ენათშორისი შედარებების გაკეთება შესასწავლი ენის სისტემისა და ფუნქციონირების გაგების ხელშესაწყობად;
- **დამახსოვრების ხერხების გამოყენება** - მაგ., რამდენჯერმე გადაწერა ან ხმამაღლა გამეორება, დაჯგუფება, კონტექსტში ჩასმა/გამოყენება, ასოცირება, ჩანიშვნების გაკეთება და სხვ.

ლაპარაკი

საკვანძო შეკითხვები: როგორ მოვიქცე, რომ წარმატებით გავართვათ თავი ზეპირ საკომუნიკაციო ამოცანას? როდის რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ? რატომ არის მნიშვნელოვანი მეტაკოგნიტური სტრატეგიები?

ბიჯები და სწავლის სტრატეგიები

ფაზა: ზეპირი კომუნიკაციისთვის მომზადება

საკვანძო შეკითხვა: როგორ მოვემზადო ზეპირი კომუნიკაციისთვის?

ბიჯი 1. დავალების მოთხოვნათა ნათლად გააზრება, საჭიროებისამებრ, დამატებითი დაზუსტებების მოთხოვნა;

ბიჯი 2. საკომუნიკაციო სიტუაციის ელემენტების დაზუსტება (თემა, მიზანი, ადრესატი/აუდიტორია, კონტექსტი, ტექსტის ტიპი);

ბიჯი 3. მომზადება აუდიტორიის წინაშე გამოსასვლელად;

სწავლის სტრატეგიები

- **ცოდნის მობილიზება** - საჭირო ენობრივი რესურსების (შესიტყვებების, კლიშეების, საკვანძო სიტყვების, სამეტყველო მოქმედებები, გრამატიკული ფორმების) გახსენება და/ან მოძიება და ჩანიშვნა; საჭიროებისამებრ, დამატებითი ინფორმაციის მოძიება-ჩანიშვნა;
- **გეგმის მომზადება** (პრეზენტაციის შემთხვევაში - საპრეზენტაციო მასალის);
- **რეპეტიციის გავლა** - წარმოთქმის, ინტონაციის, თავისუფლად მეტყველების უნარის გასავარჯიშებლად, დელვის შესამცირებლად; ვარჯიშისას ხმის, არავერბალური ელემენტების - სახის გამომეტყველების, ქესტიკულაციის გაკონტროლება.

<p>ფაზა: ზეპირი კომუნიკაციისას</p> <p>საკვანძო შეკითხვა: რომელი სტრატეგიები გამოვიყენო ზეპირი კომუნიკაციის ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად?</p>
<p>ბიჯი 4. გამოსვლა აუდიტორიის წინაშე;</p> <ul style="list-style-type: none"> სტრატეგია - პარაფრაზირება - საუბრის დროს სიტყვის დავიწყების/არცოდნის შემთხვევაში საკომპენსაციო საშუალებების (მაგ., <i>ქესტიკულაციით მითითება, ნაგულისხმევი საგნის აღწერა ან მისი დანიშნულების აღნიშვნა</i>) გამოყენება.
<p>ფაზა: ზეპირი კომუნიკაციის შემდეგ</p> <p>საკვანძო შეკითხვები: რატომ ვერ გადავჭერი წარმატებით საკომუნიკაციო ამოცანა? რომელი სტრატეგიები გამოვიყენე? რამ შემაფერხა? როგორ გავაუმჯობესო ზეპირი მეტყველების უნარი? რამ შემიწყო წინსვლაში ხელი?</p>
<p>ბიჯი 5. საკუთარი გამოსვლის შეფასება - წარმატებული ასპექტებისა და ხარვეზების ამოცნობა;</p> <p>ბიჯი 6. მეტაკოგნიტური პაუზა: დაფიქრება გამოყენებულ სტრატეგიებზე, გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის შედგენა.</p>

კითხვა
<p>საკვანძო შეკითხვები: როგორ მოვიქცე ტექსტის ტიპის ამოსაცნობად და ტექსტის შინაარსის გასაგებად? რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ? რატომ არის მნიშვნელოვანი მეტაკოგნიტური სტრატეგიები?</p>
ბიჯები და სტრატეგიები
<p>ფაზა: კითხვამდე</p> <p>საკვანძო შეკითხვა: როგორ მოვემზადო ტექსტის წასაკითხად?</p>
<p>ბიჯი 1. დავალების მოთხოვნათა ნათლად გააზრება და დაზუსტება პირობის გაანალიზების გზით; საჭიროებისამებრ, დამატებითი დაზუსტებების მოთხოვნა;</p> <p>ბიჯი 2. მომზადება ტექსტის გაგების პროცესის ხელშესაწყობად;</p>
<p>კითხვის წინარე სტრატეგიები:</p> <ul style="list-style-type: none"> სხვადასხვა ხერხით შინაარსის წინასწარ განჭვრეტა (მაგ., ვარაუდის გამოთქმა ილუსტრაციებზე, სათაურზე, ტექსტის სტრუქტურაზე დაყრდნობით); ტექსტის გასააზრებლად საჭირო წინარე ცოდნის (ენობრივი, ტექსტობრივი, თემასთან დაკავშირებული) გახსენება-გააქტიურება; თუ ტექსტი მოსწავლეთა ენის ცოდნის დონესთან შედარებით რთულია, ტექსტის გაგებისათვის საჭირო საკვანძო სიტყვების/შესიტყვებების ენობრივი ფორმების დამუშავება.

ფაზა: კითხვის დროს (შინაარსის კონსტრუირების პროცესი)

საკვანძო შეკითხვები: როგორ მოვიქცე, რომ უკეთ გავიგო ტექსტი? როგორ გავიაღვილო ტექსტის გაგება?

ბიჯი 3. პირველი წაკითხვა ტექსტის ზოგადი შინაარსის გასაგებად გაცნობითი კითხვის სტრატეგიის გამოყენებით;

სწავლის სტრატეგიები:

- ყურადღების მიმართვა ტექსტის სტრუქტურაზე, მის მორგანიზებელ სიტყვიერ და არასიტყვიერ ელემენტებზე; სათაურის/ქვესათაურების, წარწერების, გამოყოფილი სიტყვების, აბზაცების პირველი და/ან ბოლო წინადადების წაკითხვით და მათზე დაყრდნობით შინაარსზე წარმოდგენის შექმნა.

ბიჯი 4. სხვადასხვა აქტივობის გამოყენებით ტექსტის მრავალგვარად დამუშავება მისი შინაარსის ეტაპობრივი კონსტრუირებისათვის;

შესწავლითი კითხვის სტრატეგიები:

- ტექსტის მთლიანად ჩაკითხვა უცნობ სიტყვებზე შეჩერების გარეშე;
- გაუგებარ მონაკვეთებთან მიბრუნება;
- მონაკვეთების, ეპიზოდების წარმოდგენაში გაცოცხლება;
- **გამოცნობა** - უცნობი სიტყვების, გამოთქმების მნიშვნელობის ამოცნობა ნაცნობი ელემენტების (ილუსტრაციების, ნაცნობი ფუძის, კონტექსტის, მშობლიურ ენაში დამკვიდრებული უცხოური სიტყვების და სხვ.) დახმარებით.
- უცნობი სიტყვების ამოწერა და ლექსიკონში ნახვა;
- შეკითხვების დასმა;
- ტექტის მომდევნო მონაკვეთის შინაარსის განჭვრეტა;
- ინფორმაციის დაჯგუფება სხვადასხვა ხერხის (სემანტიკური რუკის, სქემატური ჩანაწერების, მორგანიზებელი გრაფიკის) გამოყენებით;
- ტექსტის მონაკვეთის, აბზაცის შეჯამება.

ფაზა: კითხვის შემდეგ

საკვანძო შეკითხვები: როგორ გავიგე ტექსტი? რით უკავშირდება ჩემს გამოცდილებას?

რამ შემაფარნა გაგების პროცესში? რატომ ვერ გადავჭერი საკითხავი ამოცანა? როგორ უნდა გადამეჭრა ეს პრობლემა? რამ შემიწყო ხელი საკითხავი ამოცანის წარმატებით გადაჭრაში?

ბიჯი 5. გაგებულის გადამოწმება შეკითხვების, რეფორმულირებების და კომენტარების დახმარებით; ინფორმაციის დაზუსტება, მართებულ ვარიანტამდე მისვლა;

ბიჯი 6. წაკითხულის დაკავშირება საკუთარ ცხოვრებისეულ თუ წიგნიერ გამოცდილებასთან; განცდილის, ნააზრევის გაზიარება (ენის ფლობის დაბალ საფეხურზე - მშობლიურ ენაზე);

ბიჯი 7. მეტაკოგნიტური პაუზა: დაფიქრება ტექსტის გაგებისათვის გამოყენებულ სტრატეგიებზე, მეტაკოგნიტური პაუზა:

- დაფიქრება გამოყენებულ სტრატეგიებზე, მათი ეფექტიანობის შეფასება, შედარება სხვების მიერ გამოყენებულ სტრატეგიებთან;
- სწავლის პროცესზე დაფიქრება-რეფლექსია, შემაფერხებელი და ხელშემწყობი პირობების გაცნობიერება;
- გაგების პროცესის გაუმჯობესებისათვის შესაძლო გზების შეთავაზება/მიითითება.

როგორ მოვიქცე ენობრივ-გრამატიკული მასალის ასათვისებლად? როდის რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ?

ფაზა: გადასვლა რეცეფციიდან პროდუცირებისაკენ

ბიჯი 8. გარდამავალი ბიჯი წერისაკენ - ტექსტის ახალი ენობრივი მასალის (ლექსიკა, გრამატიკული ფორმები, შესიტყვებები, სამეტყველო მოქმედებები და სხვ.) გაგება-გამოყენება სხვადასხვა ტიპის ენობრივი სავარჯიშოებით;

სწავლის სტრატეგიები:

- დამახსოვრების სხვადასხვა ხერხის გამოყენება - რამდენჯერმე გადაწერა, პერიოდული გამეორება, დაჯგუფება, კონტექსტში ჩასმა, რაიმესთან ასოცირება და სხვ.
- პარალელების გავლება მშობლიურ ან სხვა ენასთან - ნიშანდობლივი ენათშორისი შედარებების გაკეთება შესასწავლი ენის სისტემისა და ფუნქციონირების გაგების ხელშესაწყობად;
- დედუქცია - ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობა, განზოგადება და გამოყენება კონკრეტულ მაგალითებში;
- ინდუქცია - კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანა;
- დამხმარე რესურსების შექმნა-გამოყენება (მაგ., გრამატიკული ცნობარი, სტრუქტურული მოდელები).

წერა

საკვანძო შეკითხვები: როგორ მოვიქცე იმისთვის, რომ შევძლო წერილობითი ტექსტის შექმნა? როდის რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ? რატომ არის მნიშვნელოვანი მეტაკოგნიტური სტრატეგიები?

ბიჯები და სტრატეგიები

ფაზა: წერის წინა სამზადისი

საკვანძო შეკითხვა: როგორ მოვემზადო წერითი ამოცანის გადასაჭრელად?

ბიჯი 1. წერის ჩანაფიქრის გამოკვეთა;

წერის წინარე სტრატეგიები:

- საკომუნიკაციო სიტუაციის განსაზღვრა - წერის მიზნისა და ადრესატის განსაზღვრა; თემისა და ტექსტის სახეობის შერჩევა;
- იდეების გენერირება - იდეების მოფიქრება-ჩამოყრა;
- ცოდნის მობილიზება/თავმოყრა - საჭირო ცოდნის (ენობრივი, ტექსტობრივი, თემასთან დაკავშირებული და სხვ.) გონებაში მოძიება-გააქტიურება; საჭიროებისამებრ, დამატებითი ინფორმაციის მოძიება სათანადო რესურსებში;
- იდეების დაჯგუფება - იდეების დახარისხება, ურთიერთდაკავშირება მორგანიზებული სქემების გამოყენებით;
- დამხმარე რესურსების მობილიზება - სტრუქტურული მოდელი, საკვანძო სიტყვები, გრამატიკული ცნობარი, დახარისხებული ლექსიკური ერთეულები, ჩანიშვნები);

ბიჯი 2. გეგმის შედგენა დაჯგუფებულ იდეებზე დაყრდნობით.

ფაზა: წერის დროს

საკვანძო შეკითხვა: როგორ მოვიქცე წერითი ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად?

ბიჯი 3. პირველადი ვარიანტის შედგენა გეგმაზე დაყრდნობით;

ფაზა: წერის შემდეგ

საკვანძო შეკითხვები: რატომ ვერ გადავჭერი წარმატებით წერითი ამოცანა? რომელი სტრატეგიები გამოვიყენე? რამ შემაფერხა? რამ შემიწყო ხელი ამოცანის წარმატებით გადაჭრაში? როგორ გავიმჯობესო წერითი მეტყველების უნარი?

ბიჯი 4. პირველადი ვარიანტის გაუმჯობესება;

სწავლის სტრატეგიები:

- ნაწერის პოტენციური მკითხველის თვალთახედვით შეფასება;
- შინაარსობრივი, სტრუქტურული შესწორებების შეტანა;
- გრამატიკული და ორთოგრაფიული შეცდომების გასწორება დამხმარე რესურსებისა და ისტ-ის გამოყენებით;

ბიჯი 5. საბოლოო ვარიანტის შემუშავება და გაფორმება.

თემის შემაჯამებელი (კომპლექსური) დავალებები შესაბამისი შეფასების რუბრიკებით

-

დ) შეფასება

საბაზო საფეხურის ნებისმიერ კლასში საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესი ადგილი უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც მოსწავლეს თავისსავე წინარე შედეგებთან მიმართებით

ავასებს, ზომავს მის ინდივიდუალურ წინსვლას, რითაც მას ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირების საშუალებას აძლევს.

შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება

შემაჯამებელი შეფასებისათვის გამოიყენება კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოითხოვს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ინტეგრირებულად და ფუნქციურად გამოყენებას. ამ დავალებათა შესაფასებლად კრიტერიუმების ბადე გამოიყენება.

ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისათვის

სტანდარტში შემოთავაზებულია ტიპობრივ დავალებათა ფართო არჩევანი. შემაჯამებელი შეფასებისათვის მასწავლებელი და/ან მოსწავლე შეარჩევს დავალების სასურველ ტიპს/ტიპებს.

- შემეცნებითი ხასიათის კონკრეტული საკითხის გამოკვლევა (მაგ., „რა ვიცი თუ წყლის შესახებ“, „ჩვენი უცხოელი თანატოლების სასკოლო ცხოვრება“) და მიების შედეგების წარმოდგენა სასურველი ფორმატით (მაგ., პრეზენტაცია, პოსტერი, ბროშურა);
- მინი სოციალური კვლევა ყმაწვილებისათვის საინტერესო საკითხზე (მაგ., „რა მუსიკას უსმენენ ჩვენი თანატოლები“, „რა გადაცემებს ვუყურებთ უმეტესწილად“) - კითხვარის შედგენა, გამოკითხვის ჩატარება, მონაცემების გაანალიზება და ზეპირი ან წერილობითი ანგარიშის წარდგენა;
- კორესპონდენციაში მონაწილეობა (წერილების მიწერა რეალური ან წარმოსახვითი უცხოელი თანატოლისთვის, ანონონიმური საკლასო მიმოწერა განვლილ თემატიკასთან დაკავშირებულ საკითხზე, რომელშიც ადრესატები ცდილობენ ამოიციონ ავტორი.);
- ინტერვიუება აქტუალურ საკითხზე (მაგ., „როგორია შენი ოცნების სკოლა“, „უნდა გყავდეს თუ არა შინაური ცხოველები?“) - კითხვების მომზადება, ინტერვიუების აღება/მიცემა და შედეგების წარდგენა;
- კულტურათა დიალოგის ხელშემწყობი პროექტის/აქტივობის განხორციელება (მაგ., ორენოვანი ტურისტული ვებგვერდის/ბუკლეტის, უცხო ქვეყნის დღესასწაულთა კალენდრის შექმნა, თეატრალური წარმოდგენა და სხვ.);
- შემოქმედებითი პროდუქტების შექმნა და წარდგენა (მაგ., სკეტჩი, რეპი, კლიპი, ვიდეორგოლი, რეკლამა, თანატოლთა ნაკეთობების კატალოგი და სხვ.);
- ტექსტის სხვა ფორმატში „გადაწერა“ (მაგ., ბიოგრაფიის საფუძველზე ბიოგრაფიული ცნობარის შედგენა, დღის წესრიგის საფუძველზე - დღიურის და სხვ.).

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასებისათვის განკუთვნილი დავალება:

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- დავალების შეფასების რუბრიკა, შეფასების ინდიკატორების გარდა, უნდა ეფუძნებოდეს მეთოდოლოგიურ ნაწილში წარმოდგენილ გამჭოლ უნარებსა და ღირებულებებს;
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე.

კონკრეტული რუბრიკის ნიმუში

შემაჯამებელი დავალება ზეპირმეტყველებაში

დავალების პირობა: მოცემულ სურათზე დაყრდნობით შეადგინე და მოყევი ამბავი - რა ხდებოდა სურათის გადაღებამდე ორი-სამი საათით ადრე და რა მოხდა შემდეგ. დააზუსტე პერსონაჟთა ვინაობა, დაახასიათე ისინი, გადმოეცი ამბები, მიუთითე მოქმედებათა თანამიმდევრობა, დრო და ადგილი. საუბრის მინიმალური დრო - 2 წუთი

კრიტერიუმების ბაზე ზემოთ მოცემული შემაჯამებელი ზეპირი დავალებისათვის	ქულები	კომენტარი
პირობასთან შესაბამისობა		
იცავს დროის ლიმიტს	0 - 1	
იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს	0 - 1	
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები		
თანამიმდევრულად აღწერს/გადმოსცემს მოქმედებებს	0 -0,5- 1	
განსაზღვრავს მოქმედების დროსა და სივრცეს	0 – 0,5 -1	
ენობრივი უნარ-ჩვევები		
იყენებს ნასწავლი დროის გამომხატველ გრამატიკულ კონსტრუქციებსა და ენობრივ ფორმებს	0-1-2	
ადეკვატურად იყენებს ზმნის წარსული დროის გამომხატველ ფორმებს	0 - 1	
იყენებს ნასწავლ ლექსიკას	0 - 1	
შემოქმედებითი უნარ-ჩვევები		
ავლენს ფანტაზიის უნარს, ორიგინალურობას	0 - 1	
იყენს გაბედულებას ენობრივი თვალსაზრისით	0 - 1	
<i>ქულათა მაქსიმალური რაოდენობა (10)</i>		

ე) ტერმინოლოგიური ლექსიკონი

უცხოური ენების სტანდარტის სპეციფიკური ტერმინები:

- მაკრო-ფუნქციები არის კატეგორიები, რომლებიც განსაზღვრავენ წერილობითი ან ზეპირი დისკურსის (გამონათქვამთა ბმული თანამიმდევრობის) ფუნქციურ გამოყენებას.
- მიკრო-ფუნქციები არის კატეგორიები, რომლებიც განსაზღვრავენ ცალკეული გამონათქვამების ფუნქციურ გამოყენებას.

- მოქმედებაზე ორიენტირებულ მიდგომა (action-oriented approach) ენების დიდაქტიკის ახალ პარადიგმას წარმოადგენს. განსხვავებით კომუნიკაციური მიდგომისაგან, რომელიც არსებითად ინფორმაციის გაცვლაზე იყო ორიენტირებული, ამ ახალ პარადიგმაში ენების სწავლა-სწავლების მთავარ ამოცანას შეადგენს სოციალურ კონტექსტებში სხვადასხვა ტიპის საქმიანობათა უცხოურ ენაზე განხორციელების უნარების განვითარება. თუკი კომუნიკაციური მიდგომის მთავარ საგაკვეთილო აქტივობას „სიმულაცია“ წარმოადგენდა, ამ ახალი მიმართულების მიხედვით, პროექტული სწავლა-სწავლებაა პრიორიტეტული.

- ტექსტის სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტები:

- ✓ არავერბალური ელემენტები: ილუსტრაცია, ჟესტ-მიმიკა, ლოგო, სქემა, შრიფტის სახესხვაობა, ზომა და სხვ.

- ✓ ვერბალური ელემენტები: სათაური, თავი, რუბრიკა, აზნატი.

- სტრატეგიები:

- ✓ მოსმენის/კითხვის წინარე სტრატეგიები:

- პირობის გააზრება;
- ვარაუდების გამოთქმა;
- ცოდნის მობილიზება - გულისხმობს ორი ტიპის ქმედებას: 1) იმ ენობრივი თუ თემასთან დაკავშირებული წინარე ცოდნის გონებაში მოძიება-გააქტიურებას, რომელიც უკავშირდება დასამუშავებელ ახალ საკითხებს; 2) საჭიროებისამებრ, ტექსტის გაგებისათვის აუცილებელი საკვანძო ლექსიკური ერთეულების ან გრამატიკული საკითხის დამუშავებას, დამატებითი ინფორმაციის მოძიებას სათანადო რესურსებში.

- ✓ სტრატეგიები მოსმენის/კითხვის დროს და შემდეგ:

- გაცნობითი კითხვა - გულისხმობს ტექსტის ზოგადი შინაარსის გასაგებად ყურადღების მიმართვას ტექსტის ორგანიზებაზე, მის სტრუქტურულ ერთეულებზე; ტექსტის შინაარსზე აზრის შესაქმნელად სათაურის/ქვესათაურების, ილუსტრაციების, წარწერების, გამოყოფილი სიტყვების, აზნატიების პირველი და/ან ბოლო წინადადების წაკითხვა (გაცნობითი მოსმენის შემთხვევაში მსმენელი ყურადღებას გაამახვილებს ნაცნობ სიტყვებსა და შესიტყვებებზე, არავერბალურ ელემენტებზე (ინტონაცია, მიმიკა-ჟესტიკულაცია, ხმის ტემბრი და სხვ.);
- სელექციური კითხვა/მოსმენა - გულისხმობს ყურადღების მიზანმიმართულად წარმართვას არა მთლიან შინაარსზე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტულ ინფორმაციაზე;
- შესწავლითი კითხვა - გულისხმობს ტექსტის დეტალურ დამუშავებას სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით. ამგვარ სტრატეგიებს წარმოადგენს:
 - მთლიანად გადაკითხვა - ტექსტის მთლიანად ჩაკითხვა უცნობ სიტყვებზე შეჩერების გარეშე თემატიკის/მთავარი საკითხების შესახებ აზრის შესაქმნელად;
 - გონებაში დამუშავება - ტექსტის ცალკეული მონაკვეთის/აზნატის შინაარსის წარმოდგენაში გაცოცხლება, წინარე ცოდნასთან დაკავშირება და დამუშავება;
 - გამოცნობა - გულისხმობს უცნობი სიტყვების, გამოთქმების მნიშვნელობის ამოცნობას ნაცნობი ელემენტების (კონტექსტის, მშობლიურ ენაში დამკვიდრებული უცხოური სიტყვების, ილუსტრაციების, ნაცნობი ფუძის, მიმიკის და სხვ.) დახმარებით;
 - უცნობი სიტყვების ამოწერა - ლექსიკონის დახმარებით უცხო სიტყვების მნიშვნელობის ამოცნობა;
 - მიბრუნება - გაუგებარ, რთულ, ბუნდოვან მონაკვეთებთან მიბრუნება;
 - შეკითხვების დასმა - ტექსტის მონაკვეთების ერთმანეთთან დასაკავშირებლად;

- ინფორმაციის დაჯგუფება - ინფორმაციის ორგანიზების სხვადასხვა ხერხის (სემანტიკური რუკის, სქემატური ჩანაწერების, ტაბულის, გრაფიკის) გამოყენება;

- ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთის/აზნაის შეჯამება.

➤ ლაპარაკის სტრატეგიები:

- ცოდნის მობილიზება;

- რეპეტიცია;

- პარაფრაზირება - სიტყვის დავიწყების/არცოდნის შემთხვევაში საკომპენსაციო საშუალებების (მაგ., ქესტიკულაციით მითითება, ნაგულისხმევი საგნის აღწერა ან მისი დანიშნულების აღნიშვნა) გამოყენებას.

✓ წერის წინარე სტრატეგიები:

- კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებლების (მიზნისა და ადრესატის, ადგილის) განსაზღვრა;

- იდეების გენერირება (დაბადება) - გულისხმობს იდეების მოფიქრება-ჩანიშვნას;

- იდეების დაჯგუფება - გულისხმობს იდეების ურთიერთდაკავშირებას, მათ შორის არსებული მიმართებების გამოკვეთას მაორგანიზებელი სქემების გამოყენებით;

- ცოდნის მობილიზება;

- გეგმის შედგენა.

➤ სტრატეგიები წერის დროს და წერის შემდგომ:

- პირველადი ვარიანტის შედგენა;

- პირველადი ვარიანტის გაუმჯობესება - ნაწერის პოტენციური მკითხველის თვალთახედვით შეფასება; შინაარსობრივი, სტრუქტურული, ენობრივი შესწორებების შეტანა; გრამატიკული და ორთოგრაფიული შეცდომების გასწორება დამხმარე რესურსების და ისტ-ის გამოყენებით; ნაწერის გაფორმება და გამოქვეყნება.

➤ სტრატეგიები ლექსიკისა და გრამატიკის შესასწავლად:

- ენათშორისი პარალელების გავლება;

- დამახსოვრების სხვადასხვა ხერხის გამოყენება;

- დედუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობას, განზოგადებას და გამოყენებას კონკრეტულ მაგალითებში;

- ინდუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანას.

➤ სწავლის პროცესის მართვა (მეტაკოგნიტური სტრატეგიები):

- აქტივობის/დავალეების ღირებულების განჭვრეტა ანუ მოსწავლის მიერ იმ პიროვნული თუ სოციალური სარგებლის დანახვა, რომელსაც მოუტანს მას ამა თუ იმ აქტივობის შესრულება. სასკოლო აქტივობების ღირებულების დანახვა მოტივაციის გაზრდის მნიშვნელოვანია ფაქტორია.

- სწავლის პროცესზე დაფიქრება (მეტაკოგნიტური პაუზა) - სასწავლო აქტივობაში გამოყენებული სტრატეგიების გაანალიზება, მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით შეფასება და სათანადო დასკვნების გამოტანა;

- ენის სწავლის შემაფერხებელი და ხელშემწყობი ფაქტორების გაცნობიერება და მათი გათვალისწინებით წინსვლის ხელშეწყობა.

ვ) დანართები

ვ.ა. ფრანგული ენა

საბაზო საფეხურის გრამატიკა

L'article

L'article indéfini : *un, une, des*

L'article défini : *le, la, l', les*

L'article contracté : *au, aux; du, des*

L'article partitif : *du, de la, de l', des*

- L'article partitif après la forme négative : *de*

Le nom

La formation du féminin des noms

- Règle générale: *le masculin + e*
- La terminaison ne change pas : *un élève/une élève, un artiste/une artiste, etc.*
- Les règles particulières - *la terminaison change* : *un écolier/une écolière, un veuf/une veuve, un acheteur/une acheteuse, un directeur/une directrice, etc.*
- Les cas particuliers: *un homme/une femme; un héros/une héroïne, un coq/une poule, etc.*

La formation du pluriel des noms

- Règle générale : *le singulier + s*
- La terminaison ne change pas : *un pays/des pays, un nez/des nez, une noix /des noix, etc.*
- Les règles particulières - *la terminaison change* : *un bateau/des bateaux, un cheveux/des cheveux, un bijou/des bijoux, un animal/des animaux, etc.*
- Les cas particuliers : *un œil/des yeux, un monsieur/des messieurs, un os [ʔs]/des os [o], etc.*

L'adjectif

La formation du féminin des adjectifs qualificatifs

- Règle générale: *le masculin + e*
- La terminaison ne change pas : *jeune/jeune*
- Les règles particulières - *la terminaison change* : *premier/première, neuf/neuve, joyeux/joyeuse, etc.*
- Les cas particuliers: *long/longue, faux/fausse, beau/belle, etc.*

La formation du pluriel des adjectifs qualificatifs

- Règle générale : *singulier + s*
- La terminaison ne change pas : *un mur bas/des murs bas, un sourire doux, des sourire doux, etc.*

- Les cas particuliers : *national/nationaux, nouveau/nouveaux, etc.*

Les adjectifs possessifs : *mon, ma, mes, ton, ta, tes, son, sa, ses, notre, nos, votre, vos, leur, leurs*

- Les adjectifs possessifs devant un nom féminin commençant par une voyelle ou par un h muet : *mon amie, son horloge, etc.*

Les adjectifs démonstratifs : *ce, cet, cette, ces*

Les adjectifs interrogatifs : *quel, quelle, quels, quelles*

L'adjectif indéfini : *tout*

Les adjectifs numéraux :

- Les adjectifs numéraux cardinaux
- Les adjectifs numéraux ordinaux

Le pronom

Les pronoms personnels atones :

- Les pronoms personnels sujets : *je, tu, il, elle, nous, vous, ils, elles*
- Les pronoms personnels compléments d'objet directs (COD) : *me, te, le, la, l', nous, vous, les*
- Les pronoms personnels compléments d'objet indirects (COI) : *me, te, lui, nous, vous, leur*

Les pronoms personnels toniques : *moi, toi, lui, elle, nous, vous, eux, elles*

Le pronom personnel indéfini : *on*

Les pronoms démonstratifs neutres : *ce, ceci, cela, ça*

Les pronoms indéfinis : *tout, rien, personne, quelqu'un, quelque chose, etc.*

Les pronoms relatifs simples : *qui, que*

Les pronoms interrogatifs : *qui, que*

L'expression de la possession :

- à + nom
- à + pronom personnel tonique
- de + nom

L'adverbe

Les adverbes de lieu : *ici, là, là-bas, là-haut, loin, près, en haut, en bas, etc.*

Les adverbes de quantité : *beaucoup, peu, assez, trop, etc.*

Les adverbes de temps : *maintenant, après, avant, tôt, toujours, etc.*

წმცხ / Le verbe

- Les trois groupes des verbes
- Les verbes pronominaux : *se lever, se promener, etc.*
- Les verbes auxiliaires « avoir » et « être »
- Les verbes conjugués avec l'auxiliaire « être »
- Les verbes impersonnels: *falloir, pleuvoir, neiger, etc.*
- Les constructions: *il y a, il faut + l'infinitif du verbe*

Les modes et les temps du verbe

L'indicatif présent

Le futur proche / futur immédiat

Le passé récent / passé immédiat

Le passé composé

L'imparfait

Le futur simple

Le participe passé

L'impératif présent

La forme négative des temps simples et composés

La forme interrogative avec: *intonation, « est-ce que », inversion, pronom/adjectif/adverbe interrogatif*

La préposition

Les prépositions de lieu : *à, en, dans, sur, sous, chez, etc.*

La phrase

La phrase simple

Les phrases coordonnées et subordonnées avec les conjonctions : *et, ou, mais, parce que.*

ვ.ბ. გერმანული ენა

საბაზო საფეხური: გრამატიკა

Verb:

- Präteritum bei regelmäßigen und unregelmäßigen Verben
- Negation *nicht*
- *haben, sein* und *werden* im Präteritum
- Modalverben *können, müssen, wollen, dürfen, mögen, sollen* in Präsens und Präteritum

- Satzklammer: *können, müssen, wollen + Infinitiv*
- Reflexive Verben (Präsens, Perfekt)
- Trennbare und untrennbare Verben im Präsens und Perfekt
- Konjunktiv II – Höfliche Bitte
- Verben mit Präpositionen
- Präsens Passiv: *wird gemacht/geschenkt/gefeiert*; Präsens Passiv mit Modalverben (Modalverb + Partizip II + *werden*): *muss geschrieben werden*
- Infinitiv mit *zu*

Artikelwörter

- bestimmter Artikel: *Dativ*
- Demonstrativpronomen: *diese/diese/dieses; der/die/das*
- Interrogativ: *Welch-?*
- Bestimmte und unbestimmte Artikel im Nominativ und Akkusativ
- Possessivpronomen: *mein/dein/sein/ihr/Ihr; unser/euer*

Nomen:

- Genus: *der/die/das*
- Numerus: *Singular/Plural der Nomen*
- Kasus: *Nominativ, akkusativ, Dativ der Nomen; Genitiv nur bei Eigennamen*
- Pluralbildung
- Wortbildung: feminine Berufsbezeichnungen auf *-in*

Pronomen:

- Personalpronomen im *Nominativ, Akkusativ, Dativ*
- Reflexivpronomen: *Akkusativ-mich, dich, ihn, sie, es*
- Indefinit: *man, jemand, etwas, nichts, mehr, alles*
- Rezipropronomen: *sich/uns*
- Fragepronomen: *Nominativ- Wer?/Was?; Akkusativ: Was?; Dativ: Mit wem?*
- Pronomen *man, es (man/es ist)*
- Demonstrativpronomen *das*

Zahlwörter:

- Kardinalzahl

- Ordnungszahl

Adjektiv:

- Attributiv: *das rote Kleid*
- Praedikativ: *das Kleid ist rot*
- Adverbial: *Ich spiele gern*
- Steigerung der Adjektive (Positiv, Komparativ und Superlativ) und Adverbien.

Präposition

- Präposition *in* mit Akkusativ; Temporal-Ergänzungen mit *am, um*; Perfekt
- Präposition: *am* (Temporal Ergänzung); Temporale Präpositionen
- die Präposition *für* + Akkusativ
- Lokale Präpositionen: *Richtungsangaben*
- Lokal-Ergänzung: *Frage Wohin?* mit den Präpositionen *in, an, nach*;

Partikeln:

- Redepartikel

Konnektor Konjunkt

- *und, auch, aber, oder, dass, wenn, damit, weil, wie, deshalb*

Syntax

- Nebensätze mit *dass, weil*
- Relativsätze mit *der, das, die*
- Konzessivangaben mit *obwohl*
- Nebensätze - kausal
- Nebensätze – konditional

ვ.გ. რუსული ენა

საბაზო საფეხური: გრამატიკა

1. Грамматика

1.1. Фонетика

Соотношение звуков и букв. Гласные и согласные звуки. Твердые и мягкие, звонкие и глухие согласные. Слово, слог. Ударение и ритмика. Типы интонационных конструкций: законченное высказывание, специальный вопрос, обращение, просьба, общий вопрос, сопоставительный вопрос с союзом «а», оценка.

1.2. Словообразование

Понятие об основе слова. Основа слова и окончание; корень слова, суффикс, префикс.

Морфологический способ словообразования. Распознавание минимально ограниченного числа словообразовательных моделей (*учитель — учительница; иностранец — иностранка; городской; читать — прочитать; русский — по-русски*). Суффикс *-ёнок/-онок* и его роль в распознавании словообразовательных моделей (*кошка-котёнок, корова-телёнок, волк-волчонок*)

Лексико-семантический способ словообразования (на примере ограниченного количества примеров, предлагаемых материалами используемого учебника).

1.3. Морфология

Имя существительное.

Одушевленные и неодушевленные имена существительные.

Нарицательные и собственные имена существительные. Собственные имена существительные для обозначения имени, отчества, фамилии; географические названия, названия книг, фильмов, спектаклей.

Существительные мужского, женского, среднего, общего рода (слова, обозначающие профессии, род деятельности, сферу интересов: *врач, политик, коллекционер*). Род несклоняемых имен существительных.

Число имен существительных. Существительные, имеющие форму только единственного или только множественного числа: конкретные и вещественные.

Система падежей в русском языке.

Значение и употребление падежей

Именительный падеж:

- Лицо активного действия;
- Название лица, предмета;
- Обращение;
- Наличие предмета;
- Предмет обладания.

Родительный падеж

а) без предлога:

- родительный падеж принадлежности;
- отсутствие лица (предмета) только в настоящем времени;
- в сочетании с числительными в ограниченных конструкциях;
- месяц в дате (на вопрос «Какое сегодня число? *Первое января.*»);

б) с предлогом:

- исходный пункт движения (*из, с*);
- лицо, которому принадлежит что-либо (*у*).

Дательный падеж

а) без предлога:

- адресат действия;
- лицо (предмет), о возрасте которого идет речь (только с личными местоимениями);
- лицо, испытывающее необходимость в чем-либо (только с личными местоимениями);

б) с предлогом:

- лицо как цель движения (*к*);

Винительный падеж

а) без предлога:

- лицо (предмет) как объект действия;
- логический субъект при глаголе *звать*;

б) с предлогом:

- направление движения (*в, на*);
- время (час, день недели) (*в*).

Творительный падеж

а) без предлога:

- с глаголом *заниматься*;
- с глаголом *знакомить/познакомить*;
- профессия лица (при глаголе *быть*);

б) с предлогом:

- совместность.

Предложный падеж

с предлогом:

- объект речи, мысли;
- место (*в/на*);
- средство передвижения (*на*).

Имя прилагательное

Род, число и падеж имен прилагательных. Зависимость рода, числа и падежа прилагательного от существительного. Склонение прилагательных.

Местоимение

Значение, падежные формы изменения и употребление личных местоимений (*я, ты, он, она, оно, мы, вы, они*).

Вопросительные (*какой? чей? сколько?*), притяжательные (*мой, твой...*), указательные (*этот,*

тот), возвратное (*себя*) местоимения.

Склонение личных, указательных и притяжательных местоимений. Отличие личных местоимений в падеже местоимений *его, ее, их* от притяжательных местоимений *его, ее, их*.

Имя числительное

Разряды числительных по значению: количественные и порядковые. Разряды числительных по строению: простые и составные.

Обозначение даты (*первое марта*), возраста (*четыре года - пять лет - двадцать один год*), времени действия (*в шесть часов - в два часа - в час*). Числительные в нумерации (*дом номер два*).

Родовые формы и формы числа у числительных (*один/одна-одно-одни; два-две*) и их согласование с существительным.

Глагол

Инфинитив. I и II спряжение глаголов. Лицо и число.

Настоящее, будущее и прошедшее время глагола в изъявительном наклонении.

Возвратные глаголы. Особенности их спряжения. Глаголы учить-учиться: управление Вин. П. и Пред. П. (учить – что? – математику; учиться – где? - в школе).

Глаголы *хотеть, любить, мочь, должен* и их спряжение. Сочетание с формами инфинитива (*хочу/хочешь/... /хотят изучать русский язык, люблю читать*)

Глаголы движения. Движение пешком и на транспорте (*идти-ехать*). Движение как однонаправленный процесс (*идти, ехать*) и как процесс, направленный в обе стороны (*ходить-ездить*). Временные формы глаголов движения.

Категория вида: несовершенный и совершенный вид глаголов. Видовые пары глаголов (*нести-носить, везти-возить*), спряжение и временные формы.

Изъявительное и повелительное наклонения глаголов (общее понятие).

Наречие

Разряды наречий: образа действия (*хорошо, плохо*), места (*далеко, близко*), времени (*утром, зимой*), меры (*много-мало*) и степени (*медленно, быстро*). Указательные и вопросительные наречия.

Союзы

Простые сочинительные союзы: соединительные, противительные, разделительные.

Предлоги

Простые производные предлоги.

Принадлежность предлогов падежам.

Частица

Формообразующие частицы для образования повелительного наклонения (*давай, давайте*).

1.4. Синтаксис

Словосочетание

Согласование как тип связи в словосочетании. Управление как тип связи в словосочетании.
Примыкание как тип связи в словосочетании.

Простое предложение.

Понятие о субъекте и предикате в предложении.

Способы выражения грамматического субъекта:

- имя существительное или местоимение в форме именительного падежа (*Алина танцует*).

Способы выражения логического субъекта;

- имя существительное или местоимение в форме винительного падежа (*Меня зовут Олег*);

- имя существительное или местоимение в форме родительного падежа (*У меня есть книга*). Способы выражения предиката;

- глагол в изъявительном наклонении.

Согласование между подлежащим и сказуемым в предложении.

Предложения утвердительные и отрицательные.

Способы выражения лексико-смысловых отношений в предложении:

- Объектные отношения: беспредложные конструкции (*Я читаю книгу.*) и предложно-падежные конструкции (*Я читаю о России*);
- Атрибутивные отношения: согласованное определение: (*красивая девушка*);
- Пространственные отношения: предложно-падежные конструкции существительных, наречия (*Джон живет в Америке. Наташа живет далеко*);
- Временные отношения: наречия (*Я долго ждала её*).

Невопросительные предложения:

- повествовательные и утвердительные (*Вчера приехал мой друг. Андрей смотрит телевизор. Сегодня тепло.*);
- отрицательные (*Гости не пришли*).

Вопросительные предложения (*Сколько стоит эта книга?*)

Двухкомпонентные модели (*Брат спит. Папа-учитель*).

Простые предложения с противительным союзом *а* (*Это не дом, а школа*).

Обращение и его выражение.

Сложное предложение.

Понятие о бессоюзном и союзном (сложносочиненном) предложении (элементарные

конструкции).

1.5. Правописание

Орфография и орфоэпия

Употребление строчной и прописной букв.

Правописание и произношение гласных (безударные гласные, проверяемые и непроверяемые ударением) и согласных в корнях слов.

Правила переноса.

Слитное и раздельное написание **не** с глаголами.

Употребление **ь** в падежных формах имен существительных и глаголах.

Правописание предлогов, союзов, частиц (в объеме, установленном стандартами для данного уровня).

Правописание гласных после шипящих и **ц**.

Правописание окончаний в именах существительных, прилагательных, наречиях.

Гласные **э** и **е** в начале слова и под ударением; правописание и произношение.

Гласные **ы** и **и**; правописание и произношение.

Гласные **е, е, ю, я** в начале и в середине слова; правописание и произношение.

Произношение слов с разделительным **ь**.

Произношение твердых и мягких, звонких и глухих согласных. Двойные согласные.

Произношение сочетания согласных **чн, чт, тц, тьс, сч, стн, здн, лнц** и др.

Произношение заимствованных слов.

Произношение родительного падежа имен прилагательных.

Ассимилятивное смягчение согласных перед мягкими зубными (*стена*).

Произношение **ш** и **щ**.

Пунктуация

Знаки препинания в конце предложения.

Знаки препинания в простом предложении (тире между подлежащим и сказуемым: *Москва - столица России. Тбилиси - столица Грузии.*).

Знаки препинания в простом предложении с одиночными союзами **а, но, и, или**.

Знаки препинания при обращении.

Знаки препинания в предложении с однородными членами (простейшие конструкции без обобщающих слов).

Знаки препинания в бессоюзном сложном предложении со значением перечисления.

(ამოქმედდეს 2019 წლის 15 სექტემბრიდან)

საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 11.05.2018წ.

თავი XV. საზოგადოებრივი მეცნიერებები - ზოგადი ნაწილი და სტანდარტები

მუხლი 70. საზოგადოებრივი მეცნიერებები - ზოგადი ნაწილი

შესავალი

საზოგადოებრივი მეცნიერებების შესწავლა უმნიშვნელოვანესია მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის, მისი ღირებულებითი სისტემის ფორმირებისთვის. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებული საგნების შესწავლის გზით მოსწავლე შეიმეცნებს ოჯახზე, უშუალო გარემოსა და სამშობლოზე ზრუნვის აუცილებლობას; ადამიანის სიცოცხლის, ღირსებისა და უფლებების პატივისცემას; მოქალაქეობრივ სიმამაცეს, თანასწორობასა და შემწყნარებლობას.

საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების მიზნები და ამოცანები

საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლება მიზნად ისახავს:

- მოსწავლის კოგნიტური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობას;
- მოსწავლის სამოქალაქო აღზრდას;
- მოსწავლისთვის საზოგადოებრივი მეცნიერებების შესწავლისთვის საჭირო უნარების განვითარებას.

საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების ამოცანებია:

- მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობა;
- მოსწავლისთვის ჰუმანური ღირებულებების ჩამოყალიბება;
- მოსწავლისთვის სოციალური უნარების (ეთიკის, ეკოლოგიური წიგნიერების, მეწარმეობის, საგანგებო სიტუაციებში რისკის შეფასებისა და უსაფრთხოდ მოქმედების და სხვა) განვითარება;
- მოსწავლისთვის სამშობლოსა და მისი კულტურის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება;
- მოსწავლის დახმარებას მსოფლიოს ერთ მთლიანობად აღქმასა და მიმდინარე პროცესებში საქართველოს ადგილის განსაზღვრაში;
- მოსწავლისთვის შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარება;
- მოსწავლისთვის აღმოჩენებისა და სიახლის ძიების მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება;
- მოსწავლისთვის დროსა და სივრცეში ორიენტირებისთვის, ფაქტებისა და მოვლენების ინტერპრეტაციისთვის, თვალსაჩინოებების შექმნისა და გამოყენებისთვის, ისტორიულ-გეოგრაფიული მოვლენებისა და კანონზომიერებების დადგენისთვის საჭირო სპეციფიკური უნარ-ჩვევების განვითარება.

საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების ორგანიზება

საზოგადოებრივი მეცნიერებები სავალდებულო სახით ისწავლება ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე. ამ საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია მომიჯნავე საგნები - „მე და საზოგადოება“, „ჩვენი საქართველო“, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება. სასწავლო პროცესი აგებულია უწყვეტობის პრინციპზე და ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებს.

დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებები III-VI კლასებში ისწავლება. იგი III-IV კლასებში - „მე და საზოგადოების“, ხოლო V-VI კლასებში „ჩვენი საქართველოს“ სახითაა

წარმოდგენილი. ამ საფეხურზე ეს საგანი საზოგადოებრივი მეცნიერებების ინტეგრირებულ სწავლებას გულისხმობს.

საბაზო და საშუალო საფეხურებზე საზოგადოებრივი მეცნიერებები ისწავლება დამოუკიდებელი დისციპლინების სახით.

	დაწყებითი საფეხური						საბაზო საფეხური			საშუალო საფეხური		
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
მე და საზოგადოება												
ჩვენი საქართველო												
ისტორია												
გეოგრაფია												
სამოქალაქო განათლება												
არჩევითი საგნები												

შეფასება საზოგადოებრივ მეცნიერებებში

საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლა-სწავლებისას გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

საკლასო შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- ა) აჩვენოს, როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;
- ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;
- გ) გამოავლინოს, რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს მოსწავლე კონკრეტული სასწავლო მიზნის მისაღწევად;
- დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;
- ე) აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა კომპლექსურად გამოყენებას.

ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად საკლასო შეფასებაში პრიორიტეტული ადგილი უნდა მიენიჭოს კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

მიმდინარე (საშინაო და საკლასო) დავალებათა კომპონენტები:

საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე შემდეგი ტიპური აქტივობებით უნდა შეფასდეს:

1. ტესტური დავალება;

2. რუკაზე მუშაობა (რუკის შექმნა (მათ შორის, ფაზლით), რუკაზე არსებული შეცდომის შესწორება, სიმულაციური მოგზაურობა რუკაზე და სხვა);

3. დიაგრამების, სკალების (დროის სკალა) შექმნა;

4. ინფორმაციის, ფოტომასალის მოძიება და პრეზენტაციის მომზადება, გამოფენის მოწყობა;

5. მოთხრობის, ანიმაციური/მხატვრული/დოკუმენტური ფილმის, ვიდეორგოლის, მუსიკალური კლიპის, ყოფითი შემთხვევის, ლიტერატურული ნაწარმოების, წყაროს განხილვა.

6. შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა (პლაკატის, ნახატის, კომიქსის, ფლაერის, ესეს, მოთხრობის, ბუკლეტის, კედლის გაზეთის, მაკეტის, ემბლემის, ვიდეორგოლის, ფოტოალბომის, ფოტოკოლაჟის (დროის სკალის გამოყენებით), სლოგანის, შექმნა);

7. დოკუმენტების (საკლასო „კონსტიტუცია“, დღის რეჟიმი“ პეტიციის და სხვა) შექმნა;

8. კვლევითი პროექტი (გამოკითხვა, ინტერვიუ, რეპორტაჟი და სხვა);

9. საქველმოქმედო, საგანმანათლებლო, სოციალური პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული პროექტების დაგეგმვა და განხორციელება;

10. ექსკურსია;

11. დისკუსია (დებატი, თოქ-შოუ);

12. როლური თამაში (საჯარო სტრუქტურის იმიტაცია, სიმულაციური სასამართლო და სხვა).

შემაჯამებელი დავალებების კომპონენტი

შემაჯამებელი დავალების კომპონენტი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. ამ კომპონენტში უნდა შეფასდეს ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა შეძლოს საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების წარმოჩენა. შესაბამისად, შემაჯამებელი დავალებები უნდა ამოწმებდეს უცხოური ენების სტანდარტებით განსაზღვრულ შედეგებს.

შემაჯამებელ დავალებათა ტიპები:

სტანდარტის მოთხოვნათა დასაფარად, რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება. საზოგადოებრივი მეცნიერებების შემაჯამებელ დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს:

1. ინფორმაციის, ფოტომასალის მოძიება და პრეზენტაციის მომზადება, გამოფენის მოწყობა;

2. მოთხრობის, ანიმაციური/მხატვრული/დოკუმენტური ფილმის, ვიდეორგოლის, მუსიკალური კლიპის, ყოფითი შემთხვევის, ლიტერატურული ნაწარმოების, წყაროს განხილვა.

3. შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა (პლაკატის, ნახატის, კომიქსის, ფლაერის, ესეს, მოთხრობის, ბუკლეტის, კედლის გაზეთის, მაკეტის, ემბლემის, ვიდეორგოლის, ფოტოალბომის, ფოტოკოლაჟის (დროის სკალის გამოყენებით), სლოგანის, პეტიციის შექმნა);

4. კვლევითი პროექტი (გამოკითხვა, ინტერვიუ, რეპორტაჟი და სხვა);

5. საქველმოქმედო, საგანმანათლებლო, სოციალური პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული პროექტების დაგეგმვა და განხორციელება;

6. ექსკურსია;

7. დისკუსია (დებატი, თოქ-შოუ);
8. როლური თამაში (საჯარო სტრუქტურის მუშობის იმიტაცია, სიმულაციური სასამართლო და სხვა).

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი დავალება

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა (თუ რეცეფციული (კითხვა, მოსმენა) დავალებაა, მაშინ შეფასების სქემა უნდა ახლდეს თითოეულ ტესტურ კითხვას);
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- მითითებული უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.

მუხლი 71. საზოგადოებრივი მეცნიერებების სტანდარტი

1. საზოგადოებრივი მეცნიერებები დაწყებით საფეხურზე

ა) „მე და საზოგადოება“

შესავალი

საგანი „მე და საზოგადოება“ მოსწავლეს ამზადებს საზოგადოებრივი მეცნიერებების დისციპლინების - ისტორიის, გეოგრაფიის და სამოქალაქო განათლების - შესასწავლად. სასწავლო კურსის ცენტრშია მოსწავლე და მისი გარემომცველი სამყარო, რომლის შემეცნებაც საგნის სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა თემის დამუშავების გზით ხორციელდება. მოსწავლის წინაშე თანამიმდევრულად წარმოჩნდება მასზე მოქმედი სოციალური გარემო.

მიზნები

„მე და საზოგადოება“ III-IV კლასებში მიზნად ისახავს, მოსწავლეს ჩამოუყალიბოს პასუხისმგებლობა და მზრუნველი დამოკიდებულება საკუთარი თავის, ოჯახის, თემის, ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართ; ასევე:

- დაეხმაროს საკუთარი თავის საზოგადოების წევრად აღქმაში;
- ხელი შეუწყოს სოციალიზაციასა და თვითგამოხატვის უნარის განვითარებაში;
- გააცნობიერებინოს, რომ თავის უშუალო გარემოზე ზრუნვით იწყება სამშობლოს სიყვარული;
- გამოუმუშაოს გარემოში ადეკვატურად და ეთიკურად მოქმედების უნარი;
- ასწავლოს ზრუნვა საკუთარი და ოჯახის წევრების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოების დაცვაზე;
- განუვითაროს სხვადასხვა ტიპის კატასტროფების შემთხვევაში ადეკვატურად მოქმედების უნარი;
- ასაკის შესაბამისად ჩამოუყალიბოს ეთიკა და ზნეობრივი ღირებულებები.

მიმართულებების აღწერა:

პიროვნული განვითარება - მიმართულების მიზანია, მოსწავლეს ასწავლოს თვითშეფასება, რაც მომავალში საკუთარი შესაძლებლობების განსაზღვრაში დაეხმარება; ასევე განუვითაროს პასუხისმგებლობის გრძნობა. საგნის ეს მიმართულება მოსწავლეს შეაჩვევს ჯანსაღი ცხოვრების წესს (პირადი ჰიგიენისა და წესრიგის დაცვას, ჯანსაღ კვებას, ფიზიკურ აქტივობებს); ხელს შეუწყობს ჩამოყალიბდეს ღირსების, პასუხისმგებლობის, ზნეობრივი პრინციპების მქონე პიროვნებად, რომელსაც ექნება თვითკონტროლისა და თვითგამოხატვის უნარები.

ინიციატივა და მეწარმეობა - მიმართულების მიზანია მოსწავლეს განუვითაროს კრიტიკული და ინოვაციური აზროვნება; აღჭურვოს იგი ისეთი უნარებით, როგორებიცაა: გადაწყვეტილების მიღება, მიზნების შესაბამისად რაციონალური მოქმედება, პრობლემის იდენტიფიცირება და გადაჭრა, დროის და სხვა რესურსების სწორად დაგეგმვა, ხარჯვა და დაზოგვა.

სოციალურ-კულტურული განვითარება, მოქალაქეობა და უსაფრთხოება - მიმართულების მიზანია, მოსწავლეს გაუღვივოს ინტერესი საკუთარი ქალაქის/სოფლისა და საკუთარი მხარის მიმართ; დაანახოს თავისი ადგილი მშობლიურ გარემოში; შეასწავლოს მის გარშემო მიმდინარე სოციალურ და კულტურულ პროცესებში მონაწილეობის საშუალებები; გააცნოს შესაძლო საგანგებო სიტუაციებიდან მომდინარე საფრთხეები; ჩამოუყალიბოს საგანგებო სიტუაციებში თვითგადარჩენისა და უსაფრთხოდ ქცევის უნარი. ამასთანავე, მოსწავლემ უნდა გაიაზროს დროის ფენომენი; დაინახოს, თუ როგორ ვითარდება ცხოვრებისეული მოვლენები და რა სახის ცვლილებებს აქვს ადგილი მის ლოკალურ გარემოში. აღნიშნული მიმართულება ჰუმანური ღირებულებების (არაძალადობრივი გზებით მოქმედება, შემწყნარებლობა (ტოლერანტობა), თანასწორობა) ჩამოყალიბებასა და აქტიური მოქალაქის აღზრდასაც უწყობს ხელს, რომელსაც გააზრებული აქვს საერთო წესების მნიშვნელობა, ზრუნავს საკუთარ ოჯახზე, სკოლაზე, ბუნებრივ გარემოსა და ისტორიულ მემკვიდრეობაზე, აღიქვამს მის ქვეყანაში არსებული სახელმწიფო ინსტიტუტების მნიშვნელობას.

III-IV კლასების სტანდარტი

IV კლასის ბოლოს მისაღწევი შედეგები

ინდექსების განმარტება

დაწყებით საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **საზ.მეც.დაწყ.(I).1.:**

„**საზ.მეც.**“ - მიუთითებს საზოგადოებრივ მეცნიერებებს;

„**დაწყ.**“ - მიუთითებს დაწყებით საფეხურს;

„**(I)**“ - მიუთითებს, რომ სტანდარტი მოიცავს III-IV კლასებს;

„**1**“ - მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

„**მე და საზოგადოების**“ სტანდარტის შედეგები (III-IV კლასები)

შედეგების ინდექსი	1. მიმართულება: პიროვნული განვითარება
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
საზ.მეც.დაწყ.(I).1.	საკუთარი თავის აღქმა საზოგადოებრივი ჯგუფების - ოჯახის, სამეგობროს, სკოლის, თემის - წევრად;
საზ.მეც.დაწყ.(I).2.	საკუთარი თავისა და სხვა ადამიანების მიმართ ზრუნვა-პატივისცემის გამოვლენა;
საზ.მეც.დაწყ.(I).3.	ასაკის შესატყვისი ზნეობრივი კატეგორიების გაცნობიერება და საზოგადოებაში მიღებული ეთიკის ნორმების შესაბამისად მოქმედება;
საზ.მეც.დაწყ.(I).4.	ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა (პირადი ჰიგიენა, ჯანსაღი კვება, სპორტული აქტივობები);
საზ.მეც.დაწყ.(I).5.	მშობლიური კულტურის მიმართ მზრუნველი დამოკიდებულების გამოვლენა.
	2. მიმართულება: ინიციატივა და მეწარმეობა
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
საზ.მეც.დაწყ.(I).6.	საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა და მისი მოსალოდნელი შედეგების გაცნობიერება; რესურსების დაგეგმვა და დაზოგვა;
საზ.მეც.დაწყ.(I).7.	სხვადასხვა პროფესიისა და საქმიანობის მნიშვნელობისა და საჭიროების გაცნობიერება;
საზ.მეც.დაწყ.(I).8.	ასაკის შესატყვისი სამომხმარებლო და ეკონომიკური უნარ-ჩვევების გამოვლენა.
	3. მიმართულება: სოციალურ-კულტურული განვითარება, მოქალაქეობა და უსაფრთხოება
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
საზ.მეც.დაწყ.(I).9.	მოვლენების დროსთან დაკავშირება და ტერმინების - წარსულის, აწმყოს, მომავლის - ადეკვატურად გამოყენება;
საზ.მეც.დაწყ.(I).10.	ღირებულებების (მაგ. ეთიკური ქცევის ნორმების დაცვა, სამართლიანობა, პასუხისმგებლობა, ქვეყნის კულტურული მრავალფეროვნების გააზრება და დაცვა) რეალურ სიტუაციებთან დაკავშირება;
საზ.მეც.დაწყ.(I).11.	ლეგენდებისა და მითების, კულტურულ-ისტორიული ძეგლების, მნიშვნელოვანი მოვლენების, ისტორიული და თანამედროვე პიროვნებების ლოკალურ გარემოსთან დაკავშირება;
საზ.მეც.დაწყ.(I).12.	მოსწავლის საცხოვრებელ გარემოში წარმოდგენილი სხვადასხვა სოციოკულტურული ინსტიტუტის ფუნქციების გაცნობიერება (მაგ.: სკოლის, უნივერსიტეტის, სამედიცინო დაწესებულების, მუზეუმის, კინოს, კლუბის, პოლიციის);
საზ.მეც.დაწყ.(I).13.	ბავშვის უფლებებისა და მოვალეობების გაცნობიერება, ასევე ოჯახისა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გააზრება;
საზ.მეც.დაწყ.(I).14.	ქცევის წესების გათავისება, თანატოლებთან მათი შეთანხმება და დაცვა; შემწყნარებლობის გამოვლენა განსხვავებული კულტურის, ეროვნების,

	შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ;
საზ.მეც.დაწყ.(I).15.	საგანგებო (ბუნებრივი კატასტროფების დროს) და ცხოვრებისეულ (მაგ.: ქუჩაში, ტრანსპორტში, ექსკურსიაზე) სიტუაციებში სამოქალაქო უსაფრთხოების წესების დაცვით მოქმედება;
საზ.მეც.დაწყ.(I).16.	კონფლიქტურ სიტუაციებში პრობლემის გადაჭრის მშვიდობიანი გზების მოძებნა;
საზ.მეც.დაწყ.(I).17.	მზრუნველობის გამოვლენა ბუნებრივი გარემოსა და ისტორიული მემკვიდრეობის მიმართ.

შინაარსი

ძირითადი ცნებითი კატეგორიები და სასწავლო თემები

„მე და საზოგადოება“ III-IV კლასებში მოსწავლეს სოციალურ გარემოს იმ ინსტიტუტების (ოჯახი, სკოლა, სანათესაო წრე, მეგობრები, მეზობლები/ეზო, ქუჩა, მედია) საშუალებით შეასწავლის, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესს. საგნის სწავლება შემდეგი ცნებითი კატეგორიებისა და თემების დამუშავების ფონზე წარიმართება:

ცნებები და ტერმინები:

1. პიროვნება, მე, როგორც საზოგადოებრივი ჯგუფების (ოჯახი, სკოლა, სამეგობრო, სამეზობლო, თემი) წევრი;
2. დრო, უწყვეტობა და ცვლილება (წარსული, აწმყო, მომავალი);
3. ხალხი, მდებარეობა, გარემო (ადამიანები ჩემ გარშემო, ადგილი, სადაც ვცხოვრობ, საგანგებო სიტუაციები, ბუნებრივი გარემო);
4. ეკონომიკა (პროფესია, პირადი და საზოგადო საკუთრება, დაზოგვა, რესურსები);
5. მოქალაქე (პასუხისმგებლობა, ჯანსაღი ცხოვრების წესი - პირადი ჰიგიენა, ჯანსაღი კვება, ფიზიკური აქტივობები, ზრუნვა, მონაწილეობა);
6. ღირებულებები და კულტურა (ზნეობრივი კატეგორიები, მრავალფეროვნება, თანასწორობა, კონფლიქტის დამლევა, გარემოს დაცვა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა).

მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ცნებების დამუშავება უნდა მიმდინარეობდეს თვალსაჩინო მაგალითების საფუძველზე. მოსწავლე კონკრეტული მაგალითების მეშვეობით გაიაზრებს მათ მნიშვნელობას და გამოიყენებს შესაბამისად. ამ ეტაპზე დაუშვებელია ცნებებისა და მათი განმარტებების თეორიული სწავლება.

თემები:

- ჩემი ოჯახი;

- სასკოლო გარემო, მეგობრები და თანატოლები;
- გარემო, რომელშიც ვცხოვრობ;
- სად და როგორ ვიღებ განათლებას;
- მედია და ინფორმაცია;
- მე და ჩემი ქვეყანა.

სავალდებულო თემები:

თემები III კლასისათვის

თემა	სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები: გრაფაში მოცემული კონკრეტული შეკითხვის პროვოცირება (ანუ, მათ მიმართ მოსწავლის ინტერესის გაღვივება და დაფიქრება) „მე და საზოგადოების“ ორი-სამი ან კიდევ უფრო მეტი გაკვეთილის მიზნად შეიძლება ჩავთვალოთ.	ძირითადი ცნებები
1. ჩემი ოჯახი	<p>როგორ გამოვხატო პატივისცემა ოჯახის წევრების (დედ-მამის, და-ძმის, ბებია-ბაბუის და სხვა) მიმართ? (საზ.მეც.დაწყ.(I). 1, 2, 3, 5, 10, 13);</p> <p>რატომ მამლევენ ჩემი ოჯახის უფროსი წევრები რჩევებს/შენიშვნებს? (საზ.მეც.დაწყ.(I).1, 2, 13);</p> <p>რატომ და როგორ უნდა ვზრუნავდეთ ოჯახის წევრები ერთმანეთზე? (საზ.მეც.დაწყ.(I).1, 2, 3, 10);</p> <p>როგორ ვინაწილებთ შრომას ოჯახში? (საზ.მეც.დაწყ.(I).1, 2, 3, 10, 13)</p> <p>რატომ და როგორ უნდა დავაფასოთ ოჯახის ყველა წევრის (დედის, მამის, და-ძმის, ბებია-ბაბუის და სხვა) შრომა? (საზ.მეც.დაწყ.(I). 2, 3, 6, 7, 8, 14);</p> <p>რა პასუხისმგებლობები მაქვს ჩემი ოჯახის წინაშე? (საზ.მეც.დაწყ.(I).1, 2, 13, 16);</p> <p>რატომ მინდა მოვიქცე კარგად? რა მიზეზი კანახობს ადამიანებს ზნეობრივ საქციელს? (რატომ უნდა ვცე პატივი დედას და მამას, არ მოვიპარო, არ მოვიტყუო, ცილი არ დავწამო და ა.შ.)?(საზ.მეც.დაწყ.(I)2,3,10);</p> <p>რატომ და როგორ უნდა დავიცვათ ოჯახში საერთო და პირადი ჰიგიენა? (საზ.მეც.დაწყ.(I) 1, 2, 4);</p> <p>როგორ დავიცვა ჯანსაღი ცხოვრების წესი? რა მნიშვნელობა აქვს</p>	<p>ოჯახი;</p> <p>თაობა;</p> <p>წინაპარი;</p> <p>დაზოგვა;</p> <p>საოჯახო წეს-ჩვეულებები.</p>

	<p>ჯანსაღ კვებას? (საზ.მეც.დაწყ.(I) 4);</p> <p>როგორ შეგვიძლია გავალამაზოთ საოჯახო გარემო (სახლი, ეზო)? (საზ.მეც.დაწყ.(I) 2, 6);</p> <p>რას, რატომ და როგორ ვუფრთხილდებით ოჯახში (მაგ.: მცენარე, შინაური ცხოველი, სათამაშო, რელიკვია.)? (საზ.მეც.დაწყ.(I) 1. 5, 17);</p> <p>რატომ და როგორ უნდა დავიცვა უსაფრთხოების წესები საცხოვრებელ ადგილზე? (საზ.მეც.დაწყ.(I).15);</p> <p>რატომ და როგორ უნდა მოვიხმარო რესურსები (მაგ.: წყალი, ელექტროენერგია) გონივრულად (ეკონომიურად) ოჯახში? (საზ.მეც.დაწყ.(I). 6, 8, 17).</p>	
<p>2. სასკოლო გარემო, მეგობრები და თანატოლები</p>	<p>რა უფლებები და მოვალეობები მაქვს სკოლაში? რატომ და როგორ უნდა იყოს ყველა ბავშვის უფლებები დაცული სკოლაში? (საზ.მეც.დაწყ.(I).1, 2, 3, 10, 13, 14);</p> <p>რატომ და როგორ უნდა ვცეთ პატივი თანაკლასელებს, მასწავლებლებსა და სკოლის სხვა პერსონალს? (საზ.მეც.დაწყ.(I).1, 2, 3, 5, 14);</p> <p>როგორ შეგვიძლია სხვადასხვა სიტუაციაში თანატოლების დახმარება? (საზ.მეც.დაწყ.(I).10, 15);</p> <p>რატომ არის მნიშვნელოვანი სიკეთის კეთება, თანადგომა?(საზ.მეც.დაწყ.(I)2, 10, 13);</p> <p>როგორ ავირიდოთ ან გადავჭრათ თანატოლებთან კონფლიქტი მშვიდობიანად? (საზ.მეც.დაწყ.(I).10, 16);</p> <p>რატომ არ შეიძლება რელიგიური შეხედულების/რწმენა-წარმოდგენის სახელით ძალადობა?(საზ.მეც.დაწყ.(I) 13, 14);</p> <p>როგორ შეიძლება ავირიდოთ დაავადებების გავრცელება სკოლაში, როგორ დავიცვათ პირადი ჰიგიენა და ვიკვებოთ ჯანსაღად? (საზ.მეც.დაწყ.(I).4);</p> <p>როგორ ვიმოქმედოთ საგანგებო სიტუაციებში სკოლაში ყოფნისას? (საზ.მეც.დაწყ.(I). 15);</p> <p>როგორ და რატომ უნდა ვიზრუნოთ უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნაზე? (საზ.მეც.დაწყ.(I). 1, 2, 13, 15);</p> <p>რატომ არის მნიშვნელოვანი ქცევის წესების დაცვა სკოლის ყველა მოსწავლისთვის? (საზ.მეც.დაწყ.(I). 1, 10, 14);</p> <p>რისი გაკეთება შემიძლია სასკოლო გარემოს გასაუმჯობესებლად</p>	<p>მოსწავლე/მასწავლებელი მეგობარი/თანატოლები;</p> <p>სკოლა;</p> <p>სწავლა/შრომა;</p> <p>წესები;</p> <p>უსაფრთხოება;</p> <p>უფლება/მოვალეობა/ პასუხისმგებლობა</p>

	<p>ჩემს თანატოლებთან ერთად (მაგ.: სივრცის გალამაზება, გამწვანება, დასუფთავება, ეზოს მოწყობა)? (საზ.მეც.დაწყ.(I). 6, 17);</p> <p>რატომ და როგორ განსხვავდება ჩემი სკოლა იმ სკოლისგან, რომელიც ჩვენმა მშობლებმა, ბებია-ბაბუებმა დაამთავრეს? (საზ.მეც.დაწყ.(I). 9, 11);</p> <p>როგორ ზრუნავენ სკოლაში მომუშავე სხვადასხვა პროფესიის ადამიანები სკოლაზე? (საზ.მეც.დაწყ.(I). 7);</p> <p>როგორ გამომადგება სწავლა მომავალში (მაგ. პროფესიისთვის, რომელზეც ვოცნებობ)? (საზ.მეც.დაწყ.(I).6, 7, 9);</p> <p>რატომ უნდა იყოს სკოლაში ყველა გოგოსა და ბიჭის განვითარებისთვის თანაბარი შესაძლებლობები და პირობები? (საზ.მეც.დაწყ.(I). 2, 13, 14).</p>	
<p>3. გარემო, რომელშიც ცხოვრობ</p>	<p>როგორ ვმონაწილეობთ მე და ჩემი თანატოლები ჩემი თემის ცხოვრებაში? (საზ.მეც.დაწყ.(I).1, 5, 13);</p> <p>რა გვაერთიანებს და რა საერთო საზრუნავი გვაქვს ჩვენი უბნის მაცხოვრებლებს, როგორ შეიძლება გამოვადგე ჩემს თემს (ინდივიდის დახმარება; საზოგადოებრივი საქმიანობა)? (საზ.მეც.დაწყ.(I).1, 10, 14);</p> <p>რატომ არის მნიშვნელოვანი ერთმანეთის პატივისცემა თემში მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის? (საზ.მეც.დაწყ.(I).2, 3, 10, 14, 16);</p> <p>როგორ ავიცილოთ ბუნებრივი კატასტროფები და როგორ ვიმოქმედოთ საგანგებო სიტუაციებში (ჩემი და სხვების უსაფრთხოება)? (საზ.მეც.დაწყ.(I). 15);</p> <p>როგორ და რატომ ვიცავ ქუჩაში მოძრაობის წესებს? (საზ.მეც.დაწყ.(I).15);</p> <p>რატომ და როგორ უნდა დავიცვა ჩემი თემის ბუნებრივი და კულტურული გარემო? (საზ.მეც.დაწყ.(I).5, 17);</p> <p>რატომ იქცა ამა თუ იმ დღესასწაულის აღნიშვნა ტრადიციად ჩემს თემში?(საზ.მეც.დაწყ.(I) 5, 9, 10, 17);</p> <p>რომელი დაწესებულებების არსებობა არის აუცილებელი სოფლის/ქალაქის ცხოვრებაში? (საზ.მეც.დაწყ.(I).8, 12, 15);</p> <p>რატომ გვჭირდება სხვადასხვა პროფესიის ადამიანების ყოფნა ჩვენ ირგვლივ? (საზ.მეც.დაწყ.(I).7);</p> <p>რატომ ვყიდულობთ სხვადასხვა საქონელს და მომსახურებას? (საზ.მეც.დაწყ.(I).6, 8.);</p>	<p>უბანი / თემი;</p> <p>მისაბაძი პიროვნება;</p> <p>ღირსშესანიშნაობა;</p> <p>ტრადიცია</p> <p>ჩვენი;</p> <p>მოხალისეობა;</p> <p>საქონელი, მომსახურება;</p> <p>საგზაო ნიშნები.</p>

	<p>რატომ არის საჭირო სპორტული და დასასვენებელი ადგილები ჩემი თემისთვის? (საზ.მეც.დაწყ.(I).4);</p> <p>რატომ არის მნიშვნელოვანი ვიცოდე ჩემი სოფლის/ქალაქის ისტორია, ღირსშესანიშნაობა და დღევანდელი მდგომარეობა? (საზ.მეც.დაწყ.(I). 5, 9, 11, 17).</p>	
--	---	--

თემები IV კლასისათვის

თემა	სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები: გრაფაში მოცემული კონკრეტული შეკითხვის პროვოცირება (ანუ მათ მიმართ მოსწავლის ინტერესის გაღვივება და დაფიქრება) სამი-ოთხი ან კიდევ უფრო მეტი გაკვეთილის მიზნად შეიძლება ჩავთვალოთ.	ძირითადი ცნებები
<p>1. სად და როგორ ვიღებ განათლებას?</p>	<p>რა მნიშვნელობა აქვს განათლებას ჩემი მომავალი ცხოვრებისთვის? (საზ.მეც.დაწყ.(I). 6, 7, 10);</p> <p>რისი სწავლა შეიძლება არასაგაკვეთილო აქტივობების (მაგ. ექსკურსიაზე, მუზეუმში, სპექტაკლზე) შედეგად? (საზ.მეც.დაწყ.(I). 1, 3, 4, 5, 9, 10, 11, 15);</p> <p>რატომ არის განათლება ყველა ბავშვის უფლება? (საზ.მეც.დაწყ.(I).13);</p> <p>რა განსხვავებაა მიზნის მიღწევის კანონიერ და უკანონო გზებს შორის?(საზ.მეც.დაწყ.(I) 13, 14);</p> <p>რატომ არ უნდა მივითვისო სხვისი ნაშრომი (მაგ.: თანაკლასელის სასკოლო დავალება)? (საზ.მეც.დაწყ.(I). 3, 10, 16);</p> <p>როგორ და რატომ უნდა ვისარგებლოთ ბიბლიოთეკით? (საზ.მეც.დაწყ.(I).12);</p> <p>რას ვსწავლობთ და როგორ უნდა ვიქცეოდეთ თეატრში, კინოში, გამოფენასა და მუზეუმში? (საზ.მეც.დაწყ.(I). 3, 12);</p> <p>რა მიზნით და როგორ ვგეგმავთ სხვადასხვა ღონისძიებას? (საზ.მეც.დაწყ.(I). 6, 8, 15);</p> <p>როგორ ვიქცევით უსაფრთხოების წესების დაცვით ექსკურსიაზე (არ ვტოვებთ ცეცხლს, არ ვეხებით უცხო საგნებს და ცხოველებს)? (საზ.მეც.დაწყ.(I). 2, 6, 8, 15, 17);</p> <p>რა ინფორმაციას გვაწვდის ისტორიული ძეგლები გარემოსა და ჩვენი მხარის შესახებ? (საზ.მეც.დაწყ.(I). 5, 9, 11, 17);</p> <p>რატომ გვჭირდება სპორტი გოგონებსაც და ბიჭებსაც, დიდებსაც და</p>	<p>სწავლა /სწავლება/განათლება;</p> <p>გამოცდილება;</p> <p>ბავშვის უფლება და მოვალეობა;</p> <p>პერსპექტივა/წარმატება;</p> <p>ქცევის ნორმები.</p>

	<p>პატარებსაც? (საზ.მეც.დაწყ.(I). 4);</p> <p>რისთვის ვკითხულობთ წიგნებს? (საზ.მეც.დაწყ.(I). 3, 6);</p> <p>რა შედეგები მოაქვს შრომას და რატომ არის შრომა მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალება? (საზ.მეც.დაწყ.(I). 3, 6);</p> <p>რატომ არ შეიძლება ბავშვის შრომის ბოროტად გამოყენება? (საზ.მეც.დაწყ.(I). 2, 10, 13).</p>	
<p>2. მედია და ინფორმაცია</p>	<p>საიდან ვიღებთ და როგორ ვიყენებთ ინფორმაციას? (საზ.მეც.დაწყ.(I).6.);</p> <p>რატომ შეიძლება გახდეს შეუმოწმებელი ინფორმაცია კონფლიქტის მიზეზი? (საზ.მეც.დაწყ.(I).16);</p> <p>რატომ და როგორ გამოვხატო პატივისცემა სხვა ადამიანების მიმართ მიუხედავად მათი განსხვავებული რელიგიური შეხედულებისა ან ეთნიკური კუთვნილებისა?(საზ.მეც.დაწყ.(I) 2,3, 10, 14);</p> <p>რატომ უნდა მოვუსმინოთ განსხვავებულ აზრს?(საზ.მეც.დაწყ.(I) 2, 3, 14);</p> <p>როგორ ხდებოდა ინფორმაციის გადაცემა/გავრცელება ძველად და ახლა?(საზ.მეც.დაწყ.(I) 9, 11);</p> <p>რა დრო უნდა დავუთმო ჩემი დღის რეჟიმში საინფორმაციო-ტექნოლოგიურ საშუალებებს (ტელევიზორს, ინტერნეტს)? (საზ.მეც.დაწყ.(I).2, 4, 6);</p> <p>რა ინფორმაცია შეიძლება მივიღო რეკლამისგან? (საზ.მეც.დაწყ.(I).6, 8);</p> <p>რაში გვეხმარება სოციალური რეკლამა (რომელიც ასახავს მაგ.: ეკოლოგიის პრობლემებს, ან მოგვიწოდებს სამოქალაქო აქტიურობისკენ)? (საზ.მეც.დაწყ.(I). 2, 6, 10, 12, 13, 14, 15, 16, 17);</p> <p>ვის და როგორ უნდა მივმართო საფრთხეების შემთხვევაში (პირადი უსაფრთხოება, საზოგადოებრივი პრობლემები)? (საზ.მეც.დაწყ.(I). 15);</p> <p>რა გზით გავუზიარო ინფორმაცია თანატოლებს ბავშვთა უფლებების შესახებ? (საზ.მეც.დაწყ.(I). 13).</p>	<p>ჟურნალისტი/ინფორმაციის მომპოვებელი;</p> <p>შეხედულება;თანამედროვე ტექნოლოგიები;</p> <p>კომუნიკაცია;</p> <p>სიახლე;</p> <p>სასარგებლო/უსარგებლო</p> <p>ინფორმაცია;</p> <p>ინფორმაციის წყარო;</p> <p>სოციალური ქსელი;</p> <p>რეკლამა /</p> <p>სოციალური რეკლამა;</p> <p>დღის რეჟიმი.</p>
<p>3. მე და ჩემი ქვეყანა</p>	<p>რატომ უნდა მიყვარდეს ჩემი ქვეყანა და ვუფრთხილდებოდე მას? (საზ.მეც.დაწყ.(I) 5, 10, 11, 13, 17);</p> <p>რატომ უნდა ვცე პატივი ჩემი ქვეყნის დროშასა და გერბს? (საზ.მეც.დაწყ.(I). 5, 10).</p> <p>რატომ უნდა გავუფრთხილდე ჩემი ქვეყნის ბუნებას?</p>	<p>წეს-ჩვეულება / ტრადიცია;</p> <p>ეროვნული</p>

	<p>(საზ.მეც.დაწყ.(I) 6, 10, 17).</p> <p>რატომ უნდა მოვიხმარო პასუხისმგებლობით ბუნებრივი რესურსები? (საზ.მეც.სტ.IV. 6, 8, 17);</p> <p>რატომ უნდა დავიცვათ საზოგადოებრივი წესრიგი (ქუჩაში მოძრაობისას, ტრანსპორტში) (საზ.მეც.დაწყ.(I) 2, 13, 15);</p> <p>რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს წესებისა და კანონების დარღვევას?(საზ.მეც.დაწყ.(I) 2, 3, 10, 13, 14, 17);</p> <p>რატომ არის მნიშვნელოვანი ქვეყნისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია? (საზ.მეც.დაწყ.(I).4).</p> <p>რატომ აღვნიშნავთ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ეროვნულ დღესასწაულებს (მაგ.: დამოუკიდებლობის დღეს, აღდგომას)? (საზ.მეც.დაწყ.(I) 1, 9, 11);</p> <p>როგორ ასახავს ცალკეული ნივთები/მეგლები (მაგ.: სურათი, ციხესიმაგრის ნანგრევები, ტაძარი) ჩემი ქვეყნის ისტორიას? (საზ.მეც.სტ.IV. 9, 11, 17);</p> <p>როგორ ვლინდება რელიგიური რწმენა-წარმოდგენები კულტურის ძეგლებსა და ტრადიციებში?(საზ.მეც.დაწყ.(I) 9, 10, 11, 17);</p> <p>რატომ არის საჭირო ქვეყნისთვის საზოგადოებრივი ინსტიტუტები (მაგ.: ოპერა, თეატრი, მუზეუმი, სამედიცინო დაწესებულება, მუნიციპალიტეტი)? (საზ.მეც.დაწყ.(I) 12).</p>	<p>დღესასწაულები;</p> <p>შემწყნარებლობა, პატივისცემა;</p> <p>წესი \ კანონი;</p> <p>უფლება \ მოვალეობები;</p> <p>მოსახლეობა;</p> <p>თაობა/წინაპარი;</p> <p>მემკვიდრეობა;</p> <p>სიმბოლიკა;</p> <p>ქვეყანა;</p> <p>მართვა.</p>
--	---	--

შეფასება

„მე და საზოგადოების“ სწავლებისას გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. მისი ამოცანები საზოგადოებრივი მეცნიერებების სტანდარტის ზოგად ნაწილშია ჩამოყალიბებული.

საგნის სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე შემდეგი ტიპური აქტივობებით უნდა შეფასდეს:

- **შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა** (პლაკატი, ნახატი, კომიქსი, ფლაერი, ბუკლეტი, კედლის გაზეთი, მაკეტი, ემბლემა და სხვა);
- **საკლასო აქტივობებში ჩართულობა;**
- **ინფორმაციის მოძიება და პრეზენტაციის მომზადება;**
- **თხზულების, თემის დაწერა, წერილის მიწერა, ზღაპრის, იგავის, ლექსის, კროსვორდის შექმნა, დაუსრულებელი ისტორიის დასრულება;**
- **მოთხრობის, ფოტოების, ანიმაციური/მხატვრული ფილმის, ვიდეორგოლის, მუსიკალური კლიპის, ყოფითი შემთხვევის განხილვა;**
- **ექსკურსია;**
- **დოკუმენტების** (საკლასო „კონსტიტუცია“, დღის რეჟიმი“ პეტიციის და სხვა) შექმნა;
- **კვლევითი პროექტი** (გამოკითხვა, ინტერვიუ, რეპორტაჟი და სხვა);
- **საქველმოქმედო, საგანმანათლებლო, სოციალური პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული პროექტების დაგეგმვა და განხორციელება;**
- **დისკუსია** (დებატი);

- **როლური თამაში.**

აღნიშნულ აქტივობებში მოსწავლეთა მონაწილეობა განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით ფასდება, რომლებიც ერთი მხრივ ამოწმებენ მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესს, მეორე მხრივ კი – სასწავლო პროცესში შეძენილი ცოდნის ხარისხს (ცოდნის სამ კატეგორიას – დეკლარატიულს, პროცედურულს, პირობისეულს).

ბ) „ჩვენი საქართველო“

შესავალი

საგანი „ჩვენი საქართველო“ საზოგადოებრივი მეცნიერებების საფუძვლების ინტეგრირებულ სწავლებას გულისხმობს. მის ფარგლებში მოსწავლე, ასაკის შესაბამისად, საქართველოს მხარეების (მაგ.: ქართლის, კახეთის, გურიის და ა.შ.) გეოგრაფიას, ისტორიას, ეთნოგრაფიულ თავისებურებებსა და თანამედროვე მდგომარეობას შეისწავლის.

საგნის სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეს ცნობისმოყვარეობა გაუღვივდება ქვეყნის წარსულისა და აწმყოს მიმართ; მხარის გეოგრაფიას დაუკავშირებს ისტორიას, კულტურას და ეთნოგრაფიას. გაუჩნდება მოტივაცია, საკუთარი წვლილი შეიტანოს საზოგადო პრობლემების გადაჭრაში. ეს მას სამშობლოს სიყვარულის გრძნობას გაუღვივებს და სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებაში დაეხმარება.

მიზნები

საგანი “ჩვენი საქართველო” მიზნად ისახავს მოსწავლეს:

- დაეხმაროს საკუთარი ქვეყნის მრავალმხრივად დანახვასა და შეცნობაში;
- გაუღვივოს ცნობისმოყვარეობა ქვეყნის წარსულისა და თანამედროვეობის მიმართ;
- გააცნობიერებინოს, რომ საქართველოს ეთნოგრაფიული, ბუნებრივი, ეთნიკური, რელიგიურ-კულტურული მრავალფეროვნება ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეა;
- ჩამოუყალიბოს მზრუნველი დამოკიდებულება თავისი რეგიონის და ქვეყნის მიმართ;
- დაეხმაროს საზოგადოებისა და სახელმწიფოს წევრად თავის აღქმაში;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებაში;
- დაეხმაროს სამოქალაქო ცნობიერების განვითარებაში;
- განუვითაროს სამოქალაქო საზოგადოებაში ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები;
- განუვითაროს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში სიტუაციების შეფასებისა და საგანგებო ვითარებაში ადეკვატურად მოქმედების უნარი.

V-VI კლასების სტანდარტი

VI კლასის ბოლოს მისაღწევი შედეგები

ინდექსების განმარტება

დაწყებით საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **საზ.მეც.დაწყ.(II).1.**:

„**საზ.მეც**“- მიუთითებს საზოგადოებრივ მეცნიერებებს;

„**დაწყ**“ - მიუთითებს დაწყებით საფეხურს;

„**(II)**“ – მიუთითებს, რომ სტანდარტი მოიცავს V- VI კლასებს;

„**1**“- მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

„ჩვენი საქართველოს“ სტანდარტი (V-VI კლასები)	
შედეგების ინდექსი	1. მიმართულება: დრო, სივრცე და ცვალებადობა
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
საზ.მეც.დაწყ.(II).1.	ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ქრონოლოგიურ ჭრილში გააზრება და გადმოცემა. მათი დაკავშირება თანამედროვე სოციალურ-კულტურულ გარემოსა და ისტორიულ მემკვიდრეობასთან;
საზ.მეც.დაწყ.(II).2.	ლეგენდებისა და მითების, მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენებისა და პიროვნებების ლოკალურ გარემოსთან დაკავშირება; ქვეყნის განვითარებაში პიროვნების როლის გაცნობიერება;
საზ.მეც.დაწყ.(II).3.	საქართველოს მხარეების ბუნებრივი და სოციალურ-კულტურული მახასიათებლების შესწავლა;
საზ.მეც.დაწყ.(II).4.	რუკის ლეგენდაში მოცემული პირობითი ნიშნების საშუალებით რუკაზე დატანილი ინფორმაციის წაკითხვა;
საზ.მეც.დაწყ.(II).5.	საქართველოსთვის დამახასიათებელი ბუნებრივი მოვლენების გამომწვევი მიზეზებისა და მათი შედეგების გააზრება; ბუნებრივ მოვლენებზე ადეკვატური რეაგირება და მათგან თავდაცვა;
	2. მიმართულება: ინიციატივა და მეწარმეობა
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
საზ.მეც.დაწყ.(II).6.	ქვეყნის განვითარებისთვის ვაჭრობის, სხვა ტრადიციული და ამჟამინდელი პროფესიებისა და საქმიანობის მნიშვნელობისა და საჭიროების გააზრება;
საზ.მეც.დაწყ.(II).7.	ინიციატივის გამოვლენა, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით შედეგზე ორიენტირებული საქმიანობის დაგეგმვა;
	3. მიმართულება: სოციალურ-კულტურული განვითარება მოქალაქეობა და უსაფრთხოება
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
საზ.მეც.დაწყ.(II).8.	მისი, როგორც ბავშვის, გარკვეული უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების გაცნობიერება; დადგენილი წესებისა და კანონების საფუძველზე თავისი უფლებების რეალიზება და სხვისი უფლებების დაცვა.
საზ.მეც.დაწყ.(II).9.	საზოგადოებისთვის აქტუალური პრობლემების/მოვლენების გააზრება ისტორიულ და თანამედროვე ჭრილში; საკუთარი ჩართულობით მათი გამოსწორების მექანიზმების გაცნობიერება;
საზ.მეც.დაწყ.(II).10.	გაცნობიეროს ჯანსაღი ცხოვრების წესის (პირადი ჰიგიენის, ჯანსაღი კვების, ტრადიციული და ამჟამინდელი სპორტული აქტივობების) მნიშვნელობა და მისდიოს მას;
საზ.მეც.დაწყ.(II).11.	უსაფრთხოების წესების დაცვის მნიშვნელობის გააზრება და საგანგებო და საყოფაცხოვრებო სიტუაციებში შესაბამისად მოქმედება (მაგ.: ქუჩაში მოძრაობისას, ტრანსპორტში ყოფნისას, ექსკურსიაზე, ლაშქრობისას, ბუნებრივი კატასტროფებისას);

საზ.მეც.დაწყ.(II).12.	ღირებულებების - მაგ.: დემოკრატიის პრინციპების, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, გარემოს დაცვის, შემწყნარებლობის - მნიშვნელობის გაცნობიერება ინდივიდისა და საზოგადოების განვითარებისთვის;
საზ.მეც.დაწყ.(II).13.	საქართველოს ეთნიკური, კულტურულ-რელიგიური მრავალფეროვნების გააზრება და პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა;
საზ.მეც.დაწყ.(II).14.	ბუნებრივი გარემოს, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის გაცნობიერება და მის მიმართ მზრუნველი დამოკიდებულების გამოვლენა.
საზ.მეც.დაწყ.(II).15.	მის გარშემო წარმოდგენილი სოციალურ-კულტურული ინსტიტუტების (მაგ.: სკოლა, საკულტო (რელიგიური) ნაგებობები, კინო, კლუბი, მუზეუმი, სამედიცინო დაწესებულება, პოლიცია) ფუნქციების გაცნობიერება.

შინაარსი

სასწავლო პროცესი შემდეგი ცნებითი კატეგორიებისა და თემების დამუშავების საფუძველზე უნდა წარიმართოს:

ცნებები და ტერმინები

საგან „ჩვენი საქართველოს“ სტანდარტი გულისხმობს ჩამოთვლილი ცნებების იმპლიციტურ და არა ექსპლიციტურ დამუშავებას:

- პიროვნება, საზოგადოებრივი ჯგუფები;
- დრო, უწყვეტობა და ცვლილება (ისტორია, წყარო, ფაქტი და ინტერპრეტაცია, კალენდარი, საუკუნე, წელთაღრიცხვა);
- ხალხი, მდებარეობა, გარემო (გეოგრაფია, რუკა/ადგილის გეგმა; საზღვარი; ბუნებრივი რესურსები, დასახლების ტიპები, საცხოვრისის ტიპები, ლანდშაფტი (ბუნებრივი), ეკოლოგია / გარემოს დაცვა, რელიეფი, კლიმატი, ბუნებრივი მოვლენები და მათგან თავდაცვა, საგანგებო სიტუაციები, ერი, ეთნიკური ჯგუფი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე);
- ეკონომიკა (პროფესია, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ვაჭრობა, ტრანსპორტი და კომუნიკაციები);
- სახელმწიფო და მოქალაქე (საზოგადოება, პასუხისმგებლობა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, მოხალისეობა, მონაწილეობა, სამოქალაქო უსაფრთხოება, კანონი, კონფლიქტი, ძალადობა), არჩევნები, სიმბოლიკა).
- კულტურული მრავალფეროვნება (ეთნიკური, კულტურულ-რელიგიური მრავალფეროვნება, კულტურული მემკვიდრეობა, მუზეუმი, ტრადიცია/ინოვაცია, ფოლკლორი, დამწერლობა, ტრადიციული სპორტული სახეობები, ტრადიციული ყოფითი საქმიანობები).

V-VI კლასებისათვის სავალდებულო თემები
საქართველოს მხარეები (ისტორიულ-ეთნოგრაფიული დაყოფა):
1) ქართლი;
2) აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი (თუშეთი, ფშავ-ხევსურეთი, ხევი, მთიულეთი, გუდამაყარი, ერწო-თიანეთი);
3) სამეგრელო;
4) აჭარა;

- 5) იმერეთი;
- 6) კახეთი;
- 7) გურია;
- 8) სვანეთი;
- 9) რაჭა-ლეჩხუმი;
- 10) აფხაზეთი;
- 11) სამცხე-ჯავახეთი;
- 12) საქართველოს დედაქალაქი - თბილისი;
- 13) სახელმწიფო - ჩვენი საქართველო.

V კლასში გათვალისწინებულია საქართველოს ხუთი მხარის შესწავლა: ქართლი, სვანეთი, სამეგრელო, აჭარა, იმერეთი. VI კლასში კი საქართველოს დანარჩენ ექვს მხარესთან ერთად ისწავლება თემები: თბილისი - საქართველოს დედაქალაქი და სახელმწიფო - ჩვენი საქართველო.

თემა V – VI კლასებისთვის

საქართველოს მხარის მოცემული მატრიცა უნივერსალური ნიმუშია, რომლის მიხედვით უნდა აიგოს მასალა ყველა მხარის ირგვლივ, რა თემა უნდა, მხარეთა სპეციფიკურობის გათვალისწინებით.

თემა	სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:
საქართველოს მხარე	<p>რა ვიცი საქართველოსა და მისი მხარეების შესახებ (საზ.მეც.დაწყ.(II). 3, 4)</p> <p>რა შეიძლება გავიგო საქართველოს ამა თუ იმ მხარის შესახებ რუკაზე დატანილი პირობითი ნიშნების საშუალებით (რესურსი, ძეგლი, ბრძოლის ადგილი, ქალაქი, მდინარე, ტბა, მთა, ბარი)? (საზ.მეც.დაწყ.(II). 3, 4)</p> <p>რას და როგორ მოგვითხრობს ისტორიის შესახებ საქართველოს ამა თუ იმ მხარეში შემორჩენილი ძეგლები? (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 2, 4, 14)</p> <p>რომელი მნიშვნელოვანი პიროვნებები, მოვლენები, მითები და ლეგენდები უკავშირდება საქართველოს ამა თუ იმ მხარის ისტორიას? (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 2, 12)</p> <p>ისტორიულად რომელი ცნობილი მოგზაურები უკავშირდება საქართველოს ამა თუ იმ მხარეს? (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 2, 6)</p> <p>როგორ აისახება ომისა და მშვიდობის შედეგები (მაგ.: ისტორიული ნანგრევები, საზღვრების ცვლილება, მოსახლეობის ცვლილება) საქართველოს ამა თუ იმ მხარის ისტორიასა და ყოფაზე? (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 9, 12)</p>

	<p>როგორ განსხვავდება საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე სხვადასხვა ნიშნით (მაგ.: ფოლკლორი, სამზარეულო, ჩაცმულობა, წეს-ჩვეულებები) ერთმანეთისგან და რამ განაპირობა ეს? (საზ.მეც.დაწყ.(II). 3, 13)</p> <p>რამ განაპირობა, რომ საქართველოს ამა თუ იმ მხარეში სხვადასხვა ეთნიკური, კულტურული და რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლები ცხოვრობენ? (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 3, 13)</p> <p>რატომ არის საქართველოს ამა თუ იმ მხარეში გავრცელებული ესა თუ ის ტრადიციული საქმიანობა და მეურნეობის დარგი? (საზ.მეც.დაწყ.(II). 3, 6)</p> <p>რა განაპირობებს დასახლებისა და საცხოვრისის ტიპების თავისებურებებს საქართველოს ამა თუ იმ მხარეში? (საზ.მეც.დაწყ.(II). 3, 5)</p> <p>როგორ იცავენ თავს საქართველოს ამა თუ იმ მხარისთვის დამახასიათებელი სტიქიური მოვლენებისგან? რა განაპირობებს სტიქიური მოვლენების წარმოქმნას? (საზ.მეც.დაწყ.(II). 5, 11)</p> <p>როგორ შეიძლება მივიღოთ მონაწილეობა ამა თუ იმ მხარისთვის აქტუალური პრობლემების (მაგ.: გარემოს დაცვა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, ეკომიგრანტები, დევნილები, განათლების ხელმისაწვდომობა, სახელმწიფო ენის არცოდნა*) გადაჭრაში? (საზ.მეც.დაწყ.(II). 7, 12, 14) *ამ ჩამონათვალისგან უნდა გამოვიყოთ და მიმოვიხილოთ კონკრეტული მხარისთვის დამახასიათებელი სოციალური პრობლემა.</p> <p>როგორ შემიძლია მშვიდობიანი გზით დავიცვა ჩემი და ჩემი თანატოლების უფლებები და რა საშუალებები შემიძლია გამოვიყენო საზოგადოებისთვის საზიანო ძალადობრივი ქცევის შესაჩერებლად? (საზ.მეც.დაწყ.(II). 7, 8, 9, 10, 12)</p> <p>რა პრობლემები შეუძლია შეუქმნას ჩემს მხარეს ჩემი და ჩემი თანატოლების მხრიდან უპასუხისმგებლო ქმედებებმა და მოვალეობების იგნორირებამ? (საზ.მეც.დაწყ.(II). 9, 10, 14)</p> <p>რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ გოგონებმაც და ბიჭებმაც დაიცვან ჯანსაღი ცხოვრების წესი და როგორ გვეხმარება საქართველოს ამა თუ იმ მხარეში გავრცელებული ტრადიციული სპორტული სახეობები ჯანსაღი ცხოვრების წესის შენარჩუნებაში? (საზ.მეც.დაწყ.(II). 10)</p> <p>რატომ იყო და არის საჭირო საქართველოს სხვადასხვა მხარეში სოციალურ-კულტურული ინსტიტუტების არსებობა (მაგ.: სკოლა, აკადემია, საკულტო (რელიგიური) ნაგებობები, ბიბლიოთეკა, თეატრი, მუზეუმი) წარსულსა და თანამედროვეობაში? (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 6, 15)</p>
<p>თბილისი - საქართველოს დედაქალაქი</p>	<p>როგორ დაარსდა თბილისი? როგორ იქცა იგი საქართველოს დედაქალაქად? როგორი იერსახე ჰქონდა მას ისტორიულ წარსულში? (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 2, 13)</p> <p>როგორ აისახება ომისა და მშვიდობის შედეგები (მაგ.: ისტორიული ნანგრევები, საზღვრების ცვლილება, მოსახლეობის ცვლილება) თბილისის ისტორიასა და ყოფაზე? (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 12)</p> <p>რას და როგორ მოგვითხრობს შემორჩენილი ძეგლები თბილისის ისტორიაზე (მაგ.: ნარიყალა, მეტეხი?) (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 14)</p> <p>როგორ განსხვავდება ისტორიული და თანამედროვე თბილისი? როგორ მოგვითხრობს ნა-</p>

	<p>ხატი ან ფოტო თბილისის ისტორიასა და განვითარებაზე? (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 2, 3, 6, 14)</p> <p>რატომ აქვს თბილისის უბნებს სხვადასხვა იერსახე (არქიტექტურა, მოსახლეობის ყოფა)? (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 3, 5, 15)</p> <p>რატომ წარმოადგენს რუსთაველის გამზირი და თავისუფლების მოედანი თბილისის ცენტრს (კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობით)? (საზ.მეც.დაწყ.(II). 15)</p> <p>რით არის განპირობებული სხვადასხვა საქმიანობისა და პროფესიის მრავალფეროვნება თბილისში? (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 3, 6, 13, 15)</p> <p>რატომ ცხოვრობენ თბილისში სხვადასხვა ეთნიკური, კულტურული და რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლები? (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 3, 12, 13)</p> <p>როგორ აისახებოდა/აისახება თბილისი ხელოვნებასა და მწერლობაში? (მაგ. ფიროსმანი, გრიშაშვილი და სხვა) (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 2, 3)</p> <p>როგორ შეიძლება გამოვიყენოთ ქალაქის გეგმაზე ასახული პირობითი ნიშნები თბილისში ორიენტირებისთვის? (საზ.მეც.დაწყ.(II).4)</p> <p>რატომ დგას თბილისში მწვავედ გარემოს (ეკოლოგიის, ჰაერის დაბინძურების) დაცვის პრობლემები? (საზ.მეც.დაწყ.(II). 9, 14)</p> <p>როგორ გამოვიყენოთ ეფექტიანად ჯანსაღი ცხოვრების წესისთვის ტურისტული და დასასვენებელი (რეკრეაციული) ზონები? (საზ.მეც.დაწყ.(II). 10)</p>
<p>სახელმწიფო - ჩვენი საქართველო</p>	<p>როდის და როგორ შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო, ქართული დამწერლობა? (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 2, 14)</p> <p>რა მნიშვნელობა აქვს და რატომ შეიძლება იცვლებოდეს სახელმწიფოს საზღვარი? (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 2, 4)</p> <p>რა შეიძლება გავიგო საქართველოს შესახებ სხვადასხვა ტიპის რუკებისა და მათზე დატანილი პირობითი ნიშნების საშუალებით? (საზ.მეც.დაწყ.(II).4, 5)</p> <p>რა პრობლემები შეუძლია შეუქმნას ჩემს ქვეყანას ჩემი და ჩემი თანატოლების მხრიდან უპასუხისმგებლო ქმედებამ და მოვალეობების იგნორირებამ? (საზ.მეც.დაწყ.(II). 8, 12)</p> <p>როგორ შევიტანოთ წვლილი ჩემი ქვეყნის განვითარებაში არსებული გამოწვევების ფონზე (ეკოლოგიური პრობლემები, საგზაო უსაფრთხოება, ცხოვრების ჯანსაღი წესი, განათლების ხელმისაწვდომობა, ძალადობის პრობლემა, სახელმწიფო ენის არცოდნა, და სხვა)? (საზ.მეც.დაწყ.(II). 7, 9, 10, 12)</p> <p>რატომ არის ჩემი მოვალეობა ქვეყნის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოს დაცვა? (საზ.მეც.დაწყ.(II). 7, 9, 14)</p> <p>რატომ არის საქართველოსთვის დამახასიათებელი ეთნიკური, კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნება? (საზ.მეც.დაწყ.(II). 3, 13)</p> <p>რატომ ახასიათებს საქართველოს მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული ტრადიციები? (საზ.მეც.დაწყ.(II).1, 3, 13)</p>

	<p>როგორ ზრუნავს სხვადასხვა ინსტიტუტები ჩვენი უფლებების დაცვასა და რეალიზებაზე (მაგ.: პარლამენტი, სასამართლო, სამინისტროები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, თეატრი, მუზეუმი)? (საზ.მეც.დაწყ.(II). 15)</p> <p>როგორ ზრუნავს სახელმწიფო ჩვენს სამოქალაქო უსაფრთხოებაზე? (საზ.მეც.დაწყ.(II). 11)</p> <p>როგორ მივაწვდინო ხმა ხელისუფლებას მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით ჩემს ხელთ არსებული საშუალებებით (საზ.მეც.დაწყ.(II). 7, 8, 9, 12)</p>
--	---

შეფასება

საგნის „ჩვენი საქართველო“ სწავლა-სწავლებისას გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. მისი ამოცანები საზოგადოებრივი მეცნიერებების სტანდარტის ზოგად ნაწილშია ჩამოყალიბებული.

საგნის სწავლა-სწავლების პროცესში, მიმდინარე შეფასების კომპონენტში, მოსწავლე შემდეგი ტიპური აქტივობებით უნდა შეფასდეს:

საგნის სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე შეიძლება შეფასდეს შემდეგი ტიპური აქტივობებით:

- **რუკაზე მუშაობა** (რუკის შექმნა (მათ შორის, ფაზლით), რუკაზე არსებული შეცდომის შესწორება, სიმულაციური მოგზაურობა რუკაზე და სხვა);
- დიაგრამების, **სკალების** (დროის სკალა) შექმნა;
- ინფორმაციის, ფოტომასალის **მოძიება და პრეზენტაციის** მომზადება, გამოფენის მოწყობა;
- მოთხრობის, ანიმაციური/მხატვრული/დოკუმენტური ფილმის, ვიდეორგოლის, მუსიკალური კლიპის, ყოფითი შემთხვევის, ლიტერატურული ნაწარმოების, წყაროს **განხილვა**;
- **შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა** (პლაკატის, ნახატის, კომიქსის, ფლაერის, ესეს, მოთხრობის, ბუკლეტის, კედლის გაზეთის, მაკეტის, ემბლემის, ვიდეორგოლის, ფოტოალბომის, ფოტოკოლაჟის (დროის სკალის გამოყენებით), სლოგანის, შექმნა);
- **კვლევითი პროექტი** (გამოკითხვა, ინტერვიუ, რეპორტაჟი, კვლევის ჩატარება, ქცევის წესები („კონსტიტუცია“), დღის რეჟიმი, „მეგობრობის დღიური“, გამოფენა);
- **დოკუმენტების** (საკლასო „კონსტიტუცია“, დღის რეჟიმი“ პეტიციის და სხვა) შექმნა;
- **კვლევითი პროექტი** (გამოკითხვა, ინტერვიუ, რეპორტაჟი და სხვა);
- საქველმოქმედო, საგანმანათლებლო, სოციალური პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული **პროექტების** დაგეგმვა და განხორციელება;
- **ექსკურსია**;
- **დისკუსია** (დებატი, თოქ-შოუ);
- **როლური თამაში** (საჯარო სტრუქტურის იმიტაცია, სიმულაციური სასამართლო და სხვა).

აღნიშნულ აქტივობებში მოსწავლეთა მონაწილეობა უნდა შეფასდეს შეფასების რუბრიკებით, რომლებიც, ერთი მხრივ, ამოწმებენ მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესს, მეორე მხრივ კი – სასწავლო პროცესში შეძენილი ცოდნის ხარისხს (ცოდნის სამ კატეგორიას – დეკლარატიულს, პროცედურულს, პირობისეულს).

შემაჯამებელი დავალება წარმოდგენილი უნდა იყოს კომპლექსური დავალების სახით. კომპლექსური დავალება შეიძლება იყოს შემდეგი სახის:

- საქართველოს ამა თუ იმ მხარის (მაგალითად, ქართლის) რომელიმე პუნქტში ექსკურსიის გზით კვლევის ჩატარება (ისტორიულ-გეოგრაფიულ-სოციალურ პრობლემებზე) და მისი შედეგების პრეზენტაცია;
- საქართველოს ამა თუ იმ მხარის საპატივცემულოდ რაიმე ღონისძიების გამართვა, რომელშიც ისტორიის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების მონაცემები აისახება;
- როლური თამაშით საქართველოს ამა თუ იმ მხარის რომელიმე ისტორიული მოვლენის ეპიზოდის წარმოდგენა;
- მაკეტების შექმნა საქართველოს ორი მხარის მახასიათებლების ერთმანეთთან შედარების მიზნით;
- ეთნოგრაფიულ მუზეუმში სტუმრობა მისი ღირსშესანიშნაობების შესასწავლად;
- საქართველოს ამა თუ იმ მხარის შესახებ საინფორმაციო-სარეკლამო ბუკლეტის შექმნა;
- სკაიპის, ტელეფონის ან სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით საქართველოში სხვადასხვა მხარეში მცხოვრებ თანატოლებთან დაკავშირება, ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა და თანატოლების პრობლემების ირგვლივ მოგროვილი ინფორმაციის განზოგადება;
- საქართველოს ამა თუ იმ მხარისთვის აქტუალური მარტივი სამოქალაქო პროექტების (ეკოლოგია, საგანგებო ვითარებები, ჯანსაღი ცხოვრება) განხორციელება.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი დავალება

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა (თუ რეცეფციული (კითხვა, მოსმენა) დავალებაა, მაშინ შეფასების სქემა უნდა ახლდეს თითოეულ ტესტურ კითხვას);
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე;
- მითითებული უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.

2. საზოგადოებრივი მეცნიერებები საბაზო საფეხურზე

ა) ისტორია

შესავალი

საბაზო საფეხურის „ისტორიის“ სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

- ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;
- ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი;
- გ) მეთოდოლოგიური ორიენტირები;
- დ) შეფასება.

საბაზო საფეხურზე საგანი „ისტორია“ საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ინტეგრირებულ სწავლა-სწავლებას გულისხმობს. სასწავლო კურსის განმავლობაში მოსწავლე გაეცნობა საქართველოს ისტორიის უმთავრეს ეპიზოდებს უძველესი დროიდან დღემდე და დაუკავშირებს მათ მსოფლიო ისტორიის საკვანძო მოვლენებს; შეისწავლის სხვადასხვა ეპოქის სოციალურ ისტორიას (რელიგია, კულტურა, ეკონომიკა); დაინახავს, რომ თანამედროვეობა და წარსული ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

საგნის სწავლა-სწავლებისას მოსწავლე ჩართული იქნება აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მისცემს.

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

ისტორიის სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს:

- ხელი შეუწყოს მოსწავლის ჰუმანურ, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, პატრიოტ მოქალაქედ ჩამოყალიბებას;
- მოსწავლეს გაუღვივოს ინტერესი საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის შესწავლის მიმართ;
- მოსწავლეს განუვითაროს ისტორიული (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური) პროცესების ანალიზისა და მათი თანამედროვეობასთან შედარების უნარი; ისტორიული პიროვნებებისა და მოვლენების მრავალმხრივად შეფასების უნარი;
- დაეხმაროს მოსწავლეს ისტორიული ეპოქების აღქმასა და მათი მახასიათებლების ერთმანეთთან / თანამედროვეობასთან შედარებაში;
- მოსწავლეს განუვითაროს ისტორიის კვლევისთვის საჭირო უნარები;
- მოსწავლეს შესძინოს ისტორიის დარგობრივი ენით ოპერირების უნარი.

ამ მიზნებზე მუშაობით ისტორია თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას: რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს ისტორიაში საბაზო საფეხურის ბოლოს.

შედეგები ჯგუფდება სამ მიმართულებად:

- **ისტორიული ინტერპრეტაცია და კვლევა** - გულისხმობს ისტორიული მოვლენებისა და პროცესების, ასევე ისტორიული პიროვნებების მრავალმხრივად შეფასებას; ისტორიული შინაარსის ტექსტების წაკითხვა-გააზრებასა და გაანალიზებას.
- **ისტორიული ეპოქის აღქმა/ანალიზი** - გულისხმობს სხვადასხვა ისტორიული ეპოქების არსებითი მახასიათებლების გამოკვეთას, თანამედროვეობასთან პარალელების გავლენას.
- **ღირებულებები და დამოკიდებულებები** - გულისხმობს ისტორიის სწავლა-სწავლების პროცესის ღირებულებების (პატრიოტიზმი, სახელმწიფოებრივი აზროვნება და კულტურული მრავალფეროვნება) განვითარებაზე ორიენტირებულად წარმართვას.

სტანდარტის შინაარსი განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულო ცნებებისა და თემების სახით.

ცნებების სახით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. ცნებები შედეგებთან ერთად უნდა დამუშავდეს მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებში. ეს კონტექსტები **სავალდებულო თემების** სახითაა წარმოდგენილი.

თითოეულ თემას ახლავს **შეფასების ინდიკატორები**. ისინი განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში (თითოეულ ინდიკატორს ახლავს შესაბამისი შედეგის ინდექსის ნომერი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი შედეგიდან/შედეგებიდან გამომდინარეობს იგი).

სტანდარტის შედეგების ინდექსების განმარტება

საბაზო საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ.,**ისტ. საბ. 1.:**

„ისტ.“ – მიუთითებს საგანს „ისტორია“;

„საბ.“ – მიუთითებს საბაზო საფეხურს;

„1“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

ისტორიის სტანდარტის შედეგები (VII-IX კლასები)		
	მიმართულება: ისტორიული ინტერპრეტაცია და კვლევა	
შედეგების ინდექსი	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	ცნებები
ისტ. საბ. 1.	საკუთარი მოსაზრების/პოზიციის წყაროს/მტკიცებულების საფუძველზე დასაბუთება; იმის გაცნობიერება, რომ ახალი წყაროების აღმოჩენის შემთხვევაში შესაძლებელია ნებისმიერი მოვლენის ახლებურად გააზრება/გადაფასება;	დრო სივრცე
ისტ. საბ. 2.	სხვადასხვა ტიპის (პირველადი და მეორადი) წყაროსა და თვალსაჩინოებების (მაგ, ისტორიული რუკა, გენეალოგიური ტაბულა) მიზნის შესაბამისად გამოყენება; წყაროების კრიტიკული ანალიზი;	საზოგადოება ისტორიული მოვლენა/პროცესი
ისტ. საბ. 3.	ისტორიული მოვლენების გადმოცემისას ქრონოლოგიური ერთეულებისა და ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების ადეკვატური გამოყენება;	ძალაუფლება
ისტ. საბ. 4.	ისტორიული მოვლენის/ფაქტების ტიპოლოგიური დაჯგუფება (პოლიტიკური, სოციალური ნიშნით);	წყარო, ისტორიული
ისტ. საბ. 5.	ფაქტების, ინტერპრეტაცია/მოსაზრებების და სტერეოტიპების ერთმანეთისგან გარჩევა;	

ისტ. საბ. 6.	ერთი და იმავე ისტორიული მოვლენის განსხვავებულად ინტერპრეტირება, გაანალიზება და შეფასება: ისტორიულ მოვლენაზე და პიროვნებაზე განსხვავებული ინტერპრეტაციების არსებობის მიზეზების ახსნა, განსხვავებული ინტერპრეტაციების შედარება და შეფასება.	ინტერპრეტაცია და კვლევა
მიმართულება: ისტორიული ეპოქის აღქმა/ანალიზი		
ისტ. საბ. 7.	ისტორიული ეპოქის მახასიათებლების (სოციალურ-კულტურული განვითარება, რელიგია და მსოფლმხედველობა, სახელმწიფოებრივი განვითარება და პოლიტიკა) გამოყოფა, ეპოქის უნიკალურობის ჩვენება;	
ისტ. საბ. 8.	ისტორიული მოვლენების და პროცესების დანახვა/შეფასება კონკრეტულ ეპოქაში მცხოვრები ადამიანების თვალით;	
ისტ. საბ. 9.	კონკრეტული მაგალითების მოშველიებით ისტორიული მოვლენებისა და პროცესების მსგავსება-განსხვავებებზე მსჯელობა.	
მიმართულება: ღირებულებები და დამოკიდებულებები		
ისტ. საბ. 10.	ქვეყნის წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთიან კონტექსტში გააზრება;	
ისტ. საბ. 11.	პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა კულტურული, ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების მიმართ;	
ისტ. საბ. 12.	ისტორიული მაგალითების მოშველიებით სახელმწიფოებრივი აზროვნებისა (პატრიოტიზმი) და დემოკრატიის პრინციპების (თანასწორობა, მონაწილეობა) საჭიროების დასაბუთება.	

სასწავლო თემები	ცნებები , რომელიც თითოეული თემის ფარგლებში უნდა დამუშავდეს:
VII კლასი	დრო ცვალებადობა, ქრონოლოგია, წელთაღრიცხვის სისტემა, საუკუნე, ათასწლეული, ისტორიული პერიოდი, ეპოქა;
1. პრეისტორია/ქვის ხანა;	სივრცე კონტინენტი (ევროპა, აზია);
2. ბრინჯაოს ხანა/ძველი აღმოსავლეთი;	რეგიონი (კავკასია, მცირე აზია, ხმელთაშუაზღვისპირეთი, მახლობელი აღმოსავლეთი, შუა და ცენტრალური აზია);
3. ანტიკური და გვიანანტიკური ხანა.	საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე;
VIII კლასი	საზოგადოება სოციალური ფენა, ეკონომიკა, კულტურა; რელიგია; მსოფლმხედველობა; ეთნოსი/ერი; „კულტურული სხვა“;
1. შუა საუკუნეები;	ისტორიული მოვლენა/პროცესი პოლიტიკური ისტორია; სოციალური ისტორია;
2. გვიანი შუა საუკუნეები და ახალი დრო.	ძალაუფლება სახელმწიფო, დემოკრატია.
IX კლასი	წყარო, ისტორიული ინტერპრეტაცია და კვლევა წყარო (პირველადი, მეორადი), ფაქტი/ინტერპრეტაცია/სტერეოტიპი, ისტორიოგრაფია, ისტორიის დამხმარე დისციპლინები.
1. „ხანგრძლივი მე-19 საუკუნე“;	
2. პირველი მსოფლიო ომის პერიოდი/საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა;	
3. საბჭოთა პერიოდი;	
4. საქართველო და თანამედროვე მსოფლიო.	

საკითხები

ეროვნული სასწავლო გეგმა თემების გასაშლელად საჭირო საკითხებს სავალდებულო სახით არ განსაზღვრავს. პედაგოგებსა და სახელმძღვანელოს ავტორებს უფლება აქვთ, თითოეული თემისთვის საკითხები თავად შეარჩიონ. თუმცა, სავალდებულოა შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინება:

- თითოეულ თემაში წარმოდგენილი უნდა იყოს საკითხები როგორც მსოფლიო, ისე საქართველოს ისტორიიდან;
- საკითხების შერჩევასა აქცენტი უნდა გაკეთდეს საქართველოს ისტორიისთვის საკვანძო მოვლენებისა და პიროვნებების წარმოჩენაზე.

VII კლასი

თემა: პრეისტორია / ქვის ხანა

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ქვის ხანისთვის / პრეისტორიისთვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების (გვაროვნული თემი, მაგია, მეურნეობა (შემგროვებლობა-მონადირეობა, მიწათმოქმედება-მესაქონლეობა)) გამოკვეთა (ისტ.საბ.1,2,3,4,5,7,9,10,11,12);
- არქეოლოგიური და ეთნოლოგიური მონაცემების საფუძველზე ქვის ხანის მოვლენების შესწავლა-ინტერპრეტირება (ისტ.საბ.1,2,3,5,7,8,9,10,11,12);
- პირველყოფილი საზოგადოების (სოციალური ფენები, მეურნეობის ფორმები, მსოფლმხედველობა) თანამედროვე და/ან სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებასთან შედარება (ისტ.საბ.1,2,3,7,9,10,11,12);
- „ნეოლითური რევოლუციის“ მისთვის ცნობილ სხვა ისტორიულ მოვლენებთან შედარება (ისტ.საბ.1,2,3,6,7,8,9,10,11,12).

თემა: ბრინჯაოს ხანა/ ძველი აღმოსავლეთი

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- საქართველოს ტერიტორიაზე ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურებისა და ლურსმული ფირფიტების მონაცემების საფუძველზე ძველადმოსავლური პერიოდის/ბრინჯაოს ხანის საზოგადოების დახასიათება (ისტ.საბ. 1,2,3,4,5,7,9,10,11,12);
- ძველადმოსავლური პერიოდისთვის/ბრინჯაოს ხანისთვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების (დამწერლობა, სახელმწიფოებრიობა, რელიგიური სისტემები, „კომპლექსური საზოგადოება“) გამოკვეთა (ისტ.საბ.1,2,3,5,7,8,9,10,11,12);
- ძველადმოსავლური საზოგადოების (სოციალური ფენები, სახელმწიფო მოწყობა, სამართლებრივი აზროვნება (კანონები), მეურნეობის ფორმები, რელიგია და მსოფლმხედველობა) თანამედროვე და/ან სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებასთან შედარება (ისტ.საბ.1,2,3,7,9,10,11,12);
- დამწერლობისა და სახელმწიფო ინსტიტუტების წარმოქმნის მიზეზებზე მსჯელობა; სახელმწიფოს წარმოქმნით გამოწვეული კომპლექსური ცვლილებების დახასიათება და სხვა ისტორიულ მოვლენებთან მათი შედარება (ისტ.საბ.1,2,3,6,7,8,9,10,11,12).

თემა: ანტიკური და გვიანანტიკური ხანა

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- არქეოლოგიური, ნუმისმატიკური, მითოლოგიური, ბერძენი და რომაელი ისტორიკოსების ცნობების საფუძველზე ანტიკური და გვიანანტიკური საზოგადოების დახასიათება (ისტ.საბ.1,2,3,4,5,7,9,10,11,12);
- ანტიკური და გვიანანტიკური ხანისთვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების (მმართველობის ფორმები, ქალაქები, სავაჭრო ურთიერთობები, რელიგიები, მიგრაციული პროცესები) გამოკვეთა (ისტ.საბ.1,2,3,5,7,8,9,10,11,12);
- ანტიკური და გვიანანტიკური საზოგადოების (სოციალური ფენები, სახელმწიფო მოწყობა, სამართლებრივი აზროვნება, მეურნეობის ფორმები, რელიგია და მსოფლმხედველობა) თანამედროვე და/ან სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებასთან შედარება (ისტ.საბ.1,2,3,7,9,10,11,12);
- ბერძნული კოლონიზაციის, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების, რომის მსოფლიო იმპერიად ჩამოყალიბების, „ხალხთა დიდი გადასახლების“ შედეგად გამოწვეული ცვლილებების დახასიათება; საქართველოზე მათი ზეგავლენის გაანალიზება; მათი სხვა ისტორიულ მოვლენებთან შედარება (ისტ.საბ.1,2,3,6,7,8,9,10,11,12).

VIII კლასი

თემა: შუა საუკუნეები

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- წერილობითი წყაროების (ჰაგიოგრაფიული თხზულებების, ქრონიკის, მატთანეს) საფუძველზე შუა საუკუნეების ხანის საზოგადოების დახასიათება (ისტ.საბ.1,2,3,4,5,7,9,10,11,12);
- შუა საუკუნეების ეპოქისათვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების (ფეოდალიზმი, „წმინდა მიწისთვის ბრძოლა“, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთობები და დაპირისპირებები, პროვიდენციალური აზროვნება) გამოკვეთა (ისტ.საბ.1,2,3,5,7,8,9,10,11,12);
- შუა საუკუნეების საზოგადოების („სამწვეროვანი საზოგადოება“, სამართლებრივი აზროვნება, მსოფლმხედველობა, ყოფის, საკუთრებისა და მეურნეობის ფორმები) თანამედროვე და/ან სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებასთან შედარება (ისტ.საბ.1,2,3,7,9,10,11,12);
- ჯვაროსნული ლაშქრობების, საეკლესიო განხეთქილებების დახასიათება, საქართველოზე მათი ზეგავლენის გაანალიზება; სხვა ისტორიულ მოვლენებთან მათი შედარება (ისტ.საბ.1,2,3,6,7,8,9,10,11,12).

თემა: გვიანი შუა საუკუნეები და ახალი დრო

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- წერილობითი წყაროების (ქრონიკები, მისიონერებისა და მოგზაურების ჩანაწერები, კარტოგრაფიული მონაცემები) საფუძველზე გვიანი შუა საუკუნეებისა და ახალი დროის საზოგადოების დახასიათება (ისტ.საბ.1,2,3,4,5,7,9,10,11,12);
- გვიანი შუა საუკუნეებისა და ახალი დროის არსებითი მახასიათებლების (დიდი გეოგრაფიული

აღმოჩენები, ანტიოსმალური კოალიციები) გამოკვეთა (ისტ.საბ.1,2,3,5,7,8,9,10,11,12);

- გვიანი შუა საუკუნეებისა და ახალი დროის საზოგადოების (სოციალური ფენები, სახელმწიფო მოწყობა, სამართლებრივი აზროვნება, მეურნეობის ფორმები, რელიგია და მსოფლმხედველობა, ეკონომიკური ურთიერთობები) თანამედროვე და/ან სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებასთან შედარება (ისტ.საბ.1,2,3,7,9,10,11,12);
- ბიზანტიის დაცემით, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებითა და ევროპის ჰეგემონობის დამყარებით გამოწვეული ცვლილებების დახასიათება, საქართველოზე მათი ზეგავლენის გაანალიზება; სხვა ისტორიულ მოვლენებთან მათი შედარება (ისტ.საბ.1,2,3,6,7,8,9,10,11,12).

IX კლასი

თემა: „ხანგრძლივი XIX საუკუნე“

შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- წერილობითი წყაროების (პუბლიცისტიკა) საფუძველზე „ხანგრძლივი XIX საუკუნის“ საზოგადოების დახასიათება (ისტ.საბ.1,2,3,4,5,7,9,10,11,12);
- „ხანგრძლივი XIX საუკუნის“ არსებითი მახასიათებლების (რევოლუციები, კოლონიალიზმი, სამრეწველო გადატრიალება, ნაციონალიზმი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი) გამოკვეთა (ისტ.საბ.1,2,3,5,7,8,9,10,11,12);
- „ხანგრძლივი XIX საუკუნის“ საზოგადოების (ნაცია სახელმწიფოები, მსოფლმხედველობა, ტექნოლოგიური პროგრესი, ეკონომიკური ურთიერთობები) თანამედროვე და/ან სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებასთან შედარება (ისტ.საბ.1,2,3,7,9,10,11,12);
- რევოლუციების, კოლონიალიზმის, ნაციონალიზმის, ლიბერალური, მემარცხენე იდეოლოგიის გავრცელების შედეგად გამოწვეული ცვლილებების დახასიათება, საქართველოზე მათი ზეგავლენის გაანალიზება; სხვა ისტორიულ მოვლენებთან მათი შედარება (ისტ.საბ.1,2,3,6,7,8,9,10,11,12).

თემა: პირველი მსოფლიო ომის პერიოდი/საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა

შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- წერილობით წყაროებზე (პუბლიცისტური მონაცემები, მემუარები), ფოტო-ფონო მასალებზე დაყრდნობით XX საუკუნის პირველი ნახევრის საზოგადოების დახასიათება (ისტ.საბ.1,2,3,4,5,7,9,10,11,12);
- XX საუკუნის პირველი ნახევრის არსებითი მახასიათებლების (რევოლუციური მოძრაობები, პირველი მსოფლიო ომი, მემარჯვენე და მემარცხენე იდეოლოგიების ჭიდილი, საერთაშორისო ურთიერთობები, გლობალური საფრთხეების პრევენცია) გამოკვეთა (ისტ.საბ. 1,2,3,5,7,8,9,10,11,12);
- XX საუკუნის პირველი ნახევრის საზოგადოების (მსოფლმხედველობა - „ომით გადაღლის სინდრომი“, ეკონომიკური ურთიერთობები) თანამედროვე და/ან სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებასთან შედარება (ისტ.საბ.1,2,3,7,9,10,11,12);
- პირველი მსოფლიო ომისა და რუსეთის რევოლუციების შედეგად გამოწვეული ცვლილებების დახასიათება, საქართველოზე მათი გავლენის გაანალიზება; სხვა ისტორიულ მოვლენებთან მათი შედარება (ისტ.საბ.1,2,3,6,7,8,9,10,11,12).

თემა: საბჭოთა პერიოდი

შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- წერილობით წყაროებზე (საარქივო მასალები), აუდიო-ვიდეო მასალებზე, ზეპირ ისტორიებზე დაყრდნობით საბჭოთა ეპოქის საზოგადოების დახასიათება (ისტ.საბ.1,2,3,4,5,7,9,10,11,12);
- საბჭოთა ეპოქის არსებითი მახასიათებლების (ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია, რეპრესიები, ათეიზმი, ტოტალიტარიზმი) გამოკვეთა (ისტ.საბ.1,2,3,5,7,8,9,10,11,12);
- საბჭოთა ეპოქის საზოგადოების (რეჟიმი, მსოფლმხედველობა, ინდივიდი/კოლექტივიზმი) თანამედროვე და/ან სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებასთან შედარება (ისტ.საბ.1,2,3,7,9,10,11,12);
- ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციის, რეპრესიების, მეორე მსოფლიო ომისა და „პერესტროიკის“ შედეგად გამოწვეული ცვლილებების დახასიათება, საქართველოზე მათი ზეგავლენის გაანალიზება; სხვა ისტორიულ მოვლენებთან მათი შედარება (ისტ.საბ.1,2,3,6,7,8,9,10,11,12).

თემა: საქართველო და თანამედროვე მსოფლიო

შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- წერილობით, ციფრულ მონაცემებსა და ზეპირ ისტორიებზე დაყრდნობით თანამედროვე საზოგადოების დახასიათება (ისტ.საბ.1,2,3,4,5,7,9,10,11,12);
- თანამედროვე ეპოქის არსებითი მახასიათებლების (გლობალიზაცია, ტერორიზმი, ფუნდამენტალიზმი, მიგრაციული პროცესები) გამოკვეთა (ისტ.საბ.1,2,3,5,7,8,9,10,11,12);
- თანამედროვე საზოგადოების (ინფორმაციული საზოგადოება და ტექნოლოგიური პროგრესი, „მომხმარებელი საზოგადოება“ და ეკონომიკური ურთიერთობები) წინარე ისტორიული ეპოქების საზოგადოებებთან შედარება (ისტ.საბ.1,2,3,7,9,10,11,12);
- გლობალიზაციის შედეგად გამოწვეული ცვლილებების დახასიათება, საქართველოზე მისი ზეგავლენის გაანალიზება; სხვა ისტორიულ მოვლენებთან მისი შედარება (ისტ.საბ.1,2,3,6,7,8,9,10,11,12).

საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვები

საფეხურებრივი საკვანძო კითხვები სტანდარტის ცნებებს აკავშირებს შედეგებთან.

- საიდან ვიცით, რომ წარსულში ყველაფერი მართლაც ისე ხდებოდა, როგორც ამას ისტორიკოსები გადმოგვცემენ?
- როგორ უნდა გავარკვიოთ, რა მოხდა სინამდვილეში, როდესაც სხვადასხვა წყარო ერთმანეთისგან განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის? რომელი ისტორიული წყარო იმსახურებს ნდობას?
- რატომ იცვლება ყველაფერი (ყოფა-ცხოვრება, ტექნოლოგიები, ტრადიციები, ღირებულება/დამოკიდებულებები) ჩვენ გარშემო? რატომ არის ცვალებადობა ისტორიის განუყოფელი ნაწილი? რატომ განსხვავდება ისტორიული ეპოქები ერთმანეთისგან?
- რატომ უნდა გავითვალისწინო ფაქტების, მოვლენებისა და პროცესების შეფასებისას ისტორიული გარემო (კონტექსტი), რომელსაც ისინი უკავშირდება?
- როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები საქართველოში სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში (როგორი იყო მათი ყოფა, ყოველდღიური ცხოვრება, მსოფლმხედველობა)?
- რატომ უნდა ვსწავლობდე საკუთარი ქვეყნისა და მსოფლიოს ისტორიას?
- როგორ ვისწავლო ისტორია?

გ) მეთოდოლოგიური ორიენტირები

საგნის სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

- ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა მოტივირებასა და შინაგანი ძალების გააქტიურებას.
- ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
- გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას დაორგანიზებას.
- დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას).
- ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და აპირობისეულს.

დისციპლინის წვდომისათვის, სასწავლო პროცესში აქცენტი, პირველ რიგში, უნდა კეთდებოდეს ისტორიული მოვლენის ანალიზზე და წარსულში მომხდარი ფაქტის დღევანდებლობასთან დაკავშირებაზე და თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების განვითარების პერსპექტივების განსაზღვრაზე.

საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

პრობლემების გადაჭრა	<ul style="list-style-type: none"> • პრობლემის ამოცნობა, აღწერა და გაანალიზება; • პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, მათგან ყველაზე ეფექტურის შერჩევა.
შემოქმედებითი აზროვნება	<ul style="list-style-type: none"> • ჩანაფიქრის შემოქმედებითად განხორციელება; • ორიგინალური იდეების გამოვლენა და ხორცმესხმა; ახლის შექმნა; • დასმული პრობლემების გადასაჭრელად არასტანდარტული გზების მოძიება; • სწრაფვა გარემოს გარდაქმნა-გაუმჯობესებისკენ; • გამოწვევების მიღება, სასკოლო საქმიანობაში გაბედული ნაბიჯების გადადგმა.
თანამშრომლობა	<ul style="list-style-type: none"> • სამუშაოს თანასწორად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს; • მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად (მაგ., ლიდერის); • განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა; • რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით.
კომუნიკაცია	<ul style="list-style-type: none"> • განცდილის, ნაზრების მიტანა მსმენელამდე/მკითხველამდე, მათზე შთაბეჭდილების მოხდენა; • ინფორმაციის გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ვერბალური და არავერბალური საშუალებების გამოყენებით; • სხვისი მოსმენისა და გაგების უნარი; • პიროვნული ღირსების გააზრებისა და დაფასების უნარი.
ეთიკა	<ul style="list-style-type: none"> • ეთიკური და ქცევითი ნორმების დაცვა; • სოლიდარობის განცდა; • სხვებისადმი ემპათია; • პიროვნული ღირსების გააზრებისა და დაფასების უნარი; • განსხვავებულობის მიმღებლობა; • საკუთარ სოციალურ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრება.
მეწარმეობა, ინიციატივების	<ul style="list-style-type: none"> • სწავლა-სწავლების პროცესში ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გამოვლენა; • ახალი იდეების, მიდგომების, შესაძლებლობების ძიება და მათი განხორციელება სწავლის

<p>გამოვლენა და საქმედ ქცევა</p>	<p>გაუმჯობესების მიზნით;</p> <ul style="list-style-type: none"> • მზაობა გამოწვევების მისაღებად, გაბედული ნაბიჯების გადასადგმელად.
<p>სწავლის სწავლა დამოუკიდებლად საქმიანობა</p>	<ul style="list-style-type: none"> • აქტივობის/დავალების ღირებულების განსაზღვრა - მოსწავლემ უნდა დაინახოს, რას შესძენს აქტივობის შესრულება, რა პიროვნულ თუ სოციალურ სარგებელს მოუტანს მას; • აქტივობის/დავალების დაგეგმვა - (მოთხოვნათა გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის განსაზღვრა; დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის განსაზღვრა; სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების დადგენა; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა; იმის განჭვრეტა, თუ რა გაუადვილდება, რა გაუძნელდება, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიების მიზანშეწონილად შერჩევა სამუშაოს თითოეული ეტაპისათვის; • სწავლის პროცესის მონიტორინგი - დაფიქრება სწავლის პროცესზე, იმ პირობების და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, სათანადო ზომების მიღება წინსვლის ხელშესაწყობად; თვითშეფასება ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად, სუსტი მხარეების გასაძლიერებლად გზების დასახვა; • სოციოემოციური მართვა - ნერვიულობის მინიმუმამდე დაყვანა, საჭიროებისამებრ, დახმარების თხოვნა, საკუთარ თავში სიმძლევთა გადალახვის რესურსების პოვნა; შეცდომების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება და წინსვლის წყაროდ გამოყენება; • ცალკეული საქმიანობისთვის გამოყოფილი დროის ეფექტურად გამოყენება.
<p>პასუხისმგებლობა</p>	<ul style="list-style-type: none"> • სასკოლო საქმიანობებში (სასკოლო ცხოვრებაში) ნაკისრი ვალდებულების შესრულება; • სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება; • საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე, სოციალურ აქტივობებზე პასუხისმგებლობის აღება.
<p>ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება</p>	<ul style="list-style-type: none"> • სამიეზო სისტემაში (მაგ.: ებსკო, ელსევიარი) პერიოდიკის მოძიება; • Google Map-ში ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებული, ონლაინ რუკების შექმნა და მათი ინტერნეტის საშუალებით გავრცელება. • სამიეზო სისტემაში (მაგ.: გუგლი) სხვადასხვა ტიპის (მაგ.: ინტერაქტიული და ა.შ.) თემატური ელექტრონული რუკების მოძიება; • ისტორიული შინაარსის ელექტრონული ტექსტების (მაგ. ვიკიტექსტების) შექმნა და ატვირთვა; • სპეციფიკური შინაარსის დიაგრამებთან და გრაფიკებთან მუშაობა (მაგ.: ტერიტორიული, დემოგრაფიული, საზოგადოებრივი განწყობების ზრდა-კლების და ა.შ.) ექსელის საშუალებით. • ვებგვერდის/ბლოგის შექმნა და სასწავლო პროცესის განმავლობაში განხორციელებული სხვადასხვა პროექტის, ვებგვერდზე/ ბლოგზე განთავსება; • ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება (მაგ., Word, PowerPoint) სასწავლო მასალისა და სხვადასხვა ტიპის ელექტრონული ტექსტების დასამუშავებლად.
<p>წიგნიერება</p>	<ul style="list-style-type: none"> • ეპირი და წერიტი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანის და წარდგენა-გაზიარების უნარი.

სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ზრუნვა მეტაკოგნიციის უნარების განვითარებაზე, რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ეს აქტივობებია:

სტრატეგიების მოდელირება: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და მისი შესრულებისას „ხმამალა ფიქრობს“ იმაზე, თუ როგორ შეასრულოს ეს აქტივობა (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანხმობები მასალა და მისი).

წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფურად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.), ასევე სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებენ თითოეულ ეტაპზე. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე.

შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა და ხერხი, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებს და აუმაღლებს სწავლის ქმედუნარიანობას.

წლიური პროგრამისა და სასწავლო თემის აგების პრინციპები

ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურებრივი საგნობრივი სტანდარტები განსაზღვრავს სავალდებულო საგნობრივ მოთხოვნებს (რა უნდა შეეძლოს და რა უნდა იცოდეს მოსწავლეს). მათზე დაყრდნობით იგეგმება წლიური პროგრამები, რომლებიც გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს.

წლიური პროგრამები უნდა დაიგეგმოს სავალდებულო სასწავლო თემების საშუალებით. სასწავლო თემა წამოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის ნაწილების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. რამდენადაც შედეგები საგნის სწავლების გრძელვადიან მიზნებს წარმოადგენს, თითოეული თემის ფარგლებში სტანდარტის ყველა შედეგი უნდა დამუშავდეს. მაშასადამე, სასწავლო თემების ცვლით შეიცვლება კონტექსტები, მაგრამ არ შეიცვლება სწავლის მიზნები, რომლებიც სტანდარტის შედეგების სახითაა ფორმულირებული (შედეგი თავისთავად არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს - თემას).

სასწავლო თემის დასაგეგმად გამოიყენება შემდეგი კომპონენტები:

სასწავლო თემა <p>სასწავლო თემა წარმოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.</p>
საგნობრივი საკითხები <p>წლიური თემების ფარგლებში გამოიყოფა საგნობრივი საკითხები. საგნობრივი საკითხების სწავლება თვითმიზანს არ წარმოადგენს.</p> <p>საგნობრივი საკითხების მეშვეობით მოსწავლე გაიაზრებს ცნების შინაარსს, ამუშავებს საკვანძო შეკითხვებს, ასრულებს კომპლექსურ დავალებებს.</p>
თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები <p>ცნებები განსაზღვრავს იმ არსებით ცოდნას, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს.</p>
საკვანძო შეკითხვები <p>თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვებიდან და დაისმის თემის კონკრეტულ კონტექსტში. მათი ფუნქციაა:</p> <ul style="list-style-type: none">• მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;• სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა;• თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მარგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.
აქტივობები <p>მიმდინარე დავალებების ტიპების/ნიმუშების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული გაგება-გააზრების პროცესების ხელშესაწყობად, ასევე ცოდნის ათვისების, განმტკიცებისა თუ შეჯამების მიზნით.</p> <p>კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი</p> <p>კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.</p>
შეფასების ინდიკატორები <p>შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე</p>

დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის.

მკვიდრი წარმოდგენები

მკვიდრი წარმოდგენები განისაზღვრება სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდეს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად.

როგორ აიგება სასწავლო თემა?

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული. ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრება მკვიდრი წარმოდგენები, საკვანძო კითხვები და შეფასების ინდიკატორები.

სასწავლო თემის სწავლა-სწავლების მიზნით შემდეგ ეტაპზე უნდა განისაზღვროს საგნობრივი საკითხები, რესურსები, დავალებების ტიპები/ნიმუშები გაგების, გააზრების, განმტკიცებისა და შეჯამების მიზნით. ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს იდეები შემაჯამებელი კომპლექსური დავალებებისთვის, რადგან მხოლოდ კომპლექსური დავალებების საშუალებით შეიძლება გამოვლინდეს, რამდენად დაეუფლა მოსწავლე თემის ფარგლებში ასათვისებელ ცოდნა-უნართა ერთობლიობას და რამდენად ახერხებს მათ ფუნქციურად გამოყენებას.

სასწავლო თემის აგების ბიჯები

ნაბიჯი 1. მკვიდრი წარმოდგენების დადგენა

ნაბიჯი 2. თემატური საკვანძო კითხვების დასმა

ნაბიჯი 3. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა

ნაბიჯი 4. საგნობრივი საკითხების განსაზღვრა

ნაბიჯი 5. აქტივობებისა და მიმდინარე დავალებების დაგეგმვა და რესურსების შერჩევა

ნაბიჯი 6. შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების შემუშავება

დ) შეფასება

სტანდარტის ამ ნაწილში წარმოდგენილია შეფასების პრინციპები. საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესი ადგილი უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც მოსწავლეს თავისსავე წინარე შედეგებთან მიმართებით აფასებს, ზომავს მის ინდივიდუალურ წინსვლას, რითაც მას ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირების საშუალებას აძლევს.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას შეასწავლის. მაგალითად, თუ მოსწავლე კარგად გაიაზრებს აქტივობის მიზანსა და ამ მიზნის წარმატებით მიღწევის კრიტერიუმებს (მოსწავლისათვის განკუთვნილი კრიტერიუმები ნათლად ფორმულირებული და შეზღუდული რაოდენობის უნდა იყოს), იგი უკეთ დაინახავს იმ ნაბიჯებს, რომლებიც უნდა გადადგას სასურველი შედეგის მისაღწევად და უფრო გააზრებულად წარმართავს მიზნისაკენ მიმავალ პროცესებს. თუ აქტივობის დასრულებისას მას ვთხოვთ, გააანალიზოს განვლილი გზა - რა ნაბიჯები გადადგა, რა შედეგს მიაღწია, რა მიდგომა გამოიყენა, კიდევ რომელი მიდგომის გამოყენება შეიძლებოდა ან აჯობებდა, რამ შეუქმნა პრობლემა, რა გაუჭირდა ან ვერ გადაჭრა და რატომ, რა გაუადვილდა, რამ შეუწყო ხელი წარმატებაში და სხვ., ეს ხელს შეუწყობს მისი სწავლის ქმედუნარიანობის გაზრდას.

შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება

შემაჯამებელი შეფასებისათვის გამოიყენება კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოითხოვს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ინტეგრირებულად და ფუნქციურად გამოყენებას. ამ დავალებათა შესაფასებლად გამოიყენება შეფასების რუბრიკები, ანუ კრიტერიუმების ბადე.

მოსწავლეს თითოეული სასწავლო თემის დამუშავების შემდეგ ევალება შემაჯამებელი დავალების წარმოდგენა. მამასადამე, შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა წლის განმავლობაში სავალდებულო სასწავლო თემების რაოდენობას ემთხვევა.

ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისათვის

სტანდარტში შემოთავაზებულია ტიპობრივ დავალებათა ფართო არჩევანი. შემაჯამებელი შეფასებისათვის მასწავლებელი და/ან მოსწავლე შეარჩევს დავალების სასურველ ტიპს/ტიპებს:

ქვემოთ გთავაზობთ სტანდარტით გათვალისწინებულ ტიპობრივ შემაჯამებელ დავალებათა ნუსხას. მოსწავლეზე და/ან მასწავლებელზეა დამოკიდებული, თუ რომელ დავალებას/დავალებებს შეარჩევს.

- წყაროს გარჩევა;
- ვიდეომასალისა და ფილმების გარჩევა;
- მუზეუმში სტუმრობა;
- ექსკურსია;
- გამოკითხვა/კვლევის ჩატარება;
- როლური თამაში - პიესის დადგმა, რაიმეს ინსცენირება;
- ლიტერატურული შინაარსის შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა (პირველ პირში დღიურის, ჩანახატის დაწერა);
- რეფერატი/თემის მომზადება;
- საინფორმაციო ტიპის პროექტი - გაზეთი პლაკატი, პოსტერი, ბუკლეტი, ფლაერი;
- ნახატის/ნამერწის/მაკეტის შექმნა.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასებისათვის განკუთვნილი დავალება

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე.

შეფასების რუბრიკის შესაძლო ფორმა

კლასი		
მოსწავლის სახელი, გვარი		
თემა		
დავალების პირობა		
შეფასების კრიტერიუმები	ქულები	კომენტარი

--	--	--

ბ) გეოგრაფია

შესავალი

საბაზო საფეხურის გეოგრაფიის სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

- ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;
- ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი;
- გ) მეთოდოლოგიური ორიენტირები;
- დ) შეფასება.

საბაზო საფეხურზე საგანი „გეოგრაფია“ კონტინენტებისა და საქართველოს გეოგრაფიის შესწავლას გულისხმობს; მოსწავლე შეიმეცნებს ზოგადგეოგრაფიულ კანონზომიერებებს, საზოგადოებრივ და ბუნებრივ სისტემებს შორის არსებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს.

საგნის სწავლა-სწავლებისას მოსწავლე ჩართული იქნება აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მისცემს.

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

გეოგრაფიის სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს, მოსწავლეს:

- გამოუმუშავოს რუკის კითხვისა და ანალიზის უნარი;
- შესძინოს გეოგრაფიული კანონზომიერებებისა და თავისებურებების კვლევისთვის (გლობალურ, რეგიონულ და ლოკალურ დონეზე) საჭირო უნარები;
- გამოუმუშავოს გეოგრაფიული ობიექტების, მოვლენებისა და პროცესების სივრცე-დროით ჭრილში გაანალიზების უნარი;
- ჩამოუყალიბოს გეოგრაფიული გარემოს სისტემური აღქმისა და ანალიზის უნარი;
- ჩამოუყალიბოს გარემოსდაცვითი ცნობიერება;
- ჩამოუყალიბოს სხვა ხალხების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულება;
- დაეხმაროს გეოგრაფიული გარსის მთლიანობის აღქმაში;
- შესძინოს გეოგრაფიის დარგობრივი ერთი ოპერირების უნარი.

ამ მიზნებზე მუშაობით გეოგრაფია თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას: რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს საგან „გეოგრაფიის“ ფარგლებში საბაზო საფეხურის ბოლოს.

საბაზო საფეხურზე გეოგრაფიის შედეგები ჯგუფდება სამ მიმართულებად.

- **რუკა და გეოგრაფიული ანალიზი** - გულისხმობს სხვადასხვა გეოგრაფიული ინფორმაციის მოპოვებასა და ანალიზს სხვადასხვა წყაროს (რუკა, გრაფიკი, აერო და კოსმოსური სურათები, დიაგრამა) საშუალებით;
- **ბუნებრივი და საზოგადოებრივი სისტემები** - გულისხმობს ბუნებრივი და საზოგადოებრივი სისტემების განვითარების კანონზომიერების ჩვენებას, კავშირების დადგენას - ბუნება-საზოგადოება-მეურნეობა; ადამიანის მიერ ბუნებაზე ზემოქმედების შედეგების გაანალიზებას;
- **მდგრადი განვითარება და უსაფრთხოება** - გულისხმობს გარემოსდაცვითი ცნობიერების და გარემოს მიმართ მზრუნველი დამოკიდებულების ჩამოყალიბების მნიშვნელობის ჩვენებას, ბუნებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ სისტემებს შორის ურთიერთმიმართების გააზრებას; ბუნებრივი და ტექნოგენური მიზეზებით გამოწვეული კატასტროფების მიმართ ადეკვატური ქცევის ჩამოყალიბებას.

სტანდარტის შინაარსი განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულო ცნებებისა და თემების სახით.

ცნებების სახით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. ცნებები შედეგებთან ერთად უნდა დამუშავდეს მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებში. ეს კონტექსტები სავალდებულო თემების სახითაა წარმოდგენილი.

თითოეულ თემას ახლავს **შეფასების ინდიკატორები**. ისინი განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს კონკრეტულ თემაში (თითოეულ ინდიკატორს ახლავს შესაბამისი შედეგის ინდექსის ნომერი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი შედეგიდან/შედეგებიდან გამომდინარეობს იგი).

სტანდარტის შედეგების ინდექსების განმარტება

საბაზო საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს;

მაგ.გეო. საბ. 1.:

„გეო.“ – მიუთითებს საგანს „გეოგრაფია“;

„საბ.“ – მიუთითებს საბაზო საფეხურს;

„1“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

გეოგრაფიის სტანდარტის შედეგები (VII-IX კლასები)		
შედეგების ინდექსი	მიმართულება: რუკა და გეოგრაფიული ანალიზი	ცნებები
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	

გეო.საბ.1.	პირობითი აღნიშვნების გამოყენებით სხვადასხვა შინაარსის რუკის კითხვა და ანალიზი;	რუკა და ორიენტირება;
გეო.საბ.2.	სხვადასხვა გეოგრაფიული ობიექტის ადგილმდებარეობის განსაზღვრა ადგილსა და რუკაზე;	გეოგრაფიული გარსი;
გეო.საბ.3.	სხვადასხვა ტიპის წყაროდან (რუკა, ფოტო, ცხრილი, გრაფიკი, დიაგრამა, აერო და კოსმოსური სურათები, მულტიმედია საშუალებები) ინფორმაციის ამოკითხვა და გაანალიზება; კვლევის შედეგების ცხრილების, გრაფიკების და დიაგრამების სახით წარმოდგენა.	გეოგრაფიული ობიექტი;
მიმართულება: ბუნებრივი და საზოგადოებრივი სისტემები		
მოსწავლემ უნდა შეძლოს:		გეოგრაფიული მოვლენა,
გეო.საბ.4.	გეოგრაფიული გარსის მთლიანობის აღქმა და მისი გეოსფეროების (ლიტოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო, ნოსფერო, დედამიწის შინაგანი აგებულება) ურთიერთდამოკიდებულების გაანალიზება;	გეოგრაფიული პროცესი;
გეო.საბ.5.	შინაგანი და გარეგანი ძალების დაკავშირება დედამიწის თანამედროვე სახის ჩამოყალიბების პროცესთან;	გეოგრაფიული კვლევა და ანალიზი;
გეო.საბ.6.	გეოგრაფიული აღმოჩენების მნიშვნელობის გააზრება საზოგადოების განვითარებისთვის;	მოსახლეობა და მეურნეობა;
გეო.საბ.7.	ბუნებრივი პირობებისა და რესურსების ზეგავლენის გაანალიზება მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასა და ცხოვრების წესზე;	მდგრადი განვითარება
გეო.საბ.8.	მოსახლეობის ძირითადი მახასიათებლების (ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობა, სტრუქტურა, სიმჭიდროვე, განსახლება) ცვალებადობის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების გააზრება;	
გეო.საბ.9.	ცალკეული გეოგრაფიული ერთეულების (კონტინენტი, რეგიონი, ბუნებრივი ზონა, ლანდშაფტი) კომპლექსური დახასიათება;	
მიმართულება: მდგრადი განვითარება და უსაფრთხოება		
მოსწავლემ უნდა შეძლოს:		
გეო.საბ.10.	გარემოსადმი მზრუნველი დამოკიდებულების გამოვლენა;	
გეო.საბ.11.	მდგრადი განვითარების გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობის გააზრება მოსახლეობის კეთილდღეობისთვის;	
გეო.საბ.12.	გარემოზე ადამიანის საქმიანობის (ანთროპოგენური ზემოქმედების) შედეგების შეფასება;	
გეო.საბ.13.	სხვადასხვა სახის ბუნებრივი კატასტროფის ნიშნების ამოცნობა; წარმოქმნის მიზეზების გაანალიზება; მათი თავიდან აცილებისთვის/ზიანის შერბილებისთვის საჭირო ღონისძიებების მნიშვნელობის გააზრება; უსაფრთხო ქვეყნის წესების დაცვა	

სავალდებულო თემები	ცნებები, რომლებიც თითოეულ თემაში უნდა
---------------------------	--

	დამუშავდეს
VII კლასი	რუკა და ორიენტირება
დედამიწა	მასშტაბი, პირობითი აღნიშვნები, კოორდინატები, სასაათო ზონები, კომპასი, ჰორიზონტის მხარეები, აზიმუტი, GPS
აფრიკა	
ავსტრალია და ოკეანეთი	გეოგრაფიული გარსი
ანტარქტიდა	ლიტოსფერო (რელიეფი, ფილაქენების ტექტონიკა) ატმოსფერო (ამინდი, ჰავა, კლიმატური სარტყელი), ჰიდროსფერო (შიგა წყლები, ჰიდროლოგიური პროცესები) ბიოსფერო (ფლორა და ფაუნა, ნიადაგი), ნოოსფერო, ბუნებრივი ზონა, ლანდშაფტი
VIII კლასი	
სამხრეთ ამერიკა	გეოგრაფიული ობიექტი
ჩრდილოეთ ამერიკა	დედამიწა, კონტინენტი, რეგიონი
აზია	გეოგრაფიული მოვლენა, გეოგრაფიული პროცესი
ევროპა	შინაგანი და გარეგანი ძალები, ბუნებრივი კატასტროფა (ბუნებრივი და ანთროპოგენური სტიქიური პროცესები)
კავკასია	
IX კლასი	გეოგრაფიული კვლევა და ანალიზი
საქართველო-ბუნებრივი და საზოგადოებრივი სისტემები	გეოგრაფიული აღმოჩენები, ფოტო, ცხრილი, გრაფიკი, დიაგრამა, აერო და კოსმოსური სურათები, მულტიმედია საშუალებები
დასავლეთ საქართველო (იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია აჭარა, აფხაზეთი);	მოსახლეობა და მეურნეობა
აღმოსავლეთ საქართველო (თბილისი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, კახეთი, მცხეთა მთიანეთი)	ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობა, სტრუქტურა, სიმჭიდროვე, განსახლება
სამხრეთ საქართველო (სამცხე-ჯავახეთი)	მდგრადი განვითარება
	გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური ასპექტები, ბუნებრივი კატასტროფა, ბუნებრივი რესურსები

საკითხები:

ეროვნული სასწავლო გეგმა სავალდებულო სახით არ განსაზღვრავს საკითხებს. პედაგოგებსა და სახელმძღვანელოს ავტორებს უფლება აქვთ, თითოეული თემისთვის საკითხები თავად შეარჩიონ, თუმცა სავალდებულოა შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინება - ჩამონათვალში აუცილებლად უნდა იყოს:

- რომელიმე ქვეყანა ან რეგიონი და ბუნებრივი ზონა, რომელიც კომპლექსურად დახასიათდება (არ ეხება თემებს: „დედამიწა“ და „კავკასია“);

- მნიშვნელოვანი აღმოჩენები;
- სავალდებულო თემის კონტექსტის შესაბამისი გეოგრაფიული მოვლენები და პროცესები;
- გარემოს დაცვასა და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები.

VII კლასი

სასწავლო თემა: დედამიწა

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა თემატური რუკისა და გლობუსის გამოყენებით დედამიწის (რელიეფის, კლიმატური სარტყლების, მსოფლიო ოკეანის, მოსახლეობის) დახასიათება, გეოგრაფიული ობიექტების მდებარეობის განსაზღვრა (გრძედი, განედი, პოლუსები, ეკვატორი, საწყისი მერიდიანი, თარიღთა ცვლის ხაზი) (გეო.საბ.1,2,3,9);
- დედამიწის შესახებ სხვადასხვა დროს არსებული წარმოდგენების ცვალებადობის მიზეზების გაანალიზება (გეო.სტ.საბ. 3,6);
- გეოგრაფიული გარსის მთლიანობის აღქმა და მისი გეოსფეროების (ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო, ნოსფერო) ურთიერთდამოკიდებულების გაანალიზება; ბუნებრივი ზონების წარმოქმნისა და თავისებურებების განხილვა (გეო.საბ. 4,5,7,9,10,11,12,13);
- დედამიწაზე მოსახლეობის არათანაბარი განაწილების მიზეზების გაანალიზება (გეო.საბ. 8);
- გლობალური ეკოლოგიური პრობლემების (კლიმატის გლობალური ცვლილება, მსოფლიო ოკეანის დაბინძურება) გაანალიზება; მათზე რეაგირებისა და პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების მნიშვნელობის გააზრება (გეო.საბ.7,10,11,12,13).

სასწავლო თემა: აფრიკა

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა თემატური რუკის გამოყენებით აფრიკის (მდებარეობის, რელიეფის, კლიმატური სარტყლების, სასარგებლო წიაღისეულის, მოსახლეობის) დახასიათება; გეოგრაფიული ობიექტების მდებარეობის განსაზღვრა (გეო.საბ.1,2,3,9);
- აფრიკისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი ზონების კომპლექსური დახასიათება და მათი ერთმანეთთან შედარება სხვადასხვა არსებითი ნიშნის მიხედვით (გეოლოგია, ამინდი და ჰავა, ჰიდროლოგია, ფლორა და ფაუნა, ადამიანის ზეგავლენა) (გეო.საბ. 4,5,7,9,11,12);
- აფრიკის მოსახლეობის მახასიათებლების შესწავლა და მათი დინამიკის (მაღალი შობადობა, მაღალი მოკვდაობა/სიკვდილიანობა) გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების გაანალიზება (გეო.საბ.7,8);
- აფრიკის მაგალითზე გარემო-ადამიანი(მოსახლეობა)-მეურნეობას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გაანალიზება (გეო.საბ.5,6,7,8,10,11,12,13);
- აფრიკისთვის დამახასიათებელი საზოგადოებრივ-გეოგრაფიული პროცესების (გეოგრაფიული აღმოჩენები, კოლონიზაცია, დაავადებების გავრცელება, ჰუმანური განვითარება, იძულებითი მიგრაცია) მიზეზებისა და შედეგების გაანალიზება (გეო.საბ. 4,7,8,9,10,11,2,13);
- აფრიკისთვის დამახასიათებელი მდგრადი განვითარების პრობლემების (გაუდაბნობა, სიღარიბე) გაანალიზება; მათზე რეაგირებისა და პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების მნიშვნელობის გააზრება (გეო.საბ.9,10,11,12,13).

სასწავლო თემა: ავსტრალია და ოკეანეთი

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა თემატური რუკის გამოყენებით ავსტრალიისა და ოკეანეთის (მდებარეობის, რელიეფის, კლიმატური სარტყლების, სასარგებლო წიაღისეულის, მოსახლეობის) დახასიათება; გეოგრაფიული ობიექტების მდებარეობის განსაზღვრა (გეო.საბ.1,2,3,9);
- ავსტრალიისა და ოკეანეთისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი ზონების კომპლექსური დახასიათება და მათი ერთმანეთთან შედარება სხვადასხვა არსებითი ნიშნის მიხედვით (გეოლოგია, ამინდი და ჰავა, ჰიდროლოგია, ფლორა და ფაუნა, ადამიანის ზეგავლენა) (გეო.საბ. 4,5,7,9,11,12);
- ავსტრალიისა და ოკეანეთის მოსახლეობის მახასიათებლების შესწავლა და მათი დინამიკის (არათანაბარი სიმჭიდროვე) გამომწვევი მიზეზების და შედეგების გაანალიზება (გეო.საბ.7,8);
- ავსტრალიისა და ოკეანეთის მაგალითზე გარემო-ადამიანი(მოსახლეობა)-მეურნეობას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გაანალიზება (გეო.საბ.5,6,7,8,10,11,12,13);
- ავსტრალიისა და ოკეანეთისთვის დამახასიათებელი საზოგადოებრივ-გეოგრაფიული პროცესების (გეოგრაფიული აღმოჩენები, ჰუმანური განვითარება, იმიგრაცია) მიზეზებისა და შედეგების გაანალიზება (გეო.საბ. 4,7,8,9,10,11.,2,13);
- ავსტრალიისა და ოკეანეთისთვის დამახასიათებელი მდგრადი განვითარების პრობლემების (მარჯნის რიფების ეკოსისტემების განადგურება) გაანალიზება; მათზე რეაგირებისა და პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების მნიშვნელობის გააზრება (გეო.საბ.9,10,11,12,13).

სასწავლო თემა: ანტარქტიდა

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა თემატური რუკის გამოყენებით ანტარქტიდის (მდებარეობის, კლიმატური სარტყლების) დახასიათება; გეოგრაფიული ობიექტების მდებარეობის განსაზღვრა (გეო.საბ.1,2,3,9);
- ანტარქტიდისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი ზონის კომპლექსური დახასიათება (გეოლოგია, ამინდი და ჰავა, ჰიდროლოგია, ფლორა და ფაუნა, ადამიანის ზეგავლენა) (გეო.საბ. 4,5,7,9,11,12);
- ანტარქტიდისთვის დამახასიათებელი მდგრადი განვითარების პრობლემების (ოზონის ხვრელი, ზეწრული მყინვარების დნობა) გაანალიზება; მათზე რეაგირებისა და პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების მნიშვნელობის გააზრება (გეო.საბ.9,10,11,12,13).

VIII კლასი

სასწავლო თემა: სამხრეთ ამერიკა

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა თემატური რუკის გამოყენებით სამხრეთ ამერიკის (მდებარეობის, რელიეფის, კლიმატური სარტყლების, სასარგებლო წიაღისეულის, მოსახლეობის) დახასიათება; გეოგრაფიული ობიექტების მდებარეობის განსაზღვრა (გეო.საბ.1,2,3,9);
- სამხრეთ ამერიკისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი ზონების კომპლექსური დახასიათება და მათი ერთმანეთთან შედარება სხვადასხვა არსებითი ნიშნის მიხედვით (გეოლოგია, ამინდი და ჰავა, ჰიდროლოგია, ფლორა და ფაუნა, ადამიანის ზეგავლენა) (გეო.საბ. 4,5,7,9,11,12);
- სამხრეთ ამერიკის მოსახლეობის მახასიათებლების შესწავლა და მათი დინამიკის (მაღალი ბუნებრივი მატება) გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების გაანალიზება (გეო.საბ.7,8);
- სამხრეთ ამერიკის მაგალითზე გარემო-ადამიანი (მოსახლეობა)-მეურნეობას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გაანალიზება (გეო.საბ.5,6,7,8,10,11,12,13);
- სამხრეთ ამერიკისთვის დამახასიათებელი საზოგადოებრივ-გეოგრაფიული პროცესების (ფსევდო-ურბანიზაცია, რასების ასიმილაცია) მიზეზებისა და შედეგების გაანალიზება (გეო.საბ. 4,7,8,9,10,11.,2,13);
- სამხრეთ ამერიკისთვის დამახასიათებელი მდგრადი განვითარების პრობლემების (ნიადაგის ეროზია, ტყის ჩეხვა, უმუშევრობა) გაანალიზება; მათზე რეაგირებისა და პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების მნიშვნელობის გააზრება (გეო.საბ.9,10,11,12,13).

სასწავლო თემა: ჩრდილოეთ ამერიკა

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა თემატური რუკის გამოყენებით ჩრდილოეთ ამერიკის (მდებარეობის, რელიეფის, კლიმატური სარტყლების, სასარგებლო წიაღისეულის, მოსახლეობის) დახასიათება; გეოგრაფიული ობიექტების მდებარეობის განსაზღვრა (გეო.საბ.1,2,3,9);
- ჩრდილოეთ ამერიკისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი ზონების კომპლექსური დახასიათება და მათი ერთმანეთთან შედარება სხვადასხვა არსებითი ნიშნის მიხედვით (გეოლოგია, ამინდი და ჰავა, ჰიდროლოგია, ფლორა და ფაუნა, ადამიანის ზეგავლენა) (გეო.საბ. 4,5,7,9,11,12);
- ჩრდილოეთ ამერიკის მოსახლეობის მახასიათებლების შესწავლა და მათი დინამიკის (მოსახლეობის არათანაბარი სიმჭიდროვე, ეთნიკური მრავალფეროვნება) გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების გაანალიზება (გეო.საბ.7,8);
- ჩრდილოეთ ამერიკის მაგალითზე გარემო-ადამიანი(მოსახლეობა)-მეურნეობას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გაანალიზება (გეო.საბ.5,6,7,8,10,11,12,13);
- ჩრდილოეთ ამერიკისთვის დამახასიათებელი საზოგადოებრივ-გეოგრაფიული პროცესების (იმიგრაცია, მეგაპოლისების ჩამოყალიბება, მაღალი ჰუმანური განვითარების ინდექსი) მიზეზებისა და შედეგების გაანალიზება (გეო.საბ. 4,7,8,9,10,11,2,13);
- ჩრდილოეთ ამერიკისთვის დამახასიათებელი მდგრადი განვითარების პრობლემების (ტორნადოები, ქარიშხლები, მდგრადი მოხმარება და წარმოება) გაანალიზება; მათზე რეაგირებისა და პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების მნიშვნელობის გააზრება (გეო.საბ.9,10,11,12,13).

სასწავლო თემა: აზია

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა თემატური რუკის გამოყენებით აზიის (მდებარეობის, რელიეფის, კლიმატური სარტყლების, სასარგებლო წიაღისეულის, მოსახლეობის) დახასიათება; გეოგრაფიული ობიექტების მდებარეობის განსაზღვრა (გეო.საბ.1,2,3,9);
- აზიისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი ზონების კომპლექსური დახასიათება და მათი ერთმანეთთან შედარება სხვადასხვა არსებითი ნიშნის მიხედვით (გეოლოგია, ამინდი და ჰავა, ჰიდროლოგია, ფლორა და ფაუნა, ადამიანის ზეგავლენა) (გეო.საბ. 4,5,7,9,11,12);
- აზიის მოსახლეობის მახასიათებლების შესწავლა და მათი დინამიკის (მოსახლეობის არათანაბარი განაწილება, ეთნიკური და ლინგვისტური მრავალფეროვნება) გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების გაანალიზება (გეო.საბ.7,8);
- აზიის მაგალითზე გარემო-ადამიანი(მოსახლეობა)-მეურნეობას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გაანალიზება (გეო.საბ.5,6,7,8,10,11,12,13);
- აზიისთვის დამახასიათებელი საზოგადოებრივ-გეოგრაფიული პროცესების (ურბანიზაცია, დემოგრაფიული პოლიტიკა) მიზეზებისა და შედეგების გაანალიზება (გეო.საბ. 4,7,8,9,10,11,2,13);
- აზიისთვის დამახასიათებელი მდგრადი განვითარების პრობლემების (ნიადაგების დამლაშება, წყლისა და ჰაერის დაბინძურება, მდგრადი ქალაქები, განათლების არათანაბარი ხელმისაწვდომობა, კეთილდღეობის უზრუნველყოფა) გაანალიზება; მათზე რეაგირებისა და პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების მნიშვნელობის გააზრება (გეო.საბ.9,10,11,12,13).

სასწავლო თემა: ევროპა

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა თემატური რუკის გამოყენებით ევროპის (მდებარეობის, რელიეფის, კლიმატური სარტყლების, სასარგებლო წიაღისეულის, მოსახლეობის) დახასიათება; გეოგრაფიული ობიექტების მდებარეობის განსაზღვრა (გეო.საბ.1,2,3,9);
- ევროპისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი ზონების კომპლექსური დახასიათება და მათი ერთმანეთთან შედარება სხვადასხვა არსებითი ნიშნის მიხედვით (გეოლოგია, ამინდი და ჰავა, ჰიდროლოგია, ფლორა და ფაუნა, ადამიანის ზეგავლენა) (გეო.საბ. 4,5,7,9,11,12);
- ევროპის მოსახლეობის მახასიათებლების შესწავლა და მათი დინამიკის (სიცოცხლის მაღალი ხანგრძლივობა) გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების გაანალიზება (გეო.საბ.7,8);
- ევროპის მაგალითზე გარემო-ადამიანი(მოსახლეობა)-მეურნეობას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გაანალიზება (გეო.საბ.5,6,7,8,10,11,12,13);
- ევროპისთვის დამახასიათებელი საზოგადოებრივ-გეოგრაფიული პროცესების (ურბანიზაცია, მოსახლეობის „დაბერება“, ცხოვრების მაღალი სტანდარტი) მიზეზებისა და შედეგების გაანალიზება (გეო.საბ. 4,7,8,9,10,11,2,13);
- ევროპისთვის დამახასიათებელი მდგრადი განვითარების პრობლემების (ზღვების დაბინძურება, ანთროპოგენური ზემოქმედება, საერთაშორისო ვაჭრობა) გაანალიზება; მათზე რეაგირებისა და პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების მნიშვნელობის გააზრება (გეო.საბ.9,10,11,12,13).

თემა: კავკასია

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა თემატური რუკის გამოყენებით კავკასიის (მდებარეობის, რელიეფის, კლიმატური სარტყლების, სასარგებლო წიაღისეულის, მოსახლეობის) დახასიათება; გეოგრაფიული ობიექტების მდებარეობის განსაზღვრა (გეო.საბ.1,2,3,9);
- კავკასიის ოროგრაფიული ერთეულების (იმერკავკასიის ვაკე, კავკასიონი, ამერკავკასიის ბარი, მცირე კავკასიონი, თალიშის მთები, სამხრეთ კავკასიის ვულკანური მთიანეთი) არსებითი ნიშნების მიხედვით (გეოლოგიური, ატმოსფერული პროცესები, ჰიდროლოგია, ფლორა და ფაუნა, ადამიანის ზეგავლენა) ერთმანეთთან შედარება (გეო.საბ. 4,5,7,9,10,11);
- კავკასიის მოსახლეობის მახასიათებლების შესწავლა და მათი დინამიკის (ეთნიკური სიჭრელე) გამომწვევი მიზეზების და შედეგების გაანალიზება (გეო.საბ.7,8);
- კავკასიის მაგალითზე გარემო-ადამიანი(მოსახლეობა)-მეურნეობას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გაანალიზება (გეო.საბ.5,6,7,8,10,11,12,13);
- კავკასიისთვის დამახასიათებელი საზოგადოებრივ-გეოგრაფიული პროცესების (ურბანიზაცია, მთიდან ბარში მიგრაცია) მიზეზებისა და შედეგების გაანალიზება (გეო.საბ. 4,7,8,9,10,11,2,13);
- კავკასიისთვის დამახასიათებელი მდგრადი განვითარების პრობლემების (ზღვის დაბინძურება, ღვარცოფები, მეწყრები, ზვავები, არათანაბარი შესაძლებლობები - განათლება, ცხოვრების დონე) გაანალიზება; მათზე რეაგირებისა და პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების მნიშვნელობის გააზრება (გეო.საბ.9,10,11,12,13).

IX კლასი

სასწავლო თემა: საქართველო-ბუნებრივი და საზოგადოებრივი სისტემები

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა თემატური რუკის გამოყენებით საქართველოს (მდებარეობის, რელიეფის, ჰავის, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს, სასარგებლო წიაღისეულის, მოსახლეობის) დახასიათება; გეოგრაფიული ობიექტების მდებარეობის განსაზღვრა (გეო.საბ.1,2,3,9);
- საქართველოს ლანდშაფტების ზოგადი დახასიათება (გეოლოგიური, ატმოსფერული პროცესები, ჰიდროლოგია, ფლორა და ფაუნა, ადამიანის ზეგავლენა) (გეო.საბ. 4,5,7,9,10,11);
- საქართველოს მოსახლეობის მახასიათებლების შესწავლა და მათი დინამიკის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების გაანალიზება (გეო.საბ.7,8);
- საქართველოს მაგალითზე გარემო-ადამიანი(მოსახლეობა)-მეურნეობას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გაანალიზება (გეო.საბ.5,6,7,8,10,11,12,13);
- საქართველოსთვის დამახასიათებელი საზოგადოებრივ-გეოგრაფიული პროცესების მიზეზებისა და შედეგების გაანალიზება (გეო.საბ. 4,7,8,9,10,11,2,13);
- საქართველოსთვის დამახასიათებელი მდგრადი განვითარების პრობლემების (ზღვის დაბინძურება, ღვარცოფები, მეწყრები, მიწისძვრები, ეროზია, გამოფიტვა, ზვავები, არათანაბარი შესაძლებლობები - განათლება, ცხოვრების დონე) გაანალიზება; მათზე რეაგირებისა და პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების მნიშვნელობის გააზრება (გეო.საბ.9,10,11,12,13).

სასწავლო თემა: დასავლეთ საქართველო (იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია აჭარა, აფხაზეთი)

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა თემატური რუკის გამოყენებით დასავლეთ საქართველოს (მდებარეობის, რელიეფის, ჰავის, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს, სასარგებლო წიაღისეულის, მოსახლეობის) დახასიათება; გეოგრაფიული ობიექტების მდებარეობის განსაზღვრა (გეო.საბ.1,2,3,9);
- დასავლეთ საქართველოს ლანდშაფტების ზოგადი დახასიათება (გეოლოგიური, ატმოსფერული პროცესები, ჰიდროლოგია, ფლორა და ფაუნა, ადამიანის ზეგავლენა) (გეო.საბ. 4,5,7,9,10,11);
- დასავლეთ საქართველოს მხარეების მაგალითზე საქართველოს მოსახლეობის მახასიათებლების შესწავლა და მათი დინამიკის (სიმჭიდროვე) მიზეზების და შედეგების გაანალიზება (გეო.საბ.7,8);
- დასავლეთ საქართველოს მაგალითზე გარემო-ადამიანი(მოსახლეობა)-მეურნეობას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გაანალიზება (გეო.საბ.5,6,7,8,10,11,12,13);
- დასავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელი საზოგადოებრივ-გეოგრაფიული პროცესების (რეკრეაცია, ურბანიზაცია, დეპოპულაცია) მიზეზებისა და შედეგების გაანალიზება (გეო.საბ. 4,7,8,9,10,11,2,13);
- დასავლეთ საქართველოს მაგალითზე საქართველოსთვის დამახასიათებელი მდგრადი განვითარების პრობლემების (ზღვის დაბინძურება, მეწყრები, ეროზია, ეკონომიკური ზრდა) გაანალიზება; მათზე რეაგირებისა და პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების მნიშვნელობის გააზრება (გეო.საბ.9,10,11,12,13).

სასწავლო თემა: აღმოსავლეთ საქართველო (თბილისი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, კახეთი, მცხეთა მთიანეთი)

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა თემატური რუკის გამოყენებით აღმოსავლეთ საქართველოს (მდებარეობის, რელიეფის, ჰავის, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს, სასარგებლო წიაღისეულის, მოსახლეობის) დახასიათება; გეოგრაფიული ობიექტების მდებარეობის განსაზღვრა (გეო.საბ.1,2,3,9);
- აღმოსავლეთ საქართველოს ლანდშაფტების ზოგადი დახასიათება (გეოლოგიური, ატმოსფერული პროცესები, ჰიდროლოგია, ფლორა და ფაუნა, ადამიანის ზეგავლენა) (გეო.საბ. 4,5,7,9,10,11);
- აღმოსავლეთ საქართველოს მხარეების მაგალითზე საქართველოს მოსახლეობის მახასიათებლების შესწავლა და მათი დინამიკის (შობადობის მაღალი დონე) მიზეზებისა და შედეგების გაანალიზება (გეო.საბ.7,8);
- აღმოსავლეთ საქართველოს მაგალითზე გარემო-ადამიანი(მოსახლეობა)-მეურნეობას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გაანალიზება (გეო.საბ.5,6,7,8,10,11,12,13);
- აღმოსავლეთ საქართველოს მაგალითზე საქართველოსთვის დამახასიათებელი საზოგადოებრივ-გეოგრაფიული პროცესების (ფსევდო-ურბანიზაცია, შიდა მიგრაცია) მიზეზებისა და შედეგების გაანალიზება (გეო.საბ. 4,7,8,9,10,11,2,13);
- აღმოსავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელი მდგრადი განვითარების პრობლემების (ზვავები, ქარისმიერი ეროზია, ღვარცოფები, მეწყრები, უმუშევრობა) გაანალიზება; მათზე რეაგირებისა და პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების მნიშვნელობის გააზრება (გეო.საბ.9,10,11,12,13).

სასწავლო თემა: სამხრეთ საქართველო (სამცხე-ჯავახეთი)

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა თემატური რუკის გამოყენებით სამხრეთ საქართველოს (მდებარეობის, რელიეფის, ჰავის, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს, სასარგებლო წიაღისეულის, მოსახლეობის) დახასიათება; გეოგრაფიული ობიექტების მდებარეობის განსაზღვრა (გეო.საბ.1,2,3,9);
- სამხრეთ საქართველოს ლანდშაფტების ზოგადი დახასიათება (გეოლოგიური, ატმოსფერული პროცესები, ჰიდროლოგია, ფლორა და ფაუნა, ადამიანის ზეგავლენა) (გეო.საბ. 4,5,7,9,10,11);
- სამხრეთ საქართველოს მხარეების მაგალითზე საქართველოს მოსახლეობის მახასიათებლების შესწავლა და მათი დინამიკის (ეთნიკური და რელიგიური სიჭრელე) მიზეზებისა და შედეგების გაანალიზება (გეო.საბ.7,8);
- სამხრეთ საქართველოს მაგალითზე გარემო-ადამიანი(მოსახლეობა)-მეურნეობას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გაანალიზება (გეო.საბ.5,6,7,8,10,11,12,13);
- სამხრეთ საქართველოს მაგალითზე საქართველოსთვის დამახასიათებელი საზოგადოებრივ-გეოგრაფიული პროცესების (რეკრეაცია) მიზეზებისა და შედეგების გაანალიზება (გეო.საბ. 4,7,8,9,10,11,2,13);
- სამხრეთ საქართველოსთვის დამახასიათებელი მდგრადი განვითარების პრობლემების (გამოფიტვა, ეროზია, ცხოვრების დონე/სტანდარტი) გაანალიზება; მათზე რეაგირებისა და პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების მნიშვნელობის გააზრება (გეო.საბ.9,10,11,12,13).

საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვები

საფეხურებრივი საკვანძო კითხვები სტანდარტის ცნებებს აკავშირებს შედეგებთან.

- როგორ ჩამოყალიბდა დედამიწა? როგორ მიიღო თანამედროვე იერსახე?
- როგორ ურთიერთქმედებს გეოგრაფიული გარსის სხვადასხვა კომპონენტი ერთმანეთთან? რატომ მიიჩნევენ გეოგრაფიულ გარსს ერთ მთლიან სისტემად?
- როგორ უწყობდა ხელს გეოგრაფიული აღმოჩენები საზოგადოების განვითარებას?
- რატომ იცვლება მოსახლეობის მახასიათებლები?
- როგორ გამოვიყენოთ რუკა, ცხრილი, გრაფიკი, დიაგრამა გეოგრაფიული პროცესებისა და მოსახლეობის მახასიათებლების ცვალებადობის წარმოსაჩენად?
- რატომ განსხვავდება ქვეყნები განვითარების მიხედვით?
- როგორი ურთიერთკავშირია ბუნებასა და ადამიანს შორის?
- როგორ მოვიქცეთ სხვადასხვა ბუნებრივი და ანთროპოგენური სტიქიური პროცესის დროს?
- რატომ და როგორ უნდა ვისწავლო გეოგრაფია?

გ) მეთოდოლოგიური ორიენტირები

სტანდარტის ამ ნაწილში განსაზღვრულია, თუ რა პრინციპების საფუძველზე უნდა წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი. ასევე, მოცემულია მოკლე ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს კონკრეტული სასწავლო ერთეულის – თემის სწავლა-სწავლება.

საგნის სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

- ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას.
- ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
- გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.
- დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას).
- ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

პრობლემების გადაჭრა	<ul style="list-style-type: none"> • პრობლემის ამოცნობა, აღწერა და გაანალიზება; • პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, მათგან ყველაზე ეფექტურის შერჩევა.
შემოქმედებითი აზროვნება	<ul style="list-style-type: none"> • ჩანაფიქრის შემოქმედებითად განხორციელება; • ორიგინალური იდეების გამოვლენა და ხორცშესხმა; ახლის შექმნა; • დასმული პრობლემების გადასაჭრელად არასტანდარტული გზების მოძიება; • სწრაფვა გარემოს გარდაქმნა-გაუმჯობესებისკენ; • გამოწვევების მიღება, სასკოლო საქმიანობაში გაბედული ნაბიჯების გადადგმა.
თანამშრომლობა	<ul style="list-style-type: none"> • სამუშაოს თანასწორად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს; • მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად (მაგ., ლიდერის); • განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა; • რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით.

კომუნიკაცია	<ul style="list-style-type: none"> • განცდილის, ნაზრების მიტანა მსმენელამდე/მკითხველამდე, მათზე შთაბეჭდილების მოხდენა; • ინფორმაციის გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ვერბალური და არავერბალური საშუალებების გამოყენებით; • სხვისი მოსმენისა და გაგების უნარი; • პიროვნული ღირსების გააზრებისა და დაფასების უნარი.
ეთიკა	<ul style="list-style-type: none"> • ეთიკური ნორმების დაცვა; • სოლიდარობის განცდა; • ემპათია; • განსხვავებულობის მიმდებლობა; • საკუთარ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრება.
ინიციატივების გამოვლენა და საქმედ ქცევა	<ul style="list-style-type: none"> • სწავლა-სწავლების პროცესში ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გამოვლენა; • ახალი იდეების, მიდგომების, შესაძლებლობების ძიება და მათი განხორციელება სწავლა-სწავლების პროცესში; • მზაობა გამოწვევების მისაღებად, გაბედული ნაბიჯების გადასადგმელად.
სწავლის სწავლა დამოუკიდებლად საქმიანობა	<ul style="list-style-type: none"> • აქტივობის/დავალების ღირებულების განსაზღვრა - მოსწავლემ უნდა დაინახოს, რას შესძლებს აქტივობის შესრულება, რა პიროვნულ თუ სოციალურ სარგებელს მოუტანს მას; • აქტივობის/დავალების დაგეგმვა - მოთხოვნათა გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის განსაზღვრა; დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის განსაზღვრა; სამუშაოს წარმატების შესრულების კრიტერიუმების დადგენა; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა; იმ განჭვრეტა, თუ რა გაუადვილდება, რა გაუძნელდება, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიები მიზანშეწონილად შერჩევა სამუშაოს თითოეული ეტაპისათვის; • სწავლის პროცესის მონიტორინგი - დაფიქრება სწავლის პროცესზე, იმ პირობების და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, სათანადო ზომების მიღება წინსვლა ხელშესაწყობად; თვითშეფასება ძლიერი და სუსტი მხარების დასადგენად, სუსტი მხარეებ გასაძლიერებლად გზების დასახვა; • სოციომოციური მართვა - ნერვიულობის მინიმუმამდე დაყვანა, საჭიროებისამებრ, დახმარება მოთხოვნა, საკუთარ თავში სიმძნელეთა გადალახვის რესურსების პოვნა; შეცდომების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება და წინსვლის წყაროდ გამოყენება; • ცალკეული საქმიანობისთვის გამოყოფილი დროის ეფექტურად გამოყენება.
პასუხისმგებლობა	<ul style="list-style-type: none"> • სასკოლო საქმიანობებში (სასკოლო ცხოვრებაში) ნაკისრი ვალდებულების შესრულება; • სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება; • საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე, სოციალურ აქტივობებზე პასუხისმგებლობის აღქმა.
სწავლის სწავლა დამოუკიდებლად საქმიანობა	<ul style="list-style-type: none"> • აქტივობის/დავალების ღირებულების განსაზღვრა - მოსწავლემ უნდა დაინახოს, რას შესძლებს აქტივობის შესრულება, რა პიროვნულ თუ სოციალურ სარგებელს მოუტანს მას; • აქტივობის/დავალების დაგეგმვა - (მოთხოვნათა გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის განსაზღვრა; დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის განსაზღვრა; სამუშაოს წარმატების შესრულების კრიტერიუმების დადგენა; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა; იმ განჭვრეტა, თუ რა გაუადვილდება, რა გაუძნელდება, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიები მიზანშეწონილად შერჩევა სამუშაოს თითოეული ეტაპისათვის; • სწავლის პროცესის მონიტორინგი - დაფიქრება სწავლის პროცესზე, იმ პირობების და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, სათანადო ზომების მიღება წინსვლა ხელშესაწყობად; თვითშეფასება ძლიერი და სუსტი მხარების დასადგენად, სუსტი მხარეებ გასაძლიერებლად გზების დასახვა; • სოციომოციური მართვა - ნერვიულობის მინიმუმამდე დაყვანა, საჭიროებისამებრ, დახმარება მოთხოვნა, საკუთარ თავში სიმძნელეთა გადალახვის რესურსების პოვნა; შეცდომების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება და წინსვლის წყაროდ გამოყენება; • ცალკეული საქმიანობისთვის გამოყოფილი დროის ეფექტურად გამოყენება.

<p>ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები</p>	<ul style="list-style-type: none"> • სხვადასხვა მონაცემის დამუშავება, გრაფიკების და დიაგრამების აგება „ექსელში“. • Google Map-ზე სხვადასხვა გეოგრაფიული ობიექტების დატანა. • გეოგრაფიული არეალის გაზომვა Google Earth-ის საშუალებით. • ვიდეო პრეზენტაციის მომზადება Google Earth-ის საშუალებით. • ვებ-გვერდის/ბლოგის შექმნა და სასწავლო პროცესის განმავლობაში განხორციელებულ სხვადასხვა პროექტის, ვებ-გვერდზე/ ბლოგზე განთავსება. • ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება (მაგ., Word, PowerPoint) სასწავლო მასალისა და სხვადასხვა ტიპის ელექტრონული ტექსტების დასამუშავებლად.
<p>წიგნიერება</p>	<ul style="list-style-type: none"> • ეპირი და წერიტი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემატიზაციის, მოყვანის, გაანალიზება-ინტერპრეტირებისა და წარდგენა-გაზიარების უნარი.

სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ზრუნვა მეტაკოგნიციის უნარების განვითარებაზე, რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ეს აქტივობებია:

სტრატეგიების მოდელირება: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და მისი შესრულებისას „ხმამალა ფიქრობს“ იმაზე, თუ როგორ შეასრულოს ეს აქტივობა (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანხმობები მასალა და მისი).

წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფურად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.), ასევე სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებენ თითოეულ ეტაპზე. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე.

შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა და ხერხი, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებს და აუმაღლებს სწავლის ქმედუნარიანობას.

წლიური პროგრამისა და სასწავლო თემის აგების პრინციპები

ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურებრივი საგნობრივი სტანდარტები განსაზღვრავს სავალდებულო საგნობრივ მოთხოვნებს (რა უნდა შეემლოს და რა უნდა იცოდეს მოსწავლეს). მათზე დაყრდნობით იგეგმება წლიური პროგრამები, რომლებიც გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს.

წლიური პროგრამები უნდა დაიგეგმოს სავალდებულო სასწავლო თემების საშუალებით. სასწავლო თემა წამოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის ნაწილების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. რამდენადაც შედეგები საგნის სწავლების გრძელვადიან მიზნებს წარმოადგენს, თითოეული თემის ფარგლებში სტანდარტის ყველა შედეგი უნდა დამუშავდეს. მაშასადამე, სასწავლო თემების ცვლით შეიცვლება კონტექსტები, მაგრამ არ შეიცვლება სწავლის მიზნები, რომლებიც სტანდარტის შედეგების სახითაა ფორმულირებული (შედეგი თავისთავად არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს - თემას).

სასწავლო თემის დასაგეგმად გამოიყენება შემდეგი კომპონენტები:

<p>სასწავლო თემები</p> <p>სასწავლო თემა წარმოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.</p>
<p>საგნობრივი საკითხები</p> <p>წლიური თემების ფარგლებში გამოიყოფა საგნობრივი საკითხები. საგნობრივი საკითხების სწავლება თვითმიზანს არ წარმოადგენს.</p> <p>საგნობრივი საკითხების მეშვეობით მოსწავლე გაიაზრებს ცნების შინაარსს, ამუშავებს საკვანძო შეკითხვებს, ასრულებს კომპლექსურ დავალებებს.</p>
<p>თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები</p> <p>ცნებები განსაზღვრავს იმ არსებით ცოდნას, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს.</p>
<p>თემატური საკვანძო შეკითხვები</p> <p>თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვებიდან და დაისმის თემის კონკრეტულ კონტექსტში. მათი ფუნქციაა:</p> <ul style="list-style-type: none"> • მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად; • სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა; • თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.
<p>აქტივობები</p> <p>მიმდინარე დავალებების ტიპების/ნიმუშების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული გაგება-გააზრების პროცესების ხელშესაწყობად, ასევე ცოდნის ათვისების, განმტკიცებისა თუ შეჯამების</p>

მიზნით.

კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი

კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.

შეფასების ინდიკატორები

შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის.

მკვიდრი წარმოდგენები

მკვიდრი წარმოდგენები განისაზღვრება სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდეს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად.

როგორ აიგება სასწავლო თემა?

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული. ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრება მკვიდრი წარმოდგენები, საკვანძო კითხვები და შეფასების ინდიკატორები.

სასწავლო თემის სწავლა-სწავლების მიზნით შემდეგ ეტაპზე უნდა განისაზღვროს საგნობრივი საკითხები, რესურსები, დავალებების ტიპები/ნიმუშები გაგების, გააზრების, განმტკიცებისა და შეჯამების მიზნით. ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს იდეები შემაჯამებელი კომპლექსური დავალებებისთვის, რადგან მხოლოდ კომპლექსური დავალებების საშუალებით შეიძლება გამოვლინდეს, რამდენად დაეუფლა მოსწავლე თემის ფარგლებში ასათვისებელ ცოდნა-უნართა ერთობლიობას და რამდენად ახერხებს მათ ფუნქციურად გამოყენებას.

სასწავლო თემის აგების ბიჯები

ნაბიჯი 1. მკვიდრი წარმოდგენების დადგენა

ნაბიჯი 2. თემატური საკვანძო კითხვების დასმა

ნაბიჯი 3. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა
ნაბიჯი 4. საგნობრივი საკითხების განსაზღვრა
ნაბიჯი 5. აქტივობებისა და მიმდინარე დავალებების დაგეგმვა და რესურსების შერჩევა
ნაბიჯი 6. შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების შემუშავება

დ) შეფასება

საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესობა უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც აფასებს მოსწავლეს თავის წინარე შედეგებთან მიმართებით, ზომავს ინდივიდუალურ წინსვლას და, ამდენად, აძლევს მოსწავლეს ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირების საშუალებას.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითადი მიზანია მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას შეასწავლის.

შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება

შემაჯამებელი შეფასებისთვის გამოიყენება კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოითხოვს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ინტეგრირებულად და ფუნქციურად გამოყენებას. ამ დავალებათა შესაფასებლად გამოიყენება შეფასების რუბრიკები, ანუ კრიტერიუმების ბადე.

მოსწავლეს თითოეული სასწავლო თემის დამუშავების შემდეგ ევალება შემაჯამებელი დავალების წარმოდგენა. შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა წლის განმავლობაში სავალდებულო სასწავლო თემების რაოდენობას ემთხვევა.

ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისათვის

ქვემოთ შემოთავაზებულია ტიპობრივ დავალებათა ფართო არჩევანი. შემაჯამებელი შეფასებისათვის მასწავლებელი და/ან მოსწავლე შეარჩევს დავალების სასურველ ტიპს/ტიპებს:

ქვემოთ გათვალისწინებულ ტიპობრივ შემაჯამებელ დავალებათა ნუსხას. მოსწავლეზე და/ან მასწავლებელზეა დამოკიდებული, თუ რომელ დავალებას/დავალებებს შეარჩევს.

- პროექტი (პროექტი შეიძლება ეხებოდეს ისეთ საკვლევ საკითხს, როგორცაა “რა გარემოსდაცვითი პრობლემები არსებობს ჩვენს თემში?”. კვლევის შედეგები სხვადასხვა სახით შეიძლება იქნას წარმოდგენილი (პრეზენტაცია, წერილობითი ანგარიში და/ან ესე).
- სხვადასხვა გეოგრაფიულ ინფორმაციის წყაროებზე დაყრდნობით გრაფიკების, ცხრილების, დიაგრამების შექმნა.
- ესე (მოსწავლეები დაწერენ ესეს პრობლემურ და/ან აქტუალურ საკითხზე, მაგ.: „როგორ შევამციროთ კატასტროფებისგან მოყენებული ზარალი?“);
- საველე კვლევა (კვლევითი სამუშაო ტარდება საკლასო ოთახის გარეთ, მაგალითად ამ დროს მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად მიდიან ბუნებაში, ან რომელიმე საწარმოში და იკვლევენ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: მდინარისეული პროცესები და მათ მიერ წარმოქმნილი რელიეფის ფორმები, საწარმოს ტიპი და გამოშვებული პროდუქცია).

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასებისათვის განკუთვნილი დავალება

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე.

შეფასების რუბრიკის შესაძლო ფორმა

კლასი		
მოსწავლის სახელი, გვარი		
თემა		
დავალების პირობა		
შეფასების კრიტერიუმები	ქულები	კომენტარი

--	--	--

გ) „მოქალაქეობა“

შესავალი

საბაზო საფეხურის „მოქალაქეობის“ სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

- ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;
- ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი;
- გ) მეთოდოლოგიური ორიენტირები;
- დ) შეფასება.

საგან „მოქალაქეობის“ ფარგლებში მოსწავლე გაეცნობა საზოგადოებას, რომელშიც ცხოვრობს; შეისწავლის ლოკალურ, სახელმწიფოებრივ და გლობალურ დონეზე მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს.

საგნის სწავლა-სწავლებისას მოსწავლე ჩართული იქნება სამოქალაქო აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მისცემს.

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

მოქალაქეობის სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს, მოსწავლეს:

- დაეხმაროს საკუთარი თავის საზოგადოების სრულუფლებიან წევრად აღქმაში;
- ჩამოუყალიბოს საკუთარი ქვეყნის მიმართ მზრუნველი დამოკიდებულება;
- ასწავლოს სამოქალაქო მონაწილეობის ფორმები; გააცნობიერებინოს, რომ მას შეუძლია და მართებს საკუთარ ქვეყანაში (თემში/მუნიციპალიტეტში/სახელმწიფოში) პოზიტიური ცვლილებების განხორციელება;
- გამოუმუშავოს მოქალაქისთვის საჭირო უნარ-ჩვევები (თანამშრომლობის, კონფლიქტის მართვის, სამეწარმეო და ფინანსური) და ღირებულებები/დამოკიდებულებები (ადამიანის უფლებების, განსხვავებული აზრის პატივისცემა, ტოლერანტობა);
- დაეხმაროს კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის პრინციპების გათავისებაში;
- ჩამოუყალიბოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კულტურა.

ამ მიზნებზე მუშაობით „მოქალაქეობა“ თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას: რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს საგან „მოქალაქეობის“ ფარგლებში საბაზო საფეხურის ბოლოს.

შედეგები ჯგუფდება სამ მიმართულებად:

- **პიროვნული განვითარება და სოციალიზაცია** - გულისხმობს მოსწავლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციას. მისი მხრიდან სოციალური ნორმების, ქცევის მოდელებისა და ღირებულებების გათავისებებას;
- **ინიციატივა და მეწარმეობა** - გულისხმობს ინოვაციურ და კრიტიკულ აზროვნებას; იდეების საქმედ ქცევასა და გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებას;
- **სამოქალაქო მონაწილეობა და უსაფრთხოება** - გულისხმობს საკუთარ ქვეყანაზე ზრუნვას; საზოგადოებისთვის სასარგებლო სამოქალაქო და სოციალური აქტივობების არამალადობრივი მეთოდებით, კანონის დაცვით განხორციელებას.

სტანდარტის შინაარსი განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულო ცნებებისა და თემების სახით.

ცნებების სახით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. ცნებები შედეგებთან ერთად უნდა დამუშავდეს შინაარსიან კონტექსტებში. ეს კონტექსტები სავალდებულო თემების სახითაა წარმოდგენილი.

თითოეულ თემას ახლავს შეფასების ინდიკატორები. შეფასების ინდიკატორები განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს კონკრეტული თემის ფარგლებში (თითოეულ ინდიკატორს ახლავს შესაბამისი შედეგის ინდექსის ნომერი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი შედეგიდან/შედეგებიდან გამომდინარეობს იგი).

სტანდარტის შედეგების ინდექსების განმარტება

სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ ინდექსი აქვს დართული, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ. მოქ.საბ.1.

„მოქ“ მიუთითებს საგანს – „მოქალაქეობა“;

„საბ“ – საფეხურს (საბაზო საფეხური), რომლის ბოლოსაც არის მისაღწევი შედეგი;

„1“ – შედეგის რიგს (1 = პირველი შედეგი).

მოქალაქეობის სტანდარტის შედეგები (VII-IX კლასები)		
შედეგების ინდექსი	მიმართულება: პიროვნული განვითარება და სოციალიზაცია	ცნებები
	მოსწავლემ უნდა შეძლოს :	
მოქ.საბ.1.	საკუთარი შეხედულებების, ქცევების შეფასება და კორექტირება, ემოციების მართვა (თვითრეგულაცია);	სოციალიზაცია
მოქ.საბ.2.	საკუთარი თავის საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის (მაგალითად, სასკოლო თემის) წევრად აღქმა;	დემოკრატია, დემოკრატის

მ.ოქ.ს.ა.ბ.3.	საკუთარი და სხვა ადამიანების უფლება-მოვალეობების გაცნობიერება და დაცვა;	პრინციპები
მ.ოქ.ს.ა.ბ.4.	დემოკრატიის პრინციპების ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირება.	ინიციატივა
	მიმართულება: ინიციატივა და მეწარმეობა	
	მ.ო.წ.ა.ვ.ლ.მ. უნ და შ.ე.ძ.ლოს :	სამოქალაქო მონაწილეობა
მ.ოქ.ს.ა.ბ.5.	მოკლე და გრძელვადიანი მიზნების დასახვა; იდეების ჩამოყალიბება, ინიციატივის გამოვლენა და მისი განხორციელებისთვის საჭირო ნაბიჯების დაგეგმვა;	მდგრადი განვითარება
მ.ოქ.ს.ა.ბ.6.	მომავალი პროფესიის შერჩევითვის საკუთარი შესაძლებლობების, მოთხოვნილებებისა და საჭიროებების გააზრება;	
მ.ოქ.ს.ა.ბ.7.	ასაკის შესაბამისი ფინანსური უნარ-ჩვევების (მაგ., პირადი ფინანსების დაგეგმვა და პასუხისმგებლობით განკარგვა) გამოვლენა.	
	მიმართულება: სამოქალაქო მონაწილეობა და უსაფრთხოება	
	მ.ო.წ.ა.ვ.ლ.მ. უნ და შ.ე.ძ.ლოს :	
მ.ოქ.ს.ა.ბ.8.	სამოქალაქო აქტივობებში მონაწილეობის საფუძველზე ჩართულობისა მნიშვნელობის გაცნობიერება და დემოკრატიის პრინციპების საფუძველზე მოქმედების საჭიროების დანახვა;	
მ.ოქ.ს.ა.ბ.9.	საზოგადოებისა და ქვეყნისთვის აქტუალური პრობლემების ამოცნობა და საკუთარი ჩართულობით მათ გამოსწორებაზე ზრუნვა;	
მ.ოქ.ს.ა.ბ.10.	მდგრადი განვითარების პრინციპების გააზრება და მათ საფუძველზე მოქმედება;	
მ.ოქ.ს.ა.ბ.11.	ცხოვრებისეულ და საგანგებო (ბუნებრივი და ტექნოგენური მიზეზებით გამოწვეულ) ვითარებაში უსაფრთხოების წესების დაცვით მოქმედება;	
მ.ოქ.ს.ა.ბ.12.	სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებთან და სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობა (ინფორმაციის მოპოვება, ლობირება, ადვოკატირება, ადვოკატირების გზით ხელისუფლების ანგარიშვალდებულება და მონიტორინგი);	
მ.ოქ.ს.ა.ბ.13.	საკუთარი გადაწყვეტილებების/შეხედულებების უმთავრესი სამართლებრივი დოკუმენტების (საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ბავშვთა უფლებების კონვენცია) საფუძველზე დასაბუთება.	

სავალდებულო სასწავლო თემები	ცნებები , რომლებიც თითოეულ თემაში უნდა დამუშავდეს
VII კლასი თემატური ბლოკი: ინდივიდი და საზოგადოება	სოციალიზაცია მე, პიროვნება, საზოგადოება, საზოგადოებრივი ჯგუფები
1. თემი, რომელშიც ვცხოვრობთ	
2. სასკოლო გარემო/სასკოლო საზოგადოება	დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები ადამიანის უფლებები, სამართლებრივი

3. ჯანსაღი ცხოვრება	დოკუმენტები
4. ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა	ინიციატივა
5. ეკონომიკური ურთიერთობები თემში	დაგეგმვა, პროფესია, ფინანსები
VIII კლასი	
თემატური ბლოკი: მოქალაქე და სახელმწიფო	სამოქალაქო მონაწილეობა
1. ადგილობრივი თვითმმართველობა	მოხალისეობა, ადვოკატირება, ლობირება
2. ცენტრალური ხელისუფლება	
3. ეკონომიკა და სახელმწიფო	მდგრადი განვითარება
	სამოქალაქო უსაფრთხოება
IX კლასი	
თემატური ბლოკი: მოქალაქე და გლობალური პროცესები	
1. სამშვიდობო პროცესები	
2. გარემოს დაცვა	
3. ეკონომიკა და გლობალური პროცესები	

საკითხები:

ეროვნული სასწავლო გეგმა სავალდებულო თემების გასაშლელად საჭირო საკითხებს სავალდებულო სახით არ განსაზღვრავს. პედაგოგებსა და სახელმძღვანელოს ავტორებს უფლება აქვთ თითოეული თემისთვის საკითხები თავად შეარჩიონ.

VII კლასი

თემატური ბლოკი: ინდივიდი და საზოგადოება

სასწავლო თემა: თემი, რომელშიც ვცხოვრობთ
შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:
<ul style="list-style-type: none"> • თემში არსებული სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების (დაწერილი და დაუწერელი წესების თანაარსებობა, არასრულწლოვანთა დანაშაული, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება, ბუნებრივი საფრთხეები) იდენტიფიცირება; საკუთარი ჩართულობით მათ გადაჭრაზე ზრუნვა (მოქ.საბ.2,4,5,7,8,9,10,11,12,13); • სათემო აქტივობების დაგეგმვისას განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან თანამშრომლობა; თემში მცხოვრები ყველა ადამიანის ინტერესის გათვალისწინება (მოქ.საბ.1,2,3,4,5,6,8,9,12); • პირადი და სათემო აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელებისას მდგრადი განვითარებისა და დემოკრატიის პრინციპების (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არამალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა) გათვალისწინებით მოქმედება (მოქ.საბ.1,2,3,4,5,6,7,8,9,10,12).

სასწავლო თემა: სასკოლო გარემო / სასკოლო საზოგადოება

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სკოლაში არსებული სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების (ჩაგვრა (ბულინგი), განათლების უფლების რეალიზაცია, უსაფრთხო სკოლა) იდენტიფიცირება; საკუთარი ჩართულობით მათ გადაჭრაზე ზრუნვა (მოქ.საბ.2,4,5,7,8,9,10,11,12,13);
- სასკოლო თვითმმართველობაში (სასკოლო კლუბები, თანატოლთა მედიაცია) მონაწილეობა; საჭიროების შემთხვევაში, სკოლაში არსებულ სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან (დირექციასთან, სამეურვეო საბჭოსთან) თანამშრომლობა (მოქ.საბ.1,2,3,4,5,7,8, 9,12,13);
- სასკოლო აქტივობების დაგეგმვისას განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან თანამშრომლობა და მათი ინტერესების გათვალისწინება (მოქ.საბ.1,2,3,4,5,6,8,9,12);
- პირადი და სასკოლო აქტივობების დაგეგმვისას მდგრადი განვითარებისა და დემოკრატიის პრინციპების (თანაწილობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არამალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა) გათვალისწინებით მოქმედება (მოქ.საბ.1,2,3,4,5,6,7,8,9,10,12).

სასწავლო თემა: ჯანსაღი ცხოვრება

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- პირადი ჰიგიენისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვის საჭიროებაზე მსჯელობა; მათი დაცვისას წარმოქმნილი (ჯანსაღ კვება, ასაკობრივი თავისებურებები) სირთულეების გაანალიზება (მოქ.საბ.1,2,3,6,7,9,10);
- საკუთარი ფიზიკური აქტივობებისა და ჯანსაღი კვების რეჟიმის დაგეგმვა (მოქ.საბ.1,3,5,7,10);
- ადამიანსა და საზოგადოებაზე ადიქციის სხვადასხვა ფორმის მავნე ზემოქმედების შედეგების გაანალიზება (მოქ.საბ.2,3,4,5,7,8,9,10,11,12);
- საკან
ონმდებლო დოკუმენტებზე დაყრდნობით იმის გაანალიზება, თუ რა შეიძლება გახდეს ჯანმრთელობისა და განათლების უფლების დარღვევის საფუძველი (ადრეული ქორწინება, არასრულწლოვანთა შრომითი ექსპლუატაცია) (მოქ.საბ.1,3,4,5,6,7,8,9,10,12,13).

სასწავლო თემა: ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საჭიროების გაანალიზება (მოქ.საბ.3,4,7,9,10,11,13);
- საკუთარ დასახლებაში/რეგიონში არსებული ეკოლოგიური, გარემოსდაცვითი, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემების (ვანდალიზმი, ბრაკონიერობა) იდენტიფიცირება; საკუთარი ჩართულობით მათ გადაჭრაზე ზრუნვა (მოქ.საბ.1,2,3,4,5,6, 7,8,9,10,11,12);
- ეკოლოგიური, გარემოსდაცვითი, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზისას მდგრადი განვითარებისა და დემოკრატიის პრინციპების (თანაწილობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არამალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა) გათვალისწინება (მოქ.საბ.3,4,9,10,11,13).

სასწავლო თემა: ეკონომიკური ურთიერთობები თემში

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- საკუთარი ფინანსური შესაძლებლობებისა და კონკრეტული მიზნების შესაბამისად პირადი ბიუჯეტის დაგეგმვა (მოქ.საბ.1,3,5,6,7,10);
- გააანალიზოს, თუ რა განაპირობებს ადამიანების ეკონომიკურ აქტივობას; რა ლოგიკით იღებენ ისინი ამა თუ იმ ფინანსურ გადაწყვეტილებას (მოქ.საბ.2,3,4,5,7,8,9,10,11,12,13);
- გააანალიზოს, თუ როგორ ყალიბდება ბაზარი (მოქ.საბ.1,2,3,4,5,6,7,8,9,10,12).

VIII კლასი

თემატური ბლოკი: მოქალაქე და სახელმწიფო

სასწავლო თემა: ადგილობრივი თვითმმართველობა

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური და ინფრასტრუქტურული საჭიროებების იდენტიფიცირება; საკუთარი ჩართულობით მათი გადაჭრის გზების დასახვა (მოქ.საბ.1,2,3,4,5,7,8,9,10,11,12,13);
- სათემო აქტივობების დაგეგმვისას მუნიციპალური ორგანოების როლის განსაზღვრა; საჭიროების შემთხვევაში, მათთან თანამშრომლობა (ინფორმაციის მოპოვება); თემში მცხოვრები ყველა ადამიანის ინტერესის გათვალისწინება (მოქ.საბ.1,2,3,4,5,6,8,9,10,12,13);
- ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შეფასებისას/მისთვის რეკომენდაციების შემუშავებისას მდგრადი განვითარებისა და დემოკრატიის პრინციპების (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა) გათვალისწინება (მოქ.საბ.1,3,4,10,11,12,13).

სასწავლო თემა: ცენტრალური ხელისუფლება

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სახელმწიფოში არსებული სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების (საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება, საგანგებო სიტუაციები) იდენტიფიცირება; საკუთარი ჩართულობით მათი გადაჭრის გზების დასახვა (მოქ.საბ.1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13);
- სათემო აქტივობების დაგეგმვისას ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან თანამშრომლობის ფორმების გააზრება (ინფორმაციის მოპოვება) (მოქ.საბ.1,3,4,5,8,9,12,13);
- პოლიტიკური პროცესების გაანალიზება მდგრადი განვითარებისა და დემოკრატიის პრინციპების (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა) გათვალისწინებით (მოქ.საბ.3,4,7,9,10,11,12,13).

სასწავლო თემა: ეკონომიკა და სახელმწიფო

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- მომხმარებლის უფლებებისა და პასუხისმგებლობების გაანალიზება და დაცვა (მოქ.საბ.1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13);
- ფინანსური გადაწყვეტილებების განხილვისას მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება (მოქ.საბ.5,6, 7, 8, 10, 11, 13);
- გაანალიზოს, თუ რა ფაქტორების გათვალისწინებით იკვეთება პრიორიტეტები სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვისას (მოქ.საბ. 2, 4, 5, 6, 7, 10, 11, 12, 13).

IX კლასი

თემატური ბლოკი: მოქალაქე და გლობალური პროცესები

სასწავლო თემა: სამშვიდობო პროცესები

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- საერთაშორისო საფრთხეების (ტრეფიკინგი, ფუნდამენტალიზმი, ტერორიზმი, დევნილობა) იდენტიფიცირება; მათი გადაჭრის შესაძლო გზებზე მსჯელობა (მოქ.საბ.1,2,3,4,5,6, 8,9,10,11,12,13);
- სამშვიდობო პროცესების გაანალიზება მდგრადი განვითარებისა და დემოკრატიის პრინციპების (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა) გათვალისწინებით (მოქ.საბ.1,2,3,4,10,11,13).

სასწავლო თემა: გარემოს დაცვა

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საჭიროების გაანალიზება (მოქ.საბ.1,2,3,5,6,8,9,10,11,13);
- მსოფლიოში არსებული ეკოლოგიური (კლიმატის ცვლილება), გარემოსდაცვითი, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემების ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირება; საკუთარი ჩართულობით მათი გადაჭრის გზების გაანალიზება (მოქ.საბ.1,2,3,4,5,6, 7,8,9,10,11,12,13);
- ეკოლოგიური, გარემოსდაცვითი, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზისას მდგრადი განვითარებისა და დემოკრატიის პრინციპების (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა) გათვალისწინება (მოქ.საბ.3,4,5,7,10,11,13).

სასწავლო თემა: ეკონომიკა და გლობალური პროცესები

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- საერთაშორისო ვაჭრობისა და ეკონომიკური ინტეგრაციის დადებითი და უარყოფითი მხარეების გაანალიზება (მოქ.საბ. 1, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 13);
- გლობალური და ადგილობრივი ეკონომიკური პროცესების დახასიათება და ყოველდღიურ ცხოვრებასთან მათი დაკავშირება (მოქ.საბ. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13);

- მომხმარებლის უფლებებისა და პასუხისმგებლობების გაანალიზება და დაცვა (მოქ.საზ. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13).

საფეხურებრივი საკვანძო კითხვები

საფეხურებრივი საკვანძო კითხვები სტანდარტის ცნებებს აკავშირებს შედეგებთან.

- რატომ სჭირდება ინდივიდს საზოგადოება და საზოგადოებას კი – ინდივიდი?
- რატომ არის მოვალეობები ადამიანის უფლებების განუყოფელი ნაწილი?
- როგორ ვიზრუნო საკუთარ ქვეყანაზე? როგორ უნდა ვიქცეოდე, რომ ჩვენი სახელმწიფოს ღირსეული მოქალაქე ვიყო?
- როგორ შეუძლია ერთ ადამიანს საზოგადოებისა და ქვეყნისთვის საჭირო და მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება?
- რატომ და როგორ უნდა ვიზრუნოთ ჩვენს ქალაქში/დაბაში/რეგიონში პრობლემების მოგვარებაზე/ არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე (მაგ., უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მოვლაზე)?
- როგორ ვიურთიერთო სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან?
- რატომ სჭირდება მოქალაქეს კანონების ცოდნა?

გ) მეთოდოლოგიური ორიენტირები

სტანდარტის ამ ნაწილში განსაზღვრულია, თუ რა პრინციპების საფუძველზე უნდა წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი. ასევე, მოცემულია მოკლე ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს კონკრეტული სასწავლო ერთეულის – თემის სწავლა-სწავლება.

საგნის სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

- სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას.
- სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
- სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.
- სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას).
- სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების	<ul style="list-style-type: none"> • ადვოკატირების კამპანიის წარმართვა სოციალური ქსელის გამოყენებით; • პეტიციის შექმნა და ხელმოწერების შეგროვება;
---	---

გამოყენება	<ul style="list-style-type: none"> • იმეილის საშუალებით, თანაკლასელებს და მასწავლებელს შორის ინფორმაციის გაცვლა; • ვებგვერდის/ბლოგის შექმნა და სასწავლო პროცესის განმავლობაში განხორციელებული სხვადასხვა პროექტის, ვებგვერდზე/ბლოგზე განთავსება; • ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება (მაგ., Word, PowerPoint) სასწავლო მასალისა და სხვადასხვა ტიპის ელექტრონული ტექსტების დასამუშავებლად.
წიგნიერება	<ul style="list-style-type: none"> • ეპირი და წერიტი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების სისტემაში მოყვანის და წარდგენა-გაზიარების უნარი.

სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ზრუნვა მეტაკოგნიციის უნარების განვითარებაზე, რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ეს აქტივობებია:

სტრატეგიების მოდელირება: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და მისი შესრულებისას „ხმამალა ფიქრობს“ იმაზე, თუ როგორ შეასრულოს ეს აქტივობა (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანხმობები მასალა და მისთ).

წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფურად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.), ასევე სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებენ თითოეულ ეტაპზე. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე.

შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა და ხერხი, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებს და აუმაღლებს სწავლის ქმედუნარიანობას.

წლიური პროგრამისა და სასწავლო თემის აგების პრინციპები

ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურებრივი საგნობრივი სტანდარტები განსაზღვრავს სავალდებულო საგნობრივ მოთხოვნებს (რა უნდა შეეძლოს და რა უნდა იცოდეს მოსწავლემ). მათზე დაყრდნობით იგეგმება წლიური პროგრამები, რომლებიც გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს.

წლიური პროგრამები უნდა დაიგეგმოს სავალდებულო სასწავლო თემების საშუალებით. სასწავლო თემა წამოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის ნაწილების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. რამდენადაც შედეგები საგნის სწავლების გრძელვადიან მიზნებს წარმოადგენს, თითოეული თემის ფარგლებში სტანდარტის ყველა შედეგი უნდა დამუშავდეს. მაშასადამე, სასწავლო თემების ცვლით შეიცვლება კონტექსტები, მაგრამ არ შეიცვლება სწავლის მიზნები, რომლებიც სტანდარტის შედეგების სახითაა ფორმულირებული (შედეგი თავისთავად არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს - თემას).

სასწავლო თემის დასაგეგმად გამოიყენება შემდეგი კომპონენტები:

<p>სასწავლო თემები</p> <p>სასწავლო თემა წარმოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.</p>
<p>საგნობრივი საკითხები</p> <p>წლიური თემების ფარგლებში გამოიყოფა საგნობრივი საკითხები. საგნობრივი საკითხების სწავლება თვითმიზანს არ წარმოადგენს.</p> <p>საგნობრივი საკითხების მეშვეობით მოსწავლე გაიაზრებს ცნების შინაარსს, ამუშავებს საკვანძო შეკითხვებს, ასრულებს კომპლექსურ დავალებებს.</p>
<p>თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები</p> <p>ცნებები განსაზღვრავს იმ არსებით ცოდნას, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს.</p>
<p>თემატური საკვანძო შეკითხვები</p> <p>თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი კითხვებიდან და დაისმის თემის კონკრეტულ კონტექსტში. მათი ფუნქციაა:</p> <ul style="list-style-type: none"> • მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად; • სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა; • თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.
<p>აქტივობები</p> <p>მიმდინარე დავალებების ტიპების/ნიმუშების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული გაგება-გააზრების პროცესების ხელშესაწყობად, ასევე ცოდნის ათვისების, განმტკიცებისა თუ შეჯამების</p>

მიზნით.

კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი

კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.

შეფასების ინდიკატორები

შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის.

მკვიდრი წარმოდგენები

მკვიდრი წარმოდგენები განისაზღვრება სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდეს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად.

როგორ აიგება სასწავლო თემა?

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული. ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრება მკვიდრი წარმოდგენები, საკვანძო კითხვები და შეფასების ინდიკატორები.

სასწავლო თემის სწავლა-სწავლების მიზნით შემდეგ ეტაპზე უნდა განისაზღვროს საგნობრივი საკითხები, რესურსები, დავალებების ტიპები/ნიმუშები გაგების, გააზრების, განმტკიცებისა და შეჯამების მიზნით. ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს იდეები შემაჯამებელი კომპლექსური დავალებებისთვის, რადგან მხოლოდ კომპლექსური დავალებების საშუალებით შეიძლება გამოვლინდეს, რამდენად დაეუფლა მოსწავლე თემის ფარგლებში ასათვისებელ ცოდნა-უნართა ერთობლიობას და რამდენად ახერხებს მათ ფუნქციურად გამოყენებას.

სასწავლო თემის აგების ბიჯები

ნაბიჯი 1. მკვიდრი წარმოდგენების დადგენა

ნაბიჯი 2. თემატური საკვანძო კითხვების დასმა

ნაბიჯი 3. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა

	ნაბიჯი 4. თემატური საკითხების განსაზღვრა
	ნაბიჯი 5. აქტივობებისა და მიმდინარე დავალებების დაგეგმვა და რესურსების შერჩევა
	ნაბიჯი 6. შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების შემუშავება

დ) შეფასება

სტანდარტის ამ ნაწილში წარმოდგენილია შეფასების პრინციპები. საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესი ადგილი უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც მოსწავლეს თავისსავე წინარე შედეგებთან მიმართებით აფასებს, ზომავს მის ინდივიდუალურ წინსვლას, რითაც მას ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირების საშუალებას აძლევს.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას შეასწავლის. მაგალითად, თუ მოსწავლე კარგად გაიაზრებს აქტივობის მიზანსა და ამ მიზნის წარმატებით მიღწევის კრიტერიუმებს (მოსწავლისათვის განკუთვნილი კრიტერიუმები ნათლად ფორმულირებული და შეზღუდული რაოდენობის უნდა იყოს), იგი უკეთ დაინახავს იმ ნაბიჯებს, რომლებიც უნდა გადადგას სასურველი შედეგის მისაღწევად და უფრო გააზრებულად წარმართავს მიზნისაკენ მიმავალ პროცესებს. თუ აქტივობის დასრულებისას მას ვთხოვთ, გააანალიზოს განვლილი გზა - რა ნაბიჯები გადადგა, რა შედეგს მიაღწია, რა მიდგომა გამოიყენა, კიდევ რომელი მიდგომის გამოყენება შეიძლებოდა ან აჯობებდა, რამ შეუქმნა პრობლემა, რა გაუჭირდა ან ვერ გადაჭრა და რატომ, რა გაუადვილდა, რამ შეუწყო ხელი წარმატებაში და სხვ., ეს ხელს შეუწყობს მისი სწავლის ქმედუნარიანობის გაზრდას.

შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება

შემაჯამებელი შეფასებისათვის გამოიყენება კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოითხოვს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნის ინტეგრირებულად და

ფუნქციურად გამოყენებას. ამ დავალებათა შესაფასებლად გამოიყენება შეფასების რუბრიკა, ანუ კრიტერიუმების ბაღე.

მოსწავლეს თითოეული სასწავლო თემის დამუშავების შემდეგ ევალება შემაჯამებელი დავალების წარმოდგენა. მაშასადამე, შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა წლის განმავლობაში სავალდებულო სასწავლო თემების რაოდენობას ემთხვევა.

ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისათვის

სტანდარტში შემოთავაზებულია ტიპობრივ დავალებათა ფართო არჩევანი. შემაჯამებელი შეფასებისათვის მასწავლებელი და/ან მოსწავლე შეარჩევს დავალების სასურველ ტიპს/ტიპებს:

ქვემოთ გთავაზობთ სტანდარტით გათვალისწინებულ ტიპობრივ შემაჯამებელ დავალებათა ნუსხას. მოსწავლეზე და/ან მასწავლებელზეა დამოკიდებული თუ რომელ დავალებას/ დავალებებს შეარჩევს.

- სოციალური პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული პროექტი;
- ადვოკატირებაზე ორიენტირებული პროექტი;
- საზოგადოების ინფორმირებაზე ორიენტირებული პროექტი;
- ქველმოქმედების მიზნით განხორციელებული პროექტი.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასებისათვის განკუთვნილი დავალება:

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების რუბრიკა;
- რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე.

შეფასების რუბრიკის სავარაუდო ფორმა

კლასი		
მოსწავლის სახელი, გვარი		
თემა		
დავალების პირობა		
შეფასების კრიტერიუმები	ქულები	კომენტარი

(ამოქმედდეს 2019 წლის 15 სექტემბრიდან)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №182/ნ - ვებგვერდი, 03.01.2017წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 11.05.2018წ.

მუხლი 72. ამოღებულია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №182/ნ - ვებგვერდი, 03.01.2017წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 11.05.2018წ.

თავი XVI. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - ზოგადი ნაწილი და სტანდარტები

მუხლი 73. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - ზოგადი ნაწილი

შესავალი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი საგნები: ბუნებისმეტყველება, რომელიც მოიცავს ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის და დედამიწადმცოდნეობის საფუძვლებს (დაწყებითი საფეხური), ბიოლოგია, ქიმია და ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხურები). საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები მოსწავლეს აღჭურავს იმ ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, რომლებიც მას საშუალებას მისცემს, არ ჩამორჩეს კაცობრიობის სწრაფ პროგრესს, გამოიყენოს თანამედროვე მეცნიერების მიღწევები, გახდეს საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, ჩამოყალიბდეს აქტიურ შემქმნებლად. ასეთი ადამიანი შეძლებს მიღებული ცოდნის გამოყენებას როგორც პროფესიული წარმატებისათვის, ასევე საზოგადოების სასიკეთოდ. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესწავლა ხელს უწყობს სამყაროში მიმდინარე პროცესების ერთიანობის გაცნობიერებას, აგრეთვე გარემომცველ სამყაროზე ზრუნვისა და ჯანსაღი და უსაფრთხო ცხოვრების წესის დაცვის მნიშვნელობის გააზრებას.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებისას აუცილებელია ყურადღების გამახვილება განწყობა-დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაზე, კვლევა-ძიების უნარ-ჩვევების განვითარებასა და ცოდნის გამოყენებაზე, ეს არის როგორც თანამედროვე პედაგოგიკის, ისე ქართული კლასიკური დიდაქტიკის მოთხოვნა. იაკობ გოგებაშვილის თანახმად, ბუნების შესწავლის უმთავრესი მიზანია - “გაუხსნას ყმაწვილს თანაგრძნობა ბუნებისა, შეაყვაროს მისი გამოძიება და მისი განხილვა” (“ბუნების კარი”, I გამოცემის წინასიტყვაობა).

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების მიზნები და ამოცანები

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ჯგუფში გაერთიანებული საგნების სწავლების მიზანია, გაუჩინოს მოსწავლეს ინტერესი და აზიაროს საბუნებისმეტყველო მეცნიერების საფუძვლებს, განუვითაროს კვლევის უნარ-ჩვევები, რაც მას საშუალებას მისცემს, შეიცნოს და გაითავისოს სამყარო, იგრძნოს პასუხისმგებლობა საკუთარი თავის, საზოგადოებისა და გარემოს მიმართ.

საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, სასწავლო გეგმა ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას. ეს ამოცანებია:

- ცოცხალი სამყაროსა და მასში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების შესწავლა;
- სამყაროში მიმდინარე ფიზიკური და ქიმიური მოვლენების შესწავლა;
- დედამიწისა და გარესამყაროს შესწავლა;
- ადამიანისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულების შესწავლა;

- დაკვირვების, აღწერის უნარის გამომუშავება;
- კლასიფიცირების უნარის განვითარება;
- განჭვრეტა/ჰიპოთეზის გამოთქმის უნარის ჩამოყალიბება;
- დაგეგმვის უნარის განვითარება;
- ექსპერიმენტის/ცდის ჩატარების უნარის ჩამოყალიბება;
- მონაცემების აღრიცხვის უნარის განვითარება;
- ანალიზის უნარის განვითარება;
- დასკვნის გამოტანისა და შეფასების უნარის ჩამოყალიბება;
- მოდელირების უნარის განვითარება;
- კომუნიკაციის უნარის ჩამოყალიბება;

- საბუნებისმეტყველო დისციპლინების მიმართ ინტერესის განვითარება;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მნიშვნელობის გააზრება;
- მეცნიერული კვლევისა და სიახლეების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების განვითარება;
- თანამშრომლობის სურვილის განვითარება;
- ჯანმრთელობის, ჯანსაღი და უსაფრთხო ცხოვრების წესის დაცვის მნიშვნელობის გააზრება;
- გარემოზე ზრუნვისა და პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების ორგანიზება

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სავალდებულო სახით ისწავლება ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე.

	დაწყებითი საფეხური						საბაზო საფეხური			საშუალო საფეხური*		
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ბუნებისმეტყველება												
ბიოლოგია												
ქიმია												
ფიზიკა												

- სააზროვნო;
 - კვლევის;
 - პრობლემის გადაჭრის;
 - კომუნიკაციის;
 - სოციალური;
 - თვითმართვის
- და სხვა.

შემაჯამებელი დავალების კომპონენტით უნდა შეფასდეს ერთი კონკრეტული სასწავლო ერთეულის (მაგ., თემა, თავი) ბოლოს მიღწეული შედეგები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 11.05.2018წ.

მუხლი 74. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სტანდარტები

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები დაწყებით საფეხურზე

ა) ბუნებისმეტყველება

შესავალი

სწავლების დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასები) საფუძველი უნდა ჩაეყაროს მოსწავლის მიერ გარემოს პასიური აღქმიდან აქტიურ შემეცნებაზე გადასვლას. მოსწავლეს უნდა გაუჩნდეს გარემოს მიმართ ინტერესი და მისი კვლევის სურვილი. არსებითია, რომ ბუნებისმეტყველების სწავლება ითვალისწინებდეს იმ კონტექსტს, რომელშიც მოსწავლე ცხოვრობს. ბუნებისმეტყველების სწავლებამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეში კრიტიკული, შემოქმედებითი აზროვნებისა და გარემოსადმი სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჯანსაღი და უსაფრთხო ცხოვრების წესის ელემენტარული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. მოსწავლემ უნდა შეძლოს მიღებული ცოდნისა და შეძენილი გამოცდილების ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირება.

დაწყებით საფეხურზე ისწავლება ინტეგრირებული საგანი „ბუნებისმეტყველება“, რომელიც აერთიანებს ცოდნას ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიისა და დედამიწათმცოდნეობის სფეროებიდან. საგანი „ბუნებისმეტყველება“ მოიცავს 4 მიმართულებას:

- მეცნიერული კვლევა-ძიება;
- ცოცხალი სამყარო (ბიოლოგიის ელემენტები);
- სხეულები და მოვლენები (ფიზიკისა და ქიმიის ელემენტები);
- დედამიწა და გარესამყარო (დედამიწათმცოდნეობისა და ასტრონომიის ელემენტები).

მიმართულება: მეცნიერული კვლევა-ძიება

დაწყებით საფეხურზე მიმართულების ფარგლებში მოსწავლე ეცნობა მეცნიერული კვლევა-ძიების საფუძვლებს. ის სწავლობს კვლევითი კითხვის დასმას, ვარაუდის გამოთქმას, მარტივი პრაქტიკული აქტივობების დაგეგმვას, ჩატარებას, დაკვირვებას, აღწერას, მოდელების შექმნა-გამოყენებას, მიღებული შედეგების ორგანიზებას, გაანალიზებას, დასკვნის გამოტანას, საკუთარ ვარაუდთან შედარებას და ნამუშევრის თანაკლასელებისთვის წარდგენას. ამ ყველაფერს მოსწავლე თავდაპირველად მასწავლებლის დახმარებით აკეთებს, ხოლო საფეხურის ბოლოს, ანუ მეექვსე

კლასის დასრულებისას, მისი დამოუკიდებლად მუშაობის ხარისხი იზრდება და ცდილობს, კვლევა დაგეგმოს და ჩაატაროს მასწავლებლის აქტიური დახმარების გარეშე.

მიმართულება მეცნიერული კვლევა-ძიება გამჭოლია და ეფუძნება დანარჩენი სამი მიმართულების შინაარსს.

მიმართულება: ცოცხალი სამყარო

მიმართულების ფარგლებში მოსწავლე ეცნობა ცოცხალი ბუნების მრავალფეროვნებას, ორგანიზმების აგებულებისა და ცხოვრების თავისებურებებს, ძირითად სასიცოცხლო მოთხოვნილებებს, ორგანიზმების ძირითადი ჯგუფების მახასიათებლებს, მათ სასიცოცხლო ციკლებსა და გარემოსთან შეგუების ფორმებს. მოსწავლე გარემომცველ სამყაროს შეიცნობს მარტივი კვლევითი აქტივობების საშუალებით. აკვირდება ცოცხალ სამყაროს საკუთარი შეგრძნების ორგანოების ან მარტივი ხელსაწყოების გამოყენებით; აგროვებს და ამუშავებს მონაცემებს; გამოთქვამს ვარაუდს და ამოწმებს მისთვის საინტერესო იდეას პრაქტიკული აქტივობის საშუალებით; მოიძიებს ინფორმაციას, აყალიბებს დასკვნას საკუთარი დაკვირვებისა და მოსაზრებების საფუძველზე.

მიმართულება: სხეულები და მოვლენები

მიმართულების ფარგლებში მოსწავლე სწავლობს ფიზიკური და ქიმიური მოვლენების შესახებ ვარაუდების გამოთქმას საკუთარი დაკვირვებების საფუძველზე, მარტივ, თვალსაჩინო პრაქტიკულ აქტივობებზე დაფუძნებით შეისწავლის ახალ ცნებებს. ის ეცნობა ფიზიკის და ქიმიის ელემენტარულ კონცეფციებსა და მარტივ ტერმინოლოგიას რეალური სიტუაციებისა და ყოველდღიური ცხოვრებისეული მაგალითების საფუძველზე, რაც შემდგომ საფეხურზე გაუადვილებს იმავე და ახალი თემების გაღრმავებულ შესწავლას.

მიმართულება: დედამიწა და გარესამყარო

მიმართულების ფარგლებში მოსწავლე ეცნობა შეხედულებებს დედამიწის, მზის სისტემისა და სხვა კოსმოსური სხეულების შესახებ, ივითარებს წარმოდგენას დროსა და სივრცეში ორიენტირების შესახებ. მოსწავლე შეისწავლის ბუნებაში მიმდინარე ციკლურ პროცესებს, ეცნობა დედამიწაზე სიცოცხლის არსებობისათვის აუცილებელ რესურსებს, მათი გამოყენების გზებსა და საშუალებებს. გარემოს შეცნობის მეთოდების დასაუფლებლად გათვალისწინებულია პრაქტიკული სამუშაოები, მათ შორის, უშუალო დაკვირვება და სასწავლო ცდები, მარტივი ხელსაწყოების გაცნობა და გაზომვა-გამოთვლითი სამუშაოების ჩატარება, ადგილზე ორიენტირება, რუკების გამოყენება, ობიექტების და პროცესების მოდელირება და სხვ.

I-IV კლასების სტანდარტი

IV კლასის ბოლოს მისაღწევი შედეგები

დაწყებით საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **ბუნ.დაწყ.(I).1.:**

„**ბუნ.**“ - მიუთითებს ბუნებისმეტყველებას;

„**დაწყ.**“ - მიუთითებს დაწყებით საფეხურს;

„**(I)**“ – მიუთითებს, რომ სტანდარტი მოიცავს I-IV კლასებს;

„**1**“ - მიუთითებს შედეგის ნომერს.

ბუნებისმეტყველების სტანდარტის შედეგები (I-IV კლასები)	
შედეგების ინდექსი	მიმართულება: მეცნიერული კვლევა-ძიება

ბუნ.დაწყ.(I).1.	მოსწავლემ უნდა შეძლოს: პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება.
	მიმართულება: ცოცხალი სამყარო
ბუნ.დაწყ.(I).2.	მოსწავლემ უნდა შეძლოს: ორგანიზმების (მცენარეებისა და ცხოველების) აღწერა და დახასიათება ძირითადი ნიშან-თვისებების მიხედვით; ორგანიზმების დაჯგუფება, ჯგუფების დახასიათება და შედარება, მათი ტიპური წარმომადგენლების აგებულების, ცხოველქმედებისა და სასიცოცხლო ციკლის თავისებურებებზე მსჯელობა; ორგანიზმების სასიცოცხლო მოთხოვნილებებისა და მათზე გარემო ფაქტორების ზემოქმედების შესახებ მსჯელობა.
	მიმართულება: სხეულები და მოვლენები
ბუნ.დაწყ.(I).3.	მოსწავლემ უნდა შეძლოს: სხეულებისა და მათი შემადგენელი მასალების/ნივთიერებების თვისებების დახასიათება; ბგერის, სინათლისა და სითბოს წყაროებსა და გავრცელებაზე მსჯელობა; აგრეგატული მდგომარეობის ცვლილებაში სითბოს გადაცემის როლზე მსჯელობა; ადვილად დაკვირვებადი მოძრაობებისა და ძალების დახასიათება.
	მიმართულება: დედამიწა და გარესამყარო
ბუნ.დაწყ.(I).4.	მოსწავლემ უნდა შეძლოს: ლოკალურ გარემოში ორიენტირება; წყლისა და ხმელეთის მნიშვნელოვანი ობიექტების აღწერა და მათი ამოცნობა სხვადასხვა სახის გეგმასა და რუკაზე; ბუნებრივი რესურსების მნიშვნელობაზე მსჯელობა; ციკლური ბუნებრივი მოვლენების აღწერა და მათ გამომწვევ მიზეზებზე მსჯელობა.

შინაარსი

მიმართულება: ცოცხალი სამყარო

- ორგანიზმების სასიცოცხლო ნიშნები: კვება, ზრდა, სუნთქვა, მოძრაობა, გამრავლება;
- ორგანიზმების სასიცოცხლო მოთხოვნილებები: საკვები, წყალი, ჰაერი, სითბო, სინათლე, თავშესაფარი;
- მცენარეების და ცხოველების აგებულება, მათი ცალკეული ნაწილების/ორგანოების ფუნქციები;
- ორგანიზმთა ჯგუფები და მათი ტიპური წარმომადგენლები;
- ორგანიზმთა ძირითადი ჯგუფების სასიცოცხლო ციკლები;
- ორგანიზმებზე გარემოს ზემოქმედება.

მიმართულება: სხეულები და მოვლენები

- ნივთიერებების/მასალების თვისებები: მაგ., გამჭვირვალობა, სითბოგამტარობა, ტივტივის უნარი;

- სხეულის დანიშნულების კავშირი მის დასამზადებლად გამოყენებული ნივთიერების/მასალის თვისებებთან;
- მაგნიტის პოლუსები; მაგნიტის ურთიერთქმედება მეორე მაგნიტთან და სხვადასხვა მასალისაგან დამზადებულ სხეულებთან;
- სინათლისა და სითბოს ბუნებრივი და ხელოვნური წყაროები და გავრცელების მარტივი კანონზომიერებები;
- ჩრდილის სიგრძის დამოკიდებულება სხეულისა და სინათლის წყაროს ურთიერთგანლაგებაზე;
- ბგერის წყარო და მისი მარტივი მახასიათებლების (ხმამაღლობა და ტონალობა) კავშირი მერხვეი სხეულის რხევის სიძლიერესა და სიგრძესთან;
- სხეულის მოძრაობის სისწრაფისა და მიმართულების ცვლილების დაკავშირება ამ სხეულზე უშუალოდ (ბიძგი, მოქაჩვა) და მანძილზე (მაგნიტური ურთიერთქმედება, დედამიწის მიზიდულობა) მოქმედ ძალებთან;
- წყლის აგრეგატული მდგომარეობები და მათი თვისებები;
- სითბოს როლი წყლის აგრეგატული მდგომარეობების ცვლილებაში;
- წყლის ერთი აგრეგატული მდგომარეობიდან მეორეში გარდაქმნის შექცევადობა და გავლენა ბუნებაში მიმდინარე მოვლენებზე.

მიმართულება: დედამიწა და გარესამყარო

- გარემოში ორიენტირება და მიზანმიმართული გადაადგილება;
- გარემოში არსებული ობიექტების ამოცნობა;
- დედამიწის ბრუნვა საკუთარი ღერძის და მზის გარშემო;
- მთვარის ბრუნვა დედამიწის გარშემო;
- მზე - დედამიწისთვის სინათლისა და სითბოს წყარო;
- მთვარის ხილული ფორმის ცვლილების მიზეზები;
- წყლისა და ხმელეთის გეოგრაფიული ობიექტები;
- ნიადაგი და ქვები/მინერალები სხვადასხვა გარემოში;
- ბუნებრივი რესურსები: ჰაერი, წყალი, წიაღისეული და ა.შ.
- წყლის წრებრუნვა ბუნებაში და მისი მნიშვნელობა ცოცხალი და არაცოცხალი ბუნებისთვის;
- გლობუსი, რუკა და ადგილის გეგმა;
- რუკისა და გეგმის ლეგენდა.

V-VI კლასების სტანდარტი

VI კლასის ბოლოს მისაღწევი შედეგები

დაწყებით საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **ბუნ.დაწყ.(II).1.:**

„**ბუნ.**“ - მიუთითებს ბუნებისმეტყველებას,

„**დაწყ.**“ - მიუთითებს დაწყებით საფეხურს,

„**(II)**“ – მიუთითებს, რომ სტანდარტი მოიცავს V-VI კლასებს,

„**1**“ - მიუთითებს შედეგის ნომერს.

ბუნებისმეტყველების სტანდარტის შედეგები (V-VI კლასები)	
შედეგების ინდექსი	მიმართულება: მეცნიერული კვლევა-ძიება
ბუნ.დაწყ.(II).1.	მოსწავლემ უნდა შეძლოს:

	პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება.
	მიმართულება: ცოცხალი სამყარო
ბუნ.დაწყ.(II).2.	<p>მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <p>ორგანიზმებისათვის ზოგიერთი ნიშან-თვისების შეგუებითი მნიშვნელობის შესახებ მსჯელობა, ტიპობრივი ეკოსისტემების დახასიათება და მათში მოქმედი მარტივი კვებითი კავშირების აღწერა;</p> <p>ბუნებაში ადამიანის უბეში ჩარევით გამოწვეული უარყოფითი შედეგების შეფასება და მათი თავიდან აცილების გზების დასახვა;</p> <p>ადამიანის ზოგიერთი ორგანოს ამოცნობა და ორგანიზმის, როგორც ერთი მთლიანის განხილვა;</p> <p>ჯანმრთელობაზე მოქმედი სხვადასხვა მავნე ფაქტორის შესახებ მსჯელობა.</p>
	მიმართულება: სხეულები და მოვლენები
ბუნ.დაწყ.(II).3.	<p>მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <p>სხეულის მოძრაობის დახასიათება ტრაექტორიისა და სიჩქარის მიხედვით;</p> <p>დამუხტული სხეულების ურთიერთქმედების აღწერა და მარტივი ელექტრული წრედის აწყობა;</p> <p>ენერგიის სხვადასხვა სახესა და მის ერთი სახიდან მეორეში გადასვლაზე მსჯელობა;</p> <p>ნივთიერებებისა და ნარევების ერთმანეთისგან გარჩევა მათი თვისებების მიხედვით და ნარევების კომპონენტებად დაყოფა.</p>
	მიმართულება: დედამიწა და გარესამყარო
ბუნ.დაწყ.(II).4.	<p>მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <p>მზის სისტემის და ზოგიერთი ასტრონომიული მოვლენის აღწერა;</p> <p>დედამიწაზე სინათლისა და სითბოს განაწილებაზე მსჯელობა;</p> <p>დედამიწის სტრუქტურის განმსაზღვრელ და დედამიწის რელიეფის ცვლილების გამომწვევ მიზეზებზე მსჯელობა;</p> <p>ბუნებრივ მოვლენებსა და კატასტროფებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე მსჯელობა.</p>

შინაარსი

მიმართულება: ცოცხალი სამყარო

- შეგუებულობები და მათი მნიშვნელობა;
- ეკოსისტემა;
- კვებითი კავშირები;
- ადამიანის ორგანიზმი;
- ჯანმრთელობა და ჯანსაღი ცხოვრების წესი;
- გარემოს დაცვა და მისი მნიშვნელობა.

მიმართულება: სხეულები და მოვლენები

- მოძრაობა და მისი მახასიათებლები: ტრაექტორია (წრფივი, ტეხილი, მრუდწირული), გავლილი მანძილი, დრო და სიჩქარე, თანაბარი მოძრაობის სიჩქარის გამოთვლა;
- ელექტრული მუხტები და მათი ურთიერთქმედება; მარტივი ელექტრული წრედი და წრედის კომპონენტები;
- ენერგიის სახეები; ენერგიის გარდაქმნა ერთი სახიდან მეორეში;

- ენერჯის განახლებადი და არაგანახლებადი წყაროები და მათი მნიშვნელობა ადამიანისთვის;
- სუფთა ნივთიერებები და ნარევეები. ერთგვაროვანი და არაერთგვაროვანი ნარევეები;
- ნარევეების ცალკეულ კომპონენტებად დაყოფის მეთოდები;
- ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესები.

მიმართულება: დედამიწა და გარესამყარო

- მზის სისტემა: მზე, დედამიწა, მთვარე და პლანეტები;
- მზის და მთვარის დაბნელება, ბუნიობა და ნაბუნიობა;
- კლიმატური სარტყლები;
- დედამიწის ზედაპირის ფორმები, აგებულება და ნამარხი ორგანიზმები;
- დედამიწაზე გავრცელებული ძირითადი ბიომები;
- ბუნებრივი პროცესებით გამოწვეული კატასტროფები.

2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები საბაზო საფეხურზე

ა) ბიოლოგია

შესავალი

საბაზო საფეხურის ბიოლოგიის სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

- საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;
- სტანდარტის შედეგები და შინაარსი;
- მეთოდოლოგიური ორიენტირები;
- შეფასება.

საგან „ბიოლოგიის“ სწავლა-სწავლება გულისხმობს ცოცხალი სისტემების (უჯრედიდან ეკოსისტემის ჩათვლით) შესწავლას, გარემოს დაცვისა და ჯანმრთელობის შენარჩუნების მნიშვნელობის გააზრებას. სასწავლო კურსის განმავლობაში მოსწავლე გაეცნობა ორგანიზმის სხვადასხვა ჯგუფს, აგრეთვე ზოგიერთ ევოლუციურ, ეკოლოგიურ და გენეტიკურ კანონზომიერებას.

საგნის სწავლა-სწავლებისას მოსწავლე ჩართული იქნება აქტივობებში, რომლებიც მას მოვლენების არსის გაგებაში, ახალი ცოდნის შექმნასა და ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაში დაეხმარება.

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

ბიოლოგიის სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს:

- მოსწავლეს გაუჩნდეს ინტერესი ცოცხალი სამყაროს შესწავლის მიმართ;
- მოსწავლემ შეძლოს ბიოლოგიური კანონზომიერებების გაანალიზება;
- მოსწავლემ შეძლოს ორგანიზმში და გარემოში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესების ურთიერთდაკავშირება;
- მოსწავლეს გამოუმუშავდეს კვლევითი უნარ-ჩვევები;
- მოსწავლეს ჩამოუყალიბდეს გარე სამყაროს მიმართ მზრუნველი დამოკიდებულება;
- მოსწავლემ გააანალიზოს ჯანმრთელობის და ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობა;

- მოსწავლეს შესძინოს დარგობრივი ენით ოპერირების უნარი.

ამ მიზნებზე მუშაობით ბიოლოგია თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას: რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს ბიოლოგიაში საბაზო საფეხურის ბოლოს.

ეს შედეგები ჯგუფდება სამ მიმართულებად:

- **ცოცხალი სამყარო** - გულისხმობს ბიოლოგიის ძირითადი კონცეფციებისა და კანონზომიერებების გააზრებას; საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისათვის საერთო ცნებებზე (ნივთიერება და მატერია, სტრუქტურა და ფუნქცია, ენერგია და ენერჯის გარდაქმნა, სისტემები და ურთიერთქმედებები, მდგრადობა და ცვლილებები) წარმოდგენების ჩამოყალიბებას; გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების მნიშვნელობის მიმართ დამოკიდებულების ჩამოყალიბებას; ჯანსაღი ცხოვრების წესისა და მისი დაცვის მნიშვნელობის გაცნობიერებას;
- **მეცნიერული კვლევა-ძიება** - გულისხმობს მოსწავლის ჩართვას მარტივი ექსპერიმენტების, ცდების დაგეგმვასა და განხორციელებაში; კვლევითი უნარების (დაკვირვება, მონაცემების გაანალიზება/წარდგენა, არგუმენტირებული მსჯელობა, დასკვნების გამოტანა) განვითარებას;
- **მეცნიერება და ტექნოლოგიები** - გულისხმობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გამოყენებითი ასპექტების აღქმას; საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების მიღწევების გავლენის გაცნობიერებას საზოგადოებასა და გარემოზე; მნიშვნელოვანი სამეცნიერო აღმოჩენების შეფასებას; გააზრებას, რომ მეცნიერული შეხედულებები და მოსაზრებები ვითარდება და შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში.

სტანდარტის შინაარსი განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულო ცნებების, თემებისა და საგნობრივი საკითხების სახით.

ცნებების სახით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. ცნებები შედეგებთან ერთად უნდა დამუშავდეს მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებში. ეს კონტექსტები სავალდებულო თემების სახითაა წარმოდგენილი.

თითოეულ თემას ახლავს საკითხები და შეფასების ინდიკატორები. საკითხები აკონკრეტებს თემას, შეფასების ინდიკატორები კი განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს კონკრეტულ თემაში (თითოეულ ინდიკატორთან მითითებულია მასთან დაკავშირებული შედეგის /შედეგების ინდექსი).

ინდექსების განმარტება

საბაზო საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **ბიოლ.საბ.1.:**

„ბიოლ.“ – მიუთითებს საგანს „ბიოლოგია“;

„საბ.“ – მიუთითებს საბაზო საფეხურს

„1“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

ბიოლოგიის სტანდარტის შედეგები (VII-IX კლასები)		
შედეგების ინდექსები	მიმართულება: ცოცხალი სამყარო მოსწავლემ უნდა შეძლოს:	ცნებები
ბიოლ.საბ.1.	ორგანიზაციის სხვადასხვა დონეზე მყოფი ცოცხალი სისტემის სტრუქტურისა და ფუნქციის დახასიათება;	სტრუქტურა, ფუნქცია
ბიოლ.საბ.2.	ორგანიზმების საერთო სასიცოცხლო თვისებების დახასიათება და მათში მიმდინარე ენერჯისა და ნივთიერებების გარდაქმნებზე არგუმენტირებული მსჯელობა;	ცოცხალი სისტემა სასიცოცხლო თვისება
ბიოლ.საბ.3.	ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მისი ცვლილების მნიშვნელობის გააზრება;	ბიომრავალფეროვნება,
ბიოლ.საბ.4.	ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობის გაცნობიერება და მისი დაცვა.	სისტემატიკური ჯგუფი, შეგუებულიობა;
მიმართულება: მეცნიერული კვლევა-ძიება მოსწავლემ უნდა შეძლოს:		მდგრადობა,
ბიოლ.საბ.5.	ბიოლოგიური ობიექტების/პროცესის შესწავლის მიზნით კვლევის დაგეგმვა;	ჯანმრთელობა, დაავადება
ბიოლ.საბ.6.	ბიოლოგიური ობიექტების/პროცესების კვლევისათვის საჭირო პროცედურების განხორციელება;	კვლევა
ბიოლ.საბ.7.	თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების სხვადასხვა ფორმით ჩაწერა და ორგანიზება; მონაცემების ორგანიზებისთვის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება;	მეცნიერება და ტექნოლოგია
ბიოლ.საბ.8.	მონაცემების გაანალიზება და არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე დასკვნების გამოტანა;	მდგრადი განვითარება.
ბიოლ.საბ.9.	მოდელების შექმნა და გამოყენება ცოცხალი სისტემების სტრუქტურისა და ბიოლოგიური პროცესების საჩვენებლად;	
ბიოლ.საბ.10.	კვლევის ჩატარებისას უსაფრთხოების წესების დაცვა.	
მიმართულება: მეცნიერება და ტექნოლოგიები მოსწავლემ უნდა შეძლოს:		
ბიოლ.საბ.11.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების მიღწევების შეფასება მდგრადი განვითარების პრინციპების თვალსაზრისით.	
ბიოლ.საბ.12.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების მიღწევების ყოველდღიურობასთან დაკავშირება;	
ბიოლ.საბ.13.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სხვადასხვა პროფესიასთან დაკავშირება.	

თემებისა და ცნებების დამაკავშირებელი ცხრილი

ცხრილში მოცემულია სავალდებულო თემები, რომლებიც უნდა ისწავლებოდეს VII-დან IX კლასის ჩათვლით. ასევე, მოცემულია ცნებები, რომლებიც ყველა თემის ფარგლებში უნდა დამუშავდეს.

სავალდებულო თემები:	ცნებები
მიკროორგანიზმები	სტრუქტურა, ფუნქცია ნივთიერება, ენერგია; რეგულაცია;
სოკოები	ცოცხალი სისტემა
მცენარეები	უჯრედი, ორგანო, ორგანოთა სისტემა, ორგანიზმი, ეკოსისტემა;
ცხოველები	სასიცოცხლო თვისება
სასიცოცხლო ციკლი	კვება, სუნთქვა, გამრავლება, გამოყოფა, გალიზიანებადობა, ზრდა-განვითარება, მემკვიდრეობითობა, ცვალებადობა;
ადამიანის მარეგულირებელი სისტემები	ბიომრავალფეროვნება,
ადამიანის საყრდენ-მამოძრავებელი სისტემა	სისტემატიკური ჯგუფი
ნივთიერებების მიმოცვლა და ტრანსპორტი	სამეფო, ტიპი, კლასი, სახეობა
ადამიანის შეგრძნების ორგანოები	შეგუებულობა
ადამიანის რეპროდუქციული სისტემა	მდგრადობა, ჯანმრთელობა, დაავადება
უჯრედი, ქსოვილი	პირადი ჰიგიენა, ჯანსაღი კვება, ფიზიკური აქტივობა, მავნე ჩვევა;
გენეტიკა	კვლევა
ეკოლოგია	კვლევის მეთოდი (ცდა, ექსპერიმენტი, გამოკითხვა, ინტერვიუ);
ევოლუცია	დაგეგმვა-განხორციელება (საკვლევი კითხვა, ჰიპოთეზა, პროცედურა, უსაფრთხოება, რესურსი, ცვლადი, მონაცემი, მონაცემთა ორგანიზება, მონაცემთა ანალიზი, დასკვნა, მოდელი);
ჯანმრთელობა და გარემო.	მეცნიერება და ტექნოლოგია აღმოჩენა, თეორია, კანონი მდგრადი განვითარება.

თემების, საკითხებისა და შეფასების ინდიკატორების დამაკავშირებელი ცხრილები

თითოეულ ცხრილში მოცემულია თემის დასახელება, თემის შესაბამისი საკითხები, რომლებიც აზუსტებს თემას. შეფასების ინდიკატორებში ნაჩვენებია, თუ როგორ რეალიზდება შედეგები კონკრეტულ თემაში.

თემა: მიკროორგანიზმები

საკითხთა მინიმუმი:

1. ვირუსები;
2. პროკარიოტები;
3. ერთუჯრედიანი ეუკარიოტები;
4. მიკროორგანიზმების მნიშვნელობა ადამიანისა და ბუნებისათვის.

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- კვლევის საფუძველზე მიკროორგანიზმების აგებულების და სასიცოცხლო თვისებების მიხედვით შედარება (ბიოლ.საბ.სტ.1,2,3,5,6,7,8,9,10);
- ვირუსული და ბაქტერიული დაავადებების ერთმანეთისაგან განსხვავება; დაავადებების პრევენციის (ჰიგიენა, ვაქცინაცია) შესახებ მსჯელობა (ბიოლ.საბ.სტ.8, 11, 12);
- ბუნებასა და ადამიანისათვის ბაქტერიების მნიშვნელობის დასაბუთება (ბიოლ.საბ.სტ.4, 10,11,12);
- მიკროორგანიზმებზე მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (ჯანმრთელობის დაცვა, გარემოს დაცვა, კვების ტექნოლოგია, ვირუსოლოგია, ბაქტერიოლოგია, პარაზიტოლოგია, მიკრობიოლოგია) (ბიოლ.საბ.სტ.11, 12,13).

თემა: სოკოები

საკითხთა მინიმუმი:

1. ერთუჯრედიანი სოკოები;
2. მრავალუჯრედიანი სოკოები;
3. სოკოვანი დაავადებები, პრევენცია;
4. სოკოების მნიშვნელობა ადამიანისა და ბუნებისათვის.

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- კვლევის საფუძველზე ერთუჯრედიანი და მრავალუჯრედიანი სოკოების დახასიათება აგებულებისა და სასიცოცხლო თვისებების მიხედვით (ბიოლ.საბ.1,2,3);
- მსჯელობა სოკოს აგებულებაზე, რაც განასხვავებს მათ მცენარეებისა და ცხოველებისაგან (ბიოლ.საბ.1,2,3,4,5,6,7,8,9,10);
- მსჯელობა სხვადასხვა სოკოს მნიშვნელობაზე ადამიანისათვის (პენიცილიუმი, ანტიბიოტიკის აღმოჩენა, სოკოვანი დაავადება) (ბიოლ.საბ.4,10,11,12);
- სოკოებზე მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (ჯანმრთელობის დაცვა, გარემოს დაცვა, მედიცინა, სოფლის მეურნეობა, კვების ტექნოლოგია, მიკრობიოლოგია) (ბიოლ.საბ.11,12,13).

თემა: მცენარეები

საკითხთა მინიმუმი:

1. მცენარეთა სისტემატიკური ჯგუფების დახასიათება;
2. ფოტოსინთეზის პროცესი და მისი მნიშვნელობა;
3. მცენარეების მნიშვნელობა ადამიანისა და ბუნებისათვის.

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- კვლევის საფუძველზე მცენარეთა სხვადასხვა სისტემატიკური ჯგუფის (წყალმცენარეები, გვიმრები, ხავსები, შიშველთესლოვანი, ფარულთესლოვანი) განსხვავება აგებულებისა და სასიცოცხლო თვისებების მიხედვით; გარემოსთან მათი შეგუებულობების მაგალითების მოყვანა (ბიოლ.საბ.1,2,3,5,6, 9,10);
- ფოტოსინთეზის პროცესის აღწერა; კვლევის საფუძველზე მსჯელობა იმ ფაქტორებზე, რომლებიც მოქმედებენ მცენარის ზრდა-განვითარებასა და ფოტოსინთეზის ინტენსივობაზე (ბიოლ.საბ.1,2,3,5,6, 9,10);
- მცენარეული საფარველის და ბიომრავალფეროვნების დაცვის მნიშვნელობის დასაბუთება (IUCN კატეგორიები საქართველოს „წითელი ნუსხა“, ენდემური, რელიქტური, ინვაზიური სახეობები) და ადამიანისთვის მცენარეებთან (ალერგენები, შხამიანი მცენარეები) ურთიერთობის რისკებზე მსჯელობა (ბიოლ. საბაზო.4, 10,11,12);
- მცენარეებზე მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (ჯანმრთელობის დაცვა, გარემოს დაცვა, მედიცინა, სოფლის მეურნეობა, ფარმაცოლოგია) (ბიოლ.საბ.11,12,13).

თემა: ცხოველები

საკითხთა მინიმუმი:

1. ცხოველთა სისტემატიკური ჯგუფების დახასიათება;
2. ცხოველთა მნიშვნელობა ადამიანისა და ბუნებისათვის.

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ჩატარებული კვლევის (შედარებით-ანატომიური, ლუპით დაკვირვება, ან ქცევის კვლევა) საფუძველზე ცხოველთა სხვადასხვა სისტემატიკური ჯგუფის (ნაწლავდრუიანები, ჭიები, მოლუსკები, ფეხსახსრიანები, თევზები, ამფიბიები, ქვეწარმავლები, ფრინველები, ძუძუმწოვრები) ერთმანეთისგან განსხვავება აგებულებისა და სასიცოცხლო თვისებების (უსქესო, სქესობრივი გამრავლება, სუნთქვა, გალიზიანებადობა) მიხედვით (ბიოლ.საბ.1,2,3, 5,6,9,10);
- ცხოველთა ბიომრავალფეროვნების დაცვის მნიშვნელობის დასაბუთება (IUCN კატეგორიები საქართველოს „წითელი ნუსხა“, ენდემური, რელიქტური, ინვაზიური სახეობები) და ადამიანისთვის ცხოველებთან ურთიერთობის რისკებზე მსჯელობა (ბიოლ.საბ.4, 10,11,12);
- ჩატარებული კვლევის საფუძველზე ცხოველთა სხვადასხვა ჯგუფის საარსებო გარემოსთან შეგუებულობების შესახებ მსჯელობა (ბიოლ.საბ.1,2,3,4,5,6,7,8,9);
- ცხოველებზე მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (ჯანმრთელობის დაცვა, გარემოს დაცვა, მედიცინა, სოფლის მეურნეობა) (ბიოლ.საბ.11,12,13).

თემა: სასიცოცხლო ციკლი

საკითხთა მინიმუმი:

- მცენარეთა სასიცოცხლო ციკლი;
- ცხოველთა სასიცოცხლო ციკლი;
- ადამიანის სასიცოცხლო ციკლი.

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- კვლევის საფუძველზე მცენარის ზრდა-განვითარებაზე, მის სასიცოცხლო ციკლზე მსჯელობა და ცხოველებში პირდაპირი და არაპირდაპირი განვითარების განსხვავება (ბიოლ.საბ.1,2,3, 5,6,9,10);
- არგუმენტირებულად მსჯელობა ორგანიზმებისათვის განვითარების სტადიების მონაცვლეობის ბიოლოგიურ მნიშვნელობაზე (ბიოლ.საბ.1,2,3, 5,6,9,10);
- კვლევის (გამოკითხვა, ან ინტერვიუ ფსიქოლოგთან) საფუძველზე გარდატეხის ასაკისათვის დამახასიათებელ ცვლილებებსა და შესაძლო რისკებზე მსჯელობა, კვლევის ეთიკის დაცვა (ბიოლ.საბ.1,2,3,4,5, 6, 7,9);
- ორგანიზმების სასიცოცხლო ციკლის შესახებ მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (ჯანმრთელობის დაცვა, გარემოს დაცვა, მედიცინა, სოფლის მეურნეობა, ფსიქოლოგია) (ბიოლ.საბ.11, 12,13).

თემა: ადამიანის მარეგულირებელი სისტემები

საკითხთა მინიმუმი:

1. ნერვული და ენდოკრინული სისტემების მნიშვნელობა;
2. თავისა და ზურგის ტვინის აგებულება და ფუნქციები;
3. პირობითი და უპირობო რეფლექსები, რეფლექსური რკალი;
4. ენდოკრინული ჯირკვლების ფუნქციის დარღვევები;
5. ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოქმედება.

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ნერვული სისტემის აგებულებისა და ფუნქციის დახასიათება, მარტივი რეფლექსური რკალის მოდელის შექმნა, პირობითი და უპირობო რეფლექსების შედარება (ბიოლ.საბ.1,2,5,6,7,8,9);
- ენდოკრინული სისტემის ზოგიერთი ჯირკვლის ფუნქციის დარღვევებზე მსჯელობა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების მოდელის შექმნა (ბიოლ.საბ.1,2,3, 5,6,7,8,9);
- არსებული მონაცემების საფუძველზე ფსიქოაქტიური ნივთიერებების (ნიკოტინის/ალკოჰოლის და სხვა ნარკოტიკის) ნერვული სისტემის ფუნქციონირებაზე მოქმედების დასაბუთება (ბიოლ.საბ.1,2,4,5,6,7,8,10);
- არგუმენტების მოყვანა ზოგიერთი მეცნიერული და ტექნოლოგიური მიღწევის (მაგ., პავლოვის ცდები, კომპიუტერული ტომოგრაფია) მნიშვნელობაზე მედიცინის განვითარებაში (ბიოლ.საბ.7,8,9,11,12);
- ადამიანის მარეგულირებელი სისტემების შესახებ მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა

პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (პირველადი დახმარება, ჯანმრთელობის დაცვა, მედიცინა, კრიმინალისტიკა) (ბიოლ.საბ.სტ.11,12,13).

თემა: ადამიანის საყრდენ-მამოძრავებელი სისტემა

საკითხთა მინიმუმი:

1. ძვლის შემადგენლობა, აგებულება;
2. ჩონჩხი. ძვლების შეერთების ტიპები;
3. ჩონჩხის კუნთები;
4. კუნთის მუშაობა და დაღლა.

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ძვლოვანი და კუნთოვანი ქსოვილების აღწერა, ილუსტრაციაზე ან მაკეტზე ჩონჩხის ძირითადი ძვლებისა და კუნთების ამოცნობა (ბიოლ.საბ.1,2,3);
- კვლევის საფუძველზე ძვლის ქიმიური შედგენილობისა და მნიშვნელობის დადგენა (ბიოლ.საბ.1,2,5,6,7,8,9,10);
- კუნთის მუშაობაზე მსჯელობა და კვლევის საფუძველზე კუნთის დაღლის გამომწვევი მიზეზების დადგენა (ბიოლ.საბ.2, 5,6,7,8,9,10);
- ფიზიკური აქტივობის მნიშვნელობის დასაბუთება მოზარდის საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის ნორმალური განვითარებისათვის, კვლევის საფუძველზე თანატოლებში ტანადობის დარღვევების (სკოლიოზის) მიზეზებზე მსჯელობა (ბიოლ.საბ.4,5,6,7,8);
- ადამიანის საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის შესახებ მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (პირველადი დახმარება, ჯანმრთელობის დაცვა, მედიცინა, კრიმინალისტიკა) (ბიოლ.საბ.სტ.11,12,13).

თემა: ნივთიერებების მიმოცვლა და ტრანსპორტი

საკითხთა მინიმუმი:

1. სისხლი და სისხლის მიმოქცევის სისტემა;
2. სუნთქვის სისტემა;
3. საჭმლის მონელების სისტემა;
4. გამომყოფი სისტემა.

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ადამიანის სხვადასხვა ორგანოს (მაგ., სისხლძარღვი, ღვიძლი, კუჭი, გული, ფილტვი, თირკმელი) მიკუთვნება შესაბამის სისტემასთან და მათი ფუნქციების შესახებ მსჯელობა (ბიოლ.საბ.1,2,3);
- გარემოსა და ორგანოთა სისტემებს შორის ნივთიერებათა (მაგ., აირები, წყალი, საკვები ნივთიერებები, ცხოველქმედების პროდუქტები) მიმოცვლის მოდელირება (ბიოლ.საბ.1,2,9,10);
- კვლევის საფუძველზე ორგანიზმის ჰომეოსტაზის (წყლის ბალანსი, ტემპერატურა) შენარჩუნების მნიშვნელობის დადგენა და ორგანიზმის დაცვითი შესაძლებლობების (კანი, ლორწოვანი გარსები, ღვიძლი, ტემპერატურის მატება, ფაგოციტები, იმუნიტეტი) შესახებ მსჯელობა (ბიოლ.საბ.1,2, 4,5,6,7,8,9,10);
- კვლევის საფუძველზე გარემოს ცვლად პირობებში ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებების (პულსის აჩქარება-შენელება, სუნთქვის სიხშირის შეცვლა, ოფლიანობა, წნევის მომატება) დადგენა (ბიოლ.საბ.1,2,4, 5,6,8,9,10);
- ადამიანის ორგანოთა სისტემების შესახებ მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (პირველადი დახმარება, ჯანმრთელობის დაცვა, მედიცინა, კრიმინალისტიკა) (ბიოლ.საბ.სტ.11,12,13).

თემა: შეგრძნების ორგანოები

საკითხთა მინიმუმი:

1. შეგრძნების ორგანოები და მათი მნიშვნელობა;
2. მხედველობის ორგანოს აგებულება და ფუნქცია;
3. მხედველობა და მისი დარღვევები;
4. სმენის ორგანოს აგებულება და ფუნქციები;
5. სმენის დარღვევა.

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ადამიანისათვის შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობის დასაბუთება და მხედველობის/ სმენის ორგანოებში შემავალი სტრუქტურებისა და მათი ფუნქციების აღწერა (ბიოლ.საბ.1,2,9,10);
- ბგერის/გამოსახულების აღქმის მექანიზმის სქემატურად (მოდელი) გამოხატვა და კვლევის საფუძველზე სმენის/მხედველობის დარღვევების მიზეზებზე მსჯელობა (ბიოლ.საბ.1,2, 4,5,6,7,8,9,10);
- თანამედროვე მიღწევების (ლაზერით მკურნალობა, ხელოვნური ბროლი, ხელოვნური სასმენი ძვლები) მნიშვნელობაზე მსჯელობა (ბიოლ.საბ.7,8, 10,11,12);
- ადამიანის შეგრძნების ორგანოების შესახებ მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (პირველადი დახმარება, ჯანმრთელობის დაცვა,

მედიცინა) (ბიოლ.საბ.სტ.11,12,13).

თემა: ადამიანის რეპროდუქციული სისტემა

საკითხთა მინიმუმი:

1. ქალის რეპროდუქციული სისტემა;
2. მამაკაცის რეპროდუქციული სისტემა;
3. განაყოფიერება და ნაყოფის განვითარება;
4. სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები.

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ქალისა და მამაკაცის რეპროდუქციული სისტემისა და მისი ფუნქციების აღწერა (ბიოლ.საბ.1,2);
- კვლევის საფუძველზე დასაბუთება, როგორ მოქმედებს ნაყოფის განვითარებაზე მშობლის მიერ ჯანსაღი ცხოვრების წესის დარღვევა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გავრცელების რისკ-ფაქტორებზე მსჯელობა (ბიოლ.საბ.1,2,5,6,7,8,9,10);
- ადამიანის რეპროდუქციული სისტემის შესახებ მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (ჯანმრთელობის დაცვა, უშვილობის დაძლევა, დაავადებები, ხელოვნური განაყოფიერება, მედიცინა, იმუნოლოგია) (ბიოლ.საბ.11,12,13).

თემა: უჯრედი, ქსოვილი

საკითხთა მინიმუმი:

1. უჯრედული თეორია;
2. უჯრედების აგებულება;
3. უჯრედის გაყოფა;
4. მცენარეული ქსოვილები;
5. ცხოველური ქსოვილები.

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- უჯრედის ზოგიერთი კომპონენტის (უჯრედის კედელი, პლაზმური მემბრანა, ციტოპლაზმა, ბირთვი, მიტოქონდრია, ქლოროპლასტი, ვაკუოლი) ამოცნობა და თითოეულის ფუნქციის დასახელება (ბიოლ.საბ.1,2,3);
- მიკროსკოპული კვლევის საფუძველზე უჯრედების (მცენარეული, ცხოველური) განსხვავება ფორმის, აგებულებისა და ზომის მიხედვით და მათ ფუნქციებთან დაკავშირება; ქსოვილთა

თემა: გენეტიკა

საკითხთა მინიმუმი:

1. მემკვიდრეობითობა;
2. მონოჰიბრიდული შეჯვარება;
3. სქესის გენეტიკური განსაზღვრა;
4. ადამიანის გენეტიკა;
5. ცვალებადობა.

შეფასების ინდიკატორები: მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- შეჯვარების გენეტიკური სქემის (მონოჰიბრიდული შეჯვარება) შედგენა და კონკრეტული ნიშან-თვისების/სქესის მქონე ინდივიდის დაბადების ალბათობის განსაზღვრა (ბიოლ.საბ.1,2,3,5,9);
- ამა თუ იმ ნიშან-თვისების ცვალებადობისა და მისი ფორმების (ფენოტიპური, გენოტიპური) დადგენა (ბიოლ.საბ.1,2,3,4,5,6);
- ადამიანის გენეტიკურ აპარატზე ზოგიერთი ფაქტორის (ალკოჰოლი, ნარკოტიკები, ავტომობილების გამონაბოლქვი, პესტიციდები) ზემოქმედების საფრთხეზე არგუმენტირებული მსჯელობა (ბიოლ.საბ.4,5,6,7,8);
- გენეტიკის შესახებ მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (ჯანმრთელობის დაცვა, გარემოს დაცვა, გენური ინჟინერია, კლონირება, სელექცია, მედიცინა)(ბიოლ.საბ.11,12,13).

ძირითადი ჯგუფების ამოცნობა და შედარებითი დახასიათება (ბიოლ.საბ.1,2,3,4,5,6,7,8,9);

- მიტოზისა და მეიოზის მარტივი მოდელის შექმნა შვილეულ უჯრედებში ქრომოსომების განაწილების კანონზომიერებების ასახსნელად (ბიოლ.საბ.1,2,5,9);
- უჯრედის ფუნქციონირებაზე მავნე ჩვევების მოქმედების დასაბუთება (ბიოლ.საბ.2,4,9);
- უჯრედული თეორიისა და თანამედროვე მიღწევების (დეროვანი უჯრედები) მნიშვნელობაზე მსჯელობა (ბიოლ.საბ.11,12,13).;
- ციტოლოგიის შესახებ მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (ჯანმრთელობის დაცვა, დაავადებები, მედიცინა, იმუნოლოგია) (ბიოლ.საბ.11,12,13).

თემა: ეკოლოგია

საკითხთა მინიმუმი:

1. ძირითადი ეკოლოგიური ფაქტორები;
2. კვებითი დონეები ეკოსისტემებში;
3. ცოცხალი ორგანიზმების ურთიერთქმედება ეკოსისტემაში.

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ეკოსისტემის კომპონენტებს შორის ურთიერთკავშირის გაანალიზება და ორგანიზმების ურთიერთქმედების როლზე მსჯელობა მათი მრავალფეროვნებისა და ეკოსისტემის სტაბილურობის შენარჩუნებაში (ბიოლ.საბ.1,2,3,9);
- კვლევის შედეგად დიაგრამის წარმოდგენა ლოკალურ გარემოში კვებით ჯაჭვებში ჩართული ორგანიზმების შესახებ და გარემოს დაბინძურების მნიშვნელობაზე მსჯელობა (ბიოლ.საბ.1,2,3,4);
- მოდელის შექმნა, რომელიც ასახავს ეკოსისტემაში ნივთიერებათა წრებრუნვას და ამ პროცესის მნიშვნელობაზე მსჯელობა (ბიოლ.საბ.1,2,3,4,5,6,7,8,9);
- გარემო ფაქტორების მნიშვნელობის გაანალიზება ადამიანის ჯანმრთელობისათვის და გარემოს დაბინძურების დაკავშირება ორგანიზმთა მრავალფეროვნების შემცირებასთან, გარემოს დაცვაზე ზრუნვა (ბიოლ.საბ.3,4,9,10);
- ეკოლოგიის შესახებ მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (ჯანმრთელობის დაცვა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, მედიცინა) (ბიოლ.საბ.11,12,13).

თემა: ევოლუცია

საკითხთა მინიმუმი:

1. დარვინ-უოლესის ევოლუციური თეორია;
2. ევოლუციის მამოძრავებელი ფაქტორები;
3. ევოლუციის დამამტკიცებელი არგუმენტები;
4. ბუნებრივი და ხელოვნური გადარჩევა.

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ცოცხალი სამყაროს ისტორიულ განვითარებაზე მსჯელობა, ორგანიზმთა მრავალფეროვნების დაკავშირება ევოლუციურ პროცესთან (ბიოლ.საბ.3,7,8,9);
- კვლევის საფუძველზე მთავარი ევოლუციური ფაქტორის (ბუნებრივი გადარჩევა) მოქმედების დასაბუთება, არსებობისათვის ბრძოლის სახეების გაანალიზება და ევოლუციის საბოლოო შედეგზე მსჯელობა (ბიოლ.საბ.1,2,3,4,5,7,8);
- ბუნებრივი და ხელოვნური გადარჩევის შედარება და ბუნებრივი გადარჩევის პროცესის ამსახველი მოდელის შექმნა (ბიოლ.საბ.1,2,3,4,5,7,8);
- ევოლუციის შესახებ მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (გარემოს დაცვა, სელექცია, სოფლის მეურნეობა) (ბიოლ.საბ.11,12,13).

თემა: ჯანმრთელობა და გარემო

საკითხთა მინიმუმი:

1. ჯანსაღი კვება და დაბალანსებული დიეტა;
2. ქიმიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულება, მავნე ჩვევები;
3. ფიზიკური აქტივობა და მისი მნიშვნელობა ჯანმრთელობის შენარჩუნებაში;
4. ნაადრევ ქორწინებასთან/ორსულობასთან დაკავშირებული რისკები.

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- კვლევის საფუძველზე ცხოვრების ჯანსაღი წესის (ფიზიკური აქტივობა, დაბალანსებული დიეტა, ჯანსაღი კვება) მნიშვნელობაზე მსჯელობა (ბიოლ.საბ.1,2,4,6,7, 9,10);
- დღის რეჟიმის (ძილ-ღვიძილის ციკლი) ხშირი დარღვევის შედეგზე მსჯელობა (ბიოლ.საბ.1,2,4,6,7, 9,10);
- მავნე ნივთიერებებზე (ნიკოტინი, ალკოჰოლი, ნარკოტიკი, აქროლადი ტოქსიკური ნივთიერებები) დამოკიდებულების წარმოქმნა და მისი დაკავშირება ჯანმრთელობასთან (ბიოლ.საბ.1,2,4, 5,6,7, 8,9,10);
- გადამდები დაავადებების გადაცემის გზების განსაზღვრა და პირადი ჰიგიენისა და სანიტარული პირობების მნიშვნელობის გააზრება ინფექციური დაავადებების (შიდსი, C-ჰეპატიტი) გავრცელების პრევენციისათვის (ბიოლ.საბ.11,12,13);
- არსებული კვლევების საფუძველზე ადრეულ სქესობრივ კავშირთან, ნაადრევ ქორწინებასა და ორსულობასთან დაკავშირებული რისკების გაანალიზება, მათ გამომწვევ მიზეზებსა და პრევენციაზე მსჯელობა (ბიოლ.საბ.11,12,13).

საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვები

საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვები სტანდარტის ცნებებს აკავშირებს შედეგებთან.

- რატომ არის მნიშვნელოვანი ორგანიზმების მრავალფეროვნების შენარჩუნება?
- რატომ არის მნიშვნელოვანი გარემოს დაცვა და რა კავშირშია იგი მდგრადი განვითარების პრინციპებთან?
- რა მნიშვნელობა აქვს ორგანიზმების მემკვიდრეობითობას და ცვალებადობას ევოლუციის თვალსაზრისით?
- როგორ შეიძლება გამოიყენოს ადამიანი ბიოლოგიასთან დაკავშირებული ცოდნა ყოველდღიურ ცხოვრებაში/ზოგიერთ პროფესიაში?
- როგორ გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიების მიღწევები სოფლის მეურნეობაში, მედიცინაში?
- როგორ ჩავატარო კვლევა: დაკვირვება, ექსპერიმენტი?
- როგორ ხდება ენერჯის ცვლა და ნივთიერებების გარდაქმნა ცოცხალ სისტემებში?
- როგორ შეესაბამება სხვადასხვა ორგანიზმის სტრუქტურა მათ ფუნქციებს?
- რა უპირატესობა აქვს ჯანსაღ ცხოვრების წესს და როგორ მოქმედებს მავნე ჩვევები ადამიანის ორგანიზმზე?
- როგორ დავიცვათ თავი სხვადასხვა გადამდები დაავადებისაგან?

გ) მეთოდოლოგიური ორიენტაციები

სტანდარტის ამ ნაწილში განსაზღვრულია, თუ რა პრინციპების საფუძველზე უნდა წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი. ასევე, მოცემულია მოკლე ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს კონკრეტული სასწავლო ერთეულის – თემის სწავლა-სწავლება.

საგნის სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

- ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას.
- ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
- გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.
- დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას).
- ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

შემოქმედებითი აზროვნება	<ul style="list-style-type: none"> • ჩანაფიქრის შემოქმედებითად განხორციელება; • ორიგინალური იდეების გამოვლენა და ხორცშესხმა; ახლის შექმნა; • დასმული პრობლემების გადასაჭრელად არასტანდარტული გზების მოძიება; • სწრაფვა გარემოს გარდაქმნა-გაუმჯობესებისკენ; • გამოწვევების მიღება, სასკოლო საქმიანობებში გაბედული ნაბიჯების გადადგმა.
თანამშრომლობა	<ul style="list-style-type: none"> • სამუშაოს თანაბრად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს; • მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად; • განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა; • რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით.
მეწარმეობა, ინიციატივების გამოვლენა და საქმედ ქცევა	<ul style="list-style-type: none"> • სწავლა-სწავლების პროცესში ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გამოვლენა; • ახალი იდეების, მიდგომების, შესაძლებლობების ძიება და მათი განხორციელება სწავლის გაუმჯობესების მიზნით; • მზაობა გამოწვევების მისაღებად, გაბედული ნაბიჯების გადასადგმელად.
დროსა და სივრცეში ორიენტირება	<ul style="list-style-type: none"> • თანამედროვე რეალობის სივრცესა და დროში გააზრება და ინტერპრეტირება; • მულტიპერსპექტიული ხედვა დროითი და სივრცული ფაქტორების გათვალისწინებით.
სწავლის სწავლა, დამოუკიდებლად საქმიანობა	<ul style="list-style-type: none"> • აქტივობის/დავალების ღირებულების განსაზღვრა - მოსწავლემ უნდა დაინახოს, რას შესძენს აქტივობის შესრულება, რა პიროვნულ თუ სოციალურ სარგებელს მოუტანს მას; • აქტივობის/დავალების დაგეგმვა - მოთხოვნათა გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის განსაზღვრა; დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის განსაზღვრა; სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების დადგენა; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა; იმის განჭვრეტა, თუ რა გაუადვილებს, რა გაუმძნელებს, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიების მიზანშეწონილად შერჩევა სამუშაოს თითოეული

	<p>ეტაპისათვის;</p> <ul style="list-style-type: none"> • სწავლის პროცესის მონიტორინგი - დაფიქრება სწავლის პროცესზე, იმ პირობების და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, სათანადო ზომების მიღება წინსვლის ხელშესაწყობად; თვითშეფასება ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად, სუსტი მხარეების გასამლიერებლად გზების დასახვა; • სოციო-ემოციური მართვა - ნერვიულობის მინიმუმამდე დაყვანა, საჭიროების შემთხვევაში, დახმარების თხოვნა, საკუთარ თავში სიმწელებით გადალახვის რესურსების პოვნა; შეცდომების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება და წინსვლისათვის გამოყენება; • ცალკეული საქმიანობისთვის გამოყოფილი დროის ეფექტიანად გამოყენება.
პასუხისმგებლობა	<ul style="list-style-type: none"> • სასკოლო საქმიანობებში (სასკოლო ცხოვრებაში) ნაკისრი ვალდებულების შესრულება; • სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება; • საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე პასუხისმგებლობის აღება.
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება	<ul style="list-style-type: none"> • ელექტრონული ცხრილების გამოყენება მონაცემთა ორგანიზება-წარმოდგენის, მათი დამუშავებისა და ანალიზის მიზნით; • საბუნებისმეტყველო შინაარსის დინამიური, ვირტუალური სიმულაციების მიზნობრივად გამოყენება; • კვლევითი სამუშაოების ოქმებისა და ანგარიშების შექმნა ტექსტურ რედაქტორებში; • ციფრული ფორმატის პრეზენტაციების მომზადება სხვადასხვა მულტიმედიაური ელემენტების (ტექსტი, გამოსახულება, აუდიო, ვიდეო, ანიმაცია) გამოყენებით; • ქსელური ძიება.
წიგნიერება	<ul style="list-style-type: none"> • ეპირი და წერიტი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანის, გაანალიზება-ინტერპრეტირებისა და წარდგენა-გაზიარების უნარი.

წლიური პროგრამისა და სასწავლო თემის აგების პრინციპები

სტანდარტზე დაყრდნობით იგეგმება წლიური პროგრამები, რომლებიც გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს. წლიური პროგრამა სარეკომენდაციო ხასიათისაა. სკოლას შეუძლია გამოიყენოს რეკომენდებული წლიური პროგრამა ან თავად დასახოს სტანდარტის მიღწევის გზები. წლიური პროგრამები უნდა დაიგეგმოს სასწავლო თემების საშუალებით.

სასწავლო თემა იგეგმება შემდეგი კომპონენტების გამოყენებით:

<p>სასწავლო თემა</p> <p>სასწავლო თემა წარმოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.</p>

საგნობრივი საკითხები

წლიური თემების ფარგლებში გამოიყოფა საგნობრივი საკითხები. საგნობრივი საკითხების სწავლება თვითმიზანს არ წარმოადგენს.

საგნობრივი საკითხების მეშვეობით მოსწავლე გაიაზრებს ცნების შინაარსს, ამუშავებს საკვანძო შეკითხვებს, ასრულებს კომპლექსურ დავალებებს.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები

ცნებები განსაზღვრავს იმ არსებით ცოდნას, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს.

თემატური საკვანძო შეკითხვები

თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი კითხვებიდან და დაისმის თემის კონკრეტულ კონტექსტში. მათი ფუნქციაა:

- მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;
- სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა;
- თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მათგან ნიშნულ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.

აქტივობები

მიმდინარე დავალებების ტიპების/ნიმუშების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული გაგება-გააზრების პროცესების ხელშესაწყობად, ასევე ცოდნის ათვისების, განმტკიცებისა თუ შეჯამების მიზნით.

კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი

კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.

შეფასების ინდიკატორები

შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის.

მკვიდრი წარმოდგენები

მკვიდრი წარმოდგენები განისაზღვრება სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდეს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად.

როგორ აიგება სასწავლო თემა?

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული. ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრება მკვიდრი წარმოდგენები, საკვანძო კითხვები და შეფასების ინდიკატორები.

სასწავლო თემის სწავლა-სწავლების მიზნით შემდეგ ეტაპზე უნდა განისაზღვროს საგნობრივი საკითხები, რესურსები, დავალებების ტიპები/ნიმუშები გაგების, გააზრების, განმტკიცებისა და შეჯამების მიზნით. ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს იდეები შემაჯამებელი კომპლექსური დავალებებისთვის, რადგან მხოლოდ კომპლექსური დავალებების საშუალებით შეიძლება გამოვლინდეს, რამდენად დაეუფლა მოსწავლე თემის ფარგლებში ასათვისებელ ცოდნა-უნართა ერთობლიობას და რამდენად ახერხებს მათ ფუნქციურად გამოყენებას.

სასწავლო თემის აგების ბიჯები

ნაბიჯი 1. მკვიდრი წარმოდგენების დადგენა
ნაბიჯი 2. თემატური საკვანძო კითხვების დასმა
ნაბიჯი 3. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა
ნაბიჯი 4. თემატური საკითხების განსაზღვრა
ნაბიჯი 5. აქტივობებისა და მიმდინარე დავალებების დაგეგმვა და რესურსების შერჩევა
ნაბიჯი 6. შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების შემუშავება

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების მნიშვნელოვანი მიდგომები

გაკვეთილებზე მოსწავლეები ხშირად სვამენ „რატომ“ კითხვებს. სწავლების პროცესი ისე უნდა წარმართოს, რომ ამ კითხვების დიდი ნაწილი შეიცვალოს „როგორ“ კითხვებით. „როგორ“ კითხვები ბევრად უფრო ამძაფრებს კვლევის წინაპირობას, ვიდრე „რატომ“ კითხვები. გაკვეთილის დაწყებისთანავე მასწავლებელმა მოსწავლეებში უნდა აღძრას ინტერესი საკითხისა თუ თემის ირგვლივ, გაზარდოს მოტივაცია. მხოლოდ ამის შემდეგ უჩნდებათ მოსწავლეებს დამატებითი

კითხვები, თუ „როგორ“ და „რატომ“ წარმოიშვა ესა თუ ის ფენომენი. საწყისი შეკითხვა შეიძლება მოდიოდეს მოსწავლისაგან, მასწავლებლისაგან, სახელმძღვანელოდან, ინტერნეტიდან ან რაიმე სხვა წყაროდან. კითხვის განსაზღვრაში მასწავლებელი გადამწყვეტ როლს ასრულებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასწავლებლის როლი იმ შემთხვევაში, თუ კითხვა მოსწავლეებმა უნდა ჩამოაყალიბონ. ამა თუ იმ თემასთან დაკავშირებით კითხვების შერჩევის დროს მასწავლებელი უნდა დაეყრდნოს მოსწავლეების წინარე ცოდნას და გამოცდილებას. მასწავლებელმა ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ მოსწავლეების მიერ დასმული კითხვა გამომდინარეობს მათივე დაკვირვებებით მიღებული ინფორმაციიდან, ამდენად, პასუხიც მათ ცოდნასა და განვითარების დონეს უნდა შეესაბამებოდეს. კვლევა მოსწავლეებისათვის საინტერესო ხდება მაშინ, თუ ის მათთვის მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხს ეფუძნება, რომელსაც აქვს კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან.

საბუნებისმეტყველო მეცნიერების სტანდარტის მოთხოვნების მისაღწევად აუცილებელია, მოსწავლე ჩართული იყოს კვლევა-ძიების პროცესებში და ჰქონდეს უწყვეტი პრაქტიკა. მოსწავლეები კვლევის არსს ვერ იგებენ მხოლოდ ტერმინების, მაგალითად, ჰიპოთეზა - დასწავლით, ან სხვადასხვა პროცედურის, მაგალითად, მეცნიერული კვლევის ეტაპების - დამახსოვრებით. მოსწავლე თვითონ უნდა იყოს ჩართული პროცესში; მაგ., თვითონ განსაზღვროს კვლევის ეტაპები, რათა უფრო ღრმად ჩასწვდეს მის არსს. ამასთან, კვლევა-ძიებითი აქტივობების მხოლოდ ჩატარება არ კმარა. კვლევა-ძიება და მისი შედეგების გააზრება ერთდროულად უნდა ხდებოდეს. სწავლა-სწავლების ახალი მიდგომა მოითხოვს მოსწავლეების ჩართვას მეცნიერული ცოდნის შეფასებაში. კვლევაში ჩართულმა მოსწავლეებმა და მასწავლებელმა უნდა დასვან შემდეგი კითხვები:

- რა ხდება, რა მოვლენა ან პროცესი მიმდინარეობს?
- მოვლენის/პროცესის რა მახასიათებლები გვაქვს?
- რომელი მახასიათებლები არ გვჭირდება?
- რა სახის ცვლადები გვაქვს?
- პასუხობს თუ არა მიღებული მონაცემები კვლევის მიზანს?
- რა ახსნა შეიძლება მოვუძებნოთ ამ მონაცემებს?
- რით სჯობს ერთი რომელიმე ახსნა დანარჩენებს?

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების პროცესში პრაქტიკული სამუშაოს გამოყენებას ფუნდამენტური როლი ენიჭება. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა შეძლოს კლასში პრაქტიკული სამუშაოს ეფექტიანი წარმართვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა. პრაქტიკული სამუშაოს დამთავრების შემდეგ კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამუშაოს შედეგების განხილვისა და შეჯამების მიზნით დისკუსიის წარმართვას.

მიზნების გათვალისწინებით, სწავლების დროს შეიძლება გამოყენებული იყოს შემდეგის სახის პრაქტიკული სამუშაოები:

1. სადემონსტრაციო ცდა – პრაქტიკული სამუშაოები, რომელთა მიზანია კონკრეტული მეცნიერული მოვლენის ილუსტრირება;
2. გასავარჯიშებელი პრაქტიკული სამუშაოები – სავარჯიშოები, რომლებიც ექსპერიმენტების ჩატარების ტექნიკას, ხელსაწყოების მოხმარების პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას ემსახურება;
3. კვლევა-ძიებითი პრაქტიკული სამუშაოები - მათი მიზანია, მოსწავლეებმა ისწავლონ კვლევა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიყვნიან კვლევის ციკლის ეტაპებს, გამოიყენონ გასავარჯიშებელი პრაქტიკული სამუშაოების დროს მიღებული ცოდნა და უნარები.
4. პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული პრაქტიკული სამუშაოები - გულისხმობს ისეთ აქტივობებს, სადაც მოსწავლეებს რეალური ობიექტებით მანიპულირების გზით უწევთ პრობლემის გადაჭრა - პრაქტიკული გამოსავლის მოძებნა.

სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ზრუნვა მეტაკოგნიციის უნარების განვითარებაზე, რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ეს აქტივობებია:

სტრატეგიების მოდელირება: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და დავალების შესრულებისას „ხმამაღლა ფიქრობს“ იმაზე, თუ როგორ შეასრულოს დავალება (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანხმლები მასალა და მისთ.);

წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფთან ერთად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.), ასევე სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებენ თითოეულ ეტაპზე. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე.

შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა და ხერხი, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებს და აუმაღლებს სწავლის ქმედუნარიანობას.

დ) შეფასება

საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესობა უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც აფასებს მოსწავლეს თავის წინარე შედეგებთან მიმართებით, ზომავს ინდივიდუალურ წინსვლას და, ამდენად, აძლევს მოსწავლეს ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირების საშუალებას.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითადი მიზანია მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას შეასწავლის.

შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება

შემაჯამებელი შეფასებისთვის გამოიყენება კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოითხოვს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ინტეგრირებულად და ფუნქციურად გამოყენებას. ამ დავალებათა შესაფასებლად გამოიყენება შეფასების რუბრიკა, ანუ კრიტერიუმების ბადე.

მოსწავლეს თითოეული სასწავლო თემის დამუშავების შემდეგ ევალება შემაჯამებელი დავალების წარმოდგენა. შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა წლის განმავლობაში სავალდებულო სასწავლო თემების რაოდენობას ემთხვევა.

ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისათვის

სტანდარტის მოთხოვნათა მიღწევის შესაფასებლად რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება. შემაჯამებელი დავალება უნდა იძლეოდეს იმ ცოდნისა და უნარების სრულფასოვნად შეფასების საშუალებას, რომელთა დაუფლებასაც ემსახურებოდა სწავლების პროცესი.

საბუნებისმეტყველო საგნების შემაჯამებელ დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს: ტესტი, მოდელირება, პროექტი, პრეზენტაცია, პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებული დავალებები; ექსპერიმენტის შედეგების ანალიზი, სავლე/გასვლითი სამუშაოს ანგარიში და სხვა.

ტესტი - ტესტური დავალებების ერთობლიობა. ტესტური დავალებები შეიძლება იყოს როგორც დახურული, ასევე - ღია. დახურული ტიპის დავალებების ქულების წილი მთლიან ტესტში, სასურველია, არ აღემატებოდეს 30%-ს. ღია ტიპის დავალებები უნდა ამოწმებდეს მოსწავლეების ანალიტიკური აზროვნების უნარებს. სასურველია, ღია ტიპის ტესტურ დავალებებში წამყვანი იყოს კითხვები „რატომ“, „როგორ“. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ტესტური დავალებები უნდა მოიცავდეს სქემების, ნახატების და ნახაზების წაკითხვის, გაგებისა და ანალიზის კომპონენტსაც. მოსწავლეს უნდა მოეთხოვებოდეს გრაფიკული მაორგანიზებლებით მოცემული ინფორმაციის წაკითხვა და/ან გრაფიკული მაორგანიზებლების აგება პროცესების აღწერის მიზნით.

კვლევა-ძიებაზე დაფუძნებული დავალებები (მათ შორის ექსპერიმენტული სამუშაოები) - დავალებები, რომლებიც მოითხოვენ მოსწავლეების ჩართვას როგორც პრაქტიკულ კვლევით აქტივობებში, ისე მონაცემების დამუშავების, ანალიზის ინტერპრეტაციაში.

მოდელირება - პროცესის, მოვლენის, ობიექტის ანალოგის გამოყენება ან/და შექმნა. მოდელი შეიძლება იყოს როგორც ორგანოზომილებიანი (სამეცნიერო ნახატი/ნახაზის შექმნა), ასევე სამგანზომილებიანი. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ახსნან მოდელის კომპონენტების ფუნქციები, მოდელის დახმარებით აღწერონ პროცესები, მოდელი შექმნან გარკვეული პრობლემის გადასაჭრელად. აუცილებელია მოსწავლეებმა იმსჯელონ მოდელის შეზღუდვებზე (მაგ., ატომის სიბრტყეზე გამოსახული სქემა არასრულფასოვნად აჩვენებს, როგორ მოძრაობენ ელექტრონები ატომბირთვის გარშემო).

პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებული დავალებები - შესრულებული სამუშაო უნდა მოიცავდეს, პრობლემის განსაზღვრას, ანალიზს, პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზის შერჩევას და პრობლემის გადაჭრას. პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებული დავალება უნდა იძლეოდეს ალტერნატიული გადაჭრის გზების არსებობის შესაძლებლობას.

პროექტი - შესრულებული სამუშაო უნდა მოიცავდეს პრობლემის/საკითხის ანალიზს; პრობლემის/საკითხის ირგვლივ შეგროვებული ინფორმაციის ანალიზს, პროექტის დაგეგმვის და შესრულების (აქტივობების) აღწერას, დასკვნებს, პროექტის საბოლოო პროდუქტს.

პრეზენტაცია - შესრულებული ნაშრომის წარდგენა აუდიტორიის წინაშე. მნიშვნელოვანია, რომ პრეზენტაცია არ უნდა იყოს მოძიებული ინფორმაციის წარდგენა. საპრეზენტაციო დავალება უნდა იძლეოდეს საშუალებას, თითოეულმა მოსწავლემ/ჯგუფმა წარმოადგინოს საკუთარი ორიგინალური გადაწყვეტილება, ანალიზი, შეფასება ან სხვა.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასებისათვის განკუთვნილი დავალება

- თითოეულ დავალებას უნდა ახლდეს პირობა და დავალების პირობის შესაბამისი შეფასების რუბრიკა;
- დავალების შეფასების რუბრიკა, სტანდარტის შედეგების გარდა, უნდა ეფუძნებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლ უნარებსა და ღირებულებებს;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე;

შეფასების რუბრიკის ნიმუში

დავალება/აქტივობა: ექსპერიმენტის დაგეგმვა და ჩატარება		
შეფასების კრიტერიუმები	ქულები	კომენტარი
1. კვლევის მიზნის განსაზღვრა და ჰიპოთეზის ჩამოყალიბება	0-1	
2. ექსპერიმენტის დაგეგმვა (ეტაპების განსაზღვრა, ცვლადების დადგენა შესაბამისი რესურსების შერჩევა)	0-2	

3. მონაცემების შეგროვება და ორგანიზება	0-1	
4. მონაცემების ანალიზი, დასკვნების გამოტანა	0-2	
5. სამუშაოს წარდგენა/პრეზენტაცია	0-2	
6. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება	0-1	
7. ძალისხმევა	0-1	

ბ) ფიზიკა

შესავალი

საბაზო საფეხურის ფიზიკის სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

- ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;
- ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი;
- გ) მეთოდოლოგიური ორიენტირები;
- დ) შეფასება.

საბაზო საფეხურზე საგან „ფიზიკაში“ შეისწავლება მექანიკის, ელექტრული, მაგნიტური, ოპტიკური და სითბური მოვლენების ძირითადი პრინციპები. მოსწავლე გაეცნობა ბუნებაში მიმდინარე ფიზიკური პროცესების კანონზომიერებებს, მათ გავლენას გარემომცველ სამყაროზე და როლს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში.

საგნის სწავლა-სწავლებისას მოსწავლე ჩართული იქნება აქტივობებში, რომლებიც მას მოვლენების არსის გაგებაში, ახალი ცოდნის შექმნაში და ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაში დაეხმარება.

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

ფიზიკის სწავლა-სწავლების მიზნებია, მოსწავლეს:

- გაუჩნდეს ინტერესი ფიზიკური პროცესების შესწავლის მიმართ;
- შეეძლოს სამყაროში მიმდინარე მოვლენებში ფიზიკის კანონზომიერებების დანახვა და მიღებული ცოდნის გამოყენებით სხვადასხვა ცხოვრებისეული ამოცანების გადაჭრა;
- შეეძლოს გარემოში მიმდინარე ფიზიკური პროცესების ურთიერთდაკავშირება;
- განუვითარდეს კვლევითი უნარ-ჩვევები, რომლებსაც ახალი ცოდნის მისაღებად გამოიყენებს;
- ფიზიკური მოვლენების ანალიზის საფუძველზე შეეძლოს ბუნებაში სხვადასხვა მოვლენის პროგნოზირება;
- შესძინოს ფიზიკის დარგობრივი ენით ოპერირების უნარი.

ამ მიზნებზე მუშაობით ფიზიკა თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას: რა უნდა შეემლოს მოსწავლეს ფიზიკაში საბაზო საფეხურის ბოლოს.

ეს შედეგები ჯგუფდება სამ მიმართულებად:

- **ფიზიკური მოვლენები** - გულისხმობს ფიზიკის ძირითადი კონცეფციებისა და კანონზომიერებების გააზრებას; საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისათვის საერთო ცნებებზე (ნივთიერება და მატერია, სტრუქტურა და ფუნქცია, ენერჯია და ენერჯიის გარდაქმნა, სისტემები და ურთიერთქმედებები, მდგრადობა და ცვლილებები) წარმოდგენების ჩამოყალიბებას;
- **მეცნიერული კვლევა-ძიება** - გულისხმობს მოსწავლის ჩართვას დაკვირვებების, მარტივი ექსპერიმენტებისა და ცდების განხორციელებაში;
- **მეცნიერება და ტექნოლოგიები** - გულისხმობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გამოყენებითი ასპექტების აღქმას; საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების მიღწევების გავლენის გაცნობიერებას საზოგადოებასა და გარემოზე; მნიშვნელოვანი სამეცნიერო აღმოჩენების შეფასებას; გააზრებას, რომ მეცნიერული შეხედულებები და მოსაზრებები ვითარდება და შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში.

სტანდარტის შინაარსი განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულო ცნებების, თემებისა და საგნობრივი საკითხების სახით.

ცნებების სახით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. ცნებები შედეგებთან ერთად უნდა დამუშავდეს მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებში. ეს კონტექსტები სავალდებულო თემების სახითაა წარმოდგენილი.

თითოეულ თემას ახლავს საკითხები და შეფასების ინდიკატორები. საკითხები აკონკრეტებს თემას, შეფასების ინდიკატორები კი განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს კონკრეტულ თემაში (თითოეულ ინდიკატორთან მითითებულია მასთან დაკავშირებული შედეგის/შედეგების ინდექსი).

ინდექსების განმარტება

საბაზო საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **ფიზ.საბ.1.:**

„ფიზ.“ – მიუთითებს საგანს „ფიზიკა“;

„საბ.“ – მიუთითებს საბაზო საფეხურს

„1“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

შედეგების ინდექსები	სტანდარტის შედეგები	ცნებები
	მიმართულება: ფიზიკური მოვლენები მოსწავლემ უნდა შეძლოს	
ფიზ.საბ.1.	მატერიის დახასიათება მისი ფიზიკური თვისებების მიხედვით;	
ფიზ.საბ.2.	სხეულთა ურთიერთქმედებაზე და ურთიერთქმედების შედეგებზე არგუმენტირებული მსჯელობა;	მატერია, სისტემები,
ფიზ.საბ.3.	ენერჯის სახეების დახასიათება და მათ ურთიერთგარდაქმნაზე არგუმენტირებული მსჯელობა.	სტრუქტურა; ფუნქცია; ურთიერთქმედება;
	მიმართულება: მეცნიერული კვლევა-ძიება მოსწავლემ უნდა შეძლოს	ენერჯია
ფიზ.საბ.4.	ფიზიკური მოვლენების შესწავლის მიზნით კვლევის (ცდა, ექსპერიმენტი) დაგეგმვა (ჰიპოთეზების შემუშავება, დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადების განსაზღვრა, კვლევის პროცედურის, მონაცემების აღრიცხვის ფორმების განსაზღვრა, სათანადო რესურსების შერჩევა);	კვლევა აღმოჩენა, თეორია, კანონი, ტექნოლოგია;
ფიზ.საბ.5.	ფიზიკური პროცესებისა და კანონზომიერებების კვლევისათვის საჭირო პროცედურების განხორციელება (დაკვირვება, გაზომვა, მონაცემების აღრიცხვა, შესაბამისი მასალისა და აღჭურვილობის ადეკვატურად გამოყენება);	მდგრადი განვითარება.
ფიზ.საბ.6.	თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების სხვადასხვა ფორმით (ცხრილებით, დიაგრამებით, გრაფიკებით და სხვ.) ჩაწერა და ორგანიზება; მონაცემების ორგანიზებისთვის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება;	
ფიზ.საბ.7.	მონაცემების გაანალიზება და არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე დასკვნების გამოტანა, ცვლადებს შორის დამოკიდებულების აღსაწერად დიაგრამებისა და გრაფიკების გამოყენება;	
ფიზ.საბ.8.	მოდელის შექმნა და გამოყენება ფიზიკური მოვლენების/კანონზომიერებების საჩვენებლად;	
ფიზ.საბ.9.	ცდისა და ექსპერიმენტის დაგეგმვისა და ჩატარებისას უსაფრთხოების წესების დაცვა.	
	მიმართულება: მეცნიერება და ტექნოლოგიები მოსწავლემ უნდა შეძლოს	
ფიზ.საბ.10.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების მიღწევების შეფასება მდგრადი განვითარების პრინციპების თვალსაზრისით;	
ფიზ.საბ.11.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების მიღწევების ყოველდღიურობასთან დაკავშირება;	
ფიზ.საბ.12.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სხვადასხვა პროფესიასთან დაკავშირება.	

თემებისა და ცნებების დამაკავშირებელი ცხრილი

ცხრილში მოცემულია სავალდებულო თემები, რომლებიც უნდა ისწავლებოდეს VII-დან IX კლასის ჩათვლით. ასევე, მოცემულია ცნებები, რომლებიც ყველა თემის ფარგლებში უნდა დამუშავდეს.

სავალდებულო თემები	ცნებები
ნივთიერების აგებულება და მისი ფიზიკური თვისებები	მატერია, სისტემები,
თანაბარი მოძრაობა	სტრუქტურა; ფუნქცია; ურთიერთქმედება;
ძალა და წნევა	ენერჯია ენერჯიის მუდმივობა, ენერჯიის გარდაქმნა
მექანიკური მოვლენები	კვლევა კვლევის მეთოდი (ცდა, ექსპერიმენტი, გამოკითხვა, ინტერვიუ);
ელექტრომაგნიტური მოვლენები	კვლევის დაგეგმვა-განხორციელება (საკვლევი კითხვა, ჰიპოთეზა, უსაფრთხოება, რესურსი, ცვლადი (დამოუკიდებელი, დამოკიდებული) მონაცემი, მონაცემთა ორგანიზება, მონაცემთა ანალიზი, დასკვნა); მოდელი (ფორმულა);
სითბური მოვლენები	აღმოჩენა, თეორია, კანონი, ტექნოლოგია;
აჩქარებული მოძრაობა	
სტატიკა და დინამიკა	
ოპტიკური მოვლენები	მდგრადი განვითარება.

თემების, საკითხებისა და შეფასების ინდიკატორების დამაკავშირებელი ცხრილები

თითოეულ ცხრილში მოცემულია თემის დასახელება, თემის შესაბამისი საკითხები, რომლებიც აზუსტებს თემას. შეფასების ინდიკატორებში ნაჩვენებია, თუ როგორ რეალიზდება შედეგები კონკრეტულ თემაში.

თემა: ნივთიერების აგებულება და მისი ფიზიკური თვისებები

საკითხთა მინიმუმი:

1. ატომები, მოლეკულები და მათი ურთიერთქმედება;
2. დიფუზია და აგრეგატული მდგომარეობის ცვლილება;
3. მასა და სიმკვრივე.

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- აგრეგატული მდგომარეობის დაკავშირება ნივთიერების ატომურ-მოლეკულურ აგებულებასთან (ფიზ.საბ.1, 2, 3);
- ნივთიერების აგრეგატული მდგომარეობის ცვლილების პირობების დადგენა და სიმკვრივის განსაზღვრა ექსპერიმენტულად (ფიზ.საბ.1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 9);
- დიფუზიის მოვლენის სადემონსტრაციო მოდელის შექმნა და პრობლემაზე დაფუძნებული ამოცანების გადაჭრა (ფიზ.საბ.4, 5, 6, 7, 8, 9);
- დიფუზიის მოვლენის როლის შეფასება ბუნებასა და ყოფა-ცხოვრებაში (ფიზ.საბ.1, 2, 3, 10, 11);
- ნივთიერებების ფიზიკური მახასიათებლების ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (ფიზ.საბ.1, 2, 3, 10, 11, 12).

დაზუსტება - ამ ეტაპზე არ ისწავლება ბროუნის მოძრაობა.

თემა: თანაბარი მოძრაობა

საკითხთა მინიმუმი:

1. სხეულთა მოძრაობა;
2. ათვლის სისტემა;
3. თანაბარი მოძრაობის სიჩქარე.

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხეულის მოძრაობის დამახასიათებელ პარამეტრებზე (ტრაექტორია, გავლილი გზა, ათვლის სხეული, ნივთიერი წერტილი, გადაადგილება, სიჩქარე, საშუალო სიჩქარე, ინერცია,) მსჯელობა (ფიზ.საბ.1,2, 3, 6);
- წრფივი თანაბარი მოძრაობის შესწავლა მოდელის საშუალებით; პრობლემაზე დაფუძნებული ამოცანების გადაჭრა (ფიზ.საბ.4, 5, 6, 7, 8, 9);
- სხეულთა სიჩქარის როლის შეფასება ბუნებასა და ყოფა-ცხოვრებაში (ფიზ.საბ. 10, 11);
- სხეულთა მოძრაობის სახეების ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (ფიზ.საბ.10, 11, 12).

დაზუსტება - ამ ეტაპზე განიხილება მხოლოდ ერთი წრფის გასწვრივ მიმართული ვექტორები.

თემა: ძალა და წნევა

საკითხთა მინიმუმი:

- სხეულზე მოქმედი ძალები;
- წნევა აირებსა და სითხეებში;
- ატმოსფერული წნევა;
- ზიარჭურჭელი.

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს

- ბუნების სხვადასხვა ძალის მოქმედების შედეგებზე მსჯელობა (ფიზ.საბ.1, 2, 3, 6);
- აირებსა და სითხეებში წნევის განაწილების თავისებურებების ექსპერიმენტულად დადგენა და დაკვირვების შედეგების განზოგადება. პრობლემაზე დაფუძნებული ამოცანის გადაჭრა (ფიზ.საბ.4, 5, 6, 7, 9);
- წნევის როლის შეფასება ბუნებასა და ყოფა-ცხოვრებაში (ფიზ.საბ.10, 11);
- აირებსა და სითხეებში წნევის მოქმედების პრინციპების ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (ფიზ.საბ.სტ.10, 11, 12).

დაზუსტება - ამ ეტაპზე არ ისწავლება ამომგდები ძალის მათემატიკური გამოყვანა; იდეალური აირი და გაზის კანონები.

თემა: მექანიკური მოვლენები

საკითხთა მინიმუმი:

1. მექანიკური მუშაობა, სიმძლავრე და ენერჯია;
2. სხეულთა წონასწორობა;
3. მარტივი მექანიზმები.

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს

- მუშაობის, როგორც ენერჯიის ცვლილების შედეგის, დახასიათება (ფიზ.საბ. 1, 2, 3);
- სხეულზე მოქმედი სხვადასხვა ტიპის ძალების მოქმედების შედეგების შესწავლა მოდელების საშუალებით. პრობლემაზე დაფუძნებული ამოცანების გადაჭრა (ფიზ.საბ. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9);
- მარტივი მექანიზმების, მსოფლიო მიზიდულობის ძალის, ამომგდები ძალის როლის შეფასება ბუნებასა და ყოფა-ცხოვრებაში (ფიზ.საბ. 10, 11);
- სხეულთა წონასწორობის პირობების ცოდნისა და მარტივი მექანიზმების გამოყენების დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (ფიზ.საბ.10,11,12).

დაზუსტება - ამ ეტაპზე არ ისწავლება დახრილ სიბრტყეზე სხეულზე მოქმედი ძალების დაშლა მდგენელებად.

თემა: ელექტრომაგნიტური მოვლენები

საკითხთა მინიმუმი:

1. სხეულთა დაელექტროება;
2. ომის კანონი წრედის უზნისთვის (მიმდევრობითი და პარალელური შეერთება);
3. ელექტრული ველის მუშაობა და სიმძლავრე;
4. ელექტრომაგნიტები.

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ნივთიერების გვარობაზე სხეულის დაელექტროების დამოკიდებულებაზე მსჯელობა (ფიზ.საბ.1, 2, 3);
- ელექტრული ენერგიის მუშაობასა და სიმძლავრეზე და სხვა სახის ენერგიად გარდაქმნაზე არგუმენტირებული მსჯელობა (ფიზ.საბ. 2, 3);
- ელექტრული მოვლენების, მიმდევრობითი და პარალელური შეერთების შესწავლა მოდელების საშუალებით; პრობლემაზე დაფუძნებული ამოცანების გადაჭრა (ფიზ.საბ. 4, 5, 6, 7, 8, 9);
- ელექტროენერგიის მიღების, ელექტრული დენის მაგნიტური თვისებების თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ყოველდღიურ ცხოვრებაში რაციონალურად და უსაფრთხოდ გამოყენებაზე არგუმენტირებული მსჯელობა (ფიზ.საბ.10, 11);
- ელექტრომაგნიტური პროცესების ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (ფიზ.საბ.10,11,12).

დაზუსტება - ამ ეტაპზე არ ისწავლება კულონის კანონი.

თემა: სითბური მოვლენები

საკითხთა მინიმუმი:

1. სითბოს გადაცემა;
2. სითბოს რაოდენობა;
3. სითბური ძრავები და ეკოლოგიური პრობლემები.

- სითბოს გადაცემის სახეების დახასიათება და მათ თავისებურებებზე არგუმენტირებული მსჯელობა (ფიზ.საბ.1, 2, 3);
- სითბური ძრავების მოქმედების პრინციპსა და მათი მუშაობით შექმნილ ეკოლოგიურ პრობლემებზე არგუმენტირებული მსჯელობა (ფიზ.საბ. 1, 2, 3, 10, 11);
- ნივთიერების სითბოტევადობისა და წვის კუთრი სითბოს ექსპერიმენტული შესწავლა მოდელების დახმარებით; პრობლემაზე დაფუძნებული ამოცანების გადაწყვეტა (ფიზ.საბ. 4, 5, 6, 7, 8, 9);
- კუთრი სითბოტევადობების და წვის კუთრი სითბოს როლის შეფასება ბუნებასა და ყოფა-ცხოვრებაში (ფიზ.საბ.1, 2, 3, 10, 11);
- ბუნებაში მიმდინარე სითბური პროცესების შესახებ ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (ფიზ.საბ.10,11,12).

თემა: აჩქარებული მოძრაობა

საკითხთა მინიმუმი:

1. არათანაბარი მოძრაობა;
2. მრუდწირული (წრიული) მოძრაობა.

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს

- სხეულის არათანაბარი მოძრაობის დამახასიათებელ პარამეტრებზე მსჯელობა (ფიზ.საბ. 1, 2, 3, 6);
- წრფივი თანაბრაჩქარებული და მრუდწირული მოძრაობის შესწავლა მოდელის საშუალებით; პრობლემაზე დაფუძნებული ამოცანების გადაჭრა (ფიზ.საბ. 4, 5, 6, 7, 8, 9);
- სხეულთა სიჩქარის ცვლილების როლის შეფასება ბუნებასა და ყოფა-ცხოვრებაში (ფიზ.საბ. 10, 11);
- აჩქარებული მოძრაობის პრინციპების ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (ფიზ.საბ.10,11,12).

დაზუსტება - ამ ეტაპზე არ ისწავლება ცენტრისკენული აჩქარების მიმართულების დადგენა გრაფიკულად; კუთხით გასროლილი სხეულის მოძრაობა, ვექტორების დაშლა მდგენელებად.

თემა: სტატიკა და დინამიკა

საკითხთა მინიმუმი:

1. ნიუტონის კანონები;
2. მსოფლიო მიზიდულობის ძალა;
3. ამომგდები ძალა სითხეებსა და აირებში.

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ნიუტონის კანონების საშუალებით სხეულის მოძრაობის დაკავშირება მასზე მოქმედ ძალებთან (ფიზ.საბ. 2,3,7);
- მსოფლიო მიზიდულობის ძალის დაკავშირება პლანეტების ხელოვნური თანამგზავრისა და კოსმოსური სადგურების მოძრაობასთან (ფიზ.საბ.2,3,4,7,8,10,11);
- სითხეებსა და აირებში ამომგდებ ძალაზე არგუმენტირებული მსჯელობა (ფიზ.საბ.1, 2, 3);
- ნიუტონის კანონების, სხეულთა ცურვის პირობების ლაბორატორიული შესწავლა მოდელების საშუალებით. პრობლემაზე დაფუძნებული ამოცანების გადაჭრა (ფიზ.საბ.2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9);
- სხეულზე მოქმედი სხვადასხვა ტიპის ძალების როლის შეფასება ბუნებასა და ყოფა-ცხოვრებაში (ფიზ.საბ. 10, 11);
- ნიუტონის კანონების და/ან ცურვის პირობების ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (ფიზ.საბ.10, 11, 12).

დაზუსტება - ამ ეტაპზე არ ისწავლება მსოფლიო მიზიდულობის ძალისა და ამომგდები ძალის ფორმულის გამოყვანა

თემა: ოპტიკური მოვლენები

საკითხთა მინიმუმი:

1. სინათლის გავრცელება სხვადასხვა გარემოში;
2. გამოსახულების აგება ლინზაში;
3. ოპტიკური ხელსაწყოები.

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სინათლის სხივის სხვადასხვა გარემოში გავრცელების თავისებურებებზე არგუმენტირებულ მსჯელობა (ფიზ.საბ. 1, 2, 3);
- ოპტიკური მოვლენების კვლევა მოდელების დახმარებით; პრობლემაზე დაფუძნებული ამოცანების გადაჭრა (ფიზ.საბ.4, 5, 6, 7, 8, 9);
- სინათლის ბუნებრივი და ხელოვნური წყაროების როლის შეფასება ბუნებასა და ყოფაცხოვრებაში. მათ უსაფრთხოდ გამოყენებაზე არგუმენტირებული მსჯელობა (ფიზ.საბ.2, 3, 4, 9, 10, 11);
- განსაზღვროს ნივთიერების რა თვისებებია გასათვალისწინებელი ოპტიკური ხელსაწყოების დამზადების პროცესში (ფიზ.საბ.1);
- ოპტიკური მოვლენების პრინციპების ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (ფიზ.საბ.10,11,12).

საფეხურებრივი საკვანძო კითხვები

საფეხურებრივი საკვანძო კითხვები სტანდარტის ცნებებს აკავშირებს შედეგებთან.

- როგორ უნდა შევისწავლო ფიზიკური მოვლენები?
- როგორ ჩავატარო კვლევა: დაკვირვება, ექსპერიმენტი?
- რაში და როგორ შეიძლება გამოვიყენო ფიზიკური კანონზომიერებების ცოდნა?
- როგორ გარდაიქმნება ენერგია ერთი სახეობიდან მეორე სახეობად? რატომ არის ენერგია მუდმივი?
- როგორ ურთიერთქმედებენ ბუნებაში არსებული ძალები?
- რა გავლენას ახდენს ნივთიერების აგრეგატული მდგომარეობის ცვლილება ბუნებაში მიმდინარე პროცესებზე?

გ) მეთოდოლოგიური ორიენტირები

სტანდარტის ამ ნაწილში განსაზღვრულია, თუ რა პრინციპების საფუძველზე უნდა წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი. ასევე, მოცემულია მოკლე ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს კონკრეტული სასწავლო ერთეულის – თემის სწავლა-სწავლება.

საგნის სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას.

ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.

დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას).

ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

შემოქმედებითი აზროვნება	<ul style="list-style-type: none"> • ჩანაფიქრის შემოქმედებითად განხორციელება; • ორიგინალური იდეების გამოვლენა და ხორცშესხმა; ახლის შექმნა; • დასმული პრობლემების გადასაჭრელად არასტანდარტული გზების მოძიება; • სწრაფვა გარემოს გარდაქმნა-გაუმჯობესებისკენ; • გამოწვევების მიღება, სასკოლო საქმიანობებში გაბედული ნაბიჯების გადადგმა.
თანამშრომლობა	<ul style="list-style-type: none"> • სამუშაოს თანაბრად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს; • მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად; • განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა; • რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით.
მწარმოება, ინიციატივების გამოვლენა და საქმედ ქცევა	<ul style="list-style-type: none"> • სწავლა-სწავლების პროცესში ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გამოვლენა; • ახალი იდეების, მიდგომების, შესაძლებლობების ძიება და მათი განხორციელება სწავლის გაუმჯობესების მიზნით; • მზაობა გამოწვევების მისაღებად, გაბედული ნაბიჯების გადასადგმელად.
დროსა და სივრცეში ორიენტირება	<ul style="list-style-type: none"> • თანამედროვე რეალობის სივრცესა და დროში გააზრება და ინტერპრეტირება; • მულტიპერსპექტიული ხედვა დროითი და სივრცული ფაქტორების გათვალისწინებით.
სწავლის სწავლა, დამოუკიდებლად საქმიანობა	<ul style="list-style-type: none"> • აქტივობის/დავალების ღირებულების განსაზღვრა - მოსწავლემ უნდა დაინახოს, რას შესძენს აქტივობის შესრულება, რა პიროვნულ თუ სოციალურ სარგებელს მოუტანს მას; • აქტივობის/დავალების დაგეგმვა - მოთხოვნათა გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის განსაზღვრა; დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის განსაზღვრა; სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების დადგენა; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა; იმის განჭვრეტა, თუ რა გაუადვილდება, რა გაუძნელდება, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიების მიზანშეწონილად შერჩევა სამუშაოს თითოეული ეტაპისათვის; • სწავლის პროცესის მონიტორინგი - დაფიქრება სწავლის პროცესზე, იმ პირობების და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, სათანადო ზომების მიღება წინსვლის ხელშესაწყობად; თვითშეფასება ძლიერი და სუსტი მხარების დასადგენად, სუსტი მხარეების გასაძლიერებლად გზების დასახვა; • სოციო-ემოციური მართვა - ნერვიულობის მინიმუმამდე დაყვანა, საჭიროების შემთხვევაში, დახმარების თხოვნა, საკუთარ თავში სიმძნელეთა გადალახვის რესურსების პოვნა; შეცდომების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება და წინსვლისათვის გამოყენება; • ცალკეული საქმიანობისთვის გამოყოფილი დროის ეფექტიანად გამოყენება.
პასუხისმგებლობა	<ul style="list-style-type: none"> • სასკოლო საქმიანობებში (სასკოლო ცხოვრებაში) ნაკისრი ვალდებულების შესრულება; • სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება; • საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე პასუხისმგებლობის აღება.

<p>ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება</p>	<ul style="list-style-type: none"> • ელექტრონული ცხრილების გამოყენება მონაცემთა ორგანიზება-წარმოდგენის, მათი დამუშავებისა და ანალიზის მიზნით; • საბუნებისმეტყველო შინაარსის დინამიური, ვირტუალური სიმულაციების მიზნობრივად გამოყენება; • კვლევითი სამუშაოების ოქმებისა და ანგარიშების შექმნა ტექსტურ რედაქტორებში; • ციფრული ფორმატის პრეზენტაციების მომზადება სხვადასხვა მულტიმედიური ელემენტების (ტექსტი, გამოსახულება, აუდიო, ვიდეო, ანიმაცია) გამოყენებით; • ქსელური ძიება.
<p>წიგნიერება</p>	<ul style="list-style-type: none"> • ეპირი და წერიტი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანის, გაანალიზება-ინტერპრეტირებისა და წარდგენა-გაზიარების უნარი.

წლიური პროგრამისა და სასწავლო თემის აგების პრინციპები

სტანდარტზე დაყრდნობით იგეგმება წლიური პროგრამები, რომლებიც გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს. წლიური პროგრამა სარეკომენდაციო ხასიათისაა. სკოლას შეუძლია გამოიყენოს რეკომენდებული წლიური პროგრამა ან თავად დასახოს სტანდარტის მიღწევის გზები. წლიური პროგრამები უნდა დაიგეგმოს სასწავლო თემების საშუალებით.

სასწავლო თემა იგეგმება შემდეგი კომპონენტების გამოყენებით:

<p>სასწავლო თემა</p> <p>სასწავლო თემა წარმოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.</p>
<p>საგნობრივი საკითხები</p> <p>წლიური თემების ფარგლებში გამოიყოფა საგნობრივი საკითხები. საგნობრივი საკითხების სწავლება თვითმიზანს არ წარმოადგენს.</p> <p>საგნობრივი საკითხების მეშვეობით მოსწავლე გაიზარებს ცნების შინაარსს, ამუშავებს საკვანძო შეკითხვებს, ასრულებს კომპლექსურ დავალებებს.</p>
<p>თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები</p> <p>ცნებები განსაზღვრავს იმ არსებით ცოდნას, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს.</p>

თემატური საკვანძო შეკითხვები

თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი კითხვებიდან და დაისმის თემის კონკრეტულ კონტექსტში. მათი ფუნქციაა:

- მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;
- სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა;
- თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მათემატიკურ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.

აქტივობები

მიმდინარე დავალებების ტიპების/ნიმუშების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული გაგება-გააზრების პროცესების ხელშესაწყობად, ასევე ცოდნის ათვისების, განმტკიცებისა თუ შეჯამების მიზნით.

კომპლექსური/პროექტული დავალებათა იდეების ჩამონათვალი

კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.

შეფასების ინდიკატორები

შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის.

მკვიდრი წარმოდგენები

მკვიდრი წარმოდგენები განისაზღვრება სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდეს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად.

როგორ აიგება სასწავლო თემა?

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული. ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრება მკვიდრი წარმოდგენები, საკვანძო კითხვები და შეფასების ინდიკატორები.

სასწავლო თემის სწავლა-სწავლების მიზნით შემდეგ ეტაპზე უნდა განისაზღვროს საგნობრივი საკითხები, რესურსები, დავალებების ტიპები/ნიმუშები გაგების, გააზრების, განმტკიცებისა და შეჯამების მიზნით. ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს იდეები შემაჯამებელი კომპლექსური

დავალებებისთვის, რადგან მხოლოდ კომპლექსური დავალებების საშუალებით შეიძლება გამოვლინდეს, რამდენად დაეუფლა მოსწავლე თემის ფარგლებში ასათვისებელ ცოდნა-უნართა ერთობლიობას და რამდენად ახერხებს მათ ფუნქციურად გამოყენებას.

სასწავლო თემის აგების ბიჯები

ნაბიჯი 1. მკვიდრი წარმოდგენების დადგენა
ნაბიჯი 2. თემატური საკვანძო კითხვების დასმა
ნაბიჯი 3. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა
ნაბიჯი 4. თემატური საკითხების განსაზღვრა
ნაბიჯი 5. აქტივობებისა და მიმდინარე დავალებების დაგეგმვა და რესურსების შერჩევა
ნაბიჯი 6. შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების შემუშავება

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების მნიშვნელოვანი მიდგომები

გაკვეთილებზე მოსწავლეები ხშირად სვამენ „რატომ“ კითხვებს. სწავლების პროცესი ისე უნდა წარმართოს, რომ ამ კითხვების დიდი ნაწილი შეიცვალოს „როგორ“ კითხვებით. „როგორ“ კითხვები ბევრად უფრო ამძაფრებს კვლევის წინაპირობას, ვიდრე „რატომ“ კითხვები. გაკვეთილის დაწყებისთანავე მასწავლებელმა მოსწავლეებში უნდა აღძვრას ინტერესი საკითხისა თუ თემის ირგვლივ, გაზარდოს მოტივაცია. მხოლოდ ამის შემდეგ უჩნდებათ მოსწავლეებს დამატებითი კითხვები, თუ „როგორ“ და „რატომ“ წარმოიშვა ესა თუ ის ფენომენი. საწყისი შეკითხვა შეიძლება მოდიოდეს მოსწავლისაგან, მასწავლებლისაგან, სახელმძღვანელოდან, ინტერნეტიდან ან რაიმე სხვა წყაროდან. კითხვის განსაზღვრაში მასწავლებელი გადამწყვეტ როლს ასრულებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასწავლებლის როლი იმ შემთხვევაში, თუ კითხვა მოსწავლეებმა უნდა ჩამოაყალიბონ. ამა თუ იმ თემასთან დაკავშირებით კითხვების შერჩევის დროს მასწავლებელი უნდა დაეყრდნოს მოსწავლეების წინარე ცოდნას და გამოცდილებას. მასწავლებელმა ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ მოსწავლეების მიერ დასმული კითხვა გამომდინარეობს მათივე დაკვირვებებით მიღებული ინფორმაციიდან, ამდენად, პასუხიც მათ ცოდნასა და განვითარების დონეს უნდა შეესაბამებოდეს. კვლევა მოსწავლეებისათვის საინტერესო ხდება მაშინ, თუ ის მათთვის

მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხს ეფუძნება, რომელსაც აქვს კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან.

საბუნებისმეტყველო მეცნიერების სტანდარტის მოთხოვნების მისაღწევად აუცილებელია, მოსწავლე ჩართული იყოს კვლევა-ძიების პროცესებში და ჰქონდეს უწყვეტი პრაქტიკა. მოსწავლეები კვლევის არსს ვერ იგებენ მხოლოდ ტერმინების, მაგალითად, ჰიპოთეზა – დასწავლით, ან სხვადასხვა პროცედურის, მაგალითად, მეცნიერული კვლევის ეტაპების – დამახსოვრებით. მოსწავლე თვითონ უნდა იყოს ჩართული პროცესში. მაგ., თვითონ განსაზღვროს კვლევის ეტაპები, რათა უფრო ღრმად ჩასწვდეს მის არსს. ამასთან, კვლევა-ძიებითი აქტივობების მხოლოდ ჩატარება არ კმარა. კვლევა-ძიება და მისი შედეგების გააზრება ერთდროულად უნდა ხდებოდეს. სწავლა-სწავლების ახალი მიდგომა მოითხოვს მოსწავლეების ჩართვას მეცნიერული ცოდნის შეფასებაში. კვლევაში ჩართულმა მოსწავლეებმა და მასწავლებელმა უნდა დასვან შემდეგი კითხვები:

- რა ხდება, რა მოვლენა ან პროცესი მიმდინარეობს?
- მოვლენის/პროცესის რა მახასიათებლები გვაქვს?
- რომელი მახასიათებლები არ გვჭირდება?
- რა სახის ცვლადები გვაქვს?
- პასუხობს თუ არა მიღებული მონაცემები კვლევის მიზანს?
- რა ახსნა შეიძლება მოვუძებნოთ ამ მონაცემებს?
- რით სჯობს ერთი რომელიმე ახსნა დანარჩენებს?

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების პროცესში პრაქტიკული სამუშაოს გამოყენებას ფუნდამენტური როლი ენიჭება. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა შეძლოს კლასში პრაქტიკული სამუშაოს ეფექტიანი წარმართვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა. პრაქტიკული სამუშაოს დამთავრების შემდეგ კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამუშაოს შედეგების განხილვისა და შეჯამების მიზნით დისკუსიის წარმართვას.

მიზნების გათვალისწინებით, სწავლების დროს შეიძლება გამოყენებული იყოს შემდეგის სახის პრაქტიკული სამუშაოები:

- სადემონსტრაციო ცდა – პრაქტიკული სამუშაოები, რომელთა მიზანია კონკრეტული მეცნიერული მოვლენის ილუსტრირება;
- გასავარჯიშებელი პრაქტიკული სამუშაოები – სავარჯიშოები, რომლებიც ექსპერიმენტების ჩატარების ტექნიკას, ხელსაწყოების მოხმარების პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას ემსახურება;
- კვლევა-ძიებითი პრაქტიკული სამუშაოები - მათი მიზანია, მოსწავლეებმა ისწავლონ კვლევა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიყვანენ კვლევის ციკლის ეტაპებს. გამოიყენონ გასავარჯიშებელი პრაქტიკული სამუშაოების დროს მიღებული ცოდნა და უნარები.

- პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული პრაქტიკული სამუშაოები გულისხმობს ისეთ აქტივობებს, სადაც მოსწავლეებს რეალური ობიექტებით მანიპულირების გზით უწყვეტ პრობლემის გადაჭრა - პრაქტიკული გამოსავლის მოძებნა.

სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ზრუნვა მეტაკოგნიციის უნარების განვითარებაზე, რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ეს აქტივობებია:

სტრატეგიების მოდელირება: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და მისი შესრულებისას „ხმამალა ფიქრობს“ იმაზე, თუ როგორ შეასრულოს ეს აქტივობა (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანხმობები მასალა და მისთ.);

წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფურად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.), ასევე სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებენ თითოეულ ეტაპზე. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე.

შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა და ხერხი, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებს და აუმძლავებს სწავლის ქმედუნარიანობას.

დ) შეფასება

საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესობა უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც აფასებს მოსწავლეს თავის წინარე შედეგებთან მიმართებით, ზომავს ინდივიდუალურ წინსვლას და, ამდენად, აძლევს მოსწავლეს ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირების საშუალებას.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითადი მიზანია მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას შეასწავლის.

შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება

შემაჯამებელი შეფასებისთვის გამოიყენება კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოითხოვს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ინტეგრირებულად და ფუნქციურად გამოყენებას. ამ დავალებათა შესაფასებლად შეფასების რუბრიკა, ანუ კრიტერიუმების ბადე გამოიყენება.

მოსწავლეს თითოეული სასწავლო თემის დამუშავების შემდეგ ევალება შემაჯამებელი დავალების წარმოდგენა. შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა წლის განმავლობაში სავალდებულო სასწავლო თემების რაოდენობას ემთხვევა.

ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისათვის

სტანდარტის მოთხოვნათა მიღწევის შესაფასებლად რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება. შემაჯამებელის დავალება უნდა იძლეოდეს იმ ცოდნისა და უნარების სრულფასოვნად შეფასების საშუალებას, რომლის დაუფლებასაც ემსახურებოდა სწავლების პროცესი.

საბუნებისმეტყველო საგნების შემაჯამებელ დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს: ტესტი, მოდელირება, პროექტი, პრეზენტაცია, პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებული დავალებები. ექსპერიმენტის შედეგების ანალიზი, საველე/გასვლითი სამუშაოს ანგარიში და სხვა.

ტესტი - ტესტური დავალებების ერთობლიობა. ტესტური დავალებები შეიძლება იყოს როგორც დახურული, ასევე - ღია. დახურული ტიპის დავალებების ქულების წილი მთლიან ტესტში, სასურველია, არ აღემატებოდეს 30%-ს. ღია ტიპის დავალებები უნდა ამოწმებდეს მოსწავლეების ანალიტიკური აზროვნების უნარებს. სასურველია, ღია ტიპის ტესტურ დავალებებში წამყვანი იყოს კითხვები „რატომ“, „როგორ“. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ტესტური დავალებები უნდა მოიცავდეს სქემების, ნახატების და ნახაზების წაკითხვის, გაგების და ანალიზის კომპონენტსაც. მოსწავლეს უნდა მოეთხოვებოდეს გრაფიკული მათემატიკის საშუალებებით მოცემული ინფორმაციის წაკითხვა და/ან გრაფიკული მათემატიკის საშუალებების აგება პროცესების აღწერის მიზნით.

კვლევა-ძიებაზე დაფუძნებული დავალებები (მათ შორის ექსპერიმენტული სამუშაოები) - დავალებები, რომლებიც მოითხოვენ მოსწავლეების ჩართვას როგორც პრაქტიკულ კვლევით აქტივობებში, ისე მონაცემების დამუშავების, ანალიზის ინტერპრეტაციაში.

მოდელირება - პროცესის, მოვლენის, ობიექტის ანალოგის გამოყენება ან/და შექმნა. მოდელი შეიძლება იყოს როგორც ორგანიზაციული (სამეცნიერო ნახატი/ნახაზის შექმნა), ასევე სამეცნიერო. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ახსნან მოდელის კომპონენტების ფუნქციები, მოდელის დახმარებით აღწერონ პროცესები, მოდელი შექმნან გარკვეული პრობლემის გადასაჭრელად. აუცილებელია მოსწავლეებმა იმსჯელონ მოდელის შეზღუდვებზე (მაგ., ატომის სიბრტყეზე გამოსახული სქემა არასრულფასოვნად აჩვენებს როგორ მოძრაობენ ელექტრონები ატომბირთვის გარშემო).

პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებული დავალებები - შესრულებული სამუშაო უნდა მოიცავდეს, პრობლემის განსაზღვრას, ანალიზს, პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზის შერჩევას და პრობლემის გადაჭრას. პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებული დავალება უნდა იძლეოდეს ალტერნატიული გადაჭრის გზების არსებობის შესაძლებლობას.

პროექტი - შესრულებული სამუშაო უნდა მოიცავდეს პრობლემის/საკითხის ანალიზს; პრობლემის/საკითხის ირგვლივ შეგროვებული ინფორმაციის ანალიზს, პროექტის დაგეგმვის და შესრულების (აქტივობების) აღწერას, დასკვნებს, პროექტის საბოლოო პროდუქტს.

პრეზენტაცია - შესრულებული ნაშრომის წარდგენა აუდიტორიის წინაშე. მნიშვნელოვანია, რომ პრეზენტაცია არ უნდა იყოს მოძიებული ინფორმაციის წარდგენა. საპრეზენტაციო დავალება უნდა იძლეოდეს საშუალებას, თითოეულმა მოსწავლემ/ჯგუფმა წარმოადგინოს საკუთარი ორიგინალური გადაწყვეტილება, ანალიზი, შეფასება ან სხვა.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასებისათვის განკუთვნილი დავალება

- თითოეულ დავალებას უნდა ახლდეს პირობა და დავალების პირობის შესაბამისი შეფასების რუბრიკა;
- დავალების შეფასების რუბრიკა, სტანდარტის შედეგების გარდა, უნდა ეფუძნებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლ უნარებსა და ღირებულებებს;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე;

შეფასების რუბრიკის ნიმუში

დავალება/აქტივობა: ექსპერიმენტის დაგეგმვა და ჩატარება		
შეფასების კრიტერიუმები	ქულები	კომენტარი
1. კვლევის მიზნის განსაზღვრა და ჰიპოთეზის ჩამოყალიბება	0-1	
2. ექსპერიმენტის დაგეგმვა (ეტაპების განსაზღვრა, ცვლადების დადგენა შესაბამისი რესურსების შერჩევა)	0-2	
3. მონაცემების შეგროვება და ორგანიზება	0-1	
4. მონაცემების ანალიზი, დასკვნების გამოტანა	0-2	
o სამუშაოს წარდგენა/პრეზენტაცია	0-2	
6. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება	0-1	
7. ძალისხმევა	0-1	

გ) ქიმია

შესავალი

საბაზო საფეხურის ქიმიის სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

- ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;
- ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი;
- გ) მეთოდოლოგიური ორიენტირები;
- დ) შეფასება.

საგან „ქიმიის“ სწავლა-სწავლება გულისხმობს ატომისა და ნივთიერებების აგებულების, პერიოდული ცხრილის ორგანიზების, ქიმიური პროცესების ზოგადი კანონზომიერებების და არაორგანულ და ორგანულ ნაერთთა სხვადასხვა კლასის წარმომადგენლების თვისებების შესწავლას, გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების წესების დაცვის მნიშვნელობის გააზრებას.

საგნის სწავლა-სწავლებისას მოსწავლე ჩართული იქნება აქტივობებში, რომლებიც მას მოვლენების არსის გაგებაში, ახალი ცოდნის შექმნასა და ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაში დაეხმარება.

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

ქიმიის სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს, მოსწავლეს:

- გაუჩნდეს ინტერესი გარემომცველ სამყაროში მიმდინარე ქიმიური პროცესების შესწავლის მიმართ;
- შეეძლოს ქიმიური კანონზომიერებების გაანალიზება;
- შეეძლოს გარემოში მიმდინარე ქიმიური პროცესების ურთიერთდაკავშირება და მათი ერთიანობის აღქმა;
- გაუჩნდეს გარე სამყაროს მიმართ მზრუნველობის განცდა;
- გამოუმუშავდეს კვლევითი უნარ-ჩვევები (ექსპერიმენტის დაგეგმვა, განხორციელება და წარდგენა);
- შესძინოს ქიმიის დარგობრივი ენით ოპერირების უნარი.

ამ მიზნებზე მუშაობით ქიმია თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას: რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს ქიმიაში საბაზო საფეხურის ბოლოს.

ეს შედეგები ჯგუფდება სამ მიმართულებად:

- **ქიმიური მოვლენები** - გულისხმობს ქიმიის ძირითადი კონცეფციების გააზრებას; ქიმიური მოვლენების აღწერასა და მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარებას; საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისათვის საერთო ცნებებზე (ნივთიერება და მატერია, სტრუქტურა და ფუნქცია, ენერგია და ენერგიის გარდაქმნა, სისტემები და ურთიერთქმედებები, მდგრადობა და

ცვლილებები) წარმოდგენების ჩამოყალიბებას; გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების მნიშვნელობის გააზრებას.

- **მეცნიერული კვლევა-ძიება** - გულისხმობს მოსწავლის ჩართვას მარტივი ექსპერიმენტებისა და ცდების დაგეგმვასა და განხორციელებაში; კვლევითი უნარების (დაკვირვება, მონაცემების გაანალიზება/წარდგენა, არგუმენტირებული მსჯელობა, დასკვნების გამოტანა) განვითარებას;
- **მეცნიერება და ტექნოლოგიები** - გულისხმობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გამოყენებითი ასპექტების აღქმას; საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების მიღწევების გავლენის გაცნობიერებას საზოგადოებასა და გარემოზე; მნიშვნელოვანი სამეცნიერო აღმოჩენების შეფასებას; გააზრებას, რომ მეცნიერული შეხედულებები და მოსაზრებები ვითარდება და შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში.

სტანდარტის შინაარსი განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულო ცნებების, თემებისა და საგნობრივი საკითხების სახით.

ცნებების სახით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. ცნებები შედეგებთან ერთად უნდა დამუშავდეს მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებში. ეს კონტექსტები **სავალდებულო თემების** სახითაა წარმოდგენილი.

თითოეულ თემას ახლავს საკითხები და შეფასების ინდიკატორები. **საკითხები** აკონკრეტებს თემას, **შეფასების ინდიკატორები** კი განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს კონკრეტულ თემაში (თითოეულ ინდიკატორთან მითითებულია მასთან დაკავშირებული შედეგის/შედეგების ინდექსი).

ინდექსების განმარტება

საბაზო საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **ქიმ.საბ.1.**:

- „ქიმ.“ – მიუთითებს საგანს „ქიმია“;
- „საბ.“ – მიუთითებს საბაზო საფეხურს
- „1“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

	ქიმიის სტანდარტის შედეგები (VIII-IX კლასები)	
შედეგების ინდექსები	მიმართულება: ქიმიური მოვლენები მოსწავლემ უნდა შეძლოს:	ცნებები
ქიმ.საბ.1.	ნივთიერებათა კლასიფიცირება მათი შედგენილობის, ფიზიკური და ქიმიური თვისებების მიხედვით;	ნივთიერება

ქიმ.საბ.2.	ნივთიერებათა თვისებების დაკავშირება მათი მოლეკულების შედგენილობაში შემავალი ატომების ელექტრონულ აღნაგობასთან და ქიმიური ბმის ხასიათთან;	ქიმიური ბმა
ქიმ.საბ.3.	ელემენტთა პერიოდული ცხრილის ორგანიზების პრინციპის გამოყენება კონკრეტული ამოცანების გადაჭრისთვის;	მოლეკულათმორისი კავშირები
ქიმ.საბ.4.	ფიზიკური და ქიმიური თვისებებისა და მოვლენების დახასიათება, ერთმანეთისგან განსხვავება და სხვადასხვა სახის ქიმიური რეაქციის აღწერა;	ელემენტთა პერიოდულობის ცხრილი
ქიმ.საბ.5.	ფიზიკური და ქიმიური მოვლენების რაოდენობრივი დახასიათება.	ნაერთთა კლასები
	მიმართულება: მეცნიერული კვლევა-ძიება მოსწავლემ უნდა შეძლოს:	ფიზიკური მოვლენა, ქიმიური მოვლენა, ქიმიური რეაქცია
ქიმ.საბ.6.	ქიმიური პროცესების კვლევის მიზნით კვლევის დაგეგმვა;	
ქიმ.საბ.7.	ქიმიური მოვლენების კვლევისათვის საჭირო პროცედურების განხორციელება;	ნივთიერებათა რაოდენობრივი მახასიათებლები
ქიმ.საბ.8.	თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების სხვადასხვა ფორმით ჩაწერა და ორგანიზება; მონაცემების ორგანიზებისთვის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება;	კვლევა
ქიმ.საბ.9.	მონაცემების გაანალიზება და არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე დასკვნების გამოტანა;	აღმოჩენა, თეორია, კანონი, ტექნოლოგია;
ქიმ.საბ.10.	მოდელის შექმნა და გამოყენება ქიმიური პროცესის, მოვლენის, ნაერთების გარდაქმნის საჩვენებლად;	მდგრადი განვითარება.
ქიმ.საბ.11.	კვლევის ჩატარებისას უსაფრთხოების წესების დაცვა.	
	მიმართულება: მეცნიერება და ტექნოლოგიები მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
ქიმ.საბ.12.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ტექნოლოგიების მიღწევების შეფასება მდგრადი განვითარების პრინციპების თვალსაზრისით;	
ქიმ.საბ.13.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ტექნოლოგიების მიღწევების ყოველდღიურობასთან დაკავშირება;	
ქიმ.საბ.14.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სხვადასხვა პროფესიასთან დაკავშირება.	

თემებისა და ცნებების დამაკავშირებელი ცხრილი

ცხრილში მოცემულია სავალდებულო თემები, რომლებიც უნდა ისწავლებოდეს VII-დან IX კლასის ჩათვლით. ასევე, მოცემულია ცნებები, რომლებიც ყველა თემის ფარგლებში უნდა დამუშავდეს.

სავალდებულო თემები:	ცნებები
---------------------	---------

წყალი, ხსნარები	<p>ნივთიერება ელემენტი, ატომი, მოლეკულა, თვისება, ნარევი, ნაერთი</p>
ჰაერი	<p>ქიმიური ბმა იონური, კოვალენტური და მეტალური</p>
ელემენტების ორგანიზების პრინციპი	<p>მოლეკულათშორისი კავშირები ელემენტთა პერიოდულობის ცხრილი ნაერთთა კლასები არაორგანულ ნაერთთა კლასები (ოქსიდი, მჟავა, ფუძე/ტუტე, მარილი); ორგანულ ნაერთთა კლასები.</p>
ნივთიერებათა მრავალფეროვნება	<p>ფიზიკური მოვლენა, ქიმიური მოვლენა, ქიმიური რეაქცია ქიმიური თვისება, ფიზიკური თვისება</p>
ნავთობი და მისი პროდუქტები; ბუნებრივი აირი	<p>ნივთიერებათა რაოდენობრივი მახასიათებლები ფარდობითი ატომური და მოლეკულური მასები, მასური წილი, მოლი, მოლური მასა, მოლური მოცულობა;</p>
ნახშირწყალბადების ფუნქციური ნაწარმები	<p>კვლევა კვლევის მეთოდი (ცდა, ექსპერიმენტი, გამოკითხვა, ინტერვიუ); დაგეგმვა-განხორციელება (საკვლევი კითხვა, ჰიპოთეზა, პროცედურა, უსაფრთხოება, რესურსი, ცვლადი (დამოუკიდებელი, დამოკიდებული), მონაცემი, მონაცემთა ორგანიზება, მონაცემთა ანალიზი, დასკვნა, მოდელი).</p> <p>აღმოჩენა, თეორია, კანონი, ტექნოლოგია;</p> <p>მდგრადი განვითარება.</p>

თემების, საკითხებისა და შეფასების ინდიკატორების დამაკავშირებელი ცხრილები

თითოეულ ცხრილში მოცემულია თემის დასახელება, თემის შესაბამისი საკითხები, რომლებიც აზუსტებს თემას. შეფასების ინდიკატორებში ნაჩვენებია, თუ როგორ რეალიზდება შედეგები კონკრეტულ თემაში.

თემა: წყალი, ხსნარები

საკითხთა მინიმუმი:

1. წყლის ფიზიკური თვისებები, ქიმიური შედგენილობა;
2. ნივთიერების შედგენილობის მუდმივობის კანონი;
3. ნივთიერებათა წყალში ხსნადობა;
4. ხსნართა ნაჯერობა და კონცენტრაცია.

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- წყლის ფიზიკური და ქიმიური თვისებების, სხვადასხვა ნივთიერების წყალში ხსნადობაზე გამოთქმული ვარაუდის ექსპერიმენტულად შესწავლა (ქიმ.საბ.1,4,6,7,8,9,11,12,13);
- წყლის ფიზიკური თვისებების ახსნა ატომის აგებულების და მოლეკულათშორისი კავშირების საფუძველზე (ქიმ.საბ.2,6,7,8,11);
- სივრცითი მოდელების შექმნის სხვადასხვა საშუალების გამოყენებით მარტივ და რთულ ნივთიერებებს შორის განსხვავების ჩვენება, წყლისა და სხვა ნივთიერებების ფიზიკური და ქიმიური გარდაქმნების ახსნა, ნაერთთა ქიმიური ფორმულების შედგენა ვალენტობის საფუძველზე (ქიმ.საბ.2,4,10);
- პრობლემის გადაჭრა წყლის თვისებების, შედგენილობის მუდმივობის, ნარევის კომპონენტებად დაყოფის ხერხების, სხვადასხვა ტიპის რეაქციების, ხსნარებში ნივთიერებების მასური წილების გამოთვლის გამოყენებით (ქიმ.საბ.1,2,3, 4,5);
- წყლის ფიზიკური და ქიმიური თვისებების, შედგენილობის მუდმივობის, ხსნარების მნიშვნელობის შეფასება ადამიანის ყოფა-ცხოვრებასა და ბუნებაში, წყლის რაციონალურად გამოყენების მნიშვნელობაზე მსჯელობა (ქიმ.საბ.4,12,13);
- ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროს/ პროფესიის დაკავშირება წყლის ფიზიკური და ქიმიური თვისებების ცოდნის გამოყენებასთან (ქიმ.საბ.4,14).

დაზუსტება - ამ ეტაპზე არ განიხილება ქიმიური ბმები, ვიხილავთ მხოლოდ წყლის მოლეკულებს შორის. მოქმედ მოლეკულათშორის ძალას.

თემა: ჰაერი

საკითხთა მინიმუმი:

1. ჰაერის შედგენილობა;
2. ჰაერში ჟანგბადის მოცულობითი წილის განსაზღვრა;
3. ჟანგბადის ალოტროპიული სახესხვაობები;
4. წვისა და ჟანგვის რეაქციები.

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ჰაერის შედგენილობაში შემავალი მარტივი და რთული ნივთიერებების ფიზიკური და ქიმიური თვისებების ექსპერიმენტულად შესწავლა (ქიმ.საბ.1,4,6,7,8,9,11,12,13);
- ჰაერის შედგენილობაში შემავალი მარტივი და რთული ნივთიერებების თვისებების ახსნა ატომის აგებულების საფუძველზე (ქიმ.საბ.2,6,7,8,9,11);
- სივრცითი მოდელების შექმნის სხვადასხვა საშუალების გამოყენებით ჰაერის შედგენილობაში შემავალი ნივთიერებების გარდაქმნების ახსნა, ქიმიური პროცესების აღწერა (ქიმ.საბ.2,4,10);
- პრობლემის გადაჭრა ნარევის კომპონენტებად დაყოფის ხერხების, ჰაერის შედგენილობაში შემავალი ნივთიერებების ქიმიური და ფიზიკური თვისებების, გამოთვლების გამოყენებით (ქიმ.საბ.1,2,3,4,5);
- ჰაერის შედგენილობაში შემავალი ნივთიერებების მონაწილეობით მიმდინარე ქიმიური გარდაქმნების დახასიათება, ქიმიური რეაქციის ნიშნების ამოცნობა, შესაბამისი ქიმიური რეაქციის ტოლობის შედგენა მასის მუდმივობის კანონის საფუძველზე, სხვადასხვა სახის (მაგ., წვის, ჟანგვის) ქიმიური რეაქციების აღწერა ყოველდღიურობასთან კავშირში (ქიმ.საბ.1,4, 12, 13);
- ჰაერის მნიშვნელობის შეფასება ადამიანის ყოფა-ცხოვრებასა და ბუნებაში, დაბინძურებისგან მისი დაცვის აუცილებლობაზე მსჯელობა (ქიმ.საბ.4, 12, 13);
ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროს/ პროფესიის დაკავშირება ჟანგბადის, აზოტის, ნახშირორჟანგის, ინერტული აირების და სხვა ნივთიერებების თვისებების ცოდნის გამოყენებასთან (ქიმ.საბ.4, 14).

თემა: ელემენტების ორგანიზების პრინციპი

საკითხთა მინიმუმი:

1. ატომის შედგენილობა და ელექტრონული აღნაგობა (შრეები)
2. ელექტრონების განაწილება ატომებში
3. მეტალები და არამეტალები. მათი ნაერთების კლასიფიცირება (ცნებების დონეზე), pH-ის ნეიტრალიზაციის რეაქციის არსი
4. ქიმიური ელემენტების პერიოდულობის კანონი და ცხრილი.

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ელემენტების, მათ შორის, მეტალების/არამეტალების და მათი მნიშვნელოვანი ნაერთების თვისებების დახასიათება პერიოდულ სისტემაში ელემენტთა მდებარეობის საფუძველზე (ქიმ.საბ.1,4,6,7,8,9,11,12,13);
- ოქსიდების/ჰაიდროქსიდების/ფუძეების/მარილების მნიშვნელოვანი წარმომადგენლების დასახელება, ქიმიური თვისებების ექსპერიმენტულად შესწავლა; ინდიკატორების გამოყენებით pH-ის განსაზღვრა* (ქიმ.საბ.1,4,6,7,8,9,11,12,13);
- ნივთიერებების თვისებების ახსნა ატომის ელექტრონული აღნაგობის საფუძველზე (ქიმ.საბ.2,6,7,8, 9,11);
- სივრცითი მოდელების შექმნა სხვადასხვა საშუალების გამოყენებით; სხვადასხვა ელემენტის ატომის აღნაგობის დემონსტრირება და დახასიათება (ქიმ.საბ.2,4,10);
- პრობლემის გადაჭრა ელემენტების თვისებების, მათი ატომის აგებულების, სხვადასხვა ტიპის რეაქციების, გამოთვლების (ფარდობითი ატომური და მოლეკულური მასები, ნაერთში ელემენტის მასური წილი, მოლი, მოლური მასა, ავოგადროს კანონი, ფარდობითი სიმკვრივე, გაანგარიშებები ქიმიური რეაქციების ტოლობების საფუძველზე) გამოყენებით (ქიმ.საბ.1,2,3, 4, 6, 10, 11, 12,12, 14);
- ელემენტების მნიშვნელობის შეფასება ადამიანის ყოფა-ცხოვრებასა და წარმოებაში მათი გამოყენების თვალსაზრისით (ქიმ.საბ.4,12,13);
ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროს/პროფესიის დაკავშირება ელემენტთა პერიოდულობის სისტემის ორგანიზების ცოდნის გამოყენებასთან (ქიმ.საბ.4,14).

დაზუსტება: * - ამ ეტაპზე მოსწავლეს მოეთხოვება სხვადასხვა ხსნარის მჟავიანობის (pH-ის) განსაზღვრა ინდიკატორების გამოყენებით.

თემა: ნივთიერებათა მრავალფეროვნება

საკითხთა მინიმუმი:

1. ქიმიური რეაქციების ტიპები: შეერთების, დაშლის, მიმოცვლის, ჩანაცვლების;
2. ქიმიური რეაქციების სითბური ეფექტი (ენერჯის გამოყოფა ან შთანთქმა). ეგზოთერმული და ენდოთერმული რეაქციები;
3. ქიმია და ეკოლოგია: მჟავა წვიმები, მათი გამომწვევი მიზეზები და მათი თავიდან აცილების გზები. გლობალური დათბობა, სათბურის ეფექტი, ოზონის ხვრელი;
4. წიაღისეულის მოპოვება მდგრადი განვითარების თვალსაზრისით.

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ნაერთთა სხვადასხვა კლასის წარმომადგენლების შედარება ატომის აგებულებისა და მათში არსებული ქიმიური ბმების (იონური, კოვალენტური და მეტალური), ოქტეტის წესის საფუძველზე (ქიმ.საბ. 2,6,7,8,9,11);
- სივრცითი მოდელების შექმნის სხვადასხვა საშუალების გამოყენებით ნაერთთა სხვადასხვა კლასის წარმომადგენელთა ქიმიური გარდაქმნების ახსნა, ნაერთთა კლასებს შორის კავშირების ჩვენება (ქიმ.საბ.2, 4, 10);
- პრობლემის გადაჭრა ნაერთთა სხვადასხვა კლასის წარმომადგენელთა თვისებების ცოდნის, სხვადასხვა ტიპის რეაქციების, გამოთვლების (ფარდობითი და მოლეკულური ატომური მასები, ნაერთში ელემენტის მასური წილი, მოლი, მოლური მასა, ავოგადროს კანონი, ფარდობითი სიმკვრივე, გაანგარიშებები ქიმიური რეაქციების ტოლობების საფუძველზე) გამოყენებით (ქიმ.საბ.1,2,3, 4, 6, 10, 11, 12,12, 14);
- სხვადასხვა კლასის ნაერთთა მნიშვნელობის, ქიმიური გარდაქმნების ტიპების შეფასება ადამიანის ყოფა-ცხოვრებასა და წარმოებაში მათი გამოყენების თვალსაზრისით. ქიმიური გარდაქმნების მნიშვნელობის შეფასება გარემოს დაბინძურებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით. არაორგანული ნაერთების რაციონალურად გამოყენებაზე მსჯელობა (ქიმ.საბ.4,12,13);
- ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროს/პროფესიის დაკავშირება სხვადასხვა კლასის ნაერთთა ქიმიური თვისებების, ქიმიური რეაქციების ტიპების ცოდნის გამოყენებასთან (ქიმ.საბ.4,14).

დაზუსტება - მოსწავლეებს მოეთხოვებათ კოვალენტური ბმა ზოგადად, და არა პოლარული და არაპოლარული ბმები.

ნაერთთა მიღების ხერხებიდან მოეთხოვებათ:

- ოქსიდების მიღება შესაბამისი მარტივი ნივთიერების წვით;
- ტუტის მიღება შესაბამისი მეტალის ან ოქსიდის წყალთან მოქმედებით;
- ჟანგბადიანი მჟავას მიღება ოქსიდიდან, უჟანგბადოსი - მარტივი ნივთიერებიდან;
- მარილების მიღება ნეიტრალიზაციის რეაქციით, ფუძე და მჟავა ოქსიდების, ფუძისა და მჟავა ოქსიდის, ფუძე ოქსიდისა და მჟავას, მარილისა და მჟავას ურთიერთქმედებით.

თემა: ნავთობი და მისი პროდუქტები; ბუნებრივი აირი

საკითხთა მინიმუმი:

1. ორგანული ნაერთების აღნაგობის თეორია;
2. ორგანული ნაერთების კლასიფიკაცია: ნახშირწყალბადები და ფუნქციური ნაერთები;
3. ნახშირწყალბადების კლასიფიკაცია: ალკანები, ციკლოალკანები, ალკენები, ალკინები, არენები;
4. პოლიმერი, მონომერი, ელემენტარული რგოლი, პოლიმერიზაციის ხარისხი;
5. პოლიმერების როლი ბუნებაში და ადამიანის ყოფაში.

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ნახშირწყალბადების თვისებების ექსპერიმენტულად შესწავლა (მაგ., უჯერი ნახშირწყალბადების აღმოჩენა ბრომიანი წყლით, წვის რეაქცია), შესაბამისი ქიმიური რეაქციების* აღწერა (ქიმ.საბ.1,4,6,7,8,9,11,12,13);
- ნახშირწყალბადების მრავალფეროვნების ახსნა ნახშირბადის ატომის თავისებურებების, ამ ნაერთებში არსებული ბმების საფუძველზე, ჰომოლოგიური რიგის პირველი 7 წევრის მაგალითზე ნომენკლატურის, ჰომოლოგიური სხვაობისა და იზომერიის ცნების (ჯაჭვის, ჯერადი ბმების მდებარეობის, ცის- და ტრანს- იზომერია) არსის ჩვენება (ქიმ.საბ. 2,6,7,8,9,11);
- სივრცითი მოდელების შექმნის სხვადასხვა საშუალების გამოყენებით ნახშირწყალბადების შედგენილობის, თვისებების და შესაბამისი რეაქციების აღწერა (ქიმ.საბ.2,4,10);
- პრობლემის გადაჭრა ნახშირწყალბადების თვისებების (წვა, ჩანაცვლების რეაქცია მეთანის მაგალითზე, მიერთების და პოლიმერიზაციის რეაქციები ეთილენის მაგალითზე, ჰიდრირება-დეჰიდრირება) და გამოთვლების გამოყენებით (ქიმ.საბ.1,2,3, 4,5);
- ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვება-გადამუშავების დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასება, მათ რაციონალურად გამოყენებაზე მსჯელობა (ქიმ.საბ.4,12,13);
- იმ სფეროების დასახელება, რომლებისთვისაც მნიშვნელოვანია გამოყენება (ქიმ.საბ.4,14);
- ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროს/ პროფესიის დაკავშირება ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გამოყენებასთან (ქიმ.საბ.4,14).

დაზუსტება - ნახშირწყალბადების ქიმიური თვისებები განიხილება მხოლოდ ქიმიური რეაქციების დონეზე, მექანიზმების გარეშე .

თემა: ნახშირწყალბადების ფუნქციური ნაწარმები

საკითხთა მინიმუმი:

1. ფუნქციური ჯგუფის ცნება და ორგანულ ნაერთთა შესაბამისი კლასები და მათი მნიშვნელოვანი წარმომადგენლების გამოყენება;
2. წარმოდგენა ბიოორგანული ნაერთებზე (ნახშირწყლები, ცხიმები და ცილები) და მათი როლი (გლუკოზა, (ფრუქტოზა, სახამებელი, ცელულოზა სტრუქტურული ფორმულების გარეშე).

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ნახშირწყალბადების ფუნქციური ნაწარმების აღმოჩენა ექსპერიმენტულად თვისებითი რეაქციებით (მაგ., სახამებლის - იოდით, ალდეჰიდებისა და გლუკოზის - ვერცხლის სარკის რეაქციით, გლიცერინის - სპილენძის ჰიდროქსიდით), ქიმიური რეაქციების ტოლობების გარეშე (ქიმ.საბ.1,4,6,7,8,9,11,12,13);
- ნახშირწყალბადებსა და მათ ფუნქციურ ნაწარმებს (სპირტები, ალდეჰიდები, კეტონები, კარბონმჟავები, ამინები) შორის კავშირების ჩვენება მოდელების ან/და სქემების გამოყენებით (ქიმ.საბ.2,4,10);
- პრობლემის გადაჭრა ნახშირწყალბადების ფუნქციური ნაწარმების თვისებითი რეაქციების, სათანადო ტერმინების ადეკვატურად გამოყენებით (ქიმ.საბ.1,2,3, 4,5);
- ნახშირწყალბადების ფუნქციური ნაწარმების (სპირტები, ალდეჰიდები, კეტონები, კარბონმჟავები, ამინები) მნიშვნელოვანი წარმომადგენლების (ღვინის სპირტის, ეთილენგლიკოლის, გლიცერინის, აცეტონის, ძმარმჟავას, აგრეთვე, წამლების, პლასტმასების, ქსოვილების, საკვების) თვისებების მნიშვნელობის შეფასება ადამიანის ყოფა-ცხოვრებასა და ბუნებაში (ქიმ.საბ.4,12,13);
- ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროს/პროფესიის დაკავშირება ნახშირწყალბადების ფუნქციური ნაწარმების ფიზიკური და ქიმიური თვისებების ცოდნის გამოყენებასთან (ქიმ.საბ.4,14).

საფეხურებრივი საკვანძო კითხვები:

საფეხურებრივი საკვანძო კითხვები სტანდარტის ცნებებს აკავშირებს შედეგებთან.

- როგორ გეხმარებათ ქიმიის შესწავლაში ელემენტთა პერიოდულობის ცხრილი?
- რა განაპირობებს ნივთიერებათა მრავალფეროვნებას?
- რა კავშირია ნივთიერებათა თვისებებსა და მათ გამოყენებას შორის?
- როგორ გამოიყენებთ თანამედროვე ტექნოლოგიების მიღწევებს?
- რაში შეიძლება გამოგვადგეს კვლევითი მიდგომის ცოდნა?
- რატომ და როგორ იცვლებოდა შეხედულება ნივთიერებების აღნაგობაზე დროთა განმავლობაში?

გ) მეთოდოლოგიური ორიენტირები

სტანდარტის ამ ნაწილში განსაზღვრულია, თუ რა პრინციპების საფუძველზე უნდა წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი. ასევე, მოცემულია მოკლე ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს კონკრეტული სასწავლო ერთეულის – თემის სწავლა-სწავლება.

საგნის სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

- ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას.
- ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
- გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.
- დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას).
- ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

შემოქმედებითი აზროვნება	<ul style="list-style-type: none"> • ჩანაფიქრის შემოქმედებითად განხორციელება; • ორიგინალური იდეების გამოვლენა და ხორცშესხმა; ახლის შექმნა; • დასმული პრობლემების გადასაჭრელად არასტანდარტული გზების მოძიება; • სწრაფვა გარემოს გარდაქმნა-გაუმჯობესებისკენ; • გამოწვევების მიღება, სასკოლო საქმიანობებში გაბედული ნაბიჯების გადადგმა.
თანამშრომლობა	<ul style="list-style-type: none"> • სამუშაოს თანაბრად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს; • მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად; • განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა; • რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით.
მეწარმეობა, ინიციატივების გამოვლენა და საქმედ ქცევა	<ul style="list-style-type: none"> • სწავლა-სწავლების პროცესში ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გამოვლენა; • ახალი იდეების, მიდგომების, შესაძლებლობების ძიება და მათი განხორციელება სწავლის გაუმჯობესების მიზნით; • მზაობა გამოწვევების მისაღებად, გაბედული ნაბიჯების გადასადგმელად.
დროსა და სივრცეში ორიენტირება	<ul style="list-style-type: none"> • თანამედროვე რეალობის სივრცესა და დროში გააზრება და ინტერპრეტირება; • მულტიპერსპექტიული ხედვა დროითი და სივრცული ფაქტორების გათვალისწინებით.

<p>სწავლის სწავლა, დამოუკიდებლად საქმიანობა</p>	<ul style="list-style-type: none"> • აქტივობის/დავალების ღირებულების განსაზღვრა - მოსწავლემ უნდა დაინახოს, რას შესძენს აქტივობის შესრულება, რა პიროვნულ თუ სოციალურ სარგებელს მოუტანს მას; • აქტივობის/დავალების დაგეგმვა - მოთხოვნათა გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის განსაზღვრა; დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის განსაზღვრა; სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების დადგენა; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა; იმის განჭვრეტა, თუ რა გაუადვილებს, რა გაუძნელებს, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიების მიზანშეწონილად შერჩევა სამუშაოს თითოეული ეტაპისათვის; • სწავლის პროცესის მონიტორინგი - დაფიქრება სწავლის პროცესზე, იმ პირობების და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, სათანადო ზომების მიღება წინსვლის ხელშესაწყობად; თვითშეფასება ძლიერი და სუსტი მხარების დასადგენად, სუსტი მხარეების გასაძლიერებლად გზების დასახვა; • სოციო-ემოციური მართვა - ნერვიულობის მინიმუმამდე დაყვანა, საჭიროების შემთხვევაში, დახმარების თხოვნა, საკუთარ თავში სიმძნელეთა გადალახვის რესურსების პოვნა; შეცდომების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება და წინსვლისათვის გამოყენება; • ცალკეული საქმიანობისთვის გამოყოფილი დროის ეფექტიანად გამოყენება.
<p>პასუხისმგებლობა</p>	<ul style="list-style-type: none"> • სასკოლო საქმიანობებში (სასკოლო ცხოვრებაში) ნაკისრი ვალდებულების შესრულება; • სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება; • საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე პასუხისმგებლობის აღება.
<p>ინფორმაციულ- საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება</p>	<ul style="list-style-type: none"> • ელექტრონული ცხრილების გამოყენება მონაცემთა ორგანიზება-წარმოდგენის, მათი დამუშავებისა და ანალიზის მიზნით; • საბუნებისმეტყველო შინაარსის დინამიური, ვირტუალური სიმულაციების მიზნობრივად გამოყენება; • კვლევითი სამუშაოების ოქმებისა და ანგარიშების შექმნა ტექსტურ რედაქტორებში; • ციფრული ფორმატის პრეზენტაციების მომზადება სხვადასხვა მულტიმედიაური ელემენტების (ტექსტი, გამოსახულება, აუდიო, ვიდეო, ანიმაცია) გამოყენებით; • ქსელური ძიება.
<p>წიგნიერება</p>	<ul style="list-style-type: none"> • ეპირი და წერითი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანის, გაანალიზება-ინტერპრეტირებისა და წარდგენა-გაზიარების უნარი.

წლიური პროგრამისა და სასწავლო თემის აგების პრინციპები

სტანდარტზე დაყრდნობით იგეგმება წლიური პროგრამები, რომლებიც გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს. წლიური პროგრამა სარეკომენდაციო ხასიათისაა. სკოლას შეუძლია გამოიყენოს რეკომენდებული წლიური პროგრამა ან თავად დასახოს სტანდარტის მიღწევის გზები. წლიური პროგრამები უნდა დაიგეგმოს სასწავლო თემების საშუალებით.

სასწავლო თემა იგეგმება შემდეგი კომპონენტების გამოყენებით:

სასწავლო თემა

სასწავლო თემა წარმოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.

საგნობრივი საკითხები

წლიური თემების ფარგლებში გამოიყოფა საგნობრივი საკითხები. საგნობრივი საკითხების სწავლება თვითმიზანს არ წარმოადგენს.

საგნობრივი საკითხების მეშვეობით მოსწავლე გაიაზრებს ცნების შინაარსს, ამუშავებს საკვანძო შეკითხვებს, ასრულებს კომპლექსურ დავალებებს.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები

ცნებები განსაზღვრავს იმ არსებით ცოდნას, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს.

თემატური საკვანძო შეკითხვები

თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი კითხვებიდან და დაისმის თემის კონკრეტულ კონტექსტში. მათი ფუნქციაა:

- მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;
- სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა;
- თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მათგან ნიშნულ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.

აქტივობები

მიმდინარე დავალებების ტიპების/ნიმუშების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული გაგება-გააზრების პროცესების ხელშესაწყობად, ასევე ცოდნის ათვისების, განმტკიცებისა თუ შეჯამების მიზნით.

კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი

კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.

შეფასების ინდიკატორები

შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის.

მკვიდრი წარმოდგენები

მკვიდრი წარმოდგენები განისაზღვრება სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში

მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდეს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად.

როგორ აიგება სასწავლო თემა?

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული. ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრება მკვიდრი წარმოდგენები, საკვანძო კითხვები და შეფასების ინდიკატორები.

სასწავლო თემის სწავლა-სწავლების მიზნით შემდეგ ეტაპზე უნდა განისაზღვროს საგნობრივი საკითხები, რესურსები, დავალებების ტიპები/ნიმუშები გაგების, გააზრების, განმტკიცებისა და შეჯამების მიზნით. ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს იდეები შემაჯამებელი კომპლექსური დავალებებისთვის, რადგან მხოლოდ კომპლექსური დავალებების საშუალებით შეიძლება გამოვლინდეს, რამდენად დაეუფლა მოსწავლე თემის ფარგლებში ასათვისებელ ცოდნა-უნართა ერთობლიობას და რამდენად ახერხებს მათ ფუნქციურად გამოყენებას.

სასწავლო თემის აგების ბიჯები

ნაბიჯი 1. მკვიდრი წარმოდგენების დადგენა
ნაბიჯი 2. თემატური საკვანძო კითხვების დასმა
ნაბიჯი 3. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა
ნაბიჯი 4. თემატური საკითხების განსაზღვრა
ნაბიჯი 5. აქტივობებისა და მიმდინარე დავალებების დაგეგმვა და რესურსების შერჩევა
ნაბიჯი 6. შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების შემუშავება

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების მნიშვნელოვანი მიდგომები

გაკვეთილებზე მოსწავლეები ხშირად სვამენ „რატომ“ კითხვებს. სწავლების პროცესი ისე უნდა წარმართოს, რომ ამ კითხვების დიდი ნაწილი შეიცვალოს „როგორ“ კითხვებით. „როგორ“ კითხვები ბევრად უფრო ამბაფრებს კვლევის წინაპირობას, ვიდრე „რატომ“ კითხვები. გაკვეთილის დაწყებისთანავე მასწავლებელმა მოსწავლეებში უნდა აღძვრას ინტერესი საკითხისა თუ თემის ირგვლივ, გაზარდოს მოტივაცია. მხოლოდ ამის შემდეგ უჩნდებათ მოსწავლეებს დამატებითი კითხვები, თუ „როგორ“ და „რატომ“ წარმოიშვა ესა თუ ის ფენომენი. საწყისი შეკითხვა შეიძლება მოდიოდეს მოსწავლისაგან, მასწავლებლისაგან, სახელმძღვანელოდან, ინტერნეტიდან ან რაიმე სხვა წყაროდან. კითხვის განსაზღვრაში მასწავლებელი გადამწყვეტ როლს ასრულებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასწავლებლის როლი იმ შემთხვევაში, თუ კითხვა მოსწავლეებმა უნდა ჩამოაყალიბონ. ამა თუ იმ თემასთან დაკავშირებით კითხვების შერჩევის დროს მასწავლებელი უნდა დაეყრდნოს მოსწავლეების წინარე ცოდნას და გამოცდილებას. მასწავლებელმა ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ მოსწავლეების მიერ დასმული კითხვა გამომდინარეობს მათივე დაკვირვებებით მიღებული ინფორმაციიდან, ამდენად, პასუხიც მათ ცოდნასა და განვითარების დონეს უნდა შეესაბამებოდეს. კვლევა მოსწავლეებისათვის საინტერესო ხდება მაშინ, თუ ის მათთვის მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხს ეფუძნება, რომელსაც აქვს კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან.

საბუნებისმეტყველო მეცნიერების სტანდარტის მოთხოვნების მისაღწევად აუცილებელია, მოსწავლე ჩართული იყოს კვლევა-ძიების პროცესებში და ჰქონდეს უწყვეტი პრაქტიკა. მოსწავლეები კვლევის არსს ვერ იგებენ მხოლოდ ტერმინების, მაგალითად, ჰიპოთეზა – დასწავლით, ან სხვადასხვა პროცედურის, მაგალითად, მეცნიერული კვლევის ეტაპების – დამახსოვრებით. მოსწავლე თვითონ უნდა იყოს ჩართული პროცესში. მაგ., თვითონ განსაზღვროს კვლევის ეტაპები, რათა უფრო ღრმად ჩასწვდეს მის არსს. ამასთან, კვლევა-ძიებითი აქტივობების მხოლოდ ჩატარება არ კმარა. კვლევა-ძიება და მისი შედეგების გააზრება ერთდროულად უნდა ხდებოდეს. სწავლა-სწავლების ახალი მიდგომა მოითხოვს მოსწავლეების ჩართვას მეცნიერული ცოდნის შეფასებაში. კვლევაში ჩართულმა მოსწავლეებმა და მასწავლებელმა უნდა დასვან შემდეგი კითხვები:

- რა ხდება, რა მოვლენა ან პროცესი მიმდინარეობს?
- მოვლენის/პროცესის რა მახასიათებლები გვაქვს?
- რომელი მახასიათებლები არ გვჭირდება?
- რა სახის ცვლადები გვაქვს?
- პასუხობს თუ არა მიღებული მონაცემები კვლევის მიზანს?
- რა ახსნა შეიძლება მოვუძებნოთ ამ მონაცემებს?
- რით სჯობს ერთი რომელიმე ახსნა დანარჩენებს?

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების პროცესში პრაქტიკული სამუშაოს გამოყენებას ფუნდამენტური როლი ენიჭება. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა შეძლოს კლასში პრაქტიკული

სამუშაოს ეფექტიანი წარმართვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა. პრაქტიკული სამუშაოს დამთავრების შემდეგ კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამუშაოს შედეგების განხილვისა და შეჯამების მიზნით დისკუსიის წარმართვას.

მიზნების გათვალისწინებით, სწავლების დროს შეიძლება გამოყენებული იყოს შემდეგის სახის პრაქტიკული სამუშაოები:

1. სადემონსტრაციო ცდა – პრაქტიკული სამუშაოები, რომელთა მიზანია კონკრეტული მეცნიერული მოვლენის ილუსტრირება;
2. გასავარჯიშებელი პრაქტიკული სამუშაოები – სავარჯიშოები, რომლებიც ექსპერიმენტების ჩატარების ტექნიკას, ხელსაწყოების მოხმარების პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას ემსახურება;
3. კვლევა-ძიებითი პრაქტიკული სამუშაოები - მათი მიზანია, მოსწავლეებმა ისწავლონ კვლევა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიყვნიან კვლევის ციკლის ეტაპებს. გამოიყენონ გასავარჯიშებელი პრაქტიკული სამუშაოების დროს მიღებული ცოდნა და უნარები.
4. პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული პრაქტიკული სამუშაოები გულისხმობს ისეთ აქტივობებს, სადაც მოსწავლეებს რეალური ობიექტებით მანიპულირების გზით უწევთ პრობლემის გადაჭრა - პრაქტიკული გამოსავლის მოძებნა.

სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ზრუნვა მეტაკოგნიციის უნარების განვითარებაზე, რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ეს აქტივობებია:

სტრატეგიების მოდელირება: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და მისი შესრულებისას „ხმამალა ფიქრობს“ იმაზე, თუ როგორ შეასრულოს ეს აქტივობა (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანხმლები მასალა და მისი.);

წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფურად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.), ასევე სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებენ თითოეულ ეტაპზე. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე.

შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა და ხერხი, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებს და აუმაღლებს სწავლის ქმედუნარიანობას.

დ) შეფასება

საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესობა უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც აფასებს მოსწავლეს თავის წინარე შედეგებთან მიმართებით, ზომავს ინდივიდუალურ წინსვლას და, ამდენად, აძლევს მოსწავლეს ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირების საშუალებას.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითადი მიზანია მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას შეასწავლის.

შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება

შემაჯამებელი შეფასებისთვის გამოიყენება კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოითხოვს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ინტეგრირებულად და ფუნქციურად გამოყენებას. ამ დავალებათა შესაფასებლად შეფასების რუბრიკა, ანუ კრიტერიუმების ბადე გამოიყენება.

მოსწავლეს თითოეული სასწავლო თემის დამუშავების შემდეგ ევალება შემაჯამებელი დავალების წარმოდგენა. შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა წლის განმავლობაში სავალდებულო სასწავლო თემების რაოდენობას ემთხვევა.

ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისათვის

სტანდარტის მოთხოვნათა მიღწევის შესაფასებლად რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება. შემაჯამებელის დავალება უნდა იძლეოდეს იმ ცოდნისა და უნარების სრულფასოვნად შეფასების საშუალებას, რომლის დაუფლებასაც ემსახურებოდა სწავლების პროცესი.

საბუნებისმეტყველო საგნების შემაჯამებელ დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს: ტესტი, მოდელირება, პროექტი, პრეზენტაცია, პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებული დავალებები. ექსპერიმენტის შედეგების ანალიზი, სავლე/გასვლითი სამუშაოს ანგარიში და სხვა.

ტესტი - ტესტური დავალებების ერთობლიობა. ტესტური დავალებები შეიძლება იყოს როგორც დახურული, ასევე - ღია. დახურული ტიპის დავალებების ქულების წილი მთლიან ტესტში, სასურველია, არ აღემატებოდეს 30%-ს. ღია ტიპის დავალებები უნდა ამოწმებდეს მოსწავლეების ანალიტიკური აზროვნების უნარებს. სასურველია, ღია ტიპის ტესტურ დავალებებში წამყვანი იყოს

კითხვები „რატომ“, „როგორ“. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ტესტური დავალებები უნდა მოიცავდეს სქემების, ნახატების და ნახაზების წაკითხვის, გაგების და ანალიზის კომპონენტსაც. მოსწავლეს უნდა მოეთხოვებოდეს გრაფიკული მათემატიკის საშუალებებით მოცემული ინფორმაციის წაკითხვა და/ან გრაფიკული მათემატიკის საშუალებების აგება პროცესების აღწერის მიზნით.

კვლევა-ძიებაზე დაფუძნებული დავალებები (მათ შორის ექსპერიმენტული სამუშაოები) - დავალებები, რომლებიც მოითხოვენ მოსწავლეების ჩართვას როგორც პრაქტიკულ კვლევით აქტივობებში, ისე მონაცემების დამუშავების, ანალიზის ინტერპრეტაციაში.

მოდელირება - პროცესის, მოვლენის, ობიექტის ანალოგის გამოყენება ან/და შექმნა. მოდელი შეიძლება იყოს როგორც ორგანიზაციული (სამეცნიერო ნახატი/ნახაზის შექმნა), ასევე სამეცნიერო-მედიკალური. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ახსნან მოდელის კომპონენტების ფუნქციები, მოდელის დახმარებით აღწერონ პროცესები, მოდელი შექმნან გარკვეული პრობლემის გადასაჭრელად. აუცილებელია მოსწავლეებმა იმსჯელონ მოდელის შეზღუდვებზე (მაგ., ატომის სიბრტყეზე გამოსახული სქემა არასრულფასოვნად აჩვენებს როგორ მოძრაობენ ელექტრონები ატომბირთვის გარშემო).

პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებული დავალებები - შესრულებული სამუშაო უნდა მოიცავდეს, პრობლემის განსაზღვრას, ანალიზს, პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზის შერჩევას და პრობლემის გადაჭრას. პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებული დავალება უნდა იძლეოდეს ალტერნატიული გადაჭრის გზების არსებობის შესაძლებლობას.

პროექტი - შესრულებული სამუშაო უნდა მოიცავდეს პრობლემის/საკითხის ანალიზს; პრობლემის/საკითხის ირგვლივ შეგროვებული ინფორმაციის ანალიზს, პროექტის დაგეგმვის და შესრულების (აქტივობების) აღწერას, დასკვნებს, პროექტის საბოლოო პროდუქტს.

პრეზენტაცია - შესრულებული ნაშრომის წარდგენა აუდიტორიის წინაშე. მნიშვნელოვანია, რომ პრეზენტაცია არ უნდა იყოს მოძიებული ინფორმაციის წარდგენა. საპრეზენტაციო დავალება უნდა იძლეოდეს საშუალებას, თითოეულმა მოსწავლემ/ჯგუფმა წარმოადგინოს საკუთარი ორიგინალური გადაწყვეტილება, ანალიზი, შეფასება ან სხვა.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასებისათვის განკუთვნილი დავალება

- თითოეულ დავალებას უნდა ახლდეს პირობა და დავალების პირობის შესაბამისი შეფასების რუბრიკა;
- დავალების შეფასების რუბრიკა, სტანდარტის შედეგების გარდა, უნდა ეფუძნებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლ უნარებსა და ღირებულებებს;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე;

შეფასების რუბრიკის ნიმუში

დავალება/აქტივობა: ექსპერიმენტის დაგეგმვა და ჩატარება

შეფასების კრიტერიუმები	ქულები	კომენტარი
1. კვლევის მიზნის განსაზღვრა და ჰიპოთეზის ჩამოყალიბება	0-1	
2. ექსპერიმენტის დაგეგმვა (ეტაპების განსაზღვრა, ცვლადების დადგენა შესაბამისი რესურსების შერჩევ	0-2	
3. მონაცემების შეგროვება და ორგანიზება	0-1	
4. მონაცემების ანალიზი, დასკვნების გამოტანა	0-2	
5. სამუშაოს წარდგენა/პრეზენტაცია	0-2	
6. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება	0-1	
7. ძალისხმევა	0-1	

(ამოქმედდეს 2019 წლის 15 სექტემბრიდან)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 11.05.2018წ.

თავი XVII. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - ზოგადი ნაწილი და სტანდარტები

მუხლი 75. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - ზოგადი ნაწილი

შესავალი

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) გარეშე დღეს წარმოდგენელია პროგრესი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში. შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება, ინფორმაციული საზოგადოების შექმნა და მსოფლიო ინფორმაციულ სივრცეში აქტიურად ჩართვა ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტულ ამოცანად არის მიჩნეული. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, როგორებიცაა დემოკრატიული, თავისუფალი და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, ქვეყნის უსაფრთხოება, ადამიანის უფლებების დაცვა, სიღარიბესთან და კორუფციასთან, ექსტრემიზმთან და ტერორიზმთან ბრძოლა.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიურმა გამოყენებამ სასწავლო პროცესში არა მხოლოდ ტექნიკური უნარ-ჩვევები შესძინოს მოსწავლეს, არამედ შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოსაყალიბებლად.

სასწავლო პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას რამდენიმე მნიშვნელოვანი მხარე აქვს, კერძოდ:

- ხელს უწყობს საგანთა შორის კავშირების წარმოჩენას;

- ხელს უწყობს შემოქმედებითობისა და ინოვაციური მიდგომების განვითარებას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია პრობლემებზე დაფუძნებული კონსტრუქტივისტული საკლასო გარემოს შესაქმნელად;
- ისტ-ის გამოყენებით შესაძლებელია ისეთი თვალსაჩინოებების შექმნა და გამოყენება, რომლებიც საჭიროა ახალი ცნების, ობიექტისა და პროცედურის შემოტანისას. ამის მაგალითებია:
 - არითმეტიკული მოქმედებები რიცხვებზე, როდესაც ამ მოქმედებების რეალიზაცია, ძირითადად, ხდება საგნობრივი თვალსაჩინოებების გამოყენებით (დაწყებით საფეხურზე);
 - ახალი სიტყვებისა და ფრაზების შესწავლა მშობლიურ თუ უცხოურ ენებში, როდესაც უცნობ სიტყვებსა და ფრაზებს მოსწავლეები უკავშირებენ შესაბამის გრაფიკულ გამოსახულებას;
 - ისეთი ბუნებრივი მოვლენების სიმულაცია, რომლებზე დაკვირვებაც შეუძლებელია ან ძალზე რთულია რეალურ ვითარებაში.
- ისტ-ის გამოყენებამ შესაძლოა უფრო ეფექტურად და ინტენსიურად შეუწყოს ხელი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული უნარ-ჩვევების განვითარებას. ასეთებია, მაგალითად:
 - ვიზუალური თუ რაოდენობრივი კანონზომიერებების აღმოჩენის უნარი (კანონზომიერება საგანთა მიმდევრობაში, კანონზომიერება გრაფიკულ გამოსახულებაში, რაოდენობრივი ცვლილების კანონზომიერება);
 - ობიექტთა ზომების დადგენისა და შეფასების უნარი;
 - ინფორმაციის გააზრებისა და ერთი ფორმატიდან მეორეში გადაყვანის უნარი (მაგალითად: ტექსტური მასალისათვის გრაფიკული გამოსახულების შერჩევა და პირიქით; სიტყვიერად აღწერილი რაოდენობრივი ინფორმაციის გამოსახვა და პირიქით);
 - სივრცული წარმოდგენის უნარი;
 - თანამშრომლობითი უნარ-ჩვევები;
 - სამუშაო სივრცის მომზადებისა და საჭირო საშუალებების შერჩევის უნარი.

ციფრული წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა

გარდა იმისა, რომ ისტ-ის გამოყენება მოსწავლეებს ეხმარება სხვადასხვა დისციპლინით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაში, იგი ხელს უწყობს თვით ისტ-თან დაკავშირებული კომპეტენციების განვითარებასაც. ისტ კომპეტენცია მოიცავს იმ ტექნიკურ და კოგნიტურ უნარებს, რომლებიც ინფორმაციაზე წვდომის, გამოყენების, შექმნის, დახვეწისა და გადაცემის შესაძლებლობას იძლევა ისტ-ის ინსტრუმენტების გამოყენებით. მოსწავლეები ამ კომპეტენციების დემონსტრირებას ახდენენ ტექნოლოგიების მიზნობრივად გამოყენებისას: ეს შეიძლება იყოს ინფორმაციის გაანალიზება და გაცვლა, იდეების ჩამოყალიბება და განვითარება, სხვადასხვა მოდელის შექმნა და მოწყობილობების მართვა. ციფრული წიგნიერება არის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობა, რომელიც ციფრული ტექნოლოგიების ეფექტიანად და მიზნობრივად, საკანონმდებლო და ეთიკური ნორმების დაცვით გამოყენების შესაძლებლობას იძლევა, ინფორმაციის მოპოვების, კვლევის, ორგანიზების, შეფასებისა და შექმნის გზით.

ისტ კომპეტენციები ცოტა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ცალკეულად აღებული ტექნიკური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების ტექნიკური უნარები, თუმცა, ბუნებრივია, ეს უკანასკნელიც ძალიან მნიშვნელოვანია. ისტ კომპეტენციები მოიცავს ინფორმაციულ-

საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწორად შერჩევისა და შეფასების უნარებს. მოსწავლეებს სჭირდებათ იმის ცოდნა, თუ რა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები არსებობს, როდის არის საჭირო მათი გამოყენება და კონკრეტულად რომელი ინსტრუმენტი იქნება ადეკვატური გადასაჭრელი ამოცანიდან გამომდინარე.

დღეს ციფრული, ისევე, როგორც რაოდენობრივი წიგნიერება, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე წიგნიერება ტრადიციული გაგებით. ამგვარად, დაწყებით საფეხურზე ისტ-ის გამოყენებისას ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი კომპეტენციების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, როგორებიცაა: კომპიუტერში ინფორმაციის შემტან-გამომტანი მოწყობილობების გამოყენება (კლავიატურა, მაუსი, ეკრანი); ციფრული მოწყობილობისა თუ ციფრული რესურსის პარამეტრების გააზრება (მაგალითად, მეხსიერება, ფერების რაოდენობა, საჭირო აპარატურული რესურსები); ციფრული მოწყობილობის მუშაობის პრინციპებისა და ინფორმაციის შენახვა, დამუშავება და მისი გადაცემის შესახებ წარმოდგენის შექმნა (მაგალითად, ოპერაციული სისტემისა და ფაილის ცნებების გააზრება, ასევე იმის გააზრება, რომ ტექსტური, გრაფიკული და აუდიომასალა ციფრულ მოწყობილობაში ინახება ერთი და იმავე სახის ერთეულში).

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლის პროცესში ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას. გარდა იმისა, რომ ისტ-ის გამოყენებით შესაძლებელია უფრო მდიდარი, მრავალფეროვანი და დინამიური სასწავლო მასალის შექმნა და გამოყენება, მისი საშუალებით შესაძლებელია სასწავლო შინაარსი გავხადოთ ინტერაქტიული. შედეგად, მოსწავლე ინფორმაციის პასიური მიმღები კი არ არის, არამედ მას თავად შეუძლია სასწავლო შინაარსის მოდიფიცირება და შექმნაც კი. ყოველივე ეს კი სრულად შეესაბამება სასწავლო პროცესისადმი თანამედროვე, კონსტრუქტივისტულ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს ცოდნის მიგნებასა და შექმნას თვით მოსწავლის მიერ.

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლების მიზნები და ამოცანები

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლების ძირითადი მიზანია ინფორმირებული, ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანად გამოყენების უნარის მქონე, ეთიკური და კანონმორჩილი პიროვნების აღზრდა, რომელიც შეძლებს ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვებას, მართვას, დამუშავებას, შეფასებას, ანალიზს და მასზე დაყრდნობით გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დასრულების შემდეგ მოსწავლეს უნდა ჰქონდეს საბაზისო ცოდნა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესახებ, ასევე მათი მოხმარების პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც საკმარისი იქნება როგორც მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის, ასევე შემდეგ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად.

საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, სასწავლო გეგმა ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას. ამგვარ ამოცანებს წარმოადგენს:

1. მოსწავლემ გაცნობიეროს ისტ-ით სარგებლობის სოციალური, ეთიკური, გარემოს დაცვასთან და ადამიანურ ფაქტორთან დაკავშირებული პრობლემები;
2. მოსწავლემ შეეძლოს ისტ-ის ეფექტიანი გამოყენება, მათ შორის, საყოფაცხოვრებო და რეალური ვითარების დროს წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრისას;

3. მოსწავლე ფლობდეს კვლევის ციფრულ საშუალებებს (იგულისხმება ინფორმაციის სხვადასხვა წყაროდან მოძიება, შენახვა, დამუშავება, ანალიზი და ანალიზის საფუძველზე დასკვნების ჩამოყალიბება);
4. მოსწავლე ფლობდეს ციფრული პროდუქტის შესაქმნელ საშუალებებს;
5. მოსწავლე ფლობდეს კომუნიკაციისა და თანამშრომლობის ციფრულ საშუალებებს.

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლების ორგანიზება

ეროვნულ სასწავლო გეგმაში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები მოაზრებულია როგორც დამოუკიდებელი საგანი, თუმცა ის ასევე განიხილება როგორც ინსტრუმენტი, რომელიც გამჭოლად გასდევს სხვადასხვა სასწავლო დისციპლინას. შესაბამისად, განსაზღვრულია ისტ-ის კომპეტენციების გამომუშავების სამი მიდგომა. ესენია:

1. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, როგორც დამოუკიდებელი სავალდებულო საგანი:

მეხუთე-მეექვსე კლასებში ხდება მოსწავლეებში დამწყები მომხმარებლისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების გამომუშავება: ძირითადი მოწყობილობების ცოდნა, ოპერაციული სისტემა, ტექსტთან და მულტიმედია მონაცემებთან მუშაობა (შექმნა, რედაქტირება), ოპერაციები ფაილებზე, ინტერნეტი, საოფისე პროგრამების პაკეტი და ა.შ., ხოლო საბაზო საფეხურზე ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლების ფარგლებში მოსწავლე გაეცნობა ალგორითმების შემუშავება-რეალიზაციის პრინციპებს; ვიზუალური პროგრამირების (ვიზუალური ბლოკების საშუალებით პროგრამული კოდის შექმნის) საშუალებით ისწავლის პროგრამულ კოდთან მუშაობას.

2. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ინტეგრირებული სხვა სასწავლო დისციპლინებში

სხვადასხვა საგნის მასწავლებელს არ უწევს ისტ ინსტრუმენტების ტექნიკური შესაძლებლობების საბაზისო ასპექტების სწავლება მოსწავლეებისთვის, მაგრამ მან უნდა შექმნას და შესთავაზოს მოსწავლეებს ახალი შესაძლებლობები ცოდნის გასაღრმავებლად; მოსწავლეებს შესაძლებლობა უნდა მიეცეთ, გამოავლინონ და განავითარონ ის კომპეტენციები, რომლებიც მათ უკვე შეძენილი აქვთ ისტ-ის დამოუკიდებელ საგნად სწავლებისას. მაშასადამე, გაკვეთილები რჩება საგნის მიზნებზე ორიენტირებული და მასწავლებლები არ კონცენტრირდებიან ისტ-ის ტექნიკურ დეტალებზე ჩაღრმავებით. იგულისხმება, რომ საგნის მასწავლებელმა კარგად უნდა იცოდეს, თუ რა ისტ კომპეტენციებს ფლობენ მისი მოსწავლეები, რათა შეთავაზებული ამოცანები ამ კომპეტენციების შესაბამისი იყოს.

3. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, როგორც არჩევითი საგანი:

ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს არჩევითი საგნების კურსს, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, კიდევ უფრო მეტად გაიფართოონ თვალსაწიერი და გაიმდიდრონ თავიანთი გამოცდილება ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულებით.

4. შეფასება ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში

ისტ კომპეტენციები შესაძლებელია გამოვლინდეს სხვადასხვა ციფრული საშუალების გამოყენებისას, სხვადასხვა ვითარებაში და სხვადასხვა სახის ციფრული მასალის შექმნისას. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ელექტრონული ცხრილის გამოყენება რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკური დამუშავებისას, ციფრული მასალის გამოქვეყნება ინტერნეტში ან ლოკალურ ქსელში, ლიტერატურული ან კვლევითი ხასიათის ნაშრომის მომზადება, მათემატიკური ან საბუნებისმეტყველო შინაარსის პრობლემის გადაჭრა ისტ-ის დახმარებით და ა.შ.

ეს შემთხვევები შესაძლოა არ იყოს მკაფიოდ გამიჯნული ერთმანეთისაგან და კონკრეტული სასწავლო ერთეული, მაგალითად, პროექტი, შეიძლება მოითხოვდეს მათ კომბინირებულად გამოყენებას სხვადასხვა ეტაპზე. შეფასებისას გამოყენებული აქტივობა და მისი შედეგი უნდა დაიყოს კომპონენტებად ისე, რომ გასაგები იყოს შეფასების სქემა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებისას ყოველთვის არ არის შესაძლებელი მოსწავლის კომპეტენციის შემოწმება მხოლოდ მიღებული პროდუქტის შინაარსის მიხედვით. ისტ-ის გამოყენებით შექმნილი ნაშრომის შეფასებისას უნდა შეფასდეს არა მხოლოდ ნაშრომის შინაარსი და დიზაინი, არამედ ისიც, თუ რა ტექნიკური საშუალებები და რა ფუნქციები გამოიყენა მოსწავლემ მისი გაფორმების დროს. ეს კი ყველაზე კარგად აისახება ამ ნაშრომის ციფრულ სტრუქტურაში, მაგალითად, დასათაურებისა და სტილების გამოყენებაში, სანიშნების, ბმულების და ნაშრომში გადაადგილების სხვა საშუალებების, ტექსტის სასურველი სახით განლაგებისას უხილავი ცხრილების, ტექსტური ველების გამოყენებაში, დანომვრისა და ჩამონათვალის გაკეთების ავტომატიზაციაში.

შეფასება საშინაო დავალების კომპონენტში უნდა დაეფუძნოს მოსწავლეთა ელექტრონულ პორტფოლიოს. ელექტრონული პორტფოლიო, ეს არის იმ ციფრულ ნამუშევართა/პროდუქტთა კრებული, რომელსაც მოსწავლე ქმნის და ინახავს მთელი კურსის განმავლობაში. პორტფოლიოში შესაძლოა გაერთიანდეს როგორც ინდივიდუალური ნამუშევრები, ასევე ჯგუფურად შესრულებული პროდუქტები. პორტფოლიოში შემავალ ძირითად საკითხთა ჩამონათვალი მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს კურსის დასაწყისშივე და მოამზადოს შესაბამისი განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებათა სქემები. მასწავლებელი მოსწავლეთა ნამუშევრების დახვეწისა და განვითარების მიზნით მოსწავლეებს პერიოდულად აძლევს განმავითარებელ შეფასებას, ხოლო საბოლოო ნამუშევრის/პროდუქტის ჩაბარების დროს აძლევს განმსაზღვრელ შეფასებას. კურსის ბოლოს მოსწავლეებმა უნდა წარადგინონ საკუთარი პორტფოლიო აუდიტორიის წინაშე, რა დროსაც განისაზღვრება მოსწავლის საბოლოო ნიშანი. პორტფოლიოს საბოლოო შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ისეთი კრიტერიუმები, როგორებიცაა:

- სწავლის სისტემატიურობა, შემოქმედებითობა და რესურსის გამოყენების რაციონალურობა;
- სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებზე ორიენტირება და დამოუკიდებლად სწავლის უნარების წარმოჩენა;
- შექმნილი ნამუშევრის ტექნიკურად დახვეწილობა, ესთეტიკურობა, ორიგინალობა.

შემაჯამებელი დავალება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- შემაჯამებელი დავალებებიდან სემესტრში ერთი მაინც უნდა იყოს პროექტის სახის, რა დროსაც გამოყენებული იქნება სხვადასხვა აქტივობა (მაგ., გასვლითი სამუშაო, მონაცემების აღრიცხვა/დამუშავება, ინფორმაციის კვლევა/ძიება, ექსპერიმენტი, მოდელირება, ციფრული პროდუქტის შექმნა, პრეზენტაცია და ა.შ.);
- შემაჯამებელი დავალება უნდა მოიცავდეს სტანდარტით გათვალისწინებულ თითქმის ყველა შედეგს;
- დავალების თითოეულ ტიპს საჭიროებისამებრ უნდა ახლდეს შეფასების რუბრიკა, რომელიც უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობების გათვალისწინებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 11.05.2018წ.

მუხლი 76. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სტანდარტი

1. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები დაწყებით საფეხურზე

შესავალი

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული V-VI კლასებში მისაღწევი კომპეტენციები მოიცავს ხუთ შედეგს. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, ამ კომპეტენციების ჩამოყალიბება იწყება კურსის პირველივე სასწავლო წლიდან - V კლასიდან და გრძელდება კურსის მეორე წელს. ამაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს ისტ კომპეტენციების ინტეგრირება სხვა სასწავლო დისციპლინებთან, რომლის მისაღწევი შედეგებიც ასახულია ისტ-ის ზოგადი უნარების სტანდარტში. ისტ-ის შედეგები ზუსტად იმეორებს იმ დასახელებებს, რომლებიც მოცემულია ისტ-ის ზოგადი უნარების სტანდარტის მიმართულებებში, თუმცა, თავის მხრივ, ის უფრო მეტ კომპეტენციას მოიცავს, ვიდრე ამ უკანასკნელითაა განსაზღვრული.

გარდა უნარ-ჩვევებთან დაკავშირებული კომპეტენციებისა, დოკუმენტში წარმოდგენილია სასწავლო მასალის შინაარსი, რომელიც თემატური საკითხების ჩამონათვალის სახითაა მოცემული.

V-VI კლასების სტანდარტი

VI კლასის ბოლოს მისაღწევი შედეგები

ინდექსების განმარტება

სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების საფეხურსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **ისტ.ტექნ.დაწყ.1**

„**ისტ.ტექნ.**“ - მიუთითებს საგანს „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“;

„**დაწყ.**“ - მიუთითებს V-VI კლასების სტანდარტს,

„**1**“ - მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სტანდარტის შედეგები

შედეგების ინდექსი	
ის.ტექნ.დაწყ.1.	მოსწავლე უნდა იცავდეს სოციალურ, ეთიკურ და უსაფრთხოების ნორმებს ისტ-ის გამოყენების დროს
	<p><i>მოსწავლე:</i></p> <ul style="list-style-type: none"> • ციფრული ინფორმაციის გამოყენებისას ესმის პლაგიატის მნიშვნელობა; • ქსელურ გარემოში ავლენს პოზიტიურ სოციალურ უნარ-ჩვევებს; • მონაწილეობს ციფრული ტექნოლოგიების უსაფრთხოდ გამოყენების სასკოლო/საკლასო წესების შემუშავებაში და იცავს მათ ქსელისა და ციფრული საშუალებების გამოყენებისას; • მსჯელობს ისტ-ის გამოყენების როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებზე ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში.
ის.ტექნ.დაწყ.2.	მოსწავლემ უნდა შეძლოს ისტ-ის ეფექტიანი და უსაფრთხო გამოყენება
	<p><i>მოსწავლე:</i></p> <ul style="list-style-type: none"> • ციფრული მოწყობილობების გამოყენებისას იცავს ჯანმრთელობის უსაფრთხოების ნორმებს; • უსაფრთხოდ და სწორად იყენებს ინფორმაციის შესანახ მოწყობილობებს (მყარი დისკი, CD, DVD, Blue-Ray, ფლემ მუხსიერება, მუხსიერების ბარათი) და მათი მიერთების ან/და ჩადების ადგილებს; • ეფექტიანად იყენებს კლავიატურას, იაზრებს კლავიშების განლაგებას და მათ ფუნქციებს; • ეფექტიანად იყენებს მაუსს/ტაჩპედს, მოხერხებულად იყენებს მის ღილაკებს; • ასახელებს სხვადასხვა ციფრულ საშუალებას და საუბრობს მათ დანიშნულებაზე; • ჩართავს და გამორთავს კომპიუტერს შესაბამისი ფუნქციის გამოყენებით, ასევე მოწყობილობის ჩართვა-გამორთვის ღილაკების საშუალებით. გაიაზრებს ამ ორ ხერხს შორის განსხვავებას; • აცნობიერებს სხვადასხვა სახის პროგრამული უზრუნველყოფის (მაგალითად: ტექსტური რედაქტორი, გრაფიკული რედაქტორი) დანიშნულებას და ფუნქციებს და ეფექტიანად იყენებს მათ ზოგიერთ ძირითად ფუნქციას (მაგალითად: მონიშვნა, კოპირება, ჩასმა, ფორმატირება); • გაიაზრებს ჰიპერტექსტური დოკუმენტის დანიშნულებას და იყენებს მას; • მუშაობის პროცესში საჭიროებისამებრ ინახავს ციფრულ მასალას პროგრამული უზრუნველყოფის შესაბამისი ფუნქციების გამოყენებით; • ქმნის ფაილებსა და საქაღალდეებს ლოგიკური ორგანიზების პრინციპით, მონაცემთა ეფექტიანად შენახვის, მოძებნისა და წაკითხვის მიზნით.
ის.ტექნ.დაწყ.3.	მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა სახის ციფრული საშუალების შერჩევა და გამოყენება ინფორმაციის მოძიებისას და კვლევის პროცესში
	<ul style="list-style-type: none"> • მოსწავლე: • იყენებს ისტ-ს კვლევის პროცესში იდეებისა და ინფორმაციის ორგანიზებისას; • ინფორმაციის სხვადასხვა ფორმატის მქონე საცავებში ძიებისას, შეარჩევს და იყენებს შესაბამის ციფრულ საშუალებებს; • ინფორმაციის ძიებისას ეფექტიანად იყენებს გავრცელებულ სამიუბო სისტემებს. შეუძლია სამიუბო სიტყვების, ფრაზებისა და მათი კომბინაციების ადეკვატურად შერჩევა და გამოყენება; • მოპოვებული ინფორმაციის სანდოობისთვის იყენებს რამდენიმე წყაროს,

	მსჯელობს თითოეული მათგანის სანდოობაზე.
ის.ტექნ.დაწყ.4.	მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა სახის ციფრული საშუალების შერჩევა და გამოყენება ციფრული პროდუქტის შექმნისას
	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> • აფასებს ციფრული საშუალებების შესაძლებლობებს და ადეკვატურად შეარჩევს მათ ახალი პროდუქტის შექმნისას; • იყენებს ისტ-ს კანონზომიერების აღმოჩენისას და კანონზომიერების შექმნისას (მაგ.,: რიცხვითი მიმდევრობა, ფიგურების განლაგება); • მიზნებისა და აუდიტორიის თავისებურებების გათვალისწინებით, ამზადებს პრეზენტაციას/სლაიდებს საკუთარი (ან ჯგუფის) მოსაზრებების წარმოსაჩენად ან მუშაობის შედეგის სადემონსტრაციოდ; • გაიაზრებს განსხვავებას პრეზენტაციასა და სხვა სახის ვიზუალურ და საკითხავ მასალას შორის; • ახდენს ტექსტური, გრაფიკული და აუდიო მასალის ეფექტიან კომბინირებას; • ციფრული ნამუშევრის/პროდუქტის შექმნისას კომბინირებულად იყენებს ტექსტურ, გრაფიკულ და აუდიო მასალას.
ის.ტექნ.დაწყ.5.	მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა სახის ციფრული საშუალების შერჩევა და გამოყენება კომუნიკაციისა და თანამშრომლობისათვის
	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> • იყენებს ისტ-ს სასკოლო საზოგადოებასთან საკომუნიკაციოდ ციფრული ინფორმაციის მოსაძიებლად, ციფრული მასალის შესაქმნელად და მისი ხარისხის გასაუმჯობესებლად; • იცავს საკომუნიკაციო საშუალებების კორექტულად გამოყენების წესებს (მაგალითად: იცავს ქსელის უსაფრთხოების წესებს, პირადი ხასიათის ინფორმაციის ხელშეუხებლობის ნორმებს, ციფრული რესურსების მისაწვდომობის ნორმებს).

სარეკომენდაციო შინაარსი

კომპიუტერი და მასთან დაკავშირებული მოწყობილობები

- კომპიუტერის აგებულება და მისი კომპონენტები (მაგ.; პროცესორი, ოპერატიული მეხსიერება, დედა პლატა);
- ინფორმაციის შემტან-გამომტანი მოწყობილობები და მათი დანიშნულება (მაგ., კლავიატურა, მიკროფონი, სკანერი, ვებ-კამერა, მონიტორი, პრინტერი, სპიკერები/ყურსასმენები, მაუსი/თაჩპედი, ჯოისტიკი);
- ინფორმაციის შესანახი მოწყობილობები (მაგ., მყარი დისკი, CD, DVD, BRD, ფლეშ მეხსიერება, მეხსიერების ბარათი, გარე მყარი დისკი);
- კლავიატურა, ლილაკთა ჯგუფები და მათი დანიშნულება.

ოპერაციული სისტემა და მისი ფუნქციები

- ციფრული მოწყობილობის ჩართვა და სისტემის ჩატვირთვის ეტაპები;
- გამორთვა და გადატვირთვა. მათ შორის, განსხვავება. განსხვავება პროგრამულად გამორთვასა და დენის წყაროდან გამორთვას შორის;

- ოპერაციულ სისტემაში მომხმარებლის შესვლა და გამოსვლა;
- სისტემის სხვადასხვა მდგომარეობა და მათ შორის, განსხვავება (მაგ., განსხვავება გამორთულ მდგომარეობასა და დაზოგვის რეჟიმს შორის);
- კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა. პროგრამული უზრუნველყოფის იერარქიული სტრუქტურა;
- ოპერაციული სისტემის დანიშნულება და მისი კომპონენტები;
- ოპერაციული სისტემის სამომხმარებლო ინტერფეისის გრაფიკული ელემენტები და მათი დანიშნულება. გრაფიკული ელემენტებთან ინტერაქცია მაუსის/თაჩპედის საშუალებით;
- სისტემის სტანდარტული სამომხმარებლო პროგრამები;
- პროგრამის გაშვება და პროგრამის მუშაობის დასრულება;
- ფაილისა და საქალაქის ცნება. საქალაქებთან დაკავშირებული მოქმედებები (მაგ., შექმნა, წაშლა, კოპირება, გადაადგილება);
- ფაილის შექმნა სხვადასხვა სამომხმარებლო პროგრამის გამოყენებით;
- ფაილებთან დაკავშირებული მოქმედებები (მაგ., კოპირება, გადაადგილება, წაშლა, წაშლილი ფაილის აღდგენა, ფაილების დაჯგუფება საქალაქებში);
- შენახული მასალის წაკითხვა პროგრამული უზრუნველყოფის შესაბამისი ფუნქციების გამოყენებით (მაგალითად: „Open”, „Import”);
- ციფრული ინფორმაციის საზომი ერთეულები.

გრაფიკული რედაქტორი

- სურათის შექმნა წინასწარ გამზადებული გრაფიკული ელემენტების (მაგალითად, გეომეტრიული ფიგურების) კომბინირებით;
- ფერის ცნება, ფერის პარამეტრები, ფერის ციფრული გენერაცია: სხვადასხვა ფერის მიღება ფერის პარამეტრების მოდიფიკაციით;
- მოქმედებები გრაფიკულ ობიექტებზე სხვადასხვა ხელსაწყო გამოყენებით;
- გეომეტრიული გარდაქმნები სურათის შემადგენელ გრაფიკულ ელემენტებზე (მაგ., მობრუნება, სიმეტრია, გაჭიმვა);
- სახატავი - კოორდინატთა სისტემა;
- სურათის ზომები და გარჩევადობა, მათი შეცვლა;
- ტექსტის ჩასმა სურათში სასურველ ადგილას;
- ფერის ფილტრი და მისი გამოყენება;
- გრაფიკული ეფექტები და მათი გამოყენება სურათის შემადგენელი გრაფიკული ელემენტების მიმართ;

- გრაფიკული ელემენტების იმპორტირება და მათი განთავსება სურათში;
- ბექდვისწინა დათვალიერება და ბექდვა.

ტექსტური რედაქტორი	საპრეზენტაციო პროგრამა	ელექტრონული ცხრილები
<ul style="list-style-type: none"> • ახალი დოკუმენტის, პრეზენტაციის, დავთრის შექმნა; შაბლონის გამოყენება; • შრიფტის ცნება და მისი პარამეტრები, ქართული შრიფტის თავისებურებანი; • მენსიერების ბუფერი; • ფაილში ინფორმაციის ძიება, ერთი ფრაგმენტის მეორეთი ჩანაცვლება; • ცხრილები და ინფორმაციის ორგანიზება ცხრილის საშუალებით; • სურათები და ფიგურები; • დიაგრამები, გრაფიკული სქემები, ტექსტური ჩარჩო; • სიმბოლოები და მათემატიკური გამოსახულებები; • კლავიშების დანიშნულება, „ცხელი“ კლავიშები; • გვერდის პარამეტრები, ბექდვისწინა დათვალიერება და ბექდვა; • უკანასკნელი ქმედებების გაუქმება/გამეორება. 		
<ul style="list-style-type: none"> • აბზაცის ფორმატირება, ტექსტის სტილი. 	<ul style="list-style-type: none"> • მოქმედებები სლაიდებზე: შექმნა, წაშლა, გადაადგილება, დამალვა; • ანიმაცია სლაიდის ობიექტებზე; • სლაიდებს შორის გადასვლის ეფექტები, გადასვლის ავტომატიზება; • პრეზენტაციის ჩვენების რეჟიმები. 	<ul style="list-style-type: none"> • მონაცემთა ტიპები; • ფორმულები და ხშირად გამოყენებადი ფუნქციები.

ინტერნეტი

- ვებბრაუზერი და მისი სამომხმარებლო ინტერფეისი;
- ვებსაიტი და მისი შემადგენელი კომპონენტები;
- ჰიპერბმული და მისი შესაბამისი მისამართი;
- სამიებო სისტემები და სამიებო ფრაზების სინტაქსი;
- ინტერნეტში განთავსებული მასალის გამოყენებასთან დაკავშირებული ეთიკური და საკანონმდებლო ნორმები; საავტორო უფლებები.

[2. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები საბაზო საფეხურზე

შესავალი

საბაზო საფეხურის ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

- საგნის სწავლა-სწავლების მიზნები
- სტანდარტის შედეგები და შინაარსი;
- მეთოდოლოგიური ორიენტირები;

დ) შეფასება.

საბაზო საფეხურზე საგნის „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“ (ისტ) ფარგლებში მოსწავლე შეისწავლის ალგორითმების შემუშავება-რეალიზაციის პრინციპებს; ვიზუალური პროგრამირების (ვიზუალური ბლოკების საშუალებით პროგრამული კოდის შექმნის) საშუალებით ისწავლის პროგრამულ კოდთან მუშაობას.

საგნის სწავლა-სწავლებისას მოსწავლე ჩართული იქნება აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მისცემს.

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს:

- ხელი შეუწყოს ციფრული მოქალაქეობის განვითარებას, ციფრულ სამყაროში არსებული შესაძლებლობების პასუხისმგებლობით გამოყენებას;
- მოსწავლეს განუვითაროს ალგორითმული აზროვნება;
- მოსწავლეს განუვითაროს პროგრამულ კოდთან მუშაობის საბაზისო უნარ-ჩვევები;
- მოსწავლეს შესძინოს ისტ-ის დარგობრივი ენით ოპერირების უნარი.
- მოსწავლეს განუვითაროს შემოქმედებითი მიდგომა პროგრამული პროდუქტების (კომპიუტერული პროგრამები, კომპიუტერული თამაშები და ა.შ.) შექმნისას.

ამ მიზნებზე მუშაობით საგანი „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“ თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას: რა უნდა შეეძლოს საბაზო საფეხურის მოსწავლეს საგნის „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების“ ფარგლებში.

შედეგები ჯგუფდება ორ მიმართულებად:

- **ციფრული მოქალაქეობა** - გულისხმობს სწავლა-სწავლებისას ციფრული ტექნოლოგიების ეფექტურად, უსაფრთხოდ, პასუხისმგებლობით გამოყენებას სამართლებრივი და ეთიკური ფაქტორების გათვალისწინებით; საზოგადოებაზე ისტ-ის როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ზემოქმედების გაცნობიერებას;
- **ალგორითმული აზროვნება** - გულისხმობს ალგორითმების (თანამიმდევრული ნაბიჯების) ჩამოყალიბებას პრობლემის გადაჭრის მიზნით და მის პროგრამულ რეალიზაციას (კომპიუტერული პროგრამის შექმნა და სხვა);

სტანდარტის შინაარსი განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულო ცნებების, თემატური ჩარჩოების, საგნობრივი საკითხების სახით.

სტანდარტის შედეგების ინდექსების განმარტება

სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ ინდექსი აქვს დართული. მაგ. ისტ.საბ.1., სადაც ისტ მიუთითებს საგანს – „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“;

„საბ“ - მიუთითებს საბაზო საფეხურს;
 „1“-შედეგის რიგს (1 = პირველი შედეგი).

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სტანდარტის შედეგები (VII-VIII კლასები)		
შედეგების ინდექსი	მიმართულება - ციფრული მოქალაქეობა	ძირითადი ცნებები
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
ისტ.საბ.1	ციფრულ სამყაროში საკუთარი და სხვისი უფლებების გააზრება და დაცვა;	ინტელექტუალური საკუთრება;
ისტ.საბ.2	კომუნიკაციისა და თანამშრომლობისთვის შეაბამისი ციფრული ინსტრუმენტების შერჩევა; უსაფრთხოების წესების დაცვითა და პასუხისმგებლობით მათი გამოყენება;	ეთიკის ნორმები; კიბერ დანაშაული;
	მიმართულება - ალგორითმული აზროვნება	ონლაინ კომუნიკაცია, კიბერუსაფრთხოება;
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	ალგორითმი;
ისტ.საბ.3	ალგორითმის ჩამოყალიბება, პროგრამული კოდის შემუშავება, პროგრამის შექმნა.	პროგრამული კოდი;
ისტ.საბ.4	კომპიუტერულ პროგრამაში/თამაშში, ცხოვრებისეული მოვლენების ასახვა. კომპიუტერული პროგრამის/თამაშის შექმნისას შემოქმედებითი მიდგომის გამოვლენა.	პროგრამული რეალიზაცია.

თემატური ბლოკი	ძირითადი ცნებები
ვიზუალური (ბლოკებით) პროგრამირება	ინტელექტუალური საკუთრება; კანონი, საავტორო უფლებები;

<p>პროგრამული კოდის შემუშავება შესაბამის პროგრამულ გარემოში*. (არასავალდებულო)</p>	<p>ეთიკის ნორმები; სოციალური პასუხისმგებლობა;</p> <p>კიბერ დანაშაული, კიბერუსაფრთხოება; ინფორმაციის დაცვა; უსაფრთხოების ნორმების დაცვა;</p> <p>ონლაინ კომუნიკაცია; ელ.ფოსტა; სოციალური მედია; ონლაინ საკომუნიკაციო სერვისები.</p> <p>ალგორითმი; პროგრამული რეალიზაცია. ალგორითმი, პროგრამული კოდი; პროგრამული პროდუქტი (პროგრამა), ტესტირება და დახვეწა.</p>
--	--

***შენიშვნა:** VII კლასში სავალდებულოა ვიზუალური პროგრამირების სწავლება. მაგ: <https://scratch.mit.edu/>, <https://studio.code.org/courses>, <https://developers.google.com/blockly/>, <http://www.alice.org/>, <https://www.kodugamelab.com/about> და სხვა), VIII კლასში სკოლას შეუძლია სწავლა-სწავლება ვიზუალური პროგრამირებით გააგრძელოს ან აირჩიოს რომელიმე პროგრამულ გარემოში მუშაობა (მაგ. JAVA, Python, C# და სხვა). ეროვნული სასწავლო გეგმა სავალდებულო სახით არ განსაზღვრავს, თუ რომელი ვიზუალური პროგრამირების რედაქტორში ან რომელი პროგრამული ენის გამოყენებით უნდა წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი. ამ მხრივ არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა პედაგოგებს, სკოლებსა და სახელმძღვანელოს ავტორებს ეძლევათ.

<p>თემატური ბლოკი - ვიზუალური (ბლოკებით) პროგრამირება</p>
<p>საკითხები</p> <p>VII კლასი</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ინტელექტუალური საკუთრების დაცვა ონლაინ სერვისების გამოყენებისას; 2. ეთიკის ნორმები, სოციალური პასუხისმგებლობა, ონლაინ სერვისებთან მუშაობისას; 3. ალგორითმის შემუშავება და გამოყენება პროგრამულ პროდუქტზე მუშაობისას; 4. ვიზუალური ბლოკებით პროგრამირება, პირველი ნაბიჯები: ობიექტების გადაადგილება/ამოძრავება; მოვლენები; 5. ფუნქციები <ol style="list-style-type: none"> 5.1. პარამეტრიანი ფუნქციები: ჩაშენებული ფუნქციები, რომლებსაც პარამეტრები გადაეცემა; 5.2. ფუნქციები პარამეტრების გარეშე: ჩაშენებული ფუნქციები, რომლებსაც პარამეტრები არ გადაეცემა; 6. პარალელური პროგრამირება: კოდის რამდენიმე ფრაგმენტის ერთდროულად, პარალელურად შესრულება; 7. ციკლები: <ol style="list-style-type: none"> 7.1. უსასრულო ციკლები; 7.2. სასრული ციკლები; 8. მომხმარებლისგან ინფორმაციის მიღების ინტერაქტიული ფორმები;

9. ობიექტები;
10. ობიექტების გადაადგილება კოორდინატების მითითებით;
11. პირობითი ოპერატორები.

VIII კლასი

1. ონლაინ საკომუნიკაციო სერვისების საშუალებით ინფორმაციის გაცვლა (ელ. ფოსტა, სოციალური მედია);
2. საკუთარ პროექტზე მუშაობისათვის, ინფორმაციის დაცვა, უსაფრთხოების დაცვა;
3. ობიექტების შეჯახების დაფიქსირება და შეჯახებაზე რეაგირება;
4. ჩადგმული პირობითი ოპერატორები;
5. ჩადგმული ციკლები;
6. არითმეტიკული ოპერატორები;
7. ლოგიკური ოპერატორები;
8. ცვლადები;
9. მოვლენებზე რეაგირება;
10. მოვლენების დაფიქსირება და მათზე რეაგირება;
11. კონტეინერები და კოლექციები;
12. სტრიქონებისა და რიცხვების დამუშავება.

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს

- კომუნიკაციისა და თანამშრომლობისას უსაფრთხოების წესების (მონაცემთა უსაფრთხოება), სამართლებრივი (ინტელექტუალური საკუთრება) და ეთიკური ნორმების (შინაარსი, დიზაინი) დაცვა (ისტ.საბ.1,2).
- პროგრამული პროდუქტის შექმნისას ეფექტური კომუნიკაცია და თანამშრომლობა (ელ.ფოსტა, სოციალური მედია; ონლაინ საკომუნიკაციო სერვისები) ეთიკის ნორმებისა და უსაფრთხოების წესების გათვალისწინებით (ისტ.საბ.1,2,3,4);
- მზა პროგრამული კოდის გამოყენებისას (არსებული კოდის კოპირება/გადმოტანა) სამართლებრივი და ეთიკის ნორმების დაცვა (ისტ.საბ.1,2,3);
- ალგორითმის (ბრძანებების ლოგიკური თანამიმდევრობის) შემუშავება; (ისტ.საბ.3);
- პროგრამული პროდუქტის შექმნა და მისი ტესტირება, დახვეწა (ისტ.საბ.3,4);
- პროგრამული პროდუქტის შექმნისას შესაბამისი ელემენტების (functions, parallel programming, operators, objects, events და ა.შ.) და ცვლადების ტიპების (Int, Double, Char, Bool, String) გამოყენება (ისტ.საბ.3,4).

დაზუსტება:

თემატური ბლოკი - პროგრამირების საფუძვლები (არასავალდებულო)
 VIII კლასში თემისთვის ჩამოყალიბებული შედეგების მოთხოვნების მიღწევა შესაძლებელია მოხდეს არა ვიზუალური პროგრამირებით გზით, არამედ პროგრამული კოდის შემუშავებით შესაბამის პროგრამულ გარემოში რომელიმე პროგრამული ენის საშუალებით (მაგ. JAVA, Python, C# და ა. შ. სხვა). ეროვნული სასწავლო გეგმა სავალდებულო სახით არ განსაზღვრავს, თუ რომელი პროგრამული ენის გამოყენებით უნდა წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი.

საფეხურებრივი საკვანძო კითხვები

საფეხურებრივი საკვანძო კითხვები სტანდარტის ცნებებს აკავშირებს შედეგებთან.

- რატომ და როგორ უნდა დავიცვა ტექნოლოგიებით სარგებლობისას, სხვებთან ონლაინ კომუნიკაციისას, უსაფრთხოების წესები და ეთიკის ნორმები?
- რა უნდა გავაკეთო რომ არ გავხვდე კიბერ დანაშაულის მსხვერპლი?
- როგორ შევქმნა პროგრამული პროდუქტი (მაგ., მარტივი კომპიუტერული თამაში)?
- როგორ შეცვალა ტექნოლოგიების განვითარებამ საავტორო უფლებებთან დამოკიდებულება?
- რა არის ალგორითმი და როგორ უნდა შევიმუშავო პროგრამული კოდი?
- როგორ იქმნება კომპიუტერული თამაში?
- რატომ მჭირდება შემოქმედებითი მიდგომის გამოყენება პროგრამული კოდის შემუშავებისას?

გ) მეთოდოლოგიური ორიენტირები

სტანდარტის ამ ნაწილში განსაზღვრულია, თუ რა პრინციპების საფუძველზე უნდა წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი. ასევე, მოცემულია მოკლე ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს კონკრეტული სასწავლო ერთეულის – თემის სწავლა-სწავლება

საგნის სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

- სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა მოტივირებას და შინაგანი ძალისხმევის გააქტიურებას.
- სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
- სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.
- სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას).
- სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

მეწარმეობა, ინიციატივების გამოვლენა და საქმედ ქცევა	<ul style="list-style-type: none"> • სწავლა-სწავლების პროცესში ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გამოვლენა; • ახალი იდეების, მიდგომების, შესაძლებლობების ძიება და მათი განხორციელება სწავლის გაუმჯობესების მიზნით; • მზაობა გამოწვევების მისაღებად, გაბედული ნაბიჯების გადასადგმელად.
დროსა და სივრცეში ორიენტირება	<ul style="list-style-type: none"> • თანამედროვე რეალობის სივრცულ-დროით ჭრილში გააზრება და ინტერპრეტირება; • მულტიპერსპექტიული ხედვა დროითი და სივრცული ფაქტორების გათვალისწინებით.
კვლევა	<ul style="list-style-type: none"> • კვლევითი ამოცანის, კვლევის პროცედურების, მონაცემების მოპოვების გზებისა და აღრიცხვის ფორმების განსაზღვრა; სათანადო

	<p>რესურსების შერჩევა;</p> <ul style="list-style-type: none"> • კვლევის ჩატარება, მონაცემების აღრიცხვა და სხვადასხვა ფორმით წარმოდგენა/ ორგანიზება; • მონაცემების ანალიზი, არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე დასკვნების გამოტანა; კვლევის შედეგების შეფასება; • კვლევითი სამუშაოების ჩატარების დროს ეთიკისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა.
<p>სწავლის სწავლა დამოუკიდებლად საქმიანობა</p>	<ul style="list-style-type: none"> • აქტივობის/დავალების ღირებულების განსაზღვრა - მოსწავლემ უნდა დაინახოს, რას შესძენს აქტივობის შესრულება, რა პიროვნულ თუ სოციალურ სარგებელს მოუტანს მას; • აქტივობის/დავალების დაგეგმვა - (მოთხოვნათა გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის განსაზღვრა; დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის განსაზღვრა; სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების დადგენა; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა; იმის განჭვრეტა, თუ რა გაუადვილდება, რა გაუძნელდება, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიების მიზანშეწონილად შერჩევა სამუშაოს თითოეული ეტაპისათვის; • სწავლის პროცესის მონიტორინგი - დაფიქრება სწავლის პროცესზე, იმ პირობების და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, სათანადო ზომების მიღება წინსვლის ხელშესაწყობად; თვითშეფასება ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად, სუსტი მხარეების გასაძლიერებლად გზების დასახვა; • სოციომოციური მართვა - ნერვიულობის მინიმუმამდე დაყვანა, საჭიროებისამებრ, დახმარების თხოვნა, საკუთარ თავში სიძნელეთა გადალახვის რესურსების პოვნა; შეცდომების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება და წინსვლის წყაროდ გამოყენება; • ცალკეული საქმიანობისთვის გამოყოფილი დროის ეფექტურად გამოყენება.
<p>წიგნიერება</p>	<ul style="list-style-type: none"> • ზეპირი და წერიტი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანის, გაანალიზება-ინტერპრეტირებისა და წარდგენა-გაზიარების უნარი.

სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ზრუნვა მეტაკოგნიციის უნარების განვითარებაზე, რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ეს აქტივობებია:

სტრატეგიების მოდელირება: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და მისი შესრულებისას „ხმამალა ფიქრობს“ იმაზე, თუ როგორ შეასრულოს ეს აქტივობა (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანხმობები მასალა და მისთ.).

წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფურად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.), ასევე სტრატეგიები,

რომლებსაც გამოიყენებენ თითოეულ ეტაპზე. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე.

შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა და ხერხი, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებს და აუმაღლებს სწავლის ქმედუნარიანობას.

წლიური პროგრამისა და სასწავლო თემის აგების პრინციპები

ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურებრივი საგნობრივი სტანდარტები განსაზღვრავს სავალდებულო საგნობრივ მოთხოვნებს (რა უნდა შეეძლოს და რა უნდა იცოდეს მოსწავლეს). მათზე დაყრდნობით იგეგმება წლიური პროგრამები, რომლებიც გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს.

წლიური პროგრამა უნდა დაიგეგმოს სავალდებულო სასწავლო თემის საშუალებით. სასწავლო თემა წამოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის ნაწილების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. რამდენადაც შედეგები საგნის სწავლების გრძელვადიან მიზნებს წარმოადგენს, თითოეული თემის ფარგლებში სტანდარტის ყველა შედეგი უნდა დამუშავდეს. მაშასადამე, სასწავლო თემების ცვლით შეიცვლება კონტექსტები, მაგრამ არ შეიცვლება სწავლის მიზნები, რომლებიც სტანდარტის შედეგების სახითაა ფორმულირებული (შედეგი თავისთავად არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს - თემას).

სასწავლო თემის დასაგეგმად გამოიყენება შემდეგი კომპონენტები:

სასწავლო თემები სასწავლო თემა წარმოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.
საგნობრივი საკითხები წლიური თემების ფარგლებში გამოიყოფა საგნობრივი საკითხები. საგნობრივი საკითხების სწავლება თვითმიზანს არ წარმოადგენს. საგნობრივი საკითხების მეშვეობით მოსწავლე გაიაზრებს ცნების შინაარსს, ამუშავებს საკვანძო შეკითხვებს, ასრულებს კომპლექსურ დავალებებს.
თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები ცნებები განსაზღვრავს იმ არსებით ცოდნას, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს.

თემატური საკვანძო შეკითხვები

თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი კითხვებიდან და დაისმის თემის კონკრეტულ კონტექსტში. მათი ფუნქციაა:

- მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;
- სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა;
- თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მათემატიკურ ელემენტს, რომელმაც სასწავლო თემის ფარგლებში შეიძლება შეასრულოს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლი.

აქტივობები

დავალებების ტიპები/ნიმუშების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული გაგება-გააზრების პროცესების ხელშესაწყობად, ასევე ცოდნის ათვისების, განმტკიცებისა თუ შეჯამების მიზნით.

კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი

კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.

შეფასების ინდიკატორები

შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემი ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის.

მკვიდრი წარმოდგენები

მკვიდრი წარმოდგენები განისაზღვრება სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდეს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად.

როგორ აიგება თემა?

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრეს ერთეულს ცნებები წარმოადგენს. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული. აღნიშნულ ცნებებზე დაყრდნობითა და სტანდარტის შედეგების მოთხოვნათა გათვალისწინებით გამოიყოფა თემის ასაგებად საჭირო კომპონენტები: **მკვიდრი წარმოდგენები, საკვანძო შეკითხვები და შეფასების ინდიკატორები.** თემის სწავლების ეტაპები ცნებებისა და საკვანძო კითხვების მეშვეობით განისაზღვრება.

თემის სწავლა-სწავლების დასაგეგმად ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს **იდეები შემაჯამებელი კომპლექსური დავალებებისთვის**, რადგან მხოლოდ კომპლექსური დავალებების საშუალებით შეიძლება გამოვლინდეს, რამდენად დაეუფლა მოსწავლე თემის ფარგლებში ასათვისებელ ცოდნა-უნართა ერთობლიობას და რამდენად ახერხებს მათ ფუნქციურად გამოყენებას.

ამის შემდეგ შეირჩევა თემის დასამუშავებლად საჭირო საგნობრივი საკითხები და რესურსები.

ნაბიჯი 1. მკვიდრი წარმოდგენების დადგენა	
ნაბიჯი 2. თემატური საკვანძო კითხვების დასმა	
ნაბიჯი 3. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა	
ნაბიჯი 4. თემატური საკითხების განსაზღვრა	
ნაბიჯი 5. აქტივობებისა და მიმდინარე დავალებების დაგეგმვა და რესურსების შერჩევა	
ნაბიჯი 6. შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების შემუშავება	

დ) შეფასება

საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

შემაჯამებელი (განმავითარებელი) შეფასება

შემაჯამებელი შეფასებისთვის გამოიყენება კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები (კომპიუტერული თამაშები), რომელთა შესრულება მოითხოვს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ინტეგრირებულად და ფუნქციურად გამოყენებას. დავალებათა შესაფასებლად შეფასების რუბრიკა, ანუ კრიტერიუმების ბადე გამოიყენება.

პროექტული დავალების შეფასების რუბრიკის ნიმუში:

კრიტერიუმები	ქულები (მაქსიმუმ 10 ქულა)
მკაფიოდ იკითხება თამაშის ალგორითმი;	0-2
თამაში აკმაყოფილებს დავალების პირობას (მაგ., კლავიატურის გამოყენებით თამაში, ტურების არსებობა თამაშში);	0-3
თამაშის შექმნის და საბოლოო პროდუქტის გაზიარების მიზნით მოსწავლე იყენებს ონლაინ საკომუნიკაციო სისტემებს (მაგ.: იმეილი, სოციალური ქსელი)	0-3

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №63/5 - ვებგვერდი, 11.05.2018წ.

თავი XVIII. ესთეტიკური აღზრდა - ზოგადი ნაწილი და სტანდარტები

მუხლი 77. ესთეტიკური აღზრდა - ზოგადი ნაწილი

შესავალი

პიროვნების აღზრდასა და ჰარმონიულ განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მისი ხელოვნებასთან ზიარება. სწორედ ეს ფუნქცია აქვს სკოლაში ესთეტიკური აღზრდის საგნებს. მათი შესწავლა უფითარებს მოსწავლეს სამყაროს მშვენიერების აღქმის უნარს, წარმოსახვას, შემოქმედებითობას, თვითგამოხატვის, კრიტიკული აზროვნების უნარებს, უღვივებს აღმოჩენისა და სიახლის ძიების სურვილს, რაც აუცილებელია მოსწავლის ნებისმიერი მომავალი საქმიანობისთვის და ამზადებს მას ცხოვრებისეული გამოწვევებისთვის. ამ საგნების შესწავლისას მოსწავლე ეუფლება თვითგამოხატვის განსხვავებულ საშუალებებსა და ფორმებს. ესთეტიკური საგნების შესწავლა აზიარებს მოსწავლეს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს და ამავდროულად ხელს უწყობს ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებას. ესთეტიკური აღზრდის ჯგუფი აერთიანებს ორ საგანს: მუსიკას და სახვით და გამოყენებით ხელოვნებას. ესთეტიკური აღზრდის ჯგუფი, გარკვეულწილად, ითავსებს **თეატრალური ხელოვნების ელემენტებს**, ვინაიდან მუსიკის სწავლისას დიდი დატვირთვა ენიჭება წარმოდგენას (პერფორმანსს). პიროვნების აღზრდა-განვითარებისთვის აუცილებელი **შრომითი საქმიანობა** ხელოვნების სწავლებასთან არის ინტეგრირებული. ამ ინტეგრირების საფუძველს სახვითი ხელოვნების სწავლებაში გამოყენებით-დეკორატიული ხელოვნების ელემენტების ჩართვა წარმოადგენს.

ესთეტიკური აღზრდის სწავლების მიზნები და ამოცანები

ესთეტიკური აღზრდის სწავლების მიზნებია:

- ინტერესისა და სიყვარულის გაღვივება ხელოვნებისადმი;
- სამყაროს ერთიანობის განცდის ჩამოყალიბება;
- ეროვნული, სხვა ერისა და ზოგადსაკაცობრიო კულტურის დაფასების, განსხვავებული აზრისა და მსოფლმხედველობის, ადამიანის შრომის მიმართ პატივისცემის გრძნობის გამომუშავება;
- გარემოს ესთეტიკური აღქმის, მშვენიერების განცდისა და მხატვრული გემოვნების განვითარება;
- შემოქმედებით-ასოციაციური აზროვნებისა და ემოციური სფეროს განვითარება;
- წარმოსახვის, კრიტიკული აზროვნების, თვითგამოხატვის, შემოქმედებითი და საკომუნიკაციო უნარების განვითარება.

ესთეტიკური აღზრდის სწავლების ამოცანებია:

- ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ ფასეულობებთან ზიარება;
- ხელოვნების უნივერსალური ენის შესწავლა;
- მოსწავლის ჩაბმა შემოქმედებით და საინტერპრეტაციო საქმიანობაში;
- ხელოვნების ნიმუშის/ნაწარმოების აღქმის უნარის ჩამოყალიბება;
- მსჯელობისა და წარდგენის უნარის გამომუშავება;
- სამუშაო გარემოს მოწესრიგებისა და მოვლის, შრომითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება;
- შემოქმედებითი საქმიანობის ტექნიკურ საშუალებათა დაუფლება;
- ხედვის, სივრცითი წარმოდგენების, დაკვირვების უნარის, მხედველობითი მეხსიერებისა და ხელის მოტორიკის განვითარება;
- მუსიკის მოსმენის ჩვევის გამომუშავება;
- მუსიკალური სმენისა და მეხსიერების, რიტმის გრძნობის, პლასტიკისა და კოორდინაციის განვითარება;
- მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ენის (მათ შორის, მუსიკალური დამწერლობის) შესწავლა.

ესთეტიკური აღზრდის სწავლების ორგანიზება

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სამივე საფეხურზეა გათვალისწინებული: დაწყებითსა და საბაზოზე - სავალდებულო (I-IX კლასები), ხოლო საშუალოზე - (XI-XII კლასები) არჩევითი საგნების სახით.

შეფასება ესთეტიკურ აღზრდაში

შეფასება სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში

შეფასების კომპონენტები სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში

მიმდინარე (საშინაო და საკლასო) დავალებათა კომპონენტები

შეიძლება შეფასდეს შემდეგი ცოდნა და უნარ-ჩვევები:

- შემოქმედებითობა (გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი ხელწერის, ხედვის დემონსტრირება, ტექნიკის, მასალის და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ეფექტურად გამოყენება ჩანაფიქრის გადმოსაცემად და სხვ.);
- მასალის, ტექნიკის და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების გამოყენება;
- ნამუშევრის შესახებ საუბარი (გამოყენებულ მასალაზე, ტექნიკასა და მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით);
- ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშების დაკავშირება ისტორიულ, რელიგიურ, კულტურულ და სოციალურ კონტექსტთან;
- ხელოვნების დარგებისა და ჟანრების ამოცნობა და მსჯელობა;
- ზეპირი გამოსვლა/პრეზენტაცია (სათქმელის ნათლად და გასაგებად გადმოცემა, აუდიტორიასთან კონტაქტი, თვალსაჩინოებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება და სხვ.);
- საკუთარი აზრის დასაბუთებულად წარმოჩენა;
- კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა;
- სხვისი აზრის პატივისცემის დემონსტრირება;

- სასწავლო აქტივობებში ჩართულობა;
- თანამშრომლობა (მეწყვილესთან, ჯგუფის წევრებთან);
- ორგანიზებულობა (სისტემურობა, დროის ლიმიტის დაცვა, საჭირო მასალის, აღჭურვილობის ქონა).

ცოდნა და უნარ-ჩვევები ფასდება შემდეგი დავალებებით:

- კონკრეტული პრაქტიკული სამუშაოს შესრულება ან ნამუშევრის შექმნა გარკვეულ თემაზე (მოსწავლეებმა პრაქტიკული სამუშაო შეიძლება შეასრულონ წარმოსახვით, მეხსიერებით, ნიმუშის მიხედვით და ასევე, ასახონ გარემოზე დაკვირვების შედეგები, მაგ., პეიზაჟი, ნატურმორტი და სხვ.);
- საკუთარი და სხვისი ნამუშევრების განხილვა;
- ხელოვნების ნიმუშის შესახებ მსჯელობა;
- გარკვეული ეპოქის, შემოქმედის ან ხელოვნების ნიმუშის ანალიზი ან მის ირგვლივ მსჯელობა;
- ინდივიდუალური ან ჯგუფური პრეზენტაციის მომზადება (საკუთარი და სხვების ნამუშევრების პრეზენტაცია, აუდიტორიისთვის წარდგენა და სხვ.);
- დაკვირვება გარემოზე (დაკვირვების შედეგებზე მსჯელობა ან ასახვა ნამუშევარში);
- მასალის მოძიება;
- რეფერატის შედგენა.

შემაჯამებელი დავალებების კომპონენტი

შემაჯამებელი დავალების კომპონენტი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. ამ კომპონენტში უნდა შეფასდეს ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა შეძლოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარ-ჩვევების წარმოჩენა.

შემაჯამებელ დავალებათა ტიპები:

სტანდარტის მოთხოვნათა შესასრულებლად რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალი ფორმის გამოყენება. სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში შესაძლებელია შემდეგი ტიპის შემაჯამებელი დავალებების გამოყენება:

- პრაქტიკული სამუშაო, მაგ., მასშტაბური ნამუშევარი;
- გამოფენა;
- პროექტი (პროექტის სავარაუდო თემები: პროექტები, რომლებიც დაკავშირებულია რომელიმე ხელოვნების ან გამოჩენილი ადამიანის შემოქმედებასთან, მოღვაწეობასთან, ხელოვნების დარგებთან და ჟანრებთან, მსოფლიოში/ქვეყანაში/ ქალაქში/ რეგიონში და სხვ. მომხდარ მოვლენასთან (*ეკოლოგიური, პოლიტიკური, სოციალური და სხვ.*), ასევე, გამოფენის ექსპოზიცია, სპექტაკლის გაფორმება, გაზეთის, ჟურნალის, წიგნის მაკეტი; სკვერის კეთილმოწყობა, სკოლის, საკლასო ოთახის, ინტერიერის დიზაინი და სხვ.);
- მოხსენება-რეფერატი (გარკვეული ეპოქის, შემოქმედის შესახებ);
- პრეზენტაცია;
- ტესტი
- და სხვ.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი დავალებები:

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- მითითებული უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.

შეფასება მუსიკაში

შეფასების კომპონენტები მუსიკაში

შეიძლება შეფასდეს შემდეგი ცოდნა და უნარ-ჩვევები:

- წარმოსახვითი უნარები.
- ასოციაციური აზროვნება;
- შემოქმედებითობა;
- მუსიკის მოსმენის ჩვევა;
- მუსიკალური მეხსიერება;
- რიტმის გრძნობა;
- იმპროვიზაციულობა;
- საკუთარი აზრის დასაბუთების უნარი;
- მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
- წარდგენის (პრეზენტაციის) უნარი;
- მუსიკალური ინტონირება;
- სოციალური უნარები;
- ტოლერანტობა.

ცოდნა და უნარ-ჩვევები ფასდება შემდეგი დავალებებით:

- მუსიკის მოსმენა და მასთან დაკავშირებული დავალებების შესრულება;
- მასალის მოძიება;
- დავალების შესრულება მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით და ა. შ.
- თეატრალური სკეტჩები, ეტიუდები მუსიკის თანხლებით;
- ჩანახატი, პერსონაჟის პორტრეტის სხვადასხვა მუსიკალური ენის ელემენტების გამოყენებით;
- მუსიკალური კომპოზიციის ჩანაწერი სხვადასხვა სიმბოლოების გამოყენებით;
- თხრობა;
- როლური თამაშები;
- ინტერვიუ;
- ცეკვა;
- პანტომიმა;
- შემოქმედებით საქმიანობაში მონაწილეობა: სიმღერა, იმპროვიზაცია, მუსიკალურ-დრამატული კომპოზიციები, მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამების შექმნა;
- კონცერტის, წარმოდგენის რეპეტიციებში მონაწილეობა;
- პროექტის მომზადება;
- საკუთარი და სხვისი შესრულების / შემოქმედების განხილვაში მონაწილეობა;
- მუსიკალური ნაწარმოების კონტექსტის განხილვა;
- სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვა და მომზადება;
- საკუთარი ნაშრომის, შემოქმედებითი საქმიანობის წარდგენა;

- სხვადასხვა დავალების შესრულებისას მუსიკალური დამწერლობის გამოყენება;
- და სხვ.

შემაჯამებელი დავალებების კომპონენტი

შემაჯამებელი დავალების კომპონენტი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. ამ კომპონენტში უნდა შემოწმდეს ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა შეძლოს მუსიკის სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების წარმოჩენა.

შემაჯამებელ დავალებათა ტიპები:

სტანდარტის მოთხოვნათა დასაფარად, რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება. მუსიკის შემაჯამებელ დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს:

- კონცერტი/ წარმოდგენა;
- ვიქტორინა;
- მოხსენება-რეფერატი;
- ლექცია-კონცერტი;
- პრეზენტაცია;
- ტესტირება;
- პროექტი (*მოსწავლის მიერ შესრულებული პროექტის სავარაუდო თემები: თემატური წარმოდგენის/კონცერტის გამართვა; ტელეგადაცემის, რადიოგადაცემის, სპექტაკლის მომზადება; გაზეთის, ჟურნალის, სანოტო ალბომის მომზადება; კლიპის გადაღება სიმღერის, მუსიკალური ნაწარმოების ან სხვა თემაზე; სკოლაში ცნობილი კომპოზიტორის, მომღერლის, რეჟისორის მიწვევა, შეხვედრის ორგანიზება და წარმართვა და ა. შ.*);
- მუსიკალური კოლაჟი;
- მარტივი სიუჟეტის წარდგენა მუსიკალური ენის ელემენტების გამოყენებით.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი დავალებები:

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- მითითებული უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.

მუხლი 78. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სტანდარტი

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება დაწყებით საფეხურზე

შესავალი

დაწყებით საფეხურზე ხელოვნების, როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი დარგის, პედაგოგიურ პოტენციალს მისი თვალსაჩინო-სახეობრივი ბუნება განსაზღვრავს. უმცროსკლასელებში, მათი ასაკობრივი თავისებურებიდან გამომდინარე, თვალსაჩინო-პრაქტიკული აზროვნება და სამყაროს ემოციური აღქმა სჭარბობს, ამიტომ მათთვის მნიშვნელოვანია აღმოჩენაზე, კეთებაზე, დაკვირვებაზე დაფუძნებული აქტივობა, რასაც კარგად მიესადაგება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შესწავლის სპეციფიკა.

დაწყებით საფეხურზე ხელოვნების სწავლება ძირითადად ბავშვის ემოციური და შემეცნებითი სფეროს, შრომითი და საკომუნიკაციო უნარების განვითარებას ემსახურება.

მიმართულებების აღწერა

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლება სასწავლო გეგმის მიხედვით სამი მიმართულებით იმდება:

- შემოქმედებითობა და პრაქტიკა;
- კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია;
- ხელოვნების აღქმა კონტექსტში.

სწავლება ყველა მიმართულების ფარგლებში მიმდინარეობს პარალელურად და ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირში.

შემოქმედებითობა და პრაქტიკა

ამ მიმართულების ფარგლებში მოსწავლეები ჩართულნი არიან შემოქმედებით საქმიანობაში, ახდენენ მრავალფეროვანი იდეების გენერირებას (*იდეების წყარო მრავალფეროვანი უნდა იყოს, მაგ.: წარმოსახვა, საკუთარი ფანტაზია, გარემოდან მიღებული შთაბეჭდილებები, სხვა საგნებში გავლილი მასალა, ზღაპრები, პოეზია, ლიტერატურული ნაწარმოებები, საბავშვო ბიბლია, მოთხრობები, ადაპტირებული მითოლოგია - ქართული, ძველბერძნული, ძველი აღმოსავლეთის; იგავ-არაკები, საბავშვო ლიტერატურის ილუსტრაციები, ზღაპრული, მითოლოგიური, ბიბლიური, მხატვრული ნაწარმოებების პერსონაჟები და სიუჟეტები, ცნობილ ხელოვანთა ან თანატოლების ნამუშევრები, მხატვრული, ანიმაციური ფილმები, მუსიკალური ნაწარმოებები; საკონცერტო, თეატრალური, საცირკო წარმოდგენები, ადგილობრივი და ოჯახური სადღესასწაულო ტრადიციები და სხვა).* მიმართავენ თვითგამოხატვის სხვადასხვა ფორმას, ქმნიან ნამუშევრებს წარმოსახვით, ფანტაზიით, ასახვენ გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებებს, განწყობილებებს და სხვ. ამისთვის მოსწავლეები ეუფლებიან ხელოვნების მოცემული დარგის ელემენტებს, პრინციპებს, გამომსახველობით ხერხებს, ეცნობიან სხვადასხვა ტექნიკას, მასალასა და იარაღს. შედეგად, მოსწავლეებს უღვივდებათ ცნობისმოყვარეობა, აღმოჩენისა და სიახლის ძიების სურვილი, უვითარდებათ წარმოსახვა და პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის უნარი.

შემოქმედებითობის გასავითარებლად და დასახული მიზნების განსახორციელებლად მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს ისეთი სტრატეგიები და აქტივობები, რომლებიც გამოხატვის მრავალფეროვანი გზების, საშუალებებისა და მიდგომების ძიებაზე, ექსპერიმენტებსა და აღმოჩენებზე იქნება დაფუძნებული. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის ინტერესები და გამოცდილება, მისცეს მას განსხვავებული იდეების წამოყენებისა და გადაწყვეტილებების მიღების საშუალება (მაგ., თავად შეარჩიოს თემა, სიუჟეტი, მასალა, ტექნიკა და სხვ.).

ამ მიმართულების ფარგლებში მოსწავლეებს აგრეთვე უვითარდებათ აღჭურვილობის მოტანა-მოწესრიგების, დროის ლიმიტის, კლასში მოქცევის, ჰიგიენისა და უსაფრთხოების წესების დაცვის, სამუშაო ადგილის, საკლასო ოთახის მოწესრიგების უნარები; ჩართულნი არიან შრომით საქმიანობაში (მაგ., მონაწილეობა ეზოს დასუფთავება-გალამაზებაში, დაზიანებული ნივთებისა და სასკოლო ინვენტარის (წიგნი, რუკა) აღდგენა და სხვ.).

კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია

ამ მიმართულების ფარგლებში მოსწავლეები სწავლობენ ხელოვნების ნაწარმოების გაგებასა და შეფასებას, მის შესახებ აზრის ჩამოყალიბებას, ხელოვნების, როგორც თვითგამოხატვისა და კომუნიკაციის საშუალების, გააზრებას. ეჩვევიან საკუთარი ჩანაფიქრის ნათელ და მკაფიო განმარტებას (*მოსწავლემ საუბრისას სწორად უნდა შეძლოს ტერმინების გამოყენება, ადეკვატურად რეაგირება მასწავლებლის კომენტარზე, ასევე რჩევისა და მითითების გაგება და შესრულება. მას უნდა ესმოდეს ტერმინის მნიშვნელობა, უნდა შეეძლოს საკუთარი სიტყვებით ახსნა, თუმცა არ მოეთხოვება ტერმინის განმარტების დაზეპირება*) და სხვისი აზრის გულისყურით მოსმენას, უვითარდებათ შეფასებისა და თვითშეფასების უნარები.

მოსწავლეებს ასევე უვითარდებათ სოციალური და საკომუნიკაციო უნარები, ეუფლებიან გუნდური მუშაობის მეთოდებს (წყვილში/ჯგუფში ერთობლივი მუშაობა, სხვადასხვა სამუშაოს შესრულების დროს ერთმანეთთან თანამშრომლობა, ერთობლივი გადაწყვეტილების მიღება, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, განსხვავებული აზრის მოსმენა/გათვალისწინება, ინიციატივის გამოჩენა და სხვ.).

ამ მიმართულების ფარგლებში, კულტურული მემკვიდრეობის გაცნობის მიზნით, უნდა მოეწყოს ექსკურსიები მუზეუმებში, გალერეებში, ისტორიულ ძეგლებზე, შეხვედრები ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებთან და სხვ. მოსწავლეებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ საკლასო და სასკოლო გამოფენებში, სპექტაკლებში, აქციებში, ზეიმებსა და სხვა ღონისძიებებში; დახმარება უნდა გაუწიონ უმცროსკლასელებს ზეიმების გაფორმებაში, ინვენტარის შეკეთებაში, კლასის მოწყობაში და სხვ.

ხელოვნების აღქმა კონტექსტში

ამ მიმართულების ფარგლებში მოსწავლეები ეცნობიან ქართული და მსოფლიო ხელოვნების ცნობილ ნიმუშებს (*დაწყებით კლასებში მოსწავლეს არ მოეთხოვება ნანახი ხელოვნების ნიმუშის სათაურის და ავტორის ვინაობის ცოდნა, თუმცა, თანდათან მაინც უნდა შეძლოს ზოგიერთი მათგანის დასახელება, რათა ნელ-ნელა შეეჩვიოს ხელოვნების ნაწარმოებთან ურთიერთობას*) უძველესი დროიდან დღემდე და ხალხურ შემოქმედებას, არკვევენ მათ შინაარსს, დანიშნულებასა და როლს საზოგადოების ცხოვრებაში. აკავშირებენ მათ ყოველდღიურ რეალობასთან და საკუთარ გამოცდილებასთან, ეცნობიან მათი შექმნისა და შეფასების განსხვავებულ ისტორიულ, კულტურულ, სოციალურ და სხვა კონტექსტებს.

მოსწავლეებს უვითარდებათ სამყაროს ესთეტიკური აღქმის, დაკვირვებისა და მისით ტკბობის უნარი. ამისთვის ყურადღება უნდა გამახვილდეს გარემოში ხელოვნებისა და მისი ელემენტების მრავალფეროვნების აღქმასა და გააზრებაზე (*მასწავლებელმა მოსწავლეებს ყურადღება უნდა გაამახვილებინოს იმაზე, თუ სად და რა სახით შეხვედრიათ ხელოვნება, მისი გამოვლინება ყოველდღიურ ცხოვრებაში (ილუსტრირებული წიგნები, სათამაშოების დიზაინი, ანიმაციური ფილმები, მუზეუმებში და გალერეებში არსებული ხელოვნების ნიმუშები და სხვ.)*).

ა) I-IV კლასების სტანდარტი

IV კლასის ბოლოს მისაღწევი შედეგები ინდექსების განმარტება

დაწყებითი საფეხურის სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **ს.გ.დაწყ.(I).1.:**

„ს.გ.“ - მიუთითებს საგანს „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“;

„დაწყ“ - მიუთითებს დაწყებით საფეხურს;

„(I)“ - მიუთითებს, რომ სტანდარტი მოიცავს I-IV კლასებს;

„1“ - მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სტანდარტის შედეგები (I-IV კლასები)	
შედეგების ინდექსები	მიმართულება: შემოქმედებითობა და პრაქტიკა
ს.გ.დაწყ.(I).1.	მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარ ინტერესებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების) და/ან გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების ასახვა ნამუშევარში სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების გამოყენებით.
ს.გ.დაწყ.(I).2.	მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის შერჩევა და გამოყენება საკუთარი ჩანაფიქრის და იდეის განსახორციელებლად.
	მიმართულება: კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია
ს.გ.დაწყ.(I).3.	მოსწავლემ უნდა შეძლოს თანაკლასელებთან თანამშრომლობით (წყვილში, გუნდში) შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვა და განხორციელება.
ს.გ.დაწყ.(I).4.	მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება და საუბარი საკუთარ, თანაკლასელთან ან ცნობილ ხელოვანთან ნამუშევრებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.
	მიმართულება: ხელოვნების აღქმა კონტექსტში
ს.გ.დაწყ.(I).5.	მოსწავლემ უნდა შეძლოს ხელოვნების მრავალფეროვნების აღქმა გარემოში და საკუთარი დამოკიდებულებისა და შთაბეჭდილების გამოხატვა.
ს.გ.დაწყ.(I).6.	მოსწავლემ უნდა შეძლოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგებისა და ჟანრების განსხვავება ერთმანეთისგან, მათი დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასა და სხვა საგნებში განვლილ მასალასთან.

შინაარსი

სახვითი ხელოვნების ელემენტები: ხაზი (სხვადასხვა ტიპის სქელი, წვრილი, სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, მრუდი, დიაგონალური; განსხვავებული სისქის კონტური, შტრიხი); ფერი (ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, კონტრასტული, ტონალობა - თეთრის ან შავი ფერის დამატებით მიღებული ტონი); ფორმა (მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, ბრტყელი და მოცულობითი - 2D და 3D).

სახვითი ხელოვნების პრინციპები: რიტმი, ძირითადის გამოყოფა, წინა და უკანა ხედი, კონტრასტი, სტატიკა, დინამიკა.

ტექნიკა და პროცედურა: ფერწერა, გრაფიკა, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, მოზაიკა, ანაბეჭდი, მონოტიპია და სხვა.

სარეკომენდაციო მასალა და იარაღი: ფანქარი, პასტელი, ფლომასტერი, გუაში, აკვარელი, ნახშირი, სანგინა, ფერადი ცარცები, ფერადი ქაღალდი, მუყაო, ქსოვილი, პლასტილინი, თიხა, სხვა მასალა (ტრადიციული და არატრადიციული, ბუნებრივი და ხელოვნური), ფუნჯი, მაკრატელი, წებო და სხვ.

სახვითი ხელოვნების დარგები: ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, არქიტექტურა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება.

სახვითი ხელოვნების ჟანრები: ნატურმორტი, პეიზაჟი, პორტრეტი და სხვ.

ბ) V-VI კლასების სტანდარტი

VI კლასის ბოლოს მისაღწევი შედეგები ინდექსების განმარტება

დაწყებითი საფეხურის სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **ს.გ.დაწყ.(II).1.:**

- „ს.გ.“ - მიუთითებს საგანს „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“;
- „დაწყ“ - მიუთითებს დაწყებით საფეხურს;
- „(II)“ – მიუთითებს, რომ სტანდარტი მოიცავს V-VI კლასებს;
- „1“ - მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სტანდარტის შედეგები (V-VI კლასები)	
შედეგების ინდექსი	1. მიმართულება: შემოქმედებითობა და პრაქტიკა
ს.გ.დაწყ.(II).1.	მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარ ინტერესებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების მიზანმიმართულად გამოყენება ნამუშევარში ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების) და შთაბეჭდილებების გადმოსაცემად.
ს.გ.დაწყ.(II).2.	მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის მიზანმიმართულად შერჩევა და გამოყენება საკუთარი ჩანაფიქრის და იდეის განსახორციელებლად.
	2. მიმართულება: კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია
ს.გ.დაწყ.(II).3.	მოსწავლემ უნდა შეძლოს თანაკლასელებთან თანამშრომლობით (წყვილში, გუნდში) შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვა და განხორციელება შემოქმედებითი და საორგანიზაციო პრობლემის გადასაჭრელად.
ს.გ.დაწყ.(II).4.	მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება და მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით საუბარი გამოყენებული ხერხების შესახებ საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებში შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.
	3. მიმართულება: ხელოვნების აღქმა კონტექსტში
ს.გ.დაწყ.(II).5.	მოსწავლემ უნდა შეძლოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშების დაკავშირება ისტორიულ, რელიგიურ, კულტურულ და სოციალურ კონტექსტთან.
ს.გ.დაწყ.(II).6.	მოსწავლემ უნდა შეძლოს ქართულ ხელოვნებასა და ხელოვნების მოღვაწეებზე მსჯელობა.

შინაარსი

სახვითი ხელოვნების ელემენტები: ხაზი (სხვადასხვა ტიპის სქელი, წვრილი, სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, მრუდი, დიაგონალური; განსხვავებული სისქის კონტური, შტრიხი); ფერი (ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, კონტრასტული, მონათესავე, ტონალობა - თეთრის ან შავი ფერის დამატებით მიღებული ტონი,

ნახევარტონები, ფერის გრადაცია); ფორმა (მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, ბრტყელი და მოცულობითი - 2D და 3D).

სახვითი ხელოვნების პრინციპები: კომპოზიციური განაწილების საფუძველი (ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატის შერჩევა, ფორმატზე გამოსახულების განაწილება); რიტმი, ძირითადის გამოყოფა, სიმეტრია და ასიმეტრია, კონტრასტი, სტატიკა, დინამიკა, საგანთა თანაფარდობა და პროპორცია, სივრცე (პერსპექტივის კანონები - წინა, შუა და უკანა ხედები), წონასწორობა, ხედვის წერტილი.

ტექნიკა და პროცედურა: ფერწერა, გრაფიკა და მათი ტექნიკები (მონასმი, ლაქა, ანაბეჭდი), ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, მოზაიკა, მონოტიპია, მოდელირება, კონსტრუქცია, კომპიუტერული ტექნოლოგიები (სახატავი პროგრამა, ტექსტური რედაქტორი, საპრეზენტაციო პროგრამა); დაჭრა, დაწებება, ამოკაწვრა, ღუნვა, გრეხვა, დაწვნა, ქარგვა, ქსოვა, კერვა, ხეზე კვეთა და სხვა.

სარეკომენდაციო მასალა და იარაღი: ფანქარი, პასტელი, ფლომასტერი, გუაში, აკვარელი, ტემპერა, ტუში, მელანი, ნახშირი, სანგინა, ფერადი ცარცები, ფერადი ქაღალდი, მუყაო, ქსოვილი, ძაფი, თოკი, მავთული, პლასტილინი, თიხა, სხვა მასალა (ტრადიციული და არატრადიციული, ბუნებრივი და ხელოვნური), ფუნჯი, მაკრატელი, წებო, სადურგლო, სამეთუნეო, საქსოვი, სამკერვალო იარაღი და სხვა.

სახვითი ხელოვნების დარგები: ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, არქიტექტურა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება, კედლის მხატვრობა, ხელნაწერთა მინიატურა, ჭედურობა, კერამიკა და სხვ.

სახვითი ხელოვნების ჟანრები: ნატურმორტი, პეიზაჟი, პორტრეტი, ყოფითი და სხვ.

2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება საბაზო საფეხურზე

შესავალი

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

- ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;
- ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი;
- გ) მეთოდოლოგიური ორიენტირები;
- დ) შეფასება.

საგან „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების“ ფარგლებში მოსწავლე შეისწავლის ხელოვნებას, როგორც თვითგამოხატვისა და კომუნიკაციის საშუალებას. ის აცნობიერებს სამყაროს, როგორც მრავალფეროვანი გრძნობებისა და იდეების წყაროს, რომელიც შეუძლია შემოქმედებითად ასახოს ნამუშევრებში.

სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე გაეცნობა ქართული და მსოფლიო, ძველი და ახალი ხელოვნების ცნობილ ნიმუშებს და ხალხურ შემოქმედებას; მათი შექმნისა და შეფასების განსხვავებულ ისტორიულ, კულტურულ, სოციალურ და სხვა კონტექსტებს; გამოიკვლევს მათ როლს საზოგადოების ცხოვრებაში.

სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას სხვადასხვა შემოქმედებით პროექტში; შექმნის სხვადასხვა დარგისა და ჟანრის ნამუშევრებს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების, ხერხების, მასალის, ტექნიკის გამოყენებით.

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს:

- მოსწავლეს გაუღვივოს ინტერესი ხელოვნების მიმართ;
- მოსწავლემ გაიაზროს საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალი, განივითაროს თვითგამოხატვის მრავალფეროვანი გზების ძიებისა და გამოყენების უნარი;
- მოსწავლეს განუვითაროს ხელოვნების ნიმუშებზე, საკუთარ და სხვის ნამუშევრებზე აზრის კორექტულად გამოთქმის, მსჯელობისა და ინტერპრეტაციის უნარი;
- ხელი შეუწყოს მოსწავლეს, ჩამოყალიბდეს საკუთარი მსოფლმხედველობისა და აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის მქონე პიროვნებად ეროვნული და მსოფლიო კულტურის გაცნობის გზით.

ამ მიზნებზე მუშაობით სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას, რა უნდა შეეძლოს საბაზო საფეხურის მოსწავლეს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ფარგლებში.

სტანდარტის შედეგები ჯგუფდება ორ მიმართულებად:

- **შემოქმედებითობა და პრაქტიკა** - გულისხმობს საკუთარი შთაბეჭდილებებისა და გამოცდილების საფუძველზე მხატვრული ნამუშევრების შექმნას, მათი საშუალებით საკუთარი იდეების, ემოციებისა და განწყობების გამოხატვას.

სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლემ უნდა გამოიყენოს შემდეგი მასალა, იარაღი, პროცესი, პროცედურა: ფანქარი, პასტელი, ფლომასტერი, გუაში, აკვარელი, ტემპერა, აკრილი, ტუში, მელანი, ნახშირი, სანგინა, ფერადი ცარცები, ფერადი ქაღალდი, მუყაო, ქსოვილი, ძაფი, თოკი, მავთული, პლასტილინი, თიხა, სხვა მასალა (ტრადიციული და არატრადიციული, ბუნებრივი და ხელოვნური), ფუნჯი, მაკრატელი, წებო, სადურგლო, სამეთუნეო, საქსოვი, სამკერვალო იარაღი და სხვა. დაჭრა, დაწებება, ამოკაწვრა, ღუნვა, გრეხვა, დაწვნა, ქარგვა, ქსოვა, კერვა, ხეზე კვეთა და სხვა.

- **ხელოვნების აღქმა კონტექსტში** - გულისხმობს სხვადასხვა დარგის, ჟანრის, ეპოქის/მიმდინარეობის ხელოვნების ნიმუშების ანალიზს, ინტერპრეტაციასა და შეფასებას.

სტანდარტის შინაარსი განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულო ცნებების, თემატური ბლოკების სახით.

ცნებების სახით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. ცნებები შედეგებთან ერთად უნდა დამუშავდეს მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებში. ეს კონტექსტები სავალდებულო თემატური ბლოკების სახითაა წარმოდგენილი.

სტანდარტის შედეგების ინდექსების განმარტება

საბაზო საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ.,ს.გ. საბ. 1.:

„ს.გ.“ – მიუთითებს საგანს „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“;

„საბ.“ – მიუთითებს საბაზო საფეხურს;

„1“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სტანდარტის შედეგები (VII-IX კლასები)		
შედეგების ინდექსები	მიმართულება: შემოქმედებითობა და პრაქტიკა	ცნებები
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
ს.გ.საბ.1.	ნამუშევრის შექმნა თვითგამოხატვისათვის, მიზნის შესაბამისად მრავალფეროვანი სტრატეგიების, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გააზრებულად და შემოქმედებითად გამოყენება;	სახვითი ხელოვნების საშუალებები (ელემენტები)
ს.გ.საბ.2.	ნამუშევრის შექმნისას თავად დასახოს და გადაჭრას შემოქმედებითი ამოცანა, მიზნის შესაბამისად შეარჩიოს მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, მასალა, ტექნიკა, მხატვრული სტილი.	სახვითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები)
	მიმართულება: ხელოვნების აღქმა კონტექსტში	სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	სახვითი ხელოვნების ტექნიკა
ს.გ.საბ.3.	ხელოვნების კონკრეტული ნიმუშის ანალიზი (მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, ეპოქა, სტილი, მიმდინარეობა, დარგი, ჟანრი, ავტორი), ინტერპრეტაცია და შეფასება;	ეპოქა
ს.გ.საბ.4.	სხვადასხვა ეპოქის, კულტურის და სტილის ნამუშევრების ამოცნობა და ერთმანეთთან შედარება ისტორიული, რელიგიური, სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.	მიმდინარეობა

ცნებები

სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებები და ხერხები -

• სახვითი ხელოვნების საშუალებები (ელემენტები) (მაგ.: ხაზი: სხვადასხვა ტიპის და სისქის, კონტური, შტრიხი; ფერი: ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, ნეიტრალური, კონტრასტული, მონათესავე, ინტენსიური, ფერისა და ტონის გრადაცია, კოლორიტი; შუქ-ჩრდილი, განათება; ფორმა: ბრტყელი და მოცულობითი (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, უტრირებული, სტილიზებული და სხვ.); ფაქტურა; ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართება.

• სახვითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები) (მაგ.: კომპოზიციური განაწილება, ელემენტების განმეორებადობა, რიტმი, ძირითადის გამოყოფა, აქცენტი, სიმეტრია-ასიმეტრია, სტატიკა-

დინამიკა, კონტრასტი, თანაფარდობა, მასშტაბი, პროპორცია/დისპროპორცია, წონასწორობა, სივრცე, პერსპექტივა (ხედვის წერტილი, ჰორიზონტის ხაზი, თავშეყრის წერტილი), კომპოზიციური მთლიანობა.

სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები (დარგები - მაგ.: ფერწერა (დაზგური, მინიატურა, მონუმენტური - ფრესკა, მოზაიკა, ვიტრაჟი, გრაფიტი), გრაფიკა (დაზგური, ბეჭდვითი), ქანდაკება, ჭედურობა, არქიტექტურა, დიზაინი, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება და სხვ.; ჟანრები - მაგ.: ნატურმორტი, პორტრეტი, პეიზაჟი, ყოფითი, ისტორიული და სხვ.).

სახვითი ხელოვნების ტექნიკა (მაგ.: ფერწერა, გრაფიკა და მათი ტექნიკები, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, მოზაიკა, მონოტიპია, მოდელირება, კონსტრუირება, ციფრული ტექნოლოგიები).

სხვადასხვა ეპოქის/მიმდინარეობის ხელოვნება (მაგ.: პრეისტორია, ძველი აღმოსავლეთი, ანტიკური ხანა, შუა საუკუნეები, აღორძინება, ახალი დროის ხელოვნება (XVII-XIX სს.), მოდერნიზმი, თანამედროვე ხელოვნება).

სავალდებულო თემატური ბლოკები

საბაზო საფეხურზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა-სწავლება წარიმართება სამი ძირითადი თემატური ბლოკის ფარგლებში. საბაზო საფეხურის თითოეულ კლასში მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ სამივე თემატური ბლოკის შესაბამისი მასალა.

თემატური ბლოკი: გარემო და ხელოვნება

სარეკომენდაციო თემები: გარემო - ადამიანის ინტერესის ობიექტი; გარემოს ზეგავლენა ადამიანზე და ადამიანის ზეგავლენა გარემოზე; ხელოვნება ჩვენ გარშემო (ხელოვნების დარგები და ჟანრები); სამყაროს მრავალფეროვანი ასახვის გზები - სტილები, მიმდინარეობები, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები; ტექნიკური პროგრესის გავლენა ხელოვნებაზე; გამოსახვის ახალი საშუალებების ძიება.

თემატური ბლოკი: ადამიანი ხელოვნებაში

სარეკომენდაციო თემები: ადამიანის გამოსახულება და რწმენა-წარმოდგენები; ხელოვნება - პიროვნული რეალიზების საშუალება; მე - კულტურის ნაწილი; თვითგამოხატვა, ემოციები, გრძნობები, იდეები, შეხედულებები, წარმოდგენები; თვითგამოხატვის თანამედროვე ფორმები.

თემატური ბლოკი: საზოგადოება და ხელოვნება

სარეკომენდაციო თემები: ხელოვნება - ისტორიული მეხსიერება, რას და როგორ გვიყვება ხელოვნება; კულტურული მემკვიდრეობა; ყოფითი და ესთეტიკური დანიშნულება, ხელოვნება - საჭიროება თუ ფუფუნება; ხელოვნება - ზემოქმედების საშუალება (მონუმენტური ხელოვნება, პლაკატი, რეკლამა, ქუჩის მხატვრობა, ხელოვნება, როგორც აქცია და სხვ.).

საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვები

საფეხურებრივი საკვანძო კითხვები სტანდარტის ცნებებს აკავშირებს შედეგებთან.

- რა არის ხელოვნება?

- რატომ ქმნიან ადამიანები ხელოვნების ნიმუშებს?
- როგორ და რატომ იცვლებოდა ხელოვნების დანიშნულება?
- როგორ ზემოქმედებს ხელოვნება ადამიანზე და საზოგადოების ცხოვრებაზე?
- როგორ გავლენას ახდენს ხელოვნებაზე საზოგადოების მოთხოვნები და ინტერესები?
- რა შეგვიძლია გადმოვცეთ და გავიგოთ ხელოვნების ნიმუშების მეშვეობით?
- რატომ ვსწავლობ სახვით და გამოყენებით ხელოვნებას?
- რისთვის და როგორ ვიყენებ სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს, ტექნიკას, მასალას და იარაღს?

გ) მეთოდოლოგიური ორიენტაციები

სტანდარტის ამ ნაწილში განსაზღვრულია, თუ რა პრინციპების საფუძველზე უნდა წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი. ასევე, მოცემულია მოკლე ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს კონკრეტული სასწავლო ერთეულის – თემის სწავლა-სწავლება.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

- სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლის მოტივირებას და შინაგანი ძალისხმევის გააქტიურებას.
- სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
- სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.
- სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას).
- სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეს არ მოეთხოვება მაღალმხატვრული ღირებულების ნამუშევრების შექმნა. ერთმანეთისგან უნდა გაირჩეს „ნიჭი“ და „შემოქმედებითობა“. შემოქმედებითი ნამუშევარი/პროდუქტი თვითგამოხატვის თვითრეალიზების საშუალებაა, თუმცა უფრო ხშირად, ამ თვალსაზრისით, თავად შექმნის პროცესია უფრო მნიშვნელოვანი, ანუ, კვლევის, აღმოჩენის, ექსპერიმენტირების პროცესი – რომელსაც უდიდესი ღირებულება აქვს - და არა პროდუქტი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თანამედროვე მასალას, ტექნიკას, ტექნოლოგიას (მათ შორის, ციფრულს) და პროცედურას, რომლებიც მოსწავლემ შეიძლება აქტიურად გამოიყენოს მომავალში და ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მოსწავლე ასევე უნდა დაეუფლოს შემოქმედებითი და საორგანიზაციო საქმიანობის დაგეგმვისა და მისი განხორციელების უნარებს სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით; განუვითარდეს სოციალური, საკომუნიკაციო და გუნდური მუშაობის უნარები.

კულტურული მემკვიდრეობის გაცნობის მიზნით უნდა მოეწყოს ექსკურსიები მუზეუმებში, გალერეებში, ისტორიულ ძეგლებზე, შეხვედრები ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებთან და სხვა. მოსწავლემ მონაწილეობა უნდა მიიღოს საკლასო და სასკოლო გამოფენებში, სპექტაკლებში, აქციებში, ზეიმებსა და სხვა ღონისძიებებში; დახმარება უნდა გაუწიოს უმცროსკლასელებს ზეიმების გაფორმებაში, ინვენტარის შეკეთებაში, კლასის მოწყობაში და სხვა.

საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

კრიტიკული აზროვნება	<ul style="list-style-type: none"> • ფაქტების, წარმოდგენების, მოსაზრებების კრიტიკულად განხილვა და გაანალიზება; • შეკითხვების ჩამოყალიბება და მათზე პასუხის მიცემა; • არგუმენტირებულად მსჯელობა, ანუ საკუთარი მოსაზრებების დასაბუთება შესაფერის არგუმენტების, მაგალითების მოყვანით; • გონივრული არჩევანის გაკეთება და მისი (არჩევანის) დასაბუთება.
თანამშრომლობა	<ul style="list-style-type: none"> • სამუშაოს თანასწორად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს; • მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად; • განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა; • რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით.
ეთიკა	<ul style="list-style-type: none"> • ეთიკური ნორმების დაცვა; • სოლიდარობის განცდა; • ემპათია; • განსხვავებულობის მიმღებლობა; • საკუთარ სოციალურ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრება.
კვლევა	<ul style="list-style-type: none"> • კვლევითი ამოცანის, კვლევის პროცედურების, მონაცემების მოპოვების გზებისა და აღრიცხვის ფორმების განსაზღვრა; სათანადო რესურსების შერჩევა; • კვლევის ჩატარება, მონაცემების აღრიცხვა და სხვადასხვა ფორმით წარმოდგენა/ ორგანიზება; • მონაცემების ანალიზი, არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე დასკვნების გამოტანა; კვლევის შედეგების შეფასება; • კვლევითი სამუშაოების ჩატარების დროს ეთიკისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა.
სწავლის სწავლა დამოუკიდებლად საქმიანობა	<ul style="list-style-type: none"> • აქტივობის/დავალების ღირებულების განსაზღვრა - მოსწავლემ უნდა დაინახოს, რას შესძენს აქტივობის შესრულება, რა პიროვნულ თუ სოციალურ სარგებელს მოუტანს მას; • აქტივობის/დავალების დაგეგმვა - (მოთხოვნათა გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის განსაზღვრა; დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის განსაზღვრა; სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების დადგენა; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა; იმის განჭვრეტა, თუ რა გაუადვილდება, რა გაუძნელდება, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიების მიზანშეწონილად შერჩევა სამუშაოს თითოეული ეტაპისათვის); • სწავლის პროცესის მონიტორინგი - დაფიქრება სწავლის პროცესზე, იმ პირობების და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, სათანადო ზომების მიღება წინსვლის ხელშესაწყობად; თვითშეფასება ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად, სუსტი მხარეების გასაძლიერებლად გზების დასახვა; • სოციომოციური მართვა - ნერვიულობის მინიმუმამდე დაყვანა, საჭიროებისამებრ, დახმარების თხოვნა, საკუთარ თავში სიძნელეთა გადალახვის რესურსების პოვნა; შეცდომების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება და წინსვლის წყაროდ გამოყენება; • ცალკეული საქმიანობისთვის გამოყოფილი დროის ეფექტურად გამოყენება.

პასუხისმგებლობა	<ul style="list-style-type: none"> • სასკოლო საქმიანობებში (სასკოლო ცხოვრებაში) ნაკისრი ვალდებულების შესრულება; • სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება; • საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე პასუხისმგებლობის აღება.
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება	<ul style="list-style-type: none"> • ქსელური ძიება (მაგ., სხვადასხვა დროისა და კულტურის ხელოვნების ნიმუშების, ხელოვნების შემოქმედების და სხვ. შესახებ ინფორმაციის მოძიება ანალიზის, ინტერპრეტაციისა და შეფასების მიზნით); • Google Arts & Culture-ის საშუალებით საკუთარი გალერეის შექმნა. • ნამუშევრების შექმნა, დამუშავება კომპიუტერული სახატავი /გრაფიკული პროგრამების გამოყენებით; • ვებგვერდის/ბლოგის შექმნა და სასწავლო პროცესის განმავლობაში განხორციელებულ სხვადასხვა პროექტის, ვებგვერდზე/ ბლოგზე განთავსება; • ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება (მაგ., Word, PowerPoint) სასწავლო მასალისა და სხვადასხვა ტიპის ელექტრონული ტექსტების დასამუშავებლად.
წიგნიერება	<ul style="list-style-type: none"> • ეპირი და წერიტი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანის, გაანალიზება-ინტერპრეტირებისა და წარდგენა-გაზიარების უნარი.

სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ზრუნვა მეტაკოგნიციის უნარების განვითარებაზე, რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ეს აქტივობებია:

სტრატეგიების მოდელირება: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და მისი შესრულებისას „ხმამალა ფიქრობს“ იმაზე, თუ როგორ შეასრულოს ეს აქტივობა (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანხმობები მასალა და მისთ.).

წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფურად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.), ასევე სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებენ თითოეულ ეტაპზე. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე.

შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა და ხერხი, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებს და აუმაღლებს სწავლის ქმედუნარიანობას.

წლიური პროგრამისა და სასწავლო თემის აგების პრინციპები

სტანდარტზე დაყრდნობით იგეგმება წლიური პროგრამები, რომლებიც გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს. წლიური პროგრამა სარეკომენდაციო ხასიათისაა. სკოლას შეუძლია გამოიყენოს რეკომენდებული წლიური პროგრამა ან თავად დასახოს სტანდარტის მიღწევის გზები. წლიური პროგრამები უნდა დაიგეგმოს სასწავლო თემების საშუალებით (შედეგი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს - თემას).

სასწავლო თემის დასაგეგმად გამოიყენება შემდეგი კომპონენტები:

<p>სასწავლო თემა -</p> <p>სასწავლო თემა წარმოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.</p>
<p>თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები -</p> <p>ცნებები განსაზღვრავს იმ არსებით ცოდნას, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს.</p>
<p>თემატური საკვანძო შეკითხვები -</p> <p>თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვებიდან და დაისმის თემის კონკრეტულ კონტექსტში. მათი ფუნქციაა:</p> <ul style="list-style-type: none"> • მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად; • სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა; • თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.
<p>აქტივობები</p> <p>მიმდინარე დავალებების ტიპების/ნიმუშების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული გაგება-გააზრების პროცესების ხელშესაწყობად, ასევე ცოდნის ათვისების, განმტკიცებისა თუ შეჯამების მიზნით.</p> <p>კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი</p> <p>კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.</p>

შეფასების ინდიკატორები -

შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის.

მკვიდრი წარმოდგენები -

მკვიდრი წარმოდგენები განისაზღვრება სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მენსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდეს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად.

როგორ აიგება სასწავლო თემა?

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული. ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრება მკვიდრი წარმოდგენები, საკვანძო კითხვები და შეფასების ინდიკატორები.

სასწავლო თემის სწავლა-სწავლების მიზნით შემდეგ ეტაპზე უნდა განისაზღვროს საგნობრივი საკითხები, რესურსები, დავალებების ტიპები/ნიმუშები, გაგების, გააზრების, განმტკიცებისა და შეჯამების მიზნით. ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს იდეები შემაჯამებელი კომპლექსური დავალებებისთვის, რადგან მხოლოდ კომპლექსური დავალებების საშუალებით შეიძლება გამოვლინდეს, რამდენად დაეუფლა მოსწავლე თემის ფარგლებში ასათვისებელ ცოდნა-უნართა ერთობლიობას და რამდენად ახერხებს მათ ფუნქციურად გამოყენებას.

სასწავლო თემის აგების ბიჯები

ნაბიჯი 1. მკვიდრი წარმოდგენების დადგენა.
ნაბიჯი 2. თემატური საკვანძო კითხვების დასმა.
ნაბიჯი 3. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა.
ნაბიჯი 4. აქტივობებისა და მიმდინარე დავალებების დაგეგმვა და რესურსების შერჩევა.

დ) შეფასება

საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესობა უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც აფასებს მოსწავლეს თავის წინარე შედეგებთან მიმართებით, ზომავს ინდივიდუალურ წინსვლას და, ამდენად, აძლევს მოსწავლეს ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირების საშუალებას.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითადი მიზანია მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას შეასწავლის.

შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება

შემაჯამებელი შეფასებისთვის გამოიყენება კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოითხოვს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ინტეგრირებულად და ფუნქციურად გამოყენებას. ამ დავალებათა შესაფასებლად შეფასების რუბრიკა, ანუ კრიტერიუმების ბადე გამოიყენება.

მოსწავლეს თითოეული სასწავლო თემის დამუშავების შემდეგ ევალება შემაჯამებელი დავალების შესრულება. შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა წლის განმავლობაში სასწავლო თემების რაოდენობას ემთხვევა.

ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისათვის

ქვემოთ შემოთავაზებულია ტიპობრივ დავალებათა ფართო არჩევანი. შემაჯამებელი შეფასებისათვის მასწავლებელი და/ან მოსწავლე შეარჩევს დავალების სასურველ ტიპს/ტიპებს:

- პრაქტიკული სამუშაო - ნამუშევრის შექმნა;
- გამოფენა;
- პროექტი (ვიქტორინა, რომელიმე ხელოვანის შემოქმედების კვლევა, მსოფლიოში/ქვეყანაში/ქალაქში/რეგიონში და სხვ. მომხდარი მოვლენები (ეკოლოგიური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და სხვ.) სკოლის გარემოს გაფორმება და სხვ.);
- მოხსენება-რეფერატი;
- ნამუშევრის წარდგენა;
- გარკვეული ეპოქის, ხელოვნების ნიმუშის და სხვ. ანალიზი;
- სააზროვნო უნარების შემოწმებაზე ორიენტირებული ტესტი;
- და სხვ.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განმსაზღვრელი შეფასებისათვის განკუთვნილი შემაჯამებელი დავალება

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- დავალების შეფასების რუბრიკა, შეფასების ინდიკატორების გარდა, უნდა ეფუძნებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლ უნარებსა და ღირებულებებს;
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე.

შეფასების რუბრიკის შესაძლო ფორმა

კლასი		
მოსწავლის სახელი, გვარი		
თემა		
დავალების პირობა		
შეფასების კრიტერიუმები	ქულები	კომენტარი

(ამოქმედდეს 2019 წლის 15 სექტემბრიდან)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 11.05.2018წ.

მუხლი 79. მუსიკის სტანდარტი

1. მუსიკა დაწყებით საფეხურზე

შესავალი

დაწყებით საფეხურზე განსაკუთრებით დიდია მუსიკის, როგორც საგნის მნიშვნელობა, მაშინ, როდესაც ბავშვის თანდაყოლილი, ბუნებრივი უნარები, მიდრეკილებები ჯერ ბოლომდე არ გამოვლენილა და მათ გახსნა, წარმართვა სჭირდება. ამ ასაკში ბავშვს უჭირს მუსიკის აბსტრაქტული სახეების აღქმა და ორიენტირებისთვის მუსიკის აღსაქმელად მას ნაცნობი ხილული ანალოგიები სჭირდება. ამის განხორციელება შესაძლებელია მოსწავლისთვის ნაცნობი აქტივობებით - სიმღერა, ცეკვა, იმპროვიზაცია, თამაში, დაკვირვება და ა. შ., რომლებიც გარემოში არსებული ხილული

სახეების მუსიკაში ამოცნობას ისახავს მიზნად. ეს კი, თავის მხრივ, ითვალისწინებს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების ამოქმედებას, ერთობლივ შემოქმედებით პროცესებში მათ ჩართვას.

მიმართულებების აღწერა

მუსიკის სწავლება ორი მიმართულებით იშლება:

- შემოქმედებითობა და პრაქტიკა;
- მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია.

სწავლება ორივე მიმართულების ფარგლებში მიმდინარეობს პარალელურად და ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში.

შემოქმედებითობა და პრაქტიკა

ამ მიმართულების უშუალო მიზანია მოსწავლის შემოქმედებითი უნარების განვითარება. მოსწავლე ეუფლება გარესამყაროში არსებული მოვლენების, სახეების მუსიკალური გამოხატვის სხვადასხვა ფორმას და გამომსახველობით ხერხს; მას უვითარდება პრაქტიკული უნარები, რაც ხელს უწყობს საკუთარი თავის აღმოჩენაში, გამოხატვასა და განვითარებაში: მღერის, უკრავს, ცდილობს შექმნას მუსიკა - მარტივი მელოდიურ-რიტმული კომპოზიციები. მხატვრული სახის, განწყობილების, ემოციის გადმოცემისას მოსწავლე იყენებს და ეუფლება ხელოვნების სხვა დარგების გამომსახველობით საშუალებებსაც - ცეკვავს, გაითამაშებს თეატრალურ ეტიუდებსა და სცენებს, ხატავს, თხზავს ტექსტს.

ამ მიმართულების ფარგლებში მოსწავლეს უვითარდება მუსიკალური სმენა და მეხსიერება, რიტმის გრძნობა, რასაც ხელს უწყობს რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები. მეოთხე კლასიდან ამას ემატება იმპროვიზაციული ელემენტები, რითიც შემოქმედებით საწყისი მეტი დატვირთვა ენიჭება. მოსწავლე პრაქტიკულად ეუფლება და იყენებს მუსიკალური ენის ნასწავლ ელემენტებს - განარჩევს და სხვადასხვა ხერხით გამოხატავს ბგერას, მეტრს, ტემპს, რეგისტრს, დინამიკურ ნიუანსებს, იმეორებს და აბოლოებს თანაკლასელის ან მასწავლებლის მიერ წამოწყებულ მელოდიას და ა. შ.. მოსწავლე სწავლობს სიმღერას, ასევე სწავლობს მუსიკალურ დამწერლობას - ამოიცნობს, ჩაწერს და იყენებს ნასწავლ ნიმუშებს.

შემოქმედებითი აქტივობების დროს - სიმღერა, დაკვრა, ცეკვა, პრეზენტაცია, სცენის გათამაშება - მოსწავლე წარდგება აუდიტორიის წინაშე, ეჩვევა და უყალიბდება წარდგენის, აუდიტორიასთან ურთიერთობის უნარ-ჩვევა და ეჩვევა საკუთარი ემოციების, ქცევის მართვას. ეს აქტივობები შეიძლება იყოს ინდივიდუალური, როდესაც მოსწავლე პერსონალურადაა პასუხისმგებელი საკუთარ გამოსვლაზე ან ჯგუფური. ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის დროს მოსწავლე ჩართულია შემოქმედებით თანამშრომლობაში, რომლის დროს საკუთარი ემოცია, თვალსაზრისი, ინტერპრეტაცია საერთო ხედვას უნდა შეუთანხმოს. მოსწავლეს უვითარდება პასუხისმგებლობის გრძნობა თანაგუნდელების მიმართ, ყალიბდება კოლექტივის წევრად და არ არღვევს გუნდის (სიმღერა, ცეკვა, ფერხული, სცენის გათამაშება) მთლიანობას.

ამავე მიმართულების ფარგლებში სასურველია მოსწავლე იყენებდეს ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ისტ-ს) - აკეთებდეს აუდიო ჩანაწერს; აუდიო და ვიდეო ინფორმაციის გასაზიარებლად იყენებდეს ინფორმაციის შესანახ მოწყობილობას; აჟღერებდეს ხმას, მუსიკალურ საკრავს ელექტრონულ გარემოში; შეარჩევდეს გამომსახველობით ხერხებს და ფონს მელოდიისთვის; იყენებდეს ჩაწერილ ხმას იმპროვიზაციის პროცესში.

მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია

მუსიკა, რომელიც აღიარებულია საკომუნიკაციო ენად, მრავალგვარი და მრავალჯერადი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. მოსწავლე მუსიკის შესახებ მიღებულ ინფორმაციას აკავშირებს გარემოსთან, ყოველდღიურ მოვლენებთან და საკუთარ გამოცდილებასთან, სხვა საგნობრივ დისციპლინებთან. აღიქვამს მუსიკას, როგორც სამყაროს ნაწილს, იკვლევს და აკვირდება ხმის წარმოქმნის წყაროებს; ეჩვევა ხმოვან სამყაროსთან, მუსიკასთან კომუნიკაციას - მუსიკის მოსმენას, მუსიკისა და პერფორმანსის შეფასებას, აზრის ნათლად გამოთქმას, საკუთარი შეხედულების დასაბუთებას კამათის, მსჯელობის დროს შესაფერისი ტერმინოლოგიის გამოყენებით, წიგნიერი ენით და ქცევის ნორმების დაცვით.

კამათისა და მსჯელობის დროს მოსწავლე აცნობიერებს, რომ მუსიკა ყველა დროისა და ხალხის კულტურისა და ყოფის განუყოფელი ნაწილია. ეცნობა და პარალელს ავლებს ეროვნულ და მსოფლიო ხალხთა მუსიკალურ ტრადიციებს შორის. ქართულ ხალხურ საკრავებს აკავშირებს სხვა ერების ხალხურ საკრავებთან. მოსწავლე განასხვავებს ქართულ და მსოფლიო ხალხურ, კლასიკურ და თანამედროვე მუსიკალურ ნაწარმოებებს.

ა) I-IV კლასების სტანდარტი

IV კლასის ბოლოს მისაღწევი შედეგები

ინდექსების განმარტება

დაწყებით საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **მუს.დაწყ.(I).1.:**

„**მუს.**“ - მიუთითებს მუსიკის საგანს;

„**დაწყ.**“ - მიუთითებს დაწყებით საფეხურს;

„**(I)**“ - მიუთითებს, რომ სტანდარტი მოიცავს I-IV კლასებს;

„**1**“ - მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

მუსიკის სტანდარტის შედეგები (I-IV კლასები)	
შედეგების ინდექსი	მიმართულება: შემოქმედება და პრაქტიკა
	სტანდარტის შედეგები მოსწავლემ უნდა შეძლოს:
მუს.დაწყ.(I).1.	გარესამყაროში ბუნებრივად არსებული და ხელოვნურად შექმნილი ხმის, ბგერის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) გამოყენება გარკვეული ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემად;
მუს.დაწყ.(I).2.	ხმის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) მეშვეობით გარესამყაროს ასახვა;
მუს.დაწყ.(I).3.	ხმოვანი გზავნილის სხვადასხვა სიმბოლოთი ჩაწერა.
	მიმართულება: მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
მუს.დაწყ.(I).4.	მოსმენის დროს სახე-ხატების შექმნაში მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) როლის განსაზღვრა;
მუს.დაწყ.(I).5.	ცალკეულ მუსიკალურ ელემენტებს (მაგ.: რიტმს, ტემპს, მელოდიას და ა.შ.), ხმაურსა და ვიზუალურ რიგს შორის ასოციაციური კავშირების გაბმა;

შინაარსი

ცნებითი კატეგორიების ჩარჩო და სასწავლო თემები

მუსიკის საგანი ხმოვანი გზავნილის შინაარსის ამოკითხვას მუსიკალურ-გამომსახველობით ელემენტებსა და გარესამყაროში არსებულ სახეებს შორის ასოციაციური კავშირების საშუალებით შეასწავლის. საგნის სწავლება შემდეგი ცნებითი კატეგორიებითა და თემებით წარიმართება:

ცნებები და ტერმინები:

საგნის სწავლა-სწავლების პროცესი უნდა წარიმართოს შემდეგი ცნებების დამუშავების საფუძველზე:

- მუსიკალური ენის ძირითადი ელემენტები: რიტმი, მელოდია;
- მუსიკალური ენის არაძირითადი ელემენტები: ტემპი, რეგისტრი, ტემბრი, ფაქტურა;
- მეტრი: ორწილადი, სამწილადი, ოთხწილადი;
- ბუნებრივი და ხელოვნურად შექმნილი ხმები;
- ბგერის თვისებები: სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა, ტემბრი;
- მელოდიის შემადგენელი ნაწილები: ინტონაცია, მოტივი;
- საკომპოზიციო ხერხები: რიტმული და მელოდიური ოსტინატო, რიტმული და მელოდიური მონაცვლეობა, კონტრაპუნქტი, მუსიკალური კოლაჟი;
- მუსიკალური დამწერლობა:
- ტრადიციული: ხუთხაზიანი სანოტო სისტემა;
- არატრადიციული: შტრიხები, ხაზები, პიქტოგრამები;
- ხალხური მუსიკის სხვადასხვა ჟანრი: საცეკვაო, სარიტუალო სიმღერები.

მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ცნებების დამუშავება უნდა მიმდინარეობდეს თვალსაჩინო მაგალითების საფუძველზე. მოსწავლე კონკრეტული მაგალითების მეშვეობით გაიაზრებს მათ მნიშვნელობას და გამოიყენებს შესაბამისად. ამ ეტაპზე სასურველია ცნებებისა და მათი განმარტებების თეორიული სწავლება მინიმუმამდე იყოს დაყვანილი.

სავალდებულო თემები I-IV კლასებისთვის:

გარესამყარო მუსიკაში

1. ხმების მრავალფეროვნება (I კლასი);
2. ცხოველები მუსიკაში (II კლასი);
3. ბუნებრივი მოვლენები მუსიკაში (II კლასი);
4. ქალაქის/სოფლის ხმები (III კლასი);
5. მუსიკალური გასეირნება ქალაქში/სოფელში (III კლასი);
6. მუსიკა და ტელევიზია (IV კლასი).

მუსიკა და ჩვენი ყოფა

1. ყოფითი საგნები მუსიკაში (I კლასი);
2. თამაშები მუსიკაში (I კლასი);
3. წვეულებები და დღესასწაულები სახლში და გარეთ (II კლასი);
4. ჩემი ცხოვრების ერთი დღე (III კლასი);
5. მუსიკა და თავისუფალი დრო (IV კლასი).

ეთნოგრაფია და მუსიკა

1. გარესამყაროს ხმები სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ მუსიკაში (I კლასი);
2. სხვადასხვა ხალხის დღესასწაულების მუსიკა (II კლასი);